საქართველოს გეოგრაფია

სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია

თბილისი 2003

УДК 91(479.22)
Ს 323

„საქართველოს გეოგრაფიის“ ორტომეულის მეორე ნაწილი – სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის გეოგრაფიული შესწავლის პირველი სერიოზული ცდაა. მონოგრაფია, რომელშიც საკითხები, როგორც დარგობრივ (მეურნეობა), ისე რეგიონულ (ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები) ჭრილშია განხილული, ბევრ სიახლეს და კრიტიკულ შეფასებას შეიცავს.

განკუთვნილია მშობლიური ქვეყნის დღევანდელი და მომავალი პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია:

საქ.მეცნ.აკადემიის წევრ-კორ., პროფ. ზურაბ ტატაშიძე (მთავარი რედაქტორი)
გეოგრ.მეცნ.კანდიდატი, დოც. ვაჟა ნეიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი)
გეოგრ. მეცნ. დოქტორი ჯანსულ კეკელია
გეოლ.-მინ. მეცნ. დოქტორი რევაზ ხაზარაძე
გეოგრ.მეცნ.კანდიდატი ალექსანდრე ჯავახიშვილი

რეცენზენტები:

გეოგრ. მეცნ. კანდიდატი, დოც. ნანა კეკელია
გეოგრ. მეცნ. კანდიდატი, დოც. იოსებ სალუქვაძე

© გეოგრაფიის ინსტიტუტი, 2003

ეძღვნება პროფ. გიორგი გველესიანის
ნათელ ხსოვნას

1903 – 1980

გიორგი გველესიანი — გამოჩენილი მეცნიერი და მამულიშვილი

ქართული ეკონომიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გველესიანი დაიბადა 1903 წ. ქუთაისში, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის გრიგოლ გველესიანის ოჯახში. ბავშვობა პარიზში გაატარა. ქართულ (ეროვილ სათავადაზნაურო) გიმნაზიაში სწავლის შემდეგ, 1929 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ეკონომისტ-მგეგმავის სპეციალობით.

მომდევნო წლებში ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს უმაღლეს საგეგმო ორგანოებსა და მინისტრთა საბჭოში, სადაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასების განხრით აღიარებულ ექსპერტად და განსწავლულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. 1953 წლიდან, ქართული გეოგრაფიის პატრიარქის, აკად. ალ.ჯავახიშვილის მოწვეეთი, ბატონი გიორგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებას, სადაც მისი, როგორც მკვლევარის და მეცნიერთა ახალგაზრდა თაობის აღმზრდელის, პოტენციური შესაძლებლობები სრულად გაიშალა.

ამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი ადამიანის დიდი დამსახურებაა საქართველოში ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების მიზანდასახული ორგანიზება, მაღალი კვალიფიკაციის ეკონომიკოს-გეოგრაფთა კადრების მომზადება და მრავალი დასახელების სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა, რომელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს მისი თანაავტორობით და რედაქტორობით ორ ათეულამდე შექმნილი კოლექტიური მონოგრაფიების სერიას.

თემები, რომლებიც განყოფილებაში მეოთხედი საუკუნის მანძილზე გ.გველესიანის მოთავეობითა და უშუალო მონაწილეობით სრულდებოდა, რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განლითარებისა და განლაგების, მოსახლეობისა და ქალაქების გეოგრაფიის, სამრეწველო კვანძების ფორმირების, ეკონომიკური გეოგრაფიის ზოგადი თეორიის, მთიანი რაიონების მდგომარეობისა და მომავალი განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური დარაიონების აქტუალურ პრობლემებს ეძღვნებოდა. ამასთან ერთად, პარალელურად და თანმიმდევრულად მიმდინარეობდა პროფ. გ.გველესიანის მიერ შემუშავებული დარაიონების ბადის მიხედვით განსაზღვრული ეკონომიკური რაიონების გეგმაზომიერი შესწავლა, რომლებმაც წლების მანძილზე ქვეყნის მთელი ტერიტორია მოიცვა. ამ კვლევის ერთგვარ

შემაჯამებელ ნაშრომად იქცა მისი რედაქტორობით და თანაავტორობით გამოცემული და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ორტომეული — „საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები". სწორედ ამ ფუნდამენტურ თხზულებას თავისებურად ეხმიანება წინამდებარე, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი გეოგრაფიული გამოკვლევა, წიგნი, რომელიც მისი ნათელი ხსოვნისადმია მიძღვნილი.

გიორგი გველესიანის სამეცნიერო შრომებმა და მოღვაწეობამ აღიარება პპოვა საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის კოლეგებს შორის. იგი ისტორიაში შევიდა როგორც გამოჩენილი ეკონომიკოს-გეოგრაფი, საწარმოო ძალთა განლაგების, ეკონომიკური დარაიონების და რეგიონული გეოგრაფიის დიდი სპეციალისტი. საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასის შექმნაში აქტიური მონაწილეობისათვის მას 1971 წ. რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია, ხოლო ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ დაწესებული აკად. ალ.ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ენციკლოპედიური ცოდნა, მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, ახალგაზრდა კადრების აღზრდის განსაკუთრებული უნარი, თავმდაბლობა, კეთილშობილება და კეთილმოსურნეობა, რასაც იგი იჩენდა ყველას მიმართ, უკვდავეყოფს გიორგი გველესიანის ხსოვნას ქართული მეცნიერების ისტორიაში.

ავტორთა კოლექტივი

წინასიტყვაობა

მკითხველის წინაშეა „საქართველოს გეოგრაფიის" ორტომეულის მეორე ნაწილი – "სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია". მისი შექმნა I ნაწილთან („ფიზიკური გეოგრაფია", 2000) შედარებით, მწირი და არასრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის, ქვეყნის დანაწევრებული ტერიტორიის და არამდგრადი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების პირობებში, საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამდენად, უახლესი სტატისტიკური მონაცემები 2001 წელს არ სცილდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის დარგობრივი უწყებების რეესტრში რეგისტრირებული ბევრი სამრეწველო საწარმო ან ობიექტი დღესაც კი ფორმალურად არსებობს ან სხვადასხვა მიზეზის გამო, მათი ფუნქციონირება არასტაბილურია, რაც დახასიათებას საკარაუდო ელფერს აძლევს. ამასთან, მთავრობის მიერ შემუშავებული "ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული გეგმებიც" კი, ქრონიკული სიძნელეების გამო, არც თუ იშვიათად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და მეურნეობის დარგების ფუნქციონირების რეალურ „გზამკვლევად" არ გამოდგება.

ამ ობიექტური სირთულეების მიუხედავად, რომელთა აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია, ვთვლით, რომ თვითდამკვიდრების სტადიაში და XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე მყოფი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სურათის დღევანდელ გეოგრაფიულ ჭრილში წარმოჩენა აქტუალურია. მეცნიერულად გამართლებული და სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურება.

წინამდებარე ნაშრომი ორი განსხვავებული განყოფილებისაგან შედგება. I – კომპონენტური ანუ დარგობრივი, რომელშიც აღწერილი და გაანალიზებულია მეურნეობის ცალკეული დარგების, ქვედარგების და მოსახლეობის ფორმირების ფაქტორები, მათი ტერიტორიული განლაგების და განვითარების თავისებურებები და ის ძირითადი ტენდენციები, რამაც თავი იჩინა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში და შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

II – რეგიონული, სადაც კონსტიტუციურად (პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად) ჯერ კიდევ მოუწყობელი ქვეყანა დახასიათებულია ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მიხედვით, რაც რეგიონალიზმის განვითარების კრიტიკულად შესასწავლ ბაზად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთ ტერიტორიულ კონტექსტში განხილული თითოეული რეგიონი უფრო მეტად წარმოაჩენს ისტორიულად ჩამოყალიბებული და ბუნებრივად გამიჯნული სამეურნეო და კულტურულ-დემოგრაფიული პოტენციალების თავისებურებებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებს,

მათ წვლილსა და როლს ეროვნული ეკონომიკის შექმნაში, საშუალებას იძლევა ნათლად წარმოჩინდეს რეგიონთაშორისი სხვაობები და კავშირები, ადგილობრივი პრობლემები და მათი,გადაჭრის გზები.

ეს ნაშრომი ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლების მიერ არის შესრულებული. ავტორთა ამ კოლექტივს მრავალი წლის მანძილზე ზრდიდა და ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი ეკონომისტი და გეოგრაფი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფ. გიორგი გველესიანი, რომლის დაბადებიდან 100 წლისთავსაც წინამდებარე წიგნი ეძღვნება.

ტექსტი ილუსტრირებულია რიგი ორიგინალური ფერადი რუკებით.

მთავარი რედაქტორი,
საქ. მეცნ. აკად. წ/კ., პროფ. ზ.ტატაშიძე

ПРЕДИСЛОВИЕ

Вниманию читателей предлагается вторая часть двухтомника «География Грузии» - «Социально-экономическая география». Ее создание, в отличие от первой части («Физическая география»), опубликованной в 2000 году, оказалось весьма сложным и долгим, в силу целого ряда причин: скудности современной статистической информации, расчлененности территории и неустойчивости политической и социально-экономической ситуации в стране. Поэтому, новейшие статистические даные датированы 2001 годом.

Следует также учесть, что немало предприятий и объектов лишь формально учтены в отраслевом ведомственном реестре или, по ряду причин, функционируют настолько нестабильно, что анализ их деятельности имеет предположительный характер. «Путеводителем» хозяйственной активности не могут служить и разработанные правительством невыполненные «Индикаторные планы экономического и социального развития страны», зачастую страдающие декларативностью.

Тем не менее, несмотря на отмеченные трудности, рассмотрение в географическом разрезе социально-экономической картины страны, находящейся в стадии самоутверждения на рубеже XX и XXI веков, в научном плане актуально, оправдано и служит общегосударственным интересам.

Работа состоит из двух разделов: I – **покомпонентный** или **отраслевой**, где описаны и проанализированы факторы формирования населения и отдельных отраслей и подотраслей хозяйства, особенности их территориального размещения и развития и те основные тенденции, которые проявились как в советский период, так и с 90-х годов прошлого столетия по сей день.

II раздел – **региональный**, в котором на данный момент конституционно (политико-административно) пока не обустроенная страна исследуется по отдельным историко-географическим провинциям (мхаре), что можно считать базой для критического осмысления проблем развития регионализма. Рассмотренные в таком территориальном контексте регионы страны лучше выявляют особенности обособленных хозяйственных и культурно-демографических потенциалов и возможности их использования, их вклад в создание национальной экономики. Региональный обзор позволяет наглядно показать внутренние различия и связи, местные проблемы и пути их разрешения.

Труд создан научными сотрудниками отдела экономической, социальной и политической географии Института географии им.Вахушти Багратиони. Этим коллективом авторов в течение многих лет руководил выдающийся грузинский экономист и географ, заслуженный деятель науки, лауреат Государственной премии Грузии, проф. Георгий Григорьевич Гвелесиани, 100-летию со дня рождения которого и посвящяется данная книга.

Текст иллюстрирован оригинальными цветными картами.

Главный редактор,
Член-корр. АН Грузии, проф. **З.К.Таташидзе**

INTRODUCTION

"Social-Economic Geography"- the second part of "Geography of Georgia" is propounded for consideration of the reader. Due to the unstable political and social-economic conditions, unrestored territorial integrity and scanty statistical information it was much more difficult to compile the second part than the first one. The first part of this book "Physical-Geography" was published in 2000.

It should be taken into consideration, that resulting from different reasons most of the registered industrial enterprises and small industries exist only formally and their operation is not regular. "Indicative plans of the social and economic development of the country", developed by the government, are mere statements and could not serve as guideline for advancing economic branches.

Despite the above quoted reasons introduction of social-economic reality of the country from the geographic angle, is interesting from scientific point of view and serves the interests of the state, which is in the process of self-establishing at the turn of 20-21 centuries.

The book consists of two different parts. The first part of the book deals with separate branches or sub-branches of economy, formation factors of population, peculiarities of territorial division and development, as well as the main tendencies of the Soviet period till present.

In the second part of the book, constitutionally still un-organized country is considered per its separate historical geographical provinces (mkhare). Such consideration could be the initial point for their future organization. Each region, considered in such territorial context could better demonstrate peculiarities of their economic and cultural-demographic potential, possibility of their utilization, their role and significance in creation of national economy. This also will enable to identify differences and interrelations between different regions, their local problems and the ways to tackle them.

The publication is written by the experts of Economic, Social and Political Geography Department of Vakhushti Bagrationi Institute of Geography. This group of authors has been guided and fostered by celebrated Georgian economist and geographer, honored scientist, State Prize Laureate, Prof. Giorgi Gvelesiani. The book is dedicated to Giorgi Gvelesiani's 100 birth anniversary.

Colored maps are enclosed to the text.

Editor in Chief,
CM Georgian Academy of Sciences, Prof., **Z.Tatashidze**

პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი

საქართველომ – მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ქვეყანამ, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი განვლო და დღეს, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს. გეოგრაფიულად იგი ევრაზიის უნიკალური რეგიონის – კავკასიის ნაწილია, ხოლო ისტორიულად, ქართველური ტომების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ცნობილი – კოლხეთის და იბერიის სახელმწიფოების მემკვიდრე.

ძვ.წ. VI საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პირველი ქართული სახელმწიფო – კოლხეთის (ძვ. ქართული წყაროებით – ეგრისი) სამეფო გამორჩეული იყო განვითარებული მიწათმოქმედებით, ხელოსნური წარმოებით, ვაჭრობით (იჭრებოდა ვერცხლის ფული – კოლხური თეთრი), აგრეთვე ოქროს მოპოვებით და დამუშავებით, რაზეც გვამცნობს ბერძნული მითოლოგია (თქმულება არგონავტებზე), ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ძველ ისტორიულ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო – იბერია (ადგილობრივად ქართლი), ახ.წ. I-II საუკუნეებში სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში ხშირად რომსაც კი უწევდა მეტოქეობას.

IV ს. დამლევს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ხელი შეუწყო რწმენის და ქართული დამწერლობის ფართო გავრცელებას, საქართველოს ცალკეული მხარეების დაახლოებას. ამ შეუქცევადმა პროცესმა კი განაპირობა საერთო ეთნიკური შეგნების განვითარება, ხოლო თაობებს მათი სამკვიდრო ტერიტორიის ანუ დედასამშობლოს ცნობიერება ჩამოუყალიბა.

ტერიტორიის ფორმირება. ქვეყნის სამფლობელო ანუ სახელმწიფო ტერიტორია – დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილია, რომელზეც სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება. იგი მოიცავს ხმელეთს, შიდა წყლებს, წიაღისეულს, ტერიტორიულ წყლებს და მათ ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეს და მეზობელი ქვეყნებისგან გამიჯნულია სახელმწიფო საზღვრებით.

მსოფლიოს ისტორია სახელმწიფოთა ტერიტორიების ტრანსფორმაციის (გაფართოების, შევიწროების) ბევრ მაგალითს იცნობს. აღნიშნული პროცესი მეტად მტკივნეულად აისახა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიც, რომელიც მომსწრეა ქვეყნის ტერიტორიის არა მარტო ზრდის, არამედ დაქუცმაცების, მიტაცების, გასხვისების, ოკუპირების და სხვა ნეგატიური მოვლენების, რამაც ფართობის სიდიდის მრავალჯერადი შეცვლა გამოიწვია.

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ახ.წ. IV ს. ჩათვლით, საქართველო იმ სივრცეში ვითარდებოდა, რომელიც ძირითადად ქართული მოდგმის

ტომებით იყო დასახლებული. იგი მოიცავდა მდინარეების – ჭოროხისა და მტკვრის აუზების ვრცელ ტერიტორიას ნიკოფსიიდან ტრაპიზონამდე და კავკასიონიდან თითქმის გოქჩის (სევანის) ტბამდე, ხოლო აღმოსავლეთით – ალბანეთამდე (აზერბაიჯანი). მომდევნო საუკუნეებში, ახალი ქართული სამეფო-სამთავროების აღმოცენების, ბიზანტიელთა, არაბთა და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლების ფონზე, მიუხედავად ტერიტორიული დანაკარგებისა, ქართველები ძირითადად მაინც ინარჩუნებდნენ თავის საცხოვრებელ მიწებს. მათი ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის ცნობიერება განპირობებული იყო ენისა და სარწმუნოების ერთიანობით. X ს. გამოჩენილი მწერლის და რჯულის მცოდნის („მერჯულეს") – გიორგი მერჩულეს აზრით, ქართლი (საქართველო) არის ყველგან, სადაც კი ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა? ყოველი აღესრულების".

X-XI სს. მიჯნაზე დაწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი დავით აღმაშენებელმა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნით დაასრულა. საქართველოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (დერბენტი) და ოსეთიდან (ალანია) არაგაწამდე (სომხეთი).

XIII ს. დასაწყისში, თამარის მეფობისას, საქართველო ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომლის შემადგენლობაშიც ქართულ მიწებთან (აფხაზეთი, ოდიში, სვანეთი, რაჭა, გურია, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ჭანეთი, არტაანი, თორთომი, ოლთისი, პარხალი, კოლა, ჯავახეთი, სამცხე, თრიალეთი, თორი, არგკეთი, თაკვერი, ქართლი, ტაშირი, დვალეთი, ხევი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, კახეთი, ჰერეთი და სხვ.) ერთად, ანისის სამეფო (სომხეთი) და შირვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიც მოექცა.

შემდგომი საუკუნეები საქართველოს ტერიტორიის თანდათანობითი შემცირების პერიოდია, რასაც დასაბამი მისცა მონღოლების შემოსევებმა. აღზევებული სპარსები, ოსმალები და თემურლენგის მიერ ისლამის რჯულზე მოქცეული კავკასიის მთიელები ქართული მიწების გამუსულმანების და მიტაცების მთავარ ძალებად იქცნენ. XVI ს. მეორე ნახევარში ოსმალეთმა საქართველოს ჩამოაშორა მსხვილი ფეოდალური სამთავრო – სამცხე-საათაბაგო და „გურჯისტანის ვილაიეთი" შექმნა. XVII ს.დამლევს შაჰ–აბასმა ქართლის კუთვნილი ლორეს ველი და მდ.დებედას ხეობა მიიტაცა, სადაც თუქმანული ტომი – ბორჩალუ ჩაასახლა, ხოლო კახეთს კაკ-ენისელის მხარე (საინგილო) ჩამოაცილა.

XVIII ს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული სურათია ასახული ვახუშტი ბაგრატიონის შესანიშნავ თხზულებასა („აღწერა სამეფოსა საქართველოსა") და მისივე გეოგრაფიულ ატლასში. სასიქადულო მეცნიერი და მამულიშვილი ერთნაირი გულისყურით აღწერს როგორც არსებულ, ისე მტრის მიერ მიტაცებულ მიწებს, რომლებიც ავტორის მიერ მისი სამშობლოს განუყოფელ ნაწილად აღიქმება.

ვახუშტის დროინდელი საქართველოს ტერიტორია 134 ათას კმ² შეადგენდა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის ფართობს (კეკელია, 1997).

XIX ს. – დაქუცმაცებული საქართველოს რიგი პოლიტიკური ერთეულების (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის სამთავროები, ახალციხის საფაშო და სხვ.) თანდათანობით დაპყრობის და ამავე დროს, რუსეთის იმპერიაში მათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გაერთიანების პერიოდია. ამასთან, ცარიზმის კოლონიური ინტერესების საპირისპიროდ, გაძლიერდა ეროვნული კონსოლიდაცია და განვითარდა დემოკრატიული კულტურა. ამ ფაქტორებმა გარკვეული ნიადაგი მოამზადა რათა, რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქართველ ხალხს დაკარგული დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღედგინა.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინ მოქცეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, სოხუმის, ბათუმის, ართვინის, ზაქათალის (საინგილო), არტაანის (არდაგანის) და ოლთისის ოკრუგების ფარგლებში, რომელთა საერთო ფართობი 90 ათას კმ²-მდე აღწევდა. სწორედ აღნიშნული სივრცე განიხილებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ სახელმწიფო ტერიტორიად, რომელთა ცალკეული ერთეულების ფართობი და მოსახლეობის რიცხოვნობა (1914 წ. მდგომარეობით) შემდეგი იყო:

I. თბილისის გუბერნია – 40858,91 კმ² (1410056 კაცი)

1. თბილისის მაზრა – 4556,64 კმ² (456386 კაცი)
2. ახალქალაქის მაზრა – 2739,17 კმ² (104946 კაცი)
3. ახალციხის მაზრა – 2653,79 კმ² (95975 კაცი)
4. ბორჩალოს მაზრა – 6870,06 კმ² (174388 კაცი)
5. გორის მაზრა – 6836,60 კმ² (235614 კაცი)
6. დუშეთის მაზრა – 3882,63 კმ² (817442 კაცი)
7. თელავის მაზრა – 2461,39 კმ² (74829 კაცი)
8. თიანეთის მაზრა – 4836,57 კმ² (44820 კაცი)
9. სიღნაღის მაზრა – 6022,06 კმ² (141356 კაცი)

II. ქუთაისის გუბერნია – 21092,94 კმ² (1037934 კაცი)

1. ქუთაისის მაზრა – 3469,50 კმ² (284511 კაცი)
2. ზუგდიდის მაზრა – 2670,24 კმ² (131887 კაცი)
3. ლეჩხუმის მაზრა – 4872,78 კმ² (60787 კაცი)
4. ოზურგეთის მაზრა – 2161,11 კმ² (111436 კაცი)
5. რაჭის მაზრა – 2818,35 კმ² (88763 კაცი)
6. სენაკის მაზრა – 2127,14 კმ² (154558 კაცი)
7. შორაპნის მაზრა – 2980,82 კმ² (205992 კაცი)

III. სოხუმის ოკრუგი – 8254,22 კმ² (189907 კაცი)
IV. ბათუმის ოკრუგი – 3703,45 კმ² (120948 კაცი)
V. ართვინის ოკრუგი – 3271,85 კმ² (70190 კაცი)
VI. ზაქათალის ოკრუგი – 3985,55 კმ² (84657 კაცი)
VII. არტაანის ოკრუგი – 5604,54 კმ² (94016 კაცი)
VIII. ოლთისის ოკრუგი – 2983,00 კმ² (40091 კაცი)

სულ საქართველოს ტერიტორიის ფართობი 89754,46 კმ²-ს, მოსახლეობის რიცხოვნობა კი 3 მლნ კაცზე მეტს შეადგენდა (Кавказский календарь, 1914).

საქართველოს იურისდიქციაში ტერიტორიების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ 1919 წლის პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოთხოვნის ტექსტი და თანდართული რუკა უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, რესპუბლიკის საზღვარი უნდა გატარებულიყო: დასავლეთით – მდ.მაკოფსეზე (ტუაფსეს რ-ნი), აღმოსავლეთით – მდ.გიშისწყალზე და შემდეგ მდ.ალაზანზე, სამხრეთით – მდ.მდ.მტკვრის, არაქსისა და ოლთისის (მდ.ჭოროხის შენაკადი) ზემო წელის წყალგამყოფებზე, რომლის ძალით არტაანის და ოლთისის რეგიონების ტერიტორიები საქართველოს ფარგლებში შეეიდოდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი უნდა დამთხვეოდა ტრაპიზონის ვილაიეთის ანუ რუსეთ-თურქეთის საზღვარს. ამ მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის ფართობი 94,7 ათას კმ² უტოლდებოდა.

მაგრამ ორი დიდი სახელმწიფოს – რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის საზავო (ბრესტ-ლიტოვსკი, 1918 წ. მარტი) და სახელშეკრულებო (ყარსი, 1921 წ. ოქტომბერი) მოლაპარაკებების შედეგად, როგორც მენშევიკურმა, ისე ბოლშევიკურმა საქართველომ თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. თურქეთის მფლობელობაში აღმოჩნდა ართვინის (3271,35 კმ²), არტაანის (5604,54 კმ²), ოლთისის (2983 კმ²), აზერბაიჯანს კი გადაეცა ზაქათალის (3985,55 კმ²) ოკრუგების ტერიტორიები, სულ 15844,94 კმ².

თბილისისა და სიღნაღის მაზრებიდან აზერბაიჯანმა დამატებით მიიღო 1093 კმ² გარეჯ-ყარაიისა და ელდარის სტეპების ნაწილი. 1929 წ. ჩაჩნეთს გადაეცა შატილის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – ტერეტეგის მიდამოები (212 კმ²). სომხეთზე უკვე გადაცემული იყო 2478 კმ² ტერიტორია. საბოლოოდ, 1921 წლიდან 1935 წლის ჩათვლით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ნებით თუ უნებლიეთ, 19919,46 კმ² ქართული მიწა გაასხვისა.

მიწების გასხვისების მანკიერი პრაქტიკა განსაკუთრებით დამკვიდრდა საბჭოეთის სივრცეში, სადაც ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა მხოლოდ ფორმალური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წარმონაქმნი იყო და არა საერთაშორისო

სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. ამდენად, რესპუბლიკის სასაზღვრო ტერიტორიების განუკითხავი გადანაწილება მოსახლეობის ინტერესების ანგარიშგაუწევლად და ხშირად ცენტრალური მთავრობის მაღალჩინოსანთა ნებით ან კარნახით ხდებოდა. ამიტომაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლშევიკურმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა მოწყობამ ბევრგან და, მათ შორის, საქართველოშიც, საკონფლიქტო ნაღმები და მოუგვარებელი სასაზღვრო პრობლემები დატოვა.

საბოლოოდ, რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კუთვნილი და გაეროს მიერ აღიარებული ტერიტორია, რომლის ფართობი 69,7 ათას კმ²-ია.

ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოს ტერიტორიის ფართობები პირობითად შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (კეკელია, 2000):

ძვ.წ.ა.I ათასწლეულის მეორე ნახევარში – 140,4 ათასი კმ²
I-IV საუკუნეებში – 134,2 ათასი კმ²
IX-X საუკუნეებში – 131,0 ათასი კმ²
XII-XIII საუკუნეებში – 145,0 ათასი კმ²
XVI საუკუნის მეორე ნახევარში – 133,0 ათასი კმ²
XX საუკუნის დასაწყისისათვის – 89,7 ათასი კმ²
XXI საუკუნის დასაწყისისათვის – 69,7 ათასი კმ².

ევროპის ქვეყნებიდან ტერიტორიის სიდიდით საქართველოს ჩამორჩება: ნიდერლანდები, შვეიცარია, ბელგია, დანია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სლოვენია, სლოვაკეთი, მაკედონია, ალბანეთი, მოლდოვა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და თითქმის უტოლდება ირლანდიას (70 ათასი კმ²).

სახელმწიფოს ტერიტორიის კონფიგურაციას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარებისათვის. იგი განსაზღვრავს სატრანსპორტო ქსელის, შიდარაიონული კავშირების, სასაზღვრო ხაზის თავისებურებებს, გავლენას ახდენს საზღვრის დაცვაზე, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაზე, სამხედრო სტრატეგიის შემუშავებასა და სხვ.

საქართველოს, პირობითად, წაგრძელებული რომბის ფორმა გააჩნია, რომლის გრძელი დიაგონალის სიგრძე 600 კმ აღემატება. მისი უკიდურესად შევიწროვებული კუთხის ნაწილები გაგრის (ჩრდილო-დასავლეთში) და დედოფლისწყაროს (სამხრეთ-აღმოსავლეთში) რაიონებს უკავიათ. ქვეყნის გეოგრაფიული ცენტრი კი იმერეთშია (ხარაგაულის რ-ნი, მდ.რიკოთულას და მდ.სათევზეღელეს შერთვის ადგილზე).

საზღვრები. მსოფლიოს რიგი ქვეყნების საზღვრები, ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივი ზღუდეების (ოროგრაფიული, ჰიდროგრაფიული, საზღვაო) საფუძველზე ჩამო-

ყალიბდა. იგივე ითქმის საქართველოზეც, რომლის ისტორიული ტერიტორია, ქართული საზღვრების მკვლევართა (პ.ინგოროყვა, ი.ჯაჯანიშვილი, ა.მანველიშვილი და სხვ.) აზრით, ბუნებრივი საზღვრებით შემოფარგლული ერთიანი მთლიანი ფიზიკურ-გეოგრაფიული სხეულია; ჩრდილოეთით მას ეკვროდა კავკასიონის ქედი, დასავლეთით – შავი ზღვა, სამხრეთით – „სომხეთის ზეგანი, რომლისაგან გამიჯნულია თოკლიანი მთების ერთი განუწყვეტელი სისტემით; და მხოლოდ ერთი ვიწრო პირით – სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან – ეკვრის საქართველო ადერბაიჯანის ბარსა, მაგრამ აქედანაც მას ჰერეთის უდაბური ველები და საქართველოს რეინი – მტკვარი გაჰყოფს" (ინგოროყვა, 1918).

ამ ბუნებრივი ზღუდეების წყალობით შეძლეს ქართველებმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე „მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და გადარჩენა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ" (ჯაჯანიშვილი, 1919). მაგრამ საუკუნეების განმავლობაში საქართველო მაინც „ასერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენახა და დაეცვა" (მანველიშვილი, 1938).

დროთა განმავლობაში, ქვეყნის ტერიტორიის შემცირებასთან ერთად, საზღვრებიც იცვლებოდა. უკანასკნელი. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეული ქვეყნისათვის, სახელმწიფო საზღვრის იურიდიული ცნება წაშლილი იყო. დღეს კი, ისევე როგორც 1918-21 წწ., იგი სუვერენული სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

მდებარეობა. გეოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცნებას – გეოგრაფიულ მდებარეობას, ფართო შინაარსი გააჩნია; პირველ რიგში, იგი გვიჩვენებს ქვეყნის, რაიონის და ა.შ. მდებარეობას სხვა ტერიტორიების მიმართ, რაც შინაარსობრივად ვლინდება მათ ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთკავშირში. მისი დახასიათებისას, ფორმალური მაჩვენებლების (მაგალითად, მანძილების) გარდა, არსებითია ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური ურთიერთობების ანალიზი, რაც ამასთან, ისტორიულ გააზრებას მოითხოვს.

ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, საქართველო განლაგებულია ევროპისა და აზიის სასაზღვრო არეალში (იგი ცნობილია ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის – კავკასიის სახელწოდებით), კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით, კერძოდ, ამიერკავკასიის ანუ ახალი ტერმინოლოგიით, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, და მოქცეულია ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში.

რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, საქართველო იმპერიის განაპირა სამხრეთ რაიონებს შორის და მუსლიმანურ სამყაროსთან (ოსმალეთი, ირანი) ურთიერთობის საკონტაქტო მხარედ იქცა. ამდენად, მისი ეკონომიკურ-გეოგრა-

ფიული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობების პრაქტიკული რეალიზაცია ამ იმპერიალისტური ზესახელმწიფოს ინტერესებს დაექვემდებარა. კავკასიაში რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ ფორპოსტად ქცეული საქართველო და მისი მთავარი ქალაქი თბილისი გარედან შემოსული არაქართული მოსახლეობის (რუსების, სომხების, გერმანელების და სხვ.) დამკვიდრების ადგილი გახდა. თვით თბილისის ცენტრალურმა მდებარეობამ კავკასიაში ხელი შეუწყო ქალაქის სწრაფ განვითარებას, რომელსაც ჯერ კიდევ კ.მარქსმა (სტატიაში „ყარსის დაცემა") აზიაში რუსეთის ხელისუფლების ცენტრალური პუნქტი უწოდა.

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, როცა საქართველოს ტერიტორია მის შემადგენელ ნაწილად იქცა. ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ (ემმ) გარკვეული ევოლუცია განიცადა; კერძოდ, დაიკეტა სამხრეთი გზა (თურქეთსა და ირანთან). არსებითად გაუმჯობესდა ცენტრალურ რუსეთთან კავშირი (სოხუმი-აღლერის რკინიგზის გაყვანის შემდეგ), დამყარდა კავშირები (ბათუმის და ფოთის ნავსადგურების ტვირთბრუნვის ორიენტაციის შეცვლასთან დაკავშირებით) შუა აზიის და ყაზახეთის რესპუბლიკებთან.

მაგრამ ქვეყნის ემმ, რომელიც სამეურნეო აღორძინების ერთ-ერთი დიდი ფაქტორია, სრულფასოვან შინაარსს მხოლოდ რეალური დამოუკიდებლობის პირობებში იძენს, როცა სხვადასხვა სახელმწიფოებთან ან ტერიტორიებთან ეკონომიკური თუ საკომუნიკაციო ურთიერთობები უშუალოდ ქვეყნის ინტერესებზეა დამოკიდებული.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ზოგადი მახასიათებლების მიხედვით საქართველოს გააჩნია: 1. *ცენტრალური* მდებარეობა კავკასიის რეგიონში; 2. *პერიფერიული* – ევროპული ქვეყნების მიმართ; 3. *მეზობლური (სასაზღვრო)* – თურქეთის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის და სომხეთის მიმართ, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან ქვეყანას. არჩევენ, აგრეთვე, მეორე რიგის (მახლობელ) ქვეყნებს, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს და გარკვეული ტერიტორიული სიახლოვე გააჩნიათ ჩვენს ქვეყანასთან. მათი სამეზობლო როლი განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის „სიცარცე" დიდი არ არის, ხოლო მისი „გამტარობა" კარგია. ასეთი მეზობლური ურთიერთობის დამყარების საკარაუდო ქვეყნებად უნდა ჩაითვალოს: ირანი, ერაყი, სირია, საბერძნეთი (თურქეთის საშუალებით); 4. *საზღვაო*, რაც საქართველოს უშუალოდ აკავშირებს არა მარტო შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან (რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი), არამედ მოხერხებულ გზას უხსნის მსოფლიოს ბაზრებისაკენ.

ემმ-ის ცალკეული სახეობებიდან საქართველო გამოირჩევა ძალზე მოხერხებული *სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით*. დღეს, მისი ტერიტორია არა მარტო

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) ღერძია, არამედ ევრაზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი უმოკლესი სატრანსპორტო მაგისტრალების საკვანძო აღგილიც. საქართველოს, ასევე, მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს „დიდი აბრეშუმის გზის" ფუნქციონირებაში. აღსანიშნავია ქვეყნის ხელსაყრელი *რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობა* მსხვილი ტურისტულ-რეკრეაციული არეალების (კავკასიონი, შავიზღვისპირეთი) სივრცეში, აგრეთვე *კულტურულ-გეოგრაფიული მდებარეობა* კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის მდიდარი არქეოლოგიური და ეთნიკურ-ლინგვისტურ-რელიგიური რაიონების მიმართ.

რელიგიურ-გეოგრაფიული მდებარეობის მხრივ, საქართველო, ძირითადად მუსლიმანური აღმსარებლობის ხალხების (თურქები, ირანელები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების – ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ინგუშეთის, ჩაჩნეთის, დაღესტნის წარმომადგენლები) გარემოცვაში იმყოფება. საქრისტიანოსთან სახმელეთო დამაკავშირებელი ხიდი მხოლოდ რუსეთია (კრასნოდარის მხარე), ვინაიდან სამხრეთით მოსაზღვრე მონოფიზიტური სომხეთი თავად არის იზოლირებული ქრისტიანული სამყაროსაგან. ხოლო საზღვაო კავშირი არსებობს უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის და საბერძნეთის მართლმადიდებლობასთან. აღნიშნული ვითარება, ისლამური ფუნდამენტალიზმის მზარდი გავრცელების ფონზე, მეტად საგულისხმოა და ღრმა გეოპოლიტიკურ შესწავლას მოითხოვს. საქართველოს მდებარეობა სხვადასხვა ცივილიზაციების და კულტურების შესაყართან მის *ლინგვისტურ-გეოგრაფიულ მდებარეობაშიც* აირეკლება. კერძოდ, ქვეყანა კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს (აფხაზები, ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩაჩნები, ინგუშები, ხუნძები, ლეკები და სხვ.) გარდა ესაზღვრება ინდო-ევროპული ოჯახის სლავური (რუსები), ირანული (ოსები, ქურთები), სომხური ჯგუფების, ასევე ალთაური ოჯახის თურქული (აზერბაიჯანელები, თურქები, ბალყარელები, ყარაჩაელები) ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხებს.

საქართველოს *პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა* რიგ სივრცით განზომილებაში განიხილება; ესენია: მაკრო- (მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე), მეზო- (კონტინენტზე ან რეგიონში) და მიკრომდებარეობა (ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების განლაგების თავისებურებების მიხედვით). საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მაკრომდებარეობის გაჩენა (ადრე იგი არ არსებობდა), ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფო წარმონაქმნად ჩამოყალიბებამ, რუსეთის გაკლენის სფეროდან გამოსვლისა და დასავლეთთან ინტეგრაციის მცდელობამ და ნატო-ს მხრივ სამხრეთი საზღვრების გაფართოების მიზნებმა განაპირობა. პატარა საქართველო პოლიტიკურ რუკაზე ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საკარაუდო ფორპოსტის სახით წარმოჩინდა.

მას დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სფეროში მყოფი კავკასიის კონფლიქტური სივრცის ერთ-ერთი მედიატორის როლი ეკისრება; თუმცა, შუამავლის და ნეიტრალიზატორის ფუნქციის განხორციელებას თვით საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური წესრიგის დამყარება სჭირდება. საქართველოს მეზომდებარეობა, კავკასიის და მისი მოსაზღვრე, აგრეთვე შავი ზღვის (გარკვეულწილად, ხმელთაშუაზღვის) რეგიონის ქვეყნების მიმართ არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების და საერთო ვითარების ფონზე უნდა შეფასდეს. ხოლო მიკრომდებარეობა – უშუალოდ მომიჯნავე ქვეყნებთან მიმართებაში საქართველოს და მისი ცალკეული სასაზღვრო ნაწილების ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული სიტუაციების ანალიზს მოითხოვს.



ასე, მაგალითად, საქართველოს ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, რომელიც ფაქტობრივად, არარუსი ეროვნებების ავტონომიური ერთეულებით არის წარმოდგენილი. 820 კმ-იანი სიგრძის მთელი ეს სასაზღვრო ტერიტორია (აფხაზეთის ფსოუს კონტაქტური მონაკვეთის გარდა, რომელიც ამჟამად მოწყვეტილია ქვეყნისგან), ნაკლებ ხელსაყრელია ეკონომიკური კავშირებისათვის, რადგან მხოლოდ სამ უღელტეხილზე (მამისონის, როკის, ჯვრის) გამავალი ტრანსკავკასიური საავტო-

მობილო გზა რთული ბუნებრივი პირობების და დაძაბული კონფლიქტური ვითარების გამო არამდგრადობით ხასიათდება. აშკარად გაუმჯობესდა მიკრომდებარეობა თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში. მათ შორის აღსანიშნავია „სარფის ჭიშკარი" (აჭარა) და ახალციხე (სამცხე)–არტაანის სასაზღვრო გზა, რომლებიც ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციის ფონზე ხელს უწყობენ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას.

წესწყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. მმართველი ხელისუფლების ორგანიზაციის მიხედვით საქართველო ისტორიულად ერთ-ერთი უძველესი მონარქიული ქვეყანაა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე (XIX ს-მდე) ფარნავაზიან-ბაგრატიონთა სამეფო დინასტიები მართავდნენ.

XX საუკუნეში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს დამკვიდრების პირველი წლები (1918-21 წწ.) წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა, ქართული ინტელექტუალური ძალების მცდელობით, შეიქმნა კულტურის მნიშვნელოვანი კერები, პირველი კონსტიტუცია და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ქმედითი ნაბიჯებიც გადაიდგა. შემდეგი 70 წელი კი, ტოტალიტარული ზესახელმწიფოს – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში „ნებაყოფილობით" შესული საქართველო, მარიონეტული კვაზირესპუბლიკის როლს თამაშობდა. 1921 წელს ანექსირებული ქვეყანა, 1922-36 წლებში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკების შემადგენლობაში შეიდა (დედაქალაქი – ტფილისი), ხოლო 1936 წ. 5 დეკემბრიდან, ფედერაციის გაუქმების შემდეგ, უშუალოდ აღმოჩნდა სსრ კავშირში.

ბოლშევიკებმა წარმატებით გააგრძელეს ცარისტული რეჟიმის მიერ დაპყრობილი ერების ჩაგვრის, ასიმილაციის, აგრეთვე პოლიტიკური და აგრესიულ-მილიტარისტული სახელმწიფოს განვითარების კურსი. თავის მხრივ კი, შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგით გამძაფრებული რევოლუციური და ათეისტური ისტერიის ატმოსფერო. სწორედ ამ ატმოსფეროში აღიზარდა ე.წ. „სოციალისტური სახელმწიფოს" სახელისუფლებო აპარატი – კორუმპირებული პარტოკრატია და ბიუროკრატია.

XX ს. 80-იან წლებში დაიწყო ანტიდემოკრატიული და ეკონომიკურად გაკოტრებული საბჭოთა იმპერიის კრახი, რომლის აგონიის დაჩქარებაში აქტიურად ჩაერთო ქართველი ერი. საქართველო პირველი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, სადაც ჩატარდა თავისუფალი, მრავალპარტიული საპარლამენტო (1990 წ. ოქტომბერი) და საპრეზიდენტო (1991 წ.) არჩევნები. მან, ლიტვის შემდეგ მეორემ, ოფიციალურად გამოაცხადა (1991 წ. 9 აპრილი) საბჭოთა კავშირიდან სრული გამოსვლა.

დამოუკიდებლობის გზით სიარული პოლიტიკურად გამოუცდელი, ეკონომიკურად დასუსტებული და ეთნიკურად არაერთგვაროვანი ქვეყნისათვის მეტად

რთული და მტკივნეული აღმოჩნდა. არჩევნებში კომუნისტების დამარცხებას რეალური დემოკრატია და ეკონომიკური წინსვლა არ მოუტანია.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველო მოიცვა მრავალპარტიული და ეთნიკური დაპირისპირებების მძლავრმა ტალღამ, რამაც აფხაზი და ოსი სეპარატისტების გამოსვლების (საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნით) და შინაური პოლიტიკური კონფლიქტების (ბრძოლა ძალაუფლებისათვის) ნიადაგზე სასტიკი სამხედრო შეტაკებები გამოიწვია. საომარი არეალი ძირითადად მოიცავდა ცხინვალის რეგიონს (თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" გამოცხადების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა 1990 წ. დეკემბერში გააუქმა „სამხრეთ ოსეთის პო"), აფხაზეთს, სამეგრელოს, გურიას, იმერეთს, თბილისს. ქვეყნის პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში არსებითი როლი ითამაშა რუსეთმა, რომლის სამხედრო ბაზები ჯერ კიდევ არ არის გაყვანილი საქართველოდან. სხვადასხვა დონის, მათ შორის საერთაშორისო სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად, ამჟამად საომარი კონფლიქტები ჩაცხრა, თუმცა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი.

1995 წ. კონსტიტუციით, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებას პარლამენტი წარმოადგენს, რომელიც 1990 წ-დან ფუნქციონირებს და 1999 წ. 31 ოქტომბერს მეოთხეჯერ (ოთხი წლის ვადით) იქნა არჩეული. პარლამენტის 235 სადეპუტატო ადგილისათვის არჩევნები პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა, სადაც გამარჯვება „მოქალაქეთა კავშირმა" მოიპოვა. აღმასრულებელი ორგანოს მეთაურია პრეზიდენტი (ირჩევა მოსახლეობის მიერ 5 წლის ვადით). იგი თავის ძალაუფლებას ახორციელებს სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით, რომლის სათავეშია სახელმწიფო მინისტრი.

სახელმწიფო მმართველობის დღევანდელი ტერიტორიული სტრუქტურა რთულია და ნაწილობრივ ფედერალური, რადგან საქართველო ტერიტორიული ადმინისტრირების ასიმეტრიულ სისტემას ეყრდნობა. საქართველოს ფარგლებში ყოფილი სამი ავტონომიიდან ამჟამად მხოლოდ აჭარამ შეინარჩუნა ავტონომიის სტატუსი. საერთო ვითარება კი ჯერჯერობით ბუნდოვანია. საქართველოს კონსტიტუციით „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ" (მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი).

სახელმწიფოებრივი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ბევრ მაგალითს იცნობს. ჩვენი ქვეყანა სხვადასხვა დროს იყოფოდა ისეთ ტერიტორიულ ერთეულებად, როგორიცაა: სამეფო, სამთავრო, სადროშო, საერისთავო, სათავადო, სამოურავო, სათემო და სხვ.

მათ შესაბამისად განაგებდნენ მეფეები, ერისთავთ-ერისთავები, ერისთავები, თავადები, მოურავები, ხეზისბერები, ციხისთავები და ა.შ.

ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, XIX საუკუნიდან მოქმედებდა რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის სისტემა. 1917 წლისათვის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, რომლებიც პირველად 1846 წელს შეიქმნა, არსებობდა 16 მაზრა და 3 ოკრუგი (ზაქათალის, ბათუმის და სოხუმის), მათ შორის 444 სამამასახლისო და 65 საბოქაულო (თანამედროვე რაიონის პროტოტიპი).

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (შეიქმნა 1918 წ. 26 მაისს) გუბერნიები გააუქმა და 1921 წ. 21 თებერვლის კონსტიტუციით განსაზღვრა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოკრუგი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოკრუგი) და ზაქათალას (ზაქათალის ოკრუგი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა" (მუხლი 107). მაგრამ ამავე წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის (მან უკანონოდ დაარღვია 1920 წ. 7 მაისს საქართველოსთან დადებული სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება) ჯარების მიერ განხორციელებული ანექსიის შედეგად შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ახლადშექმნილმა სოციალისტურმა ქვეყანამ მენშევიკური მთავრობისაგან მემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორსაფეხურიანი სისტემა: თემი – მაზრა. ამასთან, ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რუკაზე გაჩნდა ავტონომიური წარმონაქმნები: აფხაზეთის ასსრ (შეიქმნა 1921 წ. 4 მარტს), აჭარის ასსრ (1921 წ. 16 იულისი) და ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შეკოწიწებული, ისტორიულად, ტოპონიმურად, გეოგრაფიულად და ადმინისტრაციულ-სამართლებრივად სრულიად გაუმართლებელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922 წ. 20 აპრილი), რომელმაც ტერიტორიულად გააერთიანა შიდა ქართლის, რაჭის და ზემო იმერეთის მიწები. აღსანიშნავია, რომ ავტონომიური ოლქის ცენტრად გამოცხადებულ ძველ ქართულ ქალაქ ცხინვალში, 1897 წ. მხოლოდ ოთხი ოსური ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო 1926 წ. მათი რიცხვი ქალაქის მოსახლეობის 19,8% შეადგენდა.

1930 წლიდან შეიქმნა 66 სასოფლო რაიონი, რომლებიც შემდგომ პერიოდებში შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდა. 1951-52 წწ. ჯერ შეიქმნა, ხოლო შემდეგ გაუქმდა თბილისის და ქუთაისის ოლქები. 1963-64 წწ. ჩატარდა რაიონების გამსხვილების ხრუშჩოვისეული ექსპერიმენტი, რომელიც სამეურნეო-საწარმოო მმართველობის პრინციპებს ეყრდნობოდა (იხ.საქართველოს ატლასი, 1964), თუმცა ამან არ გაამართლა.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საკანონმდებლო პოზიციიდან ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. არსებობს 67 ტრადიციული სასოფლო რაიონი, რომლებსაც მართავენ გამგებლები. ამ რაიონების

ტერიტორიების ბაზაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (რაც კონსტიტუციაში არ არის ასახული) შექმნილია მსხვილი ტერიტორიული ერთეულები – მხარეები, რომლებსაც უძღვებიან პრეზიდენტის მიერ დანიშნული რწმუნებულები ან მერი. ესენია: 1.თბილისი, 2. კახეთი (რწმუნებულის რეზიდენციაა თელავი), 3. მცხეთა-მთიანეთი (მცხეთა), 4. შიდა ქართლი (გორი), 5. ქვემო ქართლი (რუსთავი), 6. იმერეთი (ქუთაისი), 7. სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე), 8. სამეგრელო-ზემო სვანეთი (ზუგდიდი), 9. გურია (ოზურგეთი), 10. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (ამბროლაური). ცალკე უნდა გამოიყოს აჭარის არ (ბათუმი) და აფხაზეთის არ (სოხუმი), რომელთა იერარქიული საფეხური მხარეებთან მიმართებაში ჯერ არ არის დადგენილი.

საქართველო სუვერენული სახელმწიფოა; 1992 წლიდან იგი გაერო-ს, ხოლო 1999 წლიდან ევროსაბჭოს წევრია. საერთაშორისო ურთიერთობებში ახორციელებს დამოუკიდებელ პოლიტიკას, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ესწრაფვის მიაღწიოს უმაღლესი ხელისუფლების განხორციელებას საკონფლიქტო ტერიტორიებზე (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი), სადაც ჯერჯერობით ქვეყნის იურისდიქცია არ ვრცელდება.

პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, საბჭოური პერიოდი ტოტალიტარული იყო, რომელსაც პიროვნული თავისუფლების უკიდურესად შეზღუდვა ახასიათებდა. ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობის რთული პროცესი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, დღევანდელი საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და ტერიტორიულად გაერთიანებულია აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების ჯგუფში. ჰუმანური ანუ ადამიანური პოტენციალის ინდექსით 197 ქვეყანას შორის საქართველო რიგით 81-ეა და საშუალო დონის ქვეყნების ჯგუფში შედის. ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, გამოირჩევა მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით, განათლების დონით, თვითმყოფადი უძველესი სულიერი და მატერიალური კულტურით, მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, რომელთა გონიერული გამოყენება ქვეყნის სამეურნეო აღმავლობის და მისი ხალხის კეთილდღეობის საწინდარი იქნება.

ეროვნული უსაფრთხოება. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური მოვლენების ფონზე, რომლებიც ეხება ომსა და განიარაღებას, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, მოსახლეობის სწრაფ ზრდას, დაბერებას და სოციალურ კონფლიქტებს, სურსათით უზრუნველყოფას, სათბობ-ენერგეტიკულ კრიზისს, ადამიანის უფლებების დარღვევას, ეთნოკონფლიქტებს, სეპარატიზმს, ტერორიზმს და სხვ., ყოველი სახელმწიფოს წინაშე არსებობს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა. მით უფრო

სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მას ჯერ კიდევ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ისეთი სუსტი სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა (ჩიკვაიძე, 1996).

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უნდა მოიცავდეს კონკრეტული პროგრამით წარმოდგენილ რიგ ქვესისტემებს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

ა) პოლიტიკური უსაფრთხოება, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური სუვერენიტეტის უზრუნველყოფის, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასთან ერთად დემოკრატიის სრულყოფას და გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების პროფილაქტიკას; *ბ) სამხედრო უსაფრთხოება* მიმართულია ქვეყნის თავდაცვისა და სტაბილური უკონფლიქტო არსებობისაკენ; *გ) ეკონომიკური უსაფრთხოება* – სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისაკენ, ეროვნული სიმდიდრეების ეფექტიანი გამოყენების და შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულ დანაწილებაში აქტიური ჩართვის და მსოფლიოს ბაზარზე ადგილის დამკვიდრების მიზნით; *დ) სოციალური უსაფრთხოება* გულისხმობს „ადამიანის კაპიტალის" სრულფასოვან ფორმირებას და „სოციალური პათოლოგიის" (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, დამნაშავეობა და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლას, რაც გამოიხატება საზოგადოების ცხოვრების მაღალი დონის, დასაქმების, დასვენების და სოციალური დაცვის ღირსეულ მაჩვენებლებში; *ე) იდეოლოგიურ-კულტურული და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება* განსაზღვრავს ეროვნული ცნობიერების და თვითმყოფადობის შენარჩუნებას, სულიერი ერთიანობის განმტკიცებას და მომავალ მდგრადობას; *ვ) დემოგრაფიული უსაფრთხოება* მიმართული უნდა იყოს დემოგრაფიული პოლიტიკის სისტემის ჩამოყალიბებისაკენ, ოჯახის განმტკიცების, შობადობის ამაღლების, მოკვდაობის შემცირების და ქართული გენის შეუფერხებელი განვითარებისაკენ; *ზ) ეკოლოგიური უსაფრთხოება* გულისხმობს ეკოლოგიური კრიზისებისაგან თავის აცილების და საქართველოს ბუნებაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შერბილებას; *თ) სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოება* მიმართულია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებასა და მართვის სრულყოფისაკენ, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის კულტურულ-ინტელექტუალური მემკვიდრეობითობის და ცივილიზებულ სამყაროში მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას; *ი) ინფორმაციული უსაფრთხოება* მიმართულია ინფორმაციული სექტორის პრიორიტეტული განვითარების უზრუნველყოფისა და პოტენციალის ზრდისაკენ.

მოსახლეობა

რიცხოვნობის დინამიკა

საქართველოს მცხოვრებთა რაოდენობამ და შემადგენლობამ საუკუნეების მანძილზე დიდი ცვლილებები განიცადა. ჯერ კიდევ XIII ს. მოსახლეობის რიცხვი 5 მილიონს აღწევდა. შემდგომ პერიოდებში დაიწყო მისი კლება, რაც არა მარტო განუწყვეტელი ომებით, მოუსავლიანი წლებით, ეპიდემიებით, არამედ ბუნების სტიქიური მოვლენებით და სხვა მიზეზით იყო გამოწვეული. მოსახლეობის რიცხოვნობა განსაკუთრებით შემცირდა შუა საუკუნეებში – ირანისა და ოსმალეთის შემოსევების დროს. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინ (1800 წ.), თანამედროვე საზღვრებში, მოსახლეობა 800 ათას კაცზე ნაკლები იყო.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა (თანამედროვე საზღვრებში)

წლები	მოსახლეობა (ათასი კაცი)	მათ შორის			
		ქალაქის		სოფლის	
		ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
1800 შეფასება	784,7	-	-	-	-
1897 აღწერა	1919,4	303,2	15,8	1616,2	84,2
1926 „	2677,2	594,2	22,2	2083,0	77,8
1939 „	3540,0	1066,2	30,1	2473,8	69,9
1959 „	4044,0	1712,9	42,4	2331,1	57,6
1970 „	4686,3	2239,7	47,8	2446,6	52,2
1979 „	5014,8	2600,5	51,9	2414,3	48,1
1989 „	5443,4	3035,8	55,8	2407,6	44,2
2000 შეფასება	4604,2	2661,9	57,8	1942,3	42,2

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე (1800-1989 წწ.) საქართველოს მოსახლეობა თითქმის 7-ჯერ გაიზარდა. XX ს-ში მოსახლეობის რიცხოვნობის ცვალებადობა არაერთგვაროვანი იყო. მატების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი (1926-39 წწ.), როცა მოსახლეობა 862,8 ათასი კაცით ანუ 32,2%-ით გაიზარდა და საშუალოწლიური ზრდის ტემპმა 2,36% მიაღწია. უფრო მაღალი იყო ეს მაჩვენებელი ქალაქის მოსახლეობაში – 6,1% (სოფლად მხოლოდ 1,4%), რაც განპირობებული იყო ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციისა და მასთან დაკავშირებული ურბანიზაციის პროცესით. მაშინდელი

სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია აფართოებდა რა დასაქმების სფეროს, დიდი რაოდენობით იზიდავდა მოსახლეობას საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებიდან. მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა აღნიშნულ პერიოდში ძირითადად მაინც ბუნებრივი მატების (76,0%) ხარჯზე ხდებოდა, ხოლო მექანიკურ ნამატზე 24,0% მოდიოდა.

საქართველოს მოსახლეობის ზრდა დიდად შეაფერხა მეორე მსოფლიო ომმა, რომელშიც რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეხუთე მოსახლე მონაწილეობდა. მათგან 300 ათას კაცამდე (მთელი მოსახლეობის 8%) ომში დაიღუპა, ბევრიც დაინვალიდდა.

1946 წლიდან მოსახლეობა მატულობდა და ომამდელ რაოდენობას 1955 წლისათვის მიაღწია. 1950-61 წწ., დაჩქარებული ბუნებრივი მატების პარალელურად (როცა საშუალო ყოველწლიურმა მატებამ 62 ათას კაცს მიაღწია), მნიშვნელოვნად შეიცვალა მიგრაციული ნაკადების მიმართულება. სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და საქართველოს შორის მოსახლეობის მანამდე დამახასიათებელი მექანიკური მოძრაობის დადებითი სალდო 1957 წლიდან უარყოფითი გახდა.

დემოგრაფიული განვითარების შემდგომი ეტაპისათვის (1961-90 წწ.) გარე მიგრაციების უარყოფით სალდოსთან ერთად, დამახასიათებელია მოსახლეობის მატების ტემპების თანდათან კლება. თუ 1950-იან წლებში რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური მატება 1,63% შეადგენდა, XX ს. 60-იან წლებში იგი 1,35%, ხოლო 70-იან წლებში – 0,75%-მდე შემცირდა. 80-იან წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპის (წინა ათწლეულთან შედარებით) რამდენადმე გადიდება (0,80%-მდე) დაკავშირებული იყო არა ბუნებრივი მატების მაჩვენებელთა ზრდასთან, არამედ საქართველოდან გასული მიგრანტების (მათ შორის უცხოეთშიც) ტალღის შემცირებასთან (ჯაოშვილი, 1996).

ნახევარი საუკუნის განმავლობაში (1940-90 წწ.) საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის 54%-ით მატება მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის (135%) ფონზე დიდი არ არის. თუმცა, იგი გაცილებით მაღალია ევროპის ქვეყნებისა და მის საერთო საშუალო მაჩვენებელზე (29%). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ხვედრითი წილი მსოფლიოს მთელ მოსახლეობაში 0,157%-დან 0,102%-მდე შემცირდა. მკვეთრად იკლო მოსახლეობის ხვედრითმა წილმა სამხრეთ კავკასიის მასშტაბითაც (1940 წ. – 44%, 1990 წ. – 34%), რაც აზერბაიჯანის (117%-ით) და სომხეთის (150%-ით, განსაკუთრებით ჩამოსულთა ხარჯზე) მოსახლეობის უფრო მნიშვნელოვანი ზრდით იყო გამოწვეული.

1926-89 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის გაორმაგდა, ძირითადად ბარის ზონის მცხოვრებთა ხარჯზე, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობის თავმოყრის მთავარი რეგიონია. 1959 წ. იქ ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 85,1%,

1989 წ. – 88%. აღნიშნულ პერიოდში განსახლების ამ არეალის მოსახლეობა 1349,4 ათასი კაცით ანუ 39,2%-ით გაიზარდა. უკანასკნელ წლებში კი მოსახლეობამ იქაც იკლო, თუმცა ფარდობით მაჩვენებელში (87,9%) ეს კლება უმნიშვნელოდ აისახა მთიანი რაიონებიდან ბარში უწყვეტად მიმდინარე მიგრაციის გამო.

მთიანი რაიონების დეპოპულაცია მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული პროცესია, რომელიც მკაცრი ბუნებრივი და მძიმე საცხოვრებელი პირობების, დაბალი ეკონომიკური დონის, სუსტი სატრანსპორტო კავშირების, ახალგაზრდების ურბანიზებული ცენტრებისაკენ სწრაფვის და შობადობის შემცირების შედეგად ყოთარდება. საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში იგი განსაკუთრებით გაძლიერდა ომის შემდგომ პერიოდში (1959-89 წწ.), როცა მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა: რაჭა-ლეჩხუმში – 38,4%-ით, შიდა ქართლის ჩრდილოეთ მთიან ნაწილში – 32,0%-ით, სვანეთში – 16,1%-ით, აღმოსავლეთ კავკასიონზე (დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის რ-ბი) – 8,4%-ით.

მოსახლეობის რიცხოვნობაში არსებითი ცვლილებები საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენის შემდეგ იწყება, რასაც მძლავრი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გართულებები მოჰყვა. ეთნოკონფლიქტებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, პოლიტიკურმა და შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა უაღრესად რთული და ნეგატიური დემოგრაფიული სიტუაცია შექმნა. კონფლიქტებში დაღუპულთა რიცხვმა 12 ათას კაცს მიაღწია (წულაძე, ბადურაშვილი, 1999); წარმოიშვა დევნილთა და ლტოლვილთა მძლავრი ნაკადები, გაძლიერდა გარე მიგრაცია, კატასტროფულად შემცირდა შობადობა და გაიზარდა სიკვდილიანობა. 1991-92 წწ-დან დაიწყო მოსახლეობის რიცხოვნობის საგრძნობი შემცირება. კერძოდ, 1989-98 წწ. კლებამ 838,7 ათასი კაცი ანუ 15,4% შეადგინა (ცხრ. 2).

ბუნებრივი მოძრაობა

მოსახლეობის აღწარმოება და მისი რიცხოვნობის დინამიკა საქართველოში განკითარებული ისტორიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოკლენების ძლიერ ზემოქმედებას განიცდიდა. მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ფორმირებაში, მიგრაციის ანუ მექანიკური მოძრაობის არსებითი გაკლენის მიუხედავად, გადამწყვეტ როლს ყოველთვის ბუნებრივი მატების ფაქტორი ასრულებდა. ამასთან, უკანასკნელ ასწლეულში, ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებაში განკითარების ზოგად ტენდენციად, არცთუ ისე მაღალი შობადობის ფონზე, შედარებით დაბალი სიკვდილიანობა უნდა ჩაითვალოს. ეს, პირველ რიგში, მთელი რიგი საშიში ინფექციური დაავადებების ლიკვიდაციით და, საერთოდ, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ამაღლებით უნდა აიხსნას.

ცხრილი 2

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რეგიონების მიხედვით

რეგიონები	1959 წ.		1979 წ.		1989 წ.		1999 წ.*		1999 წ. 1989 წ. მიმართ., %
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	
თბილისი	703.0	17.4	1069.4	21.3	1263.4	23.2	1185.1	25.7	93.8
აფხაზეთი	404.8	10.0	505.4	10.1	535.6	9.8	-	-	-
აჭარა	245.3	6.0	354.2	7.1	392.7	7.2	365.1	8.0	93.0
კახეთი	395.4	9.8	427.8	8.5	442.3	8.1	401.6	8.7	90.8
შიდა ქართლი	324.2	8.0	403.1	8.0	426.8	7.8	434.8	9.5	95.3
ქვემო ქართლი	371.0	9.2	524.9	10.5	612.9	11.3	546.9	11.9	99.2
აღმოსავლეთი კავკასიონი	64.3	1.6	60.4	1.2	58.9	1.1	54.3	1.2	92.2
სამცხე	81.3	2.0	82.4	1.7	89.3	1.6	81.5	1.8	91.2
ჯავახეთი	95.0	2.3	104.5	2.1	108.2	2.0	94.0	2.1	86.8
იმერეთი	652.0	16.1	739.2	14.7	772.4	14.2	744.3	16.2	96.3
სამეგრელო	358.3	8.9	405.5	8.1	410.7	7.6	476.7	10.4	116.0
გურია	145.9	3.6	153.3	3.1	158.5	2.9	144.1	3.1	90.9
რაჭა-ლეჩხუმი	75.7	1.9	56.9	1.1	46.6	0.9	41.4	0.9	88.8
სვანეთი	31.0	0.8	30.4	0.6	26.0	0.5	24.5	0.5	94.2
შიდა ქართლის ჩრდ.მთიანი ნაწილი**	96.8	2.4	97.4	1.9	99.1	1.8	-	-	-
საქართველო – სულ	4044.0	100.0	5014.8	100.0	5443.4	100.0	4604.7	100.0	84.6

* შიდა ქართლის 1999 წ. მონაცემებში შესულია ახალგორის რ-ნი.

** ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია.

XX ს. 20-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების მაჩვენებლები ყოველ 1000 კაცზე იყო: შობადობა – 33,23‰, მოკვდაობა – 14,24‰ და ბუნებრივი ნამატი – 18,99‰ (კარბელაშვილი, 1928). შემდგომში, ამ მაჩვენებლების თანდათან შემცირება მოხდა და 1940 წლისათვის შესაბამისად შეადგინა: 27,4, 8,8 და 18,6‰. ამ პერიოდში ბუნებრივი მატებით საქართველო უსწრებდა აზერბაიჯანს (14,7‰), რომელსაც მაღალი შობადობის (29,4‰) მიუხედავად, მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი (14,7‰) ჰქონდა, მაგრამ ჩამორჩებოდა სომხეთს (27,4%), სადაც მაღალი სიკვდილიანობის (13,8‰) ფონზე ძალიან მაღალი შობადობა იყო (41,2%).

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების მკვეთრი დაცემა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან აღინიშნა (ცხრ.3, ჯაოშვილი, 1996), როცა საგრძნობლად შემცირდა შობადობის კოეფიციენტი. ამის ერთ-ერთი მიზეზია II მსოფლიო ომის „დემოგრაფიული ექო", როდესაც საქორწინო ასაკში შესვლა მოუწია ომის პერიოდში დაბადებულთა მცირერიცხოვან კონტინგენტს. შობადობის მაჩვენებლების დაქვეითება და სიკვდილიანობის გაზრდა გაგრძელდა 70-80-იან წლებშიც, როცა ბუნებრივი მატების შემცირება ძირითადად ურბანიზაციის, შიგა და გარე მიგრაციების გაძლიერებით, საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალების მზარდი მონაწილეობით, ნორმალური ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევით და რიგი სხვა ფაქტორებით იქნა განპირობებული.

ცხრილი 3

საქართველოში მოსახლეობის საშუალოწლიური ბუნებრივი აღწარმოება (‰)

საშუალო მაჩვენებელი აღნიშნულ წლებში	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი ნამატი
1940	27,4	8,8	17,6
1951-1955	24,0	7,5	16,5
1956-1960	23,8	6,7	17,1
1961-1965	22,9	6,8	16,1
1966-1970	19,3	7,1	12,2
1971-1975	18,3	7,6	10,7
1976-1980	17,9	8,1	9,8
1981-1985	18,3	8,6	9,7
1986-1988	18,0	8,9	9,1

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის შემცირება კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მოხდა ბოლო ათი წლის მანძილზე. თუ 1989 წ. საქართველოში 91 ათასი ახალშობილი აღირიცხა, 1995 წ. მათი რიცხვი 35 ათასით შემცირდა, ხოლო 1998 წ. ახალშობილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის შობადობის კოეფიციენტი 16,7‰-დან 9,1‰-მდე დაეცა, ხოლო ბუნებრივი ნამატი – 8,1‰-დან 1,5‰-მდე. მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლების კატასტროფული შემცირება ძირითადად შობადობის დაქვეითებითაა

გამოწვეული. 1981-88 წწ-ში საქართველოში საშუალოდ ყოველ ათას მცხოვრებზე დაბადებული 18,2 ბავშვის ნაცვლად, 1989-98 წლებში 12,9 ბავშვი იბადებოდა და ბუნებრივი ნამატი 4,7‰ შეადგენდა.

ცხრილი 4

ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა

წლები	შობადობა		მოკვდაობა		ბუნებრივი ნამატი	
	ათასი კაცი	‰	ათასი კაცი	‰	ათასი კაცი	‰
1989	91.1	16.7	47.1	8.6	44.0	8.1
1990	92.8	17.0	45.9	8.4	46.9	8.6
1991	89.1	16.6	46.5	8.7	42.6	7.9
1992	72.6	14.9	46.7	9.6	25.9	5.3
1993	61.6	12.6	48.9	10.0	12.7	2.6
1994	57.3	11.2	41.6	8.6	15.7	3.2
1995	56.3	11.6	37.9	7.8	18.4	3.2
1996	53.7	11.1	34.4	7.1	19.3	4.0
1997	52.0	10.7	37.7	7.7	14.3	3.0
1998	46.8	9.1	39.4	7.6	7.4	1.5

1985-96 წლებში შობადობის საშუალოწლიური მაჩვენებლები, შემცირდა როგორც ქალაქის (17,8-დან 10,4‰-მდე), ისე და უფრო მეტად, სოფლის (19,8-დან 9,3‰-მდე) მოსახლეობაში.

ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები განსხვავებულია საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით, თუმცა ყოველ მათგანში შეიმჩნევა ბუნებრივი ნამატის შემცირების საერთო ტენდენცია. შედარებით მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩევა ქვემო ქართლის, ჯავახეთის, სამცხის და აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები, ვინაიდან ძირითადად იქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებში, სომხებსა და აჭარის მკვიდრ ქართველებში კარგად არის შემორჩენილი მრავალშვილიანობის ტრადიციები.

საქართველოს ჩრდილოეთ მთიან ზონაში შედარებით უკეთესი და მდგრადი დემოგრაფიული მაჩვენებლებით გამოირჩევა სვანეთი, სადაც დღესაც დაცულია მრავალშვილიანობის ტრადიციები. ძალზე მძიმე დემოგრაფიული სიტუაციაა რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც ეკონომიკური სიდუხჭირისა და მცირემიწიანობის გამო, ძველთაგანვე ცნობილია მიგრანტების სიუხვით. დღესაც, რაჭა-ლეჩხუმი ჩვენს ქვეყანაში ძლიერი „დეპოპულაციის" მხარეა, სადაც ყოველ ათას მცხოვრებზე წელიწადში, საშუალოდ, უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. საქართველოს ბარის რაიონები მთიან რაიონებთან შედარებით უკეთესი დემოგრაფიული სიტუაციით გამოირჩეოდნენ, თუმცა, ამჟამად იქაც იჩინა თავი დეპოპულაციის პროცესმა, კერძოდ, გურიასა და კახეთში (ცხრ. 5).

ცხრილი 5

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგიონული სხვაობები (‰-ში)

რეგიონები	1980-1989 წწ. საშუალოწლიური კოეფიციენტი			1998 წ.		
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი ნამატი	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი ნამატი
თბილისი	15.7	8.2	7.5	8.7	8.3	0.4
აჭარა	21.3	7.6	13.7	12.5	6.4	6.1
აფხაზეთი	16.1	8.1	8.0	-	-	-
შიდა ქართლი	18.3	8.9	9.4	12.6	9.7	2.6
ქვემო ქართლი	23.7	6.9	16.8	9.7	5.7	4.0
შიდა ქართლის ჩრდილოეთი მთიანი ნაწილი	17.8	9.3	9.4	-	-	-
კახეთი	17.9	10.3	7.6	9.5	10.0	-0.5
ჯავახეთი	26.3	6.7	19.6	10.9	5.9	5.0
სამცხე	22.8	8.7	14.1	14.0	8.8	5.2
აღმოსავლეთი კავკასიონი	14.9	9.8	5.1	12.1	9.2	2.9
იმერეთი	16.4	10.0	6.4	10.6	10.5	0.1
სამეგრელო	15.8	9.2	6.6	9.5	8.3	1.2
გურია	15.5	11.7	3.8	11.3	11.4	-0.1
სვანეთი	19.4	9.7	9.7	10.1	5.7	4.4
რაჭა-ლეჩხუმი	12.2	17.1	-4.9	9.7	11.5	-1.8
საქართველო – სულ	18.0	8.8	9.2	9.1	7.6	1.5

მექანიკური მოძრაობა

საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის ცვალებადობა მნიშვნელოვანწილად მექანიკურ მოძრაობას ეფუძნებოდა. ეს პროცესი, რომელიც რამდენიმე ძირითადი მიზეზით (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური) არის განპირობებული, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ძალით ზემოქმედებდა ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციაზე.

ძველ დროში საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებთა მექანიკური მობილურობა გამოიხატებოდა ისეთ პროცესებში, როგორიცაა ბარიდან მთაში გახიზვნა შემოსეული მტრისაგან ფიზიკურად გადარჩენის მიზნით, დაპყრობილი ტერიტორიიდან ხალხის აყრა და უცხოეთში გასახლება, მტრის მიერ გაუკაცრიელებული მიწების დემოგრაფიული ათვისება, თურქობის და ლეკიანობის დროს ხალხის მოტაცება ტყვეებით ვაჭრობის მიზნით და სხვ.

გასაბჭოების პერიოდში საქართველოში დაიწყო გარედან მიგრანტების შემოსვლა. საწინააღმდეგო მოვლენა იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (რამდენიმე ათასი კაცი), რომელიც ბოლშევიკურ რეპრესიებს განერიდა. XX ს. 20-30-იან წლებში კი, როცა ინდუსტრიალიზაციასთან ერთად გაჩაღდა კოლექტივიზაციისა და „განკულაკების" კამპანიები, რუსეთიდან და უკრაინიდან ბევრი, მათ შორის შიმშილს გამოქცეული, ადამიანი ჩამოვიდა. 1926-39 წწ-ში მათი რაოდენობა საქართველოში 110,5 ათასიდან 354,0 ათას კაცამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, ჩამოსულთა ხარჯზე, მნიშვნელოვნად იმატა სომხების რაოდენობამ – 307-დან 414 ათასამდე. აღსანიშნავია, აგრეთვე, 1937-38 წწ-ში მოწყობილი მასობრივი რეპრესიების გავლენა მოსახლეობის რიცხოვნობაზე, თუმცა ზუსტი ციფრის დადგენა გაძნელებულია.

როგორც აღინიშნა, მოსახლეობის აღწარმოებაზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა, რომლის შედეგად ქვეყანამ დაკარგა არა მარტო 300 ათასამდე ჯარში გაწვეული, არამედ მისი ტერიტორიიდან დეპორტირებული მუსლიმანი მესხები, გერმანელები, პონტოელი ბერძნები და აგრეთვე სამხედრო ტყვეობიდან დაბრუნებული პირები. დეპორტირებული მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში ხდებოდა ძირითადად საქართველოს მცირემიწიანი სოფლებიდან „გეგმაზომიერად" აყრილი მოსახლეობის ჩასახლება. კერძოდ, ქვემო ქართლსა და თრიალეთის 12 სოფელში ჩაასახლეს 2390 კომლი, სამცხეში – 5550 კომლი, ხოლო აფხაზეთში – 4200 კომლი, სულ რი ათასზე მეტი კაცი (ჯაოშვილი, 1996). ამ მიგრაციულმა პროცესმა დაღებითთან ერთად გარკვეული ნეგატიური როლი შეასრულა ზოგიერთი მთიანი მხარის გაუკაცრიელებაში.

1950-იანი წლებიდან საქართველოში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან იმიგრაციის ტალღა თანდათან შესუსტდა. 1959-69 წწ-ში უარყოფითმა საღდომ 81,3

ათასი შეადგინა ანუ სამუალოდ წლიურად 7,4 ათასი კაცით მეტი გადიოდა, ვიდრე შემოდიოდა. 1970-78 წწ. შესაბამისი მაჩვენებლები იყო 137,4 და 15,3 ათასი, 1979-88 წწ. – 59,0 და 5,9 ათასი კაცი (ჯაოშვილი, 1996). მექანიკური მოძრაობის ამგვარ სურათს ძირითადად განაპირობებდა შემდეგი ფაქტორები: ა) საერთო ეკონომიკური განკითარების ტემპების ჩამორჩენა საქართველოში (ძირითადად სამრეწველო მშენებლობის შენელება), რის გამოც სხვა რესპუბლიკებიდან შემოსვლას აზრი ეკარგებოდა, სოლო ჭარბი მუშახელი რესპუბლიკიდან გადიოდა; ბ) არაქართველი წარმოშობის ახალგაზრდების სურვილი – უმაღლესი განათლება მიეღოთ მშობლიურ (სომხურ, აზერბაიჯანულ ან რუსულ ენებზე), რომლებიც სწავლის შემდეგ უკან აღარ ბრუნდებოდნენ; გ) თვით ქართველი ახალგაზრდების სწრაფვა (განსაკუთრებით XX ს. 70-80-იან წლებში) რუსეთის და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების ცენტრებისაკენ, რომელთა საგრძნობი ნაწილი საცხოვრებლად იქვე მკვიდრდებოდა. საგულისხმოა, რომ თუ 1959 წ. საქართველოს ფარგლებს გარეთ 91 ათასი ეთნიკური ქართველი აღირიცხა, 1989 წ. ეს რიცხვი 2-ჯერ გაიზარდა და 193,7 ათას კაცს მიაღწია; დ) 70-80 წწ-ში ებრაელი და ბერძენი მოსახლეობის ემიგრაცია ისტორიულ სამშობლოში, რომელიც საგრძნობი ინტენსიურობით ხასიათდებოდა.

გარე მიგრაციის პარალელურად საქართველოში მიმდინარეობდა შიდა-მიგრაციული პროცესები, რომლებიც ძირითადად ორი მიმართულებით გამოიკვეთა: 1) სოფლიდან სოფელში; ბ) სოფლიდან ქალაქებში. არსებობდა მესამე მიმართულებაც – მცირე ქალაქებიდან დიდ ქალაქებში, მაგრამ სტატისტიკურად იგი საკმარისად შესწავლილი არ არის.

სოფლიდან სოფელში მოსახლეობის ლტოლვის მკაფიო მაგალითია მოსახლეობის გადასვლა მთიდან ბარის რაიონებში, რაც მასობრივად XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო. 1880-იან წლებში მოხდა თუშების ჩამოსახლება კახეთში, ალაზნის ველზე, სადაც შეიქმნა სოფლები ზემო და ქვემო ალვანი. ცოტა მოგვიანებით – ფშაველების, ხევსურებისა და მთიულების – შირაქის ველზე და იქ სოფლების – ზემო და ქვემო ქედის წარმოქმნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიგრაციული პროცესები უფრო მასშტაბური და გეგმიური გახდა. ტარდებოდა ღონისძიებები მოსახლეობის მაღალმთიანი რაიონებიდან ბარში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით. 1947-67 წლებში საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთიდან 2850 ოჯახი (12400 მცხოვრები) იქნა გადმოსახლებული. მათ შორის 34,7% იყო სვანეთიდან წამოსული მოსახლეობა, 32,0% რაჭა-ლეჩხუმიდან, 26,1% მოდიოდა მთიულებზე, მოხევეებზე და ფშავ-ხევსურებზე, 7,2% – თუშებზე (შენგელაია, 1970). სვანეთიდან ჩასახლება მოხდა იმერეთში, სამეგრელოსა და ბოლნისის რაიონებში. აღმოსავლეთი კავკასიონის რაიონებიდან – ძირითადად ქვემო ქართლში.

1986-89 წწ. შიდა აჭარასა და სვანეთში განვითარებულმა ბუნების სტიქიურმა მოვლენებმა – თოვლის ზვავებმა და მეწყერებმა დიდი მსხვერპლი და ზარალი მოუტანა ამ მხარეებს და მიგრაციის ახალი ტალღა გამოიწვია. 1988 წ. აჭარის მთიანი სოფლებიდან 4350 ოჯახი (დაახლოებით 19 ათასზე მეტი მცხოვრები) ჩასახლდა ჩვენი ქვეყნის 36 ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, გახიზნული სვანეთის მოსახლეობა კი დაფუძნდა ქვემო ქართლის რაიონებში.

სისტემატური ხასიათი ჰქონდა მცხოვრებთა ინდივიდუალურ ჩამოსახლებასაც, რამაც მთიან რაიონებში ძლიერ შეამცირა მოსახლეობის რიცხოვნობა და ასეულობით სოფელი გააუკაცრიელა. 1886-1989 წლების მანძილზე, აღმოსავლეთ კავკასიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებში 286 სოფლიდან 175 დარჩა, ე.ი 111 სოფელი მთლიანად დაიცალა (ჯაოშვილი, 1996).

კიდევ უფრო ძლიერი იყო მექანიკური მოძრაობა სოფლიდან ქალაქში, რაც განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამ დროს საქართველოს სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის 60%-მდე ქალაქში ჩასახლდა. დიდი ქალაქების უმრავლესობა, განსაკუთრებით თბილისი და მზარდი ქალაქი რუსთაკი, ნახევარზე მეტად სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა (გაჩეჩილაძე, 1997). 1959-89 წწ-ში სოფლიდან ქალაქში გადასულთა რიცხვმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა, რამაც ქვეყნის ქალაქის მოსახლეობის საერთო ნამატის 37% შეადგინა (ჯაოშვილი, 1996).

XX ს. 90-იან წლებში საქართველოში შექნილმა პოლიტიკურმა კითარებამ და ეკონომიკურმა კრიზისმა მეტად რთული და მრავალმხრივი მიგრაციული პროცესების გააქტიურება გამოიწვია. საქართველო მასობრივი ემიგრაციის ქვეყანა გახდა. დაიწყო არაქართველების (რუსები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და სხვ.) ემიგრაცია, სოლო ქვეყანაში დევნილთა საერთო რიცხვმა 250 ათას კაცს გადააჭარბა. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი (43%) სამეგრელოს რეგიონმა შეიფარა, მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისში ცხოვრობს (27%), დანარჩენი კი გაფანტულია სხვა რაიონებში. ცხინვალის რეგიონიდან იძულებით ადგილ-ნაცვალთა ძირითადი მასა განლაგდა თბილისსა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

საკარაუდო ინფორმაციით, საქართველოს ფარგლებს გარეთ 100 ათასზე მეტი ლტოლვილია გასული. აფხაზეთიდან ემიგრაციაში წავიდნენ როგორც ქართველები, ასევე აფხაზები, რუსები, ბერძნები, ებრაელები. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა გამოიწვია ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილის საზღვარგარეთ ემიგრაციაც. მათი უმრავლესობა შრომისუნარიანი ასაკისაა და უცხოეთში სამუშაოს საშოვნელად და სასწავლებლადაა წასული.

ქართველი დემოგრაფების გამოკვლევებით (ცხრ.6, წულაძე, ... 1999), ირკვევა, რომ 9 წლის განმავლობაში საქართველო ერთ მილიონზე მეტმა კაცმა დატოვა,

მექანიკური მოძრაობის დინამიკა (ათასი კაცი)

წლები	სულ მიგრანტები	შემოვიდა	გავიდა	მიგრაციული სალდო
1990	90.0	30.0	60.0	-30.0
1991	140.0	25.0	85.0	-60.0
1992	350,0	70.0	280.0	-210.0
1993	338.0	74.0	264.0	-190.0
1994	256.0	79.0	277.0	-198.0
1995	316.0	70.0	246.0	-176.0
1996	267.0	67.0	200.0	-143.0
1997	182.0	56.0	126.0	-70.0
1998	156.0	56.0	100.0	-44.0
სულ	2156.0	517.0	1638.0	-1121.0

ხოლო მიგრაციული სალდოს საშუალოწლიურმა მაჩვენებელმა 124 ათას კაცზე მეტი შეადგინა. მათ შორის უცნობია, თუ რამდენია წასული მუდმივ ან დროებით ემიგრაციაში, რომლის პიკი 1992-94 წწ. იყო. 1995 წ-დან მიგრაციული სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი თანდათან მცირდება, მაგრამ დაუბრუნდება თუ არა მიგრანტების უმრავლესობა სამშობლოს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

სტრუქტურა

საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფერო ურთიერთკავშირშია მოსახლეობის თვისობრივ მხრეებთან, რომლებსაც მოსახლეობის სტრუქტურა ასახავს. მოსახ-ლეობის დემოგრაფიული, ეროვნული, სოციალური და სხვა შემადგენლობის შესწავ-ლას არა მარტო შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მოსახლეო-ბის სტრუქტურა დიდ როლს თამაშობს ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში, ვინაიდან სქესობრივ-ასაკობრივ შეთანაწყობაზეა დამოკიდებული ოჯახის შექმნის შესაძლებლობა, მოსახლეობის აღწარმოების სსვადასხვა პროცე-სები. მოსახლეობის გამრავლებაზე ასევე გავლენას ახდენს საზოგადოების ეთნიკური, სოციალური შემადგენლობა, განათლების დონე და სხვ. დემოგრაფიულ სიტუაციაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის სამხედრო თავდაცვითი სიძლიერე. ასაკობრივი შემადგენლობა ასახავს ეკონომიკურად აქტიური კონტინგენტის, ასევე სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოზარდთა რაოდენობას, რაც მოქმედებს ეკონომიკის, ჯანდაცვის და კულტურის დარგების განვითარებაზე. მეურნეობის წინსვლისათვის დიდი

მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროფესიულ შემადგენლობას. ამასთან, მოსახლეობის სტრუქტურა ისტორიული კატეგორიაა. ამიტომ მისი ცვალებადობა დროის მანძილზე განპირობებულია საწარმოო ძალების განვითარებით და სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით.

სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა – მოსახლეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო თვისობრივი მახასიათებელია, რომლის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის თავისებურებები. თავის მხრივ, ბუნებრივი მოძრაობის (შობადობა, მოკვდაობა) მაჩვენებლების ხასიათი განპირობებულია როგორც მოსახლეობის ეკოლუციის საერთო კანონზომიერებებით (გაფართოებულიდან მარტივ აღწარმოებაზე გადასვლა), ისე იმ ხანმოკლე მკვეთრი ცვლილებებით, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოებაში (მაგ., ომები, ეპიდემიები და სხვ.).

ჩვენს ქვეყანაში მამაკაცთა ხვედრითი წილის შემცირებაზე (ცხრ.7) მნიშვნელოვნად იმოქმედა პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა. გარდა ამისა, ბოლო ათწლეულებში მამაკაცთა სიკვდილიანობის დონემ საგრძნობლად მოიმატა, რის გამოც მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ქალებთან შედარებით, ნაკლებია. 1989 წ. აღწერით, მამაკაცები შეადგენდნენ 2562,0 ათასს, ხოლო ქალები 2838,8 ათასს, ანუ ქალები 276,8 ათასით მეტი იყვნენ. ქალები სჭარბობდნენ ქალაქშიც (53,2%) და სოფელშიც (51,8%).

ცხრილი 7

მოსახლეობის სქესთა თანაფარდობის დინამიკა (%-ში)

სქესი \ წლები	1897	1922	1926	1939	1959	1970	1979	1989
მამაკაცები	53.4	51.0	50.5	49.9	46.1	47.0	46.8	47.4
ქალები	46.6	49.0	49.5	50.1	53.9	53.0	53.2	52.6
სულ	100	100	100	100	100	100	100	100

XX ს. ბოლო ათწლეულში ჩვენს ქვეყანაში შემქნილი მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება დემოგრაფიულ სტრუქტურაზეც აისახა. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში წარმოებული საომარი მოქმედებების და ინტენსიური გარე მიგრაციის შედეგად, 90-იანი წლების დასაწყისში არა მარტო შემცირდა 15-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა აღნიშნულ კონტინგენტში სქესთა დისპროპორცია. ეს მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო მოსახლეობის აღწარმოების პროცესებსა და მატების ტემპზე, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაზეც (ცხრ.8, წყარო: 1989 წ. აღწერა; წულაძე, ბადურაშვილი, 1999).

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა

ასაკობრივი ჯგუფები	1989			1999*		
	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
	(ათასი კაცი)					
15 წლამდე	1338.4	682.3	656.1	860.5	443.2	417.3
15-59	3287.0	1591.4	1695.6	2440.5	1161.3	1479.2
60 წელი და მეტი	775.4	288.3	487.1	809.0	325.5	483.5
სულ	5400.8	2562.0	2838.8	4110.0	1930.0	2180.0
	(%)					
15 წლამდე	100.0	51.0	49.0	100.0	51.5	48.5
15-59	100.0	48.4	51.6	100.0	47.6	52.4
60 წელი და მეტი	100.0	37.2	62.8	100.0	40.2	59.8
სულ	100.0	47.4	52.6	100.0	47.0	53.0

ქალთა სიჭარბე უფროსი ასაკის მოსახლეობაში აღინიშნება, განსაკუთრებით დიდია სხვაობა 60 წელზე უხნეს კონტინგენტში. არსებობს მყარი კანონზომიერება, რომლის მიხედვით ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე გოგონა (ყოველ 100 გოგონაზე, ჩვეულებრივ, 104-106 ვაჟი იბადება), ახალგაზრდა კონტინგენტში ვაჟები სჭარბობენ ქალებს. ასეთი მეტობა 20 წლამდეა შენარჩუნებული. საინტერესო მოვლენა შეინიშნება ომების დროს და ომისშემდგომ პერიოდში ამ ქვეყნების დემოგრაფიულ სიტუაციაში – ახალშობილთა შორის ნორმაზე მეტი ვაჟი იბადება. ამ მხრივ საქართველოშიც მსგავსი სურათია: დაბადებული ბიჭების რაოდენობა 100 გოგონაზე 1994 წ. იყო 109,6, 1995 წ. – 111,7, 1996 წ. – 112,5, 1997 წ. – 118,8 (წულაძე, ... 1997).

„დემოგრაფიულ ისტორიას" ასახავს 1926, 1989 და 1999 წლების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის პირამიდები (ნახ.1). 1926 წლის პირამიდა თითქმის სიმეტრიული კონფიგურაციისაა და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე გადასვლისას საფეხურები თანდათან მცირდება. ყურადღებას იპყრობს 5-9 წლის ასაკების მკვეთრი შემცირება, რაც მიანიშნებს 5 წლამდე ბავშვების მაღალ სიკვდილიანობაზე; 45 წლის ასაკის ზემოთ მოსახლეობის კლება კი განპირობებული იყო მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით (უმთავრესად მამაკაცების) პირველ მსოფლიო ომის წლებში, ომისშემდგომი სოციალური ძვრებით, მოსახლეობის ემიგრაციით საქართველოდან, ვირუსული გრიპის („ისპანკა") პანდემიით.

1989 და 1999 წწ. პირამიდები უკვე ძლიერ დეფორმირებულია. XX ს. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან შობადობის თანდათან კლებამ 1989 წლისათვის გამოწვია

---

*აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე.


1926 წ.
ქალები
ჯამი
300
200
100
0
100
200
300


1989 წ.
ქალები
ჯამი
300
200
100
0
100
200
300


1999 წ.
ქალები
ჯამი
300
200
100
0
100
200
300

ნახ. 1

25 წლამდე თაობის შემცირება. მეორე მსოფლიო ომმაც თავისებური დალი დაამჩნია დემოგრაფიულ სტრუქტურას: ომისა და მის მომდევნო წლებში შობადობის შემცირება 40-49 წლის ასაკის ჯგუფის მცირერიცხოვნობაზე აისახა. ამავე დროს, 65 წელზე უხნესი მოსახლეობის რაოდენობის კლება (განსაკუთრებით, მამაკაცების) გამოწვეული იყო ძირითადად იმ დიდი მსხვერპლით, რომელიც საქართველომ მეორე მსოფლიო ომში გაიღო. იგივე დემოგრაფიული ძვრები აისახა 1999 წლის სტრუქტურაზეც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზემოთ აღნიშნულმა მცირერიცხოვანმა ასაკობრივმა კონტინგენტებმა ერთი საფეხურით წინ ასაკობრივ ჯგუფებში გადაინაცვლეს. გარე მიგრაციის გამო საგრძნობლად შემცირდა 15-49 წლის ასაკობრივი ჯგუფი. შეშფოთებას იწვევს 90-იან წლებში შობადობის დონის დაცემით გამოწვეული 10 წლამდე ბავშვების რაოდენობის მკვეთრი შემცირება, რასაც 10-15 წლის შემდეგ უარყოფითი გავლენა ექნება ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციაზე.

XX ს. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ძირითადი ცვლილება ახალგაზრდა თაობათა ხვედრითი წილის შემცირებასა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ფარდობითი რაოდენობის მომატებაში გამოიხატა. ეს მოვლენა დამახასიათებელია მეტნაკლებად ყველა განვითარებული ქვეყნისათვის და ცნობილია, როგორც მოსახლეობის დაბერების პროცესი. იგი უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებაზე ისიც მეტყველებს, რომ 1926-89 წწ. მცხოვრებთა საშუალო ასაკი 25,4-დან 33,8 წლამდე გაიზარდა. ამჟამად საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, სადაც მკვეთრად ფიქსირდება მოსახლეობის დაბერება.

ხანდაზმული მოსახლეობის მატება ძირითადად სიკვდილიანობის შემცირებამ გამოიწვია. ასეთი ცვლილება ნიშნავს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებას, ანუ ადამიანები უფრო ნაკლებად იღუპებიან ახალგაზრდა და საშუალო ასაკში, რაც, თავისთავად, უაღრესად პროგრესული მოვლენაა. მეორე მხრივ, დემოგრაფიულად დაბერებულ ერებში იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი მატულობს, ვინც შრომით საქმიანობაში ნაკლებად მონაწილეობს. ეს კი ზრდის დასაქმებული კონტინგენტის კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობას და სახელმწიფოს დანახარჯებს სოციალური უზრუნველყოფისათვის. დაბერების პროცესთან დაკავშირებულია რიგი სხვა სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, იურიდიული, სამედიცინო და სხვა ხასიათის პრობლემები. მისი ცალსახად, დადებითად ან უარყოფითად შეფასება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან იგი, როგორც ცივილიზაციის შედეგი, შეუქცევადი პროცესია და შემდგომშიც გაღრმავდება.

საქართველოში ამ პრობლემის აქტუალურობას ისიც აძლიერებს, რომ დემოგრაფიული დაბერების პროცესი დიდი დიფერენციაციით ხასიათდება. ეს

მნიშვნელოვანი თავისებურება ზეგავლენას ახდენს რეგიონების დემოგრაფიულ განვითარებაზე, აღწარმოების რეჟიმზე, შრომითი რესურსების ფორმირებასა და ტერიტორიულ განაწილებაზე. მაგალითად, კავკასიონის მთიან რაიონებში ძალზე დაბერებული მოსახლეობაა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ახალგაზრდობა მასობრივად ტოვებს მშობლიურ კუთხეს; ამ მხრივ უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა ამბროლაურისა და ცაგერის რაიონებში, სადაც 60 წელს გადაცილებულ ადამიანთა ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში, 1989 წ. აღწერის შესაბამისად, შეადგენდა 34,5 და 26,5 პროცენტს. ანალოგიური მაჩვენებელი აჭარის მთიან რაიონებში გაცილებით დაბალია და მერყეობს 8,5-დან (ხელვაჩაურის რ-ნი) 11,2 პროცენტამდე (შუახევის რ-ნი). აქაური მოსახლეობის სტრუქტურაში ახალგაზრდების სიჭარბეს განაპირობებს მუსლიმანური რელიგიისათვის დამახასიათებელი მრავალშვილიანობის ტრადიცია. მსგავსი მიზეზის გამო ახალგაზრდული დემოგრაფიული სტრუქტურით გამოირჩევა ბარის ზონის ის რაიონები, რომლებიც ძირითადად დასახლებულია აზერბაიჯანელი მოსახლეობით (მარნეულის, გარდაბნის რ-ბი). „დაბერებული" მოსახლეობაა კახეთსა და იმერეთში.

ეროვნული სტრუქტურა. ეთნიკური თავისებურებები ბევრად განსაზღვრავენ დემოგრაფიული პროცესების, ასაკობრივი სტრუქტურის, მიგრაციისა და განსახლების ტერიტორიულ დიფერენციაციას. ისტორიული ქარტეხილების შედეგად საქართველოში საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდა გარედან მოსული სხვადასხვა ეთნოსი, რასაც ასევე ხელს უწყობდა ხალხის ტოლერანტობა და ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. მტრების მუდმივი შემოსევებით გაუკაცრიელებულ ტერიტორიას უცხო ტომები იკავებდნენ. ზოგჯერ თვით ქართველი მეფეები ასახლებდნენ დაცარიელებულ მიწებზე გარედან მოსულ სხვა ერის წარმომადგენლებს. შუა საუკუნეებიდან აღმოსავლეთ საქართველოში თანდათან ჩამოსახლდნენ ოსები. XVII ს. და მომდევნო პერიოდებშიც ქვემო ქართლში სახლდებოდნენ თურქულენოვანი ტომები. XVIII ს. მეფე ერეკლე მეორემ აქვე ჩამოასახლა ყარაბახელი სომხები და ბერძნები გიუმიუშჰანედან (დღევანდელი თურქეთი). უცხოელთა ჩამოსახლება განსაკუთრებით ინტენსიური იყო XIX ს-ში და XX ს. დასაწყისში. საქართველოს დაპყრობისთანავე რუსეთის იმპერია დაინტერესებული იყო აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი დაესახლებინა. მაგალითად, ქვემო ქართლში ჩაასახლეს გერმანელები, თურქეთიდან სამცხე-ჯავახეთში – სომხები, თრიალეთში – ბერძნები. შეიქმნა ჯარიდან დემობილიზებული რუსებისა და რუსეთიდან ჩამოსახლებული სექტანტების დასახლებები. XX ს. დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ქართველების ხვედრითმა წილმა 70% შეადგინა.

საბჭოთა პერიოდშიც ეთნიკური პროცესები აქტიურად ვითარდებოდა. პირველ ათწლეულებში საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას თან ახლდა საბჭოთა კავშირის

სხვადასხვა რესპუბლიკებიდან (განსაკუთრებით რუსეთიდან და უკრაინიდან) შრომითი რესურსების ინტენსიური მოზიდვა. გარკვეული ნაწილი დამკვიდრდა საქართველოში, რის გამოც 1939 წლისათვის ქართველების ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში 61,4%-მდე შემცირდა. XX ს. მეორე ნახევრიდან ქვეყნის ეკონომიკა უკვე დაბალანსებული იყო ადგილობრივი სპეციალისტებით და წინა ათწლეულებისაგან განსხვავებით საჭირო აღარ იყო საქართველოს ფარგლებს გარედან შრომითი კონტინგენტის მოზიდვა. ამ ვითარების გამო გახშირდა არაქართველთა წასვლა რესპუბლიკიდან, რომელიც ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით გაძლიერდა. თავიანთ ისტორიულ სამშობლოს უბრუნდებოდნენ რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ბერძნები, სომხები და სხვა ეროვნებები. აღნიშნული მდგომარეობის შედეგად ქართველების ხვედრითი წილი გაიზარდა და 1989 წ. მოსახლეობის აღწერით 70,1% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სტრუქტურის შეცვლას ავტოქთონური მოსახლეობის სასარგებლოდ, ასევე ხელი შეუწყო შერეულმა ქორწინებებმა, სომხების, ოსების, ბერძნების, რუსების ქართველებთან ასიმილაციამ. ამასთანავე, 80-იანი წლების მეორე ნახევარში აქტიურად მიმდინარეობდა გასულ საუკუნეებში ეროვნებაშეცვლილი ქართველების შთამომავალთა მიერ ნამდვილი ეროვნების აღდგენა.

1959-89 წწ. აზერბაიჯანელებისა და ქურთების რიცხოვნობის ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გაზრდა (ცხრ. 9) ძალზე მაღალი ბუნებრივი მატებით აიხსნება.

ცხრილი 9

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა

ეროვნებანი	1959 წ.		1989 წ.		1989 წ. % 1959 წ. მიმართ	1999 წ.		1999 წ. % 1989 წ. მიმართ
	რ-ბა (ათასი კაცი)	%	რ-ბა (ათასი კაცი)	%		რ-ბა (ათასი კაცი)	%	
ქართველი	2600,6	64,3	3787,4	70,1	145,6	3430,0	83,4	90,6
აფხაზი	62,9	1,5	95,8	1,8	152,3	1,0	0,02	1,0
სომეხი	442,9	11,0	437,2	8,1	98,7	230,0	5,6	52,6
რუსი	407,9	10,1	341,2	6,3	83,6	100,0	2,4	29,3
აზერბაიჯანელი	153,6	3,8	307,5	5,[illegible]	200,2	200,0	4,9	65,0
ოსი	141,2	3,5	164,1	3,0	116,2	40,0	1,0	24,4
ბერძენი	72,9	1,8	100,3	1,8	137,6	25,0	0,6	24,9
უკრაინელი	52,2	1,3	52,4	1,0	100,4	15,0	0,4	28,6
ებრაელი	51,6	1,3	24,8	0,5	48,1	[illegible]	0,2	28,2
ქურთი	16,2	0,4	33,3	0,6	205,1	18,0	0,4	54,1
დანარჩენი	42,0	1,0	56,8	1,1	135,2	44,0	1,08	[illegible]
სულ	4044,0	100,0	5400,8	100,0	133,6	4110,0	100,0	76,1

სომხების, რუსების და ებრაელების რიცხოვნობის შემცირებაში კი გადამწყვეტი როლი შეასრულა მათი ნაწილის საქართველოდან ემიგრაციამ. ცხრილში „დანარჩენი“-ს ჯგუფში შედიან ბელორუსები, ასირიელები, აკარიელები, თათრები,

მოლდაველები, ყაზახები, ესტონელები, პოლონელები და სხვ. სულ 1989 წ. მოსახლეობის აღწერით ნაჩვენებია 81 ეროვნების რიცხოვნობა.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა განსხვავებულია ქალაქად და სოფლად. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე არაქართველი მოსახლეობა უმთავრესად ქალაქებში მკვიდრდებოდა. ამიტომ, იქ შეტია ეთნიკური სიჭრელე, ვიდრე სოფლად. 1989 წ. მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წილი 67,6%, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 73,3%-ს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული სტრუქტურის თანამედროვე სურათს გარკვეულწილად ასახავს 1999 წ. შეფასებითი მონაცემები. 1989 წელთან შედარებით დაიკლო როგორც ქართველების, ისე ყველა სხვა ეროვნების რაოდენობამ, რაც ძირითადად გამოწვეულია ინტენსიური გარე მიგრაციით. გარდა ამისა, შემცირდა ზოგიერთი ეროვნების ბუნებრივი მატების მაჩვენებლებიც, ხოლო რუსებში აღინიშნება ბუნებრივი კლებაც კი (მოკვდაობა აღემატებოდა შობადობას). სხვებთან შედარებით, ქართველების რაოდენობის კლების ტემპი ნაკლები იყო, რის გამოც მათი წილი მოსახლეობაში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით) გაიზარდა და 1999 წ. შეადგინა 83,4%, (წულაძე, ..., 1999).

უკანასკნელ წლებში საქართველოდან სხვა ქვეყნებში დიდი რაოდენობით გადის ქართველი ახალგაზრდობა. მთავარია, ამ პროცესს არ ჰქონდეს დიდი მასშტაბი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების ისედაც დაბალი მაჩვენებლები კიდევ უფრო შემცირდება.

რეგიონთა უმეტესობაში ქართველები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ეროვნული სიჭრელით ყველაზე მეტად აფხაზეთი და ქვემო ქართლი გამოირჩევა. პირველ მათგანში, სადაც ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები, XIX ს. მეორე ნახევრიდან ჩასახლდნენ აგრეთვე რუსები, სომხები და ბერძნები. 1990-იანი წლების დასაწყისში აფხახი სეპარატისტების მიერ ჩატარებული ეთნოწმენდის შედეგად აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკულად დაიცალა ქართველებისაგან. რაც შეეხება ქვემო ქართლს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ რეგიონში ცალკეული ეროვნებების მასობრივი ჩასახლება (აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები) გასულ საუკუნეებში დაიწყო. ქართველები ყველაზე მცირერიცხოვანნი ჯავახეთში არიან (3,5%), სადაც კომპაქტურად სომხები სახლობენ. ასევე კომპაქტურად არიან დასახლებულნი ოსები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა ო ტერიტორიაზე.

სოციალური შემადგენლობა. XX ს. დასაწყისში საქართველო აგრარული ქვეყანა იყო, სადაც მოსახლეობის 80%-ზე მეტს გლეხები შეადგენდნენ. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს – მემამულეებს (თავად-აზნაურები), ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებს, მსხვილ ვაჭრებს, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეებს, მაღალჩინოსან სამხედრო და სასულიერო პირებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ნაციონალიზებულ იქნა მიწა, ფაბრიკა-ქარხნები. წერილი საწარმოებიც თანდათან გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. დაიწყო მოსახლეობის ახალი სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც ემყარებოდა მარქსიზმის დოგმატურ სქემას. თავდაპირველად, წარმოების საშუალებებთან მიმართებაში გამოირჩეოდნენ: 1) მუშათა კლასი (რომელიც სახელმწიფო წარმოებაში იყო დასაქმებული), 2) კოლმეურნე გლეხობა (იგი კოლექტიურად სარგებლობდა მიწით, რომელიც საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა), 3) ერთპიროვნული გლეხები და ასევე, არაკოოპერირებული წვრილი შინამრეწველები, 4) ბურჟუაზიად შერაცხული წარმოების მესაკუთრე საწარმოს მფლობელები და სოფლად კულაკები. ცალკე გამოიყოფოდა, აგრეთვე, მოსამსახურეების სოციალური ფენა, ხოლო მათში განათლების დონითა და პროფესიის მიხედვით – ინტელიგენციის ჯგუფი.

1926 წ. აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობაში მუშები (ოჯახის წევრებით) შეადგენდნენ 6,8%, კოოპერირებული გლეხები და წვრილი ხელოსნები – 36,3%, ერთპიროვნული გლეხები და არაკოოპერირებული ხელოსნები – 42,5%, პირები, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას – 2,3% (აქედან 4/5-ს კულაკები წარმოადგენდნენ), მოსამსახურეები – 7,7%. აღრიცხული იყო ასევე უმუშევრები, სამხედრო მოსამსახურეები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები და პირები, რომლებმაც არ დაასახელეს საქმიანობის ხასიათი – 4,4% (ელიაძე, 1983).

საბჭოთა პერიოდში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა (კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია) შეცვალეს საზოგადოების სოციალური შემადგენლობა. ქართველი საზოგადოებისათვის ეს ცვლილებები უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. მათ თან სდევდა რეპრესიები, გადასახლებები, მრავალი ადამიანის ფიზიკური განადგურება. ასე იქნა ლიკვიდირებული თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის საზოგადოებრივი ჯგუფები, სამღვდელოება, კულაკები, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. სოფლად ძალდატანებითი კოლექტივიზაციის შედეგად გაჩნდა ახალი სოციალური ფენა – კოლმეურნე. კოლმეურნეობების გარეთ დარჩენილი გლეხების რიცხვი უმნიშვნელო იყო. დროთა განმავლობაში, კოლმეურნეების ხვედრითი წილი შემცირდა, რაც განპირობებული იყო: ჯერ ერთი, ურბანიზაციის განვითარების შედეგად სოფლის მოსახლეობის შემცირებით, მეორეც, საბჭოთა მეურნეობების რიცხვის საყოველთაო ზრდით*, სადაც გლეხს მუშის სტატუსი მიენიჭა.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდას განაპირობებდა ინტენსიური ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია. მათი რიცხვი მატულობდა არამარტო სოფლის მოსახლეობის, არამედ საქართველოს ფარგლებს გარედან შემოსული მუშახელის

---

* კოლმეურნეობების დიდი ნაწილი რეორგანიზებულ იქნა საბჭოთა მეურნეობებად, აგრეთვე იქმნებოდა ახალი საბჭოთა მეურნეობები.

ხარჯზე. შრომის გამოყენების სფერო ფართოვდებოდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. აგრეთვე განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ქსელის მკვეთრად გაფართოების შედეგად. აღნიშნულმა გარდაქმნებმა დიდი ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის თანაფარდობაში. კერძოდ, ჩამოყალიბდა მოსახლეობის სამი ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფი: მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები. უკანასკნელ კატეგორიაში გაერთიანებული იყო საზოგადოებრივ შრომაში დასაქმებულების ძალზე ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავდა შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, ექიმებს, მწერლებს, იურისტებს, კაჭრობის, მომსახურებისა და ტრანსპორტის სფეროში, მმართველობაში და სხვა დარგებში გონებრივი შრომით დასაქმებულ პირებს. საბჭოთა წყობილების არსებობის ბოლოსათვის (1989 წ.) საქართველოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ოფიციალური სტატისტიკით იყო: მუშები – 55,5% (2997,6 ათასი), მოსამსახურეები – 30,7% (1658,3 ათასი), კოლმეურნეები – 13,2% (714,5 ათასი). უმნიშვნელო იყო კულტის მსახურთა და თავისუფალი პროფესიის პირთა რაოდენობა – 0,6% (30,5 ათასი).

ბუნებრივია, რომ სოციალური სტრუქტურის ეს სქემა თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში იცვლება. 90-იან წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრაველესობა გაუქმდა, მცირე ნაწილი კი სახელმწიფო მეურნეობებად გადაკეთდა, რის შედეგადაც კოლმეურნეთა სოციალური ჯგუფი გაქრა. მის ნაცვლად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი გლეხებისა და ფერმერების ანუ ინდივიდუალური კერძო მესაკუთრეების ფენა, რომელიც ან იყენებს ან არა დაქირავებულ შრომას. პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს მოჰყვა ეკონომიკის მძიმე კრიზისი. სამრეწველო საწარმოების გაჩერებამ გამოიწვია მუშათა რიცხვის შემცირება. მოხდა მათი სოციალურად დაყოფა სახელმწიფო და კერძო საწარმოებში მომუშავეებად. ორივე მათგანს აქვს თავისი სოციალური ინტერესები. წარმოიქმნა მეწარმე-ბიზნესმენთა ახალი ფენა, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს საწარმოო ძალების აღმავლობასა და ეკონომიკის განვითარებაში. სოციალური სტრუქტურის შემადგენელია ასევე კერძო საწარმოების თანამფლობელები, რომლებსაც ეკუთვნის აქციების ნაწილი (აქციონერები). ცალკე უნდა გამოიყოს ინტელიგენციის ჯგუფი. ეჭვს გარეშეა, ახლო მომავალში ჩამოყალიბდება მოსახლეობის ახალი სოციალური ფენები, რომელთა შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს მოსახლეობის მომავალი აღწერები გამოაკლენს.

რელიგიური სტრუქტურა. მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურას მჭიდროდ უკავშირდება მისი რელიგიური (კონფესიური) შემადგენლობა, რომლითაც საქართველო ბევრი სხვა ქვეყნისაგან არსებითად გამოირჩევა. ეთნიკურმა სიჭრელემ რელიგიური მრავალფეროვნება წარმოშვა, რასაც ხელს უწყობდა ქართველი

ხალხისათვის დამახასიათებელი თვისება – ტოლერანტობა. სხვა ხალხების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო აქ არასდროს არ იდევნებოდა მკვიდრი მოსახლეობისაგან განსხვავებული რჯულისა და აღმსარებლობის მიმდევრები. სწორედ ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ამ პატარა სახელმწიფოში. ქართულ სამლოცველოებთან ერთად. არსებობს სინაგოგები და მეჩეთები, რუსული, სომხური. კათოლიკური, ლუთერანული თუ სხვა ეკლესიები.

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს ქრისტიანულ სამყაროში. ჩვენმა ქვეყანამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ჯერ კიდევ IV ს. დასაწყისში აღიარა, რამაც ბევრად შეუწყო ხელი ქართველი ერის ჩამოყალიბებას. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი თვითმყოფადია მსოფლიოს თხუთმეტ მართლმადიდებლურ აუტოკეფალურ ეკლესიას შორის. საბჭოთა სისტემის ათეისტური იდეოლოგია ათეული წლების განმავლობაში სასტიკად თრგუნავდა რელიგიას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი მოსახლეობის რელიგიურმა გრძნობებმა ერთგვარი გამოცოცხლება განიცადეს.

ქართველების დიდი უმრავლესობა აღმოსავლური მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მრევლს წარმოადგენს. მთის ზოგიერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში (ფშავ–ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი) ქრისტიანობა შერწყმულია ძველ წარმართულ რელიგიურ რიტუალებთან.

საქართველოს იმ აღგილებში, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი, ქართველების ნაწილი ქრისტიანობის შენარჩუნებისა და „გათათრებისაგან" თავის დაღწევის მიზნით, გრიგორიანულ სარწმუნოებას ან კათოლიკობას ღებულობდა, ვინაიდან თურქები ერთგვარ ანგარიშს უწევდნენ ქრისტიანობის ამ მიმდევრებს და არ ებრძოდნენ. სამცხის ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი კი, ძალდატანებით გაამუსლიმეს. ასევე აჭარაში ქართველთა უმეტესობა სუნიტი მუსლიმია. იგივე ითქმის იმ ადამიანებზე. რომლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ მათი სამცხიდან მასობრივი დეპორტაციის (1944 წ.) შემდეგ. უკანასკნელ ხანებში ქართველთა მცირე ნაწილში ვრცელდება პროტესტანტული მიმდინარეობები და სექტები (ბაპტიზმი, ადვენტიზმი, ორმოცდაათიანელები. იეღოვას მოწმენი), აგრეთვე აღმოსავლური რელიგიები – კრიშნაიზმი, ბუდიზმი, ბაჰაიზმი. ფართო საზოგადოება ამ მოვლენებს უარყოფითად აფასებს, რაც შეიძლება მომავალში სოციალური დაძაბულობის მიზეზიც გახდეს.

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებიდან ქრისტიანობას აღიარებენ რუსები და უკრაინელები. მათი დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელია, მაგრამ აქ მცხოვრებნი ნაკლებ რელიგიურნი არიან, ვიდრე სამშობლოში მყოფნი. თუმცა, მალაკანთა, დუხობორთა და სტაროვერთა სექტანტურმა დასახლებებმა კარგად შემოინახეს თავიანთი რელიგიური ტრადიციები. სომეხთა დიდი ნაწილი გრიგორიანელი (მონოფიზიტური) ქრისტიანია. სომეხ კათოლიკეთა პატარა ნაწილი

სამხრეთ საქართველოში ცხოვრობს. ბერძნები ძირითადად მართლმადიდებლები არიან, თუმცა მათ შორის გარკვეული ნაწილი სუნიტი მუსლიმია. ასევე, ქრისტიანობის აღმსარებლობისაა ასირიელები (ნესტორიანელები), პოლონელები (კათოლიკები), გერმანელები (ლუთერანები).

აზერბაიჯანელთა უმრავლესობა შიიტი მუსლიმია, მათი მცირე ნაწილი კი სუნიტები არიან. მუსლიმ-სუნიტებს ეკუთვნიან ასევე ქისტები და დაღესტნელები. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ებრაელების რელიგია იუდაიზმია. ქურთი მოსახლეობის უმრავლესობა აღმსარებლობით იეზიდები არიან. ოსები და აფხაზები ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხოლო მათი მცირე ნაწილი – მუსლიმია. მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე კავკასიელებისათვის დამახასიათებელ მითოლოგიურ და წარმართულ კულტებს.

რელიგიური სტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე. სხვადასხვა ეთნოსებს დემოგრაფიული ქცევის განსხვავებული ნორმები აქვთ. კერძოდ, შობადობის მაღალი მაჩვენებლებით, როგორც აღინიშნა, ხასიათდებიან ისლამის მიმდევრები.

სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს მოსახლეობის დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში შექმნილმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა ცხოვრების ყველა მხარე: სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონისა და დასაქმებისათვის, არის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც უმუშევრობის ზრდასა და მოსახლეობის შემოსავლების დონეებს შორის მკვეთრ სხვაობებს იწვევს.

საბჭოთა პერიოდში საზოგადოებრივი შრომის ყველა სფეროში მომუშავეთა რაოდენობა დაჩქარებულად იზრდებოდა არა დარგის განვითარების ინტერესების შესაბამისად, არამედ ახალგაზრდობის უმუშევართა რიგებში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად (განსაკუთრებით მმართველობაში, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მეცნიერებაში). მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავეთა ზრდის ხარჯზე კი ხდებოდა წარმოების ტექნიკური შეიარაღების, ავტომატიზაციის დაბალი დონის და მოძველებული ტექნოლოგიების დაძლევა (ჯაოშვილი, 1996).

ნებისმიერ ქვეყანაში მატერიალურ და სულიერ დოვლათს ქმნიან შრომითი („ადამიანური") რესურსები, რომლის შემადგენლობაში შედიან სამუშაო ასაკის (1996 წლიდან საქართველოში სამუშაო ასაკად განსაზღვრულია 16-65 წელი მამაკაცებისათვის და 16-60 წელი ქალებისათვის) შრომისუნარიანი მოსახლეობა, აგრეთვე მოზარდები, ჩაბმულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში და პენსიონერები, რომლებიც

აგრძელებენ მუშაობას. მათი ხვედრითი წილი 1959-89 წწ. არ შეცვლილა და მოსახლეობის 56,3% შეადგენდა (ჯაოშვილი, 1996).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გაეროს ინიციატივით, შრომითი რესურსების ნაცვლად, ხმარებაში შემოვიდა და დამკვიდრდა ტერმინი – „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა" (ეამ) ანუ „სამუშაო ძალა", რომელიც გულისხმობს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულებს და იმ უმუშევრებს, რომლებიც სამუშაოს ეძებენ. მათი რიცხვი შრომითი რესურსების რიცხვზე უფრო მცირეა (1989 წ. შეადგენდა შრომითი რესურსების 85,5%, 1995 წ. – 76%, 1999 წ. – 67%.). ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ანსხვავებენ: 1) დასაქმებულებს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა თვითდასაქმებულებად და დაქირავებულებად; 2) უმუშევრებს, რომელთაგან საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულნი, სავარაუდოდ, უმუშევართა საერთო რაოდენობის მესამედსაც არ შეადგენენ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და მისი შემადგენელი ნაწილების რიცხოვნობის დინამიკა 1990-2000 წწ. შემდეგი ტენდენციით ხასიათდება (ცხრ. 10):

ცხრილი 10

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი)

ეამ \ წლები	1990	1991	1993	1995	1997	1998	1999	2000
I. დასაქმებულები	2763,3	2518,5	1792,5	1730,1	2233,0	1731,3	1732,4	1732,7
მათ შორის:								
დაქირავებულები	2502,6	2225,3	1417,8	802,1	652,0	747,6	732,7	654,2
თვითდასაქმებულები	260,7	293,2	374,7	928,0	1581,0	983,7	999,7	1078,5
II. რეგისტრირებული უმუშევრები	–	5,5	127,2	50,8	118,2	98,7	102,6	116,9
რეგისტრირებული უმუშევრობის დონე %	–	0,2	6,6	2,8	5,0	5,4	5,6	6,3
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – სულ	2763,3	2524,0	1919,7	1780,9	2351,2	1830,0	1835,0	1849,6

1990-95 წწ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის და დასაქმებულების რიცხვი თითქმის 40%-ით შემცირდა. ეს პროცესი არსებითად შეეხო მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტს. შრომის ბაზარზე თავი იჩინა ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა: არასრული დასაქმება, ფარული უმუშევრობა, სამუშაოს შეთავსება, თავისუფალი სამუშაო ადგილების დეფიციტი და ა.შ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მდგომარეობის შედარებით სტაბილიზაციასთან ერთად მოსახლეობის დასაქმების სფეროში დადებითი ტენდენციები შეინიშნება. ეამ-ის რაოდენობა 1996-97 წწ-ში იზრდებოდა, შემდეგ ოდნავ შემცირდა და 2000 წ. 1849,6 ათას კაცს შეადგენდა.

ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმა, მათ შორის კერძო სექტორის განვითარებამ, გამოიწვია დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდა (1990 წ. – 9,4%-დან 2000 წ. – 60,8%-მდე). დასაქმებულთა რაოდენობის

ზრდის ტემპი ბევრად ჩამორჩება თვითდასაქმებულთა ოდენობის ზრდის ტემპს. დაქირაველებით დასაქმებულთა რაოდენობა კი მნიშვნელოვნად მცირდება. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 50%-ზე მეტს მამაკაცები შეადგენენ.

ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ჭარბობს სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით თვითდასაქმებულებში, ხოლო დაქირაველები შრომით დასაქმებულებს შორის – ქალაქის მოსახლეობა. 1990 წ. სახელმწიფო სექტორში დაკავებული იყო 75.5%, ხოლო არასახელმწიფო სექტორში – 24,5%. მომდევნო წლებში ეს თანაფარდობა პირიქით შეიცვალა და ამჟამად შესაბამისად შეადგინა: 25,1% და 74,9%, რაც აშკარად მეტყველებს საბაზრო ეკონომიკის მომძლავრებაზე.

დასაქმებულთა ნახევარზე მეტი მოდის სოფლის მეურნეობაზე (1990 წ. იყო 1/4), სადაც მათი რაოდენობა სხვა დარგებისაგან განსხვავებით სისტემატურად იზრდება. ეს ძირითადად ბოლო წლებში განხორციელებული მიწის პრივატიზაციითაა გამოწვეული (1 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები თვითდასაქმებულებად აღირიცხებიან, მიუხედავად იმისა, ამუშავებენ თუ არა ისინი ამ ნაკვეთს). საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით განპირობებულმა სტრუქტურულმა და სამეურნეო ცვლილებებმა გამოიწვია მატერიალური წარმოების წამყვანი დარგების – მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების შეფერხება და შესაბამისად, მათში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება. 1999 წ. სამთო-მოპოვებით და გადამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული იყო 17,6 ათასი კაცი

ცხრილი 11

დასაქმებულთა განაწილება დარგების მიხედვით

დარგები	1990 წ.		1997 წ.	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
მრეწველობა	559,8	20,3	138,6	6,2
სოფლის მეურნეობა	695,0	25,2	1308,6	58,6
სატყეო მეურნეობა	11,7	0,4	7,4	0,3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	197,1	7,1	107,2	4,8
მშენებლობა	280,6	10,2	36,5	1,6
ვაჭრობა და საზ.კვება, მატ-ტექნ. მომარაგება და გასაღება, დამზადება	179,1	6,5	234,4	10,5
საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება	4,2	0,1	0,5	0,0
საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება	131,4	4,8	21,1	1,0
ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი, სოციალური უზრუნველყოფა	183,8	6,6	93,2	4,2
ხელოვნება, კულტურა, განათლება	310,0	11,2	195,4	8,8
მეცნიერება, სამეცნ. მომსახურება	73,2	2,6	20,7	0,9
დაკრედიტება და დაფინანსება	11,8	0,4	6,3	0,3
მმართველობის აპარატი	51,6	1,9	43,2	1,9
სხვა დარგები	74,0	2,7	19,7	0,9
დასაქმებულები – სულ	2763,3	100,0	2233,0	100,0

ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 6,8%. მაშინ, როცა 1990 წ. მრეწველობის ორივე სფეროში დასაქმებული იყო 559,8 ათასი ანუ 20,3% (ცხრ. 11). დღევანდელი რეალობის ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი ვაჭრობაზე მოდის. მაგრამ საცალო ობიექტების დიდი საწილის აღურიცხაობის გამო ვაჭრობასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებაში დასაქმებულთა ოფიციალური მაჩვენებლები მხოლოდ საკარაუდოა. ნათელია, რომ სამამულო წარმოების კრიზისმა და იმპორტის წახალისებამ გამოიწვია იმპორტული საქონლით ვაჭრობის ზრდა და მომსახურების სხვადასხვა დარგების განვითარება. მაგ., აღორძინებას იწყებს ტურისტული მომსახურება, რომელშიც საქმიანობის რამდენიმე სახეობაა (ტრანსპორტი, დასვენება, გართობა, სასტუმროები და რესტორნები) ჩართული. საქმიანობის სხვა სახეობებიდან (ცხ. 12), სადაც დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება, აღსანიშნავია განათლება (დასაქმებულთა 8,0%), სახელმწიფოს მართვა და სოციალური დაზღვევა (6,1%).

ცხრილი 12

დასაქმებულთა განაწილება საქმიანობის მიხედვით. 1999 წ.

საქმიანობის სახე	სულ		მათ შორის			
			ქალაქი		სოფელი	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა, თევზჭერა	906	52.3	101,3	14.5	804.7	77.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	6,1	0,4	2,8	0,4	3,3	0.3
გადამამუშავებელი მრეწველობა	111,5	6,4	82	11,8	29,5	2,9
ელექტროენერგიის, გაზ- და წყალმომარაგება	21	1,2	14	2	7	0,7
მშენებლობა	24,9	1,4	19,2	2,8	5,7	0,6
ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო საქონლის ტექნიკური მომსახურება	153,7	8,9	112,5	16,2	41,2	3,9
სასტუმროები და რესტორნები	15,4	0,9	11,8	1,7	3,6	0,3
ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა	68,6	4	51,9	7,4	16,7	1,6
საფინანსო შუამავლობა	10,9	0,6	8,6	1,2	2,3	0,3
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	40,3	2,3	31,5	4,5	8,8	0,8
სახელმწიფოს მართვა და თავდაცვა, საკალდებულო სოციალური დაზღვევა	106,4	6,1	73,6	10,6	21,8	3,2
განათლება	138,5	8	90	12,9	48,5	4,8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	77,9	4,5	57,8	8,3	20,1	1,9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება, კულტურა, გართობა, დასვენება	42,5	2,5	32,4	4,6	10,1	0,9
კერძო საოჯახო მეურნეობაში დაქირავებული მომსახურება	6,8	0,4	5,5	0,8	1,3	0,1
ექსტერიტორიული (საერთაშორისო) ორგანიზაციები	1,9	0,1	1,9	0,3	0	0
სულ	1732,4	100,0	696,8	100,0	1035,6	100,0

თუ ეკონომიკური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა უმუშევრად დარჩენილი ბევრი სპეციალისტის გადასვლას დაბალკვალიფიციურ, მაგრამ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე, ანუ მიმდინარეობდა მოსახლეობის დიდი ნაწილის პროფესიული ორიენტაციის შეცვლა ძირითადად სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის მიმართულებით, დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა და სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ, ფართო პროფილის სპეციალისტებზე. ასევე შეიმჩნევა მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. კერძოდ, მის მეხუთედზე მეტი (21%) კონცენტრირებულია დედაქალაქში, მეორე ადგილზეა იმერეთის მხარე – 19%. კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამეგრელოში – დაახლოებით 10-10%-ის ფარგლებშია, აჭარაში – 8%, სამცხე-ჯავახეთში – 4%.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება
რეგიონების მიხედვით (2000წ.)



2000 წ. ბოლოს დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული იყო 121705 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 116883 უმუშევარი (96,0%), რაც უმუშევრობის 6%-იან დონეს შეესაბამება. რასაკვირველია, ეს მაჩვენებელი არ ასახავს უმუშევრობის რეალურ სურათს. მასთან უფრო ახლოა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (სსდ) მიერ ჩატარებული შინამეურნეობების კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე 2000 წელს 11,1%-ს შეადგენდა. აქვე აღსანიშნავია მკვეთრი სხვაობები უმუშევრობის დონეებს შორის ქალაქად და სოფლად. იგი შესაბამისად შეადგენდა 19,5% და 3,3%. დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებული უმუშევრებიდან 52,3% ქალია; 30 წლამდე ასაკისაა 33,8%, ხოლო 22,3% – 50 წელს არის გადაცილებული.

მნიშვნელოვნად შეიცვალა უმუშევართა საკვალიფიკაციო სტრუქტურა. მცირდება სპეციალისტთა (უმაღლესდამთავრებულთა) რაოდენობა: თუ 1991 წ. ისინი შეადგენდნენ 90%-ს, 1995 წ. – 70%, 1998 წ. – 52%, ამჟამად მათი რაოდენობა 43%-ია. 2000 წ. ბოლოს შემწეობას 3 ათასამდე უმუშევარი იღებდა, რაც უმუშევართა საერთო რაოდენობის 2%-ია. ასეთი დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია შემწეობის სიმცირით; აგრეთვე დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიმართ უნდობლობით და მისგან ინფორმაციის უქონლობით.

2000 წ. ვაკანტური სამუშაო ადგილების რაოდენობა 1999 წ-თან შედარებით შემცირდა 22%-ით და 14396 ადგილი შეადგინა, შესაბამისად იმატა მათი დატვირთვის კოეფიციენტმაც (ერთ ვაკანტურ ადგილზე 1999 წ. მოდიოდა 3,5 უმუშევარი, ხოლო 2000 წ. – 8,1 უმუშევარი). როგორც დასაქმებულთა, ისე უმუშევართა ძირითადი მასა თავმოყრილია თბილისში. რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წილი უფრო მაღალია იმერეთის მხარეში – 25,5% (თბილისში – 18,0%), ხოლო ყველაზე დაბალი – მცხეთა-მთიანეთში – 0,6%. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიერ უმუშევართა 23% დასაქმდა იმერეთში, დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (15-17%) – თბილისში და აჭარაში, შემდეგ მოდის გურიის და სამცხე-ჯავახეთის მხარეები (7-7%). დანარჩენ რეგიონებში კი დასაქმდა საერთო რაოდენობის 6-დან 2%-მდე.

დასაქმების სამსახურის ძირითადი მაჩვენებლები (კაცი)



უმუშევრობამ დედაქალაქში, ქუთაისსა და გორში არაორგანიზებული შრომის ბირჟები წარმოშვა, სადაც სამუშაოს შოვნის იმედით თავს იყრიან სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულნი.

უმუშევრობის მაჩვენებლების გარდა, მოსახლეობის ცხოვრების დონის განსაზღვრისათვის იხმარება შემდეგი სოციალური ინდიკატორები: ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება, სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმე და სხვ.

მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე თანდათან მატულობს, განსაკუთრებით 1995 წ-დან (682 ლარი 1995 წ., 1340,5 ლარი 2000 წ.). 1997 წ-დან მოსახლეობის შემოსავლების რაოდენობასა და სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა. სსდ-ის მონაცემებით, ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლების სიდიდე 1996-99 წწ. უმნიშვნელოდ გაიზარდა და საშუალოდ შეადგინა 103,9 ლარი. მასში არაფულადი შემოსავლები 23,2%-ს შეადგენს. შემოსავლების სტრუქტურული ცვლილებები კი ასახავს ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ პროცესებს, კერძოდ, დაქირავებული შრომით დასაქმებულთა შემოსავლები სტაბილურად მზარდია. შემოსავლები თვითდასაქმებიდან ცვალებადია, უფრო კლების ტენდენციით, რაც მიუთითებს კერძო სექტორის არასტაბილურობაზე. შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან იზრდება, რაც ნიშნავს, რომ დარგი თანდათან სასაქონლო სახეს იძენს. უცხოეთიდან მიღებული გზავნილები და ახლობლებისაგან მიღებული ფულადი შემოსავლები მთელი პერიოდის მანძილზე სტაბილურია, რაც ქვეყნის ჯერ კიდევ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლები ქონებიდან (გაყიდვა, ფულის გასესხება ან დანაზოგის გამოყენება), რაც ბოლო პერიოდში ხელფასებისა და სხვა სახის გასაცემლების გადაკადებით ან შეფერხებებითაა გამოწვეული. რეგიონების მიხედვით შემოსავლები ძალიან არ განსხვავდება. ყველაზე დაბალი საშუალო შემოსავალი გურიასა და სამცხე-ჯავახეთში აღინიშნება.

ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა (ისეთმა ხელფასმა, რომელიც ყველა სხვა შემოსავალთან ერთად უზრუნველყოფდა საარსებო მინიმუმის დონეზე ოთხსულიანი ოჯახის უღეფიციტო ბიუჯეტს), ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის 2000 წ. ბოლოს შეადგინა 45,5 ლარი. საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა I (უდაბლესი) თანრიგის შესაბამისი ხელფასი ნორმატიული მინიმალური ხელფასის 43,9%-ია. უფრო მაღალია ხელფასები არასახელმწიფო სექტორში. დარგების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასით გამოირჩეა ფინანსებისა და საკრედიტო სფერო, მშენებლობა, ტრანსპორტი.

მთლიანად ეკონომიკაში მომუშავეთა საშუალო ხელფასი 2000 წ. I ნახევარში ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 65,8 ლარს. ყველაზე მაღალი იგი იყო ბოლნისის რაიონში – 138,8 ლარი, რაც გამოიწვია საწარმო "კვარციტის" ამუშავებამ, შემდეგ ფოთში 132,9 ლარი (ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს იქ მიმდინარე ახალმშენებლობები). ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი იყო მესტიის (17,0 ლარი) და მარტვილის რაიონებში (20,0 ლარი). აქედან ჩანს ამ მაჩვენებლის არამდგრადობა, როცა ერთი საწარმოს ამუშავებაც კი მნიშვნელოვნად ცვლის მის სიდიდეს.

მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას მკვეთრად აუარესებს პენსიონერთა დიდი არმიისათვის (923,7 ათასი პენსიონერი 1999 წ.) განკუთვნილი მეტად დაბალი

პენსიები (თვეში 14 ლარი), რაც ნორმატიული მინიმალური ხელფასის დაახლოებით მესამედი, ხოლო საარსებო მინიმუმის (110 ლარი შრომისუნარიანი მამაკაცისათვის) – მეშვიდედია. ამ მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი გზა შეიძლება თანამედროვე სადაზღვევო სისტემაზე გადასვლა გახდეს.

რაც შეეხება სიღარიბის დონეს ანუ ღარიბთა ხვედრით წილს მთელ მოსახლეობაში, ბოლო წლების საბიუჯეტო კრიზისმა ეს მაჩვენებელი 44,2%-დან (1997 წ.) 52,6%-მდე (2000 წ.) გაზარადა. აქედან, ქალაქად იგი შეადგენდა 58,9%-ს, ხოლო სოფლად 45,3%. თვით ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობის ერთ-ერთი განმსაზღრელია სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი ანუ ის საშუალო სიდიდე, რომლითაც ღარიბი ადამიანი დაშორებულია სიღარიბის ზღვარიდან. ეს მაჩვენებელი 1997 წ. იყო 15,9%, 2000 წ. დასაწყისში კი – 21%, რაც ნიშნავს, რომ ღარიბი მოსახლეობა კიდეე უფრო დაშორდა საარსებო მინიმუმს.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართალდარღვევები, რომელთა საერთო რიცხვმა 1990-99 წწ. 28%-ით იკლო, თუმცა იმატა მძიმე დანაშაულობათა საერთო რაოდენობამ (18%-ით), შემცირდა უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, მაგრამ გაიზარდა ავტოსაგზაო შემთხვევების და დაზარალებულთა რაოდენობა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სრულფასოვანი სურათის შექმნა საკმაოდ რთულია, აშკარაა, რომ იზრდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა.

განსახლება

საქართველო განსახლების უძველესი კერაა, რომელმაც ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მრავალმხრივი ტრანსფორმაცია განიცადა. იცვლებოდა როგორც დასახლებული პუნქტების რიცხოვნობა და მცხოვრებთა რაოდენობა, მათ მიერ ათვისებული ადგილების სამეურნეო საქმიანობის პროფილი და ამის შედეგად – დასახლებულობის სიკვრცე და ბუნებრივი გარემო, აგრეთვე დასახლების ფუნქცია, ფორმა, ტერიტორიული პარამეტრები, დაგეგმარების ხასიათი და არქიტექტურული იერსახე, კეთილმოწყობის დონე და სხვ.

ქვეყნის მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის თანამედროვე სურათს ქმნის არა მარტო სასოფლო, საქალაქო და სეზონური დასახლებების ქსელი, არამედ მათი ისტორიული „აჩრდილებიც" – ადრე არსებული და შემდგომში დაცლილ-გაუკაცრიელებული, ნანგრევებად ქცეული ნაქალაქარები, ნასოფლარები და ნამონასტრეკები, რომლებიც დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზების გამო (ამაოხრებელი ომები, ბუნებრივ-სტიქიური მოკლენები, ეკონომიკური დაცემა, გადასახლებები და სხვ.) კარგავდნენ დემოგრაფიული და სამეურნეო განვითარების უნარს.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოში ადრე საყოველთაოდ გავრცელებული დასახლების ტიპი – მონასტერი, როგორც ბერ-მონაზონთა, წინამძღვართა და სხვა სასულიერო პირთა მუდმივ საცხოვრებლად შექმნილი კომპაქტური დასახლება, რომელთა უმრავლესობაც, თავის დროზე, რელიგიურ-საგანმანათლებლო ცენტრის გარდა, მათი სამეურნეო ორგანიზაციის, საავადმყოფოს და დავრდომილთა თავშესაფარის როლსაც ასრულებდა. ვახუშტი ბაგრატიონი 120 მონასტერზე მეტს მოიხსენიებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი XVIII ს. დასაწყისისათვის უკვე გაუკაცრიელებული იყო. სამონასტრო კომპლექსების დიდი რაოდენობით შენების ფაქტი (მათი ნაშთები დღესაც ბევრგანაა შემორჩენილი) ქვეყანაში ასეთი სპეციფიკური ტიპის დასახლების მნიშვნელობასა და საკმაო გავრცელებაზე მეტყველებს.

განსახლების ფორმირების ძირითადი ფაქტორები

საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის დამკვიდრება და გეოგრაფიული განაწილება გამოწვეული იყო რამდენიმე ძირითადი ფაქტორით. პირველ რიგში, ეს

ეხება *ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორს*, ვინაიდან განსახლების ქსელის კონტურები ქვეყნის ბუნებრივი მრავალფეროვნების ანარეკლია. კერძოდ, მთიანი რელიეფის სიჭარბემ (მასზე მოდის საერთო ფართობის 2/3), მოსახლეობის ვერტიკალური გავრცელების დიდი ამპლიტუდა (ზ.დ. 0-2400 მ) და მთათაშორის ბარის ზონაში განსახლების მთავარი კერის წარმოქმნა განაპირობა.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, საქართველოში წარმოდგენილია დედამიწის თითქმის ყველა ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონა – სუბტროპიკული სარტყლიდან დაწყებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით დამთავრებული. განსახლების არეალები კი განლაგებულია ვაკე-დაბლობებში, გორაკ-ბორცვებზე, მთის ფერდობებსა და პლატოებზე, ზეგნებსა და ქვაბულებში ანუ იმ ადგილებში, სადაც არსებობს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოებისათვის ხელსაყრელი, აგრეთვე. საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობისათვის გამოსადეგი ტერიტორიები. მათ შორის უნდა აღინიშნოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი, კოლხეთის დაბლობი, შიდა და ქვემო ქართლის, ალაზნის ვაკეები, იმერეთის მაღლობი, ჯავახეთის და ივრის ზეგნები, ახალციხის, წალკის, თბილისის, ერწოს, თიანეთის ქვაბულები, მდინარეთა ბეკერი ხეობა და სხვ.

მიწის რესურსების და რელიეფური ფაქტორის გარდა, ხშირ შემთხვევაში, დასახლებების შექმნა დაკავშირებული იყო მინერალური, ენერგეტიკული, აგროკლიმატური, რეკრეაციული რესურსების გამოყენებასთან. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს საქალაქო დასახლებების 1/3-ზე მეტი სწორედ მათ ბაზაზე (ჭიათურა, ტყიბული, ტყვარჩელი, ვალე, კვაისა, კაზრეთი, ბაკურიანის ანდეზიტი, სიონი, ჟინვალი, ზაპესი, ჯვარი, ლაჯანურ.ჰესი, ურეკი, ლაითური, ჩაქვი, აბასთუმანი, ბორჯომი, ბიჭვინთა, გაგრა და სხვ.) განვითარდა (Нейдзе, 1975).

ეკონომიკური ანუ საწარმოო ფაქტორი – საქართველოს დასახლებული პუნქტების აღმოცენების, დემოგრაფიული და ტერიტორიული განვითარების უმთავრესი განმსაზღვრელია. ჩვენთან, განსახლების დომინირებული ტიპია სოფელი – ქვეყნის, როგორც მიწათმოქმედების ერთ-ერთი ისტორიული კერის და მრავალსაუკუნოვანი აგრარული მეურნეობის განვითარების სამოსახლო შედეგი. თანამედროვე სასოფლო განსახლების ძირითადი სარტყელი 0-800 მ ფარგლებშია მოქცეული და იგი უპირველესად ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი დარგის – მემცენარეობის გავრცელების არეალს თანხვდება. ამ სივრცეშია განლაგებული მთელი სოფლების 3/5, სადაც სოფლის მოსახლეობის 86% ცხოვრობს.

საქართველოს მოსახლეობის კონცენტრაციის და ურბანიზაციის მთავარი სტიმულატორის – მრეწველობის განვითარებას საბჭოთა პერიოდში წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. ერთი მხრივ, მან ხელი შეუწყო პოზიტიურ პროცესს – შექმნა საქალაქო განსახლების ძირითადი ჩონჩხი და გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის განუხრელი ზრდა, ხოლო მეორე მხრივ, მსხვილი სამრეწველო ობიექტების

თბილისში თავმოყრამ პატარა ქვეყნის დედაქალაქი „მილიონერად“ აქცია და მას ტერიტორიული და დემოგრაფიული მონსტრის სახე შესძინა.

დასახლებული პუნქტების თანამედროვე ქსელის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა ტრანსპორტმა, რომლის განვითარება რეალურად XIX ს-ში, რკინიგზების მშენებლობის პერიოდიდან დაიწყო. თბილისი მაშინ დაუკავშირდა ფოთს, ბათუმს, შემდეგ თელავს და მაგისტრალურ ხაზებზე შეიქმნა გორის, ქარელის, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, სენაკის, გურჯაანის და სხვა სადგურები. სარკინიგზო ხაზების გასწვრივ მოსახლეობის კონცენტრაცია გამოიწვია აგრეთვე რკინიგზის გაყვანამ ისეთ პუნქტებამდე, როგორიცაა ჭიათურა, ტყიბული, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, გაგრა, ბორჯომი, ახალციხე, ცხინვალი, მარნეული და სხვ.

ქვეყნის განსახლების ქსელის ჩამოყალიბებაში მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობა. XX ს. 60-იანი წლებიდან, რომელიც „ავტომობილიზაციის ბუმის“ საწყის პერიოდს ემთხვევა, დაიწყო გზატკეცილების გასწვრივ მდებარე მონაკვეთების ხაზობრივი სასოფლო განაშენიანება. მთის სოფლებიდან ჩამოსახლებულთა ხარჯზე განსაკუთრებით სწრაფად შეიცვალა განსახლების სურათი საქართველოს სამხედრო გზის პირას, არაგვის ხეობაში. ცელილება განიცადა კოლხეთის დაბლობის, კახეთის, ქართლის დასახლებულმა ტერიტორიებმაც, სადაც ბევრი სოფელი ავტომაგისტრალების გასწვრივ გაწელილი და ერთმანეთთან გადაბმული, უწყვეტი განსახლების ზოლად იქცა.

ისტორიული პროცესების კვალი საქართველოს ტერიტორიის დასახლებულობის სხვადასხვა სპექტრის განმსაზღვრელია. სოფლად დღესაც ბევრგან შემონახულია ცალკეული, განსაკუთრებით მთის კუთხეებისათვის დამახასიათებელი ეთნოგეოგრაფიული ნიშნები (სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი და სხვ.). განსახლებისათვის დამახასიათებელი თავისებურება – ინერციულობა, რაც არსებული დასახლებული პუნქტის ხანგრძლივი შენარჩუნების უნარსა და თანდათანობით ნელი შეცვლის ტენდენციაში იჩენს თავის, კარგად ჩანს საქართველოს ისტორიულ რუკაზე. განსახლების ტერიტორიული კონფიგურაცია ძირითადად იმეორებს იმ კონტურებს, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალურ, ხოლო შემდეგ XIX ს-ში, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პერიოდში შეიქმნა. ამასთან, მაშინდელ სატრანსპორტო ქსელში აღმოცენებული კვანძები განსახლების თანამედროვე კარკასში „მეთაურ“ ქალაქებად ჩამოყალიბდა.

ისტორიულ ფაქტორში ასევე თავისთავად ჩადებულია განსახლების ყოფილი კერების „გაცოცხლების“ ტენდენცია. იგი ეფუძნება ძველი სოფლების ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციას, რელიგიური მრწამსის და სამეურნეო სივრცის აღორძინებას. ასევე იგი განხორციელებადია ქალაქის

მოსახლეობის ნაწილის მშობლიურ ადგილებში დაბრუნების შემთხვევაშიც, რასაც საფუძვლად უდევს „მეორე საცხოვრებლის" შექმნის სურვილი და შესაძლებლობა.

ქვეყნის განსახლებაზე *ეკოლოგიური ფაქტორის* ზემოქმედებამ განსაკუთრებით იჩინა თავი XX საუკუნეში. რაჭაში, კახეთსა და სხვა მხარეებში გავრცელებულ მეწყრულ და ღვარცოფულ მოვლენებს პერიოდულად შეჰქონდათ „შესწორებები" სასოფლო განსახლების სურათში. რიგი ჭარბტენიანი, გაუდაბნოებული და განსახლებისათვის ადრე გამოყენებული (მალარიის კერების, არიდული კლიმატის, მაღალი ტენიანობის და სხვა არაკომფორტული საცხოვრებელი პირობების გამო) ტერიტორიების ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების შედეგად კოლხეთის, გარე კახეთის, ქართლის მელიორირებულ მიწებზე შეიქმნა ახალი სოფლები.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში გახშირებულმა ბუნების სტიქიურმა დამანგრეველმა პროცესებმა (მიწისძვრები, თოვლის ზვავები, წყალმოვარდნები, ღვარცოფები, მეწყერები და სხვ.) გამოიწვია მოსახლეობის საგრძნობი შემცირება კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე (რაჭა, სვანეთი, ლიახვის ზემო წელი), შიდა აჭარასა და კოლხეთის დაბლობზე, კერძოდ კი, საჭირო გახდა მათი გადასახლება ქვეყნის სხვა რაიონებში. ამ მოვლენებმა გამოიწვია კატასტროფების ზონებში მოხვედრილი სოფლების ტერიტორიული ტრანსფორმაცია, ზოგან გაუკაცრიელებაც, ხოლო რიგ ადგილებში (დმანისის, გარდაბნის, ახალქალაქის რაიონები) ახალი სოფლების აღმოცენება.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება და სიმჭიდროვე

ამგვარად, მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ უთანაბროდაა განლაგებული. იგი ვლინდება როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული (ჰიფსომეტრიული, რელიეფური, ნიადაგ-კლიმატური პირობები, ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირე, ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვ.), ისე სახოგადოებრივ-გეოგრაფიული (დემოგრაფიული ტევადობა, სამეურნეო პოტენციალი, წარმოების პირობები, ურბანიზებულობის დონე და სხვ.) შინაარსის განსხვავებულ მახასიათებლებში.

საქართველოს ტერიტორია სამ ძირითად ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონად (მთათაშორისი ბარი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მთიანი ზონები) იყოფა, სადაც მთის საზღვარი პირობითია. 1989 წ. აღწერის მონაცემებით, მთათაშორის ბარში მთელი მოსახლეობის 88,1% ცხოვრობდა, სამხრეთ მთიან ზონაში – 8,0%, ხოლო ჩრდილოეთ მთიან ზონაში – მხოლოდ 3,9% (ჯაოშვილი, 1996). სამხრეთ მთიანეთის დემოგრაფიული უპირატესობა ჩრდილოეთთან შედარებით განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ა) ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის უკეთესი ბუნებრივი პირობებით; ბ) მიგრაციის უფრო ზომიერი უარყოფითი სალდო კომპენსი-

რებულია მთიანი აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, წალკის და დმანისის რაიონების მოსახლეობის გამორჩეულად მაღალი ბუნებრივი მატებით; გ) უკეთესი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით და სატრანსპორტო კავშირების არსებობით რეგიონებს შორის და საზღვარგარეთთან (თურქეთი, სომხეთი).

საქართველოში განსახლების ზედა ზღვარი ზ.დ. 2400 მ-მდეა (ამ სიმაღლეზეა ყაზბეგის რაიონში თრუსოს ხეობის სოფელი რესი). ჰიფსომეტრიული საფეხურების მიხედვით, რომლებიც პირობითად ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონებთან არის შეჯერებული, მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდება (ცხრ.1, წყარო: ვლადიმიროვი ..., 1962; ჯაოშვილი, 1996):

ცხრილი 1

მოსახლეობის განაწილება სიმაღლითი საფეხურების მიხედვით (1989 წ.)

სიმაღლითი საფეხური	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ტერიტორია		მოსახლეობის რიცხოვნობა	
		კმ²	%	ათასი კაცი	%
ბარის	0-800	26569	38,2	4848,4	89,1
დაბალმთიანი	801-1200	10839	15,6	315,3	5,8
საშუალო მთიანი	1201-1800	14365	20,7	228,4	4,2
მაღალმთიანი	1801-2400	11065	15,9	51,2	0,9
დაუსახლებელი	2401-5201	6656	9,6	–	–
საქართველო – სულ	0-5201	69494	100,0	5443,3	100,0

ქვეყნის მოსახლეობის საფეხურებრივ განაწილებაზე, ჰაეასა და ჰიფსომეტრიულ პარამეტრებთან ერთად, დიდი გავლენა აქვს რელიეფის დანაწევრებულობას, ზედაპირის დახრილობასა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაქუცმაცებულობას. მაღალმთიან ზონასთან შედარებით, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 0,9% ცხოვრობს და ბევრი ნასოფლარია შემორჩენილი, ცხოვრების სავსებით ასატანი ბუნებრივი პირობებია საშუალომთიან ზონაში, რომელიც რელიეფის ნაკლები დანაწევრებით გამოირჩევა. იგი ძირითადად წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოს მთიანეთით, სადაც ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დამუშავებისათვის ვარგის მიწებს უკავია. განსახლების და სამეურნეო საქმიანობის უკეთესი პირობებია დაბალთმთიან ზონაში, სადაც ზედა ზონებთან შედარებით, რელიეფის დანაწევრება და ფერდობების დახრილობა ნაკლებია, ხეობები კი – ფართო. ფაქტობრივად, ეს არის მთიდან ბარისაკენ გარდამავალი ეკონომიკური ზონა, სადაც მეცხოველეობასთან ერთად თანაბრად განვითარებულია მიწათმოქმედებაც და თანაც,

მდიდარია რეკრეაციული რესურსებით. ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 9/10 ბარის ზონაში (ზ.დ. 800 მ-მდე) ცხოვრობს. იგი განედური მიმართულებით ვრცელდება ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიან ზონებს შორის განლაგებულ ვაკეებზე, ზღვისპირა დაბლობებზე, მთისწინა გორაკ-ბორცვებზე, დაბალ ზეგნებსა და ქვაბულებში და წარმოადგენს საქართველოს განსახლების სისტემის მთავარ ღერძს.

საქართველოს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის ზუსტი განსაზღვრა დღევანდელი ტერიტორიული დაქუცმაცების და დემოგრაფიული სურათის გაურკვევლობის პირობებში შეუძლებელია. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი 2000 წლისათვის (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გათვალისწინებით) 63,9 კაცით უნდა განისაზღვროს. თუ 1989 წ. მონაცემებით ვიმსჯელებთ, ეს მაჩვენებელი (78,3 კაცი 1 კმ²-ზე) თითქმის 2-ჯერ აღემატება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (40 კაცი 1 კმ²-ზე), რომელიც ამავე დროს ქვეყნების სიმჭიდროვის საშუალო მახასიათებლადაა მიჩნეული. სიმჭიდროვის მიხედვით, ევროპის ქვეყნებიდან საქართველოსთან ყველაზე ახლოს დგანან ესპანეთი (78) და საბერძნეთი (75), თუმცა მათი ტერიტორიის ფართობი და მოსახლეობის რიცხოვნობა საგრძნობლად განსხვავებულია. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ფართობის სიდიდით საქართველოს უახლოვდება (პანამა – 77 ათასი კმ², სიერა-ლეონე – 72,0, ირლანდია – 70,0, შრი-ლანკა – 66,0, ლიტვა – 65,0, ლატვია – 64,0), სიმჭიდროვის მაჩვენებლით მას მხოლოდ შრი-ლანკა (თანაც დიდად – 262 კაცი 1 კმ²-ზე) უსწრებს.

სიმჭიდროვის არასტანდარტული განსაზღვრისათვის „მთელი ტერიტორიის" და „მთელი მოსახლეობის" ნაცვლად იყენებენ „დასახლებულ ტერიტორიას" (მიწები, რომელზედაც ცხოვრობს ადამიანი და ამასთან, ინტენსიურ სამეურნეო ბრუნვაშია მოქცეული) და „სოფლის მოსახლეობას", ვინაიდან ისინი უფრო სიღრმისეულად ასახავენ სიმჭიდროვის სპეციფიკას როგორც ეროვნული, ისე რეგიონული მასშტაბით. აღნიშნული მაჩვენებლები (იხ.ცხრ.2, ჯაოშვილი, 1996) უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს მოსახლეობის განსახლების დემოგრაფიულ თავისებურებებზე და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ჩვენი ისტორიული კუთხეების ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მრავალფეროვნებასა და კონტრასტულობას.

სამეურნეო თვალსაზრისით, ყველაზე ათვისებულია სამეგრელო, იმერეთი, შიდა და ქვემო ქართლი, გურია, ჯავახეთი, სადაც დასახლებული ტერიტორიების ხვედრითი წილი მთელ ფართობებში 41-დან 61%-მდეა; ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით საშუალო ეროვნულ მაჩვენებელს აჭარბებს აჭარა (135,4 კაცი 1 კმ²-ზე), იმერეთი (121,5), ქვემო ქართლი (95,0), სამეგრელო (93,5), შიდა ქართლი (83,5). განსაკუთრებით მაღალია სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე (73-დან 53 კაცამდე) ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან (34,6 კაცი მთელი ტერიტორიის 1 კმ²-ზე) შედარებით კოლხეთის (აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი) და ქვემო ქართლის რეგიონებში. დასახლებულობის და მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე

მოსახლეობის სიმჭიდროვე
ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მიხედვით (1989 წ.)

მხარე	მიწული ფართობი, კმ²	დასახლებული ტერიტორიის ფართობი, კმ²	დასახლებული ტერიტორიის ჯამურ წილი ზემელ ფართობში, %	სიმჭიდროვე მიწელ ტერიტორიაზე (კაცი)		სიმჭიდროვე დასახლებულ ტერიტორიაზე (კაცი)	
				მიწელი მოსახლეობის	სოფლის მოსახლეობის	მიწელი მოსახლეობის	სოფლის მოსახლეობის
ზემო ქართლი	5113,6	2438,0	47,7	83,5	48,1	175,1	100,9
ქვემო ქართლი	6449,3	3011,0	46,7	95,0	52,8	203,5	113,1
თბილისი	360,0	360,0	100,0	3509,0	–	3509,0	–
კახეთი	11508,8	3650,7	31,7	38,4	29,6	121,2	93,2
სამცხე	2654,5	682,5	25,7	33,6	19,1	130,8	74,5
ჯავახეთი	2590,2	1065,4	41,1	41,8	32,8	101,5	79,7
აღმოსავლეთ კავკასიონი	4969,6	915,0	18,4	11,8	7,6	64,4	36,1
ზემო ქართლის ჩრდ. მთიანი ნაწილი	3850,0	1045,0	27,1	25,7	12,7	94,8	12,7
იმერეთი	6356,3	3273,5	51,5	121,5	56,0	236,0	108,8
სამეგრელო	4400,1	2686,2	61,0	93,3	54,9	152,9	89,9
აფხაზეთი	2042,4	877,6	43,0	77,6	55,3	180,6	128,8
რაჭა-ლეჩხუმი	3223,8	578,0	17,9	14,4	11,2	80,6	62,4
სვანეთი	4410,9	249,2	5,6	5,9	4,8	104,3	85,1
აფშაზეთი	8664,5	2875,3	33,2	61,8	32,3	186,3	97,1
აჭარა	2900,0	881,9	30,4	135,4	72,7	445,3	239,2
საქართველო სულ	69494,0	24589,3	35,4	78,3	34,6	221,4	97,9

დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩეა ჩრდილოეთი მთიანი ზონა, კერძოდ, სვანეთი, აღმოსავლეთ კავკასიონი და რაჭა-ლეჩხუმი, სადაც დეპოპულაციის პროცესს დაჩქარებული და შეუქცევადი ხასიათი აქვს.

მოსახლეობის მთიდან ბარში ჩამოსახლებასთან ერთად, გამოიკვეთა დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ ლტოლვის ტენდენცია. დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში, მთელი მოსახლეობის და სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე აღმოსავლეთ რაიონებში, დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, უფრო სწრაფად მატულობდა. აღნიშნულ პროცესს საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით შეუწყო ხელი თბილისის, როგორც დედაქალაქის და მთავარი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის შეუჩერებელმა დემოგრაფიულმა ზრდამ მთელი ქვეყნის და, მათ შორის, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე. დღევანდელ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როცა არსებობს დევნილთა და შრომაში დაუსაქმებელთა მრავალათასიანი კონტინგენტები, თბილისის ცენტრისკენული ძალა კიდევ უფრო იზრდება ქვეყნის მოსახლეობის დეკონცენტრაციის საპირისპიროდ და საზიანოდ.

საქართველოში განსახლების სივრცითი განვითარების და ტერიტორიის დემოგრაფიული ათვისების ერთ-ერთი თვალსაჩინო სტატისტიკური მაჩვენებელია სოფლების რაოდენობა, რომელსაც დასახლებული პუნქტების საერთო ქსელში (4591 პუნქტი) დომინირებული მდგომარეობა (97,5%) უკავია. დასახლების ამ ფორმას, რომელიც საუკუნეების მანძილზე, შესაბამის გეოგრაფიულ პირობებში და ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბაზაზე იქმნებოდა და ვითარდებოდა, დიდი ისტორიული მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებს. თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში, სოფლების რაოდენობა 4.4–4,9 ათასი ერთეულის ფარგლებში მერყეობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიცხვის ცვალებადობა, გარკვეულწილად, სოფლების დაცლასა და ახალ მშენებლობასთან ერთად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ხასიათის ექსპერიმენტებით და განსხვავებული აღრიცხვითაც იყო გამოწვეული. იგულისხმება სოფლების დაბებად გარდაქმნა, სოფლების ტერიტორიული შეზრდა ან გამოყოფა (მათ შორის უბნების ცალკე სოფლებად გამოცხადება) და სხვ.

გასულ საუკუნეში მიმდინარე რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ნაწილობრივ, ეკოლოგიურმა პროცესებმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა სასოფლო განსახლების სურათზე. თანდათან მცირდებოდა არა მარტო სოფლების რიცხვი, არამედ, უფრო არსებითად – სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში, რომელიც 77,8%-დან (1926 წ.) 42,2%-მდე (2000 წ.) შემცირდა. მართალია, სოფლების საერთო რიცხვის შემცირების ფონზე, კოლხეთის ამოშრობილ მიწებზე, გარდაბნის (ყოფილი სამგორის), მარნეულის რაიონებში, აფხაზეთში და სხვა ადგილებში გადასახლების, საბჭოთა მეურნეობების და რეკრეაციის განვითარების ბაზაზე იქმნებოდა ახალი სასოფლო დასახლებებიც; მაგრამ 1926-89 წწ-ში 408 (ფაქტობრივად 571) ერთეულით შემცირება „განსახლების არეალის საგრძნობ შეზღუდვას ნიშნავს და მეტად უარყოფით შეფასებას იმსახურებს" (ჯაოშვილი, 1996).

საქართველოს, როგორც ზღვისპირა და მთაგორიან ქვეყანას, სასოფლო განსახლების რიგი თავისებურებები გააჩნია. კერძოდ, დასახლებული პუნქტები, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ტერიტორიული გავრცელების დიდი უთანაბრობით ხასიათდება. ასევე დიდი სხვაობებია სოფლების ხალხმრავლობასა და სამეურნეო პოტენციალებში, სამოსახლო და სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ფართობებში, სატრანსპორტო კავშირების ინტენსიურობასა და საგზაო ქსელით უზრუნველყოფაში, მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრების მიმართ მდებარეობაში და ა.შ.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერით, ქვეყანაში 4477 სოფელი (მათ შორის 4314 დასახლებული და 163 დაცლილი) აღირიცხა. ჰიფსომეტრიული საფეხურების

მიხედვით დასახლებული სოფლები შემდეგნაირად იყო განლაგებული: ზ.დ. 500 მ-მდე – 1619 ანუ სოფლების მთელი რაოდენობის 39,2%; 501-1000 მ-მდე – 1259 (29,2%); 1001-1500 მ-მდე – 820 (19,0%); 1501-2000 მ-მდე – 487 (11,3%); ხოლო 2000 მ ზევით – 57 სოფელი (1,6%).

ცხრილი 3

სხვადასხვა სიდიდის სოფლებში მოსახლეობის განაწილების დინამიკა

სოფლების კატეგორია ხალხმრავლობის მიხედვით	სოფლების რაოდენობა				მოსახლეობის რიცხოვნობა			
	აბსოლუტური		%		ათასი კაცი		%	
	1959 წ.	1989 წ.	1959 წ.	1989 წ.	1959 წ.	1989 წ.	1959 წ.	1989 წ.
წვრილი – 100-მდე კაცი	1155	1199	24,1	27,8	60,2	49,9	2,6	2,1
პატარა – 101-200-მდე	788	576	16,4	13,3	114,9	84,2	5,0	3,5
საშუალო – 201-500-მდე	1389	1113	29,0	25,8	462,4	375,3	20,1	15,6
მოზრდილი – 501-1000-მდე	890	747	18,6	17,3	615,6	531,2	26,8	22,0
დიდი – 1001-2000-მდე	412	453	8,6	10,5	559,1	632,4	24,3	26,2
მსხვილი – 2001-5000-მდე	144	205	3,0	4,8	411,5	598,0	17,9	24,8
უმსხვილესი – 5000-ზე მეტი	12	21	0,3	0,5	77,0	138,5	3,3	5,8
სულ	4790	4314	100,0	100,0	2300,7	2409,5	100,0	100,0

ქვეყნის სასოფლო განსახლებაში ჭარბობს (27,8%) წვრილი სოფლები, სადაც თითოეულში 100 კაცზე ნაკლები მოსახლეა და 1 დასახლების საშუალო ხალხმრავლობა 41,6 კაცს შეადგენს. მათი დიდი უმრავლესობა თავმოყრილია მთიან (დუშეთის, თიანეთის, ახალგორის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, ონის, ამბროლაურის და სხვ.) რაიონებსა და ცხინვალის რეგიონში, სადაც დეპოპულაციას დიდი ხანია შეუქცევადი ხასიათი აქვს. კერძოდ, 1959 წ-თან შედარებით, 1989 წ. (ცხრ.3) ამ სოფლების რაოდენობის ზრდასთან ერთად (44 ერთეულით), მასში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 10,3 ათასი კაცით, ხვედრითი წილი ქვეყნის სოფლის მთელ მოსახლეობაში 0,5%-ით, ხოლო საშუალო ხალხმრავლობა 10,5 კაცით შემცირდა.

ბევრია პატარა (101-200-მდე მცხოვრები) და საშუალო (201-500-მდე) სიდიდის სოფლების რიცხვიც, რომელთა საერთო ხვედრითი წილი მთელ სასოფლო დასახლებებში 39,1%-ს შეადგენს, თუმცა იქ ქვეყნის სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 19,1% ცხოვრობს. მცხოვრებთა ნახევარზე მეტი – 51% მთათაშორისი ბარის ზონის დიდ (1001-2000-მდე) და მსხვილ (2001-5000-მდე) სოფლებში სახლობს. 1959-89 წწ.

მანძილზე მათი მოსახლეობა 259,9 ათასი კაცით გაიზარდა, ხოლო პატარა, საშუალო და ხალხმრავლობის ნაკლებად მდგრადი ტენდენციის მქონე მოზრდილი (501-1000-მდე) სოფლების – 202,2 ათასი კაცით შემცირდა.

იმისდა მიუხედავად, რომ წლების მანძილზე უმსხვილესი (5000-ზე მეტი მცხოვრებით) სოფლების ნაწილი (გურჯაანი, ყვარელი, ბოლნისი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, ქარელი და სხვ.) საქალაქო დასახლებების რანგში გადადიოდა, მათი რიცხვი მატულობდა. ასე, მაგალითად, თუ 1926 წ. მხოლოდ 7 ასეთი სოფელი (დიდი ჯიხაიში – ყველაზე დიდი – 6,6 ათასი მცხოვრებით, ფარცხანაყანები, ველისციხე, კარდანახი, შილდა, ანაგა, მარტყოფი) იყო, რომელთა სასოფლო სტატუსი არ შეცვლილა, 1989 წ. ეს რიცხვი 21-მდე გაიზარდა. მათ შორის 3 – დიღომი (მცხეთის რ-ნი), ახალსოფელი (ყვარელის რ-ნი) და სადახლო (მარნეულის რ-ნი) ცალ-ცალკე 8 ათას კაცზე მეტ მოსახლეს ითვლიდა.

სასოფლო დასახლებული პუნქტების ხალხმრავლობის საშუალო სიდიდე ქვეყანაში 558,5 კაცს შეადგენდა ანუ დაახლოებით მოზრდილ სოფელს უტოლდებოდა; ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა: კახეთის 1 სოფლის საშუალო სიდიდე შეადგენდა 1272 კაცს, ქვემო ქართლის – 1013, ჯავახეთის – 893, სამეგრელოს – 696, იმერეთის – 676, ხოლო ყველაზე ნაკლები იყო სვანეთსა (119) და აღმოსავლეთ კავკასიონში (19).

სოფლების სიმრავლით დუშეთის რაიონი გამოირჩევა, სადაც ოფიციალურად აღრიცხულია 273, მათ შორის 260 დასახლებული და 13 დაცლილი სოფელი. დასახლებული სოფლების რაოდენობით აღსანიშნავია აგრეთვე გორის (131) და მესტიის (121) რაიონები. თუმცა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა საგრძნობლად განსხვავებულია: გორის სოფლებისათვის იგი შეადგენდა 623,5 კაცს, ხოლო ძირითადად წვრილსოფლებიან დუშეთის და მესტიის რაიონებში – შესაბამისად 88,7 და 98,7 კაცს. სოფლების რაოდენობა ყველაზე მცირეა დედოფლისწყაროს (15), ყვარელის (16) და ასპინძის (19) რაიონებში. მაგრამ კახეთის კომპაქტურად განაშენიანებული სოფლებისათვის საშუალო ხალხმრავლობის მაღალი მაჩვენებელია დამახასიათებელი (ყვარელის რ-ნი – 1959,3, დედოფლისწყაროს რ-ნი – 1747,9 კაცი).

სასოფლო დასახლებების ცხოველმყოფელობა მათი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზეა დამოკიდებული. საქართველოს სოფლების დიდი უმრავლესობა აგროწარმოების საფუძველზეა აღმოცენებული და განვითარებული, თუმცა ბუნებრივი და ისტორიული პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე, ისინი სხვადახვა სასოფლო-სამეურნეო პროფილის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს. მართალია, ქვეყანაში იშვიათია სოფელი, სადაც მეტ-ნაკლებად რომ არ მოჰყავდეთ მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, არ მისდევდნენ მეცხოველეობას და, განსა-

კუთრებით, მეფრინველეობას. მაგრამ ბევრ შემთხვევაში, ისინი სპეციალიზებულია რომელიმე დარგზე, რაც საქართველოს სოფლის ფუნქციურ მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ფუნქციური ტიპოლოგიის მიხედვით განასხვავებენ: *მევენახეობა-მემინდვრეობის* (ძირითადად კახეთი, შუა და ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმის ბარის ნაწილი), *მებაღეობა-მემინდვრეობის* (შიდა ქართლი, სამცხე, იმერეთი, ლეჩხუმი), *სუბტროპიკული მეურნეობის* (აფხაზეთი, ზღვისპირა აჭარა, გურია-სამეგრელო, ქვემო იმერეთი), *მემინდვრეობა-მეცხოველეობის* (მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მეღორეობის, მეცხვარეობის სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი სოფლები, რომლებიც თითქმის ყველა მხარეშია გაბნეული), *მეცხოველეობის* (შიდა აჭარა, სვანეთი, ზემო რაჭა, აღმოსავლეთი კავკასიონი, ჯავახეთი, თრიალეთი), *საგარეუბნო* (დიდი ქალაქების ახლოს განლაგებული მალფუჭებადი სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი სოფლები) ტიპის სასოფლო დასახლებებს (ჯაოშვილი, 1968). ქვეყნის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XXI საუკუნეში არ გამორიცხავს, რომ სოფლის მოსახლეობამ გარკვეულ ადგილებში შეცვალოს სამეურნეო საქმიანობის პროფილი. ეს კი შესაბამის ასახვას ჰპოვებს როგორც სოფლების რაოდენობის და ხალხმრავლობის მაჩვენებლებსა, ისე მათი ფუნქციების შინაარსობრივ მახასიათებლებში.

სასოფლო განსახლების არეალს განეკუთვნება აგრეთვე XX ს. 80-იან წლებში ქალაქის მოსახლეობისათვის გამოყოფილი საბაღე-საბოსტნე ნაკვეთების ბაზაზე შექმნილი ოფიციალური სტატუსის არმქონე *საგარაკო დასახლებები,* რომლებიც განსაკუთრებით ფართო ქსელითაა წარმოდგენილი სადედაქალაქო რეგიონის გარშემო. ადმინისტრაციული სტატუსი არ გააჩნია იზოლირებულად განვითარებულ სამთო-კლიმატურ და ბალნეოკლიმატურ სეზონურ კურორტებსაც (ბახმარო, შოვი, ლებარდე, ბეშუმი, საირმე, გომისმთა, ცისკარა, ზეკარი, ავადხარა, მუაში, კვერეთი და სხვ.), რომლებიც ზაფხულობით ბევრ დამსვენებელს იზიდავს, ზამთარში კი ცარიელდება.

საქალაქო განსახლება

განსახლების მეორე გავრცელებული და სწრაფმზარდი ფორმა – ქალაქი, საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი. მრავალი მათგანის (ვანი, უფლისციხე, დიოსკურია–სოხუმი, პიტიუნტი–ბიჭვინთა, ფაზისი–ფოთი, არქეოპოლისი–ციხე-გოჯი, სამშვილდე, უჯარმა, ოძრხე, თმოგვი, ვარდციხე, ახალგორი,

გრემი, ხორნაბუჯი, დმანისი და სხვ.) შესახებ არსებული ლიტერატურული და არქეოლოგიური მასალა ქართველთა საქალაქო ცხოვრების, თავდაცვისუნარიანობის, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. ბევრი ისტორიული ქალაქი (მცხეთა, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, გორი, თელავი, ცხინვალი, ზუგდიდი, დუშეთი, სიღნაღი, ახალციხე, ახალქალაქი და სხვ.) კი დღესაც ურბანიზაციის მნიშვნელოვან საკვანძო ცენტრს წარმოადგენს.

ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებული 114 საქალაქო დასახლებიდან 62 ქალაქი და 52 დაბაა*, რომელთა საერთო მოსახლეობა (1989 წ. აღწერის მიხედვით) 3 მლნ კაცს აღემატებოდა. XX ს-ში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში ქალაქის სტატუსი ენიჭებოდა დასახლებას, რომლის მოსახლეობა 5 ათასზე ნაკლები არ იყო და მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა (ოჯახის წევრებთან ერთად) საერთო რაოდენობა მთელი მოსახლეობის 3/4 აღწევდა. ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებისათვის ანუ დაბისათვის დადგენილი დემოგრაფიული ზღვარი 2 ათას კაცს აღემატებოდა. მაგრამ ხალხმრავლობის აღნიშნული კრიტერიუმები ყოველთვის არ სრულდებოდა და დაშვებული იყო გამონაკლისიც (მაგალითად, ქალაქები – ხობი, ცაგერი, წნორი, ახალი ათონი, დაბები – ლენტეხი, ფასანაური, შუახევი, ხულო, ყორნისი, მიუსერა, თამარისი და სხვ.), რაც ურბანიზაციის გამოვლინების „სოციალისტურ" ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს.

საქალაქო დასახლებების ქსელის სურათი, რომელიც ვლინდება პუნქტების სიხშირის, ტერიტორიის სიდიდის და კონფიგურაციის, განაშენიანების კომპაქტურობის, ვერტიკალური გავრცელების თუ სხვა გეოურბანისტულ მაჩვენებლებში, ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-პოლიტიკური თავისებურებების ანარეკლს წარმოადგენს. ქალაქების და დაბების 35%-ზე მეტი ზ.დ. 200 მ-მდე, ძირითადად კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული. პუნქტების სიმრავლით გამოირჩევა აგრეთვე 501-1000 მ-იანი ჰიფსომეტრიული სარტყელი, რომელშიც დასახლებების 30%-მდეა მოქცეული (ცხრ. 4). იმისდა მიუხედავად, რომ 201-500 მ-იანი სარტყელი მხოლოდ 15 დასახლებული პუნქტით (13,2%) არის წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი ქალაქების – თბილისი, რუსთავის, გარდაბნის, ჭიათურის გამო, იგი ქალაქის მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციით (50,8%) გამოირჩევა.

---

* მთავრობის დადგენილებით 1991 წ. შეიქმნა დაბები: ბზიფი (გაგრის საქალაქო საბჭო) და ყორნისი (ქარელის რ-ნი), ხოლო ზნაურს გაუუქმდა დაბის სტატუსი.

საქალაქო განსახლება ჰიფსომეტრიული საფეხურების მიხედვით (1989 წ.)

განსახლების საფეხური (მ)	ქალაქები				დაბები				სულ – საქალაქო დასახლებები			
	რაოდენობა	%	მოსახლეობა (ათასი კაცი)	%	რაოდენობა	%	მოსახლეობა (ათასი კაცი)	%	რაოდენობა	%	მოსახლეობა (ათასი კაცი)	%
0-200	24	38,7	896,9	31,3	16	30,8	74,6	43,6	40	35,2	971,5	32,0
201-500	11	17,8	1532,3	53,5	4	7,7	10,4	6,1	15	13,2	1542,7	50,8
501-1000	21	33,9	380,9	13,3	13	25,0	48,1	28,1	34	29,8	429,0	14,1
1001-1500	3	4,8	23,6	0,8	15	26,9	29,8	17,4	18	14,9	53,4	1,8
1501-1940	3	4,8	30,9	1,1	4	9,6	8,3	4,8	7	7,0	39,2	1,3
სულ	62	100	2864,6	100	52	100	171,2	100	114	100	3035,8	100

მაღალმთიან (1501-2000 მ) ჰიფსომეტრიულ ზონაში კი, სოფლებისაგან განსხვავებით, რომელთა რაოდენობა 500-მდეა, განლაგებულია მხოლოდ 7 საქალაქო დასახლება (ქალაქები: ახალქალაქი, წალკა, ნინოწმინდა; დაბები: ბაკურიანი, ყაზბეგი, თრიალეთი და ბაკურიანის ანდეზიტი). მათ შორის ყველაზე მაღლა (1940 მ) მდებარეობს ნინოწმინდა (ყოფილი ბოგდანოვკა), რომელიც ძველი ქართული ნასოფლარის ადგილზე რუსეთიდან გადმოსახლებულმა დუხობორებმა შექმნეს XIX ს. 40-იან წლებში.

ქალაქების კლასიფიკაციის ერთ-ერთი გავრცელებული კრიტერიუმის – სიდიდის (ხალხმრავლობის) მიხედვით საქართველოს 62 ქალაქი 1989 წ. შემდეგნაირად ჯგუფდებოდა: უმსხვილესი („ქალაქი-მილიონერი") – 1 (თბილისი), დიდი (100-დან 500 ათას მცხოვრებამდე) – 4 (ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, სოხუმი), საშუალო (50-დან 100 ათასამდე) – 3 (გორი, ფოთი, ზუგდიდი), ნახევარსაშუალო (20-დან 50 ათასამდე) – 16 (ცხინვალი, სამტრედია, ხაშური, ჭიათურა, სენაკი, თელავი, მარნეული, გაგრა, ზესტაფონი, ახალციხე, ოზურგეთი, ტყიბული, ტყვარჩელი, წყალტუბო, ქობულეთი, ოჩამჩირე) და პატარა (20 ათასამდე) – 38. 2000 წ. სავარაუდო შეფასებით, გარკვეული ცვლილებები მოხდა – დიდი ქალაქების რანგს გამოაკლდა სოხუმი, რომლის მოსახლეობა 50 ათასამდე შემცირდა და საშუალო ქალაქად იქცა; ნახევარსაშუალო ქალაქების რიცხვმა ერთით იკლო, ვინაიდან მათ რიცხვს გამოაკლდა 3 (მოსახლეობისაგან მნიშვნელოვნად დაცლილი გაგრა, ტყვარჩელი, ოჩამჩირე) და დაემატა 2 – გარდაბანი და ბორჯომი.

საქართველოს ყოველი ქალაქი, სიდიდის გარდა, ბევრი სხვა ინდივიდუალური ნიშნის (მდებარეობა, ტერიტორიის ფართობი და კონფიგურაცია, გენეზისი, სამეურნეო დანიშნულება, განაშენიანება, არქიტექტურა, კეთილმოწყობის დონე და სხვ.) მატარებელია. თითოეულ მათგანში განსხვავებულია აგრეთვე მოსახლეობის დასაქმების ხარისხი და პროცენტული თანაფარდობა ქალაქწარმომქმნელ ანუ საბაზო და ქალაქმომსახურე სამეურნეო დარგების მიხედვით. ის საბაზო დარგი, რომელიც განაპირობებს დასახლების განვითარების წამყვან პროფილს, ქალაქების ფუნქციური დაჯგუფების განმსაზღვრელია.

ფუნქციური ტიპოლოგიის მიხედვით ქვეყანაში არსებობს პირობითად ერთი ფუნქციის მქონე ანუ მონოფუნქციური საქალაქო დასახლებები: სამრეწველო – რუსთავი, ჭიათურა, ზესტაფონი, ტყიბული, ტყვარჩელი, კასპი, კაზრეთი, კვაისა და სხვ.; სატრანსპორტო – სამტრედია, ხაშური, ფოთი და სხვ.; საკურორტო – ბორჯომი, გაგრა, ქობულეთი, ბაკურიანი, სურამი, ბიჭვინთა, აბასთუმანი, მანგლისი, კოჯორი, ფასანაური და სხვ.; ადმინისტრაციული – ახალქალაქი, ხულო, ადიგენი, ასპინძა, შუახევი, ახალგორი და სხვ. გამოიყოფა აგრეთვე შერეული ტიპის საქალაქო დასახლებები, რომლებშიც მკვეთრად არ არის გამოხატული დომინირებული დარგები, თუმცა მათი განვითარება ხელშემწყობი პირობების არსებობის პირობებში, პერსპექტიულია. მათ შორის უნდა აღინიშნოს: თელავი, ახალციხე, მარნეული, საგარეჯო, სენაკი, წნორი და სხვ. რამდენიმე, შედარებით კარგად გამოხატული ფუნქცია გააჩნია პოლიფუნქციურ ქალაქებს (ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, გორს, ზუგდიდს, ცხინვალს), რომელთა შორის ლიდერობს ქვეყნის დედაქალაქი და სამრეწველო-სატრანსპორტო, საფინანსო-საეკონომო, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი – თბილისი.

ქვეყნის თითოეული ქალაქის აღმოცენებასა და განვითარებაზე გადამწყვეტი ზემოქმედება აქვს მის *ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას (ემმ),* რომელიც კონკრეტულად ავლენს სივრცით-სამეურნეო დამოკიდებულებას თავისი მიზიდულობის არეალში მოქცეული ტერიტორიების, ქალაქების, სატრანსპორტო გზების და სხვა ობიექტების მიმართ. კერძოდ, საქართველოში მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი ემმ-ით გამოირჩევა სატრანსპორტო მაგისტრალებზე ან მათ შესაყარზე, საბადოების, რეკრეაციული ადგილების და ენერგიის წყაროების სიახლოვეს, მჭიდროდ დასახლებულ არეალებში, ზღვის სანაპიროზე და ა.შ. განლაგებული ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, გორი, ხაშური, სამტრედია, სენაკი, ზესტაფონი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოჩამჩირე, ახალციხე, ბორჯომი, თელავი, მარნეული, ახალქალაქი, ტყიბული, ჭიათურა და სხვ. საქართველოს ურბანიზაციის ისტორიაში არის შემთხვევები, როცა ემმ-ის გაუარესებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა, ზოგ შემთხვევაში

დააკნინა კიდეც, რიგი დასახლებების (დუშეთი, სიღნაღი, ონი, შორაპანი, ხარაგაული, ჩხარი, დ.მირზაანი) განვითარება. სამაგიეროდ, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, გაუმჯობესდა ბათუმის, ახალციხის, ცხინვალის, ბოლნისის, ახალქალაქის და სხვ. ეშმ, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს მათ განვითარებაზე.

დაბა – ქალაქსა და სოფელს შორის გარდამავალი დასახლების ფორმაა, რომელიც საბჭოთა ადმინისტრაციული მართვის სისტემის დროს დამკვიდრდა და ამჟამად 52 ერთეულს ითვლის. მისი საშუალო ხალხმრავლობა (1989 წ. მონაცემებით) მსხვილ სოფელს უტოლდება და 3292 კაცს შეადგენს. იგი ქალაქის საშუალო ხალხმრავლობაზე (26 310 კაცი – თბილისის გამოკლებით) 8-ჯერ ნაკლებია, რაც მათ შორის არსებულ მეტად დიდ სხვაობაზე მეტყველებს. ამასთან, დაბების უმეტესობა მოსახლეობის ცხოვრების წესითაც და განაშენიანებითაც სასოფლო იერს ინარჩუნებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საკურორტო და სუბტროპიკული აგროსამრეწველო ობიექტების ბაზაზეა აღმოცენებული, მათ შორის აღსანიშნავია: გულრიფში (11,8 ათასი კაცი), ბიჭვინთა (11,0 ათასი), განთიადი (7,8 ათასი), ჩაქვი (7,2 ათასი), სურამი (6,6 ათასი), ხელვაჩაური, ოჩხამური, ლაითური, ურეკი, მახინჯაური, ქვედა ნასაკირალი, ნარუჯა, ბაკურიანი, აბასთუმანი, წაღვერი, კოჯორი, წყნეთი, ფასანური და სხვ. ჰიდრორესურსების გამოყენების ბაზაზე შეიქმნა ზაჰესი, ბედიანი, ლაჯანურჰესი, სიონი, ჟინვალი და სხვ.

დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის პირობებში არა მარტო დაბების, არამედ ბევრი ქალაქის განვითარებაც კი არსებითად შეფერხებულია. თუმცა სავარაუდოა, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მოწესრიგების, ნორმალური საბაზრო რეფორმების წარმართვის და სამართლიანი კონკურენციის შემთხვევაში მათი გააქტიურების შანსები არსებობს.

ურბანიზაცია

მოსახლეობის და წარმოების ქალაქებში კონცენტრაცია, ქვეყნის მასშტაბით ქალაქების და მათი მცხოვრებლების რიცხობრივი და შეფარდებითი ზრდა და საქალაქო ცხოვრების წესის დამკვიდრება, ურბანიზაციის დამახასიათებელი ნიშნებია. საქართველოში, დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ეს პროცესი უფრო ნელი ტემპით და მცირე მასშტაბით, XIX ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო. თუ 1865 წ. ოფიციალურად ცნობილ 12 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, სიღნაღი, გორი, თელავი, დუშეთი, ახალქალაქი, სოხუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი) მთელი მოსახლეობის მხოლოდ 9,2% ცხოვრობდა, 1897 წ. ამ მაჩვენებელმა 15,8% მიაღწია.

ქალაქის მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა XX ს. 20-30-იან წლებში დაწყებული ინდუსტრიალიზაციის პროცესებთან იყო დაკავშირებული. 1921-39 წწ-ში მისი ხვედრითი წილი 19,7-დან 30,1%-მდე გაიზარდა, ხოლო მცხოვრებთა რიცხვმა 1 მლნ კაცს გადააჭარბა. მთლიანად კი, 1991 წ. დასაწყისისათვის, როცა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა (5464,2 ათასი კაცი) მაქსიმუმი იყო, ქალაქად ცხოვრობდა 56,2%. 2000 წლისათვის ურბანიზაციის საავარაუდო დონემ 57,8% შეადგინა. იგი მეტია მსოფლიოს (45%), მაგრამ საგრძნობლად ნაკლები უცხოეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების (75%) საშუალო მაჩვენებელზე.

ცხრილი 5

ურბანიზაციის დონე ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მიხედვით 2000 წ. დასაწყისისათვის (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარეშე)

მხარე	მთელი მოსახლეობა	მათ შორის		მთელი მოსახლეობა	მათ შორის	
		ქალაქის	სოფლის		ქალაქის	სოფლის
	ათასი კაცი			პროცენტი		
შიდა ქართლი	472,1	199,9	272,2	100	42,3	57,7
ქვემო ქართლი	547,3	247,7	299,6	100	45,3	54,7
თბილისი	1186,0	1185,9	0,1	100	100	–
კახეთი	414,7	102,9	311,8	100	24,8	75,2
სამცხე	81,8	35,1	46,7	100	42,9	57,1
ჯავახეთი	93,8	20,5	73,3	100	21,9	78,1
ალგეთისპირეთი ქვემო ქართლი	13,1	3,9	9,2	100	29,87	70,2
იმერეთი	743,0	423,8	319,2	100	57,0	43,0
სამეგრელო	476,4	206,5	269,9	100	43,3	56,7
აფხაზეთი	143,7	44,6	99,1	100	31,0	69,0
რაჭა-ლეჩხუმი	41,2	10,2	31,0	100	24,8	75,2
სვანეთი	24,5	5,5	19,0	100	22,4	77,6
აჭარა	366,6	175,4	191,2	100	47,8	52,2
საქართველო სულ	4604,2	2661,9	1942,3	100	57,8	42,2

ურბანიზაციის დონით საქართველოს მხარეები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ცხრ.5). მათ მაჩვენებლებზე დიდ გავლენას ახდენს არა მარტო საქალაქო დასახლებათა რაოდენობა, არამედ დიდი ქალაქების არსებობა. მხარეებს შორის ყველაზე ურბანიზებულია იმერეთი (57,0%), რაც განპირობებულია როგორც საქართველოს მეორე ქალაქის – ქუთაისის, ისე მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრების (სამტრედია, ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი, წყალტუბო, ხონი, საჩხერე და სხვ.) არსებობით. იმერეთის მაჩვენებელს, რომელიც თითქმის ეროვნულს უტოლდება, მნიშვნელოვნად ჩამორჩება აჭარა (47,8%) და ქვემო ქართლი (45,3%). ყველაზე სუსტად ურბანიზებულია ჯავახეთი (21,9%) და სვანეთი (22,4%).

საქალაქო დასახლებების ქსელი, რომლის განვითარება 1921-91 წწ-ში ბევრი მსხვილი საწარმოს, ინტენსიური სუბტროპიკული აგროსამრეწველო კერების

შექმნის, აგრეთვე სატრანსპორტო, ენერგეტიკული და საკურორტო მშენებლობების თანმდევი იყო, შემდეგნაირად ფართოვდებოდა (ცხრ.6):

ცხრილი 6

საქალაქო დასახლებათა რაოდენობის დინამიკა

წელი	ქალაქები	დაბები	სულ
1921	17	14	31
1930	24	18	42
1939	27	24	51
1949	32	28	60
1959	34	37	71
1966	45	54	99
1970	51	57	108
1979	53	58	111
1991	62	52	114

საქალაქო განსახლების ტრანსფორმაცია ძირითადად ხდებოდა ქალაქის და დაბის სტატუსის მქონე დასახლებების რაოდენობის გაზრდის, ზოგ შემთხვევაში კი, მათი სტატუსის გაუქმების შედეგად. სხვადასხვა მიზეზთა გამო გაუქმდა ან სოფლის რანგში ჩამოქვეითდა სამგორი, მირზაანი, ხარისთვალა, ზნაური, ველისციხე, ჩხარი, ყულევი და სხვ. სულ, საბჭოთა პერიოდში, ქალაქის მოსახლეობა 457-დან 3035,8 ათასამდე ანუ 2560,8 ათასი კაცით გაიზარდა. მოსახლეობის ამ მატების შემავსებელ წყაროებს შორის ბუნებრივ ნამატზე მოდიოდა 43,7%, სოფლის საქალაქო დასახლებად გარდაქმნაზე – 11,7%, სოფლებიდან ქალაქში ჩამოსულ მიგრანტებზე – 35,2% და რესპუბლიკაში შემოსულ მიგრანტებზე – 9,4% (ჯაოშვილი, 1996).

1926 (17 დეკემბერი) და 1989 (12 იანვარი) წლების აღწერებს შორის არსებულ 62-წლიან პერიოდში ყველაზე დიდი დემოგრაფიული ზრდა ჰქონდა: ზუგდიდს (9-ჯერ), ცხინვალს (7,4-ჯერ), გორს (6,5-ჯერ), რაც 1926 წ. მათი მოსახლეობის შედარებით მცირე რიცხოვნობით არის განპირობებული. რეალურად, ყველაზე მზარდი თბილისი იყო, რომლის მოსახლეობის ნამატმა თითქმის ერთი მილიონი (294-დან 1260 ათასამდე) კაცი შეადგინა. მნიშვნელოვანდ გაიზარდა აგრეთვე ქუთაისის (186,7 ათასი), სოხუმის (99,7 ათასი) და ბათუმის (88,1 ათასი) მოსახლეობა. საქართველოს ურბანიზაციის ისტორიაში განუმეორებელი როლი შეასრულა რუსთავმა, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში აღმოცენდა და ქვეყანას 158,7 ათასი ქალაქის მცხოვრები შესძინა.

აღნიშნული ხუთი ქალაქის მაგალითი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ურბანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ადამიანთა თავმოყრა დიდ და მსხვილ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის მიზიდვის მეტი სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მიზეზები (დასაქმების გაფართოებული სფერო, სამუშაოს შოვნის მეტი შანსი,

კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მრავალფეროვნება და სიმრავლე, უკეთესი საბინაო-კომუნალური და გართობა-დასვენების პირობები, ინფრასტრუქტურის უფრო მაღალი დონე და სხვ.) არსებობს.

XX ს. 50-იანი წლებიდან საქართველოში თანდათან გამოიკვეთა დიდი ქალაქების მიზიდულობის არეალში დასახლებული პუნქტების თავმოყრის ტენდენცია. ქალაქი-ბირთვის გარშემო წარმოიქმნა მჭიდრო საწარმოო, შრომითი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო-სამეურნეო კავშირებით გაერთიანებული საქალაქო აგლომერაციები, რომელთა შემადგენლობა, საზღვრები, ფორმირების „სიმწიფე" ცვალებადია და სპეციალურ კვლევებს მოითხოვს (Джаошвили. 1978; Гуджабидзе. 1983). მათ შორის ყველაზე „ხანდაზმული" და დიდია თბილისის ანუ სადედაქალაქო აგლომერაცია. მის სავარაუდო რადიუსში გაერთიანებულია გარშემო მდებარე ადმინისტრაციული რაიონების ბევრი დასახლება, რომელთანაც რეგულარული და ინტენსიური კავშირები არსებობს. შედარებით უფრო სუსტად არის განვითარებული ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის (თუმცა აფხაზეთის ბოლოდროინდელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ამ ქალაქის აგლომერაციის არსებობა საეჭვოა) აგლომერაციები. საკურორტო-ტურისტული დასახლებების თავმოყრა და ფუნქციონირება ბორჯომის ხეობაში ხელს უწყობს ბორჯომის საკურორტო აგლომერაციის ფორმირებას, რომელსაც კარგი პერსპექტივა აქვს.

ურბანიზაციის შემდგომი ფაზა – აგლომერაციების გადაზრდა ურბანიზებულ ტერიტორიებში (ხაზობრივი, ზონური), რომელიც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონესა და წესებს შორის გარკვეული საზღვრების წაშლას ითვალისწინებს, საქართველოში მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მიაღწევს პოლიტიკურ სტაბილიზაციას, მძლავრ სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო მოსახლეობას შეექმნება საქმიანობის და დადებითი კულტურულ-ყოფითი ტრანსფორმაციის სათანადო პირობები.

მეურნეობა

ზოგადი ეიეოხილვა

ქვეყნის ეკონომიკა ანუ ეროვნული მეურნეობა (გერმანულ-რუსული ტერმინოლოგიით – სახალხო მეურნეობა) ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წარმოების დარგთა სისტემაა და ადამიანებს არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური სიკეთეებით და მომსახურებით უზრუნველყოფს. ამასთან, იგი, როგორც ერთიანი გეოგრაფიული სამკუთხედის („ბუნება–მოსახლეობა–მეურნეობა") შემადგენელი მხარე და შრომის ტერიტორიული დანაწილების ბაზაზე შექმნილი რეალური და დინამიური სამეურნეო სივრცე, ეკონომიკურ-გეოგრაფიული შესწავლის ძირითადი ობიექტია.

საქართველო უძველესი დროიდან აგრარული ქვეყანა იყო. მის ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე დაფუძნებული ტრადიციული ეკონომიკა სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის სხვადასხვა დარგებს მოიცავდა, რომელთაც ძირითადად სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდათ. ხოლო XIX ს-ში იგი რუსეთის იმპერიის განაპირა ნახევრად კოლონიურ პროვინციად იქცა და ეროვნულთან ერთად ეკონომიკურ ჩაგვრასაც განიცდიდა. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა უხვად იყო დაჯილდოებული მდიდარი ბუნებით და შემოქმედებითი სამეურნეო ცხოვრების ტრადიციებს ინარჩუნებდა, მეფის მთავრობა მას რუსეთის ცენტრალური რაიონების სანედლეულო ბაზად და იქ წარმოებული საქონლის გამსაღებელ მხარედ მიიჩნევდა. ამას ადასტურებს ფინანსთა მინისტრის გრაფ ე.კანკრინის გამონათქვამიც: „ექსპლუატაციის შესაბამის პირობებში ამიერკავკასია შეიძლება რუსეთის ინდოეთად გადაიქცეს" (Грузия. 1967).

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში შეიქმნა სახელმწიფოს საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების სოციალისტური სისტემა, რომელმაც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მხოლოდ შვიდი ათეული წელი იარსება. XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან ქვეყანაში, რომლის მეურნეობა ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ნაწილი გახდა, ფორსირებული ტემპით მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია და იძულებითი კოლექტივიზაცია. შეიქმნა ადგილობრივ სანედლეულო რესურსებზე დამყარებული კვების და მსუბუქი მძლავრი მრეწველობა, აგრეთვე შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, საშენი მასალების, ელექტროტექნიკური და სხვა სამრეწველო დარგები.

სოფლის მეურნეობაში გაბატონდა მსხვილი საზოგადოებრივი საწარმოები – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მაღალი მწარმოებლურობით არ გამოირჩეოდა. საკმარისია ითქვას, რომ გაცილებით მცირე ფართობის მქონე საკარმიდამო ნაკვეთებზე (მთელი სავარგულების 5,5%) მოსახლეობის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილმა 1990 წ. 47% შეადგინა. დარგობრივ სტრუქტურაში შემოსავლიანობით ლიდერობდნენ სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების (ჩაი, ციტრუსები, ხილი, ვაზი, თამბაქო, ეთერზეთოვანები, დაფნა) მწარმოებელი საკავშირო სპეციალიზაციის დარგები. შესაბამისად მცირდებოდა პირველადი მოთხოვნილების სურსათის (მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვ.) წარმოება, რომლის დეფიციტი საერთო-საკავშირო ფონდიდან ივსებოდა.

შეიქმნა სატრანსპორტო სისტემა, განვითარებული სარკინიგზო (მთლიანად ელექტრიფიცირებული) და საავტომობილო გზების ქსელით; თუმცა ამ უკანასკნელის ცუდი ტექნიკური მდგომარეობა (განსაკუთრებით მთიან რაიონებში), კეთილმოწყობის და მომსახურების სუსტი დონე, ხშირად ნორმალურ მიმოსვლას აფერხებდა. სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების დამყარებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი. ვითარდებოდა მომსახურე დარგები – განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი. საქართველო საკავშირო სივრცეში განიხილებოდა როგორც ეკონომიკურად საკმაოდ წარმატებული მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც, ეგზოტიკურობის და შედარებით მძლავრი საკურორტო-ტურისტული პოტენციალის გამო, ზღვაზე და მთაში დასასვენებლად, სამკურნალოდ და სამოგზაუროდ საბჭოეთიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ 4 მლნ-მდე ადამიანს იზიდავდა წელიწადში.

XX ს.80-იანი წლების დასასრულს სწრაფად განვითარებული ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების შედეგად დაშლილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები და, მათ შორის, საქართველოც, დიდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. დაირღვა ძველი საწარმოო კავშირები, დაიკარგა გასაღების ბაზრები, მოხდა საბჭოთა მანეთის სრული დევალვაცია და რესპუბლიკათაშორისი ანგარიშსწორების ერთადერთ ბაზად აშშ დოლარი გახდა. წარმოების დაცემას მოჰყვა უმუშევრობა და მძლავრი ჩრდილოვანი ეკონომიკის გაჩენა. მისი წარმომადგენლები არღვევენ კანონს და ნორმატივებს, აწარმოებენ ფალსიფიცირებულ პროდუქციას, ეწევიან კონტრაბანდას, თავს არიდებენ გადასახადებს, რაც ხელს უწყობს კორუფციას, მაფიოზური და კრიმინალური სამყაროს ფორმირებას და იწვევს სახელმწიფოს და მისი ეკონომიკის რღვევას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობამ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების (პრივატიზაცია, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა,

უცხოეთთან ინტეგრაციის გაღრმავება, ინვესტიციების მიზიდვა და სხვ.) გატარება მოითხოვა, რაც საქართველოში მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს. ძველი სისტემის მოშლამ და ახლის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლობამ მეურნეობის საერთო დეგრადაცია და, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის, ცალკეული დარგების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის, შრომაში ჩაბმულთა რიცხოვნობის, ძირითადი საწარმოო ფონდების და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება გამოწვეია. საკმარისია ითქვას, რომ 1990-2000 წლების განმავლობაში ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა კონტინგენტი 2763,3 ათასიდან 1732,7 ათასამდე ანუ 1 მლნ-ზე მეტი კაცით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში მკვეთრი ცვლილებები განიცადა მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამ. ამასთან, რიგი სამეურნეო დარგების იმპულსური და წყვეტილი ფუნქციონირება ქვეყნის არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის და უსისტემო მართვის ანარეკლია (ცხრ. 1).

ცხრილი 1

ეკონომიკის დარგების ხვედრითი წილის დინამიკა მთლიან შიდა პროდუქტში (%-ში)*

დარგები \ წლები	1990	1995	1998	1999	2000	2001
სოფლის მეურნეობა	29,7	41,7	26,7	24.7	20,2	20,8
მრეწველობა	22,9	9,5	12,3	13,0	13,6	12,1
მშენებლობა	8,7	2,2	4,6	3,7	3,7	3,7
ვაჭრობა	5,6	26,0	10,4	11,5	12,7	12,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7,1	8,5	10,9	11,9	14,3	14,3
მომსახურება და სხვა დარგები	26,0	12,2	35,1	35,2	35,5	36,6
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო მრეწველობამ, რომლის საწარმოების უხეიროდ და დარღვევებით ჩატარებულმა პრივატიზაციამ იგი თითქმის გაანადგურებამდე მიიყვანა. სამეურნეო მნიშვნელობით მრეწველობას არა მარტო ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ, არამედ ვაჭრობამაც გაუსწრო, ხოლო მის საწარმოებში 1990 წ. დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობა 2001 წ. 4,5-ჯერ შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს დარგის ხვედრითი წილი სომხეთის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 20,2%, ხოლო აზერბაიჯანის – 35,5% შეადგენდა (Стат. ежегодник, 2002).

---

* წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა,2001. თბ., 2002.

სამხრეთი კავკასიის ამ ორი ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისათვის ტიპიურია, ვინაიდან მომსახურე სფეროსაგან განსხვავებით, იქ უპირატესად მრეწველობა და საერთოდ, მატერიალური წარმოების დარგებია განვითარებული. მათგან განსხვავებით, საქართველოს მაკროეკონომიკა წინააღმდეგობრივია: მშპ-ში მრეწველობის სრულიად დაკნინებული და სოფლის მეურნეობის არაადექვატური წილის ფონზე (რაც განვითარებადი ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი) აქ საინფორმაციო ტექნოლოგიები, ოპერაციები უძრავი ქონებით, აუდიტი, იურიდიული, საკონსულტაციო, საბანკო და მომსახურების სხვა მაღალტექნოლოგიური ფორმები ვითარდება. ამ დადებითი ტენდენციის მიუხედავად, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოში მრეწველობის აღორძინებისა და სოფლის მეურნეობის რეფორმირების გარეშე, ეს ტენდენციები სტრატეგიულ დადებით შედეგს არ მოიტანს (თვალჭრელიძე ..., 2002).

კონკრეტულ ტერიტორიაზე ეკონომიკის დარგების განლაგების სურათის შესწავლა და კანონზომიერების დადგენა ეკონომიკური გეოგრაფიის საკვანძო საკითხს წარმოადგენს. საქართველოს ბუნებრივი პირობები და მათი თავისებურება, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის სამეურნეო სპეციალიზაციის, მასშტაბების და მომავალი პრიორიტეტების განმსაზღვრელი ფაქტორია. ჩვენი ეროვნული მეურნეობის დარგთა უმრავლესობა მთათაშორის ბარშია განვითარებული, რომელსაც სატრანსპორტო, ეკონომიკურ და განსახლების მთავარ ღერძს უწოდებენ. სწორედ აქ არის თავმოყრილი მაგისტრალური სატრანსპორტო კომუნიკაციები, ქალაქებისა და დიდი სოფლების უმრავლესობა, მსხვილი სამრეწველო საწარმოები და მიწათ-მოქმედებისათვის ვარგისი მიწის სავარგულები. კავკასიონის სამხრეთ ფერდობებსა და სამხრეთ მთიანეთში კი უპირატესად მეცხოველეობა, სამთო-მოპოვებითი და ხე-ტყის მრეწველობის კერები, ჰიდროენერგეტიკა და საკურორტო-ტურისტული მეურნეობაა წარმოდგენილი.

საქართველოს სამეურნეო სახე და პოტენციალი, თუ მას რეგიონულ ჭრილში განვიხილავთ, ტერიტორიის განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური პირობების, ასევე არაერთგვაროვანი ისტორიულ-პოლიტიკური და დემოგრაფიული განვითარების გამო, საკმაოდ დიფერენცირებული და კონტრასტულია.

საბჭოთა პერიოდში, ქვეყნის რეგიონების ანუ მაშინდელი ეკონომიკური რაიონების სამეურნეო განვითარების დონე მათ მიერ შექმნილი მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ან ეროვნული შემოსავლის, აგრეთვე 1 მოსახლეზე გაანგარიშებული მაჩვენებლების შედარებით განისაზღვრებოდა. 1975 წ. მონაცემებით, ცენტრალურ-აღმოსავლეთის ეკონომიკურ რაიონზე (დღევანდელი თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი ერთად) რესპუბლიკის მთელი ეროვნული შემოსავლის 41,4% მოდიოდა; ცენტრალურ-დასავლეთზე (იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი) – 15,2%;

დასავლეთზე (სამეგრელო და გურია) – 14,3%; აღმოსავლეთზე (კახეთი) – 9,9%; აფხაზეთზე – 9,1%; აჭარაზე – 7,6%; სამხრეთზე (სამცხე-ჯავახეთი) – 2,5% (Кверенчхиладзе, 1983).

თანამედროვე პირობებში (2001 წ.) წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (რომელშიც ჩრდილოვანი ეკონომიკაც არის გათვალისწინებული) რეგიონული განაწილება (აფხაზეთის გარეშე), დადგენილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ (თვალჭრელიძე ..., 2002), შემდეგნაირია: თბილისი – 34,0%, შიდა ქართლი – 6,0%; ქვემო ქართლი – 9,5%; მცხეთა-მთიანეთი – 2,5% (ანუ სულ ყოფილი ცენტრალურ-აღმოსავლეთის ეკონომიკურ რაიონში – 52,0%); იმერეთი – 12,5%; რაჭა-ლეჩხუმი – 0,6% (ცენტრალურ-დასავლეთი – 13,1%); სამეგრელო – 8,5%; გურია – 2,0% (დასავლეთი – 10,5%); კახეთი – 10,0%; აჭარა – 10,4%; სამცხე-ჯავახეთი – 4,0%.

როგორც 1975 და 2001 წლების შედარებიდან ჩანს, დღეს ქვეყანაში მშპ-ის მოცულობის საერთო შემცირების ფონზე, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ხვედრითი წილი გაიზარდა. ამის მიზეზებია: ა) დასავლეთ საქართველოს მრეწველობის (მათ შორის სამთო-მოპოვებითი დარგების) ძლიერი დაკნინება; ბ) დასავლეთ საქართველოს მეტად შემოსავლიანი სუბტროპიკული კულტურების წარმოების არსებითი შეზღუდვა; გ) აღმოსავლეთ რეგიონების მეტი ეკონომიკური გააქტიურება, განსაკუთრებით თბილისის სადედაქალაქო რეგიონის ხარჯზე. თუმცა, საერთოდ, მხარეთა დიდი უმრავლესობა, ჯერჯერობით ეკონომიკურად დეპრესიულ რაიონებად უნდა ჩაითვალოს.

მსოფლიო კლასიფიკაციის თანახმად, დღევანდელი საქართველო სამეურნეო განვითარების დონით განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა თავისი ინტელექტუალური დონის, კულტურის, ხელოვნების, განათლების, მეცნიერების მდგომარეობით იგი განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს პასუხობს. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგი ბუნებრივი პირობები და სამეურნეო მართვის ახალი თანამედროვე სისტემის შექმნის და საზოგადოების აქტიური ძალისხმევის პირობებში, საქართველოს, სოციალურად და ეკონომიკურად წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შეუძლია.

მრეწველობა

მრეწველობა საქართველოს მეურნეობის წამყვანი დარგია. მისი ზეგავლენით შეიქმნა და ჩამოყალიბდა ახალი ცენტრები, აგროსამრეწველო კომპლექსები, სატრანსპორტო კავშირები, მოხდა სხვადასხვა სანედლეულო, სათბობი, ენერგეტიკული წყაროების ათვისება. მასთან უშუალოდ დაკავშირებულია უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირება.

მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში, ადგილობრივი ნედლეულისა და მოსახლეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხელოსნური ჩვევების საფუძველზე აღმოცენებული საფაბრიკო-საქარხნო წარმოებით დაიწყო. კაპიტალიზმის პირველი ნაბიჯები დაკავშირებული იყო ჭიათურის მანგანუმის და ტყიბულის ქვანახშირის ექსპლუატაციასთან, აგრეთვე ტყავის, ფეხსაცმლის, თამბაქოს, ღვინის წარმოების და ლითონდამუშავების განვითარებასთან. ამისდა მიუხედავად, მრავალდარგობრივი მრეწველობის ფორმირება საბჭოთა წლებში დამკვიდრებული სოციალისტური სისტემის პირობებში განხორციელდა, როდესაც აშენდა სხვადასხვა პროფილის ათასზე მეტი საწარმო და შეიქმნა მუშების და მაღალკვალიფიციური საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის სახით წარმოდგენილი საკმაოდ მძლავრი შრომითი პოტენციალი.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობისათვის დამახასიათებელია როგორც აღმავლობის, ასევე დაღმავლობის პერიოდები. პირობითად შეიძლება გამოიყოს 4 პერიოდი: I – დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის (1921-41 წწ.); II – ომისდროინდელი დაქვეითების (1941-45 წწ.); III – განვითარების (1945-89 წწ.); IV – გარდამავალი (1990 წლიდან დღემდე).

პირველ საბჭოთა ხუთწლედებში, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, თუ რუსეთში მთავარი ყურადღება ექცეოდა მძიმე ინდუსტრიის მრეწველობის გიგანტურ საწარმოთა მშენებლობას, საქართველოში უპირატესად მსუბუქი და კვების მრეწველობის საშუალო სიმძლავრის საწარმოები შენდებოდა, რომელთა ძირითად სანედლეულო წყაროს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეადგენდა. ამასთან, შახტების და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საფუძველზე შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, ამოქმედდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა, თბილისის ჩარხმშენებელი და სხვა ქარხნები.

მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ომისშემდგომ პერიოდში მოხდა; განვითარდა მძიმე ინდუსტრიის დარგები – ელექტროენერგეტიკა,

შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა; დარგობრივ სტრუქტურაში პირველობა კვლავ მსუბუქ და კვების მრეწველობას რჩებოდა. მათზე მოდიოდა ქვეყნის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 60,9% და სამრეწველო საწარმოო პერსონალის 37,5%. 1980-88 წლებში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური, საშენ მასალათა წარმოება. მრეწველობის განვითარების ყველაზე მაღალი დონე 80-იანი წლების ბოლო პერიოდს ემთხვევა, როცა მასზე მოდიოდა მთლიანი ეროვნული პროდუქციის 60-65%, ეროვნული შემოსავლის 42-45% და მასში დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის 40-45%.

90-იან წლებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ქვეყნისათვის რთული და მძიმე აღმოჩნდა. წარმოების და მართვის სოციალისტური სისტემის გაუქმებამ, ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლამ, რესურსული უზრუნველყოფის ცენტრალიზებული სისტემის ნგრევამ და სამომხმარებლო ბაზრის დაკარგვამ, ენერგოშემცველებზე ფასების ზრდამ და, ამასთან ერთად, შიდაპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, ბევრი სამრეწველო დარგის დეგრადაცია ან პარალიზება გამოიწვია, ხოლო მთლიანი სამრეწველო პროდუქცია 1998 წ. 1990 წ-თან შედარებით 15,1-ჯერ, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი კი 3,8-ჯერ შემცირდა.

ელექტროენერგიის უკიდურესი შეზღუდვის გამო, საწარმოების დიდი ნაწილი ფაქტობრივად არ მუშაობდა. მკვეთრად შემცირდა ყველა სახის პროდუქციის (განსაკუთრებით ფოლადის მილების, შავი ლითონის მზა ნაგლინის, სატვირთო ავტომობილების, ყველა სახის ქსოვილის და სხვ.) წარმოება, ხოლო ზოგიერთის (მინი-ტრაქტორები, მაგისტრალური ელმავლები, კოშკურა ამწეები, კოქსი, თუჯი, ხალიჩები) საერთოდ შეწყდა (ცხრ. 1). დაბალი შემოსავლის მიუხედავად, საწარმოების ნაწილი მუშაობას განაგრძობდა კრედიტის ან ბარტერული გაცვლის ხარჯზე. მსხვილ საწარმოებში სიმძლავრეების გამოყენება ჯერ კიდევ მინიმალურია (დაახლოებით 10-15%). მათი დიდი უმრავლესობა გამოირჩევა დაბალი ეკონომიკური ეფექტურობით, ხოლო წარმოებული პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანია.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზა იყო რადიკალური ხასიათის რეფორმები, კერძოდ: საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, სამრეწველო საწარმოთა პრივატიზაცია და საკუთრების ახალი ფორმების დამკვიდრება, უცხოური ტექნოლოგიური ინვესტიციების და ფინანსების იმპორტი, ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა, კვალიფიციური კადრების მომზადება. 1992 წ-დან დაიწყო აღნიშნული ღონისძიებების გატარება, რასაც მოჰყვა 1995-98 წწ. მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება. პირველ რიგში, თუმცა მნიშვნელოვანი დარღვევებით, მოხდა პირველად – მცირე, ხოლო შემდეგ – საშუალო და დიდმასშტაბიანი საწარმოების მასობრივი პრივატიზაცია, რაც ხელს შეუწყობს მესაკუთრეთა და მეწარმეთა

სოციალური ფენის ჩამოყალიბებას. მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა ახალი სპეციალობები – ბიზნესი, ბიზნესის სამართალი, მენეჯმენტი, მარკეტინგი და სხვ., ასევე ბევრი ახალგაზრდა ცოდნის მისაღებად უცხოეთში გაემგზავრა.

1995 წ-დან სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოებაში გარკვეული დადებითი ძვრები შეინიშნება. განსაკუთრებით გაიზარდა სილიკომანგანუმის (2,7-ჯერ), აზოტმჟავას, ამონიუმის გვარჯილას (2,4-ჯერ), ცემენტის (5,9-ჯერ), ლუდის, უალკოჰოლო და მინერალური წყლის წარმოება (ცხრ. 1).

ცხრილი 1

უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციის წარმოება

პროდუქცია, ზომის ერთეული	1995 წ.	2000 წ.
ელექტროენერგია, მლნ კვტ სთ	7082,0	7446,5
ნავთობი (აირის კონდენსატის ჩათვლით), ათასი ტონა	42,7	109,5
აირი, მლნ $მ^3$	3,3	79,5
ფოლადის მილები, ტონა	37844	2595
საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმი 80%-იანი, ტონა	12564	6088
სილიკომანგანუმი 82%-იანი, ტონა	7588	20458
დაბალი სიმძლავრის ტრანსფორმატორები, ცალი	2213	9098
დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურა, ათასი ცალი	622	154
მაგისტრალური ელმავლები, ცალი	1	4
სატვირთო ავტომობილები, ცალი	209	45
აზოტმჟავა, ტონა	94007	226207
სინთეზური ამიაკი, ათასი ტონა	65,6	136,2
მინერალური სასუქები აზოტოვანი (100% საკვებ ნივთიერებაზე გაანგარიშებით), ათასი ტონა	42,7	100,2
ამონიუმის გვარჯილა, ათასი ტონა	118,2	285,7
დახერხილი ხე-ტყე, $მ^3$	15280	39815
ქაღალდი, ტონა	-	37,1
ცემენტი, ათასი ტონა	59,0	347,7
არამადნეული სამშენებლო მასალები, $მ^3$	141,9	281,0
ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობები, $მ^3$	11129	12683
ტელევიზორები, ცალი	492	1585
ფეხსაცმელი, ათასი წყვილი	49,7	81,9
შაქრის ფხვნილი, ტონა	205,8	35281,6
უალკოჰოლო სასმელები, ათასი დკლ	597,8	2866,6
მინერალური წყლები, მლნ 0,5 ლ	9,4	72,3
ხილბოსტნეულის კონსერვები, ათასი პირობითი ქილა	8648,8	4625,4
არაყი და ლიქიორ-არაყის ნაწარმი, ათასი დკლ	102,6	430,1
ღვინო და ღვინომასალები (სარეალიზაციოდ განკუთვნილი), ათასი დკლ	3669,6	1816,1
ბრენდი (კონიაკი), ათასი დკლ	157,9	70,6
ცქრიალა ღვინო (შამპანური), ათასი დკლ	42,9	87,9
ლუდი, ათასი დკლ	652,9	2345,0
დაფასოებული ნატურალური ჩაი, ტონა	19,97	2030,6

საბჭოთა პერიოდში საქართველოში უმთავრესად მსხვილი სამრეწველო ობიექტები შენდებოდა, სადაც საშუალოდ ერთ საწარმოზე ათას კაცზე მეტი პერსონალი მოდიოდა. ამჟამად მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს საშუალო და მცირე საწარმოებს, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, მათ შუძლიათ უფრო სწრაფად და მოქნილად აითვისონ ახალი ტექნოლოგიები, რეაგირება მოახდინონ საბაზრო სიტუაციის ცვლილებებზე, დააკმაყოფილონ მოთხოვნილება წვრილ, სერიულ თუ ცალობრივ პროდუქციაზე, უკეთ გამოიყენონ შრომითი რესურსები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ქალაქებში. დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში საწარმოთა ეს კატეგორია სამრეწველო ობიექტების 70-90% შეადგენს.

საქართველოს მრეწველობა სადღეისოდ 3 ათასზე მეტ სხვადასხვა ტიპის აღრიცხულ მსხვილ და საშუალო საწარმოს ითვლის. საკუთრების ფორმის მიხედვით ისინი იყოფა: სახელმწიფო, მუნიციპალურ, შერეულ და კერძო საწარმოებად. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, აშკარაა შერეული და კერძო საკუთრების საწარმოების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე. შედარებით ფართოდ გავრცელდა ღია ტიპის სააქციო საწარმოები. სახელმწიფოს სრულ კონტროლს დაექვემდებარა ე.წ. სახაზინო, ხოლო ნაწილობრივ კონტროლს – შერეული კაპიტალის მქონე საწარმოები.

პრივატიზაციის შედეგად კერძო სექტორის საწარმოთა ხვედრითი წილი 1997 წ. 62,9% შეადგინა, სახელმწიფოს საკუთრებაზე მოდიოდა 26,8%, საზოგადოებრივზე – 5,1%, მუნიციპალურზე – 3,0%, დანარჩენზე – 2,2%. მრეწველობის დარგებიდან პრივატიზებულ საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ხე-ტყის დამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა – 95,4%, მანქანათმშენებლობაში, პირიქით, კერძო სექტორზე მოდის 7,2%; ასევე დაბალია კერძო სექტორის მონაწილეობა სათბობ-ენერგეტიკულ და მეტალურგიულ მრეწველობაში. ამ მხრივ, მსუბუქ და კვების მრეწველობაში უფრო გაწონასწორებული მდგომარეობაა.

სამამულო მრეწველობის ახალ საორგანიზაციო სტრუქტურას მიეკუთვნება ე.წ. ჰოლდინგები, რომლებიც თავისი კონტროლის ქვეშ აერთიანებენ როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო საწარმოებს და სხვადასხვა ფინანსურ სტრუქტურებს (ბანკებს, საინვესტიციო ფონდებს და ა.შ.). საქართველოში გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, სადაც მსხვილი საწარმოები უპირატესად სახელმწიფოს ხელშია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სახელმწიფო ჰოლდინგები. მათი ჩამოყალიბება ორი გზით ხდება: 1) სახელმწიფო, წამყვან საწარმოებთან ერთად, მიზანდასახულად ირჩევს მონაწილეებს და იზიდავს საბანკო და საინვესტიციო სტრუქტურებს; 2) თვით საწარმოების და დაწესებულებების მიერ სახელმწიფოს უშუალო ჩარევის გარეშე იქმნება სამრეწველო-საფინანსო ჯგუფები (მაგალითად, ჰოლდინგი „სამთო ქიმია").

დარგობრივი სტრუქტურა

90-იან წლებამდე ჩვენი ქვეყნის დარგობრივ სტრუქტურაში სპეციალიზებული დარგები ორ ჯგუფად იყოფოდა:

ა) საკავშირო მნიშვნელობის (სპეციალიზაციის) – მანქანათმშენებლობა (ელმავლების, თვითმფრინავების, მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანების, წყალქვეშა ფრთიანი კატარღების, ჩარხების, ელექტროტექნიკური პროდუქციის, ხელსაწყოების წარმოება), შავი მეტალურგია (ფეროშენადნობები, ფოლადის მილები), ფერადი მეტალურგია (სპილენძის აგლომერატი, ტყვია-თუთია, დარიშხანი), ქიმიური (აზოტოვანი სასუქები, ქიმიური ბოჭკო, ლაქ-საღებავები), აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი კვების (ჩაი, ღვინო, კონიაკი, მინერალური წყლები, კონსერვები, ეთერზეთები და სხვ.) და მსუბუქი მრეწველობა (აბრეშუმის, შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი). ამ ჯგუფის საწარმოთა პროდუქცია მეტწილად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გაიზიდებოდა.

ბ) რესპუბლიკური მნიშვნელობის – სამრეწველო კომპლექსის შემქმნელი დარგები – ელექტროენერგეტიკა, საშენ მასალათა წარმოება (ცემენტი, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, შემკერელი მასალები), ხის დამმუშავებელი და ქაღალდის (ავეჯი, ხის დეტალები, რვეულები), მანქანათმშენებლობა (ამწეები, სატრანსპორტო, კვების მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ.), კვების (ფქვილ-ბურღულეულის, კომბინირებული საკვების, ლუდის, საფუარის, სპირტის, არყის წარმოება, თევზის დამუშავება), მსუბუქი (აბრეშუმის პირველადი დამუშავება, ტრიკოტაჟის, ტყავ-გალანტერეის, ფეხსაცმლის, ხალიჩების წარმოება), ქიმიური (პლასტმასის, საყოფაცხოვრებო ქიმიური ნაწარმი).

ეკონომიკური რეფორმების საწყის სტადიაზე დარგობრივ სტრუქტურაში ვერ იქნა მიღწეული დადებითი შედეგები. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ჯერ კიდევ ინერციით შემორჩენილი სოციალისტური მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა და აქტიურად მონაწილეობდა შრომის საკავშირო ტერიტორიულ დანაწილებაში. იგი ჩამოყალიბდა, როგორც მრავალპროფილიანი მრეწველობა – მკვეთრად გამოხატული სპეციალიზაციით, კომპლექსწარმომქმნელი და ასევე, რესპუბლიკის შიდა მოთხოვნილების მომსახურე დარგებით. სპეციალიზებულ საწარმოთა უმრავლესობა მძიმე მრეწველობას ეკუთვნოდა. ამიტომ, პროდუქციის უმეტეს ნაწილს მსხვილი საწარმოები (შავი მეტალურგიის, ძირითადი ქიმიის, მანქანათმშენებლობის, ნავთობგადამამუშავებელი, სამშენებლო მასალების და სხვ.) იძლეოდა (ცხრ. 2).

დამუშავებითი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში საგრძნობლად იკლო სპეციალიზაციის დარგების, განსაკუთრებით მსუბუქი, კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, ხოლო მაკომპლექსებელი დარგე–

მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა (%-ში)

დარგები	1990 წ.		1998 წ.	
	მთლიანი პროდუქცია	სამრეწველო-საწარმოო პერსონალი	მთლიანი პროდუქცია	სამრეწველო-საწარმოო პერსონალი
ელექტროენერგეტიკა	2,4	2,3	36.9	10.6
სათბობის	1,1	1,4	2,4	1,1
შავი მეტალურგია	3,4	4,5	5.8	8.7
ფერადი მეტალურგია	0,3	0,4	1,7	0.7
ქიმიური და ნავთობქიმიური	4,4	4,5	4.6	7.2
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	14,3	25,3	6,8	17.7
ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	3,6	5,2	1,2	4.6
სამშენებლო მასალების	5,1	9,8	3,4	5.3
მსუბუქი	21,2	22,6	1,4	6.5
კვების	37,4	16,8	24,5	25.8
ფქვილ-ბურღულეულის და კომბინირებული საკვების	3,8	3,0	7,2	2.4
სხვა დარგები	3,0	4,2	4,4	9.4
სულ	100	100	100	100

ბიდან ხის დამმუშავებელი, სამშენებლო მასალების ხვედრითმა წილმა, რაც გამოწვეულია წარმოების საერთო მოცულობის შემცირებით, ზოგ შემთხვევაში კი საწარმოთა დახურვით.

90-იანი წლების მეორე ნახევარში, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში, რესტრუქტურიზაციის შედეგად მრეწველობამ დიდი ცვლილებები განიცადა. სპეციალიზებული საწარმოების დიდმა ნაწილმა ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფუნქციონირება შეწყვიტა ან საგრძნობლად შეამცირა წარმოების მასშტაბები, ნაწილმა კი შეიცვალა პროფილი – ტრადიციული პროდუქციის ნაცვლად სხვა სახის პროდუქციის გამოშვება დაიწყო. გაიზარდა უმუშევრობა, რის გამოც მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა დასაქმების სხვა სფეროში, პირველ რიგში, ვაჭრობაში გადასულიყო. ამიტომაც, 1990 წ-დან, ცხრა წლის განმავლობაში, დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი დაახლოებით ოთხჯერ შემცირდა. ამ მხრივ განსაკურებით გამოირჩევა მანქანათმშენებლობა, მსუბუქი, სამშენებლო და ხე-ტყის მრეწველობა, სადაც მათმა რიცხვმა საშუალოდ 7-ჯერ იკლო (ცხრ. 3).

დარგობრივ სტრუქტურაში კვების მრეწველობა, მაჩვენებლების შემცირების მიუხედავად, წამყვან მდგომარეობას ინარჩუნებს. საერთოდ, საქართველოს მრეწველობისათვის პრიორიტეტულია მოხმარების საგნების წარმოება, რაც მთლიანი სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს შეადგენს, ხოლო სახალხო

ცხრილი 3

მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები

დარგები	1990 წელი		1995 წელი		1998 წელი	
	პროდუქციის მოცულობა ფასებში მიმდ. ფასებში (მln ლარი)	სამრეწველო სწარმოთა პროდუქცია (ათასი კაცი)	პროდუქციის მოცულობა ფასებში მიმდ. ფასებში (მln ლარი)	სამრეწველო სწარმოთა პროდუქცია (ათასი კაცი)	პროდუქციის მოცულობა ფასებში მიმდ. ფასებში (მln ლარი)	სამრეწველო სწარმოთა პროდუქცია (ათასი კაცი)
ელექტროენერგეტიკა	287,0	10,8	130,8	9,1	294,9	12,9
სათბობის მრეწველობა	135,0	6,6	9,1	3,5	19,3	1,4
შავი მეტალურგია	416,0	20,9	51,5	14,5	46,3	10,6
ფერადი მეტალურგია	38,0	1,9	13,4	1,2	13,5	0,9
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	527,0	20,6	22,4	10,1	36,5	8,8
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	1730,0	116,4	36,8	33,1	54,1	21,5
ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	401,0	23,8	4,0	4,9	9,4	5,6
სამშენებლო მასალების	618,0	45,2	12,0	6,3	27,5	6,5
შუბუქი	2555,0	77,0	120,9	29,0	9,0	7,9
კვების	4508,0	77,0	120,9	29,0	196,3	31,3
ფქვილ-ბურღულეულის და კომბინირებული საკვების	459,0	3,8	85,0	2,5	57,3	2,9
სულ	12063,0	459,4	523,8	163,5	799,8	121,4

მოხმარების პროდუქციაში სასურსათო პროდუქციის წილი 85%-ს აღწევს. ზოგიერთ სამრეწველო ცენტრსა და რაიონში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია, განსაკუთრებით იქ, სადაც აგროსამრეწველო კომპლექსი წამყვან როლს ასრულებს (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, სამტრედია, ხაშური, გორი, თელავი და სხვ.).

იმისათვის, რომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, არსებობა შესძლოს და მსოფლიო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი გახდეს, საჭიროა დაისახოს მრეწველობის განვითარების კონკრეტული სტრატეგია, შეიქმნას ისეთი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას შესძლებს. კერძოდ, იგი ორიენტირებული უნდა იქნას იმ დარგებზე, რომლებიც ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით გამოუშვებს კონკურენტუნარიან პროდუქციას (ფეროშენადნობები, სასუქები, სპილენძის შენადნობები, ელექტროენერგია, აბრეშუმის ნაწარმი, სამარკო ღვინოები, ნატურალური და მინერალური წყლები, ხილის კონსერვები და წვენები, სამკურნალო საშუალებები და სხვ.). საექსპორტო პროდუქციის შექმნისათვის კი აუცილებელია ახალი ინვესტიციები და ტექნოლოგიები. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ-ჯერობით არ ტარდება გარკვეული სამრეწველო პოლიტიკა.

ტერიტორიული სტრუქტურა

საქართველოს რეგიონებში მრეწველობა განვითარების განსხვავებული დონით და განლაგების თავისებურებებით ხასიათდება. საბჭოური პერიოდის საწყის ეტაპზე მრეწველობა ტერიტორიული განლაგების დიდი უთანაბრობით გამოირჩეოდა. დამუშავებითი მრეწველობის საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ზესტაფონში. თბილისში იწარმოებოდა საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 2/3. 1950-იანი წლებიდან მოხდა მრეწველობის ერთგვარი დეცენტრალიზაცია, უფრო მეტად იქნა გამოყენებული სხვა ქალაქების ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, რასაც მოჰყვა მრეწველობის სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით, სამრეწველო ცენტრები სამ ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს: 1. მრავალდარგოვანი სამრეწველო ცენტრები სპეციალიზაციის დარგთა უპირატესი განვითარებით – თბილისი, ქუთაისი, ბათუმი; 2. მძიმე მრეწველობის ცენტრები ორი ან სამი სპეციალიზებული დარგით – რუსთავი, ზესტაფონი, ფოთი, ჭიათურა; 3. რეგიონული სამრეწველო ცენტრები, რომელთა დარგები უმთავრესად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე, ადგილობრივ ბუნებრივ და შრომით რესურსებზე და გამოირჩევა ხელსაყრელი

სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით – ხაშური, გორი, კასპი, ტყიბული, ტყვარჩელი, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი, თელავი, ლანჩხუთი, ოზურგეთი და სხვ.

ქალაქის მოსახლეობის და მრეწველობის თავმოყრა დამახასიათებელია ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ. სამრეწველო პოტენციალის უდიდესი ნაწილი ლიხის ქედის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, ქვემო და შიდა ქართლი) მოდის, სადაც XX ს. 80-იან წლებამდე ქვეყნის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 79%-მდე იწარმოებოდა და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 60%-ზე მეტი იყო დასაქმებული. ამ ზონაში მრეწველობის ასეთი მაღალი კონცენტრაცია, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო თბილისი-რუსთავის სამრეწველო კვანძის არსებობით.

თბილისში მრეწველობის დიდი კონცენტრაცია (ამჟამად მასზე მოდის ქვეყნის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 28,4% და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 32,1%) განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა და მათ შორის – ცენტრალურმა ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ ამიერკავკასიაში და კერძოდ, ბაქო-ბათუმის მაგისტრალზე; კვალიფიციური საწარმოო პერსონალის დიდმა რეზერვმა; უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების არსებობამ. თბილისის მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო საკავშირო სპეციალიზაციის (ელმავლების, თვითმფრინავების, დაზგების, აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ტყავ-ფეხსაცმლის, ღვინის, კონიაკის, შამპანური ღვინოების, არყის, თამბაქოს, ჩაის და სხვ.) საწარმოების და ასევე, მათი მოშსახურე და მოსახლეობის მოხმარებაზე ორიენტირებული (ქიმიურ-ფარმაცევტული, ხის დამმუშავებელი, საშენი მასალების და სამშენებლო ინდუსტრიის, კვების და მსუბუქი მრეწველობის) დარგების განვითარება.

თბილისის გავლენით, მის უშულო სიახლოვეს ჩაისახა და განვითარდა რუსთავის სამრეწველო კომპლექსი. თბილისისაგან განსხვავებით, ის მძიმე ინდუსტრიის ტიპიური ცენტრია – ქიმიური, მეტალურგიული, საშენი მასალების უპირატესი განვითარებით.

სამრეწველო განვითარებით ასევე გამოირჩევა იმერეთის რეგიონი, რომლის სამრეწველო ცენტრში – ქუთაისში განლაგებულია მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მსხვილი საწარმოები (საავტომობილო, სატრაქტორო, ელექტრომექანიკური, ლითოფონის, აბრეშუმის საქსოვი, კვების და სხვ.). მხარეში ჩამოყალიბდა ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძი, რომლის არსებობა ძირითადად ჭიათურის მანგანუმის და ზესტაფონის ელექტრომეტალურგიის ურთიერთკავშირით არის განპირობებული. სპეციალიზებულია აგრეთვე განვითარებულ ღვინის მრეწველობაზე. იმერეთზე მოდის ქვეყნის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 12,2% და მუშა-მოსამსახურეთა 20,8% (ცხრ.4).

ცხრილი 4

მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით (1999 წ.)

№ რეგიონი	საწარმოთა რიცხვი	%	პროდუქციის მოცულობა (ათასი ლარი)	%	სამრეწველო-საწარმოო პერსონალის წლიური რიცხოვნობა (ათასი კაცი)	%
ქ.თბილისი	745	25.0	273588.5	28.4	31.7	32.1
აფხაზეთის არ	2	0.0	40960.2	4.2	0.3	–
აჭარის არ	148	5.0	20225.1	2.2	5.3	5.0
გურია	128	4.3	9294.2	1.0	2.2	2.0
რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	106	3.6	9140.2	0.9	0.9	–
სამეგრელო–ზემო სვანეთი	295	10.0	26113.3	2.7	6.6	7.2
იმერეთი	704	23.6	117090.1	12.2	21.1	20.8
კახეთი	188	6.3	15091.0	1.6	4.3	4.0
მცხეთა–მთიანეთი	115	3.9	18577.2	1.9	2.0	2.0
სამცხე–ჯავახეთი	106	3.6	8254.8	0.8	2.2	2.1
ქვემო ქართლი	185	6.2	190496.7	19.7	16.2	15.8
შიდა ქართლი	209	7.0	35165.4	3.7	4.7	5.0
რეგიონები – სულ	2931	98.5	763946.7	79.3	97.5	96.0
კომპანია „საქენერგო" (ელ.ქსელების მოშს.)	47	1.5	199197.3	20.7	3.7	4.0
საქართველო – სულ	2978	100.0	963144.0	100.0	101.2	100

ქალაქები – ბათუმი, ფოთი (და ადრე სოხუმი) – მნიშვნელოვანი საპორტო-სამრეწველო ცენტრებია, რომლებიც გამოირჩევა მანქანათმშენებლობით, გემთმშენებლობით, კვების მრეწველობით. სამრეწველო კვანძების და ცენტრების (ტყიბული, ტყვარჩელი, გარდაბანი, კასპი, კაზრეთი, კვაისა და სხვ.) გარდა, საქართველოში არსებობს მცირე სამრეწველო პუნქტები, რომელთა ტერიტორიულ განლაგებას დისპერსიული ხასიათი აქვს და მათი უმრავლესობა ძირითადად მოპოვებითი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი გადამუშავების საწარმოებით არის წარმოდგენილი.

მრეწველობა სუსტად არის განვითარებული საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა

სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია. იგი აერთიანებს სათბობის მოპოვებისა და გადამუშავების ყველა პროცესს, ელექტრო-ენერგიის წარმოებას, მის ტრანსპორტირებასა და განაწილებას. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი ემყარება ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის და მდინარეების ენერგიის გამოყენებას. საქართველო სათბობით შედარებით ღარიბ და ჰიდრორესურსებით მდიდარ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. პოტენციურ ენერგორესურსებში ჰიდრორესურსებზე მოდის 70%, ხოლო სათბობზე – 30%.

ჩვენი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის მთავარი პრობლემებია – სათბობი რესურსების მარაგის შეზღუდულობა, ჰიდრორესურსების არასაკმარისად გამოყენება, უარყოფითი ენერგობალანსი, რის გამოც საჭირო ხდება როგორც ნავთობისა და ბუნებრივი აირის, ისე ელექტროენერგიის გარედან შემოტანა. სხვადასხვა შეფასების თანახმად, 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანა ღებულობდა საჭირო ენერგიის მხოლოდ 20%.

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში სათბობის სხვადასხვა სახეობების თანაფარდობა შეიცვალა. თუ ადრე წამყვანი ადგილი ქვანახშირსა და ნაწილობრივ შეშას ეკავა, შემდგომში პირველობა ნავთობმა და ბუნებრივმა აირმა დაიმკვიდრა (შემოტანილი სათბობის ხარჯზე). სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის წილი რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგენდა: 1980 წ. – 6,0%, 1990 წ. – 3,5%, 1999 წ. – 31,0%.

ნახშირის მრეწველობა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. ქვანახშირი გამოიყენება თბოელექტროსადგურებში სათბობის სახით და შავ მეტალურგიაში ტექნოლოგიურ ნედლეულად და სათბობად. საქართველოში ნახშირის გავრცელების სამი აუზია, ორი ქვანახშირის – ტყიბულ-შაორისა და ტყვარჩელის და მესამე მურანახშირის – ახალციხის (ვალე). საქართველოში ქვანახშირის დამტკიცებული მარაგი ამჟამად 432 მლნ ტ შეადგენს, ხოლო პოტენციური – 700 მლნ ტ აღემატება. 150 წლის წინათ დაიწყო ტყიბულის საბადოს ექსპლუატაცია, ხოლო ტყვარჩელისა – 1935 წელს. ტყიბულის ქვანახშირი დაბალი ხარისხისაა და მხოლოდ ტყვარჩელის მაღალხარისხოვან ქვანახშირთან შერევით მიიღება მეტალურგიული კოქსი, რომელიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამოიყენებოდა. ტყიბულის საბადოს გაგრძელებაა შაორის აუზი (მარაგი 300 მლნ ტონა), რომლის მთავარი მომხმარებლები იყვნენ ტყვარჩელის სრესი, რუსთავისა და ქუთაისის თბოელექტროცენტრალები და საქვაბეები. ქვანახშირის მოპოვების მაქსიმუმი 50-იანი წლების ბოლოზე მოდიოდა. 60-იანი წლებიდან დღემდე ქვანახშირის მოპოვება მკვეთრად მცირდება (1980 წ. – 2 მლნ, 1990 წ. – 950 ათასი,

2000 წ. – 14,7 ათასი ტ). ეს გამოწვეულია უმთავრესად საბადოს რთული საექსპლუატაციო პირობებით, მარაგის კლებით, დაბალი ტექნიკური აღჭურვილობით, მოთხოვნილების დაცემით. ასევე აღსანიშნავია სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში გატარებული პოლიტიკა, რომელიც უპირატესობას შედარებით იაფი ენერგორესურსების – ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტს ანიჭებს. 1997 წ. მიღებულია სამთავრობო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საქართველოში ქვანახშირის მოპოვება 2010 წლისათვის 1,5-2,0 მლნ ტონას მიაღწევს (ბერიტაშვილი, 1999).

ნავთობის მოპოვება საქართველოში XX ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა, მცირე რაოდენობით მისი ამოღება XIX ს-ში ნავთლუღში (თბილისის მახლობლად) და შირაქში ხდებოდა. ნავთობის საბადოები განლაგებულია: შიგა კახეთში (მირზაანი, პატარა შირაქი, ტარიბანა), თბილისთან ახლოს (ნორიო, სამგორი-პატარძეული, თელეთი, ნინოწმინდა, რუსთავი), სუფსა-ნატანების მიდამოებში და შავი ზღვის შელფში, რომელიც ნავთობისა და ბუნებრივი აირის ძებნა-ძიების პერსპექტიულ რაიონებს განეკუთვნება.

ქართული ნავთობი ნაკლებად შეიცავს გოგირდს და მისგან მიღებული პროდუქტები, კერძოდ, დიზელის საწვავი და მაზუთი, შემადგენლობით უმაღლესი ხარისხისაა და მსოფლიო სტანდარტების მქონე ანალოგიურ პროდუქტებს უტოლდება. ჩვენში გამოვლენილი ნავთობის საბადოებიდან 2000 წლამდე მოპოვებულია 26,6 მლნ ტ ნავთობი, აქედან 1,3 მლნ ტ 1930-73 წწ-ზე, ხოლო დანარჩენი 25,3 მლნ ტ – ბოლო 25 წლის პერიოდზე (1973-99 წწ.) მოდის. ნავთობის მოპოვებამ მაქსიმუმს (წელიწადში 3,3 მლნ ტ) 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია და ქვეყნის მოთხოვნილების 2/3 შეადგინა, მაგრამ მომდევნო პერიოდში ზოგიერთი საბადოს (თბილისის მიდამოები) მარაგის შემცირებამ გამოიწვია ნავთობის მოპოვების მკვეთრი კლება.

ნავთობის მოპოვების პერსპექტივები საქართველოში განისაზღვრება იმ პოტენციური შესაძლებლობით, რომელიც დღეისათვის რესურსების სახით გაგვაჩნია და სულ 580 მლნ ტ შეადგენს (თევზაძე, 1998). აქედან, ხმელეთზე 380 მლნ ტ, ხოლო შავი ზღვის შელფურ ნაწილში 200 მლნ ტ ვარაუდობენ. ეს არც თუ ისე ცოტაა პატარა ქვეყნისათვის.

1997 წ-დან ნავთობის მოპოვებას „საქნავთობთან" ერთად აწარმოებენ (ჯერჯერობით მცირე მოცულობით, წლიურად დაახლოებით 120-150 ათას ტ-მდე) – ამერიკული, ინგლისური („ნინოწმინდა"), ავსტრალიური, შვეიცარული („იერის ველი"), ბერძნული და სხვა კომპანიები.

როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული ნავთობის გადამუშავება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში (1929-95 წწ.) ხდებოდა. ახლო მომავალში, იაპონელი ინვესტორების დახმარებით, გათვალისწინებულია ქარხნის ძირეული

განახლება და გაფართოება. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციას დიდი უპირატესობა გააჩნია: მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტრადიციული კოლექტივი, პორტის და ტერმინალის არსებობა, სამშენებლო ტერიტორია. არსებობს სხვა ვარიანტებიც, რომლებიც ითვალისწინებს სუფსის, ფოთის და სხვა ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნების მშენებლობას, რომელთა სიმძლავრე, პირველ ეტაპზე, წელიწადში 100 ათასი ტონა ნავთობს შეადგენს.

ნავთობგადამამუშავებელი მინი-ქარხანა შეიქმნა სამგორი-პატარძეულის საბადოსთან. ქარხანა მთლიანად ავტომატიზებულია, საწყის ეტაპზე მისი სიმძლავრე წელიწადში 100 ათასი ტ ნავთობია. აქედან, მაზუთის წარმოებაზე მოდის 40%, დიზელის საწვავზე – 35% და პირველადი გამოხდის ბენზინზე – „ნაფტა" – 25%-მდე. მაზუთს უმთავრესად გარდაბნის თბოელექტროსადგური მოიხმარს.

ბუნებრივი აირი ჩვენში მოიპოვება, უმთავრესად, როგორც ნავთობის თანაპროდუქტი. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ საქართველო ღარიბია ბუნებრივი აირით; საძიებო-გეოლოგიური სამუშაოებით დადგინდა, რომ მისი საპროგნოზო რესურსები მხოლოდ აღმოსავლეთ სამმართველოს საქართველოში დაახლოებით 130 მლრდ $მ^3$-ით განისაზღვრება(ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონაცემები). აირშემცველი ფენები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში – თბილისისა და რუსთავის შემოგარენში, აგრეთვე გარე კახეთის დასავლეთ ნაწილში (ნინოწმინდა). დასავლეთ საქართველოში(შავი ზღვის შელფში) მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები. საპროგნოზო რესურსებიდან დღეისათვის მოპოვებულია 2,3 მლრდ $მ^3$ ანუ სულ 2,0%. მომავალში ბუნებრივი აირის მოპოვების დიდი პოტენციური შესაძლებლობები არსებობს. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერჯერობით საქართველოს მეურნეობა მთლიანად იმპორტულ აირს მოიხმარს.

ელექტროენერგეტიკა მეურნეობის განვითარების აუცილებელი რგოლია. იგი განსაზღვრავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მუშაობას, უზრუნველყოფს კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ქვეყნის ელექტროენერგეტიკის განვითარება ძირითადად დამყარებულია ადგილობრივ ჰიდრორესურსებზე, რაც უდიდეს ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს. საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის პოტენციური ენერგია 159,4 მლრდ კვტ სთ, ხოლო ტექნიკური პოტენციალი, მცირე მდინარეების გათვალისწინებით, 90 მლრდ კვტ სთ-ია. ეკონომიკურად ეფექტური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, 1998 წ. შეფასებით, 45-50 მლრდ კვტ სთ შეადგენს (გრიგოლია, 2000). აღსანიშნავია, რომ ჰიდრორესურსები ტერიტორიულად არათანაბრადაა განაწილებული. მისი უდიდესი ნაწილი – 72%, მოდის დასავლეთ საქართველოს მდინარეთა (უმთავრესად რიონი, ენგური, კოდორი, ბზიფი, ცხენისწყალი) აუზებზე. აღმოსავლეთში გამოირჩევა

მდ.მტკვრის აუზი. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ხვედრითი მახასიათებლით 1 კმ²-ზე საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში (სვანიძე, 1999). დღეისათვის გამოყენებულია ქვეყნის ჰიდრორესურსების დაახლოებით 15%.

ელექტროენერგეტიკა, როგორც მრეწველობის დამოუკიდებელი დარგი, მთლიანად საბჭოთა პერიოდში (განსაკურებით 1961-80 წწ.) განვითარდა. 60-იან წლებამდე ელექტროენერგეტიკაში წამყვანი იყო ჰიდროელექტროსადგურების როლი. 1960 წლისათვის ისინი იძლეოდნენ წარმოებული ელექტროენერგიის 66,8%. შემდგომ წლებში დაჩქარებული ტემპით განვითარდა თბოელექტროენერგეტიკა და 1970 წლისათვის პროპორცია შეიცვალა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ – 61,8%. 1980 წლისათვის, ენგურჰესის ამუშავების შემდეგ, კვლავ გაიზარდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვედრითი წილი – 61,6%, რომელმაც 1990 წ. – 53,3%, ხოლო 2000 წ. 79,2% მიაღწია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰესების სრული შესაძლებლობის მხოლოდ 60%-მდე იყო გამოყენებული.

საქართველოში ჰიდრორესურსების ათვისება მცირე ჰესების მშენებლობით დაიწყო. 60-იან წლებამდე მოქმედებდა 300 მცირე ჰესი, მაგრამ არარენტაბელურობისა და ცენტრალიზებული დაგეგმვის გამო მათმა დიდმა ნაწილმა (30 ჰესის გარდა) მუშაობა შეწყვიტა. ელექტროენერგიას ძირითადად იძლეოდა საშუალო და შედარებით დიდი ჰესები (რიონჰესი, ხრამი I, ხრამი II, ლაჯანურჰესი, ვარციხეჰესი, ჟინვალჰესი, ენგურჰესი, ვარდნილჰესი და სხვ.).

80-იან წლებში ელექტროენერგიის წარმოება ქვეყანაში თითქმის ერთ დონეზე რჩებოდა (14,5 მლრდ კვტ სთ) მაშინ, როცა მისი მოხმარება და შესაბამისად, დეფიციტიც (4,0 მლრდ კვტ სთ), შედარებით სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ, ვინაიდან მაშინ საქართველოს ენერგოსისტემა შედიოდა ამიერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემაში, ეს უკანასკნელი კი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთ გაერთიანებულ ენერგოსისტემაში, ამდენად, ელექტროენერგიის დეფიციტის დაფარვა აქედან ხდებოდა.

საქართველოს ელექტრობალანსი ტრადიციულად დეფიციტურია. 1990 წ. ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდა მხოლოდ 81,6%-ით. წარმოებული ელექტროენერგიის 46,7% მოდიოდა თბოელექტროსადგურებზე, სადაც ძირითადად ქვეყნის გარედან შემოტანილი საწვავი გამოიყენებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეში უმწვავესი პრობლემები შეიქმნა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება 48%-ით შემცირდა (ცხრ. 5).

ცხრილი 5

საქართველოს ელექტრობალანსი 1990-2000 წწ. (მლნ კვტ სთ)

	წლები					
	1990	1993	1997	1998	1999	2000
წარმოება	14245,7	10150,4	7172,2	8062,0	8097,8	7420,6
მოხმარება	17450,3	10862,9	7508,3	7962,0	8168,5	7814,9
დეფიციტი	- 3204,6	- 712,5	- 336,1	+ 100	- 70,7	- 394,3

დეფიციტის შემცირება მოხმარების კლებით იყო გამოწვეული. 1997 წლიდან საქართველოს ელექტრობალანსი შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა 2000 წ. ეს თანაფარდობა დაირღვა. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავება ძირითადად 2 ელექტროსადგურზე ნაწილდება – თბილსრესსა და ენგურჰესზე. ამ პერიოდში ჰესებზე კლებულობს წყლის მარაგი, ხოლო თბილსრესი ბოლომდე არ არის ამუშავებული, რაც იწვევს ელექტროენერგიის იმპორტის აუცილებლობას მეზობელი ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი). იმპორტის შეფერხებით მიწოდების გამო ხშირია სადგურის ცალკეული ბლოკების გამორთვა. ენერგოსისტემა იძულებულია იმუშაოს არასტანდარტულ და ავარიულ, ზღვარზე დასული პარამეტრებით. საჭირო სახსრების უქონლობის გამო თითქმის შეწყდა ენერგოობიექტების სარემონტო სამუშაოები, გაძნელებულია ელექტროსადგურების საწვავით მომარაგება, მოუწესრიგებელია ენერგიის აღრიცხვა და მისი მოხმარების საფასურის ამოღება, დიდია ელექტროენერგიის დანაკარგები, არასაკმარისად გამოიყენება არსებული სიმძლავრეები (ერისთავი, 2000).

ენერგიის წარმოების, მიწოდების და მოხმარების ბალანსის მკვეთრად დარღვევის გამო ენერგომოხმარებაში მთავარი სიმძიმე ელექტროენერგიას დააწვა. გაზის დეფიციტის პირობებში გათბობის და ცხელი წყლით მომარაგებისათვის მოსახლეობა იყენებს ისედაც დეფიციტურ ელექტროენერგიას, რაც ელექტროენერგეტიკაში კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს. 1990 წლამდე საყოფაცხოვრებო სექტორზე დახარჯული ელექტროენერგიის წილი ელექტროენერგიის მთლიან ხარჯში თითქმის მინიმუმს შეადგენდა. 90-იან წლებში კი მოსახლეობა იგივე მიზნებისათვის ხარჯავდა 4-5-ჯერ მეტ (50%) ელექტროენერგიას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში (თოხაძე, 1999).

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკა მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან. რამდენიმე პროგრამის (ვარციხეჰესის კასკადის, ლაჯანურჰესის, ხრამჰესისა და ვარდნილჰესის აღდგენა-რეაბილიტაცია და სხვ.) დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტების 48% უკვე ათვისებულია (უმეტესად თბილსრესის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე).

მიუხედავად ამისა, ელექტროენერგეტიკამ მაინც მოითხოვა რადიკალური რეფორმების გატარება, პირველ რიგში, მცირე ობიექტების პრივატიზაცია, ხოლო მსხვილის – იჯარით გაცემა. სააქციო საზოგადოება „თელასის" აქციათა პაკეტის 75% (1999 წ-დან) და ხრამი I და II უმსხვილეს ამერიკულ ენერგეტიკულ კორპორაცია „ეი-ი-ეს"-ს 25-წლიანი იჯარით გადაეცა. მცირე პრივატიზაციის პროცესი უფრო ადრე – 1992 წ. დაიწყო და საქენერგოს დაქვემდებარებული 30 მცირე ჰესიდან სხვადასხვა ფორმით 22 (1998 წ.) პრივატიზებულ იქნა. საყურადღებოა, რომ ყველა ეს ობიექტი მოქმედებს და მათი გამომუშავება საპროექტოს უახლოვდება. პრივატიზებული ელექტროსადგურების (თბილსრესის „ეი-ი-ეს" მტკვარის N9 და N10 ბლოკებთან ერთად) მიერ 2000 წ. გამომუშავებული ელექტროენერგია 1,6 მლრდ კვტ სთ, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელსადგურების (ენგურჰესი, ვარციხეჰესი, ლაჯანურჰესი, თბილსრესის N3, N4 დაN8 ენერგობლოკები) მიერ 5,6 მლრდ კვტ სთ შეადგინა.

უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარება დაკავშირებულია მცირე ჰესების მშენებლობასთან. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მცირე სიმძლავრის (20 მგვტ-მდე) ჰესების პროექტის შესაქმნელად. მომზადებულია 200-ზე მეტი ელექტროსადგურის განთავსების სქემა და რამდენიმე ელექტროსადგურის ბიზნესგეგმა.

პირველი მცირე (24 მგვტ) ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო ახმეტის რ-ში, პანკისის ხეობაში მდ.ხადორზე (მდ.ალაზნის მარცხენა შენაკადი) ჩინეთის სიჩუანის ენერგოკორპორაციის პარტნიორობით. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 2003 წელს. იგი წლიურად გამოიმუშავებს 140 მლნ კვტ სთ ელექტროენერგიას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კახეთის რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში. სპეციალისტების აზრით (სვანიძე, 1999), პარალელურად უნდა განახლდეს 700 მგვტ სიმძლავრის ხუდონჰესის მშენებლობა, რიონის კასკადს შეემატოს ნამახვანის, ტვიშისა და ჟონეთის ჰიდროელექტროსადგურები. მათი საერთო სიმძლვარე 1,14 მლნ კვტ შეადგენს, ხოლო ენერგიის გამომუშავება 3,3 მლრდ კვტ სთ. საერთოდ კი, უახლოესი 20-30 წლის განმავლობაში საქართველოში შეიძლება აშენდეს 360-მდე საშუალო და მცირე ჰესი 40 მლრდ კვტ სთ საერთო გამომუშავებით. ამით პრაქტიკულად 80%-ით იქნება ათვისებული ჩვენში ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი.

საქართველო ასრულებს ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციას. მისი ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ელექტროენერგიის სატრანზიტო ქვეყანა რუსეთსა და თურქეთს, რუსეთსა და სომხეთს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის. არსებული ხაზები საქართველოს გავლით თურქეთსა და სომხეთს შორის უკვე აღდგენილია.

მეტალურგია

შავი მეტალურგია. საქართველო უძველესი დროიდან იყო ცნობილი მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადებით. მაგრამ ლითონის, კერძოდ, თუჯის ქარხნული წესით წარმოება 1862 წლიდან დაიწყო ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ბოლნისის რაიონის ს.ჩათახში.

საქართველოს შავი მეტალურგია წარმოდგენილია ორი ურთიერთდაკავშირებული საწარმოო კომპლექსით – რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებით. მიუხედავად იმისა, რომ შავი მეტალურგიის პროდუქციის საერთო მოცულობა ამჟამად, 80-იან წლებთან შედარებით, 9-ჯერ შემცირდა, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი თითქმის განახევრდა (1,6 ათას კაცამდე), იგი მაინც რჩება ქვეყნის ტერიტორიული სპეციალიზაციის მნიშვნელოვან დარგად.

მანგანუმის მოპოვება ჭიათურაში 1879 წ-დან დაიწყო. იგი გამდიდრებული სახით გაიზიდებოდა საზღვარგარეთ და 1900-იანი წლების დასაწყისში მანგანუმის მსოფლიო ექსპორტში 41%-ს შეადგენდა. საბჭოთა წლებშიც გაგრძელდა მისი საზღვარგარეთ გატანა, მაგრამ ამავე დროს გაიზარდა ადგილობრივი მოხმარებაც. 1933 წლიდან მთავარი მომხმარებელი გახდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ელექტრომეტალურგიული წარმოების დამამთავრებელი „ზედა სართულია". იგი მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობებით უზრუნველყოფდა სსრკ-ში წარმოებული ფოლადის მთელი მოცულობის 75%. გარდა ამისა, ქარხანა იყო სილიკომანგანუმის ნახშირბადიანი და საშუალონახშირბადიანი მანგანუმის ერთადერთი მწარმოებელი. ჭიათურის მანგანუმის მარაგის შემცირების და ქვეყნის მრეწველობაში შექმნილი საერთო კრიზისის გამო მისი წარმოება ძლიერ შეიზღუდა. ამასთანავე, სილიკომანგანუმის გარდა, შემცირდა ყველა სახის პროდუქციის, განსაკუთრებით ფერომანგანუმისა და ელექტრომანგანუმის წარმოება.

1998 წლიდან „ჭიათურმანგანუმის" აქციების 75% შეისყიდა რუსეთის კომპანია „ინდუსტრიამ". ტენდერის პირობების თანახმად, საწარმოს რეაბილიტაციის და განვითარების მიზნით, კომპანიამ 10 წლის განმავლობაში უნდა ჩადოს 30 მლნ აშშ დოლარი. მუშაობის პირველ ეტაპზე მანგანუმის მადნის მოპოვებამ წელიწადში 2 მლნ ტ-მდე უნდა შეადგინოს, ხოლო სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 500 ათას ტ-მდე. იგი განკუთვნილია საქართველოს შიდა ბაზრისათვის (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის ქიმკომბინატი), აგრეთვე საექსპორტოდ (ურალის და აღმოსავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნები).

საქართველოს შავი მეტალურგიის მეორე მნიშვნელოვანი კერაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1950 წ. მისი შექმნა განაპირობა ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში ნავთობის მილებსა და

ფურცლოვან ნაგლინზე მოთხოვნილებამ, აგრეთვე პუნქტის ხელსაყრელმა ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ ადგილობრივი სათბობისა და სანედლეულო ბაზების – ტყვარჩელისა და ტყიბულის კოქსვადი ქვანახშირის, დაშქესანის (აზერბაიჯანი) რკინის მადნის საბადოს და მომხმარებლის მიმართ. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია იყო: თუჯი, ფურცლოვანი ნაგლინი, უნაკერო მთლიანჭიმული ფოლადის მილები და სხვ. ბოლო ათი წლის განმავლობაში საწარმო დიდი შეფერხებებით მუშაობს. 2000 წ. ძირითადი პროდუქციიდან გამოუშვა მხოლოდ ფოლადის მილები – 2595 ტ (1995 წ-თან შედარებით 14,5-ჯერ ნაკლები).

გართულდა ქარხნის მომარაგება ტექნოლოგიური სათბობით და ნედლეულით, მათ შორის ჯართით; განელილ პერიოდში ძალიან შეიცვალა მისი სათბობ-სანედლეულო ბაზა – ტყვარჩელის მაღალი ხარისხის ქვანახშირის საბადოები პრაქტიკულად ამოიწურა, ტყიბულის მაღალნაცრიანი და გაზიანი ნახშირი მეტალურგიაში აღარ გამოიყენება, ხოლო დაშქესანის რკინის გამამდიდრებელ კომბინატზე წლების მანძილზე პროდუქციის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკონსტრუქცია არ ჩატარებულა. ამიტომ ქარხანა გადასული იყო კუზნეცკის (რუსეთი), კრივოი როგის (უკრაინა), ყარაგანდის (ყაზახეთი) რკინის კონცენტრატებისა და ქვანახშირის გამოყენებაზე, რაც ძალიან ზრდიდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას. დიდ ცვლილებებს განიცდის აგრეთვე გასაღების ბაზარიც.

შემუშავებულია რუსთავის კომბინატის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებს ელექტროფოლადსასხმელი საამქროს მშენებლობას. მისი განხორციელების შემთხვევაში საწარმო (სუმგაითის მილდამამზადებელ ქარხანასთან ერთად) უზრუნველყოფს არა მარტო საქართველოს და აზერბაიჯანის, არამედ ცენტრალური აზიის მოთხოვნილებას ნავთობის მილებზე.

ფერადი მეტალურგია. საქართველო ფერადი ლითონების წარმოების ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ გავრცელებული სამრეწველო მნიშვნელობის ფერადი ლითონებიდან აღსანიშნავია: სპილენძი, ტყვია, თუთია, სტიბიუმი, დარიშხანი, ვერცხლი, ოქრო და სხვ. ეს დარგი უმთავრესად წარმოდგენილია სამთო-მომპოვებელი და გამამდიდრებელი საწარმოებით.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან კვაისაში ამოქმედდა ტყვია-თუთიის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. იგი წლიურად 5,2 ათას ტ თუთიის და 1,5 ათას ტ ტყვიის სულფიდურ კონცენტრატებს აწარმოებდა. გამოშვებულ კონცენტრატს გადასამუშავებლად ქ.ორჯონიკიძეში (ვლადიკავკაზი) აგზავნიდნენ.

დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია მადნეულის (ბოლნისის რაიონის დ.კაზრეთი) საკმაოდ მდიდარი საბადოს (შეიცავს სპილენძს, ტყვია-თუთიას, ბარიტს და სხვ.) ბაზაზე 1973 წ. შექმნილი სამთოგამამდიდრებელი კომბინატი. ძირითადი პროდუქცია – სპილენძის სულფიდური კონცენტრატი (წელიწადში 72 ათასი ტ) გადასამუშავებლად უმთავრესად იგზავნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

მადნეულში შეიქმნა ოქროს მწარმოებელი ავსტრალია-საქართველოს ერთობლივი საწარმო „კვარციტი". ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ 20 წლის წინ შემუშავებულ იქნა ოქროს მომპოვებელი საწარმოს ორგანიზაციის გეგმა, რომლის რეალიზაცია საბჭოთა პერიოდში ვერ მოხერხდა.

დაწყებულია მადნეულის კომბინატის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობს შვეიცარიის კომპანია „გენკო" (10 მლნ დოლარის ინვესტიციები). იგი ითვალისწინებს ძირითადი ფონდების განახლებას, რის შედეგადაც სპილენძის მადნის მოპოვება 1 მლნ ტ-ს, ხოლო სპილენძის კონცენტრატის წარმოება წელიწადში 40 ათას ტ მიაღწევს (ზვიადაძე, 1998).

ფერადი ლითონებიდან მოიპოვება აგრეთვე დარიშხანი ცანაში (ქვემო სვანეთი) და მდ.ლუხუნისწყლის აუზში, ს.ურავში (ზემო რაჭა). ოცდაათიანი წლებიდან ამოქმედდა ურავის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი (საპროექტო სიმძლავრე 900 ტ კონცენტრატი), სადაც ხდებოდა მცირე რაოდენობით ლითონური დარიშხანის წარმოება. რუსთავში შექმნილია ალუმინის მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი გერმანია-–საქართველოს ერთობლივი საწარმო (წელიწადში 25-30 ათასი ტ ალუმინის შენადნობი). აღნიშნული სამთოგამადიდრებელი და მეტალურგიული საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია უკანასკნელი წლების მანძილზე მკვეთრად შემცირდა.

ფერადი ლითონების მეტალურგიული გადამუშავების არარსებობის გამო საქართველო ვერ აწარმოებს ლითონურ სპილენძს, ტყვიას, თუთიას, სტიბიუმს, იშვიათ ლითონებს.

უახლოეს პერსპექტივაში აუცილებელია შეიქმნას სრული ციკლის ფერადი მეტალურგია, რომელიც შესაძლოა გადაიქცეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ, სტრატეგიული მნიშვნელობის დარგად.

ქიმიური მრეწველობა

გასაბჭოებამდე ქიმიური მრეწველობა სუსტად, მაგრამ მაინც მეტნაკლებად განვითარებული იყო თბილისსა და ბათუმში. აქ უმთავრესად აწარმოებდნენ მინერალურ საღებავებს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა პროდუქციას. მრეწველობის ამ დარგის განვითარებას ხელი შეუწყო სამთო-ქიმიური ნედლეულის (მაღალხარისხოვანი ბარიტი, ბენტონიტური თიხები, ანდეზიტები და სხვ.) არსებობამ, საწყის ეტაპზე შავი მეტალურგიის შექმნამ, შემოტანილმა (ბუნებრივი აირი, გოგირდმჟავა, ნავთობპროდუქტები, კაუსტიკური და კალცინირებული სოდა და სხვ.) ნედლეულმა, კვალიფიციური კადრების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არსებობამ, მოთხოვნილებამ მრავალფეროვან პროდუქციაზე.

ამჟამად იგი წარმოდგენილია მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, ლაქ-საღებავების, პლასტმასების წარმოებით, საყოფაცხოვრებო და სამფო ქიმიით, ფარმაცევტული პროდუქციით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებამ და მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილების მნიშვნელოვანმა ზრდამ ქ.რუსთავში (1955 წ.) აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობა განაპირობა. მუშაობის საწყის ეტაპზე საწარმო ნედლეულად მეტალურგიული ქარხნის საკოქსე აირს იყენებდა. ბუნებრივ აირზე გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების მასშტაბები და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი (ამონიუმის გვარჯილა, თხევადი და აირადი ამიაკი, თხევადი ჟანგბადი, კალიუმის პერმანგანატი და სხვ.). ქარხანა სასუქებს აწვდის საქართველოს სოფლის მეურნეობას, ნაწილი კი მიდის ექსპორტზე.

მინერალური სასუქების საწარმოებთან კოოპერირების საფუძველზე 1965 წ. აშენდა ქიმიური ბოჭკოს სანედლეულო მასალის კაპროლაქტამის ქარხანა, ხოლო მის ბაზაზე შეიქმნა ქიმიური ბოჭკოს წარმოება. იგი ძირითადად კორდისა და აბრეშუმის ნართს უშვებდა. ამგვარად, ჩამოყალიბდა სრული ტექნოლოგიური კავშირების მქონე საწარმოთა ჯგუფი, რომელიც თავისი საწარმოო პროფილით ქიმკომბინატად გადაიქცა და გახდა საქართველოს ქიმიური მრეწველობის ყველაზე მსხვილი საწარმო. უკანასკნელ წლებში ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის არასტაბილური მიწოდება იწვევს მის ხშირ გაჩერებას, რის გამოც 1990-99 წწ. მინერალური სასუქების წარმოება 130 ათასიდან 95,2 ათას ტ-მდე შემცირდა. თითქმის მთლიანად შეწყდა კაპროლაქტამის და ქიმიური ბოჭკოს წარმოება. არადა, ქიმკომბინატის სრული ციკლით და მაქსიმალური დატვირთვით მუშაობის პირობებში სასაქონლო პროდუქციის მოცულობამ შესაძლოა წელიწადში 100 მლნ ლარზე მეტს მიაღწიოს. ამ შემთხვევაში საქართველოს სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ქიმიური სასუქებით, მარტო ამონიუმის გვარჯილის წარმოებული საერთო მოცულობის 60-65 % კი შეიძლება ექსპორტირებულ იქნას უცხოეთში (ხოფერია, 1998 წ.).

ქიმიური მრეწველობის განვითარებით გამოირჩევა აგრეთვე ქ.ქუთაისი. აღსანიშნავია ლითოფონის ქარხანა, რომელიც ნედლეულად იყენებს მაღალ-ხარისხოვან ბარიტს და უშვებს სხვადახვა სახის ლაქ-საღებავებს, ემულსიებს. აქვე შექმნილია რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა. ადრე ლაქ-საღებავებს აწარმოებდნენ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, მარნეულსა და ზესტაფონში. თბილისისა და ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები აწარმოებენ საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს, აგრეთვე პოლიმერულ ტარას, რეზინის ნაკეთობებს, სინთეზურ ნაწარმს, მედიკამენტებს.

დღეისათვის საწარმოთა დიდი ნაწილი გაჩერებულია. მთავარი პროდუქცია, რომლის წარმოებაც მნიშვნელოვანი შემცირებით, მაგრამ მაინც ხდება, არის

ბუნებრივი ცეოლითი, სინთეზური ამიაკი, ელექტროლიტური მანგანუმის ორჟანგი, აზოტოვანი მინერალური სასუქები, ამონიუმის გვარჯილა.

საქართველოსთვის პერსპექტიულია ქიმიურ-ფარმაცევტული და მიკრობიოლოგიური მრეწველობის გაფართოება და განვითარება. აუცილებელია რუსთავის აზოტის ქარხანაში მინერალური და ორგანულ-მინერალური (უნიტრატო) სასუქების წარმოების ორგანიზაცია.

მანქანათმშენებლობა

საქართველოს მრეწველობის მრავალდარგოვან სტრუქტურაში მანქანათმშენებლობა ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა და მნიშვნელოვანწილად მის ტერიტორიულ სპეციალიზაციას განსაზღვრავდა. იგი ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში შეიქმნა, სწრაფად ვითარდებოდა და ზრდის ტემპით ბევრად წინ უსწრებდა რესპუბლიკის მრეწველობის საშუალო მაჩვენებელს. ამასთანავე, განუხრელად იზრდებოდა მისი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში: 6% – 1940 წ., 11% – 1960 წ., 14% – 1980-90 წწ, შემდგომ დაიწყო დაქვეითება და 1999 წ. ომამდელი 1940 წ-ის დონეს გაუთანაბრდა.

საბჭოთა პერიოდში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქციის ზრდასთან ერთად მოხდა მისი სპეციალიზაციის გაღრმავება და მანქანებისა და მოწყობილობების ცალკეული სახეების (ლითონმჭრელი დაზგები, ელექტრომავლები, მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანები, მინიტრაქტორები, კატარღები, ელექტროტექნიკური მოწყობილობა, ხელსაწყოები და სხვ.) მიხედვით საერთოსაკავშირო წარმოებაში მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

მანქანათმშენებლობის დარგებიდან გამოიყოფა სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მოწყობილობისა და ინსტრუმენტების წარმოება, კვების და მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მანქანა-მოწყობილობების დამზადება, ჩარხმშენებლობა, ლითონდამუშავება.

მანქანათმშენებლობა გამოირჩევა დიდი რაოდენობით მუშახელის, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების დასაქმებით (80-იანი წლების ბოლოს დარგის საერთო ვარდნის მიუხედავად მისი ხვედრითი წილი მთელ სამრეწველო პერსონალში 17%-ს შეადგენდა). მანქანათმშენებელი საწარმოები ძირითადად კონცენტრირებულია დიდ ქალაქებში, ხოლო მათი ფილიალები საშუალო და მცირე დასახლებულ პუნქტებში. კვების მრეწველობის შემდეგ იგი ტერიტორიულად ყველაზე გავრცელებული დარგია.

თბილისის საავიაციო ქარხანა შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის წლებში. 90-იან წლებამდე იგი სამხედრო დანიშნულების რეაქტიულ თვითმფრინავებს უშვებდა.

ბოლო წლებში მოხდა საწარმოს რეკონსტრუქცია სამოქალაქო თვითმფრინავების გამოშვების მიზნით.

ასევე აღსანიშნავია თბილისის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მსხვილი ქარხანა – „ელმავალმშენებელი", რომელიც სპეციალიზებულია მაგისტრალური ელმავლების გამოშვებაზე. 60-იანი წლების დასაწყისში მისი პროდუქცია საკავშირო წარმოების 22%, ხოლო 1983 წ. უკვე 2/3 (138 ცალი) შეადგენდა და მთლიანად რესპუბლიკის გარეთ გადიოდა. ბოლო წლებში მათი წარმოება არსებითად შემცირდა (1990 წ. – 86, 1995 წ. – 1, 2000 წ. – 4 ცალი).

საავტომობილო მანქანათმშენებლობა განვითარებულია ქუთაისში. 1951 წლიდან აქ მოქმედებს მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანების მსხვილი ქარხანა, რომელიც ამზადებს აგრეთვე სათადარიგო ნაწილებსა და აგრეგატებს. მისი ფილიალები მოქმედებდა გეგუთში, აბაშაში, ჩოხატაურში. 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანება, რომლის მთავარი პროდუქცია იყო „ქაზ-4540" დიზელის ავტომანქანა. 1995 წ. გამოუშვეს 209, ხოლო 2000 წ. – 44 ცალი. აწარმოებდნენ აგრეთვე სახალხო მოხმარების სხვადასხვა საგნებს.

გემთმშენებელი და გემთშემკეთებელი საწარმოები აგებულია ბათუმსა და ფოთში. ბათუმის ქარხანა უშვებდა გასასეირნებელ კატარღებს, ხოლო ფოთში ხდებოდა როგორც გემების შეკეთება, ასევე მცირე წყალწყვის წყალქვეშაფრთებიანი ჩქაროსნული საზღვაო გემების – „კომეტას" წარმოება. პროდუქციის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა.

ელექტროტექნიკური, ელექტრონული და ხელსაწყოთმშენებლობა ომის შემდგომ წლებში ძირითადად თბილისში და ქუთაისში განვითარდა, ხოლო მცირე სიმძლავრის საწარმოები – ფოთში, გორში, ცხინვალში, ზესტაფონში, კასპში, ვალეში და სხვ. ეს დარგები გამოირჩევა მცირე ლითონტევადობით და კვალიფიციურ მუშახელზე მაღალი მოთხოვნილებით, ამიტომ, საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია თბილისში. აქ მოქმედი საწარმოებიდან აღსანიშნავია: „ელექტროავტომატი", „ელექტროგამშვები", „ელექტროიზოლიტი", „მიკროძრავა", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა" და „ანალიზხელსაწყო", „ჰიდრომეტხელსაწყო" და სხვ. 80-იანი წლებიდან ამოქმედდა ტელევიზორების ქარხანა, რომელმაც 1984 წ. 14 ათასი ფერადი ტელევიზორი „იერია" გამოუშვა, 2000 წ. კი სულ 1585 ცალი.

თბილისში შექმნილია აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი", რომელიც ორ ძირითად ჩარხმშენებელ ქარხანას აერთიანებს. მთავარი პროდუქციაა უნივერსალური ლითონმჭრელი ჩარხები. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში ამზადებდნენ სხვადასხვა დანიშნულების მანქანებს, მოწყობილობებსა და დანადგარებს კვების, მსუბუქი მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის. ქუთაისის მინიტრაქტორების ქარხანამ 1990 წ. გამოუშვა 23 ცალი ტრაქტორი, 1997 წ. – 17, 1999 წ-დან ძრავების უქონლობის გამო იგი გაჩერებულია. ქარხანაში

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და ქარხნის ამუშავება ნავარაუდევია უცხოურ ფირმებთან, კერძოდ, ცნობილ იტალიურ ფირმა „გოლდონ"-თან თანამშრომლობით.

ასევე აუცილებელია მანქანათმშენებლობის სხვა საწარმოების (რომლებიც ჯერ კიდევ გადაურჩნენ ნულოვან აუქციონზე გაყიდვას) შენარჩუნება და მათი განვითარების ახალი გზების ძიება. პერსპექტიულია საკუთარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბება. შექმნილია სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა". იგი აპროექტებს და შეუძლია სამხედრო დანიშნულების რიგი პროდუქციის და მათ შორის, იარაღის გამოშვება.

საშენ მასალათა მრეწველობა

საშენ მასალათა წარმოება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული დარგია. მის განვითარებას ხელი შეუწყო მდიდარმა და მრავალფეროვანმა სანედლეულო ბაზამ. რესპუბლიკაში უხვად მოიპოვება სხვადასხვა სახის საშენი მასალები: ინერტული მასალა (სილა, ქვიშა, ღორღი, ხრეში), ცარცი, თაბაშირი, სააგურე და კერამიკული თიხები, მოსაპირკეთებელი ქვები (მარმარილო, ტეშენიტი, ტუფი).

საშენ მასალათა მრეწველობაში ცემენტის წარმოებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. შექმნილია ცემენტის ორი მსხვილი ქარხანა, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი მუშაობს 1930 წლიდან ადგილობრივი კარბონატული ქანების საბადოს ბაზაზე. იმ დროისათვის ის ერთადერთი იყო მთელ სამხრეთ კავკასიაში. 1956 წლიდან კი რუსთავში ამუშავდა ცემენტის ქარხანა, რომელიც ნედლეულად სხვა მასალასთან ერთად თავის კაზმში იყენებდა მეტალურგიულ ნარჩენებს – წიდას და უშვებდა სხვადასხვა სახის ცემენტს. 80-იანი წლების ბოლოს ორივე ქარხანამ 1,6 მლნ ტ ცემენტი გამოუშვა. მიუხედავად ამისა, იგი ვერ აკმაყოფილებდა რესპუბლიკის მოთხოვნილებას და დანაკლისი რუსეთიდან შემოპქონდათ. შემდგომ წლებში მისი წარმოება შემცირდა და 1995 წ. მხოლოდ 60 ათასი ტ შეადგინა. 2000 წ. მდგომარეობა გაუმჯობესდა და პროდუქციამ 350 ათას ტ მიაღწია. ცემენტის გარდა შემკვრელ მასალად გამოიყენებოდა აგრეთვე კირი, რომლის საწარმოები ფართოდაა გავრცელებული (დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ძეგვი, კავთისხევი, სურამი, სენაკი, მოწამეთა). კირისაგან დამზადებული კედლები ანტისეისმურია, რაც მეტად მნიშვნელოვანია სეისმურად აქტიურ ზონაში სასოფლო მშენებლობისათვის.

სამშენებლო აგურს, საკედლე მასალებსა და ბლოკებს აწარმოებენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. გამომწვარი და სილიკატური აგურის ქარხნები განლაგებულია საგარეჯოში, მეტეხში, ავჭალაში, ჭიათურაში, აჯამეთში, სენაკში. მუყაო-რუბეროიდის ქარხანა შექმნილია გარდაბანში.

საქართველო მდიდარია ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვებით (მარმარილო, ბაზალტი, ტუშენიტი, გაბრო, ტუფი, კირქვები). ისინი კარგი დეკორატიული და შესაბამისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ხასიათდება. ცნობილია დიზის (მესტიის რ-ნი), ლოპოტის (თელავის რ-ნი), სალიეთის, მოლითის, შროშის (იმერეთი), სადახლოს მარმარილოს საბადოები, ბოლნისის ტუფი, კურსების ტუშენიტი, კირქვის წარმოება შექმნილია გოდოგანსა და ეკლარში. ხარაგაულისა და ზესტაფონის გაბრო ეგზოტიკურ ქვებს მიეკუთვნება, იგი საუკეთესო მოსაპირკეთებელი და ძვირადღირებული მასალაა. პერსპექტიულია ზემო სვანეთის გრანიტების და ზემო რაჭის მორენული მოსაპირკეთებელი ქვების უნიკალური საბადოების ექსპლუატაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ფართოდ გაშლილმა კაპიტალურმა მშენებლობამ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მრეწველობის განვითარება გამოიწვია.

მრეწველობის სხვა დარგების მსგავსად, საშენ მასალათა მრეწველობაშიც მკვეთრად შემცირდა გამოშვებული პროდუქცია, როგორც ოდენობრივად, ასევე სახეობების მიხედვით. განსაკუთრებით დიდი შემცირებით გამოირჩევა ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციების და ნაკეთობების წარმოება (1969 წ-თან შედარებით 2000 წ. 1,0 მლნ-დან 12,7 ათას $მ^3$-მდე), ხოლო არამადნეული სამშენებლო მასალების გამოშვებაში შეინიშნება ზრდა (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გადიდდა 2-ჯერ).

შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, საშენ მასალათა წარმოების განვითარება პერსპექტიულია. ამას განაპირობებს საბადოთა ხელსაყრელი მდებარეობა (რკინიგზებსა და საავტომობილო გზებთან ახლოს), კაპიტალური მშენებლობის შესაძლებელი ზრდა, საავტომობილო მაგისტრალების და თბილისი–ახალქალაქი–ყარსის რკინიგზის რეკონსტრუქცია და ახალმშენებლობება.

ხე-ტყის მრეწველობა

ხე-ტყის მრეწველობა საქართველოში არასდროს არ ყოფილა წამყვანი დარგი. აქ დამზადებული პროდუქცია – შეშა, ავეჯი, ფიცარი, ქაღალდი უმთავრესად ადგილზე მოიხმარებოდა. ქვეყანა არ გამოირჩევა ტყის დიდი სამრეწველო რესურსებით. მართალია, ტყით დაფარული ტერიტორია მთელი ფართობის 39,6%-ს შეადგენს, ხოლო ხე-ტყის მარაგი 400 მლნ $მ^3$-ს აჭარბებს, მაგრამ გასათვალისწინებულია ის, რომ ტყეებით დაფარულია უმთავრესად მთიანი რაიონები ძლიერ დახრილი ფერდობებით და მათ ძირითადად ნიადაგდაცვითი და რეკრეაციული ფუნქცია გააჩნიათ.

1980-იანი წლების ბოლოს ტყის რესურსების არარაციონალურ გამოყენებას მოჰყვა ეკოლოგიური კატასტროფები (ზვავების, მეწყრების და ღვარცოფების გააქტიურება). უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იმატა ტყის უკანონო ჩეხვამ და მისმა კონტრაბანდამ.

ადრე ხე-ტყის სამრეწველო დამუშავება, უმეტესად შემოტანილი ხე-ტყის ბაზაზე, ასობით საწარმოში ხდებოდა. ახლა მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. აღსანიშნავია მსხვილი გაერთიანება „განთიადი" და „მერქანი", ავეჯის და სასკოლო ინვენტარის ფაბრიკები თბილისში. მაღალი ხარისხის ავეჯს ამზადებენ ქუთაისსა და ბათუმში, გრეხილ სკამებს – მარელისში, ხის საწოლებს – ახალდაბაში. ავეჯზე მოთხოვნილების დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციით კმაყოფილდება.

ქაღალდის წარმოებას საქართველოში XX ს. 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. შეიქმნა ჯერ თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, ხოლო 1939 წ. ს.ინგირში (ზუგდიდის მახლობლად) – ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი. იგი 80-იან წლებამდე ცელულოზის მისაღებად გარკვეულწილად სვანეთის ტყეებს იყენებდა, რამაც მათ უდიდესი ზიანი მიაყენა. შემდგომ ქაღალდის დამზადება ციმბირიდან მიღებული ცელულოზით დაიწყეს. მისი ძირითადი პროდუქცია იყო ქაღალდის სხვადასხვა ნაწარმი და რვეულები. ტრადიციული კავშირების მოშლის შემდეგ წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 80-იან წლებში 40 ათასი ტ ქაღალდი და 18 ათასი ტ ცელულოზა მზადდებოდა, 90-იან წლებში პროდუქცია საერთოდ არ გამოუშვიათ. 2000 წლისათვის კი დაამზადეს მხოლოდ 37 ტ ქაღალდი.

შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად შემუშავებულია დარგის განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს მსხვილი და საშუალო სიმძლავრის საწარმოთა ბაზაზე ხე-ტყის დამზადებისა და მისი გადამუშავების ერთიანი სამრეწველო კომპლექსის შექმნას.

მსუბუქი მრეწველობა

საბჭოთა პერიოდში მსუბუქი მრეწველობა ძალიან დიდ როლს ასრულებდა საქართველოს სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბებაში. მისი განვითარების მთავარი წინაპირობა იყო ადგილობრივი სანედლეულო ბაზის არსებობა, არსებული საწარმოო ტრადიციები, მოხმარების საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფა. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული აბრეშუმის ქსოვილებით, ფეხსაცმლით და ტრიკოტაჟით იგი წინ უსწრებდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ათეული წლების განმავლობაში მსუბუქი მრეწველობა ყალიბდებოდა როგორც საკავშირო სპეციალიზაციის დარგი. საბჭოთა ბაზრის მოთხოვნილება საქართველოში

წარმოებულ პროდუქციაზე ძალიან მაღალი იყო. აქ დამზადებული ქსოვილების, ფეხსაცმლის, წინდების და სხვა ნაწარმის დიდი ნაწილი გაჰქონდათ სსრკ-ს რაიონებში, ხოლო იქიდან შემოჰქონდათ სხვა ასორტიმენტის იგივე სახის საქონელი.

მსუბუქი მრეწველობის წამყვანი დარგი – საფეიქრო, წარმოდგენილია აბრეშუმის, შალის, ბამბის ქსოვილების წარმოებით. აბრეშუმს ჯერ კუსტარულად ამზადებდნენ, XIX ს-ში კი შეიქმნა მანუფაქტურული წარმოება. მისი პირველადი საწარმოები – აბრეშუმსახვევი ფაბრიკები განლაგებულია მეაბრეშუმეობის რაიონებში – თელავში, ქუთაისში, ხონში, ოზურგეთსა და სამტრედიაში. მსხვილი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები შეიქმნა თბილისში (1920 წ.) და ქუთაისში (1935 წ.). ნატურალურ აბრეშუმთან ერთად ამზადებდნენ ხელოვნურ და შერეულ ქსოვილებს. 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში 50 მლნ მ^2 ყველა სახის აბრეშუმის ქსოვილს აწარმოებდნენ.

შალეულის წარმოების მთავარი ცენტრებია თბილისი და ქუთაისი. ძალზე მნიშვნელოვანი საწარმო – მაუდ-კამვოლის კომბინატი თბილისში მოქმედებდა (1929 წ-დან), ხოლო ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა – სენაკში. ბამბის ქსოვილების მთავარი ცენტრი იყო ქ.გორი, ხოლო შედარებით მცირე სიმძლავრის ფაბრიკები შეიქმნა ქუთაისში, სოხუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, აბაშაში, კულაშში. ბამბა შემოჰქონდათ აზერბაიჯანიდან და შუა აზიის რესპუბლიკებიდან. ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოები უმთავრესად თბილისში იყო თავმოყრილი. ცალკეული ფაბრიკები მოქმედებდა ქუთაისსა და თელავში.

ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი სამკერვალო მრეწველობა, რომლის საწარმოები ფუნქციონირებდა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, თელავში, სიღნაღში, ონში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ცხინვალსა და სხვა ქალაქებში.

ფეხსაცმლის საწარმოები შეიქმნა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში. ტყავის და მატყლის პირველადი გადამუშავება ხდებოდა ს.შულავერში (მარნეულის რ-ნი). საგალანტერეო პროდუქციას უმთავრესად ამზადებდნენ თბილისსა და ხაშურში.

90-იან წლებამდე მსუბუქმა მრეწველობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია: ქვეყნის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მისი ხვედრითი წილი 21,2% შეადგენდა, ხოლო მასში დასაქმებული იყო სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 22,6%. XX ს. ბოლოს მდგომარეობა გაუარესდა, კერძოდ, საწარმოთა უდიდესი ნაწილი გაჩერდა. აბრეშუმის 7 საწარმოდან ფუნქციონირებდა მხოლოდ 2 სააქციო საზოგადოება – „ცისარტყელა" და „ოლხური აბრეშუმი". ყველა სახის გამოშვებული პროდუქცია შემცირდა, განსაკუთრებით აბრეშუმის, ხოლო შალის, ბამბის ქსოვილების, ხამი აბრეშუმის, ხალიჩების, ტრიკოტაჟის წარმოება საერთოდ შეწყდა. 2000 წლისათვის ამუშავდა რამდენიმე საწარმო, რომელიც სახელმწიფო დაკვეთით სამხედრო დანიშნულების პროდუქციას ამზადებს.

კვების მრეწველობა

კვების მრეწველობა საქართველოსათვის, როგორც აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნისათვის, ყოველთვის იყო და დარჩება სპეციალიზაციის წამყვან დარგად. მისი განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების მოცულობა. 90-იან წლებამდე აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსზე რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი ფონდების 48% და მომუშავე პერსონალის 42%-მდე მოდიოდა. კვების მრეწველობა გამოირჩევა ქვედარგთა სიმრავლით. გამოიყოფა დარგების ორი ჯგუფი: 1. *მაპროფილებელი* – ღვინის, ჩაის, საკონსერვო, ეთერზეთების, მინერალური წყლების, რომლებიც უშვებენ უმთავრესად საექსპორტო პროდუქციას; 2. *შიდა მოთხოვნილებების* – პურ-ფუნთუშეულის, რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ძეხვეულის, თევზის, შაქრის, საკონდიტრო, ზეთსახდელი და ცხიმის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება. ეს დარგები, ადგილობრივთან ერთად, შემოზიდულ ნედლეულსაც იყენებენ.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა კვების მრეწველობის როგორც მთლიანი პროდუქციის მოცულობა (1990 წ-თან შედარებით 2000 წ-ს – 23-ჯერ) და მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი (77 ათასიდან 31,3 ათას კაცამდე), ასევე პროდუქციის ასორტიმენტი.

მეღვინეობა ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობის უძველესი, ტრადიციული და უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია. ქარხნული წესით ღვინის დამზადება XIX ს. მეორე ნახევრიდან დაიწყეს. ივ.ბაგრატიონ-მუხრანსკიმ საფუძველი ჩაუყარა ევროპული წესით ღვინის წარმოებას. ქუთაისში მოქმედებდა ოლდენბურგის ღვინის (შამპანურის) ქარხანა, ხოლო ცნობილმა მრეწველმა დ.სარაჯიშვილმა თბილისში დაიწყო კონიაკის წარმოება. 1929 წ. შეიქმნა გაერთიანება „სამტრესტი", რომელშიც შევიდა მევენახეობა-მეღვინეობის ყველა მსხვილი მეურნეობა. რეკონსტრუირებულ იქნა ძველი ქარხნები, ხოლო მევენახეობის ძირითად რაიონებში აშენდა ღვინის პირველადი გადამუშავების ათეულობით მსხვილი საწარმო.

საქართველოში მეღვინეობის ორი მთავარი არელია: აღმოსავლეთში – კახეთი, დასავლეთში – იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი. ყოველი მიკრორაიონი განსაკუთრებული სპეციფიურობით ხასიათდება, რასაც განსაზღვრავს ყურძნის ჯიში და ხარისხი. საბჭოთა პერიოდში ღვინის წარმოება სწრაფად იზრდებოდა და ფართოვდებოდა. 1989 წლისათვის მოქმედებდა 120 ქარხანა (თბილისის ღვინის ქარხნების საწარმოო გაერთიანება „თბილღვინო", თბილისის შამპანური ღვინოების და კონიაკის ქარხნები; გურჯაანის, წინანდლის, ზესტაფონის, ქინძმარაულის ღვინის საწარმოო გაერთიანებები; სიღნაღის, მანავის, ბაღდათის, თერჯოლის, აფხაზეთის ღვინის კომბინატები; საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების და თბილისის

სუფენირული ღვინოების ქარხნები და სხვ.). ისინი აწარმოებდნენ 100-ზე მეტი სახეობის პროდუქციას, აქედან 60 დასახელების უმაღლესი ხარისხის სუფრის სამარკო, ორდინარულ და ნახევრადტკბილ (წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული, გურჯაანი, ხვანჭკარა, უსახელაური, ტვიში, ოჯალეში, ქინძმარაული, ახაშენი, ფსოუ და სხვ.) შამპანურ, ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებს, სამარკო კონიაკებს, ლიქიორებს და სხვ. აღნიშნული ღვინოები დიდი პოპულარობით სარგებლობს და საერთაშორისო კონკურსებზე და გამოფენებზე დაჯილდოებულია ოქროს და ვერცხლის მედლებით.

საწარმოთა დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 80) ამჟამად სააქციონერო საზოგადოებებად გადაკეთდა. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია 90-იანი წლების ბოლოს შეადგენდა: ღვინო და ღვინის მასალა – 1816,1 ათასი დკლ, არაყი და ლიქიორი – 430 ათასი დკლ, ბრენდი (კონიაკი) – 70,6 ათასი დკლ, ცქრიალა ღვინო (შამპანური) – 879 ათასი დკლ. 1985 წ-თან შედარებით ყველა სახის პროდუქცია მრავალჯერ შემცირდა (ღვინო და ღვინის მასალა – 9,2-ჯერ, არაყი და ლიქიორ-არაყი – 1,9-ჯერ, ბრენდი – 18,2-ჯერ). 1993 წ. შეიქმნა სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" (GWS), რომელიც აერთიანებს თელავის „ჩინებულს" და იმერეთში „საზანოს" (აქციათა პაკეტის 25% მფლობელია) ქარხნებს. იგი აწარმოებს სამარკო ღვინოებს, შამპან-ურს „ძველი თბილისი" და ბრენდის. პროდუქციის 85% იგზავნება საზღვარგარეთ (რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, იაპონია). სააქციო საზოგადოება „თბილღვინო" და "თელავის ღვინის ქარხანა"უმთავრესად რუსეთის ბაზარზეა გასული. 1998 წ. ქვეყნის ექსპორტში ქართულმა ღვინომ 7,8% შეადგინა.

ჩაის წარმოება საქართველოს კვების მრეწველობის სპეციალიზაციის მეორე მნიშვნელოვანი დარგია. ჩაის კულტურა საქართველოში გავრცელდა XIX ს-ის ბოლოდან. ჩაის ფაბრიკები შეიქმნა აჭარის ზღვისპირა ადგილებში – სალიბაურში (1879 წ.) და ჩაქვში (1899 წ.). დასავლეთ საქართველოში ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა (ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ნიადაგები) ხელი შეუწყო ჩაის ფართო გავრცელებას აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, ნაწილობრივ იმერეთში; ჩაის პირველადი პროდუქცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადიოდა, პროდუქციის 25% გადამუშავდებოდა თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში.

საქართველო სსრკ-ში ჩაის მთავარ მწარმოებლად გადაიქცა. 80-იან წლებში მოქმედებდა 80-მდე ჩაის ფაბრიკა. მათ მიერ გამოშვებული იყო 134,0 ათასი პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი და 113,5 ათასი ტ დაფასოებული ნატურალური ჩაი. პროდუქციის მოცულობის გაუმართლებელმა ზრდამ გამოიწვია ხარისხის გაუარესება. 90-იან წლებში მოხდა ჩაის წარმოების მკვეთრი დაცემა. 2000 წ. დაფასოებული ჩაი შემცირდა 56-ჯერ, რაც გამოწვეული იყო ჩაის პლანტაციების დეგრადაციით, მათი ფართობების შემცირებით და სხვა ფაქტორებით.

უკანასკნელ წლებში დაიწყო ჩაის ხარისხის გაუმჯობესება. ამაში გარკვეული როლი ითამაშა გერმანულმა კომპანიამ „მარტინ ბაუერმა“ (11 პროექტში 3,7 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა), რის შედეგადაც ქართული ჩაი ევროპის ბაზარზე გადის.

საკონსერვო მრეწველობა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი, განვითარდა ადგილობრივ მდიდარ სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზაზე. პირველი ქარხნები შეიქმნა 20-30-იან წლებში და XX ს-ის ბოლოს მათმა რიცხვმა 60-ს მიაღწია. ნედლეული მალფუჭებადი, არატრანსპორტაბელურია, ამიტომ გადამამუშავებელი საწარმოები უმეტესად განლაგებულია მებაღეობა-მეხილეობის რაიონებში (ქართლში, კახეთში, იმერეთში, შავიზღვისპირეთში). ადრე გაცილებით ფართო იყო გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი (ხილის კონსერვები, წვენები, მურაბები, ჯემები, კომპოტები და სხვ.). პროდუქციის უდიდესი ნაწილი გაჰქონდათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამჟამად უმთავრესად ხილ-ბოსტნეულის კონსერვებს (2000 წ. – 11,2 მლნ პირობითი ქილა) უშვებენ. საწარმოთა თითქმის 90% აქციონერთა ხელშია, მაგრამ არსებული საწარმოების მხოლოდ 24% მუშაობს და ისიც არასრული დატვირთვით. ამის შედეგად, მოწეული ხილის (განსაკუთრებით კურკოვანი, თესლოვანი, ციტრუსები) და ბოსტნეულის დიდი რაოდენობა ფუჭდება. გასაღების ბაზრის დაბრუნების შანსი ეკოლოგიურად სუფთა სამამულო პროდუქციის უპირატესობაშია.

თამბაქოს მრეწველობა XIX ს-ის ბოლოდან ვითარდება. ნედლეულის პირველადი გადამუშავება ხდებოდა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებში, რომლებიც განლაგებულია თამბაქოს გავრცელების რაიონებში (აჭარა, აფხაზეთი, კახეთი). სიგარეტებს ამზადებდნენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკებში. ბოლო პერიოდში მკვეთრად დაეცა თამბაქოს წარმოებაც. 2001 წლისათვის უცხოელ მეწარმეთა მონაწილეობით თბილისში ამუშავდა სიგარეტების ფაბრიკა „პირველი“.

საქართველო სასმელი წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. წყლის მარაგის საშუალო მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე იგი მსოფლიოს 2,5-ჯერ, ევროპას 2,4-ჯერ, აზიას 1,4-ჯერ აღემატება. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელი წყლები საქართველოს წყლის რესურსების 30%-ს შეადგენს. ხოლო მინერალური წყლების ჩამოსხმას საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. მან განსაკუთრებით დიდი აღმაფლობა განიცადა XX ს. 70-80-იან წლებში, როდესაც ყოველწყლიურად 18 დასახელების მინერალური წყლის 500 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ჩამოისხმებოდა. აქედან „ბორჯომზე“ 77% მოდიოდა. იგი დიდად პოპულარული მინერალური წყალია არამარტო დსთ-ს ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. 80-იან წლებში მისი წარმოება და ექსპორტი წელიწადში 420-430 მლნ ბოთლს აღწევდა. მომდევნო წლებში მისი წარმოება და რეალიზაცია მკვეთრად შემცირდა.

საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ ქ.ბორჯომის ორივე №1 და №2 ქარხანაში, 1995 წ-დან „საქართველოს მინის და მინერალური წყლების“ (GGMW) კომპანიის მიერ აღდგენილ იქნა „ბორჯომის“ წყლის ჩამოსხმა. ამას წინ უძღოდა დიდი სამუშაოები მინერალური წყაროების და მილსადენების განახლებაზე, ჩამომსხმელი ქარხნების მოდერნიზაცია და ბოთლების ტარის შესაფუთი ახალი მოწყობილობების შექმნა. „ბორჯომის“ წყლის ჩამოსხმის რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ უმსხვილესი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მათ შორის მსოფლიო ბანკი, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ევროპის ბანკი და ქართული „თბს“ ბანკი).

დღეისათვის საქართველოში „ბორჯომის“ გარდა 3 დასახელების მინერალური წყლის – „მიტარბის“, „ნაბეღლავის“ და „საირმის“ ჩამოსხმა წარმოებს.

ლუდს საქართველოში უძველესი დროიდან ძირითადად ქერისაგან ამზადებდნენ. ლუდის წარმოება გავრცელებული იყო უფრო მეტად მთიან მხარეში, სადაც ვაზი ვერ ხარობდა. ქარხნული ლუდის წარმოება კი 1859 წ. დაიწყო, როცა გერმანელმა მეწარმემ ვენცელმა თბილისში პირველი ლუდის ქარხანა დააარსა. აშენებიდან თითქმის 100 წლის შემდეგ ქარხანას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც გაიზარდა სიმძლავრეები და გამოშვებული პროდუქციის მოცულობა (50 ათასი ჰექტოლიტრი „ჟიგულის“ ტიპის ლუდი და 1,0 ტ ალაო წელიწადში). ქართული ლუდი იმჟამად საკმაოდ უხარისხო იყო და ყველა პარამეტრით ჩამორჩებოდა მსოფლიოში მიღებულ სტანდარტებს (ხანთაძე, 1999).

1992 წლიდან ლუდის წარმოება ფაქტობრივად თავიდან დაიწყო, როდესაც შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ყაზბეგი“. გერმანიიდან შემოტანილი ნედლეულითა და თანამედროვე ტექნოლოგიაზე დაყრდნობით გამოშვებულ იქნა საავტორო ლუდი „ანანური“, „ყაზბეგი“, „ფშავი“, რომლებმაც საერთაშორისო კონკურსებზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ხოლო „ყაზბეგს“ ოქროს მედალი და საერთაშორისო სერთიფიკატი მიენიჭა.

ფრანგებთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე შეიქმნა ერთობლივი კომპანია „ყაზბეგი–კასტელი“ (ამჟამად ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ), რომლის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და კომპიუტერული მართვით აღჭურვილი საწარმოები განლაგებულია ლილოში, რუსთავსა და ცხინვალში. ბოლო 5 წლის განმავლობაში (1995 წელთან შედარებით) ლუდის წარმოება 3,6-ჯერ (2345 ათასი დკლ) გაიზარდა. გამოშვებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა და სამამულო ბაზრიდან განდევნა უცხოური ლუდი.

როგორც საბჭოური, ისე თანამედროვე პერიოდის საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთი სუსტი მხარეა *მასობრივი მოხმარების კვების პროდუქტების* (შაქარი, ხორცი, კარაქი და სხვ.) არასაკმარისი წარმოება, რის გამოც საჭირო ხდება

მოთხოვნილების დეფიციტის იმპორტით დაფარვა. ხორცისა და რძის მთავარი საწარმოები შექმნილია თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში, ხოლო მცირე საწარმოები – რაიონულ ცენტრებში. მეცხოველეობის რაიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) სამაცივრო მოწყობილობების უქონლობის, ფერმების სიშორის გამო რძის გადამუშავება არსებულ ქარხნებში გაძნელებულია. წალკისა და ნინოწმინდის რაიონებში კომპანია „ქართული პროდუქტი" შვეიცარულ ორგანიზაციასთან („საექსპორტო კრედიტების სააგენტო") თანამშრომლობით გეგმავს უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი რძის გადამამუშაებელი საწარმოს აშენებას, რძისა და რძის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის მთელი სისტემის აწყობას და გამართული მენეჯმენტის და მარკეტინგის ჩამოყალიბებას. ხორცის გადამუშავებაში და ძეხვეულის დამზადებაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ქართულ ფირმებს („ნიკორა" და სხვ.).

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია. დღეს მის წილად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 25 პროცენტამდე და ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის ნახევარი მოდის.

საქართველო ძველთაგანვე აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, რაც, პირველ რიგში, მისი ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებითაა გამოწვეული. XX ს. 30-იან წლებში საქართველო, ისე როგორც მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირი, ინდუსტრიალიზაციამ მოიცვა, სოფლად კი კოლექტივიზაცია განხორციელდა. გლეხობამ სამრეწველო ქალაქებში სამუშაოდ გადასვლა დაიწყო, ხოლო სოფელში დარჩენილმა მოსახლეობამ მეტ-ნაკლებად დაკარგა საზოგადოებრივ საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტიმული. ამ პერიოდიდან საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბდა დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ძირითადად საერთო-საკავშირო ეკონომიკურ ამოცანებს დაექვემდებარა. პირველ პლანზე გამოვიდა საკავშირო სპეციალიზაციის დარგები – ინტენსიური მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა-მეენახეობა, თამბაქოს და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოყვანა. ის დარგები, რომლებიც პირველადი მოთხოვნილების სურსათზე მოსახლეობის დაკმაყოფილებას ეშსახურებოდა, დაკნინდა და ქვეყანა დამოკიდებული გახდა საკავშირო დოტაციებზე – სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან შემოდიოდა ხორბალი, ხორცის და რძის პროდუქტები, კვერცხი და სხვ.

XX ს. 90-იან წლებში მომხდარი კატაკლიზმების შედეგად ვითარება მკვეთრად შეიცვალა. საქართველომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ძველი ბაზრები დაკარგა, ხოლო მსოფლიო ბაზარზე ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია (ჩაი, ღვინო, ციტრუსი და ა.შ.) ნაკლებკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. პირველი მოთხოვნილების კვების პროდუქტების სიმცირემ ქვეყანაში მწვავე სასურსათო კრიზისი შექმნა.

დაიწყო აგრარული რეფორმა. მეურნეობის მართვის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული სისტემა შეიცვალა; კერძოდ, იგი მიმართულია საკუთრების სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებასა და მიწის ბაზრის შექმნისაკენ.

დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებობდა ცენტრალური კონტროლის ქვეშ მყოფი განსაზოგადოებული საწარმოები (კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები), მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობები. მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მოდიოდა სავარგულების 90%-მდე,

ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებს 5,5% ეკავა. მიწა მთლიანად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. ახალი აგრარული პოლიტიკის არსი გულისხმობს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას. აგრარული რეფორმის საფუძველია მიწების პრივატიზაცია. მხოლოდ ამ პროცესს ძალუძს სოფლად ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლიანი შეცვლა. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" კანონის შესაბამისად, გლეხებისათვის ადრე გამოყოფილი მიწის ფართობი (1,25 ჰა ბარში და 5 ჰა მთაში) მათ კერძო საკუთრებაში უფასოდ გადაეცათ. გარდა ამისა, მიწას სახელმწიფო გასცემს იჯარითაც, სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარის შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე.

დეკოლექტივიზაციის სტიქიურად დაწყებულმა პროცესმა სოფლის მეურნეობაში საკმაოდ ნეგატიური სიტუაცია შექმნა. მოიშალა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობანი, ხოლო ახალი ფორმები ნელა იკიდებს ფეხს. ასეთ პირობებში აუცილებელია როგორც პრივატიზაციის პროცესის გააქტიურება, ისე მეურნეობათა სხვადასხვა ფორმების (გლეხური მეურნეობები, კოოპერატივები, ფერმები, ასოციაციები, სააქციო საზოგადოებები და ა.შ.) რაციონალური შეხამება.

1999 წლის აპრილისათვის, საქართველოს მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცათ 918 ათასი ჰა (მათ შორის 750,1 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო) მიწის ფართობი. ამასთან, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესაქმნელად საქართველოს მოქალაქეს მიწის იჯარით აღების უფლება გააჩნია. მიწების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა. ამრიგად, ახალმა ცხოვრებამ სოფლად ახალი საწარმოო ურთიერთობები შექმნა. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის რეგიონალური თავისებურებები ნაჩვენებია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები რეგიონების მიხედვით (1999 წ. 1.IV)

მხარეები		სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ათასი ჰა	მათ შორის		
			გადაცემულია საკუთრებაში	გაცემულია იჯარით	გაუცემელი დარჩა
იმერეთი		215,6	109,1	34,23	72,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი		282,4	106,5	36,5	139,4
გურია		75,8	41,8	10,5	23,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი		153,5	34,0	8,7	110,8
შიდა ქართლი		226,3	77,9	52,5	95,5
მცხეთა-მთიანეთი		290,0	53,3	32,3	205,3
კახეთი		625,5	151,5	334,8	139,2
ქვემო ქართლი		399,0	65,8	207,1	126,1
სამცხე-ჯავახეთი		400,3	69,8	98,5	232,0
აფხაზეთის ა.რ.		217,3	18,4	–	198,9
აჭარის ა.რ.		73,1	21,1	9,8	42,2
ცხინვალის რეგიონი		57,9	0,9	–	57,0
სულ	%	100,0	24,8	27,4	47,8
	ათს.	3017,6	750,1	825,0	1442,5

დღეისათვის აგრარული სექტორის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი ძირითადად ოჯახურ და გლეხურ მეურნეობაშია თავმოყრილი. ეს მეურნეობები კი ემსახურებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მცირე ბიზნესის განვითარებას. ოჯახურ მეურნეობებს (ადრე მას საკარმიდამო მეურნეობებს უწოდებდნენ) სხვა დატვირთვაც აქვს – ესაა ეროვნული, სოციალურ-ისტორიული ფენომენი, რომელმაც საბჭოთა ეკონომიკური სისტემის პირობებში ეროვნული სამეურნეო ტრადიციები შეინარჩუნა და თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა (ჭითანავა, 1997).

ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობები ძნელად იკიდებს ფეხს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ქიმიზაციის საშუალებების უქონლობის გამო, ოჯახური მეურნეობები ხშირად სასაქონლოს ნაცვლად ნატურალურ ხასიათს იძენს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი მეურნეობები არაკონკურენტუნარიანია და მათ მომავალი არა აქვთ. მიუხედავად ამისა, კრიზისულ წლებში სოფლის მეურნეობა, სხვა დარგებთან შედარებით, ნაკლებად დაზარალდა და აგრძელებდა ფუნქციონირებას, თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრად მცირე მოცულობით. აღსანიშნავია ისიც, რომ აღორძინების პროცესი, სხვა დარგებთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში უფრო ადრე – 1994 წლიდან დაიწყო.

ცხრილი 2

სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი
საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში (%)

1990 წ.	1995 წ.	1997 წ.	1999 წ.
29.7	41.7	38.2	24.7

საბაზრო ურთიერთობების პირობებში პროდუქციის დამზადების და რეალიზაციის ძველი სისტემა მკვეთრად იცვლება. მცირდება პროდუქციის ჩაბარება შესაბამის პუნქტებში და იზრდება მისი რეალიზაცია სხვა არხებით (ბაზრები, საკუთარი მაღაზიები, ბარტერული გარიგებები და ა.შ.). ამავე დროს, სასურსათო ბაზრის ფორმირებაში მეტად მნიშვნელოვანი გახდა იმპორტის როლი. თანაც, ბაზარზე შემოტანილი იმპორტული სურსათი ხშირად დაბალხარისხიანია და ზოგჯერ ჯანმრთელობისათვის საზიანოც კი. სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ერთ-ერთ

ცხრილი 3

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი

პროდუქციის შეფასება	ექსპორტი			იმპორტი		
	1995 წ.	1997 წ.	1999 წ.	1995 წ.	1997 წ.	1999 წ.
ათასი ტონა	44.5	32.5	66.2	315.8	356.8	138.7
ათასი დოლარი	9536.4	12388.0	102171.0	11652.1	68032.4	436740.6

სტრატეგიულ ამოცანად უნდა დავისახოთ აგროპოტენციალის სრულად გამოყენება, მისი წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ქვეყანას დაიცავს როგორც არა–სასურველი იმპორტისაგან, ისე ხელს შეუწყობს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას. აქვე უნდა აღინიშნოს: ბოლო პერიოდში არსებითად იზრდება ქვეყანაში წარმოებული საექსპორტო პროდუქციის როგორც მოცულობა, ისე ხარისხი. საქართველო იბრუნებს გასაღების ძველ და ეძებს ახალ ბაზრებს. სოფლის მეურნეობა, სატრანსპორტო და საკურორტო-ტურისტულ დარგებთან ერთად, საქართველოსათვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსები

აგროწარმოების ტერიტორიული ორგანიზაცია და ინტენსიფიკაციის დონე დიდად არის დამოკიდებული მიწის რესურსების ოდენობრივ და თვისობრივ პარამეტრებზე. საქართველოში მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილება, სხვა ბუნებრივი კომპონენტების მსგავსად, ვერტიკალური ზონალობის კანონს ექვემდებარება: I ზონა (ზ.დ. 250 მ-მდე) დასავლეთ საქართველოში, სუბტროპიკული კულტურებითაა წარმოდგენილი; II ზონა (250-500 მ) – მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობის, ინტენსიური მესიმინდეობის გავრცელების არეალია; III ზონა (500-1000 მ) მოიცავს უპირატესად თავთავიან კულტურებს, ბუნებრივ საკვებ სავარგულებს; მისდევენ მეცხოველეობასაც. IV ზონაში (1000-1500 მ) მემინდვრეობა სუსტადაა განვითარებული; გავრცელებულია სათიბ-საძოვრები. V ზონაში (1500-2000 მ) ძირითადად სათიბ-საძოვრებია, ხოლო VI ზონაში (2000 მ ზევით) მიწები სოფლის მეურნეობაში არ გამოიყენება.

სასოფლო-სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორია შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

1. სამიწათმოქმედო ტერიტორია – მოიცავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის 15,3%-ს;
2. ბუნებრივ-სამეურნეო ფართობს (ტყე, ბუჩქნარი, სათიბ-საძოვრები) – 70,6% უკავია;
3. სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწები – 14,1%.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ქვეყნის მთელი ფართობის 43%-ს შეადგენს. საქართველოს რელიეფის ძლიერდანაწევრებული მთიანი ხასიათი სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფის დაბალ მაჩვენებლებს განაპირობებს. ამ მიწების საშუალო სულადობრივი ნორმა საქართველოსათვის 0,5 ჰა შეადგენს (ეს მაჩვენებელი აღმოსავლეთ საქართველოში 1,4-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში). მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი ჩვენში მეტად დაბალია და ჩამოუვარდება მრავალი ქვეყნის შესაბამის ნორმას, მათ შორის სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებსაც.

ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისების საერთო სურათი შემდეგნაირია: ბარში ათვისებული მიწები შედარებით მსხვილი მასივების სახითაა წარმოდგენილი, მთიან ზონასა და ჭარბტენიან კოლხეთში კი – ცალკეული კერების სახით. ვაკე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები განლაგებულია მდინარეთა ბრტყელთხემიან წყალგამყოფებზე. აქ სოფლის მეურნეობას უპირატესად ინტენ–სიური ხასიათი აქვს. მთიანი ზონის სავარგულებს წვრილკონტურიანობა ახასიათებს; დამუშავებული მიწები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა ხეობებში, ქვაბულებსა და მთის დამრეც კალთებზე. უფრო ციცაბო ფერდობებზე სათიბ-საძოვრებია გავრცელებული.

სახნავი მიწების ძირითადი ნაწილი საშუალო და მცირე დახრილობის (10"-მდე) ზედაპირებს უკავია; 15"-მდე დახრილობის მქონე ფერდობებზე დამუშავებული ფართობების მხოლოდ იზოლირებული ნაკვეთებია, ხოლო 20"-ზე მეტად დახრილ მიწებზე, რომელთა ხვედრითი წილი 12,9%-ია, მიწათმოქმედება შეუძლებელია (Кекелия, 1996).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები და სათიბ-საძოვრები) სტრუქტურა საქართველოს სხვადასხვა ნაწილში მეტად განსხვა–ვებულია (ცხრ. 4.).

დამუშავებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1/3-ზე მეტი მოდის. თვით დამუშავებული მიწების სტრუქტურა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართვე–ლოში საკმაოდ განსხვავებულია: აღმოსავლეთში ჭარბობს სახნავი, დასავლეთში კი – მრავალწლიანი ნარგავები. სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების ძირითადი მასივები ბარის ზონაში, ზ.დ. 1000 მ-მდეა განლაგებული. მიწათმოქმედების ზედა ზღვარი ჯავახეთის პლატოზე 2200 მ-მდეა. აქ გავრცელებულია ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგები. საძოვრები, როგორც წესი, 1000 მ ზემოთ მდებარეობს. მათ სიმაღლით განლაგებასთან დაკავშირებულია გამოყენების სეზონურობა: აღმოსავლეთ საქართველოს ბარის საძოვრები უფრო მეტად გამოიყენება ზამთრის და მთელი წლის ძოვებისათვის, მთიან ზონაში კი – მხოლოდ ზაფხულობით.

მიწის ფონდის სტრუქტურა მუდმივ ცვალებადობას განიცდის. სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის იყენებენ ადრე სხვა დანიშნულებით გამოსადეგ ან სრულიად გამოუსადეგ მიწებს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი, პირიქით, გადადის სამრეწველო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური, საკურორტო და სხვა დანიშნულების მიწებში. ეს ობიექტური მიზეზებით განპირობებული პროცესია, რაც საზოგადოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნილებებით არის ნაკარნახევი და მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობა ინტენსიფიკაციის ამაღლების გზით განვითარდება.

მიწების დინამიკის ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს მიწის ფონდის სასოფლო-სამეურნეო ათვისება 1950-99 წწ. შემცირდა 3447,2 ათასიდან 3017,6 ათას ჰა-მდე.

ცხრილი 4

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა (1999 წ. 1.04) მხარეების მიხედვით (ათასი ჰა)

სასოფლო-სამეურნეო სავარგული	იმერეთი	სამეგრელო-ზემო-სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აფხაზეთის ა.რ.	აჭარის ა.რ.	ცხინვალის რეგიონი	საქართველო სულ	
													ათასი ჰა	%
სახნავი	75,4	71,1	22,1	8,9	78,1	38,4	213,5	134,4	82,1	44,8	10,2	2,9	791,9	26,2
მრავალწლიანი ნარგაევები	29,6	36,2	24,6	3,6	39,1	7,6	51,9	13,9	3,2	44,1	15,9	0,1	269,8	9,0
სათიბი	1,8	2,8	1,2	25,7	7,4	14,6	2,2	37,5	31,7	2,0	7,2	8,0	142,1	4,7
საძოვარი	95,9	166,5	27,1	115,3	100,4	228,9	355,8	210,0	282,3	126,4	38,9	46,9	1794,4	59,5
საცხოვრებელი და სამეურ-ნეო სახლები და ეზოები	2,9	5,8	0,8	–	1,3	1,4	2,1	3,2	1,0	–	0,9	–	19,4	0,6
სასოფლო-სამეურნეო სავარგული სულ	215,6	282,4	75,8	153,5	226,3	290,9	265,5	399,0	400,3	217,3	73,1	59,9	3017,6	100,0.

1950 წ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთელი ტერიტორიის 49,6%-ს შეადგენდა, დღეისათვის კი მათი წილი 43%-მდე დავიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლება სახნავ მიწებში. ეს კატეგორია ყველაზე ინტენსიურად მცირდებოდა 60-80-იან წლებში, როდესაც ქვეყნის აგრარული პოლიტიკა მიმართული იყო სუბტროპიკული მეურნეობის სწრაფი განვითარებისაკენ, ხოლო მარცვლეულის წარმოება შეიზღუდა. მიწების დაწყებული პრივატიზაციის პროცესის პარალელურად, სახნავი სავარგულების თანდათანობითი ზრდა იწყება, რაც ძირითადად მარცვლეული კულტურების გაფართოებითაა განპირობებული. შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაც: გაზრდილია ნაკლებინტენსიური ბუნებრივი საკვები სავარგულების ხვედრითი წილი, ხოლო დამუშაკებული მიწები გამუდმებული კლების ტენდენციას აკლენენ.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობები ძირითადად იზრდება საძოვრების კატეგორიაში იმ მიწების გადაყვანით, რომლებიც ადრე არ იყო გამოყენებული სოფლის მეურნეობაში. მეორე მხრივ, საძოვრების ზრდა მიტოვებული სახნავი მიწების ხარჯზეც ხდება. დამუშავებული მიწების უფრო დაბალ კატეგორიაში გადაყვანა გამოიწვია ეროზიის, ღვარცოფული პროცესების, მეორადი დამლაშების და ა.შ. წინააღმდეგ არაეფექტურმა ბრძოლამ, დახრილი ნაკვეთების მიტოვებამ და ა.შ.

როგორც აღინიშნა, ბოლო წლებში ეს ტენდენცია უკეთესობისაკენ იცვლება. თუ 1990 წ. სათიბ-საძოვრებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 66,5% მოდიოდა, 1999 წ. ეს მაჩვენებელი 64,2%-ით შეიცვალა, ხოლო დამუშავებაში მყოფი მიწების ხვედრითი წილი, შესაბამისად, 3 პუნქტით გაიზარდა.

1950-70 წწ. მრავალწლიანი ნარგავების ფართობები პრაქტიკულად სტაბილური იყო, თუმცა ამავე პერიოდში იზრდებოდა მათი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურაში (1950 წ. – 6,8%, 1960 წ. – 8,2%, 1980 წ. – 9,6%). შემდგომ წლებში, განსაკუთრებით 1990 წლის მომდევნო პერიოდში, მრავალწლიანი კულტურების ადგილზე საქართველოს ბევრ რეგიონში მარცვლეული და სხვა სასურსათო კულტურები გაშენდა. დასავლეთ საქართველოში ჩაი შეიცვალა სიმინდით, აღმოსავლეთში (ქართლში) კი, ხეხილის ბაღები – ხორბლით. კახეთში ამოძირკვული ვენახების ნაცვლად საზამთროსაც კი თესენ. საბედნიეროდ, ეს პროცესი ნელ-ნელა რეგულირდება და თვით ცხოვრება გვკარნახობს დამუშავებული მიწების ისეთ სტრუქტურას, რომელიც მეტად პასუხობს დღეანდელ მოთხოვნებს (ცხრ. 5).

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციის სურათი შემდეგნაირია: დამუშავებული მიწების დიდი ნაწილი გადაყვანილია ნაკლებად ინტენსიურ სავარგულებში – მოუვლელ და დაბალპროდუქტიულ საძოვრებში, ხოლო გარკვეული ფართობები საერთოდ გამოითიშა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდს 50 ათას ჰა-

სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ფართობების დინამიკა (%)

წელი	სასოფლო-სამეურნეო მიწები, სულ (საკარმიდამოს ჩათვლით)	მათი შორის			
		დამუშავებული მიწები (საკარმიდამოს ჩათვლით)	აქედან		სათიბ-საძოვრები
			სახნავი მიწები	მრავალ-წლიანი ნარგავები	
1950	100.0	54.2	47.4	6.8	45.8
1960	100.0	49.3	41.1	8.2	50.7
1970	100.0	40.1	32.0	8.1	59.9
1975	100.0	39.1	30.4	8.7	60.9
1980	100.0	38.6	29.0	9.6	61.4
1985	100.0	38.8	29.7	9.1	61.2
1990	100.0	33.5	24.9	8.6	66.5
1995	100.0	35.7	25.4	10.3	64.3
1999	100.0	35.8	26.2	9.6	64.2

მდე გამოაკლდა. ამაკროულად, არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის დამა–ტებით ათვისებული იქნა 150 ათასი ჰა სხვა მიწა, ანუ მთლიანად 200 ათასი ჰა. მაშასადამე, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ყოველწლიურად, არა-სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, საშუალოდ 4 ათასი ჰა ახალი მიწა გამოიყენებოდა.

საქართველოს აგროწარმოების გარანტირებული განვითარებისათვის აუცილებელია მყარი ინფრასტრუქტურის შექმნა. აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედება მორწყვას, ხოლო დასავლეთის – უპირატესად ამოშრობას საჭიროებს. საირიგაციო მიწის ფონდი 1850 ათ. ჰა-ია, დაჭაობებულ და ჭარბტენიან მიწებს უკავია 280 ათ. ჰა. ამჟამად სარწყავია 468 ათ.ჰა. ხოლო დაშრობილი – 162 ათ.ჰა. ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შედეგად სამელიორაციო სისტემა თითქმის მთლიანად განადგურდა. გაიძარცვა ძვირადღირებული ელექტროტექნიკური დანადგარები, სარწყავი ტექნიკა. ამის შედეგად, მცირდება სარწყავი ფართობები, დაიწყო მეორადი დამლაშების და კოლხეთის მეორადი დაჭაობების პროცესი (დიდებულიძე, 1997).

უმძიმესი მდგომარეობაა მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სფეროშიც. სახელმწიფო მეურნეობების მოძველებული ტექნიკა მიუწვდომელია გლეხური მეურნეობებისათვის, როგორც მათი გაბარიტების, ისე ფინანსური უსახსრობის გამო. თუ 1980 წ. 100 ჰექტარ სახნავზე 32 ტრაქტორი მოდიოდა, დღეს ეს მაჩვენებელი 13-ის ტოლია (ცხრ. 6). ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ფერმერთაშორისი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებები

წლები	ტრაქტორები		მარცვლის ასაღები კომბაინები		აუტომანქანები, ათასი ცალი
	სულ, ათასი ცალი	1000 ჰა სახნავზე, ცალი	სულ, ათასი ცალი	1000 ჰა სახნავზე, ცალი	
1980	24.9	32	1.5	4.7	23.9
1985	28.8	37	1.3	4.7	26.3
1990	23.1	29	1.3	5.0	18.9
1995	15.6	20	1.0	3.0	12.6
1998	10.7	13	0.9	1.4	8.8

კოოპერაციის ფორმების განვითარებაში, ერთობლივი მცირე საწარმოების შექმნასა და ტექნიკის გაქირავების პუნქტების დაარსებაში უნდა ვეძიოთ. მინიმუმამდეა დაყვანილი აგრეთვე, ქიმიზაციის საშუალებების გამოყენება – თუ 1986 წ. გამოყენებული იყო 255 ათასი ტ მინერალური სასუქი, ამჟამად მისი რაოდენობა 12 ათას ტ-მდე შემცირდა.

სოფლის მეურნეობის ტერიტორიული და დარგობრივი სტრუქტურა

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მემცენარეობასთან შედარებით მეცხოველეობის უფრო დაბალი დონე. ამ დისპროპორციის ძირითადი მიზეზია ღრმა სპეციალიზაცია სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების წარმოებაზე და აგრეთვე საკვებწარმოებითი დარგების გაუმართლებლად სუსტი განვითარება. 1970 წლის მონაცემებით, მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 65,5% მოდიოდა მემცენარეობაზე, 34,5% – მეცხოველეობაზე. შემდგომ წლებში ეს შეთანაწყობა კიდევ უფრო კონტრასტული გახდა (1985 წ. – შესაბამისად 68,1% და 31,9%). შედარებისათვის, მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში, პირიქით, მეცხოველეობის პროდუქცია, როგორც წესი, საგრძნობლად სჭარბობს მემცენარეობას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და მიწების პრივატიზაციის პროცესში, როდესაც ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად გლეხურ მეურნეობებშია წარმოებული, მეცხოველეობის ხვედრითი წილი საკმაოდ გაიზარდა და 1999 წ. მონაცემებით 43,2%-ს მიაღწია (1144,5 მლნ ლარი), მემცენარეობის – 56,8% (1505,5 მლნ ლარი).

საქართველოს კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები იმდენად მრავალფეროვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო დარგების ფართო სპექტრის განვითარების შესაძლებ-

ლობას ქმნის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ძირითადი დარგებია – მეკენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა და ზოგიერთი ტექნიკური კულტურის მეურნეობა. შედარებით ნაკლებადაა განვითარებული მარცვლეულის მეურნეობა და მეცხოველეობა. თუმცა, ცალკეული ტერიტორიების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია და დამხმარე დარგები საკმაოდ განსხვავებულ გეოგრაფიულ სურათს იძლევა.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები, როგორც წესი, ბუნებრივი პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების შესაბამისად, სხვადასხვა აგროდარგებზეა სპეციალიზებული. მაგალითად, შიდა ქართლი მებაღეობის, მემარცვლეობის სპეციალიზაციით გამოირჩევა. ქვემო ქართლში ჭარბობს მებოსტნეობა, საადრეო მეკარტოფილეობა, კახეთში – საუკეთესო პირობებია მეკენახეობისათვის, განვითარებულია აგრეთვე მემარცვლეობა და მეცხოველეობა. აჭარაში, აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში წამყვანი ადგილი სუბტროპიკულ მიწათმოქმედებას, აგრეთვე მემარცვლეობას (სიმინდი) უკავია. იმერეთში განვითარებულია მეკენახეობა, მებოსტნეობა, მესიმინდეობა და მეჩაიეობა. რაჭა-ლეჩხუმი ცნობილია მეკენახეობით, ხოლო ჯავახეთი – მარცვლეულის, კარტოფილის წარმოებითა და მეცხოველეობის განვითარებით. სამცხეში კარგად ხარობს ხილი და მარცვლეული. აღმოსავლეთ კავკასიონი ცნობილია მეცხვარეობით, დასავლეთ კავკასიონი კი – მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებით. დიდი ქალაქების გარშემო (განსაკუთრებით თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და სხვ.) ჩამოყალიბებულია საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობა, სადაც მალფუჭებად პროდუქციას (საადრეო ბოსტნეული, რძის პროდუქტები, კვერცხი, ფრინველის ხორცი და სხვ.) აწარმოებენ. საქართველოში გამოყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა, რომელთა საზღვრები (იხ. რუკა) ძირითადად მხარეების ფარგლებს შეესაბამება (ჩარქსელიანი, 1988).

სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მარცვლეულ-ბოსტნეული, განსაკუთრებით, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების წარმოება. ნათესი ფართობების მკვეთრი შემცირება, ძირითადად, მარცვლოვანი კულტურების ხარჯზე მოხდა (ცხრ.7). ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად 60-იანი წლებიდან მიმდინარეობდა, როდესაც საქართველო, საკავშირო დაკვეთით, სუბტროპიკული კულტურების ფორსირებულ წარმოებაზე გადავიდა. ამავე პერიოდს ემთხვევა საკვები კულტურების ფართობების გაუმართლებლად დიდი ზრდა. ამას მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცება არ მოჰყოლია, ვინაიდან ეს კულტურები გააშენეს ცუდად მოვლილ ან ჩამოწერილ სახნავზე, სადაც ეროზიული და სხვა ნეგატიური ბუნებრივი პროცესები ინტენსიურად იყო განვითარებული, ხოლო მათი საწინააღმდეგო ღონისძიებები სათანადოდ არ ხორციელდებოდა. ამდენად, საკვები კულტურების უაღრესად დაბალი მოსავლიანობის გამო, დარგი მეტად არარენტაბელური იყო.

ცხრილი 7

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების დინამიკა (ათასი ჰა)

ნათესი კულტურები	წლები					
	1940	1960	1980	1988	1995	1998
ნათესი ფართობი - სულ	896	829	739	734	453	616
მათ შორის:						
მარცვლოვანი კულტურები	748	472	317	272	260	405
სიმინდი	355	226	125	109	142	220
ხორბალი და ქერი	366	175	166	134	95	179
ტექნიკური კულტურები	52	40	48	41	41	59
კარტოფილი	25	22	34	30	23	34
ბოსტნეული	14	23	35	39	29	42
საკვები კულტურები	53	270	298	345	98	53

კერძო მეურნეობები, ცხადია, მათ ხელში მოქცეულ მიწის საკარგულებს უფრო ინტენსიურად იყენებენ და საკვები კულტურების ნათესი ფართობები მკვეთრად შემცირდა. საგრძნობლად გაიზარდა როგორც სიმინდის, ისე ხორბლის ფართობები და მოსავლიანობა. ნათესი ფართობის უმეტესი ნაწილი (63,7% 1999 წ.) მარცვლოვან კულტურებს უჭირავთ. ეს უმთავრესად სიმინდი და ხორბალია, აგრეთვე მცირე ფართობზე გეხვდება ქერი, შვრია, ჭვავი.

ხორბალი საქართველოში ძველთაგანვე იყო გავრცელებული. აღრიცხულია ხორბლის 14 ბუნებრივი სახეობა და 150-ზე მეტი სახეს ხვაობა და ჯიში. ამავე დროს, საქართველო ცნობილია იმუნური ხორბლის და ისეთი ენდემური ჯიშების სამშობლოდ, როგორიცაა დოლის პური, დედა, ზანდური, აისი, თავთუხი, დიკა. ხორბალი ძირითადად კახეთში და ქართლში, აგრეთვე სამცხე-ჯავახეთში მოჰყავთ. უპირატესად გვრცელებულია საშემოდგომო ხორბალი. კარგ მოსავალს იძლევა „ბეზოსტაია-1" და „კაეკაზი", რომლებსაც ნათესების 80-85% უკავია.

1940 წ. ხორბალსა და ქერს 366 ათასი ჰა ეკავა, შემდგომ წლებში მოხდა მათი ნათესების და მოსავლის განუხრელი შემცირება; ამ მხრივ გამოირჩეოდა 1995 წ. (95 ათ.ჰა). მომდევნო პერიოდში ხორბლის ნათესების ზრდის ტენდენცია აღინიშნა. თუ მხედველობაში მივიღებთ ხორბლის საკმაოდ დაბალ მოსავლიანობას (1998 წ. – 11 ც/ჰა, იმ დროს, როცა დიდ ბრიტანეთში 79,7 ც/ჰა, საფრანგეთში 76 ც/ჰა, იუგოსლავიაში – 36,9 ც/ჰა, პოლონეთში – 36,2 ც/ჰა და ა.შ,), ცხადია, რომ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება პურზე მინიმალურადაც არ კმაყოფილდება და იძულებული ვხდებით ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ხორბალი და ფქვილი შემოვიტანოთ (უმეტესად იტალიიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, აშშ-დან). მეცნიერ-სპეციალისტების გაანგარიშებით, მდგომარეობის გაუმჯობესება მოსავლიანობის

გადიდებით და მიწების უფრო ეფექტიანი გამოყენებით შეიძლება. 1999 წ. წარმოებული იყო 226 ათ. ტონა ხორბალი.

ხორბლის იმპორტი 1993 წ. 831 ათას ტონას შეადგენდა, 1995-96 წწ. დაა–ხლოებით 640 ათ.ტონას (ცალ-ცალკე). შემდგომ წლებში ხორბლის სახელმწიფო იმპორტი შეწყდა, მაგრამ კერძო სექტორიდან ხორბლის შესაძენად ყოველწლიურად 9-12 მლნ დოლარი იხარჯება. თუ ხორბლის წარმოება ქვეყანაში გაიზრდება, განსაკუთრებით მისი ინტენსიფიკაციის გზით, შემოტანილი მარცვლის მოცულობა შემცირდება და ეს ძალზე წაადგება საქართველოს ეკონომიკას.

მეორე მნიშვნელოვანი კულტურაა სიმინდი. მისი ძირითადი გავრცელების არეალი დასავლეთი საქართველოა, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოშიც ფართოდ არის წარმოდგენილი. ეს მეტად ძვირფასი მარცვლოვანი კულტურა იძლევა როგორც მარცვალს, ისე სასილოსე მასას და კონცენტრირებულ საკვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა სიმინდს, როგორც ძირითად სასურსათო პროდუქტს, უპირატესობას ანიჭებს.

საქართველოში სიმინდი პირველად XVII ს-ში შემოიტანეს. გავრცელებულია მისი მაღალმოსავლიანი ჯიშები „აბაშური ყვითელი", „აჯამეთის თეთრი" და სხვ. სათანადო პირობების დაცვით, საქართველოში 1 ჰა-დან 60-70 ცენტნერის მიღება შეიძლება. აღსანიშნავია, რომ 1998 წ. აშშ-ში 1 ჰა-დან საშუალოდ მიიღეს 83 ც სიმინდი, თუმცა ამ კულტურის განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობებით მას არ ჩამოუყარდება დასავლეთ საქართველო, სადაც ამავე წელს სიმინდის მოსავლიანობა 4-ჯერ და მეტად ნაკლები იყო.

საქართველოში 1999 წ. აიღეს 490 ათასი ტ სიმინდი, რომლის მოსავალი რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა (ცხრ. 8):

ცხრილი 8

სიმინდის წარმოება რეგიონების მიხედვით, 1999 წ.

რეგიონი	მთლიანი მოსავალი		საშუალო მოსავლიანობა, ც/ჰა
	ათასი ტონა	%	
საქართველო სულ	490.5	100.0	22.3
მ.შ.			
აჭარის არ	13.7	2.8	24.8
იმერეთი	137.7	28.1	20.0
სამეგრელო და ზემო სვანეთი	120.9	24.7	22.9
გურია	26.1	5.3	16.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	11.5	2.3	19.1
შიდა ქართლი	25.6	5.2	20.0
მცხეთა-მთიანეთი	20.0	4.1	26.1
კახეთი	81.2	16.6	30.1
ქვემო ქართლი	45.3	9.2	22.4
სამცხე-ჯავახეთი	8.4	1.7	21.1

პარკოსანი კულტურებიდან საქართველოში გავრცელებულია სოია, ლობიო, ბარდა, მუხუღო და სხვ., რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ მცენარეულ ცილებს. მაგალითად, სოიას მარცვალში ცილების 35 –45%-ია, ლობიოში – 20-30%. სოია არა მხოლოდ სასურსაათო პროდუქტია, არამედ ის შესანიშნავი საკვებიცაა, ამდიდრებს ნიადაგს აზოტით, თრგუნავს სარეველებს. მისი ნათესები ძირითადად დასავლეთ საქართველოშია. ლობიო მთელს საქართველოში მოჰყავთ როგორც ცალკე ფართობებზე, ისე სიმინდთან შერეულ ნათესებშიც. 1999 წ. დათესილ 9,4 ათას ჰა-ზე მიიღეს 7004 ტონა მოსავალი (საშუალო მოსავლიანობა 7,5 ც/ჰა).

ცხრილი 9

სოიას წარმოება (1998 წ.)

რეგიონი	ნათესი ფართობი, ჰა	მოსავალი, ტონა	საშუალო მოსავლიანობა, ც/ჰა
საქართველო			
მ.შ.	2003	1045	5,2
იმერეთი	590	270	4,6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1349	745	5,5
გურია	58	29	5,2
შიდა ქართლი	6	1	1,0

ტექნიკური კულტურებიდან ყველაზე გავრცელებულია მზესუმზირა, რომლის ნათესები უკანასკნელ დროს 60-იან წლებთან შედარებით 3,4-ჯერ გაიზარდა. იგი ძირითადად კახეთში, ნაწილობრივ კი ქართლშიც მოჰყავთ. 1999 წ. 71,4 ათას ჰა მზესუმზირის საერთო ნათესებიდან 97,3% კახეთზე, უმთავრესად კი ლედოფლის-წყაროს და სიღნაღის რაიონებზე მოდიოდა. მთელმა მოსავალმა 40,5 ათასი ტონა, სოლო საშუალო მოსავლიანობამ – 6,2 ც/ჰა შეადგინა. მცენარეულ ზეთზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაინც უმეტესად იმპორტული პროდუქტით (თურქეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან, ბულგარეთიდან) ხდება.

შაქრის ჭარხალი ითესება შიდა ქართლში, სადაც ბუნებრივი პირობები 1 ჰა-დან 40-50 ათასი ტონა მოსავლის აღების საშუალებას იძლევა; თუმცა, რეალური მოსავლიანობა ბევრად უფრო დაბალია. საქარხნო შაქრის ჭარხლის ყველაზე დიდი მოსავალი აღინიშნა 1967 წ., როცა მისი ნათესი ფართობი 4 ათას ჰა-ს შეადგენდა. შემდგომში მისი ნათესები შემცირდა და 1990 წ. მხოლოდ 1,3 ათასი ჰა-მდე დავიდა; შემცირდა მოსავლიანობაც. მაგრამ დარგი აღორძინების გზაზეა, აგარის შაქრის ქარხანა გამოცოცხლდა, თუმცა ჯერ-ჯერობით უმეტესად შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს.

თამბაქოს ნათესებიც, შაქრის ჭარხლის მსგავსად, 1940-იანი წლებიდან (20,9 ათასი ჰა) მკვეთრად შემცირდა და 1988 წ. 10 ათას ჰექტარზე დავიდა. პირველ რიგში ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბოლნისის და მარნეულის რაიონებში ნათესი

ფართობები თამბაქოს ნაცვლად საადრეო კარტოფილმა დაიკავა. შემცირდა ფართობები მთიან აჭარასა და აფხაზეთშიც. რაც ეროზიულ პროცესებთან იყო დაკავშირებული.

ამჟამად თამბაქო 1,8 ათას ჰა-ზეა დათესილი; 1999 წ. მოსავალმა 2,1 ათასი ტონა, ხოლო მოსავლიანობამ 11,0 ც/ჰა შეადგინა. ყველაზე დიდი ფართობი თამბაქოს ლაგოდეხის (1,3 ათ. ჰა), მარნეულის (200 ჰა), ქედის (106 ჰა) და შუახევის (100 ჰა) რაიონებში უკავია.

ეთერზეთოვანი კულტურები მოჰყავთ კოლხეთის დაბლობზე და კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში. გავრცელებულია ყაზანლიყის ვარდი, გერანი, ევგენოლური რეჰანი და სხვ. 1999 წ. ამ კულტურებს მხოლოდ 344 ჰა ეკავათ (შედარებისათვის. 1977 წ. ეთერზეთოვნები 3 ათას ჰექტარზე იყო დათესილი), ძირითადად აბაშის რაიონში და აღებული იყო 208 ტონა ნედლეული. ჩვენი ეთერზეთების მრეწველობის საწარმოებს სერიოზული მოდერნიზაცია ესაჭიროება, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საქართველოს ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელსაყრელია მებოსტნეობის ფართო განვითარებისათვის. ბოსტნეული კულტურებისათვის საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შეიძლება წელიწადში სულ მცირე, ორი და თანაც, მაღალი მოსავლის მიღება. განსაკუთრებით ინტენსიურად დარგი ქალაქების საგარეუბნო ზონებშია განვითარებული. ნათესი ფართობებისა და წარმოების მოცულობით გამოირჩევა წყალტუბოს, გორის, კასპის, ქარელის, მცხეთის, გარდაბნის, ლაგოდეხის, თელავის, მარნეულის რაიონები. 1999 წ. სულ ბოსტნეული 434 ათას ჰა-ზე იყო დათესილი და მოსავალმა 417 ათას ტონას მიაღწია, თუმცა საშუალო მოსავლიანობა საკმაოდ დაბალია (96 ც/ჰა). საქართველოში ბოსტნეულის წარმოების მოცულობა ფიზიოლოგიური ნორმის (119 კგ 1 სულ მოსახლეზე) მიხედვით, მოსახლეობის მოთხოვნილებას თითქმის აკმაყოფილებს, ხოლო თუ საშუალო მოსავლიანობა გაიზრდება (რაც შესაძლებელია სათანადო აგროტექნიკის დანერგვის პირობებში), მაშინ დარგის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტი საკმაოდ რეალურია.

კარტოფილი წამყვანი კულტურაა საქართველოს მთიან რეგიონებში (სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, მთიან აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში). საადრეო კარტოფილი ქვემო ქართლის რაიონებში მოჰყავთ, საიდანაც ადრე იგი დიდი რაოდენობით გადიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანას რუსეთიდან კარტოფილის თესლის მიღება გაუჭირდა და ამჟამად მას გერმანია ეხმარება. 1999 წ. 34 ათას ჰა-ზე აიღეს 443 ათ. ტონა კარტოფილი, რომლის მოსავლიანობამ 130 ც/ჰა შეადგინა.

მრავალწლიანი კულტურების წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ მათი პლანტაციების ფართობები მცირდება, საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად რჩება (ცხრ. 10).

ცხრილი 10

მრავალწლიანი ნარგაევების ფართობების დინამიკა (ათასი ჰა)

კულტურები \ წლები	1940	1960	1975	1985	1993	1995	1998
ხილ-კენკროსნები	89.2	106.0	159.1	142,6	83.5	94.9	65.3
ვენახი	69.8	85.6	126.1	128.0	78.9	94.2	70,2
ჩაი	49.8	55.6	65.8	67.1	33.7	33.1	39.9
ციტრუსები	24.6	9.3	18.3	26.1	16,7	13.2	15.9

მეკენახეობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრადიციული და წამყვანი დარგია. ვაზის გაშენება-მოვლის წესები ცნობილი იყო 3200-3300 წლის წინათ, რაზეც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები და ხალხური ტერმინოლოგია მიუთითებს. II ათასწლეულის ბოლოს მეკენახეობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო; ამას ადასტურებს კახეთში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან დამზადებული ვაზის ნამგლისებური სასხლავი, ს.ნინოწმინდას ნამარხებში ნაპოვნი ენდემების – რქაწითელისა და მწვანე ვაზის ჯიშის წიპწები და ბევრი სხვა არქეოლოგიური მასალა.

მოოფლიოში აღრიცხულ 4 ათასამდე ვაზის ჯიშიდან 500-მდე ქართულია, მათგან 50 სამრეწველოა. ამჟამად საქართველოში კულტივირებული ვაზის საღვინე ჯიშებიდან უფრო გავრცელებულია რქაწითელი (55%), ცოლიკური (10%), ჩინური (10%), საფერავი (4%), კახური მწვანე (3%), გორული მწვანე (2%) და სხვ. სრულიად უნიკალურია ქართული ვაზის ჯიშები: ოჯალეში, ჩხაკერი, ალექსანდროული, უსახელოური, ალადასტური, ქვიშხური და სხვ., რომლებისაგანაც საუკეთესო ღვინოები მზადდება. შემოტანილი ჯიშებიდან ცნობილია პინო, ალიგოტე, იზაბელა. საქართველოში ვენახები ძირითადად დაბლარია, ხოლო ზოგიერთ ადგილას (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) მაღლარიც ფართოდაა გავრცელებული.

ვაზს საქართველოს ბარის თითქმის ყველა რაიონში აშენებენ ზ.დ. 600-700 მ-მდე. სასაქონლო მეკენახეობით გამოირჩევა კახეთი (წარმოებული ყურძნის 50%), იმერეთი (25%), ქართლი (12%), რაჭა-ლეჩხუმი (2,5%). 1950-იან წლებში ვენახების საერთო ფართობმა 70 ათასს, ხოლო 1980 წ. – 147 ათას ჰა-ს მიაღწია. შემდგომ პერიოდში ფართობმა იკლო და ამჟამად ისევ 70 ათასი ჰექტრის ფარგლებშია. 1999 წ. მოიკრიფა 220 ათასი ტონა ყურძენი (1986-90 წწ. საშუალოდ 630 ათასი, ხოლო 1991-95 წწ. – 381 ათასი ტონა იქნა მიღებული). ყურძნის საშუალო მოსავლიანობა 35-50 ც/ჰა ფორის მერყეობს.

1992 წ. უსისტემოდ ჩატარებულმა პრივატიზაციამ და ძველი სამეურნეო-ორგანიზაციული ფორმების ნაჩქარევად დაშლამ მევენახეობას მძიმე შედეგები მოუტანა. გაიჩეხა უხვმოსავლიანი ზერები, ვრცელი მასივების დაქუცმაცებამ კატასტროფულად შეამცირა ვენახში ტექნიკის გამოყენება, რის გამოც მრავალი ჰექტარი მიტოვებულია; არ მოქმედებს სანერგე მეურნეობა, დიდია მეჩხერიანობა და ნარგავების ამორტიზაცია. 21 სახელმწიფო სანერგე მეურნეობიდან დარჩა მხოლოდ 3, რომელთაგან არც ერთი არ მოქმედებს. შექმნილი ვითარების გასაუმჯობესებლად მევენახეობაში აუცილებელია კაპიტალდაბანდებების მოზიდვა, ვაზის იშვიათი ჯიშების დაჩქარებული აღდგენა და კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება.

სწორედ ამ ამოცანას ემსახურება 1998 წ. 12 ივნისის საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ". იგი მიმართულია მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების, კონკურენტუნარიანი ყურძნის ღვინისა და სხვა ყურძნისეული წარმოშობის სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის ყოველმხრივი ხელშეწყობისაკენ. კანონით დადგენილია საქართველოს ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი და კლასიფიკაცია, მევენახეობა-მეღვინეობის ზონები და ქვეზონები, გათვალისწინებულია ვენახის გაშენებისა და მოვლის პირობები.

მევენახეობის მსგავსად, ტრადიციული დარგია მეხილეობაც, რომელსაც, პრაქტიკულად, საქართველოს ყველა რაიონში მისდევენ. გავრცელებულია თესლოვანი (განსაკურებით ვაშლი), კურკოვანი და კაკლოვანი კულტურები. ბოლო პერიოდში, მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოს მრავალ რეგიონში ფართოდ გავრცელდა თხილი.

1999 წ. მიღებული ხილის საერთო მოსავლის (296 ათასი ტონა) 23% შიდა ქართლზე (განსაკუთრებით, გორის რაიონზე – 17%) მოდიოდა; მომდევნო ადგილზეა იმერეთი (22%), სამეგრელო (16%), კახეთი (10%). საშუალო მოსავლიანობა 52 ც/ჰა აღწევდა.

ხეხილის ბაღების ფართობები საქართველოში განსაკუთრებით XX ს. 50-იანი წლებიდან გაიზარდა, როდესაც ქართული ხილი დიდი რაოდენობით გადიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში. ბაღების ფართობებმა მაქსიმუმს 1975 წ. მიაღწია (ცხრილი 10) და მისმა ხვედრითმა წილმა მრავალწლიანი ნარგავების 45%-მდე შეადგინა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხილის საერთო მოსავალიც. შემდგომ წლებში აღინიშნა ფართობების მნიშვნელოვანი შემცირება (1998 წ. – თითქმის 2,4-ჯერ), რაც, შესაბამისად, მოსავალშიც აისახა; 1986-90 წწ-ში საშუალოდ 645 ათასი ტონა ხილი მოდიოდა. ხილის მოსავლის 96% კერძო სექტორი იძლევა. იგი საკონსერვო მრეწველობის მთავარ ნედლეულს წარმოადგენს.

ხეხილის ბაღებში, ისევე როგორც ვენახებში, დიდია მეჩხერიანობა (დაახლოებით 20%) და ნაკლებად ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებები. ბაღების საერთო რაოდენობის თითქმის ერთი მესამედი ამორტიზებულია, რასაც დიდ ფართობზე ხეხილის ამოძირკვა მოჰყვა. აუცილებელია ხეხილის ჯიშობრივი სტრუქტურის რაციონალიზაცია. მეტად მცირეა კურკოვანი ხილის და კენკროვნების წარმოება, სასაქონლო განვითარება ვერ ჰპოვა ტრადიციულმა (ლელვი, ბროწეული, ნუში, ჟოლო, მაყვალი) და არატრადიციულმა (ზეთისხილი, მოცხარი, ქაცვი) კულტურებმა. მეხილეობის პროდუქციის გაზრდის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ისეთი ხეხილის მოყვანაა, რომელიც მაღალ მოსავალს იძლევა და ხარობს ეროზირებულ ფერდობებზე. ქვიან, კირიან ნიადაგებზე (დიდებულიძე, 1997).

კახეთში, შიდა ქართლსა და იმერეთში გავრცელებულია მებაღჩეობა (საზამთრო, ნესვი, გოგრა).

სუბტროპიკული მრავალწლიანებიდან განსაკუთრებული ადგილი ჩაის პლანტაციებს უკავია. საქართველოში ჩაი პირველად 1847 წ. შემოიტანეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, საიდანაც გადაიტანეს ოზურგეთის საცდელ სადგურში. მოგვიანებით ჩაის ბუჩქი დარგეს ზუგდიდში, დ.დადიანის ბაღში და მ.ერისთავის მამულში (ს.გორა-ბერეჟოული).

მეჩაიეობის ფართო განვითარება საბჭოთა წლებში იწყება. 1940-იანი წლებიდან იგი სპეციალიზაციის დარგად იქცა. საქართველო საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაიზე თითქმის მთლიანად ფარავდა და მინიმუმამდე ამცირებდა მის საზღვარგარეთიდან შემოზიდვას. ჩაის პლანტაციების ზრდა XX ს. 60-80-იან წლებშიც გრძელდებოდა. 1980 წ. ჩაის პლანტაციების ფართობმა 66,8 ათ.ჰა-ს მიაღწია, 1965-85 წ. ჩაის ფართობები ყოველწლიურად 3%-ით იზრდებოდა; ამავე პერიოდში მთლიანი მოსავალი და მოსავლიანობა გაიზარდა თითქმის ორჯერ. რაოდენობრივი მაჩვენებლების პარალელურად, მცირდებოდა ჩაის ხარისხი. კარგი ჩაის მისაღებად, როგორც ცნობილია, უნდა იკრიფებოდეს ქორფა დუყები. მაგრამ პროდუქციის მოცულობის ზრდის სამთავრობო მოთხოვნის გამო ეს პირობა უგულებელყოფილი იყო. იკრიფებოდა უხეში ფოთლებიც და ჰექტრიდან 2-3 ტ ნაცვლად, 10-12 ტონას კრეფდნენ, რაც აუარესებდა ჩაის ხარისხს. უხარისხო ჩაის წარმოება იმანაც გამოიწვია, რომ ჩაის ფაბრიკები ვერ აუდიოდნენ გაზრდილი პროდუქციის დროულ გადამუშავებას. ყოველივე ამას დაემატა თვით ჩაის ბუჩქის მდგომარეობა; მოხდა პლანტაციების დაბერებაც: ჩაის ბუჩქის 15%-ზე მეტი 40-45 წლის ასაკისაა, 27% კი – 50 წელზე მეტი ხნისაა. გადაბერებული, ამორტიზებული პლანტაციების (რომელთა რაოდენობა 40%-ს აღემატებოდა) განახლება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ასევე არ ხორციელდებოდა მეჩხერიანობის (რომელიც 3-10% შეადგენდა) ლიკვიდაცია. ამის შედეგად მკვეთრად დაეცა ჩაის პროდუქციის ხარისხი, რამაც

გასაღების ბაზრების დაკარგვა გამოიწვია. ამან განსაკუთრებით 1991-93 წ. შემდეგ იჩინა თავი. თუ 1989-91 წწ. საქართველოში სშუალოდ 479 ათ. ტონა ჩაი იწარმოებოდა, 1995 წ. პროდუქციამ 34, ხოლო 1999 წ. – 60 ათ. ტონა შეადგინა.

ჩაის პლანტაციები განლაგებულია დასავლეთ საქართველოს როგორც ვაკე ადგილებში, ისე გორაკ-ბორცვიან ზონაში, ზღვის დონიდან 400 მ სიმაღლემდე. ჩაის პლანტაციების ფართობებით ამჟამად ლიდერობს სამეგრელო (35%); მას მოსდევს გურია, აჭარა და იმერეთი.

ბოლო დროს გაჩნდა ქართული მეჩაიეობის აღორძინების გარკვეული იმედი – გამოჩდნენ ინვესტორები, შემუშავდა დარგის რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები. გერმანული ფირმა "მარტინ ბაუერი" 1995 წლიდან ახორციელებს ჩაის პროდუქციის შეძენა-რეალიზაციას. შეიქმნა 20 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი; ფირმას პრივატიზებული აქვს ჩაის 13 გადამამუშავებელი და 3 გადამწონი ფაბრიკა. ჩაის წარმოება ამჟამადაც უმეტესად სახელმწიფო სექტორშია თავმოყრილი (60%-მდე), თუმცა მისი მოსავლიანობა ოჯახურ მეურნეობებში უფრო მაღალია.

მეციტრუსეობა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია, რომლის ისტორია ჩვენთან XVI საუკუნიდან იწყება. იმის გამო, რომ ადგილობრივი ბუნებრივი პირობები ნაკლებად ხელშემწყობია მისი სტაბილური განვითარებისათვის, ციტრუსოვანთა პლანტაციებს, ძირითადად, ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან დაცული ტერიტორიების შედარებით პატარა ნაკვეთები უკავია. მეციტრუსეობის საწარმოო მაჩვენებლები დიდად არის დამოკიდებული ამინდის პირობებზე და გარკვეული არამდგრადობით ხასიათდება. ციტრუსები ძირითადად აჭარის ზღვისპირა რაიონებში (80%-ზე მეტი), გურიასა და სამეგრელოში მოჰყავთ. ჭარბობს მანდარინი, ნაკლებადაა ლიმონი და ფორთოხალი.

ციტრუსების ინტენსიური გაშენება XX ს-ის 20-იან წლებში დაიწყო და მათი პროდუქტიულობა თანდათან იზრდებოდა. თუმცა, დარგის მდგრადი განვითარების ხელშემშლელი ფაქტორია მოულოდნელი წაყინვები. 1949-50 წწ. ცივ ზამთარში მრავალი ნარგავი დაზიანდა და მათ აღდგენას წლები დასჭირდა. პერიოდულად განმეორებადი ყინვიანი ამინდები ციტრუსებს დიდ ზიანს აყენებენ, რაც მოსავლის და მოსაელიანობის დიდ სხვაობას იწვევს. კარგი ამინდის პირობებში ციტრუსები მეტად მაღალ მოსავალს იძლევა. მაგალითად, 1986-90 წწ. – 260,0, 1991-95 წწ. – 120,0, ხოლო 1999 წ, – 56 ათასი ტონა მოვიდა. შესაბამისად, აღნიშნულ წლებში მოსავლიანობა შეადგენდა 98, 65 და 37 ც/ჰა-ს. ამჟამად ციტრუსების თითქმის მთელ მოსავალს ოჯახური მეურნეობები იძლევა.

კრიზისულ წლებში დარგმა გასაღების უზარმაზარი საბჭოური ბაზარი დაკარგა, ხოლო მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრება მეტად რთულია. აქედან გამომდინარე, დარგის მომავალი განვითარების პერსპექტივები ჯერჯერობით

მკვეთრად გამოკვეთილი არ არის. თუმცა, სუბტროპიკული აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირების შემთხვევაში ციტრუსების სანედლეულო გამოყენების სფერო შეიძლება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს.

ზღვისპირა რაიონებში ფართოდაა გავრცელებული სუბტროპიკული ხილი, განსაკუთრებით ხურმა. ბოლო წლებში მეტად პოპულარული გახდა ფეიხოა, კივი. სხვა სუბტროპიკული კულტურებიდან აგრეთვე აღსანიშნავია ტუნგი, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი, ბამბუკი, რომლებიც შავი ზღვის სანაპირო ზონაში ჩაის პლანტაციების განლაგების რაიონებშია გავრცელებული.

მეცხოველეობა მჭიდრო კავშირშია მემცენარეობასთან. საქართველოში არსებული ბუნებრივი საკვები სავარგულები, მათი ფართობები და პროდუქტიულობა არ შეესაბამება მეცხოველეობის მაღალი განვითარების მასშტაბებს. ქვეყნის სათიბ-საძოვრების უმეტესი ნაწილი მაღალ მთაშია და მათი გამოყენება წლის განმავლობაში მხოლოდ 4 თვის მანძილზეა შესაძლებელი; ამასთან, უგზოობა, საძოვრების მოუვლელობა, ქვიანობა, გაუწყლიანება, პირუტყვით გადატვირთულობა ამ სავარგულების უაღრესად დაბალი პროდუქტიულობის (2,5-3,5 ჰა/საკვები ერთეული) მიზეზია.

მაღალმთიანი საძოვრები უმთავრესად მომთაბარე მეცხვარეობისთვისაა განკუთვნილი. ზამთრის და საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრების ფართობები მეტად მცირეა. საქართველო იჯარის წესით სარგებლობდა ჩრდილო კავკასიის ნოღაის ველის ზამთრის საძოვრებით.

ინტენსიური მეცხოველეობის განვითარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მინდვრის საკვებწარმოებას, თუმცა, ეს დარგი ჩვენში ნათესი ფართობის არარაციონალური სტრუქტურით ხასიათდება. 1998 წ. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დამზადდა 41 ათასი ტონა უხეში საკვები, რაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთ სულზე გაანგარიშებით 6,4 ცენტნერს (ზოოტექნიკური ნორმის მესამედს) შეადგენს.

ჩვენს ქვეყანაში საკვები ბაზის სტრუქტურა დაახლოებით ასე გამოიყურება: მთელი მოხმარებული საკვების 65% სათიბ-საძოვრებზე მოდის, კონცენტრირებული საკვების წილი მხოლოდ 9-10%-ია. ასეთი მწირი საკვები ბაზა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობას საკმარისი მეცხოველეობის პროდუქციით.

მეცხოველეობის წამყვანი დარგია მესაქონლეობა. მსხვილი რქოსანი პირუტყვის შენახვის შემდეგი სისტემებია გავრცელებული: დასავლეთ საქართველოში – ზაფხულში სუბალპურ და საშუალომთიან საძოვრებზე; ზამთარში ბაგური კვება უხეში, წვნიანი და კომბინირებული საკვებით. აღმოსავლეთ საქართველოში – გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე პირუტყვი ძირითადად სოფლისპირა საძოვრებზეა, ზამთრის თვეებში – ბაგურ კვებაზე.

თითქმის ყველა რაიონში მისდევენ მეღორეობას, განსაკუთრებით კი კახეთსა და სამეგრელოში, ხოლო განვითარებული მეცხვარეობით – აღმოსავლეთ კავკასიონის

რაიონები გამოირჩევა. აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეები ზამთარში შირაქ-ელდარის და ნოღაის საძოვრებს იყენებენ, ზაფხულში კი ცხვარი მაღალმთიანი კავკასიონის და სამხრეთ საქართველოს საძოვრებზე ჰყავთ.

80-იანი წლებიდან სწრაფად განვითარდა სამრეწველო მეფრინველეობა, მოქმედებდა 26 მძლავრი მეფრინველეობის ფაბრიკა. ამჟამად ეს სიმძლავრეები თითქმის უმოქმედოა. ქათმის ხორცისა და კვერცხის წარმოების ძირითად რეზერვს გლეხური კერძო მეურნეობები წარმოადგენს.

2000 წ. 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა იყო 1061 ათასი სული, მ.შ. ფურის – 575 ათასი; ღორის – 388 ათასი, ცხვრისა და თხის – 659 ათასი სული. სულადობა თითქმის მთლიანად კერძო სექტორშია თავმოყრილი.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, რასაც თუთის ხის ფართო გავრცელება უწყობდა ხელს. 60-იან წლებში აბრეშუმის პარკის დამზადებამ 40 ათას ცენტნერს გადააჭარბა, მაგრამ შემდგომში თუთის ნარგაკებს დაავადება გაუჩნდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მეაბრეშუმეობის სანედლეულო ბაზა და დარგის დაკნინება გამოიწვია.

თითქმის ყველა რეგიონში მისღევენ მეფუტკრეობას. ქართული ფუტკარი ცნობილია მსოფლიოში თავისი თვისებებით, განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით. საქართველო – ქართული მთის რუხი ფუტკრის ნაკრძალია და მისი გენოფონდის დაცვის მიმართულებით ოთხი საფუტკრე მეურნეობა (მუხურის, ხარაგაულის, ყვარელის, სამტრედიის) მუშაობს. 1988 წ. მეფუტკრეობა 120 ათას ოჯახს ითვლიდა, 1995 წ. კი მათი რაოდენობა 35 ათასამდე შემცირდა. შემდგომ წლებში ფუტკართა ოჯახების რიცხვმა ზრდა დაიწყო, რაც მომავალში დარგის აღმავლობის იმედს იძლევა.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე არასტაბილურობით ხასიათდება. XX ს. მიწურულში იგი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება 1985 წლის მაჩვენებლებს (ცხრ. 11). მართალია, 1995 წელთან შედარებით, რიგ მაჩვენებლებში სასიკეთო ძვრები შეინიშნება, მაგრამ სახელმწიფოს რეალური ხელშეწყობის და დახმარების გარეშე ოჯახურ მეურნეობებში აგროწარმოების ინდუსტრიული ბაზის შექმნა და სასაქონლო პროდუქციის შეუფერხებელი ზრდა შეუძლებელი იქნება.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თავისებურებაა მისი მჭიდრო კავშირი ბუნებრივ პირობებთან. აგროწარმოების ზემოქმედება გარემოზე ფართობლივი ხასიათისაა (განსხვავებით მრეწველობისაგან, სადაც წერტილოვანი, ან ტრანსპორტისაგან, სადაც ხაზოვანი ზემოქმედებები ვლინდება). მხედველობაში მისაღებია საქართველოს მცირემიწიანობა და ნიადაგის ნაყოფიერების კატასტროფული შემცირება ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე. სავარგულების დიდი ნაწილი განიცდის

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა (ათასი ტონა)

წლები	სორცი		რძე		ქვერცხი (მლნ ცალი)		მატყლი	
	სულ	მ.შ. ოჯახურ მეურნ-ში	სულ	მ.შ. ოჯახურ მეურნ-ში	სულ	მ.შ. ოჯახურ მეურნ-ში	სულ	მ.შ ოჯახურ მეურნ-ში
1980	143.0	–	642.2	–	654.9	–	6.3	–
1985	166.4	–	684.4	–	822.4	–	6.2	–
1990	170.3	81.9	659.4	402.5	769.2	263.4	6.2	3.8
1995	115.4	112.0	475.4	455.8	269.4	261.4	3.1	2.8
1999	100.5	100.1	660.3	655.5	390.1	386.4	1.7	1.6

ნიადაგის ეროზიასა და დეფლაციას. სერიოზულ კომპლექსურ რეკონსტრუქციას მოითხოვს სარწყავი მიწები.

სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ხარისხის გაუარესება მათი არარაციონალური გამოყენების შედეგია. თესლბრუნვის დარღვევა და აგროტექნიკური ნორმების დაუცველობა ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას იწვევს, ხოლო საძოვრების სულადობრივი გადატვირთვა ბალახეული საფარის დეგრადაციის მიზეზი ხდება. ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა გააძლიერეს ქარისმიერი ეროზია. ნიადაგები დაბინძურებულია მძიმე ტოქსიკური ლითონებით. განსაკუთრებით მაღალია ტოქსიკური ელემენტების შემცველობა სააეტომობილო გზების გასწვრივ, 10 კილომეტრიან ზოლში.

ეკოლოგიური პრობლემების გარდა, საკმაოდ მძაფრად დგას მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. იგი მეტწილად დამოკიდებულია იმპორტზე. იმპორტული სურსათის მეტი წილი უხარისხოა და მაკნეც კი ადამიანის ჯანმთრელობისათვის. ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა ეკოლოგიურად სუფთა საკუთარი სურსათით და ამის შესაძლებლობა საქართველოს გააჩნია.

სოფლის მეურნეობა, როგორც ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტული დარგი, განკითარების კარგად გააზრებულ სტრატეგიას საჭიროებს. მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლა დარგის წინაშე გარკვეულ პრობლემებს აყენებს. აუცილებელია იმ ძირითადი მიმართულებების შერჩევა, რომლებიც ტრადიციული, ამასთან, დღევანდელი რეალობიდან და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მაღალგანკითარებული, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებას განაპირობებენ. ჩვენი ქვეყნის აგარარული პოლიტიკის კონცეფცია გულისხმობს „სასურსათო უსაფრთხოების მიღწევით სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას" („საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია", 1996).

უახლოესი ამოცანაა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის დამყარება, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა და სოფლად ნორმალური სოციალური გარემოს აღდგენა, ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმ დარგების განვითარების ხარჯზე, რომელთა წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებია. აგრარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებად უნდა ჩაითვალოს მეურნეობრიობის ყველა ფორმის თანასწორი განვითარება, მსხვილი წარმოების აღდგენა, აგრეთვე ტრადიციული სამთო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, საოჯახო მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პირობების შექმნა, სოფლად ცივილიზებული კოოპერაციის განვითარება.

სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობა მყარი და საიმედო ინფრასტრუქტურის შექმნაა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მიწების მორწყვას, შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფას და მექანიზაციის დანერგვას; ყოველივე ეს ინვესტიციებზე, თანამედროვე ტექნიკის გამოყენებასა და ტექნოლოგიურ მიღწევებზე უნდა იქნეს დაფუძნებული.

საქართველოს ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, მომავალში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებად კვლავაც დარჩება მევენახეობა, მეჩაიეობა, მეხილეობა-მეციტრუსეობა. ამ დარგების განვითარების სტრატეგია უპირატესობას ანიჭებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებას და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას და არა დარგის განვითარების ექსტენსიურ თუ ინტენსიურ გზებს. მაგრამ ასეთი მიდგომა (ფართობების ზრდა და მოსავლიანობის ამაღლება) გამართლებულია მარცვლოვანი კულტურებისათვის, ვინაიდან ხელს შეუწყობს ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფას და თანაც, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

აგროწარმოება ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ვერ იფუნქციონირებს სახელმწიფოს საფუძვლიანი და მიზანდასახული მხარდაჭერის გარეშე. მართლაც, საჭიროა სოფლის მწარმოებელთა სასარგებლოდ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება მდარე ხარისხის საიმპორტო პროდუქციის აღკვეთაზე, ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე.

ტრანსპორტი

ტრანსპორტი, როგორც ეკონომიკის წამყვანი დარგი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას ტვირთების გადაზიდვებსა და მგზავრთა გადაყვანაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქებთან ერთად ქვეყნის სამეურნეო ხერხემალს და ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან საქართველოზე დიდი სავაჭრო გზა გადიოდა ინდოეთიდან შავიზღვისპირეთისაკენ, რომელიც აღმოსავლეთსა და ევროპის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, ჩრდილოეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელ საუღელტეხილო სავაჭრო გზებსაც.

საბჭოთა პერიოდში შექმნილი არახელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია („ჩაკეტილი სივრცე") ხელს არ უწყობდა საქართველოს სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის სრულ რეალიზაციას. ამჟამად კი, დამოუკიდებელ საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენების შესაძლებლობანი შეექმნა. ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად იქცა ჩვენი ქვეყნის ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან ფართო ინტეგრირება და მათი ერთმანეთთან დაკავშირება. განისაზღვრა მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო სატრანსპორტო დერეფნის – „ტრასეკა"-ს პროექტის განხორციელება, რომელიც უმოკლეს სახმელეთო და საზღვაო კავშირს ამყარებს ევროპისა და აზიის სატრანსპორტო სისტემებთან. თუმცა, ახალი სატრანსპორტო პოლიტიკა ნაკლებად ითვალისწინებს ქვეყნის შიდარეგიონული ტრანსპორტის რეაბილიტაციას და განვითარებას.

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა ჯერ კიდევ XX ს. 50-იან წლებში ჩამოყალიბდა და ტრანსპორტის თითქმის ყველა ძირითადი სახეობა მოიცავ: სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო, მილსადენი და საჰაერო-საბაგირო. თითოეული მათგანი ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების დონის, გამტარუნარიანობის, გეოგრაფიული და ისტორიული თავისებურებების შესაბამისად, გარკვეულ ფუნქციას ასრულებს და სათანადო წელილი შეაქვს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

საქართველოს ცალკეული რაიონებისათვის ტრანსპორტის სახეობებს არაერთგვაროვანი მნიშვნელობა აქვს. ბარის რაიონებში წამყვანია სარკინიგზო და საავტომობილო, ხოლო მთიანში არსებითი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო, ზოგ შემთხვევაში კი – საჰაეროს და კიდულ ბაგირ-გზებსაც. მთლიანად, ქვეყნის სატრან-

სპორტო სისტემის საფუძველს წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, რომლებიც რელიეფური პირობების გამო უმთავრესად განედურადაა განლაგებული.

ქვეყნის სატრანსპორტო მეურნეობამ განვითარების განსაკუთრებით მაღალ დონეს XX ს. 80-იანი წლების ბოლოს მიაღწია. სატვირთო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი იყო უმთავრესად დიდი ტონაჟის და შედარებით დაბალი ღირებულების ტვირთების შემოზიდვა, მაშინ, როდესაც გაიზიდებოდა ნაკლები ტევადობის და წონის, მაგრამ მაღალი ღირებულების პროდუქცია. 90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოების მკვეთრი დაცემა გამოიწვია, რასაც მოჰყვა ტვირთების გადაზიდვის მოცულობის და მგზავრთა გადაყვანის შესაბამისი შემცირება.

გადატანილი ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების მიხედვით ტრანსპორტის დარგობრივ სტრუქტურაში ლიდერობს საავტომობილო ტრანსპორტი (61,8%), სარკინიგზო ტრანსპორტში 1980-90 წწ. ადგილი აქვს ორივე მაჩვენებლის შემცირებას, ხოლო შემდგომ პერიოდში შეიმჩნევა სარკინიგზო ტრანსპორტის ხვედრითი წილის ზრდა გადაზიდული ტვირთების მოცულობაში (ცხრ. 1).

ცხრილი 1

დარგობრივი სტრუქტურა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (%–ში)

წლები	სულ		სარკინიგზო		საავტომობილო		საზღვაო		საჰაერო	
	გადაზიდული ტვირთები	გადაყვანილი მგზავრები	გადაზიდული ტვირთები	გადაყვანილი მგზავრები	გადაზიდული ტვირთები	გადაყვანილი მგზავრები	გადაზიდული ტვირთები	გადაყვანილი მგზავრები	გადაზიდული ტვირთები	გადაყვანილი მგზავრები
1980	100	100	36,1	4.5	61,4	95,0	2,5	0,2	–	0,3
1985	100	100	33,0	3,1	63,7	96,5	3,3	0,1	–	0,3
1990	100	100	30,5	2.0	66,0	97,6	3,5	0,1	–	0,3
1999	100	100	36,5	0.8	61,8	99,1	1,7	–	–	0,1

საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს დააჩქარებს ტრანსპორტის მოდერნიზაცია და სრულყოფა, დარგში კერძო საკუთრების ბაზაზე თავისუფალი კონკურენციის ჩამოყალიბება. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს ტრანსპორტის უფრო აქტიურ ჩართვას საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში.

რკინიგზის ტრანსპორტი

საქართველოს რკინიგზის ქსელის ფორმირებას საფუძველი ჩაეყარა XIX ს. მეორე ნახევარში, როცა 1871 წ. გაიყვანეს პირველი რკინიგზა ზესტაფონიდან ფოთამდე, ხოლო 1872 წ. დაიწყო მოძრაობა თბილისსა და ფოთს შორის. 1883 წ. რკინიგზის მაგისტრალი უკვე ერთმანეთთან აერთებდა ბათუმს, თბილისსა და ბაქოს. შემდეგ, პირველ რიგში, განშტოებები გაიყვანეს წიაღისეულის მოპოვების პუნქტებამდე: ქუთაისი-ტყიბული (1887 წ.), შორაპანი-ჭიათურა (1895 წ.). 1890 წ. გაიხსნა სურამის (წიფის) 4 კმ-იანი გვირაბი, 1894 წ. – ხაშური-ბორჯომის შტო, 1899 წ. ამუშავდა თბილისი-ყარსის რკინიგზა.

XX ს-ში და განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში გაგრძელდა საქართველოს სარკინიგზო ქსელის გაფართოება. გაყვანილ იქნა კახეთის რკინიგზა (1915 წ.). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სენაკ-აღლერის ხაზის გაყვანას (1927-1946 წწ.), რომლითაც საქართველო პირდაპირ (და არა ბაქოდან შემოვლით) დაუკავშირდა რუსეთს. აშენდა გორი–ცხინვალის, ნატანები–ოზურგეთის, ოჩამჩირე–ტყვარჩელის, ქუთაისი–წყალტუბოს, ზესტაფონი–ჭიათურა–საჩხერეს, ბორჯომი–ვალეს, კაჭრეთი–დედოფლისწყაროს და სხვ. განშტოებები. 1970-1980-იან წლებში საქართველოს რკინიგზის სისტემას მიემატა მარნეული-კაზრეთის, ზუგდიდი-ჯვრის, მარაბდა-ახალქალაქის ხაზები; ჩამოყალიბდა საქართველოს თანამედროვე სარკინიგზო სისტემა. მისი მთავარი მაგისტრალი ქვეყნის რელიეფური პირობების გამო, ძირითადად მთათაშორის ბარშია განლაგებული და განედური მიმართულება აქვს, რომელსაც უერთდება გვერდითი შტოები. ბუნებრივია, ქვეყნის ცალკეული მხარეები სარკინიგზო ქსელის სიხშირის მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, რკინიგზის ქსელის სიხშირე 100 კმ^2-ზე გაანგარიშებით, კახეთში 1.5 კმ-ია, ქვემო იმერეთსა და გურიაში – 4, სამეგრელოსა და აფხაზეთში – 2.5, აჭარაში – 1 კმ (კვერენჩხილაძე, 1986); რკინიგზებით საკმაოდ უზრუნველყოფილია იმერეთი, ქართლი, გურია, ხოლო კავკასიონისა და სამხრეთ მთიანეთის 19 რაიონი რკინიგზას მთლიანად არის მოკლებული. დღეისათვის საქართველოს რკინიგზის ქსელის საექსპლუატაციო სიგრძე 1585 კმ-ია.

რკინიგზების მშენებლობასთან ერთად, ყურადღება ეთმობოდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას (1967 წლისათვის მთლიანად დამთავრდა სარკინიგზო ხაზების ელექტრიფიცირება). 1988 წ. ქვეყანაში რკინიგზების საექსპლუატაციო სიგრძე 1940 წ-თან შედარებით 1,3-ჯერ, ხოლო გადაზიდული ტვირთების მოცულობა 40,4 მლნ ტ-მდე ანუ 7,7-ჯერ გაიზარდა.

1980-იან წლებში საქართველოს რკინიგზით გადატანილ ტვირთებში ძირითადი იყო სხვადასხვა სახის მადნეული, სათბობი, შაკი ლითონი, ჯართი, ქიმიური ნაწარმი

(მინერალური სასუქები), მინერალური საშენი მასალები, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქცია – ღვინო, კონიაკი, ხილი, კონსერვები, ჩაი, ციტრუსები და სხვ.

რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის შემცირება მოხდა 80-იან წლებში– 31,0 მლნ-დან – 14,8 მლნ კაცამდე (ცხრ. 2), რაც გამოწვეული იყო მგზავრთა გადაყვანაში ტრანსპორტის სხვა საშუალებების და პირველ რიგში, საავტომობილო ტრანსპორტის როლის გაზრდით. რკინიგზით მგზავრობას კონკურენციას უწევდა: მოკლე მანძილებზე – საავტობუსო და მსუბუქი მანქანებით მიმოსვლა, ხოლო გრძელ მანძილებზე – სამოქალაქო ავიაცია.

ცხრილი 2

რკინიგზით გადაზიდული ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების დინამიკა

წლები	ტვირთების გადატანა (ათასი ტონა)	მგზავრების გადაყვანა (მლნ კაცი)
1980	86528,7	31.0
1985	91258,9	25,6
1990	76860,9	14,8
1995	4656.4	3.1
2000	11500.0	2,2

XX ს. 90-იან წლებში რკინიგზაზე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – დაეცა მისი ყველა სამეურნეო მაჩვენებელი. კერძოდ, 1995 წ. გადაზიდული ტვირთების მოცულობა 1988 წელთან შედარებით 8-ჯერ, ხოლო გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 4,5-ჯერ შემცირდა. ამის მიზეზი იყო გარე ეკონომიკური კავშირების მოშლა, რამაც სარკინიგზო გადაზიდვების და მგზავრთა ნაკადების არეალის შეზღუდვა გამოიწვია. აფხაზეთში ომის გამო მატარებლების მოძრაობა შეწყდა ჩრდილოეთის (რუსეთის) მიმართულებით, ასევე სამხრეთისაკენ (ერევანი), რაც გამოწვეული იყო სომხეთ-აზერბაიჯანის საომარი დაპირისპირებით (ამჟამად ეს მოძრაობა აღდგენილია).

მომდევნო წლებში რკინიგზას და განსაკუთრებით, მის მთავარ მაგისტრალს, აღმავლობის ტენდენცია გაუჩნდა, რაც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული. საქართველოს სარკინიგზო დერეფანი ჯერჯერობით სამი მონაკვეთით არის წარმოდგენილი: 1) ფოთი-სენაკი-სამტრედია-თბილისი-გარდაბანი-აზერბაიჯანის საზღვარი – 358 კმ; 2) ბათუმი-სამტრედია – 106 კმ; 3) თბილისი-სადახლო-სომხეთის საზღვარი – 68 კმ. მათგან მთავარია პირველი ორი მონაკვეთი, რომლებზედაც მოდის მთელი ტვირთბრუნვის 90%, მის ტრანზიტულ გადაზიდვებში ჭარბობს აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ექსპორტ-იმპორტი.

1995-2000 წლებში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქვეყნის სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებაში. ტრასეკას პროგრამით დიდი ყურადღება დაეთმო მაგისტრალის რეკონსტრუქცია-მოდერნიზებას და მის ცალკეულ მონაკვეთებზე მეორე ხაზის მშენებლობის დამთავრებას. დარგში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შედეგად, ყოველწლიურად უმჯობესდება რიგი ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლები. ამის შედეგად უფრო სწრაფი და ინტენსიური გახდა გადაზიდვები საქართველოს ტერიტორიაზე. 2000 წ. რკინიგზით გადაზიდა 11,5 მლნ ტ ტვირთი (2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1995 წ.) და გადაყვანილ იქნა 2,2 მლნ მგზავრი (19,1%-ით მეტი წინა წელთან შედარებით).

საქართველოში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრავი სარკინიგზო ტვირთებიდან 95,5% მოდის საექსპორტო ნავთობსა და მის პროდუქტებზე (აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან); გადაზიდება აგრეთვე კოქსი, ხე-ტყე, სამშენი მასალა, ბამბა და სხვ. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართულ ტვირთებში კი ძირითადია მარცვლეული (52,3%).

ევრაზიის დერეფნის პროექტი ასევე ითვალისწინებს „ყარსი–ახალქალაქი–თბილისი"-ს სარკინიგზო მაგისტრალის მწყობრში ჩაყენებას, რომელიც უმოკლესი გზით დააკავშირებს თურქეთს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალს. ბათუმსა და ფოთში აიგო საბორნე პლატფორმები, რომელთა საშუალებით დაიწყო საბორნე მატარებლების მოძრაობა შავ ზღვაზე მისი დასავლეთი სანაპიროების მიმართულებით (უკრაინა, ბულგარეთი). 2000 წ. სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელებით გაგზავნილია 1842 სარკინიგზო ვაგონი. საქართველოს სარკინიგზო ტვირთებში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს სატრანზიტო გადაზიდვები. 2010 წლისათვის ნავარაუდევია მისი 70%-მდე გაზრდა.

საქართველოს მომავალ სარკინიგზო მშენებლობაში გარკვეული ადგილი შეიძლება დაიკავოს ვიწროლიანდაგიანმა რკინიგზამ, რომლის დადებითი მაგალითები ევროპის ალპური ქვეყნების გარდა ჩვენშიც არსებობს. მათ შორის პირველი, 1902 წ. გაყვანილი 37 კმ სიგრძის ხაზი – ბორჯომი-ბაკურიანი დღესაც ფუნქციონირებს. ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომლის გაყვანაც სააკტომობილო გზასთან შედარებით უფრო იაფია, მთიან რაიონებში სატრანსპორტო კავშირის ერთ-ერთი საიმედო საშუალებაა. ამასთან, იგი, მცირე საექსპლუატაციო ხარჯების, მგზავრთა გადაყვანის და ტვირთების გადაზიდვის სრული უსაფრთხოების გამო, მაღალეკონომიურობით გამოირჩევა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ტურიზმის და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის მგზავრობის კომფორტულ პირობებს ქმნის მთელი წლის განმავლობაში.

ავტომობილი – სატრანსპორტო მიმოსვლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რომელიც მეტად მოსახერხებელია მოკლე მანძილზე ტვირთების გადასაზიდად და ჩქარი მგზავრობისათვის. საავტომობილო ტრანსპორტის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენისთანა მთიანი ქვეყნისათვის, სადაც ბევრი სოფელი მის გარეშე ვერ იარსებებს.

საქართველოში საატომობილო ტრანსპორტს საფუძველი XX ს. დასაწყისში ჩაეყარა, განვითარების ძირითადი ეტაპები კი საბჭოთა კავშირში საავტომობილო მრეწველობის აღმავლობასთან იყო დაკავშირებული. ავტობუსი პირველად 1933 წ. ამოქმედდა თბილისში და დამყარდა კავშირი დედაქალაქსა და ახლომდებარე რამდენიმე პუნქტს შორის. საავტომობილო გზების მშენებლობა განსაკუთრებით გაძლიერდა 50-იანი წლებიდან, როცა მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომანქანების პარკი. გაყვანილ იქნა საავტომობილო მაგისტრალი შავი ზღვიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე. საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი საკმაოდ ფართოა და იშვიათია მთის რაიონი, საავტომობილო გზით რომ არ იყოს დაკავშირებული ბარის რაიონებსა და ქალაქებთან. მაგრამ ზამთრობით, არახელსაყრელი რელიეფური და კლიმატური პირობების და სტიქიური პროცესების გამო (დიდთოვლობა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი და სხვ.) ხშირად საავტომობილო მიმოსვლა თვეობით წყდება.

საავტომობილო ტრანსპორტმა განვითარების მაღალ დონეს 1980-იან წლებში მიაღწია. 1940-88 წწ. საავტომობილო ქსელის სიგრძე 13,6 ათასიდან 21,6 ათას კმ-მდე გაიზარდა. თუმცა, მაგარსაფარიანი გზების კეთილმოწყობა და ტექნიკური დონე არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ამის მიზეზია გზების მოვლის სუსტი სამეურნეო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიური მნიშვნელობა განუხრელად მატულობდა. თუ 1940 წ. გადატანილ იქნა 14,3 მლნ ტ ტვირთი. 1980 წ. მან 147,3 მლნ ტ, ხოლო 1988 წ. – 197,2 მლნ ტ. შეადგინა. ასევე იზრდებოდა მგზავრთა გადაყვანის მოცულობა საერთო სარგებლობის ავტობუსებით: 1940 წ. – 17 მლნ, 1980 წ. – 644 მლნ, 1988 წ. – 825 მლნ კაცი.

საქართველოს საავტომობილო გზები, რკინიგზასთან შედარებით, თანაზომიერად არის განაწილებული ქვეყნის მეურნეობრივად ათვისებულ ტერიტორიებზე. განსაკუთრებით დიდია მათი მნიშვნელობა ისეთ ადგილებში, სადაც არ არის რკინიგზა. თუმცა, მოძრაობის ინტენსივობით, ტვირთების გამტარუნარიანობით და მგზავრთა ნაკადების მოცულობით, ბარის და განსაკუთრებით ურბანიზებული რაიონები საგრძნობლად განსხვავდება მთის ზონისაგან. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეკონომიკური ეფექტი დიდად იყო დამოკიდებული რაიონების სამეურნეო პოტენციალსა და მოსახლეობის შრომითი საქმიანობის სპეციფიკაზე.

XX ს. 90-იანი წლების კრიზისულმა მოვლენებმა დიდად აზარალა საავტომობილო ტრანსპორტი და უკიდურესად დააქვეითა მისი სამეურნეო მაჩვენებლები. 1995 წ. ტვირთების გადატანა 1990 წ. შედარებით 19-ჯერ (ცხრ. 3), ხოლო ტვირთბრუნვა 30-ჯერ შემცირდა. დიდი იყო კლება აგრეთვე მგზავრთა საავტობუსო მომსახურებაში: მგზავრთა გადაყვანა შემცირდა 3.1-ჯერ, ხოლო მგზავრთბრუნვა – 5,7-ჯერ. გაპარტახდა საავტომობილო პარკი. 1990-95 წწ-ში სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა განახევრდა, ხოლო ავტობუსების რიცხვი შემცირდა 40%-ით.

ცხრილი 3

საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების
და გადაგზავნილი მგზავრების დინამიკა

წლები	ტვირთების გადატანა (ათასი ტონა)	მგზავრების გადაყვანა (მლნ კაცი)
1980	147348.0	634.8
1985	175915.0	804.2
1990	167070.0	735.2
1995	8690.0	116.2
2000	18500.0	235.0

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა, რომლის თანდათანობით გაუმჯობესების ტენდენცია 1995 წ-დან გამოიკვეთა. დადებითი როლი ითამაშა ავტოსაწარმოების პრივატიზაციამაც, რამაც ხელი შეუწყო გაპარტახებული ავტოპარკის ნაწილობრივ შეკვეთას უცხოური მარკის ავტომანქანებით და, განსაკუთრებით, მიკროავტობუსებით. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა მგზავრთა გადაყვანაში. ინტენსიური გახდა მძიმე სატვირთო მანქანების – ტრაილერების მოძრაობა თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ კავკასიის სახმელეთო და საზღვაო-სანავსადგურო (ფოთი, ბათუმი) მიმართულებით, რაც ქვეყანაში საგარეო და სატრანზიტო კომერციული კავშირების გააქტიურების მაჩვენებელია.

საქართველოს საავტომობილო საგზაო ქსელის აღდგენისა და მოდერნიზაციის მიზნით შერჩეულია 5 პრიორიტეტული გზატკეცილი: 1. ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი) – 400 კმ; 2. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსი (რუსეთის საზღვარი) – 139 კმ; 3. სარფი-ახალციხე-თურქეთის საზღვარი – 127 კმ; 4. ხაშური-ახალციხე- თურქეთის საზღვარი – 98 კმ; 5. თბილისი-მარნეული-გუგუთი (სომხეთის საზღვარი) – 97 კმ, რომელთა საერთო სიგრძეა 861 კმ. ამასთან, უაღრესად დიდი სოციალურ-ეკონომიკური და სტრატეგიული დანიშნულება აქვს ქვეყნის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს (მათი საერთო სიგრძეა 15450 კმ), რომელთა დიდი ნაწილი საექსპლუატაციოდ თითქმის უვარგისია. მათი რეაბილიტაციის და

ნორმალური ფუნქციონირების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის რეგიონების და განსაკუთრებით, მთიანი მხარეების კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება და მათი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ათვისება.

საზღვაო ტრანსპორტი

საზღვაო ტრანსპორტი კავშირ-ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. განსაკუთრებით ეფექტურია შორ მანძილებზე ტვირთის გადასაზიდად და ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით მაღალი მწარმოებლურობა და მინიმალური თვითღირებულება ახასიათებს. ზღვისპირა საქართველოსათვის იგი მსოფლიო მეურნეობაში აქტიური ჩაბმის არსებითი საშუალებაა, რადგან საექსპორტო-საიმპორტო გადაზიდვების დიდ ნაწილს ასრულებს.

საქართველო, როგორც ერთ-ერთი უძველესი საზღვაო ქვეყანა, ჯერ კიდევ ა.წ.აღ.-მდე იყენებდა ხელსაყრელ ზღვისპირა მდებარეობას. ამის დასტურია მდ.რიონის შესართავში ქ.ფაზისის – თანამედროვე ფოთის არსებობა. იმთავითვე იგი არამარტო სანავსადგურო დანიშნულებით იყო ცნობილი, არამედ ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრსაც წარმოადგენდა. ძვ.წ.აღ. II-I ათასწლეულში ათვისებული ყოფილა აგრეთვე კახაბერის დაბლობის ზღვისპირა და ახლანდელი ბათუმის ყურის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია. მათი სავაჭრო ურთიერთობები სცილდებოდა შავი ზღვის აუზს და ხმელთაშუა ზღვამდე ვრცელდებოდა. გვიან ფეოდალურ პერიოდში ფოთის და ბათუმის ნავსადგურები ოსმალებმა დაიპყრეს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მონებით ვაჭრობის კერად აქციეს.

1828 წ. ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქ.ფოთი თანდათან გაფართოვდა და 1858 წ. სანავსადგურო ქალაქის სტატუსი მიიღო. განსაკუთრებით გაიზარდა მისი მნიშვნელობა 1872 წ. შემდეგ, როცა იგი რკინიგზით თბილისს დაუკავშირდა, ხოლო შორაპნიდან ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით – ჭიათურის მანგანუმის საბადოს. 1897-1905 წწ. მოხდა ფოთის პორტის რეკონსტრუქცია-გაფართოება, რაც უშუალოდ უკავშირდება ქალაქის მერის და ცნობილი მოღვაწის ნ.ნიკოლაძის სახელს. ამ დროისათვის ფოთი უკვე ითვლებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის პორტად, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი წყალწყვის გემების მიღება და სატვირთო ოპერაციების შესრულება.

ბათუმი თურქეთის ბატონობიდან მხოლოდ 1877-78 წწ. (რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ) განთავისუფლდა. მის ყურეში მოეწყო მსხვილი საზღვაო-სატრანსპორტო ოპერაციებისათვის განკუთვნილი ნავსადგური, რომელიც შემდგომ ათი წლის განმავლობაში პორტო-ფრანკო (უცხოური საქონლის უბაჟოდ შეტანა-გატანის უფლების მქონე ნავსადგური) იყო. ბაქოსთან რკინიგზით (1883 წ.) და ნავთობსადენით

(1897-1907 წწ.) დაკავშირებამ ბათუმი შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან ნავსადგურად გადააქცია. 1880-იანი წლების დასაწყისიდან ბათუმი ფოთზე ბევრად უფრო სწრაფად განვითარდა. 1902 წ. მისი ნავსადგურის ტვირთბრუნვა (1760 ათასი ტონა) ფოთისას 2,5-ჯერ აღემატებოდა (ჯაოშვილი, 1996).

საქართველოს საზღვაოსნო საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის ნაწილს წარმოადგენდა. მისი დაფინანსება, ტექნიკურ-ორგანიზაციული და იურიდიული უზრუნველყოფა ცენტრალიზებულად ხდებოდა. იმავე წესით იმართებოდა მისი ურთიერთობები სსრკ-თვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად სასურველ პარტნიორებთან. ამასთან, სანაოსნოს კუთვნილი გემების ნაწილი უცხოეთის ქვეყნების საერთაშორისო გადაზიდვებს აწარმოებდა, ხოლო მიღებული შემოსავალი ცენტრალურ ხაზინაში ირიცხებოდა. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში მთავარი ადგილი (საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის დაახლოებით 60%) ეჭირა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს და 35% მანგანუმის ნედლეულზე მოდიოდა. საქართველოდან თითქმის არ გაიზიდებოდა არც ერთი უმნიშვნელოვანესი მასიური სამრეწველო ტვირთი (ჭიათურის მანგანუმის გარდა). საზღვაო სივრცის დამოუკიდებლად გამოყენება ქვეყანამ 1992 წლიდან დაიწყო.

ახალ პირობებში, უხეირო მართვის შედეგად, სანაოსნომ ვერ მოახერხა ფლოტის (32 გემი) მთლიანი შენარჩუნება. ბევრი გემი გაიყიდა, რის შედეგადაც კატასტროფულად შემცირდა გადაზიდული ტვირთების საერთო მოცულობა (11-ჯერ). შესაბამისად, უმნიშვნელოა მათი მონაწილეობა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებაში. ევროპა–აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებაში და სატრანსპორტო კავშირების დამყარებაში განსაკუთრებული როლი დაეკისრა ფოთისა და ბათუმის საკაჭრო ნავსადგურებს, რომელთაც ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატი ახალი მინიჭებული აქვთ. საერთაშორისო საზღვაო მარშრუტების განახლებისა და გაფართოების გამო არამარტო საგრძნობლად გაიზარდა მათი საპორტო ფუნქციები (აფხაზეთის ომმა სოხუმს დაუკარგა სანავსადგურო მნიშვნელობა), არამედ დღის წესრიგში დადგა ახალი პორტების (ანაკლია, ყულევი) მშენებლობის საკითხიც.

საზღვაო გადაზიდვებისათვის მნიშვნელოვანია ტრასების გეოგრაფია, რომელსაც სახმელეთო ტრანსპორტისაგან განსხვავებით, განსაზღვრავს არა კომუნიკაციების, არამედ პორტების ქსელი. დამყარებულია რეგულარული საზღვაო გადაზიდვები საქართველოს ნავსადგურებსა და შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზების სხვა პორტებს შორის. გახსნილია ახალი ხაზები, იქმნება საბორნე გადაზიდვების მთელი ქსელი. საქართველოს ნავსადგურები მსოფლიო ბაზართან დაკავშირებულია საკონტეინერო ფიდერული, ევროპასთან კი, დამატებით რო-რო გემებით, სადაც დატვირთვა-გადატვირთვა ხდება არა ვერტიკალური, არამედ ჰორიზონტული წესით.

1996-97 წწ. საქართველოსა და ბულგარეთს შორის, ვარნასა და ბურგასის მიმართულებით, გაიხსნა რო-რო ტიპის სახომალდო მიმოსვლა. 1998 წლიდან მოქმედებს ბათუმი-ილიჩოვსკი (უკრაინა) ვარნას და 1999 წლიდან ფოთი-ილიჩოვსკის საბორნე პლატფორმები, რომლებიც იტვირთება მანქანებით და კონტეინერებით, ჯართით, ციტრუსებით. ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე, ფოთის პორტიდან გადის 15-ზე მეტი რეგულარული საბორნე და ფიდერული საკონტეინერო ხაზები, რომელთა ბოლო პუნქტებია ევროპის, თურქეთის, უკრაინის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების პორტები.

საქართველოს ნავსადგურები – ფოთი და ბათუმი, უნივერსალური ტიპის პორტებია, რომლებიც იღებენ და ამუშავებენ სხვადასხვა სახის ტვირთებს – გენერალურს (მათზე მოდის ორივე პორტის შიდა და გარე გადაზიდვების 20-30%), ნაყარს, თხევადს. დღეს მსოფლიოში, და განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში, ასეთი ტიპის პორტები ჭარბობს. უნივერსალურისაგან განსხვავებით, სპეციალიზებული პორტები, წესისამებრ, ორიენტირებულია განვითარებადი ქვეყნების ერთი რომელიმე მასიური საექსპორტო ტვირთის გადატანაზე. ბათუმი და ფოთი განვითარების პირველ ეტაპზე სწორედ ამ ტიპს მიეკუთვნებოდნენ. ბათუმი სპეციალიზებული იყო ნავთობის (ტვირთბრუნვის 77%), ხოლო ფოთი – მანგანუმის მადნისა (60%) და ქვანახშირის ექსპორტზე. საბჭოთა პერიოდში ორივე პორტის ფუნქცია გაფართოვდა, ხოლო ამჟამად მათი განვითარება შემდგომი უნივერსალიზაციის გზით მიმდინარეობს.

ფოთის პორტში 16 ნავმისადგომია. თითოეული მათგანი სპეციალიზებულია გარკვეული ტვირთების მისაღებად. ნავთობპროდუქტებისათვის განკუთვნილი ნავმისადგომი ყოველწლიურად აწარმოებს 650 ათას ტ ნავთობპროდუქტის გადატვირთვა-გადმოტვირთვას. ნავმისადგომები, რომლებიც ადრე ბოქსიტების გადასაზიდად იყო განკუთვნილი, ახლა ჯართის დასამუშავებლად გამოიყენება. ხდება კონტეინერების, გენერალური ტვირთების, მარცვლეულის, ხე-ტყის, საკვები პროდუქტების და სხვათა მიღება-გადამუშავება. კონტეინერული წესით მუშავდება მაღალი ღირებულების ტვირთები, მათ შორის სახალხო მოხმარების საგნები. 2000 წ. ფოთის პორტის მიერ გადამუშავებულ იქნა 3,6 მლნ ტ ტვირთი. ფოთის პორტი ასრულებს ტვირთების სატრანსპორტო-განმანაწილებელი კვანძის და სატრანზიტო ფუნქციას. მისი საშუალებით უზბეკეთს გააქვს ბამბა, ცენტრალურ აზიაში ფოთიდან შეაქვთ სასურსათო საქონელი.

ბათუმს, ფოთისაგან განსხვავებით, ტვირთგადაზიდვების გარდა, მნიშვნელოვანი სამგზაურო ფუნქციაც გააჩნია. არსებული 11 ნავმისადგომიდან ზოგი სპეციალიზებულია ნავთობის, ქვანახშირის, მადნის, მარცვლეულის გადასაზიდად, ზოგი კი შეფუთული და გენერალური ტვირთების და კონტეინერების დასამუშავებლად. შექმნილია ბორნების მისაღები მისადგომები. 2000 წ. ბათუმის პორტის მიერ

დამუშავებულმა ტვირთებმა 6,9 მლნ ტ-ს მიაღწია, რომელთაგან ნავთობი და ნავთობპროდუქტები 79%-ს შეადგენდა, მშრალი ტვირთები – 19%-ს. 90-იანი წლების პირველ ნახევარში მგზავრთა გადაყვანა მკვეთრად შემცირდა – 34 ათასი კაციდან 9 ათასამდე.

მომავალში იგეგმება ახალი ნავსადგურის მშენებლობა მდ.ენგურის შესართავში. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას XVI ს-ში უკვე არსებობდა ანაკლიის ნავსადგური. XVIII ს-დან იგი ჯერ თურქების, შემდეგ კი რუსების ხელში გადავიდა, ამის შემდეგ მან დაკარგა სავაჭრო-სატრანზიტო და უმთავრესად სტრატეგიული მნიშვნელობა მიიღო. XX ს-ში იგი უფრო ადგილობრივი კურორტის ფუნქციას ასრულებდა.

ანაკლიის სანაპირო, ფოთთან შედარებით, გამოირჩევა უკეთესი ბუნებრივი პირობებით. კერძოდ, მდ.ენგურის შესართავთან უშუალოდ ზღვის ნაპირის სიახლოვეს არსებობს ღრმა, წყალქვეშა კანიონი, რაც საპორტო აკვატორიაში დიდი გაბარიტებისა და წყალჯდომის გემების მიღების საშუალებას იძლევა. უფრო შორეულ პერსპექტივაში ტვირთბრუნვის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია მისი ექსტენსიური განვითარება (სახმელეთო ფართობის ხარჯზე). ანაკლიის პორტისათვის შერჩეული აკვატორიისა და სახმელეთო მონაკვეთების ფართობი შეესაბამება თანამედროვე მოწინავე პორტების მოთხოვნილებას. ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის პირველი რიგი გათვლილია წელიწადში 5 მლნ ტონა ტვირთბრუნვაზე (კიკნაძე, 2000).

საქართველოს შავიზღვისპირა რაიონების საპორტო პოტენციალის პერსპექტიული განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს აგრეთვე სუფსის საზღვაო პორტის და ყულევის პორტისა და ტერმინალის კომპლექსის შექმნას. ამდენად, ქვეყნის სატრანსპორტო დელტის სრულმასშტაბიანი ამოქმედების შემდეგ (დაახლოებით 2010-2015 წწ.) სავარაუდო სიმძლავრე წელიწადში დაახლოებით 50-60 მლნ ტონას მიაღწევს.

დღეს, საზღვაო ტრანსპორტის და პორტების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, პორტებისა და საზღვაო ტრანსპორტის პრივატიზაცია, რეკონსტრუქცია და გაფართოება, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, საქართველოს პორტების და სანაოსნოს გარდაქმნა ღია ტიპის სააქციონერო საზოგადოებებად და სხვ.

საჰაერო ტრანსპორტი

საქართველოში საჰაერო ტრანსპორტის განვითარება საბჭოთა პერიოდში მოხდა. შეიქმნა აეროპორტების ქსელი, რომელთა დანიშნულება დიფერენცირებული იყო სამოქალაქო და სამხედრო (ვაზიანი, სენაკი, გუდაუთა და სხვ.) მიზნების მიხედვით.

ტექნიკის და სატრანსპორტო კავშირების განვითარების კვალდაკვალ იზრდებოდა „აეროფლოტის" თვითმფრინაველების (ტუ-154, ტუ-134, იაკ-40 და სხვ.) და ვერტმფრენების პარკი, რეისებისა და მგზავრთა გადაყვანის რაოდენობა (1965 წ. – 0,9 მლნ, ხოლო 1990 წ. – 2,7 მლნ კაცი). საქართველოში საერთაშორისო რეისები არ სრულდებოდა.

საბჭოთა კავშირის ყრცელ ტერიტორიაზე აეიარეისებს ემსახურებოდა თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის აეროპორტები, ადგილობრივ ავიახაზებს კი – ფოთის, ახალქალაქის, თელავის, ზუგდიდის, მესტიის, ლაგოდეხის, ამბროლაურის, ცაგერის და სხვა აეროპორტები.

90-იან წლებში საქართველოს ავიაცია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი კომპანია, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს ავიამომსახურების რთულ საქმეს. საჰაერო ტრანსპორტის გეოგრაფიის გაფართოების მიუხედავად, როცა საქართველო ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ბევრ ქალაქს საერთაშორისო რეისებით უშუალოდ დაუკავშირდა, ამ კომპანიებმა მოძველებული საბჭოთა თვითმფრინაველების, ფინანსური სიძნელეების და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) მიერ დაწესებული ფრენის სტანდარტების შეუსრულებლობის გამო, ვერ შესძლეს კონკურენცია გაეწიათ უცხოეთის ავიაკომპანიებისათვის. ამიტომაც, 1990 წ-თან შედარებით, საქართველოს ავიაციის მიერ 2000 წ. გადაზიდული ტვირთების მოცულობა 7,4-ჯერ, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 13,5-ჯერ შემცირდა. ქვეყნის აეროპორტებიდან გაიგზავნა 163,7 ათასი მგზავრი. მათ შორის საქართველოს ავიაკომპანიების მიერ – 36,2%.

ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად (1999 წ.) „აირზენა საქართველოს ავიახაზებს", რომელიც სამი ავიაკომპანიის („აირზენა", „ეარჯორჯია", „საქართველოს ავიახაზები") შერწყმის შედეგად შეიქმნა, ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე თბილისს საქართველოს ეროვნული გადამზიდველის სტატუსი მიენიჭა. მან 7 წლის ლიზინგის უფლებით ორი „ბოინგ 737500" ტიპის თვითმფრინაველი მიიღო, ხოლო გერმანიაში სპეციალური ტრენინგი მოეწყო ქართული ეკიპაჟისათვის. ამჟამად, განახლებული და კეთილმოწყობილი საერთაშორისო აეროპორტიდან სრულდება საზღვარგარეთული რეისების დიდი უმრავლესობა. ფუნქციონირებს აგრეთვე ქუთაისის, სენაკის, ბათუმის (მას აქვს ლიცენზია საერთაშორისო რეისების შესრულებაზე) აეროპორტები. ასევე არსებობს საავტომფრენო კავშირები მაღალმთიან რაიონებთან.

თბილისის საჰაერო ტრანსპორტის კონტროლის სისტემის განახლებამ ხელი უნდა შეუწყოს ICAO-ს გეგმების განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნისათვის ერთიანი საჰაერო სისტემის შექმნას, რაც გულისხმობს საერთო სტანდარტების და რადარულ მონაცემთა გაცვლას.

საპაერო-საბაგირო ტრანსპორტი – სპეციალური ტრანსპორტის ეკოლოგიურად სუფთა სახეობაა. მისი განვითარება საქართველოს რელიეფის სირთულემ და, კერძოდ, ჰიფსომეტრიული ამპლიტუდების არსებობამ განაპირობა. მთიან რეგიონებში, სიმაღლის სხვადასხვა დონეზე მდებარე მიწის ნაკვეთების, საწარმოების, დასახლებული პუნქტების უმოკლესი გზით დასაკავშირებლად, მოსახლეობის სატრანსპორტო მოშსახურების გაუმჯობესებისა და ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის საპაერო-საბაგირო გზები ყველაზე ოპტიმალური საკომუნიკაციო საშუალებაა. იგი გამოირჩევა შედარებითი სიიაფით, მშენებლობისათვის საჭირო დროის სიმცირით და საექსპლუატაციო ხარჯების ეკონომიურობით. საქართველოში ამ გზების დანიშნულებაა: სხვადასხვა ტვირთების გადატანა, მგზავრების გადაყვანა, ტურისტების და სამთო-სათხილამურო სპორტსმენ-მოყვარულთა მოშსახურება.

XX ს. 20-იანი წლების დამლევს საქართველოში პირველი სატვირთო კიდული საბაგირო გზები შეიქმნა ქ.ჭიათურაში, მოგვიანებით, ტყვარჩელში, მანგანუმის და ქვანახშირის ტრანსპორტირებისათვის. 1985 წლიდან მთიან აჭარაში (აჭარისწყლის ხეობა) ფუნქციონირებს 1721 მ სიმაღლის უსაყრდენო სამგზავრო-საბაგირო გზა. დარიალის ხეობაში აიგო სამგზავრო-სატვირთო საბაგირო გზა, რომელიც სამხედრო გზის მონაკვეთს ს.ხურთისთან (ყაზბეგის რ-ნი) აკავშირებს.

სხვადასხვა დანიშნულების საბაგირო გზები აშენებულია თბილისში, ქუთაისში, ტყვარჩელში, ჭიათურაში, კასპში, ბორჯომში, აბასთუმანში, სილნალში, წნორში, ყაზბეგში, მათ შორის 13 კმ ტურისტული ტრასა აიგო ყაზბეგიდან სამების მეტეოროლოგიურ სადგურამდე, რომელთაგან ამჟამად ყველა არ ფუნქციონირებს. სპორტული მიზნებისათვის ბაკურიანსა და გუდაურში შეიქმნა თანამედროვე ავტომატიზებული მაღალმწარმოებლური საბაგირო გზები და მათი ინფრასტრუქტურა.

ჭიათურის გარდა, სადაც რამდენიმე ათეული საბაგირო გზაა აგებული, გამორჩეული ქალაქია თბილისი, რომლის რელიეფმა ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში განსაზღვრა ტრანსპორტის ამ სპეციფიკური სახეობის დანერგვა. ქალაქის ფარგლებში შექმნილი საბაგირო გზების ქსელის (პლატო „ფუნიკულორი", საბაგირო-რელსური – ამუშავდა 1905 წ.; რუსთაველის გამზირი-მთაწმინდა – 1959 წ.; ვაკე-კუს ტბა – 1966 წ.; დელისი – ლისის ტბა – 1978 წ.; უნივერსიტეტი-ბაგები – 1982 წ.; სამგორი – ქვედა ვაზისუბანი – 1986 წ.) საერთო სიგრძე 5 კმ აღწევს (კვერენჩხილაძე, 1986).

სპეცტრანსპორტის საპროექტო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროექტი ითვალისწინებს 21 საბაგირო, საბაგირო-რელსური და მონორელსური ტრანსპორტის

არსებული სისტემის რეკონსტრუქციას და ახლის მშენებლობას თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, ბორჯომში, ხარაგაულში, ლანჩხუთში, ქობულეთში, ხულოში, ასპინძაში, ადიგენსა და ყაზბეგში.

მილსადენი ტრანსპორტი

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ნავთობსადენი 1897-1907 წწ-ში აშენდა (ეს იყო პირველი მაგისტრალური მილსადენი რუსეთის იმპერიაში), რომელმაც მაგისტრალური ხაზით (სიგრძე 863 კმ. საქართველოს ფარგლებში – 440 კმ) ბათუმი და ბაქო დააკავშირა. კახეთის ნავთობის საბადოების დამუშავების დროს გაიყვანეს მცირე სიგრძის ნავთობსადენები: მირზაან-კაჭრეთის, ნორიო-ლილოს, ტარიბანა-წითელწყაროს (დედოფლისწყაროს) და მირზაან-პატარა შირაქის მიმართულებით. 70-იან წწ., როცა დაიწყო სამგორ-პატარძეულის ახალი საბადოს ინტენსიური ათვისება, აიგო სამგორ-გაჩიანის (22,5 კმ), ხოლო ძველი ნავთობსადენის პარალელურად აშენდა ხაშურიდან ბათუმამდე (232 კმ) და სამგორი-ბათუმის (426 კმ) ახალი ნავთობსადენები. საქართველოში 1980 წ. ნავთობსადენების საერთო სიგრძემ 1217 კმ შეადგინა.

როგორც ცნობილია, დასავლეთის ინტერესი კავკასიისა და ცენტრალური აზიისადმი ძირითადად ნავთობითა და ბუნებრივი აირითაა განპირობებული. მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ენერგორესურსების მარაგი თანდათან მცირდება. ამ ენერგოშემცველების სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტირებაში საქართველოს როლი განსაკუთრებულია, რასაც განაპირობებს შავ ზღვაზე მდებარე ბათუმისა და ფოთის პორტები და მილსადენების (ნავთობსადენის, აირსადენის) ქსელი, რომელიც ამჟამად ფორმირების სტადიაშია.

1999 წ. 17 აპრილს ფუნქციონირება დაიწყო სუფსასთან დამაკავშირებელმა ნავთობსადენმა, რომელიც სათავეს იღებს აზერბაიჯანში, ბაქოს სამხრეთით მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან (გადაჭიმულია 830 კმ-ზე) და მთავრდება შავი ზღვის სანაპიროზე სუფსის ტერმინალზე. საქართველოს ფარგლებში მილსადენის სიგრძეა 370 კმ. საწყისი სიმძლავრე წელიწადში 5 მლნ ტ.

ბუნებრივი აირით სარგებლობა საქართველომ 50-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო. 1958-63 წწ. გაიყვანეს 2 მაგისტრალური აირსადენი: ყარადაღი–აღსტაფა–თბილისი (აზერბაიჯანიდან) და ულადიკავკაზი–თბილისი (სტავროპოლის მხრიდან). გარკვეულ წლებში აირის მიღება ხდებოდა აგრეთვე ირანიდან (აზერბაიჯანის ხაზის მეშვეობით). სამგორის უბნებზე მოპოვებული აირის ტრანსპორტირებისათვის, რომელსაც თბილსრესი იყენებდა, 1977 წ. აიგო 36 კმ სიგრძის მაგისტრალური აირსადენი სამგორი–გარდაბანი. საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური

აირსადენებიდან განშტოებული ქსელით თითქმის ყველა რეგიონია დასერილი (ჩრდილო მაღალმთიანი ზონის გამოკლებით). დასავლეთით მილსადენი ძირითადად მთათაშორის ბარშია განლაგებული. კოლხეთის გადაკვეთით მილსადენი ზღვისპირა აჭარისა და აფხაზეთის მიმართულებით გრძელდება. ერთ-ერთი შტო სანავსადგურო ქალაქ ფოთში შედის. დასავლეთი ხაზის ცალკე განშტოება მიემართება ბორჯომ-ბაკურიანისაკენ. ცენტრალური მაგისტრალის აღმოსავლეთი მონაკვეთი კახეთის რეგიონს ამარაგებს. სამხრეთით მილსადენი სამცხისაკენ გრძელდება. ამავე მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით, ბუნებრივი აირი სომხეთის რესპუბლიკას მიეწოდება.

საქართველოს მაგისტრალური მილსადენი კავკასიონის გადმოკვეთისას გზად დიდ სირთულეებს ხვდება, რაც დაკავშირებულია ამ ტერიტორიის მთიან რელიეფსა და თავისებურ მკაცრ კლიმატურ პირობებთან. წვიმიან და თოვლიან პერიოდებში ხშირია ქვაცვენა, ღვარცოფები და თოვლის ზვავები, რის გამოც ზოგიერთ, მეტად რთულ მონაკვეთებზე აირსადენი გვირაბებშია მოქცეული (7 გვირაბი დარიალის ხეობაში, 2 კი – მლეთა-ფასანაურის მონაკვეთზეა აგებული).

1980 წ. მაგისტრალური აირსადენების სიგრძემ 1070 კმ შეადგინა, ხოლო აირის მოხმარებამ 4 მლრდ $მ^3$ გადააჭარბა. შემდგომში საქართველომ აირი მიიღო თურქმენეთიდანაც, ხოლო 1991 წ. დამთავრდა ახალი მძლავრი აირსადენის მშენებლობა ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისამდე, რომელიც შემდეგ სომხეთში მიემართება. ამდენად, საქართველომ აირის სატრანზიტო ფუნქციაც შეიძინა. მსოფლიო ბაზარზე კასპიის რეგიონის ენერგეტიკული რესურსების მიწოდების ერთ-ერთი გზა საქართველოს ტერიტორიის გავლითაც შეიძლება განხორციელდეს. ეს არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტი, რომლითაც ნავთობის მილსადენთან ერთად აშენდება აირსადენი და მოხდება თურქმენეთის აირის ტრანსპორტირება საერთაშორისო ბაზარზე. ნავთობისა და აირის გადაქაჩვა თურქეთის ნავსადგურ ჯეიჰანისაკენ ხელსაყრელია მრავალი ფაქტორის (ბუნებრივ-გეოგრაფიული, ტერიტორიული სიახლოვე, ეკოლოგიური და სხვ.) გამო. ამ მოსაზრებას იზიარებს მრავალი დაინტერესებული ქვეყანა და მხარს უჭერს აღნიშნული პროექტის განხორციელებას, რაც მნიშვნელოვანდ შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია „შაჰ დენიზის გაზსადენის პროექტი", რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს კასპიის ზღვის რეგიონიდან აირის მიწოდებას თურქეთის ბაზრისათვის. მილსადენი აზერბაიჯანიდან საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების გავლით თურქეთისაკენ, კერძოდ ერზრუმამდე გაგრძელდება. ამჟამად ეს მშენებლობები, რომლებიც 2005 წ. უნდა დამთავრდეს, საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებულია.

კავშირგაბმულობა

კავშირგაბმულობას უაღრესად დიდი როლი აკისრია დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში. მისი ისტორია XIX ს. დამდეგს იწყება, როცა კავკასიაში, ცარიზმის კოლონიალური მართვის და სამხედრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, საჭირო გახდა მუდმივი საფოსტო კავშირის დამყარება, როგორც რუსეთსა და საქართველოს, ასევე ამიერკავკასიის დასახლებულ პუნქტებს შორის. 1805 წ. თბილისში უკვე არსებობდა საფოსტო კანტორა. 1857 წ. დაიწყო ფოსტის ყოველკვირეული მოძრაობა თბილის-ოდესასა და თბილის-სევასტოპოლის მიმართულებით, ხოლო შემდეგ რეგულარული გახდა თბილისიდან საფოსტო ეტლების მიმოსვლა ქუთაისს, ზუგდიდს, ბორჯომსა და ერევანში. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიის ქალაქების: ვლადიკავკაზის, პიატიგორსკისა და სტავროპოლის გავლით შეუფერხებლად ვრცელდებოდა ფოსტა თბილისიდან მოსკოვსა და პეტერბურგში. 70-იანი წლებიდან, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ, საფოსტო კორესპონდენციები სამგზავრო მატარებელზე მიბმული საფოსტო ვაგონით გადაიზიდებოდა.

პირველი სატელეგრაფო კავშირი 1858 წ. თბილისსა და კოჯორს შორის დამყარდა. მალე თბილისი ტელეგრაფით ფოთს დაუკავშირდა. დაიწყო ხაზის მშენებლობა აგრეთვე რუსეთის მიმართულებით, რომელიც ჯერ დუშეთში შეიყვანეს, შემდეგ კი სამხედრო გზის გაყოლებით ვლადიკავკაზ-პიატიგორსკ-სტავროპოლამდე გაგრძელდა, რამაც თბილისი უშუალოდ პეტერბურგს დააკავშირა. 1864 წ. სატელეგრაფო კავშირი დამყარდა საქართველოს ქალაქებს შორის (თელავი, ახალციხე, გორი, სურამი, ქუთაისი), ასევე აზერბაიჯანის ქალაქებთან (ბაქო, ნუხა, შემახა). თბილისზე გადიოდა ევროპიდან ინდოეთში მიმავალი ე.წ. „ინდოევროპული ხაზი" (1870 წ.), რომელიც ლონდონში იწყებოდა და ოდესის, თბილისის, ერევნისა და ყარაჩის გაკლით ბომბეიში მთავრდებოდა.

სატელეფონო კავშირი თბილისში 120 აბონენტს შორის პირველად 1893 წ. დამყარდა. მისი ხაზების ქსელი ნელა ვითარდებოდა. XX ს. დასაწყისში დედაქალაქში მხოლოდ ერთი ათასნომრიანი სატელეფონო სადგური მოქმედებდა, რომელიც უმეტესწილად სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და საზოგადოების პრივილეგირებულ ფენებს ემსახურებოდა.

პირველი რადიოგადაცემა საქართველოში 1925 წ. განხორციელდა, რამაც მალე რეგულარული ხასიათი მიიღო. პირველი ტელეგადამცემი სადგური თბილისში

ექსპლუატაციაში შეიდა 1957 წ. 1960-იანი წლებიდან ქსელში ჩაერთო: გორი, ბოლნისი, წინანდალი, ცხინვალი, ახალგორი, გურჯაანი, თიანეთი. 1964 წ. დაემატა მძლავრი სადგურები – ბათუმი, სოხუმი და რადიოსარელეო ხაზი მოსკოვი-თბილისი. 1968 წლიდან რეგულარული გახდა ფერადი გადაცემები.

კავშირგაბმულობის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული და უძველესი სახეობაა საფოსტო კავშირი, რომლის ფუნქციაა გზავნილების მიღება-გადაგზავნა, პერიოდული პრესის მიწოდება მომხმარებლისათვის და პენსიების გაცემა. 1998 წ. ფოსტამ პერიოდული გამოცემების 3219 ათასი ეგზემპლარი გაატარა, ხოლო 2000 წ. გავრცელებულ იქნა 3,8 მლნ ცალი პერიოდული გამოცემა. თანამედროვე პირობებში ამანათების, გზავნილების რაოდენობა კატასტროფულად მცირდება: თუ 1997 წ. ფოსტით გაიგზავნა 1,5 ათასი ამანათი, ათი წლის წინ ეს მაჩვენებელი 2,5 მლნ-ს შეადგენდა.

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 1995 წ-დან დაიწყო კავშირგაბმულობის და ფოსტის დარგების რეორგანიზაცია. შეიქმნა „საქართველოს ელექტროკავშირი" და „საქართველოს ფოსტა", რომლებიც საქმიანობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავიანთი ფილიალებით ახორციელებენ. „საქართველოს ელექტროკავშირი" აწარმოებს მოძველებული ავტომატური სატელეფონო სადგურებისა და საკაბელო ქსელების რეკონსტრუქციას. „საქართველოს ფოსტა" ემსახურება მოსახლეობას, წარმოება-დაწესებულებებს და უზრუნველყოფს ყველა სახის გზავნილების დროულ ჩაბარებას.

კავშირგაბმულობის დარგში ამჟამად საქმიანობას ეწევა რამდენიმე კერძო კომპანია: საქალაქო და საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების – პეიჯინგური, ფიჭური, მონაცემთა გადაცემის, საკაბელო ტელევიზიის, რადიოს და სხვ. რამდენიმე წელიწადია ფუნქციონირებს პეიჯერის სამსახური. თბილისში 1994 წ. დაიდგა თანამგზავრული ანტენა საერთაშორისო სატელიტური სატელეფონო კავშირის დასამყარებლად, რის შემდეგაც საქართველო პირველად, მოსკოვის გვერდის ავლით, მსოფლიო ქსელში ჩაერთო. მსოფლიოსთან ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას აწარმოებს თბილისი, ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, გურჯაანი, თელავი, ახალციხე.

კავშირგაბმულობა, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველოს ყველაზე სიცოცხლისუნარიანი სამეურნეო დარგია, რომელმაც უცხოელი ინვესტორები მიიზიდა. განსაკუთრებით დიდი ძვრები განიცადა სატელეფონო მომსახურების სფერომ, სადაც საკაბელო სატელეფონო ქსელების მოდერნიზაციასთან ერთად, მოხდა მობილური სატელეფონო ქსელების სწრაფი გაფართოება. ძველი სატელეფონო მეურნეობა, რომელიც 1990 წ. 1101 სადგურს ითვლიდა, 1999 წ. თითქმის განახევრდა და 518 ერთეულს მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში ქსელში ჩართული ტელეფონის აპარატების რაოდენობა 705,5 (მათ შორის ბინის 517,6) ათასიდან 628,4 (485,2)

ათასამდე შემცირდა. სამაგიეროდ, სწრაფად იზრდებოდა ავტომატური კავშირებით განხორციელებული საუბრების რიცხვი, რომელმაც 1998 წ. 10,3 მლნ ერთეული შეადგინა, ხოლო საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საუბრების საერთო რაოდენობამ 2000 წ. 56,1 მლნ (მათ შორის საერთაშორისო საუბრები – 6,9 მლნ) ერთეულს მიაღწია. ქვეყნის სატელეფონო ქსელის აბონენტთა რაოდენობამ შეადგინა 671,0 ათასი, ხოლო ფიქსური კავშირის მომსახურებით სარგებლობს 185,5 ათასი ანუ ყოველი 25-ე მოქალაქე. დღეს საქართველოში კომპანიები: „მაგთიკომი", „ჯეოსელი", „მეგაკომი" თავის მომხმარებელს ფიქსური კავშირით მომსახურებას სთავაზობს. ფართოვდება საქართველოს ტერიტორიაზე მათი მომსახურების არეალიც.

ყოველგვარი ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის მეტად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ინტერნეტი, რომლის მეშვეობითაც მის მომხმარებლებს შეუძლიათ უახლესი ინფორმაციის მიღება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. საქართველოში საერთაშორისო ელექტრონული ქსელის მართვის რამდენიმე ცენტრი არსებობს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მისი ინსტიტუტები, ტექნიკური უნივერსიტეტი და სხვ.). მომავალში განსაზღვრულია ამ ქსელის გაფართოება საქართველოს რეგიონებშიც. გარდა ამისა, ევროპისა და ამერიკის სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე მიღწეულია შეთანხმება საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ელექტრონული ქსელების განვითარების შესახებ, რაც კავკასიის მთელი ტერიტორიის საკაბელო და ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფას გულისხმობს.

საქართველოს სახელმწიფო რადიომაუწყებლობას ახორციელებს „ცენტრალური რადიო" და „რადიო-2". 1999 წ. ქართულ რადიოში რადიოეთერი დაიკავა „გერმანულმა ტალღამ"; მანამდე ამუშავდა აგრეთვე რადიო „თავისუფლება". გარდა სახელმწიფო მაუწყებლობისა, არსებობს კერძო რადიოსადგურები: „რადიო ევრიკა", „რადიო აუდიენცია", „რადიო 105", „რადიო 106" და სხვ. დაშორებულ რეგიონებში ვრცელდება სახელმწიფო მაუწყებლობის გადაცემები. მთლიანად ქვეყანაში რადიოსატრანსლაციო წერტილების რაოდენობა მკვეთრად დაეცა – 742 ათასიდან (1990 წ.) 113 ათასამდე (1998 წ.).

საქართველოს ცენტრალური ტელევიზია გადაცემებს ახორციელებს I და II არხით. მაუწყებლობას აწარმოებს კერძო სატელევიზიო კომპანიები – „რუსთავი-2", რომელიც 1998 წლიდან პირველი თანამგზავრული არხი გახდა, „იმედი", „მზე", „მე-9 არხი", „იბერია TV", „კავკასია", „აჭარა" და სხვ.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე გაიცლის თანამედროვე ციფრული „ოპტიკურ-ბოჭკოვანი" კაბელის ტრასა, რომელიც მოიცავს ჩინეთსა და გერმანიას შორის 20 ქვეყანას და საქართველო მსოფლიო საკაბელო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდება.

შექმნილია აგრეთვე ფოთი-ვარნას წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზის პროექტი, რაც გულისხმობს განშტოებას ოდესისაკენ, შემდეგ კი მაგისტრალი გაგრძელდება მაინის ფრანკფურტამდე.

ამჟამად შავი ზღვის აუზის რეგიონში ტელეკომუნაკაციის მოქმედი, მშენებარე და პერსპექტიული პროექტებია: ფოთი–ქუთაისი-თბილისის და ფოთი–რიზეს მაგისტრალები, ბოჭკოვან-ოპტიკური მაგისტრალები თვით საქართველოს შიგნით და მეზობელ სახელმწიფოებთან, ასევე ნავთობსადენისა და აირსადენების (მაგ., ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის) გასწვრივ.

„ტრასეკას" საკონტინენტთაშორის სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამგზავრული კავშირების არსებობას. პროექტი ითვალისწინებს „დიდი აბრეშუმის გზის" სახელმწიფოთაშორისი კავშირგაბმულობის თანამგზავრული სისტემის შექმნას, რაც გულისხმობს სატელეკომუნიკაციო მაგისტრალის ამუშავებას დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მეშვეობით.

ევროპასა და ჩინეთს შორის ახალი საინფორმაციო სივრცე, რომელშიც საქართველოც მოიაზრება, პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი გახდება. ტელერადიო-მაუწყებლობის პროგრამების გაცვლა, ინტერნეტის, ტელემეტრული, ეკოლოგიური მონიტორინგის დამკვიდრება დააჩქარებს ინტეგრალურ პროცესებს, ხელს შეუწყობს ტურიზმის, ვაჭრობისა და ბიზნესის აღმავლობას.

მომსახურების სფერო

მომსახურების სფერო გამიზნულია მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მომსახურების ხასიათის მიხედვით გამოიყოფა: 1) დარგები, რომლებიც ემსახურება მოსახლეობის მატერიალურ მოთხოვნილებებს (ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, სამგზავრო ტრანსპორტი, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, კავშირგაბმულობა, სოციალური უზრუნველყოფა, კრედიტები და დაზღვევა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.); 2) დარგები, რომლებიც ემსახურება პიროვნების სულიერ მოთხოვნილებებს და ფიზიკურ განვითარებას (განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, საკურორტო-რეკრეაციული მომსახურება და სხვ.).

მომსახურებას, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებასა და ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, შრომის გამოყენების სფეროს მუდმივი გაფართოება ახასიათებს. საბჭოთა პერიოდის ბოლოსათვის საქართველოში ამ დარგებზე მთელი მომუშავე მოსახლეობის 32% მოდიოდა, დაახლოებით იმდენივე, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში მთლიანად. საქართველოს მაჩვენებელში თავს იჩენდა კარგად განვითარებულ საკურორტო-რეკრეაციულ მეურნეობაში დასაქმებულთა, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის მაღალი ხვედრითი წილი. თუმცა დასავლეთის განვითარებული ანუ პოსტინდუსტრიული ქვეყნებისათვის აღნიშნულ სფეროში დასაქმების ბევრად მაღალი (საშუალოდ 62%) დონეა დამახასიათებელი.

მომსახურების სფეროს „მრავალუწყებრიობა“ აძნელებს მის მართვას და კომპლექსურ განვითარებას. ეს პრობლემა კიდევ უფრო რთული გახდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა მიმდინარეობს საკანონმდებლო რეფორმები და საზოგადოების დემოკრატიზაციის მტკივნეული პროცესი. გარდამავალ პერიოდში მომსახურე სფეროს ანუ სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა დარგმა დიდი ცვლილებები განიცადა. ბევრი მათგანის თანამედროვე მდგომარეობა, ადრინდელ პერიოდთან შედარებით, გაუარესდა, ნაწილმა კი (მაგალითად, საინფორმაციო მომსახურებამ) განვითარების ძლიერი ბიძგი მიიღო.

თავისებური ბუნებრივი პირობებისა და განსახლების შესაბამისად, საქართველოში ჩამოყალიბებული იყო სოციალური ინფრასტრუქტურის გარკვეული იერარქია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, გარკვეულწილად, განაპირობა მომსახურების ერთიანი სისტემის რღვევა, არსებული მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული

კავშირების მოშლა. საგრძნობლად შესუსტდა ბარის მიერ მთიანი რეგიონების მიზიდულობა, რასაც, საბოლოოდ, მათი გარკვეული სოციალური გათიშვა მოჰყვა.

ეკონომიკის მკვეთრმა დაქვეითებამ, სამუშაო ადგილების შემცირებამ, მომსახურების დარგების დაწესებულებათა მტაცებლურმა პრივატიზაციამ გამოიწვია ის, რომ ბევრგან და, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, ყოველგვარი მომსახურება (ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, საყოფაცხოვრებო) ფაქტობრივად შეწყდა. ამის შედეგად, ბუნებრივია, შეიკვეცა მოსახურების სფეროს გეოგრაფია.

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები მეტნაკლებად სრული სახით წარმოდგენილია მთათაშორისი ბარის ცენტრებში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი, გორი, ზუგდიდი და სხვ.), სადაც, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს სერვისის თვისობრივი გაუმჯობესების პროცესი.

განათლება

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებიდან სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში განათლების რამდენიმე საფეხურიანი მწყობრი სისტემის არსებობა. კარგად ორგანიზებული განათლება ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური განვითარების საერთო დონის მაჩვენებელია. იგი მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, საშუალო სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს.

საქართველო – მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ქართველი ხალხის სულიერი ზრდის პროცესში სწავლა-განათლება მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ცნობილია, ჯერ კიდევ III ს-ში, დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა კოლხეთის უძველესი რიტორიკული სკოლა. ქრისტიანული კულტურის გავრცელებას, რომელთანაც ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებაა დაკავშირებული, თან სდევდა ეკლესია-მონასტრებთან სკოლების გახსნა. XI-XII სს-ში შეიქმნა მეცნიერების და განათლების ისეთი დიდი კერები, როგორიც იყო გელათის და იყალთოს აკადემიები, სადაც საქვეყნოდ ცნობილი სწავლულები და განმანათლებლები მოღვაწეობდნენ.

გვიანი ფეოდალური ხანის უმძიმეს პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების დაქვეითებამ დიდი გავლენა იქონია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე და მისი უკიდურესი დაკნინება გამოიწვია. ევროპული ყაიდის განათლება მოსახლეობაში მხოლოდ XIX ს-ში იკიდებს ფეხს; საქართველოში 150-მდე სასწავლებელი არსებობდა. მათ შორის აღსანიშნავია თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო, ფოთის ვაჟთა გიმნაზიები, გორის საოსტატო სემინარია და სხვ. შეიქმნა ი.გოგებაშვილის კლასიკური სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“,

რომლებზეც ქართველთა არაერთი თაობა აღიზარდა. 1879 წ. დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული სკოლების ამოქმედება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ვლადიკავკაზი, ნალჩიკი, ბაქო).

1914 წ. საქართველოში უკვე მოქმედებდა 1765 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც 157 ათასზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა. საშუალო განათლების სასწავლებლები მხოლოდ რამდენიმე ქალაქში არსებობდა. ქართველ მეცნიერთა დიდი დამსახურებაა 1917 წ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხოლო 1918 წ. თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, რომლებმაც ეროვნული კულტურის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა.

1930 წლიდან საქართველოში ძალაში შევიდა კანონი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ, ხოლო 70-იანი წლებიდან სავალდებულო გახდა საშუალო განათლება, რასაც ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალი ახალი სკოლის გახსნა უკავშირდება. 1990-91 სასწავლო წელს ქვეყანაში მოქმედებდა 3700-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 878,2 ათასი მოსწავლით.

დამოუკიდებელ საქართველოში შემორჩენილმა საბჭოურმა განათლების სისტემამ მოითხოვა ფუნდამენტური რეფორმის განხორციელება, სისტემის ყველა რგოლის შეცვლა, რამაც, თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენა მრავალი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა.

სკოლამდელი აღზრდა სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი სადღეისოდ ქვეყანაში მოიცავს 1,2 ათას დაწესებულებას, რომლებშიც აღსაზრდელთა რიცხვი 74,0 ათასს აღემატება. კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო სკოლამდელ დაწესებულებათა საერთო რიცხვი 1998 წლისათვის (1990 წელთან შედარებით) 46,3%-ით, პედაგოგების – 4,2-ჯერ შემცირდა, აღსაზრდელთა რაოდენობა კი განახევრდა. აღნიშნული გარემოება ძირითადად განაპირობა განათლებაზე სახელმწიფოს მიერ ფულადი სახსრების მკვეთრმა შემცირებამ; ბევრგან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა დიდი ნაწილი დაიხურა ან გაპარტახდა. საქართველოში ბავშვების ხვედრითი წილი, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო საბავშვო ბაღებში სწავლების პროცესი, მხოლოდ 42% შეადგენს, რაც სხვა, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ბევრად ნაკლებია. აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქად (35%) რამდენადმე მაღალია, ხოლო სოფლად 19%-ს არ აღემატება, ამჟამად ბავშვების უმრავლესობა შინ იზრდება. უკანასკნელ პერიოდში, ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში, ბევრი კერძო საბავშვო ბაღი გაჩნდა, რაც მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს.

საქართველოში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი 1999-2000 სასწავლო წლის მონაცემების მიხედვით მოიცავდა 3,2 ათას დღის სკოლას (მათგან

38 გიმნაზია და 25 ლიცეუმი), რომლებშიც ირიცხებოდა 714,4 ათასი მოსწავლე. მოსწავლეთა 41,9% ეუფლებოდა დაწყებით, 48,0% არასრულ საშუალო და 10,1% ზოგად საშუალო განათლებას, გარდა ამისა, მოქმედებდა 116 არასახელმწიფო (ფასიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. სასწავლებლების ქსელი ტერიტორიულ ასპექტში ნათლად ავლენს ბუნებრივი პირობების და განსახლების ხასიათის თავისებურებებს. სკოლების უმრავლესობა (86%) თავმოყრილია ქვეყნის ძირითადი განსახლების – ბარის ურბანიზებულ ზოლში (თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და სხვ.). საქართველოს ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიან ზონებზე მოდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხოლოდ 14%. წვრილი სოფლების უმრავ-ლესობას საშუალო სკოლები არ გააჩნია. ამ დასახლებათა სასწავლო კონტინგენტს მომსახურებას უწევს ახლოს მდებარე მსხვილი სოფლების შესაბამისი დაწესებუ-ლებები. უკანასკნელ ათწლეულში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა 12%-ით შემცირდა, ხოლო მოსწავლეთა საერთო ოდენობა კი – 18%-ით, რაც ძირითადად განპირობებულია მიგრაციული პროცესების გაძლიერებით.

ქვეყანაში არსებული სკოლების 23,7% დაწყებითია, 22% – არასრული საშუალო, რომელთა უმრავლესობა სოფლებშია განლაგებული. დაწყებითი სკოლების მოსწავლე კონტინგენტის საშუალო სიდიდე 22,6 ბავშვია, ხოლო მთიან რეგიონებში 5-10 მოსწავლიანი სკოლა ჩვეულებრივი მოვლენაა. ქალაქის მრავალი და სოფლის სკოლების 1/7 ორ ცვლად მუშაობს (მცირე რაოდენობა კი სამ ცვლად). მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა რეგიონებში, სადაც მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთა კონცენტრაცია.

სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გამოყოფილი სახსრების სიმწირის გამო არ ხერხდება სკოლების აღჭურვა აუცილებელი სასწავლო ინვენტარით და სხვადასხვა საშუალებებით. გაუარესდა სასწავლო პროცესის წარმართვის პირობებიც. დაიწყო ფუნქციონირება კერძო სკოლებმა, რომელთა უმრავლესობა სწავლის მაღალი საფასურით გამოირჩევა, თუმცა ისინი მოსწავლეებს უკეთეს პირობებს და მაღალ საგანმანათლებლო დონეს სთავაზობენ.

უმაღლესი განათლება მოიცავს სახელმწიფო და ახალი სახის „კომერციულ" უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს. თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი თავმოყრილია საქართველოს მსხვილ ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, ბათუმი, ახალციხე, თელავი და სხვ.), რომელთა მიზიდულობის არეალი ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

1999-2000 სასწავლო წელს უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებელების რაოდენობა შეადგენდა 24 (მათთან არსებული 8 ფილიალით) და 162 არასახელ-მწიფო, საერო (ფასიან) უმაღლეს სასწავლებელს. უმაღლეს სასწავლებლებში სულ 135 ათასი სტუდენტი ირიცხებოდა, მათგან 47,1% სახელმწიფო უმაღლესი

სასწავლებლის საბიუჯეტო სექტორზე, 24,7% – იმავე სწავლების ფასიან სექტორზე და 28,2% – არასახელმწიფო საერო (ფასიან) სასწავლებელში. კვალიფიციური კადრების მომზადებაში წამყვანია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; აღსანიშნავია აგრეთვე სამედიცინო, აგრარული, პედაგოგიური უნივერსიტეტები, ზოოვეტერინარული, თეატრალური ინსტიტუტები, სამხატვრო, ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიები და კონსერვატორია. უმაღლეს სასწავლებლებში (სახელმწიფო და ფასიანი სექტორი) სტუდენტთა რაოდენობიდან დღის განყოფილებაზე სწავლობდა 67,4%, საღამოს – 2%, ხოლო დაუსწრებელზე – 30,6%. უმაღლეს სასწავლებლებში უკანასკნელ წლებში, საბაზრო ეკონომიკის ინტერესების გათვალისწინებით, შემოიღეს ფასიანი სწავლება. გაჩნდა ახალი სპეციალობები – ბიზნესი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საზოგადოებრივი მართვა და სხვ.

უკანასკნელ ხანს თბილისის რიგ უმაღლეს სასწავლებელში დაინერგა დასავლეთის წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება. კერძოდ, სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტები გადასულია ორსაფეხურიან (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) სწავლებაზე. სასწავლო პროცესის ოპტიმალურ უზრუნველყოფას ემსახურება კომპიუტერული პარკები და ცენტრები, უნივერსიტეტები ჩართულია საინტერნეტო სისტემაში.

ცნობილია, რომ ეკონომიკურად რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია მასში საშუალო რგოლის კადრებზე მოთხოვნა. დღეს 85 სახელმწიფო და 58 არასახელმწიფო სასწავლებელში საშუალო სპეციალურ განათლებას ეუფლება 36,7 ათასი მოსწავლე. უმაღლესი სასწავლებლების არასახელმწიფო ქსელის სწრაფი განვითარების პირობებში, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მნიშვნელოვან ნაწილს, კონტინგენტის შენარჩუნების მიზნით, მოუხდა პროფილის შეცვლა. ისინი ამზადებენ სპეციალისტებს მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის. ყოველწლიურად უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი 30 ათასს აღემატება. საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პირობებში, როდესაც შრომის გამოყენების სფერო მეტად შეზღუდულია, სპეციალისტთა მასობრივი დასაქმება რეალურად შეუძლებელია. აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, განაპირობებს სპეციალისტთა დისკვალიფიკაციას, რადგან სპეციალისტი თანახმაა დასაქმდეს არა სპეციალობის მიხედვით, მეორე მხრივ, ნაწილი ცდილობს მოძებნოს სამუშაო ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მრავალი კურსდამთავრებული უმუშევარია, რაც ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

მეცნიერება

სახელმწიფო უმაღლესი განათლების სისტემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერების განვითარება. ჯერ კიდევ რევოლუციამდე საქართველო კავკასიის სამეცნიერო ცენტრი იყო. აქ მოქმედებდა რამდენიმე დამოუკიდებელი სამეცნიერო საზოგადოება და რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებათა განყოფილებები (საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, კავკასიის არქეოგრაფიული კომისია), კავკასიის მუზეუმი, პედაგოგიური მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები საქართველოში თბილისის უნივერსიტეტსა და ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებთან შეიქმნა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 1941 წ. ჩამოყალიბდა და შემდგომში ქვეყანაში მეცნიერების ძირითად ორგანიზატორად გადაიქცა. თავდაპირველად მასში 16 ნამდვილი წევრი და 337 მეცნიერ თანამშრომელი ირიცხებოდა. განელილი 60 წლის განმავლობაში მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა, რომელთა რაოდენობა სადღეისოდ (სამეცნიერო ცენტრების ჩათვლით) 55 აღწევს. საქართველოს მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი თავმოყრილია აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში უწყებრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროებში.

სამეცნიერო მუშაობა წარმოებს მეცნიერების ყველა ძირითად დარგში. XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში 155 სამეცნიერო დაწესებულება არსებობდა (მათ შორის ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებთან), 29,3 ათასი მეცნიერი მუშაკით.

ათეული წლების მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბდა სახელგანთქმული მეცნიერული სკოლები (მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, გეოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და სხვ.), რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. თბილისი წარმოადგენს სამეცნიერო კადრების მომზადების მსხვილ ცენტრს. მასში თავმოყრილია სამეცნიერო დაწესებულებათა უმრავლესობა. სხვა ცენტრებიდან საყურადღებოა ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, გორი, ზუგდიდი, თელავი.

ქვეყანაში განვითარებული კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მწვავედ აისახა მეცნიერების სფეროზე. სახელმწიფოს მიერ მეცნიერების განვითარებაზე გამოყოფილი ფულადი სახსრების მკვეთრ შემცირებას მოჰყვა რიგი სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომელთა კონტინგენტის შემცირება. 1999 წ. მონაცემებით, მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა არ აღემატება 17,2 ათასს (მათ შორის მეცნიერებათა დოქტორი 1,7 და მეცნიერებათა კანდიდატი 6,3 ათასი კაცი).

უკანასკნელ ათწლეულში ნათლად გამოკვეთილი ტენდენცია – მეცნიერების დარგების დაფინანსების წყაროების და სამუშაოთა მოცულობის მკვეთრი შეზღუდვა,

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების შეწყვეტა და „ტვინების გადინების" პროცესის გაძლიერება ქართული მეცნიერების კრიზისზე მიუთითებს.

ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთულმა პროცესმა სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი რგოლი – ჯანმრთელობის დაცვაც მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესმა, რომელიც მეტად მწვავედ მიმდინარეობს, მოსახლეობის ჯანმრთელობის თანამედროვე მდგომარეობასა და მის მომავალზე უარყოფითი გავლენა იქონია.

მედიცინას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. საექიმო ტრადიციებზე ცნობები გვხვდება მრავალ სამამულო და უცხოურ ისტორიულ წყაროში. ძველი დროიდან მონასტრებთან არსებობდა საავადმყოფოები. ქვეყანაში სამედიცინო საქმის მაღალი დონის დამადასტურებელია პირველი ქართული სამედიცინო ხელნაწერი „წიგნი საექიმო" და ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი".

მართალია, ჯერ კიდევ არ არსებობდა ორგანიზებული საექიმო საშსახური, შეძლებულ ოჯახებს ჰყავდათ საკუთარი ექიმები. სამედიცინო მომსახურებას ეწეოდნენ აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსული მკურნალები, მათ შორის კათოლიკე მისიონერები.

XVIII ს. თბილისში ფუნქციონირებდა სამედიცინო სკოლა, სადაც პედაგოგებად მოწვეულნი იყვნენ გამოჩენილი ექიმები რომიდან. ქართველ ხალხს უძველესი დროიდან საკუთარი ხალხური მედიცინა ჰქონდა. ცნობილია საგვარეულოები (ციციშვილები, თურმანიძეები, ასკურავები), რომლებიც საიდუმლოდ შენახულ რეცეპტებს მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ამ სამკურნალო დინასტიათა წარმომადგენლები დღესაც წარმატებით აგრძელებენ სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაიწყო სახელმწიფო სამედიცინო სამსახურის ჩამოყალიბება. XIX ს. დასაწყისში გაიხსნა პირველი სახელმწიფო სამედიცნო დაწესებულებები, სახაზინო აფთიაქები, დაიბეჭდა პირველი სამედიცინო წიგნი ქართულ ენაზე. 1868 წელს დედაქალაქში ამოქმედდა პირველი მსხვილი სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულება – „მიხეილის საავადმყოფო". თანდათან გაფართოვდა სამოქალაქო სამედიცინო სამსახური. ზოგიერთი საავადმყოფო აშენდა კერძო პირთა შეწირული თანხებით (მაგალითად, ძმები ზუბალაშვილების ბავშვთა საავადმყოფო, არამიანცის საავადმყოფო და სხვ.).

მომდეკნო პერიოდში თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში 45-მდე პატარა საავადმყოფო გაიხსნა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის შექმნას.

1930 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სამკურნალო ფაკულტეტის საფუძველზე შეიქმნა სამედიცინო ინსტიტუტი, გაიხსნა საშუალო მედპერსონალის მოსამზადებელი სასწავლებლები. დიდ ქალაქებში ფუნქციონირება დაიწყო მსხვილმა სამედიცინო დაწესებულებებმა მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. რაიონულ ცენტრებსა და სოფლების უმრავლესობაში გაჩნდა წვრილი სტაციონარული ჯანდაცვის კერები. სწრაფად იზრდებოდა პოლიკლინიკების, ხოლო მთიან რეგიონებში – საექიმო ამბულატორიების რიცხვი.

საბჭოთა პერიოდში განვითარდა ჯანდაცვის ძლიერი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავდა სამკურნალო, პროფილაქტიკურ და დიაგნოსტიკურ დაწესებულებათა ქსელს. მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპეციალიზაციის გაღრმავებას და სამედიცინო პროფილის ბევრი სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნას. ასეთი კლინიკური ცენტრები ამავე დროს კლინიკურ სამკურნალო დაწესებულებებსაც წარმოადგენდნენ, გააჩნდათ სტაციონარები. აღნიშნული სახის მომსახურებაში წამყვანი ადგილი თბილისს ეკავა. აქ მოქმედებდა ჯანმრთელობის დაცვის ოცამდე სპეციალიზებული ინსტიტუტი, სადაც მედიცინის რიგ დარგებში (ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, ონკოლოგია, ნევროლოგია, პედიატრია და სხვ.) ავადმყოფთა მკურნალობის პარალელურად წარმოებდა მუშაობა სხვადასხვა დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით.

1990 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 407 საავადმყოფო (58,7 ათასი ადგილით), საიდანაც, შესაბამისად, საავადმყოფოების 9% და საწოლების 29% დედაქალაქზე მოდიოდა. საქართველოს ყველა სამედიცნო დაწესებულებაში მუშაობდა ექიმების დიდი რაოდენობა – 32,5 ათასი ექიმი (ყოველ 10000 მცხოვრებზე – 59 ექიმი). ასეთი მაღალი მაჩვენებელი იმით იყო განპირობებული, რომ ექიმის სპეციალობა პრესტიჟულად ითვლებოდა და ამასთან, ექიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებული იყო საკურორტო მეურნეობაში. საქართველო გამოირჩეოდა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების სიმრავლით. შემდგომი ათწლეულის ჯანდაცვის ყველა ძირითადი მაჩვენებელი საგრძნობლადაა შემცირებული (ცხრ. 1).

ცხრილი 1

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა

მაჩვენებლები \ წლები	1970	1980	1990	1999
ექიმები (ათასი)	17.1	24.3	32,5	21,5
საშ. სამედიცინო პერსონალი (ათასი)	43.2	56,5	62.6	28.6
საავადმყოფოები	573	459	407	246
საავადმყოფო საწოლები (ათასი)	43.1	54.1	58.7	22,5

ამჟამად ჯანმრთელობის დაცვის სფეროს 167 ობიექტი პრივატიზაციას არ ექვემდებარება. მათი ძირითადი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი (სულ 113 დაწესებულება), რომელთა შორის 18 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია.

XX ს. 90-იან წლებში თბილისში შეიქმნა უახლესი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი რიგი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კერა – სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის წამყვანი დარგი, ძნელად ემორჩილება კარდინალურ რეფორმებს და აქ ცვლილებები მეტად რთულად მიმდინარეობს.

კულტურა

თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის და ისტორიული პირობების გამო საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში თვითმყოფადი და მსოფლიოში გამორჩეული კულტურა ჩამოყალიბდა. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა (უძველესი რელიგიური და საერო ლიტერატურა, ხალხური სიმღერები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, ფრესკები, ჭედური ხელოვნება და სხვ.) დიდ როლს ასრულებდა ქართველი მოსახლეობის ეროვნული მენტალიტეტის შენარჩუნებაში. დღევანდელ გარდამავალ პერიოდში, როდესაც საზოგადოება ტრანსფორმაციის რთულ პროცესშია და ყურადღების კონცენტრაცია ეკონომიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზეა გადატანილი, ეროვნული კულტურის შენარჩუნების საკითხს სახელმწიფოს მომავლის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი ენიჭება.

საქართველოს კულტურას (უძველესი ტრადიციების მქონე მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, კინო, არქიტექტურა, სპორტი და სხვ.) განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული დარგი 1999 წლის სტატისტიკური მონაცემებით, კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელია – 32 თეატრით, 98 სხვადასხვა პროფილის მუზეუმით, 1809 საკლუბო დაწესებულებით, 2251 მასობრივი ბიბლიოთეკით, ასობით კინოთეატრით და სხვ., თუმცა მათი რეალური არსებობა (თეატრების გარდა) საეჭვოა. ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ლიდერის როლს ასრულებს თბილისი, სადაც თავმოყრილია კულტურულ დაწესებულებათა უმრავლესობა – რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის დრამატული, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრები, სახელმწიფო ფილარმონია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და სამხატვრო გალერეა და სხვ. ქალაქი მდიდარი კულტურული ცხოვრებით გამოირჩევა. საქართველოს თეატრალურ

დადგმებს დიდი წარმატება აქვთ საზღვარგარეთის ქვეყნებში. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მსოფლიოში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა. საქართველოს ქალაქები და კურორტები – თბილისი, ბათუმი, თელავი, ბორჯომი, ბიჭვინთა და სხვ., საერთაშორისო მნიშვნელობის ბევრი კულტურული (მათ შორის სპორტული) ღონისძიების მასპინძლები არიან.

თბილისთან ერთად, ქვეყნის კულტურული ცხოვრების წამყვან ცენტრებად ბათუმი და ქუთაისი იქცნენ. ამ ქალაქებში დაარსდა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრები, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრები, ბალეტის სკოლები, ათეულობით მაღალი დონის მოზარდთა და ბავშვთა სტუდიები, სპორტული სკოლები და სხვ.

შიდა ვაჭრობა

საბჭოთა პერიოდში შიდა ვაჭრობა საქართველოში წარმოებული და შემოტანილი საქონლის განაწილების ფუნქციას ასრულებდა. იგი ძირითადად სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ქსელის, აგრეთვე საკოლმეურნეო სასურსათო ბაზრების საშუალებით ხორციელდებოდა. ფართო იყო საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელიც. პრივატიზაციის პერიოდი ქაოსური „სავაჭრო" ბუმით აღინიშნა. ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მსხვილ სოფლებში არსებული სავაჭრო ცენტრები და ინფრასტრუქტურის რიგი ობიექტები პრივატიზაციას დაექვემდებარა. 2000 წ. საცალო ვაჭრობაში კერძო სექტორზე მოდიოდა საერთო საქონელბრუნვის 99,6%, სახელმწიფოზე – 0,4%. მაშინ, როდესაც 1985 წ. სახელმწიფო სექტორის საქონელბრუნვის მოცულობა 68,0% შეადგენდა, კოოპერაციულისა – 28,0%, უმნიშვნელო იყო საკოლმეურნეო ვაჭრობის ხვედრითი წილი. სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების 90% კერძო სექტორის მფლობელობაში აღმოჩნდა. შეიქმნა წვრილ გადამყიდველთა ფენა, რომელთათვისაც ამგვარი „კომერცია" საარსებო წყაროდ იქცა. ეკონომიკურმა კრიზისმა, სამუშაო ადგილების შემცირებამ, გაუცემელმა პენსიებმა და ხელფასებმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რეალური შემოსავლის საგრძნობლად კლება და, შესაბამისად, მისი მყიდველობითი უნარის უკიდურესი დაცემა გამოიწვია.

2000 წ. საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ საქართველოში 1782030,9 ათასი ლარი შეადგინა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეს სიდიდე 387 ლარს შეადგენდა. მთათაშორის ბარში მკვეთრად გამოიკვეთა საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის მაღალი განვითარების „ხაზი" – თბილისი (899 ლარი), ქუთაისი (764), ფოთი (420), ბათუმი (1296), რაც სავსებით გამართლებულია მათი სატრანსპორტო მაგისტრალზე და მაღალურბანიზებულ არეალში მდებარეობის გამო.

ამასთან, ქალაქ ბათუმის განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელში თავს იჩენს მისი კარგად განვითარებული რეკრეაციული ფუნქცია, რაც ხელს უწყობს საკურორტო სეზონზე ჭარბი მოსახლეობის გაჩენას და სავაჭრო მომსახურების ზრდას.

ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი თბილისს უკავია. იგი ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. მასზე მოდის ქვეყნის საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 60%. ქალაქის სავაჭრო მიზიდულობის არეალი ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ვაჭრობამ სხვადასხვა სახით (საფირმო მაღაზიები, ბაზრობები, ფარდულები, ქუჩაში ვაჭრობა, დატარებითი ვაჭრობა) თანამედროვე ეტაპზე დედაქალაქის მნიშვნელოვანი სივრცე დაიკავა.

საქართველოს უკლებლივ ყველა მთიან რეგიონს, მეურნეობრივი ჩამორჩენილობის და მოსახლეობის სიღარიბის გამო, საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვის მეტად დაბალი სულადობრივი სიდიდე ახასიათებს; მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის მხარეს – 55 ლარი, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს – 90, სამცხე-ჯავახეთს – 74 ლარი და სხვ.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო ახალი საერთაშორისო საგარეო ურთიერთობების განვითარება. საქართველოდან გადიოდა ადგილობრივი პროდუქცია, განსაკუთრებით თურქეთში, რუსეთში; იმპორტში ჭარბობდა დეფიციტური, მაგრამ დაბალხარისხიანი ნაწარმი. საქონლის რეალიზაციას საკომისიო მაღაზიები აწარმოებდნენ, ხოლო შემდგომ, საქონლის დიდი ოდენობის გამო, საბითუმო ბაზრობები ჩამოყალიბდა. საქართველოში სადღეისოდ 212 ბაზრობა ფუნქციონირებს, რომლებზეც მოდის ვაჭრობის საქონელბრუნვის 60%-ზე მეტი. თბილისის 50 ბაზრობიდან უდიდესია ვაგზლის ბაზრობა, რომლის საქონელბრუნვა დედაქალაქის ვაჭრობის საქონელბრუნვის ნახევარს აღემატება. მოსახლეობის 80% ბაზრობების მომსახურებით კმაყოფილდება.

უკანასკნელ პერიოდში სავაჭრო ობიექტების განლაგებაში შეიმჩნევა პრესტიჟული ფირმების კუთვნილი სავაჭრო ობიექტების მსხვილი ქალაქების გარეუბნებში გატანის, ხოლო ქალაქების ცენტრალურ, ადვილად მისადგომ ნაწილში, მცირე სიდიდის კერძო მაღაზიების გახსნის ტენდენცია. მსხვილი სავაჭრო ფირმების (მაგალითად, „კოკა-კოლა", „ყაზბეგი" და სხვ.) მაღალხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაციას მრავალი მაღაზია ემსახურება. ვაჭრობის სფეროში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას საჭიროებს.

საბინაო-კომუნალური მეურნეობა

ქვეყნის ერთიანი მეურნეობრივი კომპლექსის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს მომსახურების სფეროს უმნიშვნელოვანესი დარგი – საბინაო-კომუნალური

მეურნეობა. მის ფუნქციონირებასა და განვითარების დონეზე ბევრადაა დამოკიდებული ისეთი ეკონომიკური პროცესების მართვა, როგორიცაა მოსახლეობის მიგრაციის რეგულირება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და სხვ. დიდია მისი როლი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის წინსვლასთან და მოსახლეობის ზრდასთან.

XX ს. შუა წლებამდე საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპები წინ უსწრებდა საბინაო ფონდის გაფართოებას. სოფლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა კაპიტალურად ნაგები სახლები, ქალაქის მცხოვრებლები საცხოვრებელი ფართობის დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ, დაბალი იყო მათი კეთილმოწყობის დონე. საბინაო მეურნეობის მნიშვნელოვანი ზრდა 60-იანი წლებიდან დაიწყო, რაც ძირითადად განპირობებული იყო საბინაო მეურნეობის სწრაფი განვითარებით როგორც სოფლად, ისე ქალაქად. განსაკუთრებით მკვეთრი იყო რიგი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, სოხუმი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, გორი) საცხოვრებელი ფონდის ზრდა სახელმწიფო ბინათმშენებლობის ფართოდ გაშლის შედეგად. ინტენსიურ განვითარებას ხელს უწყობდა საბინაო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება; სწრაფად ფართოვდებოდა საშენი მასალების წარმოება, მშენებლობაში დაინერგა ახალი ტექნიკა; სახლმშენებელი კომბინატების შექმნამ კი მშენებლობის პროცესი ინდუსტრიულ საფუძველზე გადაიყვანა. თავდაპირველად, როგორც მთლიანად ყოფილ საბჭოთა კავშირში, სახელმწიფო ბინათმშენებლობა ტიპიური პროექტების მიხედვით ხორციელდებოდა. არასახარბიელო დაგეგმარების, არქიტექტურულად უსახური შენობების, მცირეგაბარიტიანი და დაბალჭერიანი ბინების მიუხედავად, მასობრივი ბინათმშენებლობა საშუალებას იძლეოდა, ჯერ ერთი, გაუმჯობესებულიყო მრავალი ოჯახის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და, მეორეც, ახალი სამშენებლო მასალისა და კონსტრუქციების გამოყენებით შემცირებულიყო მშენებლობის ღირებულება. შენდებოდა უმთავრესად 4 და 5, შემდგომში კი 8-სართულიანი სახლები. საბინაო პრობლემების სიმწვავის შემცირებასთან დაკავშირებით, 70-80-იან წლებში შესაძლებელი გახდა ქალაქებში სახელმწიფო ბინათმშენებლობის წარმართვა ახალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პროექტებისა და ბინების უფრო სრულყოფილი, კომფორტული დაგეგმარების მიხედვით. აიგო ბევრი მრავალსართულიანი სახლი, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთო სასარგებლო ფართობი. გარდა ამისა, მოსახლეობის სახსრებით აშენდა მრავალსართულიანი კოოპერატიული სახლები. ამ მხრივ განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა დედაქალაქი. 1985 წ. თბილისზე მოდიოდა ქალაქების საბინაო ფონდის 36%. პატარა ქალაქებში ჭარბობდა ინდივიდუალური, ორსართულიანი სახლები.

სასოფლო დასახლებებში ინტენსიურად ვითარდებოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, რომლის ზრდის ტემპი, 80-იანი წლებიდან, შემცირდა. თითქმის

მთლიანად განახლდა საცხოვრებელი შენობები, აშენდა კაპიტალური ერთ- და ორსართულიანი სახლები. შეიძლება ითქვას: მოსახლეობის დიდმა ნაწილმა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა საბინაო პირობები. 1990 წ. ბოლოსათვის საქართველოს მთელი საცხოვრებელი ფართობის 26,5% სახელმწიფოს ეკუთვნოდა, 4,1% – საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებსა და ორგანიზაციებს, 69,4% მოქალაქეთა პირად საკუთრებაში ითვლებოდა.

90-იანი წლების დამდეგს ცნობილი პოლიტიკური ცვლილებებისა და რიგი სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების შედეგად ბინათმშენებლობა (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) საგრძნობლად შემცირდა; თუ 1986-90 წწ. ყოველწლიურად საშუალოდ 1533 ათასი მ² საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები შედიოდა ექსპლუატაციაში, 1991-96 წწ. აღნიშნული მაჩვენებელი 3,6-ჯერ შემცირდა. 1990-96 წწ. მთლიანად საბინაო ფონდის საერთო ფართობი 5,4%-ით შემცირდა (ცხრ. 2). გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1991-93 წწ-დან ქვეყნის საბინაო ფონდის მაჩვენებლებიდან გამოითიშა ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი.

ცხრილი 2

საქართველოს საბინაო ფონდი (1990-96 წწ.)

წლები	საერთო ფართობი (ათასი მ²)			საშუალოდ 1 მცხოვრებზე მთლიანი საბინაო ფონდი (მ²)		
	სულ	საქალაქო დასახლებები	სოფლები	სულ	საქალაქო დასახლებები	სოფლები
1990	101824,0	50117,0	51707,0	18,8	16,6	21,6
1996	96336,5	49390,3	46946,2	20,0	18,4	22,0

90-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის პრივატიზაციის შედეგად, 1997 წლისთვის ქვეყნის მთელი საბინაო ფონდის 76,2% მოქალაქეთა პირად საკუთრებაში გადავიდა.

90-იან წლებში სახელმწიფო ბინათმშენებლობა მკვეთრად შემცირდა. მოქალაქეთათვის განკუთვნილი რიგი საცხოვრებელი სახლები ნახევრად აშენებული დარჩა. ამის შედეგად ბევრი ოჯახი იძულებული გახდა დაუმთავრებელ შენობებში შესახლებულიყო და საკუთარი შესაძლებლობებით შეექმნა საცხოვრებელი პირობები. ამასთან, მოძველებული და მნიშვნელოვნად ამორტიზებულია 60-70-იან წლებში აშენებული საცხოვრებელი ფონდი. ეს განსაკუთრებით ეხება თბილისს. უხარისხო მშენებლობას თან ერთვის მიწისქვეშა წყლების დონის აწევა, რის შედეგადაც ზიანდება და ინგრევა შენობები. მომავალში, როგორც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სახელმწიფო ბინათმშენებლობა შემცირდება, ხოლო ახლად აშენებული ბინების დიდი ნაწილი გაიყიდება.

საბინაო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის შედეგად, მართალია, ბევრად გაუმჯობესდა მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, მაგრამ კომუნალური მომსახურების დონე მსოფლიოს დაწინაურებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალია. უკვე 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი ელექტრიფიცირებული იყო. ქალაქებში საბინაო ფონდის 85% უზრუნველყოფილი იყო წყალგაყვანილობით და კანალიზაციით, 60% – ცენტრალური გათბობით, 40% – ცხელი წყალმომარაგებით, 88% გაზით, ხოლო 8-10% კეთილმოწყობილი იყო ელექტროქურებით. საბინაო ფონდის კეთილმოწყობის შედარებით მაღალი დონით გამოირჩეოდნენ დიდი ქალაქები, ხოლო პატარა და საშუალო სიდიდის ქალაქები კომუნალური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სასურველ საშუალო დონესაც კი ჩამორჩებოდნენ.

90-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალმა პირობებმა, კომუნალური მომსახურების ზოგიერთი სისტემის მწყობრიდან გამოსვლამ და ენერგოკრიზისმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრების მძიმე პირობებში ჩააყენა. გაუქმდა გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა. საკუთარი კომფორტის შექმნა მოსახლეობას მატერიალური შესაძლებლობების შესაბამისად თვითონ უხდება. ამ მიზნით გამოიყენება ენერგოგენერატორები, თხევადი აირის ბალონები, წყლის გამაცხელებლები, ნავთი, შეშა და სხვ.

სოფლის მცხოვრებლები უმთავრესად მოკლებულნი არიან სხვადასხვა სახის კომფორტს. ამჟამად მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ენერგეტიკული წყარო შეშა, ნავთი, ბუნებრივი და თხევადი აირია. კომუნალური მეურნეობის საერთო დონით საქართველოს სოფლები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქალაქებს.

მომავალში, საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, კომუნალური მეურნეობის განვითარებაში გარკვეული როლი უნდა შეასრულონ ენერგიის ისეთმა არატრადიციულმა წყაროებმა, როგორიცაა მზის, ქარის ენერგია და თერმული წყლები. ამ ალტერნატიული რესურსების გამოყენებას ადგილობრივი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით რეგიონული და ადმინისტრაციული ცენტრების კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს მათი სოციალური და დემოგრაფიული მიზიდულობის გაზრდას. ეს კი დიდ როლს შეასრულებს დედაქალაქის შემდგომი ჰიპერტროფიული განვითარების შეფერხებაში.

საყოფაცხოვრებო მომსახურება

სოციალურ ინფრასტრუქტურაში თავისი მრავალგვარობით გამოირჩევა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება (ბინების, საოჯახო ნივთების,

სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება, ტანსაცმლისა და უფხსაცმლის ინდივიდუალური კერვა, ჰიგიენის დაწესებულებებით სარგებლობა და სხვ.), რომელიც საზოგადოების ყოფითი პირობების გაუმჯობესებისა და განვითარებისაკენ არის მიმართული.

90-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა საყოფაცხოვრებო მომსახურებაც მოიცვა. მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების მოცულობა. ამასთან, მომსახურების უმთავრესი ნაწილი კერძო სექტორში მოექცა, რომლის წილად ამჟამად გაწეული სამსახურის მოცულობის 70%-ზე მეტი მოდის და მისი სწრაფი ზრდის ტენდენცია ნათლადაა გამოხატული.

ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთმა ტრადიციულმა სახემ (ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვა და სხვ.) ნაწილობრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა; სამაგიეროდ, თანამედროვე სერვისის განვითარების ხარჯზე, მომსახურების ახალი სახეობების რაოდენობა იზრდება. ასევე იმატა მომსახურების იმ სახეობათა ხვედრითმა წილმა, რომლებიც თავის ფუნქციას უშუალოდ მომხმარებლის საცხოვრებელ ადგილზე ასრულებენ.

ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა მოსახლეობის საკმაო ოდენობის საყოფაცხოვრებო სამსახურში სტიქიური ჩაბმა გამოიწვია. მომსახურების სფერომი (ბინების შეკეთება, ელექტროხელსაწყოების დამონტაჟება და შეკეთება, სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და სხვ.) მრავალი სხვა დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი დასაქმდა. თუმცა, 1998 წ. მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული საერთო ფასიანი მომსახურების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (13%) მოდის საყოფაცხოვრებო მომსახურების წილად.

საკმაოდ თავისებურია დარგის განლაგების სურათი, რაზეც წარმოდგენას გვაძლევს საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწეულ სამუშაოთა რეალიზაციის მოცულობა. ამ თვალსაზრისით, ქვეყანაში გამორჩეული ადგილი თბილისს უკავია, რომელზედაც ქვეყანაში გაწეული მთელი მომსახურების 76,6% მოდის.

აღნიშნული დარგი ყველაზე უკეთ წარმოდგენილია იმერეთის რეგიონში (11,7%), რომლის შემადგენლობაშიცაა სამრეწველო ცენტრები: ქუთაისი, ზესტაფონი, ჭიათურა, კურორტი წყალტუბო და ა.შ. თითქმის ერთნაირი მაჩვენებლით (1,7%) გამოირჩევიან გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და კახეთის მხარეები. საკმაოდ დაბალია საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე რეგიონებში, რომელთა ტერიტორიის უმეტესობა მაღალმთიანია და ბართან კავშირი ხანგრძლივი ზამთრის მანძილზე გაწყვეტილია (სამცხე-ჯავახეთის (0,7%), ქვემო ქართლის (1,1%), მცხეთა-მთიანეთის (0,1%).

აღნიშნული გარემოება რიგი მიზეზითაა განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია მთიდან მოსახლეობის მიგრაცია, რამაც მკვეთრად შეამცირა ახალგაზრდობის,

როგორც ძირითადი მომხმარებლის რაოდენობა. სადღეისოდ საქართველოს მთის მოსახლეობა ყოველგვარი საყოფაცხოვრებო მომსახურების გარეშეა დარჩენილი.

რამდენადმე განსხვავებულ ხასიათს ატარებს დარგის მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მთელი მოცულობის უდიდესი ნაწილი ბათუმსა (91,3%) და ქობულეთზე (6,0%) მოდის, რაზეც ხალხმრავლობის მაღალ დონესთან ერთად გაკლენას ახდენს მათი კარგად განვითარებული რეკრეაციული ფუნქცია. აგრეთვე ისიც, რომ ბათუმი რეგიონული ცენტრია და მოსახლეობა სარგებლობს აქ განლაგებული საწარმოთა მომსახურებით. ქობულეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეს გარკვეულწილად ზღვისპირეთის საკურორტო-ტურისტული მეურნეობა განსაზღვრავს. აფხაზეთის კურორტების დროებითი გამოთიშვის შედეგად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რეკრეაციულ მომსახურებას სწორედ აჭარის კურორტებზე ღებულობს.

ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობა

დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ რთულად გადადის საბაზრო ურთიერთობებზე. ტურიზმი და რეკრეაცია კი ძალზე მგრძნობიარეა ყოველგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებისადმი. აღნიშნულ სფეროებში ნეგატიური მიმართულებით უმნიშვნელო გადახრებსაც კი მყისიერი რეაქცია მოსდევს — ტურისტული ნაკადების შემცირება და, შედეგად, სავალუტო შემოსავლების კლება. შეიძლება ითქვას, ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციულმა მეურნეობამ ურთულესი პერიოდი უკვე გაიარა და ახლა აღორძინებას განიცდის, რაც, სამწუხაროდ, ძალზე ნელა მიმდინარეობს.

კარგად ორგანიზებულ ტურისტულ ინდუსტრიას შემოსავლების გარდა, სხვა ბევრი სიკეთის მოტანაც შეუძლია: იგი ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების ზრდას როგორც უშუალოდ ტურისტულ, ისე მის მომიჯნავე დარგებში. მას, როგორც რეგიონული განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას, შეუძლია შეაფერხოს მოსახლეობის მიგრაცია (ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთის იმ დასახლებული პუნქტების გაუკაცრიელების თვალსაზრისით, რომლის მიდამოებში ზამთრის დასვენების სახეობების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია); მდგრადი განვითარების შემთხვევაში ტურიზმი უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოსა და ისტორიულ-კულტურულ ღირებულებათა დაცვას; ქვეყანას დადებით იმიჯს შეუქმნის ინვესტიციების მოსაზიდად; არსებითად შეუწყობს ხელს ხალხთა დაახლოებასა და კულტურული კავშირების განმტკიცებას.

ცნებებს — „ტურიზმი" და „რეკრეაცია" ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა: თუ ტურიზმი გულისხმობს რეკრეაციული (დასვენება, მკურნალობა, გართობა, შემეცნება და სხვ.) და პროფესიული ქმედებების განხორციელებას მუდმივი საცხოვრებლიდან მოშორებით, ე.ი. ამ შემთხვევაში მოგზაურობა აუცილებელი პირობაა, რეკრეაციის დროს იგივე ქმედებები გადაადგილების გარეშე ტარდება — ადამიანისათვის ჩვეულ გარემოში. ამ ორი ცნების დამთხვევა ხდება მაშინ, როდესაც ტურისტი მოგზაურობს დასვენების მიზნით. ჩვეულებრივ, ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება დიდ ქალაქებში და კურორტებზე. ოფიციალურად საქართველოში 102 კურორტი (იხ. დანართი) და 182 საკურორტო ადგილია ცნობილი.

კურორტი ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მქონე ტერიტორიაა, სადაც არსებობს მკურნალობისა და დასვენებისათვის აუცილებელი შენობა-

ნაგებობები და ინფრასტრუქტურა. საკურორტო ადგილი კი მდიდარია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით, მაგრამ არ გააჩნია დამსვენებლების მომსახურებისათვის საჭირო დაწესებულებები.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

ნებისმიერი ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობისათვის აუცილებელია სათანადო პირობების ანუ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (ტრრ) არსებობა. საქართველოს ტრრ-ის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული ფასეულობანი იმის საშუალებას იძლევა, რომ განვავითაროთ რეკრეაციის როგორც საზაფხულო, ისე ზამთრის სახეობები. ქვეყნის ტრრ-ს გააჩნიათ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები, ესთეტური და შემეცნებით-გასართობი ღირებულებანი და წარმატებით შეიძლება მათი გამოყენება გართობის, ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის.

ტრრ ორ ჯგუფად იყოფა: ბუნებრივი ანუ თავისთავად არსებული და ანთროპოგენური ანუ ადამიანის მიერ შექმნილი რესურსები.

ბუნებრივი ტრრ-ის ჯგუფში გამოიყოფა კლიმატური, ბალნეოლოგიური, ზღვის, თოვლ-მყინვარების, სპელეოლოგიური, შიდა წყლების, ტყის და ა.შ. რესურსები.

ჰავის პირობებიდან გამომდინარე, ი.კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული სამედიცინო-კლიმატური დარაიონების მიხედვით საქართველოში გამოყოფილია შემდეგი ზონები: დაბლობის (სიმაღლე 500 მ-ზე ნაკლებია), დაბალმთიანი (500-1000 მ), საშუალომთიანი ზონის ქვედა (1000-1500 მ) და ზედა სარტყლების (1500-2000 მ) საკურორტო და მაღალმთიანი (2000 მ ზევით) არასაკურორტო, თუმცა, ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი ზონა (საქართველოს სსრ კურორტები ..., 1987). მკურნალობა-დასვენებისათვის ყველაზე ხელსაყრელი კლიმატური პირობებია დაბალ- და საშუალომთიან საკურორტო ზონებში, სადაც განლაგებულია პოპულარული კლიმატური კურორტები ბაკურიანი, ქვიშხეთი, რიწა, ბახმარო, ბეშუმი, ლიბანი, ცემი, პატარა ცემი, ასევე თბილისის საგარეუბნო დასასვენებელი ადგილები – წყნეთი, წავკისი, კიკეთი, კოჯორი, სიონი, მანგლისი, ოქროყანა და სხვ. სულ საქართველოში 43 კლიმატური კურორტია.

ბალნეოლოგიურ რესურსებს წარმოადგენს როგორც სხვადასხვა შედგენილობის, მინერალიზაციისა და ტემპერატურის მქონე წყლები, ისე სამკურნალო ტალახები. სწორედ ამ რესურსების ბაზაზე შეიქმნა დაავადებათა ფართო სპექტრის პირველი სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტები. საქართველოში გამოვლენილია 2 ათასზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა საერთო დღეღამური დებიტი 130 მლნ

ლიტრს აღემატება. მინერალური წყლების სიუხვით გამოირჩევა ყაზბეგის, წყალტუბოს, ჯავის, ბორჯომის რაიონები. ჩვენში არსებული 102 კურორტიდან 59-ის ფუნქციონირება მეტნაკლებად დაკავშირებულია სამკურნალო წყლებთან, მათგან 28 მხოლოდ ბალნეოლოგიურია, 31 კი შერეული: 17 – ბალნეოკლიმატური და 14 – კლიმატობალნეოლოგიური. ცნობილი ბალნეოკურორტებია მენჯი, ნაბელლავი, ჯავა, საირმე, ნუნისი, სქური, წყალტუბო, ცაიში, ხოლო შერეული ტიპის კურორტებიდან პოპულარულია ბორჯომი, აბასთუმანი, ზვარე, ავადჰარა, ახალდაბა, ვარძია, კვერეთი, ლებარდე, უწერა, ფასანაური, შოვი და სხვ.

მინერალური წყლების გარდა, საქართველოში სამკურნალო ტალახებიცაა. აღსანიშნავია გომბორის ქედის მთისწინეთის ტალახის სოპკები, მაგრამ ისინი ნაკლებად შესწავლილია და მხოლოდ ეპიზოდურად გამოიყენება. ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ ორი ტალახსამკურნალო კურორტი – ახტალა და კუმისი.

ზღვის სანაპირო მეტად მიმზიდველი ტრრ-ია მთელ მსოფლიოში. საქართველოში მისი სიგრძე 300 კმ აღემატება. ჩვენს სანაპიროზე დასვენებისათვის ხელსაყრელია წელიწადში, სულ მცირე, 130-134 დღე, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი ბალტიისპირეთში 60-90, ყირიმში კი – 120 დღეა (Корнилова, 1979). ჩვენი სანაპიროს მთელ სიგრძეზე საკმაო სიგანის შერეული ქვიშიან-ხრეშიანი პლაჟებია. ამას ემატება მიმდებარე ტერიტორიების ლანდშაფტების მაღალი ესთეტური ღირებულება. ზღვისპირა კურორტების უმეტესობა განლაგებულია აფხაზეთისა (ლესელიძე, განთიადი, გაგრა, ბიჭვინთა, ოქროს ნაპირი, მიუსერა, გუდაუთა, ახალი ათონი, ეშერა, გუმისთა, სოხუმი, ბესლეთი, გულრიფში, აგუძერა, კინდღი, ოჩამჩირე) და აჭარის (ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი) სანაპიროებზე. ზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ჭარბტენიანი ტერიტორიები ხელს უშლის ამ მონაკვეთზე დასვენების განვითარებას, რის გამოც აქ მხოლოდ რამდენიმე კურორტი ფუნქციონირებს (ანაკლია, მალთაყვა, გრიგოლეთი, ურეკი). ურეკში ასევე მნიშვნელოვან ბუნებრივ-რეკრეაციულ რესურსად გვევლინება მაგნეტიტური ქვიშები. ისინი შეიცავენ 4%-მდე მაგნეტიტსა და ტიტანო-მაგნეტიტს, რაც მუდმივი მაგნიტური ველის არსებობის გამო დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ბავშვთა ორგანიზმზე (Элизбарашвили ..., 1980).

XX ს-ის მეორე ნახევრიდან მთელ მსოფლიოში გაძლიერდა დასვენებისა და სპორტის ზამთრის სახეობებით გატაცება. მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული პერიოდის (3 თვე და მეტი) განმაელობაში მდგრადი თოვლის საფარის (30 სმ და მეტი) და რელიეფის ხელშემწყობი პირობების (ფერდობების გარკვეული სიგრძე და დახრილობა) არსებობა. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოში ყველაზე ხელსაყრელი პირობებია სვანეთში, თუშეთში, აბასთუმნის, ბაკურიანის, გუდაურის, ბახმაროს მიდამოებში. მათგან ზამთრის სპორტული კომპლექსები ჯერჯერობით მხოლოდ ბაკურიანსა და გუდაურშია.

საქართველოს დასავლეთი ნაწილი მდიდარია სპელეორესურსებით. ჩვენში შესწავლილია 200 კმ საერთო სიგრძის 1000-ზე მეტი კარსტული სიღრუე (Таташидзе, 1976). მათგან თავის დროზე პოპულარობით გამოირჩეოდა სათაფლიისა და ახალი ათონის მღვიმეები, რომლებსაც ყოველწლიურად შესაბამისად 84,5 და 635 ათასი ტურისტი ათვალიერებდა. ცოტა მოგვიანებით აღმოჩენილ წყალტუბოს ულამაზეს მღვიმეში დაწყებული კეთილმოწყობის სამუშაოები, ცნობილი მოვლენების გამო, სამწუხაროდ, შეჩერებულია. აღნიშნული მღვიმეები ძირითადად ტურისტულ მოთხოვნებს ემსახურება, სამკურნალოდ კი გამოიყენებოდა „თეთრა" წყალტუბოს მიდამოებში. სპელეოთერაპიისათვის ასევე რეკომენდებულია ქვემო ქვილიშორის, სოლკოტას, საწურბლიის (წყალტუბოს რ-ნი), აქუის, ჭაღის (გუდაუთის რ-ნი), შრომისა და გუმას (სოხუმის რ-ნი) მღვიმეები.

შიდა წყლებიდან საქართველოში რეკრეაციული მიზნებისათვის აქტიურად გამოსაყენებელია მდინარეები შავი ზღვის შესართავის სიახლოვეს, ასევე მტკვარი, არაგვი, ალაზანი; რიწის, პალიასტომის, ბაზალეთის, ტაბაწყურის, კახისის, კუსა და ლისის ტბები და თბილისისა და სიონის წყალსაცავები.

ქვეყანაში ტყეების საერთო ფართობი 2,7 მლნ ჰა-ია. მათი ფართობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა გაგრის, ბორჯომის, ადიგენის, ბაღდათის, ხარაგაულის, ქედის, შუახევის, სოხუმის, ხელვაჩაურის, ამბროლაურის, ქობულეთის, წალენჯიხის, ცაგერისა და ტყიბულის რაიონები. ბოლო წლებში შეიქმნა ეროვნული პარკები (ბორჯომი-ხარაგაულის, კოლხეთის), რომლებიც, გარემოს დაცვასთან ერთად, რეკრეაციულ ფუნქციასაც შეასრულებენ. ჩვენი ბუნება მდიდარია ფრინველებითა და ცხოველებით, რომლებიც ტურიზმის მდგრადი განვითარების პირობებში, ხელს შეუწყობენ სამონადირეო ტურიზმის გარკვეული სახეობების შექმნას.

ასევე მდიდარია საქართველო ბუნებრივ-ესთეტური რესურსებით (ჩანჩქერები, კანიონისებრი ხეობები, მწვერვალები, უღელტეხილები, მყინვარები და სხვ.), რომლებიც ნებისმიერ რაიონში გვხვდება.

საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა და ჩვენი კულტურისადმი ინტერესი საუკუნეების მანძილზე იგრძნობოდა. ამის დასტურია თუნდაც ლეგენდა „ოქროს საწმისის" შესახებ.

ქართული კულტურულ-ისტორიული ტრრ სხვადასხვა ქვეყნის ტურისტებისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო მდებარეობს ევროპისა და აზიის შესაყარზე, სადაც საუკუნეების განმავლობაში მოხდა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების შერწყმა და მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბება. ამასთან, იბერია ერთ-ერთი პირველი სამეფოთაგანი იყო, რომელმაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარა.

აღნიშნული მოვლენების მოშსრეა ქვეყნის არსებობის ათასწლეულების მანძილზე შექმნილი უამრავი ისტორიული ძეგლი – ბოლნისის სიონი და ანჩისხატი, ჯვარი და სვეტიცხოველი, სამთავრო და ნიკორწმინდა, სამთავისი და ქვათახევი, ალავერდი და ყინწვისი, გელათი და ბაგრატი, გურჯაანის ყველაწმინდა და გერგეტის სამება, შიო მღვიმე და უფლისციხე, ყარძია და დავით გარეჯი, გორისა და ქსნის ციხეები, ალ.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა (წინანდალში) და ლადიანების სასახლის (ზუგდიდში) შესანიშნავი პარკები, სვანეთისა და ხევსურეთის კოლორიტული დასახლებები (შატილი და უშგული), მთიან რაიონებში არსებული კომკები და საკულტო ნაგებობები, თბილისისა და სიღნაღის ძველი უბნები, თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშები, სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის სრულიად განსხვავებული ყოფა, ტრადიციები, ეროვნული საქმიანობა და მრავალი სხვა. ადამიანის მიერ შექმნილი ყველა ეს ღირსშესანიშნავი ობიექტი და ადათ-ჩვეულება ტურისტისათვის საყურადღებო ანთროპოგენურ ტრრ-ს წარმოადგენს. ისინი ძირითადად ეშსახურება ადამიანის ინტელექტის ამაღლებას, ცოდნის გაღრმავებას, გართობას, დასვენებას და უცხოელი ტურისტების მოზიდვას. საქართველოში დაფიქსირებულია 12 ათასზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი. მაგრამ მათი რესტავრაციის აუცილებლობის, ამ ობიექტებამდე მისასვლელი გზების არარსებობის ან ცუდი მდგომარეობის გამო, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გამოყენება შეიძლება. მათ შორის აღსანიშნავია თბილისის, მცხეთის, ქუთაისის, გორის, ბორჯომის შემოგარენთა, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ზღვისპირეთის ისტორიული ძეგლები, აგრეთვე დასახლებული პუნქტების და სამკურნალო ადგილების სიახლოვეს არსებული ღირსშესანიშნაობები.

ანთროპოგენურ ტრრ-ს მიეკუთვნება აგრეთვე გამოჩენილი ადამიანების სახლ-მუზეუმები, ორიგინალური არქიტექტურის მქონე სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, თეატრები, მუზეუმები, სპორტული კომპლექსები, ბოტანიკური ბაღები, ზოოლოგიური და თემატური პარკები, მრეწველობისა და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სპეციფიური ობიექტები (ღვინის ქარხნები და სარდაფები, ჩაის ფაბრიკები, ყენახები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები და სხვ.), საინტერესო კონსტრუქციის ჰიდროელექტროსადგურები და ა.შ.

ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება

საქართველოში დასვენებასა და სხვადასხვა დაავადებების მკურნალობას უძველესი ტრადიცია აქვს – ბორჯომში აღმოჩენილი ქვისაგან გამოკვეთილი აბაზანების ნაშთები I საუკუნით თარიღდება, წყალტუბოს რადონული წყლების სამკურნალო თვისებები კი უკვე XII ს-ში იყო ცნობილი. დიდი ისტორიკოსი და

გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მოგვითხრობს აგარაკების, სამკურნალო წყაროების, საზაფხულო სასახლეების, „სამკურნალო-სასუნებელი მიწების", ტყეების, სანადირო და სათევზაო ადგილების შესახებ (ვახუშტი, 1997)[1].

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, რეკრეაციული რესურსებით ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა. შემდეგ კი მათი მომხმარებლები ძირითადად რუსეთიდან ჩამოსული პრივილეგიური ფენების წარმომადგენლები იყვნენ. XIX ს-ის I ნახევრიდან ჩვენში უკვე იქმნებოდა კურორტები – თავდაპირველად ვითარდებოდა ბალნეოკლიმატური (ბორჯომი, აბასთუმანი), საუკუნის დამლევიდან კი – ზღვისპირა კურორტების ქსელი ჟფხაზეთსა (გაგრა, გულრიფში) და აჭარაში (ქობულეთი, ციხისძირი), რომლებიც ძირითადად კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდათ. XIX-XX სს. მიჯნაზე პოპულარული საკურორტო ადგილები – ბორჯომი და აბასთუმანი შეფის საგვარეულოს (რომანოვების), გაგრა – პრინც ოლდენბურგის. წყალტუბო – აზნაურ იოსელიანების საკუთრება, ხოლო კოჯორი – კავკასიაში მეფისნაცვლის გრაფ მ.ვორონცოვის საზაფხულო რეზიდენცია იყო; ახალ ათონს კი სასულიერო უწყება განაგებდა; ფართო მასებისათვის კურორტები მიუწვდომელი რჩებოდა.

XIX ს. ბოლოდან ვითარდება ტურიზმიც, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სამხედრო გზამ და მისი საშუალებით განხორციელებულმა პირველმა ორგანიზებულმა ლაშქრობებმა.

რევოლუციამდე საქართველოში 6 სანატორიუმი (ადგილების საერთო რაოდენობა – 376) ფუნქციონირებდა. 1939 წლისათვის სანატორიუმების რაოდენობა 71-მდე გაიზარდა, დასასვენებელი სახლების რიცხვმა კი 60-ს მიაღწია. მათ ერთდროულად 14,2 ათასი ადამიანისათვის შეეძლოთ ემასპინძლათ. საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ტურიზმმა და რეკრეაციამ მასობრივი ხასიათი 1950-იანი წლებიდან შეიძინა. ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ახალი ობიექტების მშენებლობის ხარჯზე ყოველწლიურად ფართოვდებოდა.

უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის ქვეყანაში 500 ტურისტულ-რეკრეაციული დაწესებულება (საერთო ტევადობით 120 ათასი საწოლი) ფუნქციონირებდა. აქედან, 25% მოდიოდა სამკურნალო დაწესებულებებზე (სანატორიუმები და სამკურნალო პანსიონატები), 54% – დასასვენებელ სახლებსა და ბაზებზე, პიონერთა ბანაკებზე, ხოლო 21% – ტურისტულ ობიექტებზე (Природные ресурсы..., 1991). იმ დროს ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებით საქართველო სსრკ-ში მესამე

---

[1] ვახუშტის გამარტებით, „სასუნებელ მიწას" "ადის სული ფერად ძნელი არამედ პკურნებს ქარსა, სევდასა და ცრიალას სულებისა"

(რუსეთისა და უკრაინის შემდეგ), ხოლო ფართობის ერთეულზე და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით პირველ ადგილზე იყო. წელიწადის განმავლობაში ქვეყანაში საგზურით და არაორგანიზებულად დაახლოებით 4,5 მლნ ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდიოდა.

1990-იანი წლების დასაწყისისათვის განვითარებულმა მოვლენებმა თავდაპირველად შეაფერხა ტურისტების ჩამოსვლა, 1995 წლიდან კი კვლავ დაიწყო მათი თანდათან მატება. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში 2000 წ. შემოვიდა 387,3 ათასი კაცი, რაც 5 წლის წინანდელ მაჩვენებელზე 4-ჯერ მეტია, თუმცა გაცილებით (თითქმის 10-ჯერ) ნაკლებია 80-იან წლების მაჩვენებელზე. ჩამოსულთაგან 43% საზღვარგარეთიდან იყო, 57% – დსთ-ს ქვეყნებიდან. იმავე წელს საქართველოდან გავიდა 315 ათასი კაცი; ბოლო 5 წლის მანძილზე, 1999 წ. შემოსულთა რაოდენობამ, პირველად გადააჭარბა გასულთა რიცხვს (ნახ.1).

ნახ.1

ტურისტების მოძრაობის დინამიკა



ბოლო წლებში საქართველოში უმეტესად ბიზნესტურისტები ჩამოდიან; ჩამოსულთა 70%-ზე მეტის სტუმრობის მოტივაცია საქმიანი და პროფესიული მიზეზია. 1998 წ. ჩვენში არსებულ სასტუმროებში მცხოვრებ ტურისტებს შორის (დაახლოებით 62 ათ. კაცი) სამკურნალოდ ჩამოსული იყო უმნიშვნელო ნაწილი, საქმიანი მიზნით კი – 56 ათასზე მეტი (წელიწდეული, 2000). შედარებისათვის: მსოფლიო მასშტაბით ბიზნესტურიზმის განვითარება 1960-იანი წლებიდან დაიწყო და ამჟამად მისი ხვედრითი წილი ტურისტების საერთო ოდენობაში 18%-მდეა.

უძველესი დროიდან საქართველოზე რამდენიმე საერთაშორისო სავაჭრო გზა გადიოდა: „დიდი აბრეშუმის გზა", „გზა ინდოეთში", „ცხვრის გზა"*. მოგზაურებს ემსახურებოდა საქარავნო გზების გასწვრივ ერთი დღის სავალის ინტერვალით განლაგებული გასაჩერებელი ადგილები – ფუნდუკები. XVII ს-დან ჩნდება უფრო მოხერხებული ნაგებობები – ქარვასლები. XVIII ს-ის 50-იან წლებში თბილისში 13 დიდი ქარვასლა იყო. 1872 წ. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანით ქარვასლების ეპოქა დასრულდა და დაიწყო სასტუმროების ერა. საბჭოთა პერიოდში მსგავს ფუნქციას ასრულებდა ტურბაზები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები.

სასტუმროების მშენებლობა XX ს. დასაწყისიდან გაძლიერდა. 1940 წლისათვის საქართველოში იყო 43 სასტუმრო (2,9 ათასი საწოლით), 1989 წ. – 76 (7,9 ათასი საწოლით). 1999 წ. 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში უკვე 212 სასტუმროა რეგისტრირებული 8,9 ათასი ნომრით და 178 ათასი საწოლით. ამ სასტუმროების 74% კერძო მფლობელობაშია და მათი უმრავლესობა მცირე (რამდენიმე ნომრიანი) ტევადობისაა (წელიწდეული, 2000).

1999 წ. საქართველოს სასტუმროები 74,3 ათას სტუმარს მოემსახურა, რომელთაგან 31% უცხოელი, 12% – დსთ წევრი ქვეყნის და 57% – საქართველოს მოქალაქე იყო. სასტუმროებში მცხოვრებ უცხოელ ტურისტებს შორის ჭარბობდნენ რუსები (21%), თურქები (16%), ამერიკელები (12%), ბრიტანელები (11%), გერმანელები (7%), იაპონელები და აზერბაიჯანელები (3,5-3,5%).

ამჟამად ჩვენში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების უმეტესობა დაკავებულია იძულებით ადგილნაცვალ პირთა მიერ ან გამოსულია მწყობრიდან; საუკეთესო შემთხვევაში კი, საჭიროებს რეკონსტრუქციას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სასტუმროების გარდა „მასპინძლობა" იკისრა კერძო ბინების ანუ „სტუმრის სახლების" განვითარებადმა ქსელმა, რომელიც საქართველოში ჩამოსული ტურისტების გარკვეულ რაოდენობას ემსახურება.

ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობა შრომატევადი დარგი და მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი სფეროა. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ მეურნეობაში საშუალოდ 30 ათასამდე კაცი იყო დასაქმებული, მ.შ. 20 ათასამდე – საკურორტო დაწესებულებებში, ხოლო 10 ათასამდე – ტურისტულ ობიექტებზე. ამ სფეროში დასაქმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბორჯომ-ბაკურიანის და გაგრა-ბიჭვინთის საკურორტო ზონებისათვის, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი პირდაპირი თუ არა-პირდაპირი გზით დამსვენებლებისა და ტურისტების სეზონური მომსახურებით იყო

---

* „ცხვრის გზა" – პერეთს ტაო–კლარჯეთთან აკავშირებდა და ამ გზით საქონელი გადაჰყავდათ თრიალეთ-ჯავახეთ-კარის (ყარსის) ზაფხულის საძოვრებზე.

დაკავებული. ამჟამად ტურისტული და საკურორტო დაწესებულებების მომსახურებაში 12 ათასზე მეტი ადამიანია ჩაბმული, მათ შორის 6,6 ათასი საკურორტო მომსახურებაში და 6,3 ათასი – ტურისტულ ობიექტებზე. მათი ძირითადი ნაწილი სასტუმროების, კემპინგების, მოტელების და ა.შ. მომსახურე პერსონალით არის წარმოდგენილი.

80-იან წლებში საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები სხვადასხვა უწყებებს (ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, ადგილობრივი კურორტების სამმართველო, პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო, საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი", სხვადასხვა სამინისტროებისა და საწარმოების დაქვემდებარებაში მყოფი საკურორტო დაწესებულებანი, სასტუმროების სამმართველო) ექვემდებარებოდა. გარდამავალ პერიოდში განხორციელდა ტურისტულ-რეკრეაციული დაწესებულებების პრივატიზაცია. შეიქმნა ერთიანი სამთავრობო ორგანო – საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქცია არის დარგის განვითარების პოლიტიკის გატარება. ქვეყანაში მოქმედებს ამ პროფილის მრავალი სააქციო საზოგადოება, ცალკეული ასოციაცია, კერძო ტურისტული ფირმა.

პირველი ტურისტული ფირმები საქართველოში 1988 წ-დან ჩამოყალიბდა და 1998 წლისთვის მათმა რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა. დღეისათვის რეალურად მათი უმნიშვნელო ნაწილი მუშაობს. ტურისტული ფირმების უმეტესობა თბილისშია თავმოყრილი. ისინი ძირითადად გასვლით ტურიზმზეა ორიენტირებული და ჭარბობს შოფ-ტურების სპეციალიზაცია. ამასთან, რომელიმე ქვეყნის სასაქონლო ბაზრით დაინტერესებიდან გამომდინარე, გასვლითი ტურები საკმაოდ ცვლადი გეოგრაფიით ხასიათდება. სახელმწიფოს ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია შემოსვლითი ტურიზმი, რომელზეც, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ფირმა მუშაობს.

საქართველოში ტრანსპორტის თითქმის ყველა ტრადიციული სახეობაა განვითარებული. ჩვენთან ჩამოსვლა შეიძლება როგორც რკინიგზით, ისე საავტომობილო ტრანსპორტით, გემით და თვითმფრინავით. ამდენად, ქვეყანა დედამიწის ბევრი წერტილიდან ადვილად მისადგომია. უკანასკნელ ხანებში ცოტა გართულებულია საქართველოში სახმელეთო ტრანსპორტით შემოსვლა (განსაკუთრებით რკინიგზით, მისი ჩრდილო-დასავლეთი ტოტის უმოქმედობის გამო). ამიტომ, დღეისათვის ძირითადი ტურისტული დატვირთვა საჰაერო ტრანსპორტზე მოდის.

ტურისტულ-რეკრეაციული რაიონები

ქვეყნის ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონების მცდელობა 1960-იანი წლებიდან იღებს სათავეს. რაიონის გამოყოფის მთავარი მოთხოვნები იყო: ა) ტერიტორიის სპეციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა

ყოფილიყო საკურორტო-ტურისტული მეურნეობა; ბ) მატერიალური წარმოების დარგები მნიშვნელოვანწილად დამსვენებლებსა და ტურისტებს მომსახურებოდა; გ) მომუშავე მოსახლეობის დიდი ნაწილი საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაში ან მომსახურე დარგებში ყოფილიყო ჩაბმული. თავდაპირველად გამოიყო 7 საკურორტო-ტურისტული (რეკრეაციული) რაიონი – აფხაზეთის, აჭარის, კოლხეთის, შოვი-უწერის, ბორჯომ-ბაკურიანის, თბილისის და აღმოსავლეთ კავკასიონის. პერსპექტივაში შესაძლებლად იყო მიჩნეული კახეთის, სვანეთის და ცენტრალური შავიზღვისპირა რეკრეაციული რაიონების ჩამოყალიბება. მოგვიანებით, იმის გამო, რომ რაჭაში შოვისა და უწერის გარდა ტურიზმი ონსა და მიმდებარე სოფლებშიც იყო განვითარებული, „შოვი-უწერის" რეკრეაციული რაიონის სახელწოდება შეიცვალა „ზემო რაჭით", ხოლო „ბორჯომ-ბაკურიანის" რაიონთან აბასთუმნისა და სამცხის საკურორტო-ტურისტული ცენტრების გათვალისწინებით, „ბორჯომ-აბასთუმნის" რეკრეაციული რაიონი ეწოდა (კობახიძე, 1971).

1980-იან წლებში 11 ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი არსებობდა: აფხაზეთის, აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, ბორჯომ-ბაკურიანის, კოლხეთის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამხრეთ ოსეთის, აღმოსავლეთ კავკასიონის, თბილისისა და კახეთის (საქართველოს სსრ კურორტები..., 1989). 90-იანი წლების დასაწყისისათვის კი უკვე 12 საკურორტო-რეკრეაციული რაიონი დაფიქსირდა: აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, აღმოსავლეთ კავკასიონის, ცენტრალური შავიზღვისპირა, რაჭის, ბორჯომ-სურამის, კახეთის, სამაჩაბლოს, მესხეთ-ჯავახეთის, სვანეთისა და ქუთაისის (Природные ресурсы, 1991).

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არსებული 500 ტურისტულ-რეკრეაციული დაწესებულებიდან 276 – დასავლეთ, ხოლო 224 – აღმოსავლეთ საქართველოში ფუნქციონირებდა. ტურიზმისა და რეკრეაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით პირველი იყო აფხაზეთი, რომელზეც მოდიოდა საქართველოს მთელი სასაწოლო ფონდის 33,1%, შემდეგ იყო თბილისის (16,6), ბორჯომ-სურამის (12,9%), აჭარის (11,2%) და ქუთაისის (9,6%) ტურისტულ-რეკრეაციული რაიონები. გაცილებით ნაკლები მაჩვენებლები ჰქონდათ ცენტრალურ შავიზღვისპირა (5,4%), კახეთის (2,7%), აღმოსავლეთ კავკასიონის (2,6%), რაჭის და სამაჩაბლოს (1,6%) და სვანეთის (0,8%) რაიონებს. მათ შორის ტრრ-ს გამოყენების ყველაზე მაღალი კოეფიციენტები ახასიათებდა ბორჯომ-სურამის, თბილისის, ქუთაისის, აჭარის და აფხაზეთის ტერიტორიებს, სადაც მაჩვენებლები 18-დან 28%-მდე მერყეობდა. ათვისების ყველაზე დაბალი დონე კი მთიან რაიონებში აღინიშნებოდა – 4-დან 9%-მდე. ქვეყანაში ტრრ-ს გამოყენება საშუალოდ 15%-ის ფარგლებში იყო (Природные ресурсы, 1991). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაკლებად ათვისებულ ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებს შორის აღმოჩნდა

რესურსებით მდიდარი, მაგრამ ეკონომიკურად ჯერჯერობით სუსტი რაჭა, მესხეთ-ჯავახეთი, სამაჩაბლო, სვანეთი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანას მეურნეობის ამ დარგის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

განვითარების თავისებურებანი

საბჭოურ პერიოდში საქართველოში ჩამოსული ტურისტები ძირითადად კმაყოფილდებოდნენ მასპინძლების მიერ შეთავაზებული ბუნებრივი და ანთროპოგენური რეკრეაციული ობიექტებით. უცხოელი ტურისტების უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი თავისუფალი დროის ნაკლებ დატვირთულობა და კერძოდ, ღამის ცხოვრების არარსებობა იყო. დღესდღეობით ჩამოსულ სტუმრებს ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებთ, ვინაიდან გაიხსნა შესაფერისი დაწესებულებები (სამორინეები, რესტორნები, კაფეები, ბარები, ღამის კლუბები). მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და ადამიანთა დაუცველობა ჩვენს ქვეყანაში ჩამომსვლელთა რიცხვს ზღუდავს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად იცვლება ტრრ-ის გამოყენების ორიენტირები. ადრე საქართველოში ძირითადად განვითარებული იყო სამკურნალო, დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და შემეცნებითი ტურიზმი. ამ კატეგორიის ტურისტები სარგებლობდნენ შავიზღვისპირეთის, საშუალომთიანეთის ბუნებრივი სიმდიდრეებით, მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობებით და ფასეულობებით. დღესდღეობით, მთელს მსოფლიოში სწრაფად იზრდება საკონფერენციო, საკონგრესო და საავაჭრო ბაზრობების ტურიზმი, რომელიც ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის ერთ-ერთი ხარვეზის – სეზონურობის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი გზაა. საქართველო უკვე მონაწილეობს ასეთ ღონისძიებებში – 1998 წ. ნოემბერში თბილისში ჩატარდა „დიდი აბრეშუმის გზასთან" დაკავშირებული III საერთაშორისო სხდომა; 1999 წლიდან – რამდენიმე საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა; იმართება მთელი რიგი საერთაშორისო შეხვედრები. ტურიზმის ამ სახეობათა სპეციფიკის გამო სასურველია, სტუმრებს შეეთავაზოთ მრავალფეროვანი ეგზოტიკური, ალპინისტური და სამონადირეო ტურები, ბუნების მოყვარულთ – სხვადასხვა სახის ეკოტურები და საოჯახო დასვენება, მწვავე შეგრძნებათა მოყვარულთ – ნაკლებად შესწავლილ კარსტულ მღვიმეებში ჩაშვება, რაფტინგი და თევზაობა მაღალმთიან მდინარეებზე; აგრეთვე, ტურისტებისათვის უცნობი სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ადგილობრივი ტრადიციების, თაკისებური განსახლების ფორმების, საცხოვრებელი სახლების, ფოლკლორის, ხალხური რეწვის, სპეციფიური სამზარეულოს გაცნობა და ა.შ.

საქართველოს კურორტები

№	კურორტის დასახელება	ადმინისტრაციული რ-ნი	სიმაღლე ზ.დ.-ან	კურორტის ტიპი
1	2	3	4	5
1.	აბასთუმანი	ადიგენის	1340	კბ
2.	აგუსერა	გულრიფშის	8	კ
3.	აკადარა	გუდაუთის	1600	კბ
4.	ამაღლება	ვანის	80	ბ
5.	ანაკლია	ზუგდიდის	3	კ
6.	არხილოს-ქალაქი	დედოფლისწყაროს	700	კ
7.	ასპინძა	-	1090	ბ
8.	ახალდაბა	ბორჯომის	760	კბ
9.	ახალი ათონი	გუდაუთის	50	კ
10.	ახალციხე	-	1000	ბ
11.	ახტალა	გურჯაანის	412	ბ
12.	ბათუმი	-	3	კ
13.	ბაკურიანი	ბორჯომის	1700	კ
14.	ბახმარო	ჩოხატაურის	2000	კ
15.	ბაღიათა	ჯავის	1200	ბ
16.	ბესლეთი	სოხუმის	120	ბკ
17.	ბეშუმი	ხულოს	1900	კ
18.	ბიისი	გორის	1080	კბ
19.	ბიჭვინთა	გაგრის	7	კ
20.	ბორჯომი	-	800	ბკ
21.	ბუგეული	ამბროლაურის	560	ბკ
22.	გაგრა	-	7-50	კბ
23.	განთიადი	გაგრის	40	კ
24.	გომისმთა	ოზურგეთის	1900	კ
25.	გორიჯვარი	გორის	600	ბკ
26.	გორმაღალა	სამტრედიის	200	ბ
27.	გრიგოლეთი	ლანჩხუთის	3	კ
28.	გუდაუთა	-	25	კ
29.	გულრიფში	-	40	კ
30.	გუმისთა	სოხუმის	10	კ
31.	ეშერა	სოხუმის	30	კ
32.	ვაკას-წყარო	დუშეთის	1100	ბკ
33.	ვარძია	ასპინძის	1300	ბკ
34.	ზეკარი	ბაღდათის	650	ბკ
35.	ზვარე	ხარაგაულის	700	ბკ
36.	თბილისის ბალნ. კურ.	-	420	ბ
37.	თეთრი წყლები	თელავის	1200	კბ
38	თორღვას აბანო	თელავის	1750	ბკ
39.	კეერეთი	საჩხერის	570	ბკ
40.	კიკეთი	გარდაბნის	1200	კ
41.	კინდღი	ორამჩირის	40	კბ
42.	კოდიბინი	ჯავის	1120	ბ
43.	კოჯორი	გარდაბნის	1350	კ
44.	კუშისი	გარდაბნის	500	ბ
45.	კურსები	ტყიბულის	350	ბკ
46.	ლაგოდეხი	-	435	ბ
47.	ლაშიჭალა	ცაგერის	800	ბკ
48.	ლებარდე	მარტვილის	1600	კბ

1	2	3	4	5
49.	ლეონელიძე	გაგრის	6	კ
50.	ლიბანი	ბორჯომის	1370	კ
51.	მალთაყვა	ფოთი	3	კ
52.	მანგლისი	თეთრიწყაროს	1200	კ
53.	მახინჯაური	ხელვაჩაურის	15	კ
54.	მენჯი	სენაკის	29	ბ
55.	მიუსერა	გუდაუთის	100	კ
56.	მუაში	ლენტეხის	1300	ბკ
57.	მწვანე კონცხი	ხელვაჩაურის	90	კ
58.	ნაბეღლავი	ჩოხატაურის	470	ბ
59.	ნაგუთნი	ყორნისის	970	ბ
60.	ნასაკირალი	ოზურგეთის	105	ბ
61.	ნოქალაქევი	სენაკის	150	ბ
62.	ნუნისი	ხარაგაულის	920	ბ
63.	ოქროს ნაპირი	გუდაუთის	10	კ
64.	ოქროყანა	გარდაბნის	760	კ
65.	ოჩამჩირე	-	5	კ
66.	პატარა ცემი	ბორჯომის	1370	კ
67.	რიწა	გუდაუთის	950	კ
68.	საირმე	ბაღდათის	950	ბ
69.	სამტრედია	-	25	ბ
70.	სიმონეთი	ოერჯოლის	360	ბ
71.	სიონი	თიანეთის	1000	კ
72.	სორტუანი	ონის	788	კბ
73.	სოხუმი	-	5-140	კ
74.	სულორი	ვანის	250	ბ
75.	სურამი	ხაშურის	740	კ

1	2	3	4	5
76	სქური	წალენჯიხის	480	ბ
77.	ტბა	ბორჯომის	1100	კ
78.	ტყვარჩელი	ოჩამჩირის	350	ბ
79.	ურეკი	ოზურგეთის	4	კ
80.	უწერა	ონის	1050	ბკ
81.	უჯარმა	საგარეჯოს	770	ბკ
82.	ფასანაური	დუშეთის	1050	კბ
83.	ქვიშხეთი	ხაშურის	730	კბ
84.	ქობულეთი	-	5	კ
85.	ყაზბეგი	-	1740	კბ
86.	ყანჩაეთი	ახალგორის	1000	ბკ
87.	ყვარელი	-	450	ბ
88.	შოვი	ონის	1520	კბ
89.	ჩითახევი	ბორჯომის	950	კ
90.	ცაიში	ზუგდიდის	50	ბ
91.	ცემი	ბორჯომის	1120	კ
92.	ცოცი-კოდა	საგარეჯოს	1550	კ
93.	ციხისძირი	ქობულეთის	20-40	კ
94.	ციხისჯვარი	ბორჯომის	1640	კ
95.	წაკისი	გარდაბნის	900	კ
96.	წალენჯიხა	ბორჯომის	1030	ბკ
97.	წოლორეთი	მცხეთის	800	კ
98.	წყალტუბო	-	120	ბ
99.	წყნეთი	თბილისი	950	კ
100.	ხიდიკარი	ამბროლაურის	680	ბ
101.	ხოლე	ასპის	720	ბ
102.	ჯავა	-	1125	ბ

ასევე შესაძლებელია რელიგიური ტურიზმის განვითარება – უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ საქართველოში მართლმადიდებლობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შეიქმნა მრავალი შესანიშნაი საკულტო ნაგებობა. მეორე მხრივ, ქართველი ხალხის შემწყნარებლობა ხელს უწყობდა ქვეყანაში განსხვავებული რელიგიების წარმომადგენელთა მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამის საუკეთესო დასტურია თბილისის ერთ-ერთ უბანში მცირე მონაკვეთზე მართლმადიდებლური და გრიგორიანული ეკლესიების, მეჩეთისა და სინაგოგის თანაარსებობა, მათ შორიახლოს ასევე ფუნქციონირებს კათოლიკური ეკლესია. ამასთან, იზრდება „ნოსტალგიური" ტურიზმის მოთხოვნილება ისრაელში საქართველოდან ჩასულ მოსახლეობაში, რომელთაც სურთ თაკისი მეორე სამშობლოს და წინაპართა საფლავების მონახულება.

ადამიანების ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ბუნებასთან. მისი განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი ლანდშაფტების სისუფთავე და ხელშეუხებლობა. საქართველოს ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მთებს უკავიათ, ამიტომ მათი ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ძალზე მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა. ტურიზმის მდგრადი განვითარება არის პროცესი, რომლის დროსაც არ ზიანდება გარემო – განვითარება გულისხმობს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების დაცვას და შენარჩუნებას და არა არსებული პოტენციალის ამოწურვას. ასეთი განვითარება საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობების მოთხოვნები დასვენებასა და გაჯანსაღებაზე; ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური მდგრადობა.

დღეისათვის საქართველოში უამრავი პრობლემაა, რომელთა გადაუჭრელობა აფერხებს მისი ეკონომიკის და, კერძოდ, ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის განვითარებას. ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალის მხოლოდ არსებობა საკმარისი არ არის. ქვეყანაში ცხოვრების ყველა სფეროში (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ) სტაბილურობის დამყარებისა და განმტკიცების შემდეგ ტურისტული ინდუსტრიის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისათვის აუცილებელია: ა) ტურიზმის განვითარების კონცეფციის შემუშავება და პრიორიტეტული ტურისტულ-რეკრეაციული სახეობების დადგენა; ბ) ტურიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სრული საკანონმდებლო ბაზის შექმნა; გ) ინვესტიციების მოზიდვა; დ) ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ხელახალი შეფასება; ე) არსებული სატრანსპორტო კომუნიკაციების რეკონსტრუქცია, ზოგ შემთხვევაში კი – ახლის აგება; ვ) კეთილმოწყობილი სასტუმროებისა და განთავსების სხვა დროებითი საშუალებების

ქსელის შექმნა; ზ) საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს გასაცნობად ფართო სარეკლამო საქმიანობის წარმართვა; ი) ტურისტული ფირმებისა და სააგენტოების (განსაკუთრებით შემოსელით ტურიზმზე მომუშავეთა) საქმიანობის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა; ი) ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება; კ) საქართველოში ჩამომსვლელთათვის სასაზღვრო ფორმალობების გამარტივება; ლ) ტურიზმისათვის საჭირო კადრების (დაბალი და საშუალო რგოლების) მომზადება-გადამზადების ცენტრების დაფუძნება; მ) სპეციალიზებული ტურისტულ-რეკრეაციული უმაღლესი სასწავლებლის შექმნა და სხვ.

საგარეო-ეკონომიკური კავშირები

XX ს. ბოლო მეოთხედის მსოფლიო მეურნეობა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტენსიური განვითარებით გამოირჩევა. ეკონომიკური ურთიერთობები მყარდება ცალკეულ ქვეყნებს, ქვეყნების ჯგუფებსა და რეგიონულ-ეკონომიკურ დაჯგუფებებს შორის. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა არის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობებს შორის შექმნილი სამეურნეო კავშირების სისტემა, დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულ დანაწილებაზე.

საქართველოს განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება-გაღრმავებაზე. სწორედ ამ გზით ხდება ჩართვა მსოფლიო მეურნეობის ერთიან სივრცეში, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანია საქართველოსა და აზღვარგარეთის ქვეყნებს შორის შექმნილი არა ყველა სახის, არამედ ყველაზე არსებითი, ტიპიური ეკონომიკური კავშირების დამყარება. მათ მიეკუთვნება – საერთაშორისო ვაჭრობა, საფინანსო-საკრედიტო, სატრანსპორტო, სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურება, საერთაშორისო ტურიზმი და სხვ.

საერთაშორისო ვაჭრობა აღნიშნულ კავშირებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ტრადიციული ფორმაა. მასზე მოდის მსოფლიო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთელი მოცულობის 80%-მდე (Авдокушин, 1997). საქართველო სწორედ საგარეო ვაჭრობით ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ბაზარზე. ჩვენს ქვეყანას უძველესი დროიდან ჰქონდა დამყარებული სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. თუმცა მის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზების („დიდი აბრეშუმის გზა", „გზა ინდოეთში" და სხვ.) მიმართულებები დროთა განმავლობაში ისტორიული ვითარების შესაბამისად იცვლებოდა.

XVIII საუკუნეში საქართველოს საგარეო ვაჭრობას საკმაოდ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა და სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდებოდა. სავაჭრო ურთიერთობას ოსმალეთთან, ირანთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ხელს უწყობდა საქარავნო გზებისა და მაშინდელი საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ფუნდუკების (სავაჭრო სახლების) ფართო ქსელის არსებობა. ისინი, მეტწილად, სასაზღვრო რაიონებსა და შედარებით განვითარებულ ქალაქებში იყო განლაგებული (ვახუშტი, 1997).

მოგვიანებით, ფუნდუკები შედარებით დიდმა და უფრო კეთილმოწყობილმა ქარვასლებმა შეცვალა. გვიან ფეოდალურ საქართველოში საგარეო ვაჭრობის საგანი იყო არა მარტო ღვინო, მარცვლეული, ხე-ტყე და სხვ., არამედ ქართველი ტყვეებიც, რომლებიც თურქებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზარზე გაპყავდათ გასაყიდად. სავაჭრო საქონლის გატანა-შემოტანას ემსახურებოდა შავიზღვისპირა სანავსადგურო დასახლებები – ქობულეთი, ფოთი, ანაკლია, ყულევი და სხვ.

რუსეთის მიერ დაპყრობილმა საქართველომ გარკვეულწილად შეინარჩუნა სატრანზიტო-სავაჭრო ფუნქცია, სავაჭრო კავშირები ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებთან, ევროპის სახელმწიფოებთან.

XIX ს-ში ამიერკავკასიაში შექმნილმა სარკინიგზო ქსელმა საგრძნობლად დააჩქარა საქონლის გაცვლის პროცესი. თბილისი კავკასიაში წარმოებული და შემოზიდული სავაჭრო პროდუქციის განაწილება-გასაღების მთავარი ცენტრი გახდა. იგი ვაჭრობის განვითარების საერთო დონით რუსეთის იმპერიის ქალაქებს შორის მე-3-4 ადგილზე იყო.

ევროპის ქვეყნებიდან (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვ.) საქართველოში ძირითადად ფოთის ნავსადგურით შემოდიოდა შაქარი, ყავა, შამპანური, ღვინო, ძვირფასი ქსოვილები, ფუფუნების საგნები და სხვ., ხოლო აზიის ქვეყნებიდან (თურქეთი, ირანი) ბათუმის და ბაქოს ნავსადგურებით – თამბაქო, ხმელი ხილი, აბრეშუმის ქსოვილები და სხვ. საზღვარგარეთის ქვეყნებში, ჭიათურის მანგანუმის გარდა, უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ადგილობრივი კუსტარული წარმოების საქონელი (აბრეშუმის პარკი, მატყლი, ტყავი, სპილენძის ჭურჭელი, ხის და შალეულის ნაწარმი) გაჰქონდათ. რუსეთიდან საქართველოში შემოდიოდა ხორბლის სპირტი და არაყი, აგრეთვე სხვა სახის კვების პროდუქტები, მანუფაქტურული ნაწარმი და ფართო მოხმარების საგნები.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველო გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის განუყოფელი ნაწილი იყო. ამიტომ, მისი მეურნეობის ფორმირება ხდებოდა საერთო საკავშირო ინტერესების შესაბამისად. ახასიათებდა რა მეურნეობის გამოკვეთილი ტერიტორიული სპეციალიზაცია, იგი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს შრომის გეოგრაფიულ დანაწილებაში და სასაქონლო პროდუქციის გაცვლას აწარმოებდა მოკავშირე რესპუბლიკებთან და ეკონომიკურ რაიონებთან. კერძოდ, იქ გაიზიდებოდა ადგილობრივი სამრეწველო-სასაქონლო პროდუქციის უდიდესი ნაწილი.

საქართველოს ყველაზე მჭიდრო და ინტენსიური ეკონომიკური კავშირები ჰქონდა რუსეთთან. მასზე, როგორც გასაღების მთავარ ბაზარზე, საქართველოში წარმოებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ღირებულების მაჩვენებლით) იმპორტის 65% და გაზიდვის 44% მოდიოდა. მეორე ადგილზე იყო უკრაინა – 12-13% შემოზიდული და 19-20% გაზიდული პროდუქციით. ამ ქვეყნებიდან ძირითადად შემოდიოდა: მილები, ლითონი, ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტრო-

ძრავები, ექსკავატორები, კომბაინები, ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, ავტობუსები, ქვანახშირი, რკინის მადანი, მინერალური სასუქები, ხე-ტყე, ხორბალი, შაქარი, ფქვილი და სხვ., ხოლო გატანაში ჭარბობდა მცირეგაბარიტიანი სატვირთო ავტომანქანები, მანგანუმის მადანი, ფეროშენადნობები, ფოლადის მილები, არამადნეული წიაღისეული, ელექტრომექანიკური ნაკეთობები, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

აზერბაიჯანსა და სომხეთს საქართველო აწვდიდა შავ ლითონებს, ავტომანქანებს, ცემენტს, მინერალურ სასუქებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, მინერალურ წყალს, ჩაის, თამბაქოს, ღვინოს. აზერბაიჯანიდან შემოჰქონდათ - ნავთობის პროდუქტები, რკინის მადანი, ელექტროძრავები, ბამბა, შალი, მარილი, თევზი; სომხეთიდან - ტრანსფორმატორები, საკაბელო და ელექტროდანადგარების ნაკეთობანი, ავტოსაბურავები, ქიმიკატები. მაგრამ სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკა სსრ კავშირის სხვა რეგიონებთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე ერთმანეთთან.

უცხოეთის ქვეყნებთან სამეურნეო ურთიერთობები ძირითადად მოსკოვიდან, ცენტრალიზებულად იმართებოდა. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირები დამყარებული ჰქონდა უცხოეთის 60-ზე მეტ ქვეყანასთან. მთავარი პარტნიორები იყვნენ სოციალისტური ქვეყნები, ეგვიპტე, სირია, ირანი, შვედეთი, ავსტრია, არგენტინა, ინდოეთი, იაპონია, იუგოსლავია, აშშ, იტალია, საფრანგეთი, გფრ, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი. უცხოეთში გაჰქონდათ: მანგანუმის მადანი, ფეროშენადნობები, ნავთობპროდუქტები, მილები, სხვადასხვა სახის მანქანა-მოწყობილობები, ხილის კონსერვები, ჩაი, კონიაკი, ღვინო, ბორჯომის წყალი, თამბაქო, კოფეინი, ევკალიპტის ზეთი, მარმარილო, ანდეზიტი, ბარიტი და სხვ. შემოჰქონდათ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია, სხვადასხვა სახის მოწყობილობანი. აღსანიშნავია, რომ საბჭოურ პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის დადებითი სალდო ჰქონდა. 1989 წელს ექსპორტის მოცულობა 5,5 მლრდ, ხოლო იმპორტი – 3,4 მლრდ სავალუტო მანეთს შეადგენდა, ანუ დადებითი სალდო 2,1 მლრდ სავალუტო მანეთს უდრიდა. სსრკ-ს დაშლამ ერთიანი ეკონომიკური სივრცის რღვევა გამოიწვია, რასაც მოჰყვა ტექნოლოგიური და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა და დსთ-ს ქვეყნებში შიდა ბაზრების შექმნა. საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს დამოუკიდებლად გასვლისთანავე მის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის ბრუნვის უარყოფითი სალდო და მისი შემდგომი ზრდის ტენდენცია, რის გამოც საქართველოს ექსპორტი ჯერ კიდევ შორს არის მისი წარსულის მაჩვენებლებისაგან. მართალია, უკანასკნელ წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საერთო მოცულობა იზრდება, მაგრამ ექსპორტის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება იმპორტს. 2000 წლისათვის საქართველოს უარყოფითმა საავაჭრო ბალანსმა 370 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის ზრდის ჩამორჩენა

აიხსნება იმით, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია ჯერ კიდევ ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, დაბალკონკურენტუნარიანია და ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ მოსახლეობის დამოკიდებულება იმპორტულ საქონელზე ისევ მაღალია.

საქართველო დაინტერესებულია საზღვარგარეთის ქვეყნებთან ჰქონდეს მყარი, ურთიერთმომგებიანი სავაჭრო თანამშრომლობა. 1994-2000 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია. თუ 1994 წ. სავაჭრო ოპერაციები განხორციელდა 54 ქვეყანასთან, 2000 წ. ამ მაჩვენებელმა 100-ს გადააჭარბა. დსთ-ს ქვეყნების წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 34,7%-ს შეადგენს, მათ შორის ექსპორტი – 41,3%, იმპორტი – 31,6%.

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს
პარტნიორ ქვეყანასთან (1999 წ.) (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
რუსეთი	160,3	44,6	115,7	- 71,1
აზერბაიჯანი	60,7	19,2	41,5	- 22,3
აშშ	81,5	9,9	71,6	- 61,7
თურქეთი	110,9	37,7	73,2	- 35,5
გერმანია	68,6	24,5	44,1	- 19,6
უკრაინა	38,0	10,9	27,1	- 16,2
თურქმენეთი	31,3	9,2	22,1	- 12,9
დიდი ბრიტანეთი	25,2	4,1	21,1	- 17,0
იტალია	23,9	10,8	13,1	- 2,3
სომხეთი	17,1	15,0	11,8	4,2
ათივე პარტნიორთან – სულ	598,4	167,7	430,7	- 262,7
მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვა – სულ	839,5	238,2	601,9	- 363,7

მართალია, პარტნიორი ქვეყნების რიცხვი და მათთან სავაჭრო ურთიერთობების ბალანსი აღნიშნული წლების მიხედვით იცვლება, მაგრამ საქართველომ შედარებით სტაბილური პარტნიორული კავშირები დაამყარა რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, აშშ-თან, უკრაინასთან, სომხეთთან. მათ გარდა, ჩვენი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, იტალია. საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ამ ათეულის წილი 71,3%-ია, ხოლო მარტო დსთ-ს პარტნიორ ქვეყნებთან (რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი) – 30,9%.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულიად ახალი მოვლენაა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კავშირების დსთ-ს ქვეყნებთან კავშირებად გარდაქმნა. ამჟამად ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები საქართველოში წარმოებული პროდუქციის ტრადიციულ

და ყველაზე რეალურ გასაღების ბაზარს წარმოადგენენ. ამას ადასტურებს უკანასკნელი წლების მონაცემებიც, სახელდობრ, საქართველოში წარმოებული პროდუქციის 50%-ზე მეტი სწორედ დსთ-ს ქვეყნებში იქნა რეალიზებული.

საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელია: შაი და ფერადი ლითონები, ქიმიური მრეწველობის (აზოტის სასუქები), კეების (ყურძნის ნატურალური ღვინო), აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ცხრ. 2).

ცხრილი 2

საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურა, 2000 წ.

პროდუქცია	მლნ აშშ დოლარი	%
შაი ლითონების ჯართი	378.4	11.5
ყურძნის ღვინო ნატურალური	283.3	8.6
კაკალი გამხმარი ან ახალი	22.3	6.8
აზოტის სასუქები	15.4	4.7
ძვირფასი ლითონები და კონცენტრატები	14.9	4.5
ფეროშენადნობები	13.9	4.2
ალუმინის ნარჩენები და ჯართი	12.7	3.8
მანგანუმის მადანი და კონცენტრატები	11.8	3.6
ნედლი ნაკთობი	11.6	3.5
სპილენძის მადანი და კონცენტრატები	10.1	3.1
დანარჩენი პროდუქცია	151.0	45.8
ექსპორტი – სულ	329.9	100.0

იმპორტში ჭარბობს ნაკთობი და ნაკთობპროდუქტები, მედიკამენტები, თამბაქოს პროდუქცია, ფქვილი, შაქარი და სხვ. (ცხრ. 3).

ცხრილი 3

საქართველოს ძირითადი საიმპორტო პროდუქციის სტრუქტურა 2000 წ.

პროდუქცია	მლნ აშშ დოლარი	%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	68.9	9.8
ბუნებრივი აირები და აირისებრი		6.9
ნახშირწყალბადები	48.4	
მედიკამენტები	45.7	6,5
სიგარები და სიგარეტები	29.3	4,2
ხორბალი	28.4	4,1
ფქვილი	25.1	3,6
შაქარი	22.3	3.2
მსუბუქი ავტომობილები	19.2	2,7
რადიო და სატელევიზიო აპარატურა	17.1	2,4
მაკუთულები, იზოლირებული ელექტრული		
გამტარები, კაბელები და სხვ.	14,8	2.1
დანარჩენი პროდუქცია	380,9	54.4
იმპორტი – სულ	700,0	100.0

უცხოური აგროპროდუქტების იმპორტში ბოლო პერიოდში გაჩნდა ადგილობრივი პროდუქციის ჩანაცვლების ტენდენცია, რაც იწვევს შაქრის, მზესუმზირის ზეთის, ლუდის იმპორტის თანდათან შემცირებას.

აღრიცხული ექსპორტ-იმპორტის გარდა, შეინიშნება მრავალი აღურიცხავი საქონლის მოძრაობა, რაც უმთავრესად სასაზღვრო პუნქტებში ან მათი შემოვლით ხორციელდება. ქვეყნიდან გატანილი კონტრაბანდული ტვირთებიდან მნიშვნელოვანია ხე-ტყე და ჯართი, ხოლო იგივე გზით შემოტანილ ტვირთებში ჭარბობს ნავთობპროდუქტები და ფართო მოხმარების საქონელი. საგარეო ვაჭრობის რეგულირების სრულყოფა გააუმჯობესებს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსებას, ადგილობრივი წარმოების გაფართოებას, დასაქმების ზრდას, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გარკვეულ სახეს საერთაშორისო მომსახურება წარმოადგენს, რომელსაც „უხილავ" ექსპორტსაც უწოდებენ. მას მიეკუთვნება საერთაშორისო და სატრანზიტო ტრანსპორტი, ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების, უცხოელი ტურისტების მომსახურება, გადასახადები პატენტზე, საავტორო ჰონორარები და უფლებები, გამოთვლითი ტექნიკის უზრუნველყოფა და სხვ. აღნიშნული მომსახურების მოცულობამ მსოფლიოში 1995 წ. 1230 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც სასაქონლო ექსპორტის საერთო ოდენობის დაახლოებით 1/4 უდრიდა (Липец, 1999).

საქართველოს მომსახურების ექსპორტის სტრუქტურაში სატრანსპორტო მომსახურება გამოირჩევა საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით - 76%-ით (მსოფლიოს ანალოგიური მაჩვენებელი დაახლოებით 25%-ია). ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია მომსახურების სხვა სფეროების შედარებით სუსტი განვითარებით.

საქართველო სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს კასპიის ზღვისა და შუა აზიის ქვეყნების ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანაში. მილსადენით მომსახურება – აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება ბაქოდან სუფსის ტერმინალამდე, საქართველოს ერთ-ერთი საექსპორტო საქმიანობაა. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის დაახლოებით 400 კმ-იან მონაკვეთზე ყოველწლიურად მილიონობით ტონა ტვირთი მოძრაობს – ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, სასუქები და სხვ. აღნიშნული სახის ტვირთების გადაზიდვა ქვეყნის ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა და ძირითადად ემსახურება კავკასიის და შუა აზიის ტვირთების ტრანსპორტირებას. რკინიგზით საერთაშორისო მომსახურების განვითარების სერიოზული შეფერხება ელექტროენერგიის არასტაბილურ მიწოდებასთანაა დაკავშირებული.

საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების თვალსაზრისით საქართველოს მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი გააჩნია. შავიზღვისპირეთის პორტები – ფოთი და ბათუმი

– საქართველოს საკუთარი ექსპორტ-იმპორტის გარდა, ხელს უწყობენ ტრანზიტული ტვირთების მოძრაობას.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ახალი სახეა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას. ინვესტორების მზადყოფნა, კაპიტალი დააბანდონ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში, დამოკიდებულია ამ ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე (პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სოციალური, ყოფითი და სხვა პირობების ერთობლიობა), რაც საბოლოოდ წინასწარ განსაზღვრავს კაპიტალდაბანდებების რისკს და მათ ეფექტურ გამოყენებას.

საქართველოში საგარეო ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორებია – ბუნებრივი რესურსები, კვალიფიციური კადრები, იაფი მუშახელი, პრივატიზაცია და მასში უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა. მაგრამ, ამჟამად ჯერ კიდევ ვერ ხერხდება უცხოური ინვესტიციების ფართო მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების (არამყარი პოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკური კრიზისი, დანაშაულების, მათ შორის კორუფციის მაღალი დონე და სხვ.) შექმნა, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობისათვის და უცხოელ ინვესტორებს შორის განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის დაბალ რეიტინგს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საგარეო ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს ეკონომიკაში მაინც გრძელდება.

ამჟამად საქართველოში უცხოელ ინვესტორთა რაოდენობა 40-მდეა, მათ შორის უმსხვილესია – ისრაელი (16,2 მლნ დოლარი), ირლანდია (15,2 მლნ), აშშ (10 მლნ), სამხრ. კორეა (9 მლნ), გერმანია (8 მლნ). ინვესტიციების დიდი ნაწილი ძირითადად კავშირგაბმულობაზე, კვების მრეწველობაზე, საბანკო საქმეზე, ვაჭრობასა და მშენებლობაზე მოდის; მას ბევრად ჩამორჩება განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი და სხვ.

საქართველოში სადღეისოდ მოზიდული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი (90%) მთათამორის ბარში, თბილისის ირგვლივ 40 კმ რადიუსშია კონცენტრირებული. აღნიშნული გარემოება საკვლევით გასაგებია, ვინაიდან საქართველოს ეს ნაწილი მოსახლეობის, მეურნეობის, ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის თავმოყრის მთავარი არეალია, რის გამოც ინვესტიციების დაბანდება აქ გაცილებით ხელსაყრელია. თბილისში უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი კომუნიკაციების ანუ თანამედროვე ელექტრონული კაბელური ტელევიზიის ქსელის შექმნას ხმარდება. ქ.რუსთავში ინვესტიციების მნიშვნელოვანი წილი (12,5 მლნ აშშ დოლარი) მეტალურგიულ ქარხანასა და კომბინატ „აზოტზე" მოდის. ბოლნისი და გორი ინვესტიციების მიზიდვის მცირე სიდიდის ცენტრებია. უკანასკნელში ინვესტიციები ძირითადად ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა, ბანკებსა და ვაჭრობის სფეროს შორისაა განაწილებული. ისეთ საინვესტიციო ობიექტების რიცხვს, რომლებშიც

უცხოური და ადგილობრივი ინტერესები თანხვედრილია, „ბორჯომი", „კოკა-კოლა", ლუდის და ნაყინის დამამზადებელი და სხვა საწარმოები მიეკუთვნება.

დასავლეთ საქართველოში ინვესტიციების ოდენობა საკმაოდ მცირეა. ისინი დაბანდებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებაში, რომელთა შორის საყურადღებოა ხილის და ციტრუსების გადამუშაება (ხელვაჩაური) და ჩაის მწარმოებელი კომპანია „მარტინ ბაუერი".საქართველოს მთიანი რაიონები, გუდაურის და ბაკურიანის გარდა, ჯერჯერობით ინვესტორთა ყურადღების გარეშე რჩება. იქ მხოლოდ საკურორტო-ტურისტულ სფეროს გააჩნია შესაძლებლობა მომავალში ინვესტორთა ინტერესების არეალში მოექცეს.

საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარების ერთ-ერთი აღიარებული და პერსპექტიული ფორმაა საერთაშორისო ტურიზმი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სააქციონერო დაწესებულების – „ინტურისტის" მიერ ხორციელდებოდა; სსრკ დაშლის შემდეგ საქართველოში მისი წარმომადგენლობა გაუქმდა. არადა, მსოფლიო ეკონომიკის პოსტინდუსტრიული ეტაპის განვითარებისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ტურიზმის სწრაფი ზრდა. 20 წლის მანძილზე (1970-91 წწ.) საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა მსოფლიოში 160 მლნ-დან 525 მლნ-მდე ანუ 3-ჯერ, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 20 მლრდ-დან 500 მლრდ დოლარამდე ანუ 25-ჯერ გაიზარდა (Липец, 1999).

როგორც აღინიშნა, ტურიზმი საქართველოსათვის საერთაშორისო საექსპორტო მომსახურების საკმაოდ პერსპექტიულ სახედაა მიჩნეული. ამჟამად მომსახურების ექსპორტის სტრუქტურაში ტურიზმზე მოსახურების საერთო მოცულობის მხოლოდ 7% მოდის (მსოფლიოს ანალოგიური მაჩვენებელია 20%). საქართველოში ტურისტული მომსახურების ექსპორტმა 1997 წ. 46,9 მლნ დოლარს მიაღწია (ამაღლობელი, 1998). აღნიშნული სახის მომსახურებას მომავალში შეუძლია მნიშვნელოვანი საკალუტო შემოსავლები მოუტანოს ქვეყანას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირებას. საქართველოს გააჩნია რეალური პოტენციალი მეტი რაოდენობით ტურისტი მოიზიდოს სხვა ქვეყნებიდან, რისთვისაც საჭიროა ტურისტული მეურნეობის და ქართული ტურიზმის რეკლამირება უცხოეთში.

ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები

თბილისი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი თბილისი (1936 წლამდე ტფილისი) მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში (ქვემო ქართლი), თბილისის ქვაბულში, მდ.მტკვრის ორივე ნაპირზე (ზ.დ. 380-600 მ). ჩრდილოეთით ესაზღვრება საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით – იორის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით – თრიალეთის ქედის განშტოებები, რომლებიც მცხეთის და გარდაბნის რაიონებშია მოქცეული. ტერიტორიის ფართობით (350,0 კმ²) ოდნავ ჩამორჩება თერჯოლის (357,4 კმ²) და აჭარბებს აბაშის (320,5 კმ²) რაიონებს. ადმინისტრაციულად იყოფა ხუთ შიდასაქალაქო რაიონად: გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოს (მათ შორის თბილისის მერიაში შემავალი დ.წყნეთი და ს.ახალდაბა), მთაწმინდა-კრწანისის, ისანი-სამგორის, რომლებშიც ბევრი ისტორიული უბანია გაერთიანებული.

ქალაქის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაში არსებითი როლი შეასრულა მეტად მოხერხებულმა ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რამაც თბილისს თითქმის მუდმივმოქმედი სარეზიდენციო ფუნქცია შესძინა. დღესაც, საქართველოს დედაქალაქი, ევრაზიის პოლიტიკურ რუკაზე (განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის მასშტაბით), ხელსაყრელი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა და ბევრი სასარგებლო საერთაშორისო მისიის შესრულება შეუძლია.

ბუნებრივი რესურსები. უპირატესად მთაგორიან-ხეობიანმა რელიეფმა და ვაკე ტერიტორიის დეფიციტმა უბნების ტერასული განაშენიანება, ფართო ქუჩების სიმცირე და არასრულყოფილი სატრანსპორტო ქსელის არსებობა განაპირობა. ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი ბუნებრივი (მათ შორის ლანდშაფტურ-ესთეტიკური) სიმდიდრეა მდ.მტკვარი, რომელიც თბილისის ისტორიაში ბევრ სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებდა. იგი წარმოადგენდა დაცვით ზღუდეს, სანაოსნო გზას (მასზე ტიკეებით აცურებდნენ ტვირთებს შიდა ქართლიდან; იყო საბორნე მიმოსვლა), ენერგიის წყაროს (ამუშავებდა წისქვილებს, მოგვიანებით კი აშენდა ორთაჭალჰესი), მოსახლეობას ამარაგებდა სასმელი წყლით (მეთულუხეების – წყლის მზიდავების საშუალებით) და თევზით, რწყავდა ბაღ-ბოსტნებს, იძლეოდა საშენ მასალას (ქვა,

ღორღი, ქვიშა) და მრეწველობისათვის ტექნიკურ წყალს, ჰქონდა სპორტულ-რეკრეაციული დანიშნულება (ნავებით სეირნობა, ტიუბზე და ჭალებში საქეიფო, ასევე საცურაო) და დღესაც გამოიყენება კომუნალური მიზნებისათვის (ჩამდინარე წყლების გატარება).

მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, რომლებიც ერთმანეთთან ხიდებით და მეტროს მიწისქვეშა ხაზებით არიან დაკავშირებულნი. მდინარის ხეობის შესაბამისად, თბილისის კონფიგურაცია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით წაგრძელებულია. მარცხენანაპირეთის განაშენიანება (აკეჭალიდან ლოჭინამდე) 30 კმ-ზე, ხოლო მარჯვენანაპირეთის (დიდი დიღომიდან ფონიჭალამდე) 20 კმ-ზე ვრცელდება.

თბილისის ყველაზე ცნობილი წიაღისეული გოგირდოვანი თერმული წყაროებია, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ძველ უბნებში ცხელი აბანოების ფუნქციონირებას, ხოლო შემდგომში კურორტის (საბაზანო შენობა მწყობრში ჩადგა 1938 წ.)

დაარსებას. აღსანიშნავია კერამიკული თიხების საბადოები საბურთალოზე, ღრმაღელეში, დიღომში, ბაგებში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენებოდა აგურის წარმოებაში. ქალაქის მიდამოებში არსებობს გაჯის (ორხევი), კკარცის სილის (აეჭალა) და სხვადასხვა სამშენი მასალის საბადოები.

ქალაქის შემოგარენში ადრე ბუნებრივი ტყეები არსებობდა, რომლებიც დიდი ხანია გაიჩეხა. ამჟამად მის კალთებზე და გორაკ-ბორცვებზე ხელოვნურადაა გაშენებული ხე-მცენარეულობა (ხუდადოკის ტყე, კუს, ლისის ტბების, თბილისის ზღვის მიდამოები და სხვ.), რომელიც XX ს. 90-იანი წლების კრიზისული ზამთრების დროს საგრძნობლად შეთხელდა.

მოსახლეობა. თბილისი დემოგრაფიულად მეტად სწრაფმზარდი ქალაქია. XIX ს. დასაწყისში შედარებით პატარა (15,4 ათასი მცხოვრები) და აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული ქალაქი 1897 წლისათვის 10-ჯერ (159,6 ათასი კაცი) გაიზარდა. უფრო სწრაფი ზრდა ჰქონდა მას XX ს-ში: 1926 წ. – 194,0 ათასი, 1939 წ. – 519,2 ათასი, 1979 წ. – 1066,0 ათასი (ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს „მილიონერ-ქალაქთა" რიცხვს შეუერთდა), 1989 წ. – 1259,7 ათასი კაცი (საქართველოს მოსახლეობა, 1998).

დემოგრაფიული ზრდის თვალსაზრისით, თბილისი ქვეყნის „თაკკომბალა" ქალაქია. თუ 1926 წ. მისი წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 11,0%, ხოლო 1939 წ. – 14,7% შეადგენდა, 1989 წ. მან 23,1%, ხოლო ქალაქების მთელი მოსახლეობის 41,5% შეადგინა. დედაქალაქის მცხოვრებთა ასეთი სწრაფი აბსოლუტური და ფარდობითი ზრდა გამოწვეული იყო საბჭოთა პერიოდში მისი სამრეწველო-სატრანსპორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების გაძლიერებით. ამ გარემოებამ განსაკუთრებით დიდი ბიძგი მისცა მოსახლეობის მექანიკურ მატებას – ქალაქი მნიშვნელოვანწილად რესპუბლიკის გარედან და აგრეთვე ქვეყნის სასოფლო რაიონებიდან ჩამოსულთა ხარჯზე იზრდებოდა.

1990-იანი წლების პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა და საომარმა მოქმედებებმა დიდად იმოქმედა ქვეყნის და ასევე თბილისის დემოგრაფიულ ვითარებაზე. კერძოდ, მიგრაციების გაძლიერებამ, ბუნებრივი აღწარმოების სწრაფმა დაქვეითებამ დედაქალაქის მოსახლეობა საგრძნობლად შეამცირა. 1990 წ. მისი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 7,5 პრომილეს შეადგენდა, ხოლო 2000 წ. უარყოფითი სალდო (-0,2‰) დაფიქსირდა. ამავე წელს ფაქტობრივად მცხოვრებთა რიცხოვნობა (90,5 ათას დევნილთან ერთად) მხოლოდ 1178,3 ათასს უდრიდა. მაგრამ თბილისისაკენ საცხოვრებლად ლტოლვის ტენდენცია იმდენად დიდია, რომ მისი ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) მატულობს და მან საავარაუდო გამოთვლით 24,4% მიაღწია (გუგუშვილი, 2003).

თბილისი, უძველესი დროიდან და, განსაკუთრებით, XIX საუკუნიდან, მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა. საქართველოს გასაბჭოების საწყის ეტაპზე (1922 წ.) ქალაქში მცხოვრები ქართველების ხვედრითი წილი 34,2%, სომხების – 36,5% და რუსების – 16,5% შეადგენდა. ცხოვრობდნენ აგრეთვე ევროპული და აზიური (გერმანელები, პოლონელები, ჩეხები, ბერძნები, უკრაინელები, ებრაელები, ოსები, სპარსელები, აზერბაიჯანელები, ქურთები და სხვ.) წარმომაელობის ხალხები. აღსანიშნავია, რომ 234,0 ათასი კაციდან მოქალაქეთა 29,6% საქართველოს გარეთ იყო დაბადებული (კაცაძე, 1991). XX ს. შემდგომ წლებში თბილისის ქართველი მოსახლეობა რიცხობრივად და პროცენტულად განუწყვეტლივ მატულობდა (1989 წ. – 66,1%) და ეს ზრდა დღესაც გრძელდება.

ადრე თბილისი სამუშაო ძალის დიდ პოტენციალს ფლობდა. 1990 წ. დედაქალაქის წარმოება- დაწესებულებებში 586,5 ათასი კაცი (ქალაქის მოსახლეობის 49,8%) მუშაობდა. მუშა-მოსამსახურეთა 38,8% დასაქმებული იყო მრეწველობასა და მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 12,0%, ხოლო ვაჭრობასა და საზკეებაში – 6,4%. მაღალი იყო დედაქალაქში თავმოყრილი სოციალური ინფრასტრუქტურის (ჯანდაცვა, სპორტი, სოცუზრუნველყოფა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება და კულტურა) მუშაკთა ხვედრითი წილიც – 31,0%. შემდგომში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ დედაქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა დააქვეითა (თავი იჩინა უმუშევრობამ, გაუარესდა სამუშაო პირობები, შეიზღუდა დასაქმების სფეროები), ხოლო დარგობრივ სტრუქტურაში არსებითი ძვრები გამოიწვია. 2000 წლისათვის შრომაში ჩაბმულთა რიცხვი (დაქირაკებულები და თვითდასაქმებულები – სტატისტიკის საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით) თითქმის განახევრდა (314,5 ათასი კაცი). მნიშვნელოვნად დაეცა მრეწველობასა და მშენებლობაში (13,6%), ასევე ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (9,5%) ჩაბმულთა, ხოლო საგრძნობლად გაიზარდა ვაჭრობასა და საზკეებაში (18,1%), სახელმწიფო მართვასა და თავდაცვაში (11,8%), საქალაქო ტრანპორტსა და სხვა მომსახურე დარგებში ჩაბმულთა ხვედრითი წილი.

მეურნეობა. თანამედროვე თბილისის ეკონომიკური ბაზის შექმნა, რომელიც XIX ს-ში დაიწყო, სამი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციის (სავაჭრო, სატრანსპორტო, სამრეწველო) გაძლიერებასთანაა დაკავშირებული. ამ დროს, მისი სამრეწველო პროფილი ხელოსნურმა და საქარხნო-საფაბრიკო წარმოებამ, ხოლო სატრანსპორტო – ფოთის (1872 წ.) და ბაქოს (1883 წ.) მიმართულებით რკინიგზების გაყვანამ განსაზღვრა. ვაჭრობა კი, ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდა.

XIX ს-ის მიწურულს თბილისში 1500-მდე საწარმო (უმთავრესად მცირე) მოქმედებდა, სადაც 12,5 ათასი კაცი მუშაობდა და ძირითადად სასურსათო და ფართო

მოხმარების ნაწარმს უშვებდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს დაწყებული ინდუსტრიალიზაციის შედეგად, მრეწველობა ქალაქის წამყვანი სამეურნეო დარგი გახდა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე აშენდა მსხვილი სამრეწველო ობიექტები: ჩარხმშენებელი ქარხანა, მაუდ-კამკოლის კომბინატი, აბრეშუმის საქსოვი, შალეულის, ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ავეჯის, ჩაის გადამწონი ფაბრიკები, შამპანური ღვინოების კომბინატი და სხვ., ხოლო მრეწველობაში მომუშავეთა საერთო რიცხვმა 42,6 ათას კაცს (1939 წ.) მიაღწია. ომის შემდგომ პერიოდში ინდუსტრიალიზაციის ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა, გაფართოვდა დარგობრივი სტრუქტურა, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და სასაქონლო წარმოების მოცულობა. მრეწველობის განვითარებამ პიკს 1980-იანი წლების დამლევს მიაღწია, როცა დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა (1989 წ. – 164,0 ათასი კაცი) ომამდელთან შედარებით, თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

თბილისი საბჭოეთის და ნაწილობრივ უცხოური ბაზრისათვის უშვებდა მაგისტრალურ ელმავლებს, თვითმფრინავებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ელექტროძრავებს, ელექტროშემდუღებელ მოწყობილობას, საშენ მასალებს (მათ შორის რკინა-ბეტონის ნაკეთობას), გაზქურებს, ტელევიზორებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ელექტრონიკის, ავეჯის, კერამიკის, პლასტმასის, ლინოლეუმის, ფეხსაცმლის, საფეიქრო, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, საგალანტერეო, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საპარფიუმერო-კოსმეტიკურ, საიუველირო, ფარმაცევტულ, პოლიგრაფიულ და სხვა ნაწარმს, აგრეთვე კვების მრეწველობის ფართო ასორტიმენტის პროდუქციას: სამარკო და შამპანური ტიპის ღვინოების, ალკოჰოლურ (ბრენდი, ლიქიორი, არაყი, ლუდი) და უალკოჰოლო (მათ შორის მ.ლაღიძის რეცეპტით დამზადებულ ლიმონათს) სასმელს, დაფასოებულ ჩაის, საკონსერვო, საკონდიტრო, ხორცის, რძის, პურეულის (მათ შორის მაკარონს, ბურღულეულს) და სხვა ნაწარმს. დედაქალაქი იძლეოდა საქართველოში გამოშვებული მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 28%, მის საწარმოებში თავმოყრილი იყო რესპუბლიკის მთელი სამრეწველო საწარმოო პერსონალის 34% და ძირითადი საწარმოო ფონდების 20% (ქალაქ თბილისის ..., 1990).

მაგრამ მრავალგვარი მსხვილი სამრეწველო ობიექტების საკმაოდ უსისტემო და რიგ შემთხვევაში, გაუთვალისწინებელმა კონცენტრაციამ არა თუ დააჩქარა დედაქალაქის დემოგრაფიული (მექანიკური მოძრაობის ხარჯზე) და ტერიტორიული ზრდა (1960-80-იანი წლების მანძილზე ქალაქის განაშენიანებული ფართობი 2-ჯერ გაიზარდა), არამედ მას რთული და ძნელად გადასაჭრელი სამშენებლო-გეგმარებითი, სატრანსპორტო და ეკოლოგიური პრობლემა შეუქმნა.

90-იან წლებში საქართველოში და თბილისში მიმდინარე პროცესებმა (წარმოების სოციალისტური სისტემის და ადრინდელი საწარმოო-ეკონომიკური კავშირების

მომლა, სამხედრო კონფლიქტები, ქონების გაუაზრებელი და დარღვევებით ჩატარებული პრივატიზაცია და სხვ.) ქალაქის მრეწველობის საგრძნობი დაქვეითება და მთელი რიგი საწარმოების გაჩერება გამოიწვია. ამასთან, მცირდებოდა დარგში ჩაბმულთა რიცხვი (1990 წ. – 122,2 ათასი, 1996 წ. – 47,0 ათასი, 2000 წ. – 30,0 ათასი კაცი), ხოლო საწარმოთა დანაწევრების, რეორგანიზაციის და ახლების შექმნის შედეგად, იზრდებოდა მათი რაოდენობა: 1990 წ. – 231, 1996 წ. – 619, 2000 წ. – 1110.

ამჟამად ქალაქში მოქმედებს სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად, გაერთიანებად, კომპანიად ჩამოყალიბებული და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოები, რომელთა მიერ წარმოებულმა პროდუქციამ 2000 წ. ეროვნული მაჩვენებლის 37,3% შეადგინა. მათ შორის უნდა აღინიშნოს: „თბილავიამშენი", „ელმაკალმშენი" (სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა); „ელექტროაკუტომატი", „ელექტროგამშვები", „ელექტროძრავა", „მიკროძრავა", „აქატი", „ეკრანი", „ელკა", ელექტროტექნიკური, გამოთელითი ტექნიკის ქარხნები (ელექტრომანქანების, ძრავების, აპარატების წარმოება); „მიონი", „ქიმპოლიმერი", „პლასტიკი", „ელექტროიზოლიტი", „თეთრონი", „ფონიჭალა", „სამგორი" (ქიმიური მრეწველობა); „ბიოფარმი", „საქბიოფარმპრეპარატი", „ეუბიოტიკი" (ფარმა-ცეკტული პრეპარატების წარმოება); რკინა-ბეტონის ნაკეთობათა, სამშენებლო კონსტრუქციების, საშენი მასალების, მოსაპირკეთებელი მასალების საწარმოები (სამშენებლო მასალების მრეწველობა), „განთიადი", „კალასი", „ოპიზარი", სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა (აკეჯის წარმოება); „მაუდი", სართაკი ფაბრიკა, „ცისარტყელა", „იბეროტექსი", უქსოკადი ქსოვილების, „მარაბდა" (საფეიქრო წარმოება); „ბახტრიონი", „კრწანისი", „მერანი", ტრიკოტაჟის კომბინატი (ტრიკოტაჟის და სხვა ნაქსოვების დამზადება); სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი", „ნადიკვარი", მოდების ცენტრი (ტანსაცმლის დამზადება); „ისანი", „ქართუ", „ერთობა" (ფეხსაცმლის წარმოება); „თათმანი", „ლოგიკა" (საგალანტერეო და საკანცელარიო ნაწარმი) „ბაკურ სულაკაური", „ომეგა", „ინტელექტი", „ნეკერი" (ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე შექმნილი საგამომცემლო-პოლიგრაფიული საწარმოები); „დავით სარაჯიშვილი და ენისელი", „კრისტალი", „უშბა", „ლილო" (ლიქიორ-არაყის წარმოება); „ბაგრატიონი-1882", „კასტელ-საქართველო", „საკანე", „თბილღვინო" (ღვინის წარმოება); „ყაზბეგი-კასტელი", „ლაღიძე" (ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოება); „კონცენტრატი", „არომა პროდუქტი", სასურსათო კომბინატი „გრებ" (კვების პროდუქტების წარმოება); „ჯემ ტრედ" (ჯემების, მურაბების წარმოება-დაკონსერვება); „ვაკე", „ნიკორა" (ხორცის პროდუქტების წარმოება); „ქართუ-უნივერსალი", „სელა-აისბერგ", „ამალთეა", „სანტე" (რძის პროდუქტების

წარმოება); მაკარონის ფაბრიკა, „თემქა პური", „კრწანისი პური", „საამო", „მზიური" (პურ-პროდუქტების, საკონდიტრო წარმოება) და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თბილისის, როგორც ახალი (ქორფა) სასურსათო პროდუქტების მომხმარებელის, დიდი როლი ქვეყანაში ყველაზე მძლავრი საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობის ფორმირებაში, რომელიც დედაქალაქის გარშემო მდებარე გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, საგარეჯოს რაიონებშია წარმოდგენილი. 50-იან წლებში, სამგორის საირიგაციო სისტემის ამოქმედებამ და სარწყავი მიწების ფართობების ზრდამ არსებითად შეცვალა ქალაქის შემოგარენის ხრიოკი ადგილები და ისინი ბაღ-ბოსტნებად და ვენახებად აქცია. 1980-იანი წლებისათვის თბილისის საგარეუბნო ზონაში მეცხოველეობის ახალი კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, მებოსტნეობა-მეხილეობის სპეციალიზებული მეურნეობების, სათბურების და სხვა აგროსაწარმოთა ფართო ქსელი შეიქმნა (თბილისი, 1989). დღეს, აგროწარმოება, რომელშიც ქალაქის უშუალო მიზიდულობის არეალში მყოფი სოფლების მოსახლეობაა აქტიურად ჩაბმული, მნიშვნელოვან როლს თამაშობს დედაქალაქის ახალი და მალფუჭებადი სურსათით მომარაგებაში.

ისტორიულად, თბილისი ქვეყნის და კაუკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია, რომლის ფორმირებაც მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობითაა გამოწვეული. წარმოდგენილია 4 სარკინიგზო (ხაშურის, კახეთის, ერევნის, ბაქოს) და ათამდე სააუტომობილო (წყნეთის, ლისის, კოჯრის, დიღმის, გლდანის, ვაზიანის, გაჩიანის, რუსთავის, კუმისის, ზაჰესის მიმართულებების) სხივებით, რომლებიც მას საქართველოს რაიონებთან და მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი) აკავშირებს. ქალაქს სატრანზიტო ტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით შემოსავლელი სააუტომობილო გზა (49 კმ) გააჩნია.

თბილისის რკინიგზის კვანძი, რომელიც შედგება სამგზავრო, საკვანძო (ყოფილი ნავთლუღის I), მახარისხებელი, ლილოს, ავჭალის, ფონიჭალის სადგურებისაგან, დიდი რაოდენობით იღებს შემოზიდულ და ატარებს სატრანზიტო ტვირთებს. წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა თბილისის სამგზავრო სადგურის მგზავრთბრუნვის მაჩვენებლები, რადგან იკლო ყველა მარშრუტის (რესპუბლიკის გარეთ, ქვეყნის ტერიტორიაზე და საგარეუბნო) სამგზავრო მატარებლების მოძრაობამ. საქალაქთაშორისო და საგარეუბნო კავშირები თბილისთან ძირითადად მსუბუქი ავტომანქანებით და ავტობუსებით ხორციელდება; ასევე ინტენსიურად ვითარდება სამარშრუტო მიკროავტობუსებით სარეისო მიმოსვლა. თბილისის კეთილმოწყობილი აეროპორტი, რომელსაც ერთდროულად 2,5 ათასი მგზავრის მომსახურება შეუძლია, ევროპისა და აზიის ბევრ ქალაქთან (ლონდონი, პარიზი, მოსკოვი, ფრანკფურტი, სტამბოლი, ვენა, პრაღა, თელ-ავივი, კიევი, ბაქო და სხვ.) საჰაერო მიმოსვლითაა დაკავშირებული.

„მილიონერი“ ქალაქისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შიდასაქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაციას, რომლის ისტორია თბილისში XIX ს-ში იწყება. 1870 წ. ქალაქში 439 ორცხენიანი და 117 ერთცხენიანი ეტლი, 672 საზიდარი ირიცხებოდა (თბილისი, 1957). შემდეგ, 1880-იან წლებში ამოქმედებული „კონკა“ (ცხენის რკინიგზა), 1904 წ. ტრამვაიმ შეცვალა, რომელიც 1960-იან წლებამდე, ვიდრე სააკტობუსო მიმოსვლა გაძლიერდებოდა, ქალაქის ტრანსპორტის წამყვანი სახეობა იყო. 1966 წ. მწყობრში ჩადგა მეტროპოლიტენი, რომელმაც მალე მგზავრების გადაყვანის მაჩვენებლებით სხვა ელექტროტრანსპორტს (ტროლეიბუსი, ტრამვაი) მნიშვნელოვნად გაუსწრო. 1989 წ. მეტროპოლიტენი მოემსახურა 168,2 მლნ (მაშინ ლიდერობდა ავტობუსი – 260,0 მლნ), ტროლეიბუსი – 60,3 მლნ, ხოლო ტრამვაი – 31,1 მლნ მგზავრს.

უკანასკნელ ათწლეულში, სატრანსპორტო სამუალებათა და საწარმოების პრივატიზაციის და ენერგოკრიზისის პირობებში მგზავრთბრუნვის მაჩვენებელი დიდად შემცირდა. თითქმის შეწყდა აგრეთვე თბილისის ტრანსპორტის კოლორიტული სახეობის – საბაგირო გზების ექსპლოატაცია (1989 წ. „ფუნიკულიორი“ მოემსახურა 404,7 ათასს; რუსთაველის პროსპექტი–„მთაწმინდა“ – 464,0; ვაკე–კუს ტბა – 142,2; დელისი–ლისის ტბა – 164,8; უნივერსიტეტი–სტუდქალაქი–ბაგები – 315,5; მზიური I – 21,4; სამგორი–ქვემო ვაზისუბანი – 269,9 ათას კაცს). ამ ფონზე მხოლოდ მეტროპოლიტენი მუშაობდა რეგულარულად, თუმცა გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა მცირდებოდა (2000 წ. – 103,1 მლნ კაცი). ბოლო წლებში ქალაქში უამრავი სამარშრუტო ტაქსი (მიკროავტობუსი) და მსუბუქი მანქანა მოძრაობს, რომლებიც დიდად აფერხებენ მაგისტრალური ქუჩების გამტარუნარიანობას.

თუ უწინ თბილისის ეკონომიკის საფუძველს ძირითადად მრეწველობა, ტრანსპორ-ტი და მშენებლობა შეადგენდა, ახლა, საბაზრო ეკონომიკის განვითარების გარდამავალ პერიოდში, დედაქალაქის საბიუჯეტო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურის დარგების (ვაჭრობა, კომუნალური ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის ახალი სისტემების, საბანკო ბიზნესის და სხვა მომსახურე დარგები) მზარდ სფეროზე მოდის.

ადრე თბილისი საკავშირო საქონლის განაწილებისა და გასაღების უმსხვილესი ცენტრი იყო. ქვეყნის დამოუკიდებლობამ და კერძო საკუთრების ლეგალიზაციამ საკავშირო სისტემის ძირეული გარდაქმნა და საკავშირო ბიზნესის სწრაფი განვითარება განაპირობა. ქალაქში შეიქმნა საბითუმო ბაზრობების, კერძო მაღაზიების, საშუამავლო კომერციული ფირმების, კაფე-რესტორნების, გასართობი ობიექტების, კერძო სასტუმროების და სხვა საკავშირო ობიექტების ფართო ქსელი, სადაც ჩაბმული აღმოჩნდა ქალაქის საწარმოებიდან და საბიუჯეტო დაწესებულებებიდან გამოთავი-

სუფლებული, ასევე ახალგაზრდა ასაკის და დევნილთა კონტინგენტების მნიშვნელოვანი ნაწილი. 2000 წ. თბილისზე მოდიოდა ქვეყნის საცალო ვაჭრობის მთელი მოცულობის 59,4%, ხოლო რესტორნების ბრუნვის მოცულობის 49,3%, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში დედაქალაქის ჰიპერტროფიული მდგომარეობის ნეგატიური გამოვლინებაა.

ქალაქის ქუჩების რაოდენობა 2,4 ათასს აჭარბებს, რომელთა საერთო სიგრძე 1,1 ათასი კმ-ია. ადრე მათი 90% მაგარსაფარიანი იყო; ახლა კი დიდი უმრავლესობა საფუძვლიან რეკონსტრუქციას საჭიროებს. ქალაქში საგრძნობლად შეთხელდა მწვანე ნარგავების რაოდენობა, რაც არა მარტო ენერგოკრიზისის დროს ხე-მცენარეულობის განუკითხავად გაჩეხვის, არამედ უკანონო მშენებლობების პროცესში გამწვანებული ტერიტორიების მიტაცების შედეგიცაა.

1990-იან წლებამდე თბილისი საბინაო ფონდის გაფართოების მზარდი ტემპით გამოირჩეოდა. 1960-იანი წლებიდან ტიპობრივი პროექტებით დაწყებულმა ინტენსიურმა მშენებლობამ ბევრი უსახური და ნაკლებკომფორტული მაღლივი, მრავალბინიანი კორპუსებით გაშენებული საცხოვრებელი მასივი წარმოშვა, რამაც მოსახლეობას მრავალი ურბანისტული დილემა შეუქმნა. მათ განსაკუთრებით იჩინეს თავი უკანასკნელი მოვლენების დროს, როცა უკიდურესად დაქვეითდა კომუნალური მომსახურების დონე და მოიშალა მისი დარგები (საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, სასმელი წყლით, ელექტროენერგიით და გაზით მომარაგება, გათბობა, ქალაქის სანიტარული დასუფთავება და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ქალაქის საბინაო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი ამორტიზებულია. ქალაქის ცენტრის ზოგიერთი უბანი ჯერ 1991-92 წწ. საომარი მოქმედებების, ხოლო შემდეგ, 2002 წ. მიწისძვრის შედეგად დაინგრა ან მნიშვნელოვნად დაზიანდა. მეორე მხრივ, ქალაქი მოიცვა სტიქიური მშენებლობების ბუმმა. იგი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს მჭიდროდ დასახლებულ და „სივრცის დეფიციტის" მქონე, მაგრამ პრესტიჟულ რაიონებში, რაც ამ უბნებს და მათ მოსახლეობას ბევრ გაუთვალისწინებელ ნეგატიურ პრობლემას შეუქმნის.

თბილისი რეკრეაციული საქმიანობის თვალსაჩინო ცენტრია, რომელიც არეალში აერთიანებს როგორც თავის გარშემო განლაგებული კურორტების და სააგარაკოდ გამოყენებული სოფლების (კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, ბეთანია, ოქროყანა, წოდორეთი, ტაბახმელა, შინდისი, წავკისი, მარტყოფი, საგურამო, ცხვარიჭამია და სხვ.), აგრეთვე საბაღე ნაკვეთებთან შექმნილი დასახლებების მთელ ჯაჭვს, ასევე თვით ქალაქში არსებულ დასვენება-გაჯანსაღებისა და გართობისათვის შექმნილ ადგილებსა (მუშტაიდის, მთაწმინდის, ვაკის, ვერის პარკები, ზოოპარკი, მზიური, ბოტანიკური ბაღი, გოგირდის აბანოები, ლაგუნა ვერეს კომპლექსი, ლისის და კუს ტბების, თბილისის ზღვის მიდამოები და სხვ.) და ობიექტებს.

15 საუკუნეზე მეტი ხნის დედაქალაქი ტურისტისათვის გეოგრაფიულად, ისტორიულად, არქეოლოგიურად, ეთნოგრაფიულად, ეკონომიკურად და კულტურის თვალსაზრისით მიმზიდველია, რომელსაც მსოფლიოში განუმეორებელი „ძველი თბილისის" ქალაქური ფოლკლორი აქვს შექმნილი. მისი ღირსშესანიშნაობები – ცნობილი მუზეუმები, თეატრები, საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობები, ქალაქის ისტორიული უბნები თავისი აივნიანი სახლებით, ვიწრო ლაბირინთული ქუჩებით სტუმართა აღტაცებას იმსახურებდა. დღეს, თბილისს, მსხვილ ტურისტულ ცენტრად გადაქცევისათვის, თვით მერიისა და თბილისელების მხრიდან დიდი ძალისხმევა და სახელმწიფოსაგან ქმედითი მხარდაჭერა სჭირდება.

შიდა ქართლი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. შიდა ქართლი აღმოსავლეთ საქართველოში, მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედის ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, ჯავის, კასპის, ახალგორის, მცხეთის ადმინისტრაციული რაიონები და დუშეთის რაიონის ბარის ზონა. მას ესაზღვრება: დასავლეთით – ონის, საჩხერის, ხარაგაულის, სამხრეთით – ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, წალკის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის, აღმოსავლეთით – საგარეჯოს, თიანეთის, ყაზბეგის რაიონები და დუშეთის რაიონის მთიანი ნაწილი. რეგიონის ჩრდილოეთში კი გადის საქართველო–რუსეთის სახელმწიფო საზღვარი. შიდა ქართლის ფართობი (9,6 ათასი კმ²) საქართველოს მთელი ტერიტორიის დაახლოებით 1/7-ია (13,7%).

მხარე საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩეა და მეზობლობს ისეთ განვითარებულ რეგიონებს, როგორიცაა იმერეთი და თბილისის ტერიტორია. მასზე გადის შიდა თუ გარე ეკონომიკური კავშირებისათვის აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომლებსაც აღმოსავლეთ-დასავლეთის და სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულება აქვთ. შიდა ქართლიდან სწრაფად და მოხერხებულად შეიძლება ქვეყნის პერიფერიულ ნაწილებთან დაკავშირება. რუსეთის ფედერაციასთან უშუალო მიმოსვლა კი როკის გვირაბითა და საქართველოს სამხედრო გზით ხდება.

შიდა ქართლი ისტორიული ქართლის ნაწილია. მისი ძველი სახელია "ზენა სოფელი", რომელიც მოიცავდა კავკასიონის, ფარავნის ტბის, ლიხის ქედსა და მდ.არაგვს შორის მოქცეულ ტერიტორიებს. მდ.მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს "გაღმამხარი" ეწოდებოდა. უძველესი დროიდან იგი ქართველური ტომების კონსოლიდაციის ცენტრი იყო. III ს-ში შექმნილ შიდა ქართლის საერისთავოში შედიოდა ტანისხევი, გუერდისძირი, ბაზალეთი, ქსნისხევი, ცხრაძმისხევი, აჩაბეთისხევი*.

---

*ტანისხევი – იგივე ატენის ხეობა, მდ.ტანის აუზი – ახლანდელი გორის რაიონის სამხრეთი ნაწილი, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთები. ადმინისტრაციული ერთეული ტანისხევის სახელით ცნობილი იყო IV -VII სს. ამ დროისათვის იგი მოიცავდა არა მარტო საკუთრივ ატენის, არამედ თექმის ხეობასაც. გუერდისძირი – ადმინისტრაციული ერთეული მდ.მდ. მეჯუდასა და პატარა ლიახვს შორის. ბაზალეთი – ისტორიული მხარე, რომელსაც, ვახუშტის განმარტებით, აღმოსავლეთიდან საზღვრავდა მოდ.არაგვი, სამხრეთიდან – ბოდაჯის ციხე და ტირის მთა, დასავლეთიდან – გრემის ხევი და ალევის მთა (ახლანდელი ალევის ხევი), ჩრდილოეთიდან – ქარილის მთა.


ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ
ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ
43 რაიონის ნომერი
ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ
1 დ. ეიდეანის
2 ი. შარაბიძის
3 ალ. ჯავახიშვილის
4 ი. ეიდეგბაშვილის
5 ი. ხერადენის
6 ივ. ჯავახიშვილის
7 ი. ქიქავიანის
8 დ. უერაანეანის
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ
1 ხითარეთის
2 ᲥᲐᲜᲘᲡ
3 ᲥᲐᲠᲐᲜᲘᲡ
4 ტირიფლისის
5 ᲝᲯᲣᲚᲔᲗᲘᲡ
6 ᲖᲔᲛᲝ ᲐᲕᲭᲐᲚᲘᲡ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲛᲖᲘᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ
1 ᲒᲝᲯᲝᲡᲘᲡ
2 ᲮᲔᲠᲐᲜᲘᲡ
3 ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ
4 ᲯᲝᲠᲘᲡ
5 ᲥᲚᲘᲡ
6 ᲨᲣᲠᲐᲜᲘᲡ
7 ᲑᲔᲠᲘᲡ

X-XI სს. მხარის პოლიტიკური ცენტრი იყო უფლისციხე. გვიანდელ საუკუნეებში შიდა ქართლში რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული – სათაყადო არსებობდა. მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ეკონომიკურმა დაწინაურებამ განაპირობა – აქ გადიოდა გზები ქვეყნის სხვადასხვა მხარისაკენ, მაგალითად, „ცხვრის გზა", „დიდი აბრეშუმის გზა".

XIX ს-ში ქართლ-კახეთის სამეფოში შემაკალი რეგიონი, როგორც თბილისის გუბერნიის ნაწილი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ტერიტორია ძირითადად მოიცავდა გორის (ბორჯომის, მიხაილოვის, სურამის, ხიდისთავის, ცხინვალის საბოქაულო უბნები) და დუშეთის (ბაზალეთის, მცხეთის, ქსნის) მაზრებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან ტრანსფორმირებულ იქნა ზემოთ აღნიშნული რაიონების საზღვრებში.

გეოგრაფიულად შიდა ქართლი მოიცავს საკმაოდ ვრცელ და არაერთგვაროვან ტერიტორიას, წარმოდგენილს როგორც კავკასიონის სამხრეთი და თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობებით, ისე მთათაშორისი ბარით. რეგიონის მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალმთიანია, რაც ზღუდავს მის მეურნეობრივ გამოყენებას. ძირითადი სამეურნეო პოტენციალი შიდა ქართლის ვაკესა და მთისწინეთებზე მოდის.

რთული რელიეფი ნიადაგსაფარის მრავალფეროვნებას განაპირობებს. შიდა ქართლის ვაკეზე გავრცელებულია მდელოს ალუვიურ-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ხელსაყრელია მარცვლეული კულტურების, ხეხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის მოსაყვანად. მთის ფერდობებზე კი ტყის ყავისფერი ნიადაგებია, რომლებიც ხელს უწყობს მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებას. უფრო ზემოთ, ამ ნიადაგებზე ტყის მასივები გვხვდება, რომლებსაც სათიბებისა და საძოვრებისათვის გამოსადეგი მთა-მდელოს ნიადაგები ენაცვლება.

შიდა ქართლში გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა (ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11°-ია, ნალექები – 500 მმ), რომელიც ძირითადად ხელსაყრელია მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. რეგიონის ჰავის პირობებში შესაძლებელია როგორც სოფლის მეურნეობის რიგი დარგების, ისე ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება.

შიდა ქართლის ვაკეს მთელ სიგრძეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მდ.მტკვარი კვეთს შენაკადებითურთ (ფრონე, ლიახვი, მეჯუდა, ლეხურა, ქსანი, არაგვი, ძამა, ტანა, თეძამი), რომლებიც მიმდებარე ტერიტორიების სარწყავად

ქსნისხეული –ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა ქსნის საერისთაოს ერთ-ერთ ნაწილს ცენტრით ყანჩაეთ-წირქოლში, მეორე ნაწილი იწოდებოდა ცხრაძმისხევად, რომლის ცენტრი ლარგვისი იყო.
ცხრაძმისხეული – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი მდ.ქსნის ხეობის ზემო წელში. მოიცავდა, აგრეთვე, მდ.მდ. ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ზემო ნაწილებს.
ანანურეთისხეული – VII ს-ში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მდ.ლიახვის მარჯვენა ნაპირზე.

გამოიყენება. ჰაკის სიმშრალის გამო თბილ პერიოდში აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების მორწყვა, რისთვისაც შეიქმნა არხების სისტემა – ტირიფონის (სიგრძე 48 კმ), ტაშისკარის (45 კმ), კეხვის (27 კმ), მუხრანის (25 კმ), ვანათის (14 კმ), სალთვისის (8კმ) და სხვ. მათი ნაწილი დღეისათვის არ ფუნქციონირებს.

შიდა ქართლის მდინარეები ნაკლებად გამოიყენება ენერგეტიკის თვალსაზრისით. სამაგიეროდ, მათ და ტბებს (ყელის, ერწოს, ბაზალეთის, ნადარბაზეკის, ტაბაწყურის, კახისის და სხვ.) მნიშვნელოვანი ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულება გააჩნიათ. მიმზიდველია აქაური ხეობები და მათი ცალკეული ადგილები, სადაც შეიძლება დასვენება, მზის აბაზანების მიღება, ლაშქრობების მოწყობა და სხვ.

ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია ტყეები, რომლებსაც ძირითადად საკურორტო, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციები აქვთ. რეგიონში ტყიანობის კოეფიციენტი 57,4-დან (ბორჯომის რ-ნი) 32,0%-მდე (კასპის რ-ნი) მერყეობს. უკანასკნელ ხანებში ტყეების უკანონო ჭრის ფონზე მნიშვნელოვან ბუნებისდაცვით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნა, რომლის ტერიტორია შიდა ქართლის ფარგლებშიც (ბორჯომის და ხაშურის რ-ნების ნაწილი) ექცევა. იგი ხელს შეუწყობს როგორც ტყეების, ცხოველთა და ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვას, ისე ტურისტულ საქმიანობას.

სასარგებლო წიაღისეულიდან აქ გვხვდება ანდეზიტი (ბაკურიანის მიდამოებში), კირქვები (მცხეთის რ-ნში), ტუფი (ძეგვთან), კკარც-მინდვრისშპატიანი ქვიშები (სურამში). აღსანიშნავია კასპის მერგელები. რეგიონისათვის მნიშვნელოვანია ჰიდრომინერალური რესურსები, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ბორჯომის ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი სუბთერმული და თერმული სამკურნალო წყლები. ასევე გასათვალისწინებელია გორიჯვრის, მიტარბის, ჯაკის, ბაღიათის, წაღვერის, ციხისჯვრის, ბიისის, კოდიბინის, კეხვის, ახალდაბის, ლიკანის და სხვ. მინერალური წყლები. მდიდარი ჰიდრომინერალური რესურსები ადგილობრივ ჰავასთან და ბუნებრივ ლანდშაფტებთან ერთად, საუკეთესო პირობებს ქმნის ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის.

მოსახლეობა. შიდა ქართლის მოსახლეობამ 2000 წ. 1 იანვრისათვის 472 ათას კაცს გადააჭარბა, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობის 10,2%-ს შეადგენს. ხალხმრავლობით გამოირჩევა გორის რაიონი (162,9 ათასი კაცი ქალაქთან ერთად), რომელიც სიდიდით მხოლოდ ზუგდიდის რაიონს (171,2 ათასი) ჩამოუვარდება და გურიის მთელ მოსახლეობას (143,7 ათასი) აჭარბებს. მცხოვრებთა რაოდენობით ხაშურის (64,4 ათასი კაცი) და მცხეთის (61,4 ათასი კაცი) რაიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ლიდერ რაიონს.

რეგიონში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე - 49,2 კაცი 1 კმ²-ზე ჩამორჩება რესპუბლიკურ მაჩვენებელს (63). მოსახლეობა რეგიონის ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. უმეტესობა ცხოვრობს ბარის ზონაში – მდინარეების მტკვრის, ლიახვის, ქსნის, არაგვისა და ფრონეს ხეობებში და ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ. ხოლო კავკასიონის სამხრეთი და თრიალეთის ჩრდილო ფერდობები გაცილებით მეჩხერადაა დასახლებული. 1989 წ. აღწერით, ქართველების რაოდენობა 70%-ს აღემატებოდა, ხოლო ოსების ხვედრითი წილი 20%-ს აღწევდა. მათ გარდა რეგიონში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები.

XX ს. უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა რეგიონის მოსახლეობის მიგრაციული გააქტიურება გამოიწვია. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო ოსებს, რომლებიც გორის, ბორჯომისა და მცხეთის რაიონებში ცხოვრობდნენ. ემიგრაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, სადაც მათი რაოდენობა, 1989 წ-თან შედარებით, დაახლოებით 20 ათასით შემცირდა (გუგუშვილი, 1998).

რეგიონი ყოველთვის გამოირჩეოდა აგრარული წარმოების განვითარებით. ამიტომ, აქაური მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (თითქმის 3/5) ცხოვრობს სასოფლო დასახლებებში, რომლებიც ძირითადად მებაღეობა-მემინდვრეობის ტიპის სოფლებს წარმოადგენენ. სასოფლო დასახლებული პუნქტების საშუალო სიდიდე შიდა ქართლში 544 მცხოვრებია (ჯაოშვილი, 1996). სოფლებს შორის დაახლოებით ნახევარი მოდის დიდ და მსხვილ სოფლებზე. გვხვდება ასევე უმსხვილესი სოფლებიც (დიღომი, მუხრანი, რუისი და ა.შ.), მეორე ნახევარს კი კავკასიონის ქედებისა და თრიალეთის ფერდობებზე შეფენილი მცირე სასოფლო დასახლებები შეადგენენ.

შიდა ქართლში 8 ქალაქი (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური, მცხეთა, ბორჯომი, ღუმეთი, ცხინვალი) და 11 დაბაა (აგარა, ყორნისი, სურამი, ზაჰესი, ახალგორი, ახალდაბა, ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი, ჟინვალი და ჯავა). აქ მცხოვრებთა საერთო რაოდენობა (199,9 ათასი კაცი) რეგიონის მთელი მოსახლეობის 42,3%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით შიდა ქართლი მხოლოდ იმერეთს, აჭარას და ქვემო ქართლს ჩამორჩება. მხარეში ურბანიზაციის ყველაზე მაღალი დონეა ბორჯომის (69,7%) და ხაშურის (65,7%), დაბალი კი – ქარელის (22,7%) რაიონებში.

სიდიდით და მნიშვნელობით გამორჩეულია „ქართლის გულად" წოდებული, საქართველოს ისტორიული ქალაქი – გორი (68,2 ათასი კაცი), აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კულტურულ-ადმინისტრაციული და სამრეწველო-სატრანსპორტო ცენტრი. იგი ადგებარეობს მდ.მდ.მტკვრის, ლიახვისა და მეჯუდის შეყრის ადგილზე. სახელწოდება „გორი" წარმოსდგება ქალაქში აღმართული

კლდოვანი გორაკისაგან, რომელზეც ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ააგეს ციხე-სიმაგრე. დავით აღმაშენებელმა ქართლისათვის გორის მნიშვნელობა გააძლიერა და მან უფლისციხის ადგილი დაიკავა. მოსახლეობის გაზრდის მიზნით მეფემ აქ ვაჭარ-ხელოსნები ჩაასახლა. გორი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და სავაჭრო გზათა გადაკვეთაზე მდებარე სამეფო ქალაქი გახდა და მისი დაუფლება შიდა ქართლზე პოლიტიკურ ბატონობას ნიშნავდა. ამიტომ საუკუნეების მანძილზე მას მრავალი მტერი არბევდა. გორის არსებითი ზრდა XIX ს-დან დაიწყო, როდესაც იგი მაზრის ცენტრად და საქართველოს ერთ-ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა. აქ დაარსდა სასულიერო და სამაზრო სასწავლებლები, სამასწავლებლო ანუ საოსტატო სემინარია, ქალთა არასრული გიმნაზია. სემინარიის ბაზაზე უკვე საბჭოთა პერიოდში (1939 წ.) შეიქმნა ნ.ბარათაშვილის სახ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ათწლეულების მანძილზე მთელი საქართველოსთვის სხვადასხვა პროფილის მასწავლებლებს ამზადებდა. 1999 წ. მას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა.

გორი ცნობილია თავისი ინტელიგენციით, კულტურული და სპორტული ცხოვრებით. დიდი ხნის თეატრალურმა ტრადიციებმა ხელი შეუწყო 1934 წ. გ.ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსებას, სადაც მრავალი ცნობილი რეჟისორი და მსახიობი მოღვაწეობდა. გორი მოჭიდავეთა დაოსტატების საქვეყნოდ აღიარებული ცენტრია. აქაურმა სპორტსმენებმა მრავალი გამარჯვება მოიპოვეს ოლიმპიადებზე, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე.

გორში ფუნქციონირებს აკად.ივ. ჯავახიშვილისა და პროფ.ს.მაკალათიას თაოსნობით დაარსებული სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ასევე დიდების მუზეუმი, იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის კომპლექსი. გორის ციხესა და მის გარემოს ორგანულად ერწყმის ციხის ძირში არსებული გამარჯვების მემორიალი, რომლის ავტორებს (მოქანდაკე ე.ამაშუკელი, არქიტექტორი ვ.დავითაია) სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

სიდიდით რეგიონის მეორე ქალაქია საქართველოს მსხვილი სატრანსპორტო ცენტრი – ხაშური (32,3 ათასი კაცი), რომელსაც 1872-1917 წწ. მიხაილოვს უწოდებდნენ, 1918-28 წწ. – ხაშურს, 1928-34 წწ. – სტალინისს. 1872 წ. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ხაშური მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძად იქცა, რამაც ხელი შეუწყო მის სამრეწველო ზრდას. XIX ს-ის 80-იან წლებში აქ გაიხსნა: საორთქლმავალო დეპო, ვაგონშემკეთებელი სახელოსნო, ნავთობსაქაჩი, შემდგომში კი მექანიკური, შუშის, კვების მრეწველობის, საქსოვ-საგალანტერეო საწარმოები და სხვ. ქალაქში გააქტიურდა საზოგადოებრივი ცხოვრება. დღეს ხაშური სამცხეში, იმერეთსა და ქართლში მიმავალი გზების თაკშეყრის უმნიშვნელოვანესი კვანძია.

ისტორიული თორის გულია საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი ბორჯომი (19,6 ათასი კაცი), გაშენებული ზღვის დონიდან 800-900 მ სიმაღლეზე, მდ.მდ.მტკვრის, ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის ნაპირებზე. XV-XVIII სს. დღევანდელი ბორჯომის ადგილზე რამდენიმე სოფელი იყო (ნუა, ფაფა, ჭალა და სხვ.). ქალაქის დაარსება აქ აღმოჩენილმა მინერალურმა წყალმა განაპირობა, თუმცა ბორჯომის წყლებს სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებდნენ, რაზეც მიუთითებს აქ აღმოჩენილი I ს. ნაგებობად მიჩნეული თლილი ქვით ნაშენი აბაზანების ნაშთები. ბორჯომის ხეობა გვიანი ფეოდალური ხანიდან თავად ავალიშვილებს ეკუთვნოდათ. 1871 წლიდან კი კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულად იქცა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მის კეთილმოწყობას და კურორტად გადაქცევას. XIX ს ბოლოს ააგეს მინის ტარის ქარხანა, 1891 წ-დან კი დაიწყეს „ბორჯომის" მინერალური წყლის ჩამოსხმა.

რელიეფისა და მიკროკლიმატის თავისებურებების მიხედვით ქალაქში რამდენიმე უბანი გამოიყოფა. მათგან მკურნალობისათვის განსაკუთრებული პირობებით გამოირჩევა ლიკანი, ფაფა და პლატო. ქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი ბორჯომ-პარკი ძვირფასი მინერალური წყლების გამოსასვლელებითა და ულამაზესი ბუნებით. აქვე, 1965 წ. პარკის პლატოსთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა აიგო. „პლატო" გამოირჩევა მშვენიერი პანორამული ხედებისა და დასასვენებელი ობიექტების სიუხვით. 1892-95 წწ. დიდი მთავრისათვის ლიკანში აშენდა სასახლის კომპლექსი და მოეწყო პარკი, რომელიც დღესაც ატყვევებს დამსვენებლებსა და ექსკურსანტებს სილამაზითა და სამკურნალო თვისებებით.

ბორჯომი საქართველოს უმნიშვნელოვანესი საკურორტო აგლომერაციის ცენტრია, რომელიც მიმდებარე კურორტებთან (ცემი, ლიბანი, წაღვერი, ტბა, ბაკურიანი) 1902 წ. გაყვანილი ბორჯომი-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით არის დაკავშირებული. "კუკუშკად" წოდებული მატარებელი კი თავად მოგვეცლინა თავისებურ რეკრეაციულ რესურსად თავისი ეგზოტურობის, რომანტიკულობის და ულამაზეს პეიზაჟებში შეღწევის უნარის გამო.

საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა (10,8 ათასი კაცი) მტკვრისა და არაგვის შერთვის ადგილზეა გაშენებული. ძვ.წ. III ს. დასაწყისიდან ახ.წ. VI ს-მდე იგი ქართლის დედაქალაქი იყო. მცხეთა გამოირჩეოდა ხელსაყრელი მდებარეობით, რადგან აქ თავს იყრიდა დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, ალბანეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზები, უძველეს საქალაქო ცხოვრებასა და კულტურაზე მიუთითებს აქ არსებული უამრავი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, რომელთა მნიშვნელობისა და სიმრავლის გამო მცხეთა 1968 წ. ქალაქ-მუზეუმად გამოცხადდა. ამ ფუნქციის ხელმშემწყობი პირობა იყო

ტრანზიტული ავტონაკადების აცილების მიზნით ქალაქის შემოვლითი ავტომაგისტრალის შექმნა.

მცხეთა ძირითადად გაშენებულია მდ. მტკვრის მარცხენა და მდ. არაგვის მარჯვენა სანაპიროებზე. თბილისის სიახლოვეს და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე მდებარეობა ააღვილებს ქალაქში ჩამოსვლას და ხელს უწყობს მცხეთის, როგორც მძლავრი ტურისტული ცენტრის განვითარებას.

მეურნეობა. შიდა ქართლი მეურნეობრივად საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი მხარეა, განვითარებული მრეწველობის რიგი დარგებით, ტრანსპორტით, სოფლის მეურნეობითა და ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიით. უკანასკნელ ხანებში მეურნეობის სექტორმა პოლიტიკურ მოვლენებთან და საკუთრების ფორმების შეცვლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო საწარმოების დიდი ნაწილი ვერ მუშაობს სრული დატვირთვით, ზოგ შემთხვევაში კი, დროებით გაჩერებულია, რაც იწვევს დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას და უმუშევართა რიცხვის ზრდას.

მრეწველობის დარგებიდან რეგიონში განვითარებულია როგორც მოპოვებითი, ისე გადამამუშავებელი დარგები. შიდა ქართლის სასარგებლო წიაღისეული (მერგელები, ტუფები, დოლომიტები, ტალკი, ანდეზიტი და სხვ.) ფართოდ გამოიყენება სამშენებლო მრეწველობაში. მოპოვებით მრეწველობაში აღსანიშნავია კასპის მერგელებისა და ბაკურიანთან ანდეზიტის მოპოვება. პირველი წარმოადგენს კასპის ცემენტის საწარმოს სანედლეულო ბაზას, მეორე კი – ქიმიურ მრეწველობასა და მშენებლობაში მყავაგამძლე ნაკეთობათა დასამზადებელ ტექნოლოგიურ ნედლეულს. განვითარებულია ასევე მსუბუქი, კვების, საშენ მასალათა მრეწველობა და ელექტროტექნიკური აპარატურის წარმოება. მსუბუქ მრეწველობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია გორის ბამბეულის კომბინატი (ამჟამად სააქციო საზოგადოება „ლაინი"), რომელსაც იმპორტული ნედლეულის ბაზაზე ათეულობით მილიონი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილის წარმოება შეუძლია. ბამბეულის ქსოვილების დამზადება რეგიონის სპეციალიზაციის დარგი იყო ყოველთვის და მისი პროდუქციის ძირითადი ნაწილი საექსპორტოდ იგზავნებოდა. ხაშურის საგალანტერეო ფაბრიკა (სს „გორგოტა") დროებით გაჩერებულია. რაიონში არის სამკერვალო ფაბრიკები.

კვების მრეწველობიდან აღსანიშნავია საკონსერვო ქარხნები, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით ხილისა და ბოსტნეულის მაღალხარისხოვან და მრავალი სახეობის კონსერვს ამზადებენ. უმსხვილესია გორის საკონსერვო ქარხანა, რომლის ბაზაზე შექმნილ სს „გორკონს" შეუძლია მილიონობით ქილა კონსერვისა და ხილის წვენების დამზადება. აღსანიშნავია აგრეთვე ქარელის, აგარისა და დუშეთის საკონსერვო ქარხნები. შიდა ქართლში ფუნქციონირებენ აგრეთვე საწარმოები, რომლებიც უშვებენ ღვინოს (მათ შორის ცქრიალა ღვინოებს),

ლუდს, ხდიან სპირტს. ისინი ძირითადად განლაგებულია გორში, კასპში, გომში, მცხეთაში, ხაშურში და მათ შემოგარენში.

კვების მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქარელის რაიონის დაბა აგარაში მოქმედ შაქრის საწარმოებს. აგარის შაქრის ქარხნის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოქმნილმა სააქციო საზოგადოებებმა („შაქრის კომბინატი" და „ქართული შაქარი") 1999 წ. გამოუშვეს 20 ათასი ტ შაქარი (საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2000).

შიდა ქართლის უმთავრეს მაპროფილებელ დარგს წარმოადგენს ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა, რომელსაც რამდენიმე საწარმო ახორციელებს. რაიონის საწარმოებს მინის ჭურჭლით ამარაგებენ ხაშურის სს „მინის ტარა" და ბორჯომის მინის ტარის ქარხნები. ბოლო ხანს კასპში ამოქმედდა ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი მინის ქარხანა.

რეგიონი ყოველთვის ცნობილი იყო საშენი მასალების წარმოებით. კასპის ცემენტის ქარხნის გარდა, რომელმაც 1999 წ. 2 ათას ტ-ზე მეტი ცემენტი გამოუშვა, დარგის მნიშვნელოვანი საწარმოებია მეტეხის აგურის ქარხნები (სს „მეტეხი" და „მეტეხის კერამიკა"), რომლებმაც იმავე წელს 4.8 მლნ ცალი სამშენებლო აგური დაამზადეს. კასპში არსებულმა სს „საქცეოლითმა" კი 83 ტ ცეოლითი მიიღო, რომელსაც სასუქად, წყლის გასაფილტრად, ნავთობის გასაწმენდად, რადიოაქტიური ელემენტების ამოსაკრეფად იყენებენ (საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2000).

ელექტროტექნიკური აპარატურის საწარმოებიდან აღსანიშნავია გორის საწარმოო გაერთიანება „დილა" და კასპის ქარხანა „ელექტროაპარატი", რომელთა მუშაობა, მრავალი ობიექტის მსგავსად, შეფერხებულია. გორში ასევე ფუნქციონირებს სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი შპალსაჭეჭენთი ქარხანა.

რეგიონში რამდენიმე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურია: ძამაჰესი ქარელში, ტირიფონჰესი ს.ქვეშში, ახალი მცირე ჰესი (ინდივიდუალური საწარმო) ს.ყარიანში, ჩითახევჰესი, ჟინვალჰესი და ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ელექტროსადგური ზაჰესი. თუმცა მათ მიერ გამომუშავებელი ელექტროენერგია ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნებს.

შიდა ქართლი ჩვენი ქვეყნის აგროწარმოების ისტორიული კერაა და ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში. წამყვანია მიწათმოქმედება, შედარებით სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა. ბარის რაიონებში თავმოყრილია ძირითადი ნათესი ფართობები, ბაღები, ვენახები, მეცხოველეობა კი უფრო მთიან ნაწილშია (ბორჯომის, ახალგორის, ჯავის) განვითარებული. ქვეყნის მასშტაბით რეგიონი მოწინავეა ბოსტნეულის, ხორბლისა და ხილის წარმოებით.

შიდა ქართლი ყოველთვის იყო ცნობილი ხეხილის ბაღებითა და ვენახებით. აქაური ხილი გამოირჩეოდა არომატითა და ხარისხით და ძვირად ფასობს როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. 1970-იანი წლების შუა პერიოდისათვის რეგიონში აღირიცხა მთელი საქართველოს ხეხილის ნარგაეების 40%-ზე მეტი, რომელიც ქვეყანაში აღებული ხილის მოსავლის თითქმის ნახევარს (46%) იძლეოდა (საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ..., 1979).

1990-იანი წლების დასაწყისში გაუქმდა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, ჩატარდა მიწების პრივატიზაცია. იმავე პერიოდში საქართველოში აღინიშნა მარცვლოვნების, კერძოდ, ხორბლის მწვავე დეფიციტი. ამას დაემატა ხეხილის ბაღებში გავრცელებული დაავადებები. შედეგად ბაღების გარკვეული ნაწილი გაიჩეხა და მათ ადგილზე ხორბალი დაითესა. პურის პრობლემის მოგვარების შემდეგ ისევ გაჩნდა ბაღების აღდგენის ტენდენცია. ამ ფონზე იზრდება კარალეთის სანერგე მეურნეობის მნიშვნელობა, რომელმაც მოსახლეობა საჭირო რაოდენობის ხარისხიანი ნერგებით უნდა უზრუნველყოს.

მეხილეობას ისტორიულად შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში მისდევენ. დღეისათვის რეგიონში საქართველოში ხილის მოსავლის დაახლოებით მეოთხედი (26%) – 77 ათას ტონაზე მეტი იწარმოება. მოსავლის რაოდენობით მას მხოლოდ იმერეთი (64,8 ათასი ტ) უახლოვდება. ხარისხოვანი ხილის წარმოებით გამოირჩევა გორის რაიონი, რომელიც პირველია საქართველოში. აქ ხილის ყოველწლიური მოსავალი 50 ათას ტ შეადგენს (საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2000). მაგრამ დღესდღეობით ძალზე რთულია ხილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა, რის გამოც საქართველო კარგავს გასაღების ბაზრის (რუსეთი) მნიშვნელოვან ნაწილს.

მევენახეობის განვითარებასაც რეგიონში ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნია. ვენახები გაშენებულია შიდა ქართლის აღმოსავლეთსა (მუხრანისა და საგურამოს ველებზე) და მთისწინეთებში. მართალია, განვითარების მასშტაბით იგი ჩამორჩება მეხილეობას (ქვეყნის ყურძნის მოსავლის მხოლოდ 8,6% – 18 ათასი ტონა), მაგრამ აქ იწარმოება მაღალხარისხოვანი შამპანურის ღვინო მასალა და საკონიაკე სპირტი.

მარცვლოვნებიდან აღსანიშნავია ხორბალი, რომლის მოყვანით (29,6%) შიდა ქართლი ქვეყანაში მხოლოდ კახეთის რეგიონს (40,9%) ჩამორჩება. ყველაზე მეტად გავრცელებულია საშემოდგომო ხორბალი, რომლის ნათესმა ფართობებმა 1999 წ. 32 ათასი ჰა, მოსავალმა კი – 63 ათას ტონას გადააჭარბა. ნათესი ფართობების მიხედვით მეორე ადგილზეა სიმინდი (18,7 ათ. ჰა), რომელიც როგორც სასურსათო, ისე სხვა დანიშნულებით გამოიყენება.

ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია შაქრის ჭარხალი, რომელიც შიდა ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილში მოჰყავთ, ძირითადად გორის, ქარელის, ხაშურისა და კასპის რაიონებში. ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად შემცირდა მისი ნათესი

ფართობები. 1980-იანი წლების დასაწყისში შაქრის ჭარხალს 3,6 ათას ჰა-ზე თესავდნენ და მოსავალი 50 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა. 1996 წ. ეს კულტურა მხოლოდ 100 ჰა-ზე დაითესა, მომდევნო წლების (1997-99 წწ.) სტატისტიკურ მონაცემებში კი ეს მაჩვენებელი საერთოდ აღარ ჩანს (საქ. სტატ. წელიწდეული, 2000), რაც გაუმართლებელია. აგარის შაქრის საწარმოებს, საკმარისი ნედლეულის არსებობის შემთხვევაში, ამ პირველადი მოთხოვნილების პროდუქტით ქვეყნის მთელი მოსახლეობის დაკმაყოფილება შეუძლია.

შიდა ქართლი ცნობილია ნაირგვარი ბოსტნეულით. მებოსტნეობის განვითარებას განაპირობებს დედაქალაქის სიახლოვე და შიდა ქართლის ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილება. რეგიონში დაფიქსირებულია ბოსტნეულის ყველაზე მაღალი საშუალო მოსავლიანობა საქართველოში – 136 ც/ჰა. ბოსტნეულის ნათესები 9,8 ათას ჰა აღემატება, მოსავალმა კი 125 ათას ტონას გადააჭარბა.

მეცხოველეობის დარგებიდან უპირატესად განვითარებულია სარძეკე მესაქონლეობა. ნაკლებად – მეღორეობა და მეცხვარეობა. 1999 წ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 109 ათასს აღემატებოდა, ღორისა – 33 ათასს, ცხვრისა და თხისა კი 43 ათასის ფარგლებში იყო. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეფრინველეობის ზრდას. იმავე წელს რეგიონში 800 ათასამდე ფრინველს ითვლიდნენ. მეფრინველეობის მძლავრი ფაბრიკები ფუნქციონირებდა მევჯრისხევში, გომში, ნოსტეში. 1990-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად შემცირდა მეცხოველეობის თითოეული დარგის მიერ წარმოებული პროდუქცია, რაც უარყოფითად აისახა მოსახლეობის საქონლისა და ფრინველის ხორცით, რძით, კვერცხით მომარაგებაზე.

ტრანსპორტის სახეობებიდან შიდა ქართლში წარმოდგენილია სარკინიგზო, სააუტომობილო და მილსადენი ტრანსპორტი, რომლებიც ეშსახურება როგორც ადგილობრივ მოთხოვნებს, ასევე ასრულებს ტრანზიტულ ფუნქციას. აღნიშნულ ტრასებს ძირითადად განედური მიმართულება აქვთ, თუმცა მერიდიანული განშტოებებიც გამოეყოფა. მათ შორის სარკინიგზო ხაზებია: გორი-ცხინვალი, ხაშური-სურამი, ხაშური-ბორჯომი, რომელიც მოგვიანებით გაგრძელდა ახალციხე-ყალემდე. ასევე აღსანიშნავია ვიწროლიანდაგიანი განშტოება ბორჯომი-ბაკურიანი. დღეისათვის რეგიონის რკინიგზა მთლიანად ელექტრიფიცირებულია, ცენტრალური მაგისტრალი კი ორლიანდაგიანია, რაც ზრდის მოძრაობის სიჩქარეს და მის გამტარუნარიანობას.

შიდა ქართლი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფილია სააუტომობილო ტრანსპორტით. მის მთელ ტერიტორიას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რკინიგზის მსგავსად, კვეთს მაგისტრალური ავტოტრასა, რომელიც რეგიონის დასავლეთ საზღვართან ორად იყოფა ბორჯომისა და ზესტაფონის მიმართულებით.

რიკოთის გვირაბის გაჭრის შემდეგ გზა შემოკლდა და გაუმჯობესდა ტვირთებისა და მგზაურების მოძრაობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის.

გორიდან საავტომობილო გზა როკის გვირაბით ჩრდილო კავკასიას უკავშირდება, მეორე ხაზი კი ცხინვალის გაკლით რაჭისაკენ მიემართება. ამასთან, შიდა ქართლი მის მეზობელ იმერეთის ძლიერ რეგიონს ორი საავტომობილო განშტოებით უკავშირდება: გომი–საჩხერე და ხაშური–ზესტაფონი. ამ ძირითადი ავტოგზების გარდა, შიდა ქართლის პერიფერიულ მთაგორიან ადგილებში გაყვანილია მერიდიანული მიმართულების ადგილობრივი დანიშნულების მოხრეშილი გზები, რომელთა საერთო სიგრძე 1500 კმ აღემატება.

რეგიონზე გადის ასევე მნიშვნელოვანი ნავთობსადენი ბაქო–თბილისი–სუფსა და გაზსადენები (ვლადიკავკაზი–თბილისი–ქუთაისი) თავისი განშტოებებით.

შიდა ქართლს ძალზე ხელსაყრელი წანამძღვრები გააჩნია ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებისათვის. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გარდა, რეგიონში აღნიშნული მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს: ა) მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა მთავარ სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებზე, რის გამოც აქ არსებული კურორტები და საკურორტო ადგილები ადვილად მისა-დგომია დამსვენებლებისათვის; ბ) რეგიონის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე და დედაქალაქის სიახლოვე, რაც განაპირობებს მკურნალობასა და დასვენებაზე მზარდი მოთხლოვნილებების არსებობას, ასევე შესაბამისი დაწესებულებების შრომითი რესურსებით უზრუნველყოფას; გ) კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელიც ხილ-ბოსტნეულითა და მეცხოველეობის პროდუქციით ადგილობრივი ტურისტული ობიექტების მომარაგების საშუალებას იძლევა.

რეგიონს მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული ფუნქციის შესრულება ძალუძს – აქ შესაძლებელია როგორც სამკურნალო, ისე საოჯახო, სანადირო, სათევზაო, სპორტული, სამთო-სათხილამურო, შემეცნებითი, ხანმოკლე თუ გრძელვადიანი დასვენების ორგანიზება.

შიდა ქართლის ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარების ისტორიაში ოთხი ეტაპი იკვეთება: პირველი ეტაპისათვის (XIX ს-ის 30-იანი წლებიდან 1921 წლამდე) დამახასიათებელი იყო საზაფხულო დასვენება და მკურნალობა ბორჯომის რაიონის ფარგლებში, რაც ხელმისაწვდომი იყო უპირატესად რუსეთის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებისა და თბილისის მოსახლეობის შეძლებული ფენებისათვის.

მეორე ეტაპზე (1921-50-იანი წლების დასაწყისი) გაძლიერდა რეგიონის საკურორტო ფუნქცია, წამყვანი გახდა „საოჯახო დასვენება" და ბორჯომი იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კურორტად.

მესამე ეტაპისათვის (1950-დან 80-იანი წლების ბოლომდე) დამახასიათებელია ბავშვთა გაჯანსაღების საუკეთესო კერის – სურამის ფუნქციონირების გაფართოება და ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება ბაკურიანში, ე.ი. საზაფხულო დასვენებას დაემატა სპორტის ზამთრის სახეობები. საექსკურსიო საქმიანობის აღმავლობამ შეცვალა რაიონის სპეციალიზაცია – თუ მანამდე გამოკვეთილი იყო ძირითადად დასვენება და მკურნალობა, ახლა მათ დაემატა სპორტის და დასვენების აქტიური სახეობები (კობახიძე, 1979).

მეოთხე ეტაპზე (1990-იანი წლებიდან) კიდევ უფრო გაძლიერდა რეგიონის სამთო-სათხილამურო ფუნქცია, ისევ ძალზე მნიშვნელოვანია მკურნალობა და ვითარდება კონგრეს-, ბიზნეს- და შოფ-ტურიზმი. ყველაზე ფართოდ მეცნიერები და საქმიანი ადამიანები შეხვედრებისათვის იყენებენ ბორჯომისა (ლიკანი) და ბაკურიანის საკურორტო ობიექტების კონფერენცდარბაზებს. შოფ-ტურიზმი კი მთელი რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მცირე ბიზნესის საფუძვლად იქცა, მათი უმეტესობა ამ მიზნით ძირითადად თურქეთსა და რუსეთში მოგზაურობს.

შიდა ქართლში 21 კურორტი ფუნქციონირებს ანუ საქართველოში არსებული კურორტების მეხუთედი. მათგან უმეტესობას შეადგენენ კლიმატური კურორტები (ბორჯომის ზონის კურორტები და სურამი), შემდეგია შერეული ფუნქციის (ბორჯომი, ქვიშხეთი, ყანჩავეთი, წაღვერი, გორიჯვარი, ბიისი და ახალდაბა) და ბოლოს – ბალნეოლოგიური (ხოვლე, ბაღიათა, ჯავა, ნაგუთნი და კოდიბინი) ტიპის კურორტები. აღნიშნულის გარდა, რეგიონში აღრიცხულია 30-ზე მეტი საკურორტო ადგილი, რომლებიც მომავალში შეიძლება კურორტებად გადაიქცნენ.

დარგის განვითარებით გამოირჩევა ბორჯომ-სურამის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი, სადაც თავმოყრილია 12 კურორტი – თვით ბორჯომი, სურამი, ქვიშხეთი, ლიბანი, ჩითახევი, ტბა, ცემი, პატარა ცემი, ახალდაბა, წაღვერი, ბაკურიანი და ციხისჯვარი. მათ განსხვავებული საკურორტო ფუნქცია გააჩნიათ: ბორჯომში კუჭ-ნაწლავთა დაავადებებს მკურნალობენ, სურამში – ნერვული სისტემის, მოძრაობის ორგანოთა და ბავშვთა დაავადებებს, ლიბანსა და ჩითახევში – ტუბერკულოზს, დანარჩენი კურორტები კი ჯანმრთელობის აღდგენისა და გაკა-ჟებისათვის გამოიყენება.

საბჭოთა პერიოდში მთელი დატვირთვით ფუნქციონირებდა კურორტი ჯავა. აქ მრავალი ტურისტი ისვენებდა და მკურნალობდა, ასხამდნენ მინერალურ წყალს „ძაუს". მოგვიანებით პოლიტიკური მოვლენებისა და მიწისძვრის შედეგად კურორტი გაპარტახდა. რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობენ ბალნეოლოგიური კურორტები – გორიჯვარი და ხოვლე.

ღისშეესანიშნაობები. ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გარდა, რეგიონი მდიდარია ასევე ისტორიული ძეგლებით. აღსანიშნავია სხვადასხვა პერიოდის

ეკლესია-მონასტრების სიმრავლე: ჯვარი (VI ს.), გორიჯვარი (VI-VII ს.), შიომღვიმე (VI-XVIII სს.), ატენის სიონი (VII ს.), წრომი (VII ს.), XI ს. ულამაზესი ტაძრები – სვეტიცხოველი, სამთავრო, სამთავისი, ქვათახევი, უფრო მოგვიანო – ტიმოთესუბანი (XII-XIII სს.), ყინწვისი (XII ს.) თავისი უბადლო ფრესკებით, დაბის ეკლესია (XIV ს.), ანანური (XVI-XVII სს.), ციხე-სიმაგრეები – გორის (ძვ.წ. I ათასწ.), ბებრის (ადრინდელი შუა საუკუნეები), სურამის (შუა საუკუნეები), ქსნის (XVI ს. დასაწყისი), კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი უფლისციხე (ძვ.წ. I ათასწ. I ნახევარი), ისტორიული სოფლები რუისი და ურბნისი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები (გორის, ბორჯომის, მცხეთის, ხაშურის), მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები (ი.გოგებაშვილის ვარიანში, ი.მაჩაბლის – თამარაშენში, ნ.ლომოურის – არბოში, ალ.ჯავახიშვილის – ძევერაში, ივ.ჯავახიშვილის – ხოვლეში, ი.ჭავჭავაძის – საგურამოში, იოსებ სტალინის – გორში, მ.ჭიაურელის – დიღომში, მ.მამულაშვილის – მცხეთაში, დ.ყიფიანის – ქვიშხეთში) და ა.შ.

შიდა ქართლში გადის მრავალი ტურისტული მარშრუტი: მცხეთა–შიომღვიმე, მცხეთა–ქვათახევი, მცხეთა–ბაზალეთი–ანანური–გუდაური, მცხეთა–ჯვრის უღელტეხილი–დარიალის ხეობა–ვლადიკავკაზი, გორი–ატენის სიონი, გორი–უფლისციხე, ქარელი–ყინწვისი, ქარელი–სამწევრისი–წრომი–ხცისი–ხაშური–სურამი, ბორჯომი–ცხრაწყაროს უღელტეხილი, ბორჯომი–ვარძია, ბორჯომი–აბასთუმანი–მთიანი აჭარა–ბათუმი და სხვ.

ქვემო ქართლი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. ქვემო ქართლი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. აღმოსავლეთით ესაზღვრება კახეთი, დასავლეთით – ჯავახეთი, ჩრდილოეთით – შიდა ქართლი, სამხრეთით – სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი აზერბაიჯანი.

წარსულში ქვემო ქართლის არახელსაყრელი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა მისი მძიმე ისტორიული ბედის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო: წარმოადგენდა რა ბუნებრივად შედარებით დაუცველ განაპირა პროვინციას, მას ხშირად უხდებოდა სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოჭრილ დამპყრობთა პირველი დარტყმების მიღება. ამ გარემოებამ მეტად უარყოფითი გავლენა იქონია რეგიონის მკვიდრი მოსახლეობისა და სამეურნეო-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაზე.

ისტორიული ქვემო ქართლი, თანამედროვე ტერიტორიასთან შედარებით, მეტ სივრცეს მოიცავდა. მასში შედიოდა: თრიალეთი, ალგეთი, ქციის ხრამი, დმანისის ხეკი ზურტაკეტით, სომხითი, ტაშირი, ყაუყული, ბერდუჯი (დებედა) და ბამბაკი (ვახუშტი, 1997). სპარსეთისა და ოსმალეთის გაუთავებელმა აგრესიამ მისი ტერიტორიის ნაწილები დროთა განმავლობაში საქართველოს მოსწყვიტა და ერთ ხანს აყვავებული მხარე სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა. ქართველთა ძირძველ და დაცარიელებულ მიწებს მომთაბარე ტომები დაეპატრონენ, ხოლო რუსეთის მმართველობის პერიოდში, გათათრებულ მხარეს გეგმაზომიერად ჩამოსახლებული სხვა არაქართული დიასპორები დაემატა. მაშინდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, რეგიონის ტერიტორია ბორჩალოს და თბილისის მაზრების ფარგლებში შედიოდა. ხოლო ამჟამად ქვემო ქართლი, რომლის ფართობი 6,4 ათას კმ² ანუ ქვეყნის 9,2% შეადგენს, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის და წალკის რაიონებით არის წარმოდგენილი.

რეგიონს სამხრეთ კავკასიაში ცენტრალური მდებარეობა უკავია და უშუალოდ იმყოფება თბილისის საედაქალაქო და სამეურნეო გაულენის სფეროში. სახმელეთო გზებით კარგად არის დაკავშირებული მოსაზღვრე რეგიონებთან, ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთთან. ამდენად, ქვემო ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელია მისი სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების და სამეურნეო განვითარებისათვის.


ქვემო ქართლი
44
45
46
47
52
53
VII
ბოლნისი
ბაზალეთი
ბაზალეთი
ბოლნისი
ბაზალეთი
ბაზალეთი
ბაზალეთ

ბუნებრივი რესურსები. გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები ქვემო ქართლის სამეურნეო განვითარებისათვის საკმაოდ ხელსაყრელ წანამძღვრებს ქმნის. ტერიტორიის ნახევარზე მეტი ზღვის დონიდან 1000 მ-ზე ზემოთ მდებარეობს, თუმცა რელიეფის თავისებურებები, მოსწორებული ზედაპირების ფართო გავრცელება დამუშავებისათვის ვარგისი მიწების შედარებით სიმრავლეს (ტერიტორიის მეოთხედამდე) განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო დამუშავებაშია არა მხოლოდ ბარის მიწები, არამედ მაღალმთიან პლატოებზე და ქვაბულებში მდებარე ნაკვეთები.

მეურნეობრივი და სამოსახლო ათვისებისათვის მეტად ხელსაყრელ ფონს მხარის კლიმატური პირობებიც ქმნის. იგი მდებარეობს კონტინენტურ-სუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულ კლიმატზე გარდამავალ ზონაში. ქვემო ქართლის მდებარეობის მრავალფეროვანი ,ჰიფსომეტრიული სპექტრის გამო კლიმატური და, პირველ რიგში, აგროკლიმატური პირობები, ვერტიკალური ზონალურობით ხასიათდება – სუბტროპიკული მშრალი ზონიდან დაწყებული აღმოსავლეთ ნაწილში და ზომიერად ნოტიო კლიმატით (ციცი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხული) დამთავრებული – დასავლეთში. თუ მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში ირიგაცია აუცილებელია, დასავლეთ მთიან ნაწილში (წალკის, დმანისის რაიონები) დაბალი თერმული რეჟიმი სითბოსმოყვარული ინტენსიური კულტურების გავრცელებას შეუძლებელს ხდის. ნალექების დეფიციტი შეიმჩნევა მხარის აღმოსავლეთში (400 მმ-ზე ნაკლები), ხოლო დასავლეთში, თერმული რეჟიმის საწინააღმდეგო მსვლელობის პირობებში, იგი მატულობს და 600 მმ-მდე იზრდება.

მხარის ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია წყლის რესურსები. მდინარეებს (მტკვარი, ხრამი, დებედა, მაშავერა, ალგეთი) დიდი ვარდნა და მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია. ამავე დროს მდინარეები ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად. საკმაოდ დიდი დებიტი ახასიათებს წყაროებს: ავრანლოს, დაშბაშის, ალუთლოს და სხვ., რომელთა ნაწილს მოსახლეობა სასმელად იყენებს. ტბებიდან აღსანიშნავია კუმისი და ჯანდარი. ამ უკანასკნელის წყლები ზაფხულის განმავლობაში სარწყავადაა გამოყენებული. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შეიქმნა წალკის წყალსაცავი.

მხარის დიდ სიმდიდრეს მისი ნიადაგსაფარი წარმოადგენს, რომელიც მრავალ-ფეროვნებით გამოირჩევა. სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავია წაბლა და რუხ-ყავისფერი ნიადაგები (ძირითადად მარნეულის და გარდაბნის ვაკეებზე), სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ხეხილი, ბოსტნეული, ხორბლის და სიმინდის ნათესები, თამბაქო, ვაზი. მთის შავმიწა და მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ ნაწილში – წალკის, გომარეთის, დმანისისა და სხვა მთიან ვაკეებზე. ეს ნიადაგები საკმაოდ

ნაყოფიერია და გამოიყენება კარტოფილის, საკვები კულტურების, ხოლო შედარებით დაბალმთიან ზონაში – მარცვლეულის მოსაყვანად. მხარის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში განვითარებულ მთა-მდელოს ნიადაგებზე აღმოცენებული სუბალპური და ალპური ბალახები საუკეთესო საძოვრებს წარმოადგენენ.

ქვემო ქართლის მცენარეულ საფარში საკმაოდ დიდი ადგილი (მხარის ტერიტორიის თითქმის მეოთხედი) ტყეებს უკავია. ძირითადი ტყისშემქმნელი ჯიშებია: მუხა, რცხილა, წიფელი. ტყეებს უმთავრესად ნიადაგდაცვითი, წყალ-შენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა აქვთ.

რეგიონი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ლითონური წიაღისეულიდან ძირითადია მადნეულის სპილენძისა და პოლიმეტალების საბადო, რომელიც დიდი რაოდენობით ბარიტსაც შეიცავს. გარდაბნის რაიონში წარმოდგენილია სამგორ-პატარძეულის ნავთობის საბადოს დასავლეთი ნაწილი. მინერალური სამშენებლო მასალებიდან აღსანიშნავია მარმარილო, ტუფი, გრანიტი, ანდეზიტი, ბაზალტი, ინერტული მასალები. მარნეულის რაიონში, რკინიგზის სადგურ სადახლოდან 7-8 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს მაღალი ხარისხის კირქვების საბადო (გამოიყენება როგორც საფლუსე მასალა). ალგეთის ლითოგრაფიული ქვის (გამოიყენება პოლიგრაფიულ მრეწველობაში) საბადო თრიალეთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს.

სადახლოს (მარნეულის რ-ნი) მარმარილოს საბადო გამოირჩევა სოლიდური მარაგით, ხარისხით და ხელსაყრელი სატრანსპორტო მდებარეობით. ასევე ცნობილია ბოლნისის მაღალხარისხოვანი ყვითელი ტუფის საბადო. მეტად მნიშვნელოვანია ინერტული სამშენებლო მასალა – სილა, ღორღი, ხრეში, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება მდინარეების (მტკვარი, ალგეთი, ხრამი) და მათი შენაკადების ხეობებში.

მოსახლეობა. ქვემო ქართლი ძველთაგანვე დიდი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა. შუა საუკუნეებში მის ტერიტორიაზე მრავალი უცხო ტომის ხალხი დასახლდა. ქართველთა საბოლოოდ ამოგდების მიზნით, XVII ს. დასაწყისში აოხრებულ ქვემო ქართლში შაჰ-აბასმა ჩაასახლა თათრული ტომი ბორჩალუ (ვახუშტი, 1997). XVIII ს-ში კი მოსახლეობა ისე იყო შეთხელებული, რომ ერთ სოფელზე მხოლოდ 3-5 კომლი მოდიოდა (ლორთქიფანიძე, 1935). ამიტომ ერეკლე II, შემდეგ კი გიორგი XIII, ბოლნისსა და მამავერას ხეობაში ყარაბაღიდან წამოსული სომხები დაასახლა, ხოლო ალაკერდისა და ახტალის სპილენძის საბადოებზე სამუშაოდ ხელოსანი ბერძნები მოიწვია (ამჟამად ეს ტერიტორია სომხეთის ფარგლებშია).

რუსეთთან შეერთების შემდეგ კოლონისტების ტალღა კიდევ უფრო გაძლიერდა. 1819 წ. გერმანიიდან (ვიურტემბერგის მიწა) წამოსული 116 კაცი ბორჩალოს მაზრაში (ბოლნისი) დაასახლეს. 1857 წ. წალკის რ-ში გერმანელთა 38 ოჯახი ჩამოასახლეს,

რომელთაც ქართულ ნასახლარზე (ს.თრიალეთში) კოლონია როზენბერგი შექმნეს. გენერალ პასკევიჩის ინიციატიკით 1829-1831 წწ. თურქეთიდან წალკის რ-ში ბერძნები (1000 კომლზე მეტი) და სომხები დაასახლეს. სომხების თანდათანობითი ჩამოსახლება შემდგომშიც გაგრძელდა. რუსი მოსახლეობა ძირითადად რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ სექტანტებს – დუხობორებს, მალაკნებს წარმოადგენდა. რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი იყვნენ თათრები. ქართველთა სოფლები, როგორც ნაშთი ოდესღაც მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობისა, მხოლოდ აქა-იქ იყო ჩაწინწკლული.

აღსანიშნავია, რომ იმიგრანტი ხალხების ასიმილაცია არ ხდებოდა და ყოველმა მათგანმა თავისი ენა და სარწმუნოება შეინარჩუნა (მხოლოდ ბერძნებმა აითვისეს ენად თურქული, თუმცა სარწმუნოებით ქრისტიანებად დარჩნენ).

შემდგომში მიგრაციულ პროცესებს ბევრად უფრო შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. 1940-იან წლებში ქართველების მოზრდილი ჯგუფი ჩასახლდა რაჭა-ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან და იქაური მკვიდრი ქართველი მოსახლეობა რამდენადმე შეივსო. ისინი დასახლდნენ ბოლნისში, ასურეთში, თამარისში, რატევანში, რაჭისუბანში. მარნეულის ველზე შეიქმნა ორი ქართული სოფელი – წერეთელი და ორჯონიკიძე. 80-იან წლებში სვანეთში სტიქიური მოვლენების გამო დმანისში სვანების დიდი ჯგუფები ჩასახლდა.

რთული ისტორიული წარსულის ექოა ბევრ არაქართულ სოფელში შემორჩენილი ეკლესიები (ქართული წარწერებით) და ქართული მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები. დღეისათვის მკვიდრი ქართული მოსახლეობა ძირითადად თეთრიწყაროს რაიონის ფარგლებში – ალგეთის ხეობაშია განსახლებული. დანარჩენ რაიონებში ქართული სოფლები 1950-იან წლებში აღდგა. 1926-70 წწ. ქართველების რიცხვი გაორკეცდა, თუმცა რიცხოვნობით ისინი ჩამორჩებოდნენ აზერბაიჯანელებს, ბერძნებს და სომხებს.

რეგიონში ყველაზე მეტი რაოდენობით არიან აზერბაიჯანელები (უმთავრესად გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და ნაწილობრივ, დმანისის რაიონებში). კომპაქტურად ბერძნები წალკის, ხოლო სომხები – წალკის და მარნეულის რაიონებში ცხოვრობენ. რუსები უპირატესად საქალაქო დასახლებებში სახლობენ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ 80-იანი წლების ბოლოდან რუსების, სომხების, ბერძნების რაოდენობა გარკვეულად შემცირდა ქვეყნიდან მათი მასობრივი წასვლის გამო.

საბჭოურ წლებში ქვემო ქართლის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. თუ XIX ს. ბოლოსათვის ამ ტერიტორიაზე 120 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1926 წ. მათმა რიცხოვნობამ 201 ათასს, 1939 წ. – 263,6 ათასს, 1959 წ. – 371 ათასს, ხოლო 1989 წ. უკვე 612,9 ათას კაცს მიაღწია (ჯაოშვილი, 1996). 2000 წ. დასაწყისში ქვემო ქართლის სახეზე მყოფი მოსახლეობა

547,3 ათას კაცს უდრიდა ანუ რიცხოვნობით მხოლოდ იმერეთს ჩამოუვარდებოდა. მოსახლეობის სწრაფი ზრდა რეგიონში 1989 წლამდე არაქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი კოეფიციენტით აიხსნება. 1990-იანი წლებიდან გაძლიერდა რეგიონიდან არაქართველი მოსახლეობის გადინება და მიგრაციის სალდო მკვეთრად უარყოფითი გახდა.

მოსახლეობის მეტი ნაწილი (54%) ბარის ზონაში, ხოლო 46% მთიან ადგილებში ცხოვრობს. საშუალო სიმჭიდროვეა 57 კაცი 1 კმ²-ზე. უნდა აღინიშნოს რეგიონის ურბანიზებულობის დაბალი დონე, რამაც საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებელზე მოახდინა გაკლენა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ქვემო ქართლი ბევრად უსწრებს წინ ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 43 და 36 კაცი კმ²-ზე). მთლიანად მხარეში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან 11,5 ათასი დევნილია, რომელთა უმეტესობა (9,8 ათასი კაცი) საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს.

მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დაკავებული. სოფლებში მოსახლეობის 55% (299,6 ათასი კაცი) ცხოვრობს. გაკრცელებულია მსხვილი სოფლები. მხარეში 7 ქალაქი (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა), 8 დაბა (კაზრეთი, თამარისი, დიდი ლილო, კოჯორი, მანგლისი, შაუმიანი, ბედიანი, თრიალეთი) და 338 სოფელია. ქ.რუსთავის გარდა, დანარჩენი ქალაქების წამყვანი ფუნქცია ადმინისტრაციულია. სამრეწველო ფუნქცია ძლიერადაა წარმოდგენილი დაბა კაზრეთში, ხოლო საკურორტო – მანგლისსა და კოჯორში.

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ.რუსთავი (142,6 ათასი მცხოვრები). ერთ-ერთი უძველესი ქალაქი საქართველოში, რომელიც ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების (ძვ.წ.IV-III სს.) პერიოდში ცნობილი იყო ბოსტან-ქალაქის სახელწოდებით. შემდგომში იგი საეპისკოპოსო და საეპარქიო ცენტრი ხდება, ვიდრე XIII ს-ში მონღოლებმა მიწიდან არ აღგავეს. მდებარეობს მდ.მტკვრის ორივე სანაპიროზე, ქვემო ქართლის ვაკეზე, ზღვის დონიდან 350 მ სიმაღლეზე. რუსთავი უნიკალური ქალაქია; იგი ერთდროულად ათასექვსასწლოვანი ისტორიის მემკვიდრეცაა და საქართველოს ახალგაზრდა ქალაქიც, რომელმაც ახლად დაარსებიდან 60 წლის მანძილზე (დაბად 1944 წ. გამოცხადდა) უდიდესი სახეცვლილება განიცადა – პაწაწინა დაბიდან მძლავრ ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა.

რუსთავი ტიპიური სამრეწველო ქალაქია. მძიმე მრეწველობის (მეტალურგიული, ქიმიური, ცემენტის) საწარმოები, რკინიგზის სადგური, ადმინისტრაციული ნაწილი და პირველი საცხოვრებელი უბნები მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშენდა. შემდგომში საბინაო მშენებლობა ძირითადად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაიშალა. ქალაქის სახის ჩამოყალიბაში დიდი როლი ითამაშა ვრცელმა სამრეწველო

ტერიტორიამ, სწორხაზოვნად გაშენებულმა საცხოვრებელმა კვარტალებმა და მტკვრის ჭალისაგან შექმნილმა ლამაზმა პარკმა. არსებული ობიექტებიდან უნდა აღინიშნოს მეტალურგთა კულტურის სასახლე, სასტუმრო, დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალი და სხვ.

მოსახლეობის რაოდენობით მეორე ადგილზეა ქ.მარნეული (27,6 ათასი კაცი), რომლის განვითარებაში არსებით როლს მისი ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ასრულებს (საკვანძო-სატრანსპორტო მდებარეობა, თბილისთან სიახლოვე, ვრცელი ვაკე რელიეფი). მარნეულში თავი მოიყარა საშენი მასალების და სამშენებლო დეტალების საწარმოთა ჯგუფმა.

ქ.ბოლნისის (11,2 ათასი კაცი) სამრეწველო მნიშვნელობას კვების მრეწველობის ობიექტები განსაზღვრავს და იგი ძირითადად ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებს.

ქ.გარდაბანი (20,4 ათასი კაცი) რაიონული ცენტრი და საქართველოს მძლავრი ენერგეტიკული ობიექტის – თბილისის სრესის ადგილსამყოფელია.

მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საქართველოში ქვემო ქართლის სამეურნეო მნიშვნელობა გაიზარდა. ეს, ერთი მხრივ, განპირობებული იყო დედაქალაქისათვის უაღრესად საჭირო საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარებით, ხოლო მეორე მხრივ, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური და საშენ მასალათა ცენტრების – რუსთავისა და კაზრეთის აღმოცენებით.

ქვემო ქართლის მრეწველობის ჩამოყალიბება განაპირობა როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიულმა (ფერადი ლითონები, ბარიტი, სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები, მძლავრი ჰიდრორესურსები), ასევე ეკონომიკურმა პირობებმა, კერძოდ, მის ფარგლებში რუსთავის შსხვილი სამრეწველო კომპლექსის არსებობამ, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფამ, თბილისის მიმართ ხელსაყრელმა ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სხვ.

XIX ს. ბოლოს ქვემო ქართლში მრეწველობა წარმოდგენილი იყო მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საწარმოებით. მათგან გამოირჩეოდა გერმანელი მეწარმის, ბარონ კუჩენბახის მიერ ს.თრიალეთში (წალკის რ-ნი) დაარსებული შვეიცარული ყველისა და კარაქის საწარმო, ს.საფარლოსთან (დმანისის რ-ნი) მინის ქარხანა, რომელიც უშვებდა ღვინის ბოთლებსა და სააფთიაქო ჭურჭელს. ს.ჩათახში ადგილობრივი რკინის მადნის ბაზაზე XIX ს. 60-70-იან წლებში ათიოდე წლის განმავლობაში მოქმედებდა თუჯსასხმელი სამთო-მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც მუშაობა განაახლა XX ს. 20-იან წლებში. წარმადობა მცირე იყო – 400-500 ფუთი თუჯი დღე-ღამეში (Промышленность Грузии ..., 1961). უშვებდა თუჯის მილებს,

სხვადასხვა სახის სხმულებს, საოჯახო ნივთებს და სხვ. ნედლეულის სიმცირისა და სხვა არახელსაყრელი ეკონომიკური მიზეზების გამო, ჩათახის ქარხანა 1927 წ. დაიხურა. აგრეთვე განყითარებული იყო კუსტარული წარმოება – არყის პრიმიტიული სახდელები, წისქვილები, საკირეები, აგურისა და კრამიტის საწარმოები და სხვ.

საბჭოთა პერიოდში დაიწყო ადგილობრივი მდიდარი ჰიდრორესურსების ათვისება. შეიქმნა მცირე სიმძლავრის სასოფლო ელექტროსადგურები, ხოლო ომისშემდგომ წლებში აიგო წალკის წყალსაცავი და მდ.ხრამზე მარეგულირებელი ორი ჰიდროელექტროსადგურის კასკადი – ხრამჰეს I (1947 წ.) და ხრამჰეს II (1963 წ.). ქ.გარდაბანში აშენებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის უმნიშვნელოვანესი თბოელექტროსადგური – „თბილსრესი", რომელიც ძირითადად თბილისსა და რუსთავს ელექტროენერგიით უზრუნველყოფს.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარე ქ.რუსთავმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ქვეყნის და რეგიონის ინდუსტრიალიზაციაში. მძიმე მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანესი კერის შექმნა უშუალოდ იყო დაკავშირებული შავი მეტალურგიის სრული ციკლის კომბინატის მშენებლობასთან, რასაც თან მოჰყვა რუსთავში მძლავრი ქიმიური კომბინატის და, მოგვიანებით, მის ბაზაზე ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ამოქმედება. აღნიშნულ დარგებს თანდათან დაემატა მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი (ამწეების, თუჯის სხმულების და ლითონური კონსტრუქციების), სამშენებლო მასალების (ცემენტი და რკინა-ბეტონის ნაკეთობები), ხისდამმუშავებელი, კვების მრეწველობის და სხვა დარგების საწარმოები.

მდ.მაშავერას ხეობაში მადნეულის მთებში მდებარე სპილენძ-პოლიმეტალური ლითონების საბადოს ბაზაზე 1974 წლიდან მუშაობს სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. იგი აწარმოებს სპილენძის, ტყვია-თუთიის, ბარიტის კონცენტრატებს, ოქროს. კომბინატის მშენებლობამ მნიშვნელოვანი დასახლების – კაზრეთის შექმნა განაპირობა.

ქვემო ქართლი მრავალფეროვანი სამშენებლო მასალების წარმოებით გამოირჩევა. აქ ხდება სადახლოს ბაზალტის, ბოლნისის ტუფის, კირქვების, ინერტული მასალის მოპოვება და დამუშავება. საწარმოები უპირატესად განლაგებულია ქ.მარნეულში. ამზადებენ სხვადასხვა დანიშნულების რკინა-ბეტონის ბლოკებს, ფილებს, ხიმინჯებს, ლითონის კონსტრუქციებს, ასფალტს და სხვ. ეს პროდუქცია ფართოდ გამოიყენება თბილისის, რუსთავის, თვით რეგიონის და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ობიექტების მშენებლობაში.

მსუბუქი მრეწველობის მთავარი ცენტრია ს.შულავერი, სადაც ხდება მატყლის და ტყავის პირველადი გადამუშავება. აქვეა შექმნილი ქეჩის წარმოება. კვების მრეწველობის განყითარება დაიწყო ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე. შემდგომ იგი

გაძლიერდა და გაფართოვდა. სპეციალიზებულ დარგად ჩამოყალიბდა ყველ-კარაქის წარმოება. მაღალმთიანი სუბალპური საძოვრები ხელს უწყობს შვეიცარული ყველის დამზადებას (ქ.წალკა). რეგიონში არსებული ყველ-კარაქის საწარმოებიდან მთავარია წალკისა და დმანისის ქარხნები. ღვინის პირველადი დამუშავება ხდება მარნეულის საწარმოო გაერთიანების ქარხნებში, რომლებიც განლაგებულია ქ.მარნეულში, ს.ყულარში (მარნეულის რ-ნი) და ს.ასურეთში (თეთრიწყაროს რ-ნი). ს.შულავერში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მოქმედებს ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანა. ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების დამამზადებელი ქარხნები აგებულია თეთრიწყაროში, მარნეულში, ბოლნისსა და თამარისში.

მხარის საწარმოო კომპლექსში სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. აგროწარმოება გარკვეულ გაკლენას ახდენს ქვემო ქართლის მეურნეობის დანარჩენი დარგების განვითარებაზე და ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულია. კერძოდ, აქ სოფლის მეურნეობის სპეციფიკური, ინტენსიური საგარეუბნო ტიპი ჩამოყალიბდა, რომლის მთავარი ფუნქცია თბილისის და რუსთავის სურსათით, პირველ რიგში, მალფუჭებადი პროდუქციით – რძით და რძის ნაწარმით, ბოსტნეულით, საადრეო კარტოფილით, ხილით, სუფრის ყურძნით მომარაგებაა.

დროთა განმავლობაში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და სპეციალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, თანდათანობით იცვლებოდა და იხვეწებოდა საგარეუბნო სოფლის მეურნეობის პროფილი. თუ 40-50 წლის წინათ სპეციალიზაციის ძირითად დარგს მარცვლეული მეურნეობა წარმოადგენდა (რეგიონი ქვეყნის სასაქონლო მარცვლეულის 25% იძლეოდა), შემდეგ წამყვან დარგებად იქცა მებოსტნეობა-მეკარტოფილეობა, სარძეო-სახორცე მეცხოველეობა, თუმცა ბოლო, კრიზისულ წლებში, მარცვლეული მეურნეობის როლი რამდენადმე გაიზარდა.

სოფლის მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურა ცხადყოფს, რომ მხარის ტერიტორია შეიძლება ორ საწარმოო ტიპად დაიყოს. პირველი მოიცავს გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის რაიონებს; ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელია ინტენსიური საგარეუბნო სოფლის მეურნეობა სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებით. სპეციალიზაციის დარგებია მებოსტნეობა და საადრეო მეკარტოფილეობა, მეკენახეობისა და სარძეკე მეცხოველეობის განვითარებით. მემცენარეობის პროდუქცია 2-3-ჯერ ჭარბობს მეცხოველეობის პროდუქციას.

უფრო მაღალ ჰიფსომეტრიულ დონეზე მდებარე თეთრიწყაროს, წალკისა და დმანისის რაიონებში, მეცხოველეობისა და მემცენარეობის შეთანაწყობა დაახლოებით უდრის 2:1 მეცხოველეობის სასარგებლოდ. აქ გავრცელებულია მიწათმოქმედების ბოგარული სისტემა. ნათესი ფართობების სტრუქტურაში კარტოფილისა და მარცვლეულის გვერდით დიდი ადგილი უკავია საკვებ კულტურებს.

2001 წ. 1 აპრილის მდგომარეობით ქვემო ქართლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 399,6 ათას ჰა შეადგენს. მათი სტრუქტურა საკმაოდ თავისებურია როგორც მთლიანად საქართველოსთან, ისე მის ცალკეულ მხარეებთან შედარებით. აქ სახნავის და სათიბ-საძოვრების შედარებით მაღალი ხვედრითი წილია დაფიქსირებული.

ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო საავარგულების სტრუქტურა 2001 წ. 1 აპრილისათვის (ათასი ჰა)

რაიონები	სასოფლო-სამეურნეო საავარგულები	მათ შორის			
		სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბები	საძოვრები
ბოლნისი	31.9	17.3	2.0	0.9	11.4
გარდაბანი	78.8	38.9	5.5	1.9	32.3
დმანისი	86.0	12.1	1.0	13.0	59.5
თეთრიწყარო	51.2	18.2	0.7	6.3	25.8
მარნეული	69.1	31.2	3.9	1.5	31.3
წალკა	82.6	17.7	0.2	14.2	49.6
სულ – ქვემო ქართლი ათასი ჰა	399.6	135.4	13.3	37.8	209.9
%	100.0	33.9	3.3	9.5	52.5

სახნავს რეგიონის მთელი ტერიტორიის 20% უკავია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე სხვა რეგიონების საშუალო მაჩვენებლებს (შიდა ქართლში – 14%, კახეთში – 17% და ა.შ.). ამავე დროს მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წილით იგი საგრძნობლად ჩამოუვარდება ბევრ სხვა მხარეს. მნიშვნელოვანი ფართობები უკავია სათიბებსა და საძოვრებს, განსაკუთრებით წალკა-დმანისის ფარგლებში. დღეისათვის მხარეში სულ პრივატიზებულია 82,3 ათ.ჰა მიწა, მათ შორის 47 ათ.ჰა სახნავი, 13,3 ათ. ჰა მრავალწლიანი ნარგავები.

სარწყავი მიწების ძირითადი ნაწილი ქვემო ქართლის ვაკეზეა განლაგებული. აქ და მთისწინეთში სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების ძირითადი ნაწილია განფენილი. მთიან ზონაში კი სასოფლო-სამეურნეო საავარგულების უმეტეს ნაწილს სათიბ-საძოვრები წარმოადგენს (წალკისა და დმანისის რაიონებში – 80%-ზე მეტი, თეთრიწყაროს რ-ში – ნახევარზე მეტი).

1999 წ. მარცვლეულ კულტურებს ეკავა 54.7 ათ. ჰა (ნათესი ფართობის 50,6%). მარცვლეულ კულტურათა სტრუქტურაში ძირითადი ადგილი საშემოდგომო ხორბალს უჭირავს (უმთავრესად ბოლნისის, გარდაბნის და თეთრიწყაროს რაიონებში). ქვემო ქართლი საქართველოში წარმოებული ხორბლის 23% იძლევა. ოესენ აგრეთვე ქერს, ჭვავს, საგაზაფხულო ხორბალს, შვრიას და სიმინდს (21 ათ. ჰა – უპირატესად გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში), რომლის გავრცელებისათვის ბარის ზონაში საუკეთესო პირობებია. პარკოსან კულტურებს 663 ჰა უკავია – ეს ძირითადად ლობიოა, უმთავრესად დმანისის რ-ში. ტექნიკური კულტურებიდან

უმნიშვნელო ფართობებზე გაკრცელებულია თამბაქო (მარნეულის რ-ში) და მზესუმზირა (გარდაბნის, ბოლნისის რ-ში).

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია გარდაბნის და მარნეულის აგროკლიმატური პირობები, სადაც ნოყიერ ნიადაგებზე მორწყვის შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა ბოსტნეულის მაღალი მოსავლის მიღება. ამიტომაც, ბოსტნეულის ნათესების (11,4 ათ.ჰა) თითქმის 75% ამ ორ რაიონზე მოდის. 1999 წ. მხარეში აღებული იყო 19,7 ათ.ტონა ბოსტნეული (საშ.მოსავლიანობა 123 ც/ჰა), რამაც საქართველოს ბოსტნეულის მოსავლის 32% შეადგინა. გარდაბნის და მარნეულის რაიონები ძირითადად თბილისის აგლომერაციის მოსახლეობას მთელი წლის მანძილზე მრავალი სახის ბოსტნეულით ამარაგებენ. ბოსტნეულის წარმოება უფრო მეტად ღია გრუნტში, თუმცა გარდაბნის რაიონში სათბურებშიც ფართოდაა გავრცელებული.

მხარის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის დარგია მეკარტოფილეობა. აქ წარმოდგენილია როგორც საადრეო, ისე საგვიანო ჯიშები. როცა წალკა-დმანისის ზეგანზე კარტოფილი მხოლოდ ითესება, მარნეულის ვაკის სავარგულებზე მის მოსავალს უკვე იღებენ. ამიტომაც, თბილისი–რუსთავის ბაზრებში ქვემო ქართლის კარტოფილი მთელი წლის მანძილზე იყიდება. 1999 წ. ქვემო ქართლში წარმოებული იყო 190,5 ათ. ტონა კარტოფილი, რაც მთელი ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლის თითქმის 43% ტოლია. ბევრად უფრო მოკრძალებულია ქვემო ქართლის როლი მეხილეობა-მეყვინეობის მხრივ.

მეცხოველეობის განვითარებით ქვემო ქართლს თვალსაჩინო ადგილი უკავია და ამ დარგის ხვედრითი წილი აგროწარმოებაში თანდათანობით იზრდება მარნეულის ვაკიდან წალკა-დმანისის ზეგნის მიმართულებით. განსაკუთრებით განვითარებულია სარძეო-სახორცე მიმართულების მესაქონლეობა და მეცხვარეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობით (118 ათ. სული) განსაკუთრებით გამოირჩეკა გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რ-ბი, ცხვრის სულადობით(137 ათ. სული) – წალკის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის რ-ბი.

ადრე მეფრინველეობის ფაბრიკის, ფერმის, საბროილერო მეურნეობის სახით წარმატებით ვითარდებოდა სამრეწველო საფუძველზე დამყარებული მეფრინველეობა (კოდის, გამარჯვების, თამარისის და სხვა მეურნეობები). 90-იანი წლების პერიოდში დარგი დაკნინდა და საწარმოებმა ფაქტობრივად შეწყვიტეს ფუნქციონირება. მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება. 1999 წ. აღრიცხული იყო 894 ათასი ფრთა ფრინველი და მიღებული იყო 50 მლნ ცალი კვერცხი.

ქვემო ქართლის ბარის ზონაში მყარი მოსავლის მიღება მხოლოდ მორწყვის საშუალებითაა შესაძლებელი. სარწყავი ფართობებით გამოირჩეკა გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის რ-ბი. ირწყვება ძირითადად ბოსტნეული, კარტოფილი, ბევრად ნაკლებად – მრავალწლიანი კულტურები. უმნიშვნელოვანესი საირიგაციო

ობიექტებია სამგორის და გარდაბნის (ყოფ.მარიამის) სარწყავი სისტემები. ძირითადი სარწყავი არტერიებია მდ.ხრამი, დებედა, მაშავერა, ალგეთი.

ქვემო ქართლის რაიონების სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება თბილისი–რუსთაკის სიახლოვით. ყველაზე ხელსაყრელია ამ მხრივ გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და თეთრიწყაროს რაიონების მდებარეობა. უარესი სატრანსპორტო სიტუაციით ხასიათდება დმანისი და წალკა, რომლებიც საკმაოდ მოშორებულები არიან როგორც მსხვილ ქალაქებს, ისე მთავარ სატრანსპორტო არტერიებს. სატრანსპორტო კავშირებზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.

ქვემო ქართლის სატრანსპორტო სისტემის მთავარი ელემენტია რკინიგზის სადგურები, რომელთაგან ზოგი მხოლოდ სატვირთო ოპერაციებს ასრულებს. მგზავრების გადაყვანას ძირითადად საგარეუბნო ხასიათი აქვს, რაც თბილისის სიახლოვითაა განპირობებული.

ქვემო ქართლის ძირითადი დასახლებული პუნქტები, მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობის ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონები მთავარ მაგისტრალებზე ან მათ უშუალო სიახლოვესაა განლაგებული. მის ტერიტორიაზე გადის სახელმწიფოთაშორისი სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციები (რკინიგზა, საავტომობილო გზატკეცილები), რომელთა საშუალებით მყარდება კავშირები სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

რეგიონზე გამავალი პირველი რკინიგზა თბილისი–ალექსანდრეპოლი (თბილისი–ერევნის რკინიგზის ნაწილი) საექსპლოატაციოდ 1899 წ. გადაეცა. მხარის ფარგლებში მოქცეულია თბილისი–მარნეული–სადახლოს მონაკვეთი. მარნეულიდან გამავალი ბოლნისი–კაზრეთის სარკინიგზო შტო ძირითადად ტვირთების გადაზიდვას ემსახურება. რთული რელიეფური, კლიმატური და სხვა მიზეზების გამო, მარაბდიდან (მარნეულის რ.) თეთრიწყაროსა და წალკაზე გამავალი რკინიგზის ექსპლოატაცია ნინოწმინდა–ახალქალაქის მიმართულებით არ ხდება. მისი ნორმალური ამოქმედება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პირობებში და საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში შეიძლება.

ქვემო ქართლის ეკონომიკაში განსაკუთრებულ როლს საავტომობილო ტრანსპორტი ასრულებს, მით უმეტეს, რომ მხარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სარკინიგზო მოშახურების გარეშეა დარჩენილი. მაგრამ საავტომობილო ქსელის სიხშირით ტერიტორია ჩამორჩება როგორც შიდა ქართლს, ისე კახეთს. ავტოტრანსპორტის მუშაობის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით ხასიათდება ქ.რუსთავი. მეტად სოლიდურია აგრეთვე გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის და სხვა ცენტრების როლი. რეგიონის თითქმის ყველა სოფელი დაკავშირებულია ავტოგზებით როგორც რაიონულ ცენტრებთან, ისე ერთმანეთთანაც, თუმცა ამ გზების ტექნიკური მდგომარეობა გაუმჯობესებას მოითხოვს.

ტრანსპორტის სხვა სახეობებიდან აღსანიშნაია მილსადენი. აქ გადის საერთაშორისო მნიშვნელობის ბაქო–სუფსის ნავთობსადენის მონაკვეთი. ტერიტორიაზე უნდა გაიაროს აგრეთვე მშენებარე ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის გაზსადენმა.

ქვემო ქართლში მრავალი კურორტი და საგარაკო ადგილია. ძირითადად ეს არის ტყით დაფარული სამთო კლიმატური კურორტები: წყნეთი, კიკეთი, კოჯორი, ოქროყანა, წოდორეთი, ტაბახმელა, წავკისი, თეთრიწყაროდ და სხვ.. დამსვენებლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კურორტი მანგლისი. იგი თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1204 მ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ მიედინება მდ.ალგეთი; შთამბეჭდავია ულამაზესი წიწკიანი და ფოთლოვანი ტყე. კურორტის შუაგულში წიწკნარის დიდი კორომია.

ღირსშესანიშნაობები. მხარე გამოირჩევა მატერიალური კულტურისა და ბუნებრივი ძეგლების სიმრავლით. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა დმანისი, სადაც აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის ნაშთები. სპეციალისტების მიერ დადგინდა, რომ დმანისელი ჰომინიდი ბინადრობდა 1,7 მლნ წლის წინ. იგი ევრაზიაში უძველესია, რადგან ცენტრალური აფრიკიდან ჯერ დმანისში შემოსული ადამიანის ეს მოდგმა შემდგომ ევროპასა და აზიაში გავრცელდა.

ქვემო ქართლში აღსანიშნაია ქრისტიანული ეპოქის ხუროთმოძღვრული ძეგლები. ბოლნისის სიონი (478-493 წწ.), ბეთანია – XII-XIII საუკუნეებში აშენებული ტაძარი; დმანისის ნაქალაქარი; ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი სამშვილდე; ფიტარეთი (თეთრიწყაროს რაიონი) – მონასტერი და ძველი ქართული კულტურის კერა, რომელიც აშენებულია XIII საუკუნეში; ხუნანი – ციხე-ქალაქის ნანგრევები (წითელი ხიდის ჩრდილოეთით); მარტყოფის მონასტერი, წმ.ანტონის მონასტერი (ს.ნორიოსთან) და მრავალი სხვა.

ღირსშესანიშნაობათა რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნაია ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმი შინდისში, მ.ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი წერაქვში. დიდ ინტერესს იწვევს გერმანელთა ყოფაცხოვრების მუზეუმი ბოლნისში, ღია მუზეუმი დმანისში და სხვ.

კახეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მის შემადგენლობაშია 9 ადმინისტრაციული რაიონი (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, თიანეთის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარლის). ეს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია სამეურნეო ცხოვრების ერთიანობით, საწარმოო-ტერიტორიული სპეციალიზაციით და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მსგავსებით გამოირჩევა.


კახეთი
22
23
24
36
37
35
34
48
49
ბორჯომი
ალიბეგლი
ბაკურიანი
ბაკურიანი ალპინისტები
1 ნიგოზის
2 სასტუმრო ფიტნესი
3 ბორჯომი
4 ალიბეგლი
5 ბაკურიანი
6 ბაკურიანი ალპინისტები
7 ბაკურიანი
8 ბაკურიანი
9 ბაკურიანი
10 ბაკურიანი
11 ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ალიბეგლი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

კახეთის ტერიტორია ძირითადად მოქცეულია მდინარეების ალაზნისა და იორის აუზებში და მისი ფართობი 12,2 ათას კმ² შეადგენს, რაც საქართველოს ტერიტორიის 17,5% უდრის. კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა გარე კახეთი (მდ.იორის შუა წელი), ქიზიყი (მდ.იორის ქვემო წელი), ერწო-თიანეთი (მდ.იორის ზემო წელი), შიგნით კახეთი (მდ.ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმა მხარე (მდ.ალაზნის მარცხენაპირეთი).

ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩაკეტილია კავკასიონის ქედი (აქ ის რუსეთის ფედერაციას, კერძოდ კი, ჩაჩნეთსა და დაღესტანს ესაზღვრება), ხოლო დასავლეთით – ქართლის ქედით. აღმოსავლეთითა და სამხრეთით საზღვარი გადის აზერბაიჯანთან, რომელთანაც კახეთი არ არის დაკავშირებული რკინიგზით. ეს ყველაფერი მხარის შედარებით არახელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას განაპირობებს. საქართველოში მას განაპირა, გარკვეულწილად ჩიხური მდებარეობა აქვს და მისი ძირითადი სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირები, საქართველოს ფარგლებში, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვიწრო მონაკვეთით ხორციელდება, სადაც გადის რკინიგზის ხაზი თელავი-თბილისი. რასაკვირველია, ეს გარემოება ხელს უშლის კახეთის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მრეწველობის განვითარებას და სხვა რეგიონებთან მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტების დამყარებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კახეთს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა შეექმნა, ვინაიდან მისი ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები რუსეთთან და აზერბაიჯანთან სახელმწიფოთაშორისი გახდა. აღნიშნულმა გარემოებამ მხარის წინაშე პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის ახალი სტრატეგიული ამოცანები დააყენა.

კახეთი საქართველოს ძირძველი მხარეა. ჯერ კიდევ VIII ს-ში ქართლის სამეფოში შემავალმა კახეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა; ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო, რომელიც იორის და ალაზნის ზემო წელის ტერიტორიებს მოიცავდა, ხოლო ალაზნის შიდა და ქვემო წელში შეიქმნა ჰერეთის სამეფო. XI საუკუნეში კახეთი და ჰერეთი კახეთის სამეფოს სახელწოდებით გაერთიანდა.

მთელი XI ს. განმავლობაში კახეთის სამეფო საქართველოსაგან განცალკევებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი მესვეურნი „კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის" ტიტულს ატარებდნენ. სამეფო მოიცავდა ტერიტორიას მდ.ქსნიდან (დასავლეთით) ალჯიგანჩაიამდე (აღმოსავლეთით) და დიდოეთ-ხუნძახიდან (ჩრდილოეთით) მტკვრამდე (სამხრეთით). მის ფარგლებში შედიოდა ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდ.-დას. ნაწილი – ბელაქნის, ზაქათალის, კახის და შაქის რაიონები. ახალშექმნილი სახელმწიფოს ცენტრი თელავი გახდა. XVII ს. დამდეგიდან, შაჰ–აბასის შემოსევის შედეგად, შეწყდა კახეთის ეკონომიკური აღმავლობა. XVII ს. ბოლოსათვის კახეთმა აღმოსავლეთი ნაწილი (საინგილო) დაკარგა. შემდგომში იქაურ გამაჰმადიანებულ და დამონებულ გლეხობას „ინგილოებს" ეძახდნენ.

XVIII ს. 60-იანი წლებიდან კახეთი ერეკლე II-ს მიერ ქართლ-კახეთის სამეფოში გაერთიანდა. 1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და კახეთი – თელავის, სიღნაღის და ნაწილობრივ თიანეთის მაზრების სახით, თბილისის გუბერნიის ნაწილი გახდა.

ბუნებრივი რესურსები. კახეთის ბუნებრივ პირობებსა და რესურსებს შორის, მისი სამეურნეო სახის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს რელიეფი, ჰავა და ნიადაგები. ალაზნის ველი (მისი სიგრძე 160 კმ-ია), ისევე, როგორც ივრის ზეგანი, უმთავრესად მოსწორებული ზედაპირით ხასიათდება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების კარგ პირობებს ქმნის. აქედან გამომდინარე, კახეთი მთელ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების შედარებითი სიუხვით გამოირჩევა. თუ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს მისი ტერიტორიის 42% უკავია, ეს მაჩვენებელი კახეთში 54%-ია (ზემო იმერეთში, აჭარასა და აფხაზეთში ამ მიწების ხვედრითი წილი 30% არ აღემატება). სოფლის 1 მცხოვრებზე მთლიანად ქვეყანაში 1,1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის, კახეთში კი 1,4 ჰა.

სათიბ-საძოვრების მაღალი ხვედრითი წილი განსაზღვრავს მეცხოველეობის (განსაკუთრებით მეცხვარეობის) განვითარების ხელსაყრელ პირობებს. მხარეში თავმოყრილია საქართველოს ზამთრის საძოვრების ძირითადი მასივები.

აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთები აქ არ არის ისეთი დაქუცმაცებული და წვრილკონტურიანი, როგორც დასავლეთ საქართველოში. დამუშავებული მიწის ნაკვეთების საშუალო ფართობი 17 ჰა-ს უდრის (დასავლეთ საქართველოში სახნავის 80-85% 1 ჰა-მდე ნაკვეთებზე მოდის).

კახეთის მიწები არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც მეტად ხელსაყრელია ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის. ჭევრია ნეშომპალა-კარბონატული და ტყის ყავისფერი ნიადაგები, რომლებიც ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება, განსაკუთრებით კაზისა და ხეხილისათვის. ამ ნიადაგებზე მარცვლეული, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები კარგ მოსავალს იძლევა. მევენახეობისათვის წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ტყე-მდელოს ალუვიური ნიადაგები (მდ.ალაზნის ორივე ნაპირზე). გარე კახეთის ველიანი ზეგნის ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგები საუკეთესოა მარცვლეულისათვის, განსაკუთრებით საშემოდგომო ხორბლისათვის.

კახეთის ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარებას უწყობს ხელს. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +13°, +14° უდრის, ხოლო მზის ნათება – 2400-2500 საათია წელიწადში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 218 დღეა, ხოლო აქტიური (10°-ზე მაღალი) ტემპერატურების ჯამი – 4000°. მაგრამ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ფართო სპექტრს აქ ნალექების და დანესტიანების არასაკმარისი რაოდენობა ზღუდავს. განსაკუთრებული სიმშრალით ხასიათდება გარე

კახეთი, სადაც ნალექების წლიური ჯამი 300-500 მმ მერყეობს (ელდარის ველზე – 280-300 მმ).

ზაფხულის თვეებში ხშირია ძლიერი გვალვა. აგროწარმოების ხელშემშლელია აგრეთვე კახეთისათვის დამახასიათებელი სეტყვიანობა. სეტყვა წელიწადში საშუალოდ 2-ჯერ მოდის და დიდ ზიანს აყენებს განსაკუთრებით მევენახეობას (კორძახია, 1961).

კახეთის წყლის რესურსებს დიდი საირიგაციო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მყარი მოსაკლის მიღებას ხელოვნური მორწყვა სჭირდება. მდ.მდ.ალაზნისა და იორის ჩამონადენის საფუძველზე შექმნილია საინჟინრო სარწყავი სისტემები (სამგორის, ალაზნის და ზემო ალაზნის არხები). რეგიონის სარწყავი ფართობია 80 ათასი ჰა, რაც საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლის 22%-ია.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების უდიდესი ნაწილი მდ.ალაზანზე მოდის (პოტენციური მარაგი 8205 ათასი კვტ, ელექტროენერგიის თეორიული გამომუშავება – 7,2 მლრდ კვტ საათი), თუმცა ეს პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული.

კახეთი ტყეებით მდიდარია; ტყიანობა 32 %-ს უდრის. ძირითადი ტყისშემქმნელი ჯიშებია წიფელი, რცხილა, ფიჭვი. ტყეს უმეტესად ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა აქვს, თუმცა დღევანდელი კრიზისის პირობებში, კახეთში, როგორც მთელ საქართველოში, ტყე ინტენსიურად იჩეხება.

რეგიონი არ გამოირჩევა მინერალური რესურსების სიუხვით. საკმაო რაოდენობით გვხვდება არამადნეული წიაღისეული – კირქვების დიდი მარაგი (დედოფლისწყაროს რაიონში), სახურავი ფიქლები (ს.საბუე), კერამიკული თიხები. მნიშვნელოვანია ლოპოტის მარმარილოს საბადო, რომელიც თელავიდან 38 კმ არის დაშორებული. თავისი თვისებებით აქაური მარმარილო არ ჩამოუვარდება იტალიის და საბერძნეთის საუკეთესო მარმარილოს. აღსანიშნავია აგრეთვე ილტოს მარმარილოს საბადო.

პერსპექტიულია ნაკუთობის საბადოები მირზაანში, სართიჭალაში, პატარა შირაქში, ტარიბანაში, პატარძეულში. მინერალური წყლებით ცნობილია უჯარმა, ჩაილური, გურჯაანი, თორღვას აბანოს ცხელი გოგირდოვანი წყარო და სხვ., ახტალაში – სამკურნალო ტალახია.

მოსახლეობა. 1897 წ. აღწერის მასალებით (Первая всеобщая ..., 1905), კახეთის მოსახლეობა 169,1 ათას კაცს შეადგენდა; მათ შორის 84% ქართველი იყო. ცხოვრობდნენ აგრეთვე რუსები (3,3%), სომხები (6,6%), თათრები (4,2%), ლეკები (1,2%), ოსები (0,1%).

სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ რუს ჯარისკაცებს უსასყიდლოდ ურიგებდნენ მიწის ნაკვეთებს, განსაკუთრებით ლაგოდეხის და დედოფლისწყაროს მიდამოებში, სადაც რუსული სოფლებიც შეიქმნა. თათრები ს.მუღანლოში, ყარაჯალაში, ელდარის ველზე, ხოლო სომხები ძირითადად ქალაქებში (თელავსა და სიღნაღში) და ორ სოფელში (ყაზისუბანსა და ველისციხეში) ცხოვრობდნენ.

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იყო ჩაბმული და სოფლებში ცხოვრობდა (85,5%). XIX ს. ბოლოსათვის თელავში 8766 მცხოვრები იყო, სიღნაღში – 5515. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა ნელი ტემპით იზრდებოდა. სიმჭიდროვით ალაზნის ველი გამოირჩეოდა, მათ შორის, პირველ რიგში, ქიზიყი.

კახეთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, ხოლო სამრეწველო განვითარებით აშკარად ჩამოუვარდება საქართველოს ბევრ სხვა მხარეს. ამის გამო რეგიონისათვის დამახასიათებელია ურბანიზაციის დაბალი დონე (2-2,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე ზოგადად საქართველოში) და შრომის გამოყენების შეზღუდულობა, მოსახლეობის შედარებით დაბალი სიმჭიდროვე და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები.

XIX საუკუნეში თუ კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობა როგორც ბუნებრივი მატების, ისე მიგრანტების ხარჯზე იზრდებოდა, XX ს. 40-იანი წლებიდან მიგრაციის სალდო უარყოფითი გახდა. 1926 წლის აღწერით, კახეთში 291 ათასი მცხოვრები იყო. ნახევარ საუკუნეში მოსახლეობა აქ 425 ათასამდე გაიზარდა (1974 წ.). 2000 წ. მონაცემებით, მხარეში 414,7 ათასი მცხოვრებია. მოსახლეობის დღევანდელი რიცხოვნობა აიხსნება როგორც ინტენსიური მიგრაციული პროცესებით, ისე ბუნებრივი მატების ტემპის შემცირებით. შესაბამისად, მცირდება კახეთის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაშიც (10,9% – 1926 წ. და 8,7% – 2000 წ.).

ქართველებს გარდა (83%), რეგიონში ცხოვრობენ აზერბაიჯანლები, ინგუშები, რუსები და სხვ. ბოლო წლებში მცირდება რუსების, სომხების, ბერძნებისა და ოსების რიცხოვნობა, ხოლო მაღალი შობადობის გამო, აზერბაიჯანელთა რიცხვი, პირიქით, იზრდება. წლების მანძილზე კახეთში ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა მხარიდან ჩამოსახლებას. ალაზნის ველზე დასახლდნენ თუშები, შირაქში – ფშავლები, ლაგოდეხის რაიონში – იმერლები და რაჭველები. კომპაქტურად დასახლებულ ეროვნებებს შორის აღსანიშნაია აგრეთვე ქისტები, ავარიელები, ქურთები, ბოშები.

მოსახლეობის 24,8% ქალაქებში ცხოვრობს, სოფლებში – 75,2%. მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ დაბალია (1 კმ²-ზე 37 კაცი). ამის მიზეზია ურბანიზაციის დაბალი დონე და სასოფლო-სამეურნეო მიწებით კარგი უზრუნველყოფა. კახეთის სხვადასხვა ნაწილში სიმჭიდროვე ძალიან არაერთგვაროვანია: შიგნით კახეთი უფრო მჭიდროდაა დასახლებული (განსაკუთრებით გურჯაანის რაიონი), ვიდრე გარე კახეთი. მოსახლეობის 98% ბარის ზონაში ცხოვრობს, მთაში მხოლოდ რამდენიმე ათეული წვრილი სოფელი დარჩა – ციუ-გომბორის კალთებზე და თუშეთში. უმეტეს შემთხვევაში, სოფლები, განსაკუთრებით შიგნით კახეთში, მაღალი ხალხმრავლობით გამოირჩევა. ერთიქმის ყველა რაიონში არის სოფლები, სადაც 3-5 ათასი და მეტი მცხოვრებია (მაგალითად, ს.ველისციხეში 7 ათასი კაცია). მსხვილი სოფლებია კარდანახი, გურჯაანი, ყაზისუბანი, კეჯინი, ზემო ალვანი, ყარაჯალა, წინანდალი, კაკაბეთი, ანაგა, ქვემო ბოდბე, ყაქირი, შილდა, ახალსოფელი, ზემო მაჩხაანი.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება თავისებურია. გამოიყოფა რამდენიმე ხაზოვანი დასახლების ზონა. განსახლების მთავარი ზოლი გადაჭიმულია ალაზნის მარჯვენა მხარეზე, ახმეტა-თელავსა და გურჯაან-წნორს შორის. აქ თავმოყრილია კახეთის მთელი მოსახლეობის ერთი მესამედი.

მხარეში 9 ქალაქი (ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, თელავი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, წნორი) და 2 დაბაა (თიანეთი და სიონი), აქედან მხოლოდ თელავია შედარებით განვითარებული (26,8 ათასი მცხოვრებით).

კახეთის ქალაქებისათვის წამყვანია ადმინისტრაციული ფუნქციები, მხოლოდ ქ.წნორშია გამოკვეთილი სატრანსპორტო ფუნქცია, დაბა თიანეთს კი, ადმინისტრაციულის გარდა, საკურორტო ფუნქციაც გააჩნია. დაბა სიონი წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით აღმოცენდა და შემდეგ პოპულარულ დასასვენებელ ადგილადაც იქცა.

კახეთის ადმინისტრაციული ცენტრი ქ.თელავი – გომბორის ქედის ჩრდილოაღმოსავლეთი კალთის ძირას, ალაზნის ვაკეზეა განლაგებული, ზღვის დონიდან 550-800 მეტრის სიმაღლეზე. ინდუსტრიული განვითარების შედარებით უკეთესი პირობებით მხარეში სწორედ თელავი გამოირჩევა. ამასთან, როგორც რეგიონშემქმნელ ცენტრს, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კახეთის კულტურული პოტენციალის ფორმირებაში. ბოლო წლებამდე აქ მოქმედებდა მექანიკური, რკინა-ბეტონის, მარმარილოს გადამამუშავებელი, საგრენაჟო ქარხნები, კვების მრეწველობის საწარმოები (ღვინის, რძის ქარხნები, საკონდიტრო ფაბრიკა, ხორცკომბინატი). აღსანიშნავია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სამუსიკო, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, საბავშვო ბაღები, კინოთეატრები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სურათების გალერეა, ულამაზესი პარკი (ნადიკვარი), დრამატული თეატრი.

ქალაქის არქიტექტურული მშვენებაა ბატონის ციხე, რომლის ირგვლივ მოწყობილია მოედნები. ქალაქში დგას ერეკლე II, ი.ჭავჭავაძის ძეგლები.

მეურნეობა. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და კახელი გლეხის თავდაუზოგავი შრომით კახეთში საუკუნეების განმავლობაში მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი საწარმოო კულტურა ჩამოყალიბდა. ასევე წამყვანი დარგი იყო მარცვლეული მეურნეობა. საშემოდგომო ნათესები ეკავა ხორბალსა და ქერს, საგაზაფხულო – ფეტვს, სიმინდს, მზესუმზირას, ხელს. ცალკეულ წლებში კარგი მოსავალი მოდიოდა – ერთ დესეტინაზე 60 ფუთი ხორბალი, 66 ფუთი სიმინდი, მაგრამ გვალვიანობა სტაბილური მოსავლის მიღებას ხელს უშლიდა. სახნავ-სათეს მიწებს ეკავა მთელი ფართობის მეოთხედი, ვენახებს – 1,6%, სათიბებს – 2,4%. დანარჩენი მიწა საძოვრებს და გამოუყენებელ ტერიტორიებს წარმოადგენდა (Сб. стат. данных ..., 1899).

XIX ს. პირველ ნახევარში წინანდალში, თავის მამულში, პოეტმა ალ.ჭავჭავაძემ მევენახეობა-მეღვინეობის შესანიშნაკი მეურნეობა შექმნა. ღვინოს რქაწითელის, საფერავის, მწვანესა და ხიხვის ჯიშებისაგან ამზადებდნენ. კახეთის ბუნებრივ პირობებს აგრეთვე კარგად შეეგუა შემდგომში ევროპიდან შემოტანილი ჯიში – კაბერნე, რომელიც დიდ მოსავალს იძლეოდა. საუკეთესო ღვინოებს აყენებდნენ ზაქარია ჯორჯაძის მამულშიც (სოფელ საბუეში).

კახურ ღვინოებზე მოთხოვნილება იზრდებოდა. შესაბამისად, მატულობდა ვენახების ფართობებიც. ყველაზე დიდი მოსავალი 1913 წელს მოვიდა და შიგნით კახეთში 2 მლნ დეკალიტრი ღვინო დააყენეს. I მსოფლიო ომის დროს ვენახების ფართობები საგრძნობლად შემცირდა, რაც დაავადებების (ძირითადად, ფილოქსერის) გავრცელებასთან იყო დაკავშირებული.

შედარებით განვითარებული იყო აგრეთვე მეხილეობა, მებოსტნეობა (რუსულ სოფლებში), ლაგოდეხის მიდამოებში მისდევდნენ მეთამბაქოეობას. მეცხოველეობაში ჭარბობდა მუშა-პირუტყვი; აშენებდნენ ცხენებს, ვირებს. მომთაბარე მეცხვარეობა გავრცელებული იყო თუშეთში, ერწო-თიანეთში და სიღნაღის მაზრაში.

დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობით კახეთი ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში და ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ინტენსიურ სუბტროპიკულ რეგიონსაც კი უსწრებს. თლიანი და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი მაღალპროდუქტიულ მევენახეობას ეკუთვნის. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მარცვლეული მეურნეობა, ეთერზეთოვანი კულტურების, მზესუმზირის, თამბაქოს წარმოება. მეცხოველეობა აქ მრავალდარგოვანია და მას გარე კახეთში წამყვანი ადგილი უკავია.

კახეთის რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საკარგულებზე (660,6 ათ.ha) მოდის. თუ საქართველოში ზოგადად სახნავს მიწის ფონდის 10% უჭირავს, კახეთში ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტია. საკმაოდ მაღალია მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წილი (სასოფლო-სამეურნეო საკარგულების 8%-ზე მეტი). 1999 წლისათვის კახეთში პრივატიზებული იყო 151,5 ათ. ha მიწა ანუ სასოფლო-სამეურნეო საკარგულების მეოთხედი, მათ შორის სახნავის 48% და მრავალწლიანი ნარგავების 81%.

სამრეწველო მევენახეობა ზღვის დონიდან 400-800 მ სიმაღლეზეა გავრცელებული. შიგნით კახეთში მევენახეობის მიკროზონებიდან აღსანიშნავია გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კალთები, ალაზნის ველის მომიჯნავე ტერიტორიები, კახეთის კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობები, ალაზნის მარცხენა ნაპირი (თელიანი, წინანდალი, იყალთო, მუკუზანი, ახმეტა, გურჯაანი, ყვარლის რაიონი).

გარე კახეთში ვენახები ძირითადად გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობებზეა გავრცელებული და ცალკეულ ადგილებში 1000 მ სიმაღლეზეა გაშენებული. ზვერების

ფართობებით საგარეჯოს რაიონი გამოირჩევა. ვაზის გაკრცელებულ ჯიშებს შორის წამყვანია რქაწითელი (ვენახების 60-70%), აგრეთვე მწვანე, საფერავი, ხიხვი და სხვ. 1999 წ. კახეთში წარმოებული იყო 110 ათ. ტონა ყურძენი, რაც საქართველოში მიღებული მოსავლის 50% აღწევს.

მებაღეობის მნიშვნელობა, მეკვნახეობასთან შედარებით, უფრო მცირეა. კახეთის ხეხილის ბაღების ფართობი საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლის 8%-ს უდრის. ბაღები ძირითადად ალაზნის ველზეა განლაგებული. აქ წარმოებული ხილი საქართველოს მთლიანი მოსავლის 10% იძლევა (29,9 ათ.ტ 1999 წ.). განვითარებულია მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მეთამბაქოეობა, ეთერზეთოვანი კულტურების და მზესუმზირის მოყვანა.

გარე კახეთი საქართველოს პურის ბელლად ითვლება. კახეთზე საქართველოში მიღებული ხორბლის მოსავლის მესამედზე მეტი მოდის. თესავენ, აგრეთვე, სიმინდს, სხვა მარცვლოვნებს. ბოსტნეულის წარმოებით გამოირჩევა ლაგოდეხის რაიონი, სადაც ამ კულტურათა 70%-ია თავმოყრილი. მზესუმზირა ძირითადად სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებშია, ხოლო თამბაქო და ეთერზეთოვნები – ლაგოდეხის რაიონში.

მემცენარეობასთან შედარებით, მეცხოველეობას ნაკლები მასშტაბები ახასიათებს, განსაკუთრებით შიგნით კახეთში. მთავარი დარგებია – მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, აგრეთვე ტრადიციული დარგია მეაბრეშუმეობა. მეცხოველეობის განვითარება ძირითადად ადგილობრივ საკვებ ბაზას ემყარება. იორ-ალაზნის და მტკვარ-იორის წყალგამყოფებზე ზამთრის საძოვრებია განლაგებული, ხოლო საზაფხულო – თუშეთსა და კავკასიონის მაღალმთიან ზონაში. სათიბ-საძოვრებს კახეთში სასოფლო-სამეურნეო საკარგულების 57% უჭირავს, რაც საქართველოს შესაბამისი ანალოგიური მაჩვენებლის 20% შეადგენს.

1999 წ. კახეთის ხეედრითი წილი საქართველოში წარმოებული ხორცის 19%, რძის 12%, მატყლის 35% შეადგენდა. განსაკუთრებით დიდია კახეთის წილი ცხვრის (37%) და ღორის (19%) სულადობაში, ფუტკრის ოჯახთა რაოდენობაში (20%).

კახეთის სოფლის მეურნეობა ყოველთვის წყლის უკმარისობას განიცდიდა. აქაური მშრალი ჰაეის პირობებში მაღალი და მყარი მოსავლის მიღება მორწყვას მოითხოვს. ჯერ კიდევ XII ს-ში, თამარ მეფის დროს, აშენებულ იქნა სარწყავი არხი, რომელიც შემდგომში მთლიანად განადგურდა, ხოლო სხვა საირიგაციო სისტემების აგება დიდხანს ვერ ხორციელდებოდა. მოსახლეობა ნათესების მოსარწყავად მდინარეებს – დურუჯსა და ჭერემს იყენებდა, ალაზანი კი, წყალდიდობისას, გაზაფხულზე, ვრცელ ტერიტორიებს ტბორავდა, რაც მალარიის გავრცელებას უწყობდა ხელს. ნაწილი სოფლებისა მდ.იორის წყლით ირწყვებოდა.

კახეთის საირიგაციო ნაგებობათა შორის ყველაზე დიდია ალაზნის არხი, რომელიც1925-36 წწ. აიგო. ეს არხი 30 ათას ჰექტარზე მეტ ფართობს რწყავს, მაგრამ

ვენახების ძირითადი მასივები ამ არხის სიახლოვეს არ არის განლაგებული, რამაც გამოიწვია ახალი, ზემო ალაზნის არხის აგება. საგარეჯოს რაიონის მიწები ქვემო სამგორის სარწყავი არხის საშუალებით ირწყვება. მაგისტრალური არხების გარდა, კახეთში პრიმიტიული სარწყავი არხებიც არსებობს, თუმცა დღევანდელ პირობებში საირიგაციო სისტემა სათანადო დონეზე არ ფუნქციონირებს.

ძველთაგანვე კახეთის მრეწველობა ძირითადად მეღვინეობითაა განთქმული. გარდა ამისა, გაჩნდა აბრეშუმის წარმოება – 1886 წ. სიღნაღში აბრეშუმსახვევი ფაბრიკა გაიხსნა. იყო ტყავის, აგურ-კრამიტის, კირის, საპნის პატარა კუსტარული საწარმოები.

დღესაც მხარის მრეწველობის თავისებურება იმაშია, რომ იგი ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობის კომპლექსის საფუძველზეა ჩამოყალიბებული. მთლიანი სამრეწველო პროდუქციის (15091,0 ათ. ლარი, 1999 წ.) 3/4 კვების მრეწველობაზე მოდის, რომლის საფუძველია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ძირითადად ყურძნის) გადამუშავება.

რქაწითელისა და კახური მწვანე ჯიშის ყურძნიდან მიიღება მსოფლიოში ცნობილი თეთრი მშრალი სამარკო ღვინოები: „წინანდალი", „გურჯაანი", „ნაფარეული", „ვაზისუბანი". წითელი მშრალი სამარკო ღვინოები, როგორიცაა „მუკუზანი", „ნაფარეული", „ყვარელი", „სამება" და ორდინალური ღვინო „საფერავი" მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნიდან, რომელსაც მაღალი შემცველობის საღებავი ნივთიერებები გააჩნია და არაჩვეულებრივი ფერით, ბუკეტითა და არომატით ხასიათდება. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში წითელი ჯიშის ყურძნიდან მიღებულ ღვინოს არა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭირო ისეთი განსაკუთრებული თვისებები, როგორც „საფერავს". კახური სამარკო ღვინოების უმრავლესობა და კონიაკები („გრემი", „ენისელი") ბევრ საერთაშორისო გამოფენაზე მედლებითაა დაჯილდოებული.

1999 წ. ლონდონში გაიხსნა მსოფლიოს ალკოჰოლიანი სასმელების მუზეუმი – „ღვინის ქალაქი", სადაც ქართულმა ღვინომ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. 1998 წ. ესპანეთში სააქციო საზოგადოება „ქიზიყის" პროდუქციამ მოიპოვა პლატინის უმაღლესი ჯილდო, ხოლო პარიზში საზოგადოება „სამებამ" – დიდი ოქროს ვარსკვლავი.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში წითელ ღვინოებზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით, 1998 წლიდან ფერმერებმა და მოსახლეობამ დაიწყო ახალი ვენახების გაშენება, რომელთა 80%-ზე მეტი წითელი ჯიშის ყურძნისაა. იმავდროულად, შემცირდა თეთრი მშრალი ღვინოების რეალიზაცია, რაც არ არის გამართლებული: თეთრი მშრალი ღვინოები არანაკლებ სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. განსაკუთრებით გამოირჩევა თეთრი კახური ტიპის ღვინო,

რომლის დამზადების ტრადიციული ძველი ტექნოლოგია განსხვავდება მსოფლიოში არსებული ყველა ტექნოლოგიისაგან.

ყურძნისა და კახური ღვინის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უაღრესად დადებითი ზემოქმედების გამო კახური ტიპის ღვინოებს მსოფლიოში კონკურენტი არა ჰყავს. უნიკალური თვისებების გამო, კახური ღვინო შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული თვისებების მქონე სასმელად. მეცნიერების აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა კახური ტექნოლოგიით დაყენებული ღვინოების ოპტიმალური დოზების დადგენა მათი სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის (შევარდნაძე, 2001).

მეღვინეობასთან შედარებით, მრეწველობის სხვა დარგები მეტად მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. ათიოდე წლის წინ საკმაო წარმატებით მუშაობდნენ საკონსერვო, ეთერზეთების და ზეთის სახდელი საწარმოები, ლაგოდეხის საფერმენტაციო ქარხანა, აბრეშუმსაღები საწარმო თელავში. ადგილობრივ ნედლეულზე ფუნქციონირებდა საშენ მასალათა კომბინატი, წარმოებდა მარმარილოს და კირქვის მოპოვება. დღევანდელი კრიზისის პირობებში მრავალმა საწარმომ მეტად შეზღუდა ან სულ შეწყვიტა ფუნქციონირება და კახეთის ხვედრითი წილი საქართველოს სამრეწველო პროდუქციაში ძალზე შემცირდა (2%-ზე ნაკლებია). დიდი იმედების მომცემია ნავთობის და გაზის მოპოვება გარე კახეთში (საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რ-ში). რამდენიმე წელია, რაც საგარეჯოს რ-ში საქართველო-ბრიტანეთის კომპანია „ნინოწმინდა" მოიპოვებს ნავთობსა და გაზს, რომლის ხარჯზე პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია რაიონული ბიუჯეტის 80%. 2000 წ. მონაცემებით, აქ მოპოვებული იყო 66 ათასი ტ ნავთობი და 70 მლნ მ^3 გაზი. საკმაო წარმატებით მუშაობენ სხვა კომპანიებიც, როგორებიცაა ბრიტანული „კანარგო", შვეიცარიულ-ქართული კომპანია „NPI-იორის ველი", რომლებიც, მოპოვებასთან ერთად, ნავთობ-გაზის ძიებასაც ახორციელებენ.

ნავთობ-გაზის მოპოვების ერთ-ერთი საიმედო ობიექტია – საბადო „მანავი 1", სადაც სამუშაოებს „კანარგო" აწარმოებს. აქ პრიორიტეტულად ადგილობრივი გაზით თბილსრესის მე-9 და მე10 ბლოკების მომარაგება ითვლება, რის თაობაზეც გაფორმებულია საპარტნიორო ხელშეკრულება „კანარგოსა" და „AES მტკვარს" შორის.

კახეთის მეურნეობის ვიწრო ადგილია მისი მეტად სუსტი ენერგეტიკული ბაზა. ელექტროენერგიის ერთდაერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ალაზანჰესი, რომელიც ჯერ კიდევ XX ს. 40-იან წლებში იყო აგებული (23 მლნ კვტ/სთ გამომუშავებით). მხარის ელექტრობალანსი მკვეთრად უარყოფითია. ამ ხარვეზის ნაწილობრივი გამოსწორების იმედს მდ.ხადორზე (პანკისის ხეობა) ჩინელების ინვესტიციების საფუძველზე დაპროექტებული 24 მეგავატიანი ჰესის მშენებლობა იძლევა.

XIX საუკუნის კახეთის სამეურნეო განვითარებას ძალზე ამუხრუჭებდა ურკინიგზობა. მართალია, გაყვანილ იქნა ე.წ. „საფოსტო გზები" (თბილისი-ნუხა,

ვაზიანი-თელავი და სხვ.), მაგრამ მხარის სამეურნეო განვითარებას და, პირველ რიგში, მეღვინეობას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მკვიდრდებოდა, სარკინიგზო კომუნიკაცია ესაჭიროებოდა. 1911-15 წწ. რკინიგზა გაიყვანეს თბილისიდან ჩალაუბნის გაყვლით თელავამდე, გურჯაან-წნორის განშტოებით (178 ვერსი). ამრიგად, კახეთი ამიერკავკასიის მაგისტრალს დაუკავშირდა.

სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის გამო, თანამედროვე კახეთი მძლავრ ტვირთშემქმნელ რეგიონს არ წარმოდგენს. ტრანსპორტის ძირითადი სახეობებია რკინიგზა და საავტომობილო. მთავარი სარკინიგზო ხაზია თბილისი-გურჯაანი-თელავი (განშტოებებით: გურჯაანი-წნორი და კაჭრეთი-დედოფლისწყარო). რკინიგზის საერთო სიგრძე – 210 კმ. რაც ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლის 15% შეადგენს. რკინიგზა ძირითადად ტვირთგადაზიდვებს ახორციელებს, ხოლო მგზავრთა გადაყვანა სრულიად უმნიშვნელოა, რაც საავტომობილო ტრანსპორტის კარგი განვითარებით აიხსნება; ამის გარდა, სარკინიგზო ხაზი არ გადის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე.

ავტოტრანსპორტი კახეთში არსებით როლს თამაშობს; მასზე მოდის ტვირთბრუნვის 85, ხოლო მგზავრთა 80% მეტი. კახეთი თითქმის მთლიანად დაფარულია ავტოგზებით. მათ შორის მთავარია: წნორი-დედოფლისწყარო-მირზაანი, თელავი-ყვარელი-ლაგოდეხი, თელავი-ახმეტა-თიანეთი, თელავი-გომბორი-სიონი-თიანეთი, ლაგოდეხი-წნორი. კახეთის თითქმის ყველა სოფელი საავტომობილო გზით დაკავშირებულია რაიონულ ცენტრებთან. თბილისიდან თელავამდე 2 საავტომობილო გზა მიდის – გომბორის უღელტეხილის გაყვლით და გომბორის ქედის შემოვლით, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული სოფლების მთავარ ქუჩას გვაგონებს.

კახეთის რეკრეაციულ მეურნეობაში, ბევრი სხვა რეგიონისაგან განსხვავებით, წამყვანია არა საკურორტო, არამედ ტურისტულ-საექსკურსიო ფუნქცია. უნიკალურია საქართველოში ერთადერთი ტალახის სამკურნალო კურორტი ახტალა (ზ.დ. 412 მ), რომელიც ქ.გურჯაანის მიკროუბანს წარმოდგენს. სამკურნალო ტალახი შეიცავს ბროშს, იოდს, ლითიუმს და სხვა ელემენტებს.

კურორტი ზინობიანი ადგილობრივი მნიშვნელობისაა. იგი მდებარეობს კავკასიონის მთისწინეთში, ყვარლიდან 10 კმ დაშორებით. მთავარი სამკურნალო ფაქტორი – მინერალური წყაროება. ზღვის დონიდან 1789 მ სიმაღლეზეა კურორტი თორღვას აბანო მინერალური წყლებითა და მთის ჯანმთრელი კლიმატით. თირკმელებით დაავადებულთა სამკურნალო კურორტია არხილოსკალო. თიანეთი და სიონი ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატური კურორტებია.

ღირსშესანიშნაობები. კახეთი ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით, მიმზიდველობით და სილამაზით გამოირჩევა. ამ მხარეში ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს შორის განსაკუთრებული ადგილი ნაკრძალებს უჭირავს. მათ შორის ფართოდ ცნობილია ლაგოდეხის ნაკრძალი (18 ათასი ჰა), რომელიც აღმოსავლეთ

კავკასიონის ბუნების შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა და მოიცავს მთა-ტყის, სუბალპური და ალპური ზონების მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვან სამყაროს.

ახმეტის (ბაწარა-ბაბანეურის-თუშეთის) ნაკრძალში (1რ,3 ათასი ჰა) რელიქტური ხეები – ძელქვა და უთხოვარია დაცული, ხოლო მარიამჯვრის (საგარეჯოს რ-ნი) ნაკრძალში კავკასიური ფიჭვის კორომი. კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ვაშლოვანის ნაკრძალი არიდული მცენარეულობით.

ტურიზმის განვითარების მეორე არსებითი ფაქტორია ისტორიულ-კულტურული რეკრეაციული რესურსების სიმრავლე. ტურისტულ-საექსკურსიო ობიექტებია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები – ილ.ჭავჭავაძის და კოტე მარჯანიშვილის (ყვარელში), რაფიელ ერისთავის (ს.ქისტაურში), ნიკო ფიროსმანაშვილის (ს.მირზაანში), ვანო სარაჯიშვილის (სიღნაღში), სანდრო ახმეტელის (ს.ვაქირში), ნატო ვაჩნაძის (ს.გურჯაანში), გიორგი ლეონიძის (ს.პატარძეულში), იოანე ბერიტაშვილის (ვეჯინში), იოსებ ნონეშვილის (ს.კარდანახში), მირზა გელოვანის (თიანეთში), ირეოდიონ ევდოშვილის (ბოდბეში), ფორე მოსულიშვილის (ს. მაჩხაანში) და სხვ.

განსაკუთრებით ბევრი მნახველი ჰყავს ს.წინანდალში ალ.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს შესანიშნავი პარკით, რომლის ხეივნებს ამშვენებს ცაცხვის, კაკლის, მუხის, კვიპაროსების ასწლიანი ხეები და ულამაზესი ყარდნარი. აქვეა ღვინის ქარხანა უნიკალური ენოთეკით, უზარმაზარი სარდაფებით, სადაც ვეება კასრებში ძველდება ღვინო.

როგორც საექსკურსიო ობიექტი, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ.თელავი, რომლის ციხე-სიმაგრის გალავნის შიგნით მდებარეობს ერეკლე II სასახლე. აქედან კარგად ჩანს ალაზნის ველი და კავკასიონის ქედი. ქალაქი X ს-ში აღმოცენდა და შემდგომში ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა.

თელავიდან 18 კმ დაშორებით მდებარეობს XI ს. ხუროთმოძღვრული ძეგლი – ალავერდის ტაძარი. იგი უდიდესი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში (41,7x26, 4 მ, სიმაღლე 50 მ-მდე). შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის სამი მკლავი ქმნის ე.წ. ტრიკონქს. შიდა სივრცე გამოირჩევა გრანდიოზულობით და დახვეწილი პროპორციებით.

მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია იყალთოს მონასტერი (IV ს.), სადაც XI-XII ს. მოქმედებდა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი პირველი ცენტრი – იყალთოს აკადემია. ყარაუდობენ, რომ ამ აკადემიაში შოთა რუსთაველი სწავლობდა.

მეტად შთამბეჭდავია შუამთის სამონასტრო კომპლექსი (თელავის რ-ნი); საინტერესო ობიექტია ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ბახტრიონის ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. ალაზნის მარცხენა ნაპირზეა კახეთის XVI ს.

ძველი დედაქალაქის – გრემის ნანგრევები. მნიშვნელოვანი საექსკურსიო ცენტრია ქ.სიღნაღი, სადაც შუა საუკუნეების ციხე და ბოდბეს სამონასტრო კომპლექსია განლაგებული.

საგარეჯოს რაიონში მდებარეობს დავით გარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსი – ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი. სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი განლაგებულია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 60-70 კმ-ზე, გარეჯის სერის კლდოვან ფერდობზე. დაარსებულია VI ს-ში ერთ-ერთი ასურელი მამის – დავითის მიერ. თიანეთის რ-ში, იხინწას მთაზე (სოფ.ეებოტასთან) დგას შუა საუკუნეების საეკლესიო კომპლექსი, ხოლო მთის ძირში – დიდი ნამოსახლარია.

აღმოსავლეთი კავკასიონი

აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული ტერიტორია (4423 კმ²), რომელიც აღმოსავლეთ კავკასიონის სახელწოდებით მოიხსენიება, ხუთ ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეს – ხევს, მთიულეთს, ფშავს, ხევსურეთს და თუშეთს აერთიანებს. იქ მცხოვრები მთიელები – მოხეველები, მთიულები, ფშაველები, ხევსურები და თუშები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ვაჟკაცობით, ამტანობით, შრომისუნარიანობით, ბუნებისადმი და სამშობლოსადმი სიყვარულით, ტრადიციებისადმი ერთგულებით და სხვა თვისებებით, რამაც, მთლიანობაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის თვითმყოფადი და ერთიანი ისტორიულ-ეთნოგეოგრაფიული სივრცე შექმნა. იგი შესანიშნავად არის ასახული ქართველი კლასიკოსი მწერლების (ვაჟა-ფშაველა, ალ.ყაზბეგი, მ.ჯავახიშვილი, კ.გამსახურდია და სხვ.) ნაწარმოებებსა და უმდიდრეს ფოლკლორში.

მკაცრი ბუნებრივი პირობების მქონე აღმოსავლეთი კავკასიონი შეზღუდული სამეურნეო პროფილით (მეცხოველეობა, მემინდვრეობა და რეკრეაცია), სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის დაბალი დონით და მკვიდრი მოსახლეობის აშკარა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 1886-1989 წწ. განმავლობაში რეგიონის მოსახლეობა 32,2 ათასიდან 15,1 ათას კაცამდე (განსაკუთრებით კატასტროფულად კი ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში), ხოლო სოფლების რიცხვი 286-დან 175-მდე შემცირდა (ჯაოშვილი, 1996). 13,1 ათასი მოსახლიდან (2000 წ.) 9,2 ათასი სოფლად და 3,9 ათასი ქალაქად (დ.ყაზბეგსა და ფასანაურში) ცხოვრობს. ამ ეკონომიკურად დეპრესიულ მხარეში, სადაც არც ერთი ქალაქი არ არსებობს, კომპაქტურად განაშენიანებული სოფლების დიდი უმრავლესობა მცირეკომლიანია და ხანდაზმულ მცხოვრებთა პროცენტული სიჭარბით გამოირჩევა. ბევრია გაუკაცრიელებული ანუ ამჟამად დაუსახლებელი სოფლებიც, რომლებსაც ჯერჯერობით მხოლოდ ოფიციალური სტატუსი და ისტორიული მნიშვნელობა აქვთ შენარჩუნებული.

უწინ, რეგიონის უკიდურესი ჩრდილოეთური მდებარეობა, ერთი მხრივ, კავკასიონის გადაღმა მცხოვრებ მეზობელ ხალხებთან კავშირებს (თუმცა, საკმაოდ შეზღუდულს) განაპირობებდა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართლისა და კახეთის სამეფოების თავდაცვითი ზღუდის როლს ასრულებდა. ამასთან, ომიანობის დროს, სამხრეთით მცხოვრები ბარის ქართული მოსახლეობის თავშესაფარი და მტრისაგან გადარჩენილი კულტურულ-მატერიალური განძეულობის შესანახი ადგილი იყო.


ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲙᲕᲔᲧᲚᲘᲗᲘ
ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲤᲘ
ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲐᲯᲔ
ᲠᲔᲚᲘᲤᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ
ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲐᲯᲔ
ᲠᲔᲚᲘᲤᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ
ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲚᲘᲤᲘ
ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲤᲘ
ᲛᲪᲘᲠᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲤᲘ
ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲚᲘᲤ

ღღეს კი, დამოუკიდებელი საქართველოს ეს გამორჩეული ნაწილი მრავალფეროვანი ლამაზი ბუნების და ეთნოკულტურის უნიკალურ სივრცედ, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის რაციონალური გამოყენების, კავკასიის ხალხებს შორის ეკონომიკური და მეგობრული ურთიერთობების შემქმნელ და საზღვარდაცულ ტერიტორიად უნდა იქცეს.

ხევი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. ხევი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის კალთებზე, თერგის აუზის ზემო წელში მდებარეობს და ადმინისტრაციულად ესაზღვრება: დასავლეთით – ჯავის, სამხრეთით – ახალგორის, აღმოსავლეთით – დუშეთის რაიონებს, ხოლო ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთისა (ალანია) და ინგუშეთის (ქისტეთი) რესპუბლიკებს. 1917 წლამდე ხევის ტერიტორია თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში შედიოდა, ხოლო 1930 წლიდან ყაზბეგის რაიონის (ფართობი – 1082 კმ²) დიდ ნაწილს მოიცავს. მის ფარგლებში მოქცეული ხეობების საერთო განმაზოგადებელი სიტყვა – „ხევი", რაც ხეობას, ხრამს ნიშნავს, მხარის აღმნიშვნელ ტოპონიმად იქცა, ხოლო იქ მცხოვრები ქართველი მთიელი „მოხევედ" იწოდება.

საქართველოს მთიან რაიონებს შორის ხევს, უმნიშვნელოვანესი დერეფნის – დარიალის კლდეკარის არსებობის გამო, ყველაზე ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. XIX ს-ში ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ძალისა და საკაჭრო კაპიტალის შემოჭრა მნიშვნელოვანწილად საქართველოს სამხედრო გზით ხორციელდებოდა, რამაც ხელი შეუწყო ხევში თემური წყობილების კარჩაკეტილი ცხოვრების რღვევას. დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში ნათლად გამოიკვეთა ხევის სასაზღვრო და პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, რამაც დიდი როლი უნდა შეასრულოს კავკასიის ხალხთა შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობასა და ეკონომიკური კავშირების დამყარებაში.

ბუნებრივი რესურსები. მხარის მაღალმთიანი რელიეფი, რომელიც განუმეორებელი შთამბეჭდავი პანორამების სიმრავლით გამოირჩევა, შესანიშნავი ტურისტული რესურსია. უმაღლესი ოროგორაფიული ერთეულია რაიონის ფარგლებში 26 კმ-ზე გადაჭიმული ხოხის ქედი, სადაც განლაგებულია 4000 მ-იანი მწვერვალები: სუათისი (4480 მ), მაილი (4620 მ), ჯიმარა (4770 მ) და დიდებული მყინვარწვერი (5033 მ). მყინვარების თეთრი სამოსელით გარშემორტყმულ ამ ბუმბერაზს მოხევეები ხატოვნად „ხევის პატარძალს" უწოდებენ.

მთავარი სამდინარო არტერიაა თერგი (მისი სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ 50 კმ-ია), რომლის დამანგრეველმა ენერგიამაც დარიალის

განსაცვიფრებელი ხეობა შექმნა. ეს უნიკალური მთის მდინარე ბევრი მოგზაურის. პოეტის და მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა. ჰიდროგრაფიული ქსელი, მდინარეების (სნოსწყალი, ხდისწყალი, ბიდარა, ამალი, ჩხერი, მნა, სუათისი, დეკდარაკი და სხვ.) გარდა, წარმოდგენილია პატარა ტბებით, რომელთა შორის აღსანიშნავია თრუსოს ხეობაში, ს.აბანოსთან მდებარე მინერალური ტბა. წიაღისეულიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ანდეზიტს, დიაბაზურ ბრექჩიებს (სანაკეთო ქვებს) და მინერალურ წყლებს. თრუსოს ხეობაში და ყაზბეგის ქვაბულში 60-მდე მინერალური წყარო – ცივი და გაზიანი „მჟავე წყლებია" განლაგებული, რომელთა სამკურნალო და სუფრის მინერალური წყლის დადგენილი ღირსებები აღიარებას და საწარმოო ათვისებას ელოდება.

ხეკის მაღალმთიან ტერიტორიაზე, რომელიც ჰაკის ვერტიკლური ზონალობით ხასიათდება, საშუალოდ დომინირებს ზომიერად ნოტიო კლიმატი, ციცი ზამთრით და შედარებით გრილი ზაფხულით. განსაკუთრებით მრავალფეროვანია სუბალპური მდელოების ფლორა, რომლის ბალახეულობას სათიბ-საძოვრებად იყენებენ. ბიოსფეროს ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია მარადმწვანე რელიქტური ბუჩქი – დეკა (როდოდენდრონი), ალპური მაღალბალახეულობა, აღმოსავლეთ-კავკასიური ჯიხვი, არჩვი, კავკასიური მთის ინდაური – შურთხი, მთის არწივი და სხვ.

მოსახლეობა. ხეკი უძველესი დროიდანვე, შედარებით მეჩხერად დასახლებული მხარეა. მოხევეთა ყოფითი და სამეურნეო ზნე-ჩვეულებანი, სტუმარ-მასპინძლობა, სიყვარული და მეგობრობა, ქალური კდემამოსილება და მამაკაცთა ვაჟკაცობა, ოჯახის და გვარის ტრადიციების დაცვა, რომლებიც ხევში თანამედროვე ციცილიზაციის გავლენით ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული, დიდებულად აღწერა ალექსანდრე ყაზბეგმა. განსაკუთრებით სტაბილური იყო მოსახლეობის რიცხოვნობა (8,7 ათასი კაცი) 1886-1926 წლებში, როცა მაშინდელი მდორე, შედარებით უშფოთველი ცხოვრება მთაში გარკვეულ ეკოლოგიურ წონასწორობას ექვემდებარებოდა და დემოგრაფიული პროცესი ერთგვარ კალაპოტში იყო მოქცეული. ამჟამად მოსახლეობის რიცხოვნობით (5,5 ათასი კაცი) ყაზბეგის რ-ნი ქვეყნის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის ბოლო ადგილზეა. ქართველების გარდა, რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ, ცხოვრობენ ოსებიც, რომელთა განსახლების ძირითადი არეალი – თრუსოს ხეობა, თითქმის გაუკაცრიელდა და იქ ცხოვრება, ფაქტობრივად, სეზონურ ხასიათს ატარებს.

ხეკში დაბალი სიმჭიდროვეა – 5,1 კაცი 1 კმ^2-ზე. ამჟამად, ოფიციალურად არსებული 45 სოფლიდან დიდი უმრავლესობა მცირეკომლიანია. ხალხმრავლობის მიხედვით მხოლოდ სიონი, გარბანი, არშა და სნო გამოირჩევა, სადაც თითოეულში 400-ზე მეტი მცხოვრებია. სოფლების უმრავლესობა ზ.დ.1800 მ-ზე ზეკით

მდებარეობს, მათ შორის სოფ.რესი საქართველოს უმაღლეს (2400 მ) დასახლებად ითვლება. სასოფლო განსახლების არეალი ძირითადად მდ.თერგის ზემო წელის ხეობებშია განლაგებული (კობის ანუ თრუსოს, სიონი-გორისციხის, სნოს, გუდაურის მცირე სასოფლო აგლომერაციები).

ამ არაურბანიზებული მხარის ერთადერთი საქალაქო დასახლებაა ყაზბეგი (ყოფილი სტეფანწმინდა) – ისტორიული, ადმინისტრაციულ-კულტურული და ტურისტულ-ალპინისტური ცენტრი. მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, ყუროს ქედის ძირში, თერგის მარჯვენა ნაპირზე, საიდანაც მყინვარწვერის და გერგეტის „წმინდა სამების" ეკლესიის (XIV ს.) დიდებული პანორამა იშლება. მაღალი ჰიფსომეტრიული (1800 მ) და მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეული დაბის (1,8 ათასი კაცი) ღირსშესანიშნაობებს შორის უნდა აღინიშნოს: სახელგანთქმული მკვიდრის – ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი და მის წინაპართა სახლში (ეზოში საგვარეულო ეკლესია აშენებულია 1809 წ.) მოწყობილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ.კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტის მაღალმთიან სტაციონართან შექმნილი ეკოლოგიური განათლების ცენტრი, დაბის მიდამოებში (სოფ.ტყარშეტთან) არსებული კურორტი და სამკურნალო მინერალური წყარო, რომლის ბაზაზეც ადრე „ყაზბეგის" წყლის ჩამოსხმა ხდებოდა.

მეურნეობა. ხეკის რელიეფი, მკაცრი კლიმატური პირობები, ინტენსიური ეროზიული და გლაციალური პროცესები ძლიერ ზღუდავს აგროწარმოებას და პრაქტიკულად გამორიცხავს მიწათმოქმედების განვითარებას (მცირე რაოდენობით მოჰყავთ კარტოფილი). უკანასკნელ პერიოდში, გაზსადენის გაყვანასთან დაკავშირებით, განვითარდა სასათბურე მეურნეობა. სოფლის მეურნეობისათვის გამოუყენებელი ფართობი რაიონის მთელი მიწების თითქმის 60% (მაშინ, როცა ქვეყნის მასშტაბით ანალოგიური მაჩვენებელია 15%) შეადგენს. რაიონის ერთ მცხოვრებზე 11 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის (შესაბამისი ეროვნული მაჩვენებელია 1,2 ჰა), რაც სათიბ-საძოვრების დიდი ხვედრითი წილით (41,8%) და მოსახლეობის სიმცირით აიხსნება.

მეურნეობის მთავარი და ტრადიციული დარგია მეცხოველეობა, რომელშიც წამყვანია ექსტენსიურად განვითარებული მეცხვარეობა (21 ათასი სული 2000 წ.). მასთან ერთად ხევში ვითარდებოდა შინამრეწველობა – მატყლის დამუშავება, რთვა, ქსოვა, ყველის წარმოება და სხვ. ძირითადად გავრცელებულია თუშური ჯიშის ნახევრად უხეშმატყლიანი ცხვარი, რომელიც მაღალმთიან პირობებს კარგადაა შეგუებული.

ხეკის ეკონომიკაში მრეწველობის ისედაც სუსტი როლი დღეს საერთოდ დაკნინებულია. 1930-იან წლებში სოფ.არშასთან დაიწყო ანდეზიტის მოპოვება, რაც

შემდგომ შეწყდა. ამ სამთო-ქიმიური ნედლეულის დაძიების ახალი მონაცემებით ხეკის ანდეზიტის საბადოები საერთო მარაგით ჭარბობს ციხისძირისას (ბორჯომის რ.) და მასზე ქვეყანაში არსებული მთელი მარაგის 65%-მდე მოდის. მისმა მომავალმა ექსპლუატაციამ მხარის სამრეწველო პოტენციალი შეიძლება მნიშვნელოვანდ აამაღლოს. ხეკი განსაკუთრებით მდიდარია ნარზანის ტიპის (ნახშირმჟავას შემცველი) მინერალური წყლებით (უპირველეს ყოვლისა, თრუსოს ხეობა და ყაზბეგის ქვაბული), რომელთა სამრეწველო ექსპლუატაცია შესაბამის ინვესტიციებს საჭიროებს.

საქართველოს მთიან რაიონებს შორის ხეკის სატრანსპორტო ქსელით უბრუნველყოფის ღონე შედარებით უკეთესია. თუმცა, მთაში მიმოსვლის „აქილევსის ქუსლი" – სეზონურობა მნიშვნელოვნად აფერხებს სააეტომობილო ტრანსპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას ისეთ მაგისტრალზეც კი, როგორიც საქართველოს სამხედრო გზაა. სამხრეთ კავკასიის რუსეთთან დამაკავშირებელმა ამ მერიდიანულმა გზატკეცილმა, რომელიც XIX ს-ში (1811-1863 წწ.) იქნა გაყვანილი, არსებითი როლი უნდა შეასრულოს მხარის ეკონომიკურ გააქტიურებაში და კერძოდ, ტურიზმის განვითარებაში. სააეტომობილო გზების საერთო სიგრძე რაიონში 130 კმ-ია. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ვლადიკავკაზი–თბილისის მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც რაიონის ტერიტორიას არა მხოლოდ სატრანზიტოდ იყენებს, არამედ გარკვეულწილად, ტრასისპირა დასახლებების თბომომარაგებასაც ემსახურება.

უნიკალური და ბუმბერაზი ბუნებით ხეკმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებ-ში გაითქვა სახელი, რაც მისი რეკრეაციული პოტენციალის ქვაკუთხედია. მთამსვლელთათვის მიმზიდველი იყო კავკასიის და ევროპის ერთ-ერთი უმაღლესი და ულამაზესი მწვერვალის – მყინვარწვერის დალაშქვრა, რომელიც ისტორიული გადმოცემით პირველად XVIII ს-ში სტეფანწმინდელმა იოსებ მოხევემ (სუჯაშვილმა) განახორციელა. მწვერვალის ერთ-ერთი დამპყრობის (1868 წ.) ინგლისელი ალპინისტის დ.ფრენშილდის სიტყვებით: „მყინვარწვერი – კლასიკური მთაა. მისი ყინულიანი ფერდობის ლამის წახნაგებიკით მოელვარე დიადი ნაკეცები დიდი ხანია იზიდავენ თავისკენ მოგზაურებს, ხოლო მთიელთა პოეტური ფანტაზიით შექმნილი მრავალი ლეგენდა მისდამი ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს" (ასლანიშვილი, 1924). 1932 წ. შემდეგ, როცა მწვერვალზე გ.ნიკოლაძის ხელმძღვანელობით პირველი ქართული ექსპედიცია ავიდა, ყაზბეგი ტურიზმისა და მასობრივი ალპინიზმის ერთ-ერთ ცნობილ ცენტრად იქცა. ხოლო სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება რაიონში 1980-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გუდაურში მწყობრში ჩადგა საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული კომპლექსი.

ტურისტული ღირსშესანიშნაობებიდან ასევე აღსანიშნავია: დარიალი და მისი ციხე, თავისი შეუვალი ციხე-სიმაგრეებით ცნობილი სოფლები – არშა, სნო, გველე-

თი (მის მიდამოებში საყურადღებოა აგრეთვე ჩანჩქერი), ფანშეტის კოშკი, გარბანის (IX-X სს.), სიონის ეკლესიები. ეს უკანასკნელი ხუროთმოძღვრული ძეგლი – სამნაკიანი ბაზილიკაა, რომლის შესასვლელთან ნახევარწრედ განლაგებულია საკითხების გადასაწყვეტად შეკრებილი ხევის უხუცესებისათვის გარკუთვნილი ქვის საკარძლები და სკამები. ყაზბეგთან ტერიტორიულად შეზრდილი ყოფილი სოფლის გერგეტის ზეკით, მყინვარწვერის მთის განშტოებაზე (2170 მ), დგას ხევის მთავარი სალოცავი – ანდეზიტის ქვით ნაშენები გუმბათოვანი ტაძარი – „წმინდა სამება" (XIV ს.), რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი მცხეთის საკათალიკოსოს სამკაულების და წმ.ნინოს ჯვრის სახიზრად მიიჩნევდა. მყინვარწვერის მასივზე (4100 მ) ციცაბო მოწითალო ანდეზიტის კლდეში (კლდის ძირიდან 300 მ სიმაღლეზე) გამოკვეთილია ძნელად მისადგომი და ლეგენდებით მოცული ბეთლემის გამოქვაბული, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისში განდეგილთა საცხოვრებელი იყო.

მთიულეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. მდებარეობს ძირითადად დუშეთის რაიონის მაღალმთიან ნაწილში და მოიცავს მდინარეების – მთიულეთის არაგვის (თეთრი არაგვის) და გუდამაყრის არაგვის (შავი არაგვი) ხეობებს. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარია ნასოფლარი მთიულთკარი. რეგიონის ფართობი 798,3 კმ²-ია. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ფშავ-ხევსურეთი (გუდამაყრის ქედი), ჩრდილოეთიდან – ხევი, საზღვარი გადის მთიულეთის ქედზე; დასავლეთიდან – ლომისის ქედი.

სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეულ მის ტერიტორიაზე გადიოდა გზა ჩრდილოეთისაკენ. მტრებისაგან თავდაცვის მიზნით, სამეფო ხელისუფლება მთელ ამ ხეობას საუკუნეების მანძილზე ციხე-კოშკებით ამაგრებდა. ამიტომაც, თუ სვანეთს არ ჩავთვლით, მის მცირე ფართობზე ყველაზე ბევრი კოშკია აშენებული, განსაკუთრებით კი – თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადის – ხადას ხეობაში (გვასალია, 1983).

მთიულეთში, ისევე როგორც მეზობელ ფშაესა და ხევსურეთში, გვაროვნული წყობილების ნაშთები კიდევ არის შემორჩენილი. მხარე, რომელსაც ეთნოგრაფები მთიულეთ–გუდამაყარს უწოდებენ, თემებად (ხადა, ცხაკატი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) იყოფოდა. ხშირი იყო ცალკეული ფეოდალების ქონება მთიულეთის ხელში ჩასაგდებად. ტერიტორიულად იგი 1743 წლამდე არაგვის საერისთაოში შედიოდა, შემდეგ კი საუფლისწულო მამული იყო. მთიულებს ბატონყმობის უღელი არ განუცდიათ. ძნელად აიტანეს მათ რუსეთის მმართველობის რეჟიმი და

რამდენჯერმე მოაწყვეს აჯანყება კოლონიზატორების წინააღმდეგ (ცნობილია 1804 წ. და სხვა აჯანყებები).

ბუნებრივი რესურსები. წიაღისეულიდან გვხვდება ადგილობრივი მნიშვნელობის სამშენებლო მასალების საბადოები: თაბაშირის, გაჯის (დ.ფასანაურის მიდამოებში), ქვიშის, რიყის ქვის – მდინარეთა ხეობებში. მიწის რესურსებში მცირეა დამუშავებისათვის ვარგისი ფართობების ხვედრითი წილი. მთიულეთის მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, რომლებიც ძირითადად მდ.არაგვის აუზის ხეობებითა და მაღალმთიანი ლანდშაფტებით არის წარმოდგენილი. აგრეთვე რეგიონში ბევრია მინერალური წყაროების გამოსასყელელი (ფასანაურის, ჩირიკის, მაქართლის, ხანდოს ხევი და სხვ.).

მოსახლეობა. მთიულეთი უძველესი დროიდან ქართველებით დასახლებული მხარეა. ეროვნული სტრუქტურა ოდნავ შეიცვალა საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის შემდეგ. ამჟამად ეთნიკურ უმცირესობას რუსები და ოსები შეადგენენ.

მხარის ბუნებრივი პირობების თავისებურებებმა, კერძოდ, დამუშავებისათვის და დასახლებისათვის ვარგისი მიწების სიმცირემ, რომლებიც ცალკეული პატარა ნაკვეთების სახით არის გაფანტული, განსახლების დისპერსული ხასიათი განაპირობა. მცირე სოფლების სიჭარბე, უგზოობა და კარჩაკეტილი მეურნეობა მოსახლეობის აღგილზე დამაგრებას ხელს არ უწყობდა. მიუხედავად ამისა, შეზობელ მთიან მხარეებთან შედარებით, მოსახლეობის წასვლა მთიულეთიდან შედარებით უმნიშვნელო იყო. ხდებოდა მხოლოდ შიდატერიტორიული დემოგრაფიული გადანაწილება, რაშიც დიდი როლი შეასრულა საქართველოს სამხედრო გზამ. იგი იზიდავდა მოსახლეობას მაღალმთიანი სოფლებიდან და ამგვარად მხარის დეპოპულაციას აფერხებდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1886-1989 წწ. (ანუ ერთი საუკუნის მანძილზე) მთიულეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 26,5%-ით შემცირდა მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში ფშავს დააკლდა მცხოვრებთა 78,7%, ხევსურეთს 87,8%, თუშეთი კი თითქმის მთლიანად დაიცალა.

1989 წ. მონაცემებით მთიულეთის 76 სოფელში ცხოვრობდა 6822 კაცი, 2000 წ. – დაახლოებით 6300 კაცი. განსახლების არეალი მიუყვება მდ.არაგვის ხეობის გასწვრივ მდებარე საქართველოს სამხედრო გზას და ასევე მისი შენაკადების ხეობებს. მთიულეთის ერთადერთი სადაბო დასახლებაა ფასანაური (2,1 ათასი კაცი). იგი მდებარეობს თეთრი და შავი არაგვის შესაყართან. ლამაზმა ბუნებრივმა გარემომ და მოხერხებულმა სატრანსპორტო მდებარეობამ მას სატრანსპორტო–სავაჭრო, ტურისტულ–საკურორტო ფუნქცია და განვითარების კარგი პერსპექტივა შესძინა.

მეურნეობა. ბუნებრივი პირობები ძველთაგანვე განსაზღვრავდა ამ მხარის შეზღუდულ და სუსტ მეურნეობრივ განვითარებას. „და არს მოზღუდული მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუვალ არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი ... არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სიყინწროვის გამო"

(ვახუშტი, 1997). იგი უპირატესად მეცხოველეობის რეგიონია – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებასთან ერთად, მეცხვარეობასაც მისდევენ. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირე, მათ შორის სათიბ-საძოვრებისაც, აქ მესაქონლეობის განვითარების ფართო შესაძლებლობებს არ იძლევა. ამიტომაც მთიულებს ხეკსურეთის საძოვრებით სარგებლობა უხდებოდათ, ზამთრობით კი ცხვარი შირაქში გადაყავდათ.

დამუშავებული მიწების სიმცირე და მკაცრი აგროკლიმატური პირობები ზღუდავენ მიწათმოქმედების განვითარებას. მცირე რაოდენობით მოჰყავთ ქერი, ფეტვი, ხორბალი. ტრადიციული დარგია შინამრეწველობა – მატყლის, რქის დამუშავება, მატყლის უხეში ქსოვილების, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის დამზადება, ნაბდის თელვა, თოკების გრეხვა. ფერთა სიუხვით გამოირჩევა მთიულური ფარდაგები. საღებავებს მცენარეებისაგან ამზადებენ. რეგიონის მთავარი სატრანსპორტო არტერიაა საქართველოს სამხედრო გზა, რომლითაც იგი უკავშირდება ბარის რაიონებს და ჩრდილოეთ კავკასიას. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები კეთილმოწყობელია. ხშირია გზების დაზიანება ზვავების, ნამქერებისა და ღვარცოფების შედეგად. მთის ჯანსაღი ჰაერის, უხვი მინერალურ-თერმული წყაროების, „ესთეტიკური" რესურსების – მაღალი მთის ლანდშაფტების, მატერიალურ-კულტურული ძეგლების სიუხვის გამო მთიულეთს საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია.

ღირსშესანიშნაობები. მთიულეთში მდიდარი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობაა – ციხე-სიმაგრეები, საინტერესო საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობები და სხვ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ტანწყობილი ზურგიანი კოშკის ტიპი, განსაკუთრებით თეთრი არაგვის ხეობაში – ხადაში. აქ მათი განსაცვიფრებელი რაოდენობაა. ვახუშტი ბაგრატიონი 60 კოშკის არსებობაზე მიუთითებს, ისინი ძირითადად ადრეფეოდალურ (X ს. ჩათვლით) ხანაშია აგებული. კოშკებია – ბედონის, ქალაქეთის და სხვ. ასევე ბევრია აქ ციხე. ადრეულ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება მახვილოს ციხე (გუდამაყარში), ძველი სეთურების, მახარობლიანთ, ჯაღმიანთ, შარუმიანთ, ლომისის, ხადას ციხეები და სხვ. შემორჩენილია ასევე საგვარეულო და სათემო ხატები, მათ შორის ლომისის წმ. გიორგი (მლეთა), პირიმზე ფუძის ანგელოზი (ჩოხი), წიფორის წმ.გიორგი (ფასანაურთან), ღუდას ყოვლადწმინდა (მლეთასთან) და ეკლესიები (ხადოს, ჭალის, ცეცხლისქვრის, ქოროღოს, ბედონის, კიმაურის, ხადის, წკერეს და სხვ.).

ფშავი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. მოიცავს დუშეთის რაიონის მთიან ნაწილს, მდ.ფშავის არაგვის ხეობას, მაღაროსკარისა და უკანაფშავის სასოფლო თემის

ტერიტორიებს. ფართობი – 584,4 კმ²-ია. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ერწოთიანეთი, ჩრდილოეთით – ხევსურეთი, დასავლეთით – მთიულეთი, სამხრეთით – შიდა ქართლი.

ფშავის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ძველთაგანვე არახელსაყრელი იყო მხარის ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძნელადმისადგომი რეგიონია, ხასიათდება რთული რელიეფური პირობებით და საკმაო მანძილითაა დაშორებული ბარის რაიონებს. ამასთანავე მას სტრატეგიული მდებარეობა გააჩნდა, რადგან მეზობელ ხევსურეთთან და მთიულეთთან ერთად საქართველოს ბარს იცავდა ჩრდილოეთიდან შემოსული მტრებისაგან. განსაკუთრებით დიდი იყო მისი როლი კახეთის სამეფოს დაცვაში, ვინაიდან ფშავის კავკასიონზე გადადის ბილიკები ჩრდილოეთ კავკასიაში, საიდანაც შემოსვლა შეეძლოთ ქისტ-ჩაჩნებს.

XI ს-ში ფშავი გაერთიანებული იყო კუეტერას საერისთავოში, შემდეგ ერწოთიანეთის საპოურაოში. ჩრდილოეთის ტომების შემოსევებისაგან დასაცავად ერეკლე II-მ სპეციალური ლაშქარი ფშაველების გარეშე შექმნა, რადგანაც ისინი თვით იყვნენ ქვეყნის დამცველები. სიმამაცის და ერთგულების გამო კახეთის მეფემ ლევან II, მათ უბოძა შირაქის საზამთრო საძოვრები, სადაც შემდგომში ისინი დასახლდნენ კიდევაც.

ბუნებრივი რესურსებით რეგიონი ღარიბია. სამრეწველო მნიშვნელობის წიაღისეული არ გააჩნია. სასოფლო-სამეურნეო საკარგულების, განსაკუთრებით დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ფართობი მცირეა. მინერალური წყაროები („ვაჟას წყარო" და სხვ.) და მთის ჯანსაღი ჰაერი, ლამაზ ბუნებასთან ერთად, გარკვეულ პირობებს ქმნის საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის.

მოსახლეობა. ფშავის მოსახლეობა 1,1 ათას კაცს არ აღემატება. მისთვის, როგორც ტიპიური მთიანი რეგიონისათვის, დამახასიათებელია მცხოვრებთა რიცხოვნობის შემცირება და ბარის რაიონებისაკენ ლტოლვა. XIX ს. მიწურულს დაიწყო ფშაველების ჩამოსახლება კახეთში (შირაქის ზამთრის საძოვრებზე) და წარმოიშვა მუდმივი დასახლებული პუნქტები (ზემო და ქვემო ქედი, არხილოსკალო). ასევე მოხდა ფშავის მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის გადმოსახლება ერწოსა და ბაზალეთის მიდამოებში. მცხოვრებთა ინდივიდუალური გადასახლება ქალაქებსა და ბარის სოფლებში, განსაკუთრებით გაძლიერდა II მოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. 1886-1989 წწ. განმავლობაში მოსახლეობა, რომელიც მთლიანად ქართულია, 5,1 ათასიდან 1,1 ათას კაცამდე შემცირდა, ხოლო სოფლების რიცხვი თითქმის განახევრდა (48-დან 26 დარჩა).

მხარე მეჩხერად არის დასახლებული. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1,8 კაცია 1 კმ²-ზე. განსახლების არეალი მიუყვება მდ.ფშავის არაგვის ხეობას, სადაც მცირე ზომის სოფლები მთის ფერდობებზეა შეფენილი. ყველაზე დიდი სოფელია მაღაროსკარი (307 კაცი). სიმაღლის მატებასთან ერთად სოფლების ხალხმრავლობა

მცირდება. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებთა რიცხოვნობა შეზღუდულია – საშუალოდ 6-9 კაცი ცხოვრობს.

მეურნეობა. მოსახლეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას და მეცხვარეობას მისდევს, თუმცა სათიბ-საძოვრების შედარებით მცირე ფართობები, უგზოობა მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავს. მისდევენ აგრეთვე მეფუტკრეობას, აყავთ ცხენი.

ადრე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შინამრეწველობას – შალის წინდების, ფარდაგების და სხვ. ქსოვას, რაშიც ქალები მთელ თავის ხელოვნებას და გემოვნებას ავლენდნენ. ამიტომაც ათი ნახელავი გამოირჩეოდა ნატიფი შესრულებითა და ფერთა ორიგინალური შეხამებით. მისდევდნენ ასევე ხელოსნობას, ჭედურობას, ვერცხლის სამკაულების დამზადებას. ძველი ტრადიციული საქმიანობის აღდგენა-განვითარება ამ მხარის სამეურნეო გამოცოცხლების კარგი წინაპირობაა.

ბართან სატრანსპორტო კავშირი მხოლოდ ერთი სააკტომობილო გზით (ჟინვალი–ბაღაროსკარი–ბარისახო) ხორციელდება, რომელიც შატილამდე გრძელდება და ძირითადად სეზონურად ფუნქციონირებს. რეგიონის შიგნით გზები კეთილმოწყობელია. ბევრ სოფელს შორის კავშირი ბილიკებით მყარდება.

ღირსშესანიშნაობები. მეზობელი მთიულეთისაგან განსხვავებით, ფშავში ნაკლებადაა წარმოდგენილი მატერიალური კულტურის ძეგლები. სალოცავებიდან აღსანიშნავია ლამარის (ფშაველების მთავარი სალოცავი), იახსარის და თამარის ხატები. რიგ სოფლებში (ყელევითელა, სიმაგრეულა, აჩაქელი, ბზიკურთა, ბოდავი) შემორჩენილია შუა საუკუნეების კოშკები. საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ს.ჩარგალი და მუხეუმად ქცეული სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ვაჟა–ფშაველამ.

ხევსურეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. მოიცავს დუშეთის ადმინისტრაციული რაიონის მთიან ნაწილს. მისი ტერიტორია (992,4 კმ²) კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედით გაყოფილია პირაქეთ და პირიქით ხევსურეთად. პირაქეთა ნაწილი მდებარეობს კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, მდ.ხევსურეთის არაგვის ხეობაში და უკავია ბარისახოსა და გუდანის თემის ტერიტორიები. პირიქითა ხევსურეთი განლაგებულია ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მდ.მდ. – არხოტისწყლის, არღუნისა და ანდაქის ხეობებში და მოიცავს შატილის თემში შემავალ სოფლებს. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ჩაჩნეთი და თუშეთი, ჩრდილოეთით – ინგუშეთი, დასავლეთით – ხევი და მთიულეთი, ხოლო სამხრეთით – ფშავი. მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული, კერძოდ, სატრანსპორტო მდებარეობა

ძველთაგანვე არახელსაყრელი იყო მხარის ეკონომიკური განვითარებისათვის. პირიქითა ხევსურეთი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მდებარეობისა და რთული რელიეფის გამო ქვეყნის ძნელადმისადგომი რეგიონია. ამავე მიზეზით, ამჟამადაც გაძნელებულია კავშირები ხევსურეთის ცალკეულ ნაწილებს შორის. ძველი პერიოდიდანვე მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან კავკასიონის ფერდობებზე მდებარე საქართველოს მთიან კუთხეებთან (ფშავი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი) ერთად საქართველოს ბარის რაიონებს ჩრდილოეთიდან წამოსული მტრებისაგან იცავდა.

ხევსურეთი უძველესი დროიდან ქართველი ტომებით დასახლებული რეგიონია. მატიანეში იგი ფშავთან ერთად იხსენიება „ფხოვის" სახელწოდებით და მოსაზღვრე ქისტები მას „ფხიას" უწოდებენ (მაკალათია, 1935). ხევსურები თემური წყობილებით ცხოვრობდნენ, კახეთის მეფეს ბეგარას უხდიდნენ და საჭიროების შემთხვევაში ლაშქარიც გაჰყავდათ. ამასთან, გამოირჩეოდნენ მამაცობით და საუკეთესო მეომრების სახელი ჰქონდათ დამკვიდრებული. ბახტრიონის ციხის აღებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის ლეკან მეორემ მათ კახეთში საძოვრები უბოძა.

ბუნებრივი რესურსები. საუკეთესო საზაფხულო საძოვრები და სათიბები მესაქონლეობის განვითარების კარგ შესაძლებლობებს ქმნის. დამუშავებისათვის ვარგისი ფართობები უმნიშვნელოა. მიწათმოქმედების განვითარებისათვის არც აგროკლიმატური პირობებია ხელსაყრელი. რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ჯანსაღი ჰაერი და მინერალური წყლები.

მოსახლეობა. ხევსურეთში დაახლოებით 500 კაცი ცხოვრობს, გაცილებით ნაკლები, ვიდრე მეზობელ მთიულეთში, ხევში ან ფშავში. არახელსაყრელმა ბუნებრივმა საცხოვრებელმა პირობებმა, მეურნეობის დარგების განვითარების დაბალმა დონემ, დასაქმების სფეროს შეზღუდულობამ, უგზოობასთან ერთად, გამოიწვია მცხოვრებთა გაძლიერებული ლტოლვა ბარის რაიონებისაკენ. ეს პროცესი დიდი ხნის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. მცხოვრებთა ინდივიდუალურ წასვლასთან ერთად ხდებოდა გეგმიანი ჯგუფური გადასახლებები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განხორციელდა ხევსურთა ჩამოსახლება გარე კახეთში, დუშეთსა და თიანეთის რაიონების დაბალმთიან ნაწილებში. 1952-54 წწ. ხევსურეთიდან გარდაბნის რაიონში 240 ოჯახი გადმოსახლდა.

ძლიერმა მიგრაციულმა პროცესებმა, კერძოდ, მცხოვრებთა მექანიკურმა შემცირებამ, მოსახლეობის დაბერების პროცესი დააჩქარა. შემცირდა შობადობის და ბუნებრივი ნამატის მაჩვენებლები. 1886-1989 წწ. მანძილზე ამ მხარის მოსახლეობის რიცხოვნობა 4989-დან 652 კაცამდე შემცირდა. სოფლების რაოდენობა თითქმის განახევრდა (53-დან 29 ნასოფლარად იქცა), ხოლო 18 სოფელში მცხოვრებთა რიცხვი 10 კაცზე ნაკლებია. შედარებით ხალხმრავლობით გამოირჩევა ს.ბარისახო (250 კაცი).

რეგიონის მოსახლეობას ქართველები შეადგენენ. საშუალო სიმჭიდროვე 0,6 კაცი 1 კმ²-ზე (1989 წ.). ძირითადად 1400-2000 მ-ის ფარგლებში განსახლებული მოსახლეობა მთლიანად სასოფლოა. ღამუშაკებისათვის ვარგისი მიწების სიმცირის გამო სოფლები მცირე ზომისაა და ხევსურეთის არაგვის, არხოტისწყლის, არღუნისა და ანდაქის ხეობებსა და მთების კალთებზეა გაფანტული. აქაური კომპაქტურად და ამფითეატრულად კლდეებზე გაშენებული ციხე-სოფლები ფიქლით ან მიწით გადახურული ბანიანი და კოშკებიანი სახლებით არის წარმოდგენილი. ეს ისტორიული განაშენიანება ორ – საბრძოლო და საცხოვრებელ ფუნქციას ასრულებდა და დღეს ტურისტული ღირსშესანიშნაობაა.

მეურნეობა. ძირითად დარგს ძველთაგანვე მეცხოველეობა, კერძოდ, მესაქონლეობა წარმოადგენდა. ყველაზე ღარიბ ოჯახსაც კი 3-4 ძროხა ჰყავდა. ხევსურული ძროხა კარგად ეგუება მკაცრ ბუნებრივ პირობებს და მაღალპროდუქტიულია. ამჟამადაც მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგია. მოსახლეობას რძის პროდუქტების ნაწილი ბაზარზეც გააქვს. განთქმულია ხევსურული ერბო. მცირე რაოდენობით მოჰყავთ ქერი, კარტოფილი, ხორბალი.

განუვითარებელი მრეწველობის ფონზე ტრადიციული დარგია კუსტარული წარმოება – ფარდაგებისა და წინდების ქსოვა, ვერცხლის ნაკეთობათა ჭედურობა, ქალის საბკაულების, საოჯახო ნივთების დამზადება და სხვ. მხარის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს სუსტი სატრანსპორტო კავშირები წარმოადგენს. უგზოობის გამო მხარე საქართველოს სხვა რეგიონებს მოწყვეტილია. შატილამდე და მუცომდე გაყვანილი ერთადერთი საავტომობილო გზა მხოლოდ სეზონურად მოქმედებს. რეგიონის შიგნით, სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები ძირითადად ბილიკებია.

ღირსშესანიშნაობები. ხევსურეთში თითოეული სოფელი (შატილი, მუცო და სხვ.) ხალხური სამშენებლო ხელოვნების ნიმუშია. აღსანიშნავია ხახმატის, ახიელის, ლებაისკარის ციხეთა ნანგრევები. ბევრია წარმართული ხატ-სალოცავი. ამ მხრივ გამორჩეულია გუდანის ჯვარი, რომელიც უმნიშვნელოვანეს ხატად ითვლება მთელ ხევსურეთში. აღსანიშნავია აგრეთვე კოპალა კარატის წყერი, პირქუში და სანება, ცროლის წყერი და ხახმატის ჯვრის დიდი ხატები. მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე მცირე ხატებს, ასეთია ანატორის ჯვარი.

ხევსურეთს მატერიალური კულტურის ძეგლების სიუხვის და მაღალმთიანი ბუნების ლანდშაფტების გამო ალპინიზმისა და ტურიზმის განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა შემდეგი მარშრუტები: 1. ხევსურეთის არაგვის ხეობა: ბარისახო–კორშა–გუდანი–ხახმატი, 2. მდ.ანდაქის ხეობა: მუცო–ანდაქი–არჭილო, 3. არღუნის ხეობა: კისტანი–შატილი: 4. არხოტის წყლის ხეობა: გუდანი–არხოტი.

თუშეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. თუშეთი სვანეთთან ერთად საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონია. იგი განლაგებულია აღმოსავლეთ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. ყველა მხრიდან მაღალი ქედებითაა შემოსაზღვრული და ტერიტორიულად ახმეტის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენს. ფართობი 965,6 კმ^2-ია. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დაღესტანი, ჩრდილოეთიდან – ჩაჩნეთი, დასავლეთიდან – ხევსურეთი, სამხრეთიდან – კახეთი. მას ორი მდინარის – პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზები უკავია. ორივე მდინარე შეერთების შემდეგ სცილდება თუშეთის საზღვარს და დაღესტანში ანდის ყოისუს სახელწოდებით მიედინება. დღევანდელი თუშეთის პერიფერიული და ძნელადმისადგომი გეოგრაფიული მდებარეობა და უგზოობა ეკონომიკური და დემოგრაფიული დეპრესიის მთავარი მიზეზია.

მატიანეში თუშეთი პირველად წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დროს იხსენიება: „... ფხოველნი გარდაეშენნენ, თუშეთს და ერწო-თიანელთა ნათელ-იღეს ...“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1997). ისევე, როგორც მეზობელი მთიელები, თუშები თემური წყობილებით ცხოვრობდნენ და მათ ბატონყმობის უღელი არ განუცდიათ. მათ, როგორც გულადმა მეომრებმა, განსაკუთრებით ისახელეს თავი სპარსეთის შაჰის მიერ კახეთის მმართველად დასმული ზელიმხანის წინააღმდეგ ბრძოლასა და ბახტრიონის ციხის აღებაში. თეიმურაზ II და ერეკლე II მეფობის დროს მათ პირადად ევალებოდათ მეფეთა დაცვა. XIX ს-ში თუშეთი ხან თელავის, ხან დუშეთის მაზრაში იყო მოქცეული (ამ უკანასკნელში 1874 წ. იგი საბოქაულოს სტატუსით შევიდა), ვიდრე 1930-იანი წლებიდან ახმეტის რაიონის ომალოს ჯერ სასოფლო საბჭოს, შემდეგ კი თემის სახელით არ გაფორმდა.

ბუნებრივი რესურსებიდან თუშეთი მდიდარია სუბალპურ და ალპურ ზონებში განლაგებული საზაფხულო საძოვრებითა და სათიბებით; გამოირჩევა აგრეთვე ჰიდრორესურსებით. მხარის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფლების – შენაქოს, ჩიღოსა და დართლოს მიდამოებში ბევრია გოგირდოვანი თერმული წყლების გამოსასვლელი. მთლიანად, თუშეთის რეკრეაციული რესურსები უნიკალურია და მის მომავალ გამოყენებას გააზრებული სტრატეგია და სახელმწიფო კონტროლი სჭირდება.

მოსახლეობა. XIX ს. 80-იან წლებში თუშეთში 4 ათასამდე მუდმივი მცხოვრები და 44 სოფელი იყო, მაგრამ საქართველოს სხვა მთიანი რაიონებისაგან განსხვავებით, თუშეთის მოსახლეობის შემცირების პროცესი მეტად სწრაფად განხორციელდა. 1886-1926 წწ. მან მცხოვრებთა ნახევარზე მეტი დაკარგა. მთლიანად კი, 1886-1989 წწ. მცხოვრებთა რიცხვი 97,8%-ით შემცირდა. 1989 წ. აქ 10 სოფელი (მათ შორის 5 დაცლილია) და 101 მცხოვრები აღირიცხა. ამჟამად აქაური მოსახლეობა რამდენიმე ათეული კაცით, ძირითადად მოხუცი ადამიანებით არის წარმოდგენილი.

მკაცრი ბუნებრივი გარემოს, ცუდი საცხოვრებელი პირობების და უგზოობის გამო მოსახლეობამ დაიწყო მშობლიური კუთხის მიტოვება და ბარის რაიონებში გადასვლა. XIX ს. ბოლო წლებში მოხდა თუშების ჩამოსვლა და დასახლება ალაზნის ველის სოფლებში – ძირითადად ქვემო და ზემო ალვასა და ლალისყურში. ს.ომალო თუშეთის ადმინისტრაციული და სატრანსპორტო ცენტრია. მდებარეობს ზ.დ. 2040 მ სიმაღლეზე. აქ განლაგებულია აეროდრომი ვერტმფრენისათვის.

მეურნეობა. თუშეთი მეცხოველეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის რაიონია. ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობს აქ არსებული საუკეთესო საზაფხულო საძოვრები. ზამთრობით, XIII-XIV სს-ში ხალხური სელექციით გამოყვანილი თუშური ცხვარი, კახეთში შირაქის ველზე გადაჰყავთ. მცირე რაოდენობით მოჰყავთ ქერი, ხორბალი, შვრია, კარტოფილი. ისტორიულად თუშეთი ცნობილია შინამრეწველობით – ნოხ-ფარდაგების ქსოვით. ამზადებდნენ მამაკაცის (თუშურ) ქუდებს, ჩოხებს, საყოფაცხოვრებო საგნებს, ჭედური ხელოვნების ნიმუშებს. თუშური ყველი განთქმულია თავისი გემოვანი თვისებებით. ძველი ტრადიციული კუსტარული დარგების აღდგენა-განვითარება ტურიზმის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

უგზოობა თუშეთისათვის მეტად მტკივნეული საკითხი და მოსახლეობისაგან მისი დაცლის ერთ-ერთი მიზეზია. რთული რელიეფი და მკაცრი კლიმატური პირობები ხელს უშლის მუდმივი კავშირების დამყარებას. კახეთისკენ მიმავალი ერთადერთი სააკტომობილო გზა გადის უღელტეხილ აბანოს სერზე მდ.სტორის ხეობაში და სეზონურად ფუნქციონირებს. ვერტმფრენი, რომელიც ახორციელებს მიმოსვლას თელავსა და ს.ომალოს შორის, ხელშემშლელი მეტეოროლოგიური პირობების გამო ხშირად ვერ დაფრინავს. თვით თუშეთის შიდასატრანსპორტო ქსელი მხოლოდ ცხენის ბილიკებითაა დასერილი. მხარისათვის ტრანსპორტის საკითხების მოგვარება ერთ-ერთი სასიცოცხლო პირობაა, რასთანაც დაკავშირებულია მისი პერსპექტიული დარგის – საკურორტო მეურნეობისა (დასკვნების საზაფხულო და საზამთრო სეზონებით) და განსაკუთრებით ტურიზმის აღმავლობა.

ღირსშესანიშნაობები. თუშეთი ხიბლავს მნახველს თავისი ბუნების მშვენიერებით – მწვერვალებით, ფიჭვნარი ტყეებით, მდინარის მიერ თოვლის ნაზვავში გაკეთებული გვირაბებით ანუ თოვლის ხიდებით (მარუაშვილი, 1977). ბევრ სოფელში, რომელთა უმრავლესობა მიტოვებულია, შემორჩენილია აღმოსავლეთ კავკასიონის ტიპის ტანწერწეტა კოშკები. ისინი მრავალსართულიანია, ნაგებია ფიქლის ბრტყელი ნატეხებით. ზემოთკენ ვიწროვდება და პირამიდისებური სახურავით მთავრდება. ჩარდახიანი ანუ კოშკოვანი სახლების ნახვა შეიძლება ბევრ ნასოფლარში (ჩიღოში, ძველ დიკლოში, ბორევსა და სხვ.). არის ციხე-სიმაგრეები დიკლოში და დართლოში, ეკლესია შენაქოში. ძველი თუშური აკლდამები, რომლებიც ხევსურულს ჰგავს, შემორჩენილია დართლოში, წაროში, გუდანთასა და სხვ. რაც შეეხება ხატებს

(სალოცავებს), ის ყოველ სოფელს აქვს. მათი სრული კომპლექსი შედგება რამდენიმე ნაგებობისაგან – სამლოცველოს გარდა აქ არის მხვეწართა სადგომი, ხატის ბეღელი, სალუდე (მარუაშვილი, 1977). მხარე კარგი ასპარეზია ალპინიზმისათვის. მწვერვალები – დაქუეხი, ქომიტო, დანოსმთა, მოჭეხი და დიკლოსმთა პირველად 1892 წ. დალაშქრა გოტფრიდ მერცბახერმა. შემდეგ, 1937 წლიდან დაიწყო საბჭოთა მთამსვლელების მიერ მწვერვალების დაპყრობა, რომლებიც ძირითადად პირიქითის ქედზეა თავმოყრილი.

თუშეთი უნიკალური ტურისტული ობიექტია. მხარის გაცნობა შეიძლება შემდეგი მარშრუტებით: 1. პირიქითა ალაზნის ხეობა და იქ განლაგებული ნასოფლარები: ჭონთი, გორეეი, ფარსმა, ჭეშო, ქვაკლო, დანო, ჩიღო, დართლო; 2. გომეწრის ხეობა (ნასოფლარები: კესტმო, კესტმომთა, ჩიხურთა, ჯვარბოსელი, დოჭო, ნაციხარი, ბოჭორმა, ჩიგლაურთა, ბეღელი, ხახაბო, ხისო და სხვ.); 3. წოკათის ქკაბული, რომლის წყალი თუშეთის ალაზანს ერთვის. აქ თავმოყრილია თუშეთის ერთ-ერთი ისტორიული თემის მოსახლეობის – წოვათუშების ყოფილი სოფლები – საგორთა, ინდურთა, ეტელთა და სხვ.

სამცხე-ჯავახეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. სამცხე და ჯავახეთი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლის ანუ მესხეთის) შემადგენელი პროვინციებია, რომლებსაც ქვეყნის დღევანდელ ფარგლებში სამხრეთ საქართველოს უწოდებენ. მას სამხრეთით თურქეთი და სომხეთი, დასავლეთით – აჭარა, ჩრდილოეთით – იმერეთი და შიდა ქართლი (ბორჯომის რ.), ხოლო აღმოსავლეთით – ქვემო ქართლი (წალკის და დმანისის რ-ბი) ესაზღვრება. რეგიონის ტერიტორია (ფართობი – 5,2 ათასი კმ² ქვეყნის 7,5% შეადგენს) – საუკუნეების მანძილზე გარეშე მტრებთან საბრძოლო ასპარეზი იყო, რომელიც XVI-XVIII სს-ში ოსმალეთმა მიიტაცა. XIX ს-ში ოსმალეთისაგან განთავისუფლებულმა რეგიონმა, როგორც მეფის რუსეთის სამხრეთის ფორპოსტმა, მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული ფუნქცია შეიძინა, ხოლო ახალციხე და ახალქალაქი მსხვილი საჯარისო შენაერთების მუდმივ ადგილსამყოფელ პუნქტებად იქცნენ.

საბჭოთა პერიოდში, როცა ქვეყანა გარე სამყაროსგან „რკინის ფარდით" იყო გამიჯნული, მხარე ჩიხური მდებარეობის მქონე ჩაკეტილ სასაზღვრო ზონას წარმოადგენდა, სადაც შესვლას სპეციალური საშვი სჭირდებოდა. ამდენად, მაშინდელი სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის მნიშვნელოვანი მიზეზები, ასევე სასაზღვრო რეჟიმით გამოწვეულ იზოლაციასა და დაბალ სამეურნეო აქტიურობაში უნდა ვეძებოთ. დამოუკიდებლობამ საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა შეუქმნა და არსებითად შეცვალა მხარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; კერძოდ, გაიზარდა რეგიონის როლი საქართველოს სამხრეთ მეზობლებთან და განსაკუთრებით, თურქეთთან ურთიერთობის ფორმირებაში. ხოლო ტერიტორიის ჩართვა მომავალ, დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის სატრანსპორტო მშენებლობებში (მილსადენები ჯეიჰანის და ერზურუმის და რკინიგზა ყარსის მიმართულებით) რეგიონისადმი საგანგებო ყურადღებას და იქ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.

ადმინისტრაციულად სამცხე (ფართობი – 2631,0 კმ²) წარმოდგენილია ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებით, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში იყო გაერთიანებული; ხოლო ჯავახეთი (2590,0 კმ²) ანუ ყოფილი ახალქალაქის მაზრა, ახალქალაქის და ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკის) რაიონებს მოიცავს.


40
41
42
50
51

ბუნებრივი რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ მხარე საქართველოს სამხრეთ მთიანეთში მდებარეობს, სამცხისა და ჯავახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. პირველი, ძირითადად, ახალციხის ქვაბულის და ნაწილობრივ, მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობებსა და ერუშეთის მთიანეთის ტერიტორიაზეა განლაგებული, ხოლო მეორე – ჯავახეთის ზეგანზე. სამცხე მდინარეთა ხეობებით არის დასერილი და ჰიფსომეტრიულად შედარებით დაბალია (მისი მთავარი ოროგრაფიული ერთეული – ახალციხის ქვაბული ზ.დ. 900-1500 მ სიმაღლეზე მდებარეობს). ჯავახეთი კი, რომლის საშუალო სიმაღლე ზ.დ. 1800 მ-ია, ძირითადად ტალღოვანი და ტაფობიანი ეაკე რელიეფით ხასიათდება, რაც მიწათმოქმედების განვითარებას უწყობს ხელს. რელიეფის, ჰავის, ნიადაგურ-მცენარეული საფარის და ლანდშაფტის კონტრასტულობა კარგად ვლინდება სამცხისა და ჯავახეთის განსხვავებულ აგროსაწარმოო სპეციალიზაციაში.

რეგიონის სამდინარო არტერიაა მტკვარი, რომელიც ძირითადად მარცხენა შენაკადებით (ფოცხოვი ქვაბლიანითურთ, ურაველი და სხვ.) სამცხეში, ხოლო მარჯვენა შენაკადებით (ფარავანი და სხვ.) ჯავახეთში გაედინება. სამცხის მდინარეებს ძველთაგანვე სარწყავად იყენებდნენ. ტბებით უმდიდრეს ჯავახეთში 56 ტბაა აღრიცხული (მათ შორისაა უდიდესი ფარავანი, კარწახი, ტბაწყური, ხანჩალი, მადათაფა, საღამო და სხვ.), რომელთაგან ბევრს ტურისტული მნიშვნელობა აქვს.

საერთო მიწის ფონდში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის 68,5%, ტყეზე – 20,1%, ბუჩქნარზე – 0,9%, წყლით დაფარულ ტერიტორიაზე – 1,8%, გზებსა და შენობებზე – 5,0%, დანარჩენ გამოუყენებელ მიწებზე – 3,7%. ტყიანობით გამოირჩევა სამცხე, კერძოდ, ადიგენის და ახალციხის რაიონები, რომელთა ტყის საფარის ნაწილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაშია ჩართული. უტყეო ჯავახეთში კი სტეპურ და ქსეროფიტულ მცენარეულობასთან ერთად დიდი ფართობები სუბალპურ და ალპურ მდელოებს უკავია.

სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ვალეს მურა ნახშირის, დიატომიტის (ქისა́თიბი, მდ.ურაველის ხეობა), აქატის (შურდო, პამაჯი), დოლერიტების (ხიზაბავრა, ჩუნჩხა), ბაზალტის (ხანდო), დეკორატიული ქვის (ჭობარეთი), კირის (აზავრეთი), თაბაშირისა და გაჯის (წყალთბილა) საბადოები. მსუბუქი ფოროვანი შემავსებლების (ვულკანური წიდა, ლავური ტუფი, პერლიტი, ობსიდიანი) დიდი მარაგია ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში. ცნობილია აბასთუმნის, ახალციხის, წყალთბილას, ურაველის, ნაქალაქევის, ვარძიის, ასპინძის, ფლატეს, ხერთვისის, საროს, შურდოს და სხვ. მინერალური წყაროები, რომლებიც მხარის მნიშვნელოვან საკურორტო-რეკრეაციულ რესურსს წარმოადგენს, მაგრამ ჯერჯერობით მათი სათანადო გამოყენება და კეთილმოწყობის დონე საკმაოდ დაბალია.

მოსახლეობა. მხარე საქართველოს განსახლების და კულტურის უძველესი კერაა. "ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი (ანუ ქართლელების – ვ.ნ.), არამედ ნელად (სასიამოვნოდ, წყნარად – ვ.ნ.) და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყუარენი ..." (ვახუშტი ბაგრატიონი, 1997). ვახუშტი ბაგრატიონის ეპოქამდე და არც შემდეგ საუკუნეებში, საქართველოს არც ერთ მხარეს არ განუცდია სარწმუნეობრივ-ეთნიკური სურათის ისეთი ტრანსფორმაცია, როგორიც მესხეთის ამ ნაწილს. დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია, რომელიც თითქმის 300 წლის განმავლობაში ოსმანთა იმპერიის ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში იყო, მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მუსლიმანიზაციის არეალად იქცა.

1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა საფაშოს 24-დან 10 სანჯაყის (ახალციხის, ახალქალაქის, აბასთუმნის, ასპინძის, აწყურის, ფოცხოვის, ქვაბლიანის, ჩილდირის, ჭაჭარაქის, ხერთვისის) ტერიტორია ანუ დღევანდელი სამცხე-ჯავახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, იქ 45 ათასამდე მცხოვრები შემორჩა, რომელთა დიდი ნაწილი ქართველი მუსლიმანი იყო (ლომსაძე, 1975). მაგრამ 1830 წლიდან დაიწყო დემოგრაფიული ქაოსი, რომელსაც ქართული ეროვნული ფესვების ამოძირკვის მიზნით, ორივე მოქიშპე ქვეყანა – რუსეთი და თურქეთი გეგმაზომიერად ახორციელებდა.

ამ მზაკვრული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა მკვიდრი ქართული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა – იძულებით გაქრისტიანების შიშით (რომლის პროპაგანდას ორივე ქვეყანა ეწეოდა) ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა, ნაწილი იმიგრანტების მიერ შევიწროების გამო აიყარა. ქართულ გენს ასუსტებდა აგრეთვე გაძლიერებული რუსიფიკაცია, რომელიც მშობლიური ენის განდევნასაც ითვალისწინებდა. ეროვნული ცნობიერების შესუსტებას და გამიჯვნას ხელს უწყობდა რელიგიური სიჭრელეც (ცხოვრობდნენ მუსლიმანი, მართლმადიდებელი, კათოლიკე და გრიგორიანული სარწმუნოების ქართველები). მოსახლეობა ივიწყებდა ქართულ ენას, იცვლიდა სახელსა და გვარს და ა.შ.

სამაგიეროდ, ქართული ავტოქთონური მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების და ეროვნული იმპულსის შესუსტების ფონზე, მხარეს უცხო ეთნიკური ელემენტები ინტენსიურად ეპატრონებოდნენ. კერძოდ, ოსმალეთიდან (ერზურუმის ვილაიეთი-დან) შემოსული 30 ათასამდე სომეხი, ასევე ბერძნები, ქურთები, თარაქამები (თურქული მოდგმის მომთაბარე ტომი), ყაზახიდან და ბორჩალოდან მოსული თათრები, ხოლო 40-იანი წლებიდან – რუსი სექტანტები. მიგრანტების ძირითადი ნაწილი მხარეში ბევრგან ქართულ ნასოფლარებზეც განსახლდა (ხარაძე, 2000). 1832 წელს საკარაუდო 65 ათასი კაციდან 26 ათასი ქართველი (ძირითადად მუსლიმანები), 32 ათასი სომეხი, 6 ათასი თურქი და თათარი, ათას კაცამდე ებრაელი იყო (ჯაოშვილი, 1976). XIX საუკუნის მომდევნო პერიოდში მხარის მოსახლეობა

შემდეგნაირად იზრდებოდა: 1865 წ. რიცხოვნობამ 86,8 ათას კაცს მიაღწია; 1886 წ. – 122,6 ათასს; 1897 წ. – 141,5 ათასს, რამაც მთელი ქვეყნის (საქართველოს დღეანდელ საზღვრებში) მოსახლეობის 7,4% შეადგინა.

XX ს. პირველ ნახევარში, II მსოფლიო ომის დაწყებამდე, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდებოდა; კერძოდ, 1897-1939 წწ-ში ზრდამ 62% შეადგინა (ცხრ. 1). მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, თავისი წინამორბედი მეფის რუსეთის მსგავსად, ამ ქართული მიწის მკვიდრი ეთნიკური ფესვების აღმოფხვრას აგრძელებდა. გამაჰმადიანებული მესხების სამშობლოსაკენ მოქცევის ნაცვლად, მათ გადაგვარებისაკენ უბიძგებდა. სკოლებში ქართულად სწავლების ნაცვლად აზერბაიჯანული შემოიღო. მოსახლეობის 1926 წ. აღწერით მათი ეროვნება დაფიქსირდა, როგორც „მუსულმანი", 1939 წ. კი – „აზერბაიჯანელი". ხოლო 1944 წ. ნოემბერში ამ ტრაგიკული ბედის მქონე ხალხის დეპორტაციამ, სათავე დაუდო მხარის განსახლების სურათის მნიშვნელოვან ცვლილებას და დღეანდელ საქართველოს რთული პოლიტიკურ-დემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა.

1939-1959 წლებში მხარის (განსაკუთრებით სამცხის) მოსახლეობა კატასტროფულად (52,4 ათასი კაცით) შემცირდა, რისი მიზეზიც, ომის გარდა, საკავშირო მთავრობის მიერ ორგანიზებული სადამსჯელო ოპერაცია იყო. სახელმწიფოსათვის „არასაიმედოდ" მიჩნეული 85,0 ათასამდე ადამიანი (ლორთქიფანიძე, 1994), რომელთა დიდ უმრავლესობას მუსლიმანი ქართველები (მესხები) შეადგენდნენ, არა აზერბაიჯანელების, არამედ უკვე „თურქების" იარლიყით, 1944 წ. ყაზახეთსა და შუა აზიაში გადაასახლეს. სამაგიეროდ, 1945-1948 წწ. დემოგრაფიული „ყაკუუმის" შევსების მიზნით, ძირითადად იმერეთის და შიდა ქართლის მთიანი სოფლებიდან ჩაასახლეს 25,0 ათასზე მეტი ადამიანი. საკმაოდ რთული ადაპტაციის შემდეგ, მათი ძირითადი ნაწილი მესხეთში მტკიცედ დამკვიდრდა (კაკაძე, 1993; ჯაშვილი, 1996).

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მხარის მოსახლეობა ძირითადად ბუნებრივი მატების ხარჯზე იზრდებოდა, რადგან მექანიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები – ეკონომიკური (მსხვილი საწარმოების მშენებლობა) და პოლიტიკური (დახურული სასაზღვრო ზონის სტატუსი რეგიონში შესვლას აფერხებდა) არ არსებობდა. განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობა 1959-1970 წწ-ში. შემდგომში, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა ამ ბუნებრივი მატებით გამორჩეულ რეგიონზეც უარყოფითად იმოქმედა. ასე, მაგალითად, 1980-89 წწ-ში მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიურმა კოეფიციენტმა სამცხეში 14,1 და ჯავახეთში 19,6 პრომილე შეადგინა (საქართველოში საშუალოდ 9,2‰), 1991 წ. – სამცხეში 11,5 და ჯავახეთში – 16,0 პრომილე (საქართველოში – 1,5‰). უკანასკნელ ათწლეულში მხარის მოსახლეობა 21,9 ათასი კაცით (აქედან სამცხეში 7,5 ათასით, ხოლო ჯავახეთში – 14,4 ათასით) შემცირდა და ფაქტობრივად, 1959 წ.

მაჩვენებლების დონეზე დაიდა (ცხრ. 1), რაც როგორც ბუნებრივი მატების დონის დაქვეითების, ისე მექანიკური მოძრაობის უარყოფითი სალდოს ზრდის შედეგია.

ცხრილი 1

მოსახლეობის დინამიკა (ათასი კაცი)

წელი	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში (%)
		სომხეთ	ჯავახეთი	
1926 (აღწერა)	174.1	102.3	71.8	6.5
1939.. -- - ..	228.7	129.5	99.2	6.4
1959.. - ..	176.3	81.3	95.0	4.4
1970.. ..	191.9	84.7	107.2	4.1
1979.. - - ..	186.9	82.4	104.5	3.7
1989.. - ..	197.5	89.3	108.2	3.6
2000 (შეფასება)	175.6	81.8	93.8	3.6

1989 წ. აღწერის მონაცემებით, სამცხეში ცხოვრობდა 55,9 ათასი ქართველი, რომელთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 62,4% შეადგენდა, სომხებზე მოდიოდა 30,5%, რუსებზე – 4,2%, დანარჩენზე – 2,9%. ხოლო ჯავახეთში, აღნიშნული სამი ეროვნება შემდეგი თანაფარდობით იყო წარმოდგენილი: ქართველები – 3,2%, სომხები – 90,7%, რუსები – 4,4% (დანარჩენი – 1,7%). შემდგომ წლებში ჯავახეთში გარკვეული მიგრაციული ძვრები მოხდა. 1989 წლიდან იქ დაიწყო აჭარაში სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება (მაგალითად, ახალქალაქის რაიონში მათ ააღორძინეს ქართული სოფელი აზმანა), ხოლო რუსების (დუხობორების) ნაწილის თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება.

რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების თავისებურებები ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორებით არის განპირობებული. სამოსახლოდ სამცხეში ათვისებულია მთელი ტერიტორიის დაახლოებით 26%, ხოლო ჯავახეთში – 41% (ჯაოშვილი, 1968). სამცხის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ახალციხის ქვაბულშია (ზ.დ. 950-2100 მ). თავმოყრილი, ხოლო ჯავახეთის – იმავე სახელწოდების ზეგანზე (1600-2100 მ). ქვეყნის მხარეებს შორის სამცხე-ჯავახეთი მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მიხედვით ერთ-ერთი სუსტად დასახლებულია და 1 კმ²-ზე 33,6 კაცს შეადგენს. ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეა ახალქალაქის (50,8 კაცი) და ახალციხის (49,1 კაცი) რაიონები, რომლებიც, ამასთან, ყველაზე ურბანიზებულია. სამცხეში ქალაქის და სოფლის მოსახლეობის შეფარდებაა 42,9% : 57,1%; ჯავახეთში – 21,9% : 78,1%, ხოლო მთლიანად რეგიონში – 31,7% : 68,3% (2000 წ.).

XX ს-ში მხარის სასოფლო განსახლების ქსელმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, რაზეც 40-იან წლებში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა განსაკუთრებით იმოქმედა. გასახლების შედეგად დაცარიელებული სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ნასოფლარებად იქცა და XX ს-ის ბოლოს რეგიონის

სოფლების საერთო რაოდენობა 1926 წ-თან შედარებით 100 სოფლით შემცირდა. საგრძნობლად შეიცვალა აგრეთვე 1 სოფლის საშუალო ხალხმრავლობა, რადგან XX ს-ის პირველ მეოთხედში იქაური დასახლებები შედარებით მცირეკომლიანი იყო (ცხრ. 2).

ცხრილი 2

სასოფლო განსახლების დინამიკა

მაჩვენებელი	1926 წ.			1989 წ.			2000 წ.		
	სოფლების რაოდენობა	მათი მოსახლეობა	1 სოფლის საშ. ხალხმრავლობა	სოფლების რაოდენობა	მათი მოსახლეობა	1 სოფლის საშ. ხალხმრავლობა	სოფლების რაოდენობა	მათი მოსახლეობა	1 სოფლის საშ. ხალხმრავლობა
		ათასი კაცი	კაცი		ათასი კაცი	კაცი		ათასი კაცი	კაცი
სამცხე	215	88,7	412,8	121	50,8	420,1	125	46,7	373,6
ჯავახეთი	105	68,3	650,7	95	86,3	705,2	95	73,3	777,6
სულ	320	157,0	490,6	216	137,1	634,7	220	120,0	545,4

განსხვავებული დემოგრაფიული სიტუაცია სამცხესა და ჯავახეთს შორის თავს იჩენს სოფლების სიდიდის მაჩვენებლებშიც. სამცხის მცირეკომლიანი სოფლების ხალხმრავლობის მაჩვენებელი ისტორიულად ყოველთვის ჩამოუვარდებოდა ჯავახეთისას, სადაც გაცილებით ბევრი დიდი და მსხვილი სოფელია. მათ შორის უნდა აღინიშნოს: დილისკა, ვაჩიანი, კარტიკამი, კუმურდო, ტურცხი, ხანდო (ახალქალაქის რ.), განძანი, ეშტია, სათხე, ფოკა (ნინოწმინდის რ.), ხოლო სამცხეში – უდე (ადიგენის რ.) და დამალა (ასპინძის რ.).

მხარის ურბანიზაციის შედარებით დაბალი დონის (ქალაქად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 1/3-ზე ნაკლები) განმსაზღვრელია საქალაქო დასახლებათა სუსტი ქსელი, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ 4 ქალაქით და 3 დაბით.

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ახალციხე (22,4 ათასი კაცი) საუკუნეების მანძილზე სარეზიდენციო სტატუსის მატარებელია. ადრე სამცხის საათაბაგოს, 1628 წ-დან ახალციხის საფაშოს, 1840 წ-დან მაზრის, 1930 წ-დან ადმინისტრაციული რაიონის, 1995 წ-დან კი სამხარეო ცენტრის ფუნქციას ასრულებს.

იგი მდებარეობს მდ. ფოცხოვის ორივე ნაპირზე (ზ.დ. 1000 მ). დანაწევრებული რელიეფის გამო, მისი ცალკეული უბნები სხვადასხვა პიფსომეტრიულ სიმაღლეზეა განაშენიანებული. მდინარის მარცხენა სანაპირზე, სადაც თბილისი-ვალეს რკინიგზა გადის, ქალაქის ისტორიული ნაწილია განლაგებული. აქ, მაღალკლდოვან გორაკზე, აღმართულია ციხესიმაგრე, გაშენებულია „რაბათად" წოდებული უბანი, შემორჩენილი საკულტო ნაგებობებით (წმ.მარინეს ეკლესია, მეჩეთი, კათოლიკური ეკლესიის ნანგრევები), ძველი ტიპის სახლებით. თვით ციტადელის ტერიტორიაზე

განლაგებულია სამცხე-ჯავახეთის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიული მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია მხარის კულტურული მემკვიდრეობა: ძველი ხელნაწერები, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული მასალები, ფოტოდოკუმენტები. საყურადღებოა ხალიჩების მუდმივი გამოფენა, ერთადერთი საქართველოში და 2000 წელს გახსნილი ეპიგრაფიკული ძეგლების გამოფენა.

ქალაქის ტერიტორიის დიდი ნაწილი მარჯვენა ნაპირზეა განვითარებული. აქ თავმოყრილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო (მათ შორის მესხეთის სახელმწიფო თეატრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო სასწავლებლები და სხვ.) დაწესებულებები, სავაჭრო და სამეურნეო-საწარმოო ობიექტების უმრავლესობა, აგრეთვე სამხედრო დასახლება. თურქეთთან სატრანსპორტო კავშირების დამყარებამ ადრე ჩიხში მოქცეულ ახალციხეს ეკონომიკური გააქტიურების პირობები შეუქმნა; ხოლო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაარსებამ, რომელიც სამცხის ნაწილსაც მოიცავს, ქალაქს ტურიზმის მაორგანიზებელი ცენტრის ფუნქცია შესძინა.

ახალქალაქი (14,0 ათასი კაცი) მდებარეობს მდ.ფარავნისა და მის შენაკადს მურჯასეთისწყალს შორის, ახალქალაქის პლატოზე (ზ.დ. 1700 მ). დღემდე შემორჩენილია ძველი ქალაქის დაზიანებული ქვის მაღალი და სქელი გალავანი, ციხე-კოშკები, ტაძრისა და ქარავასლის ნანგრევები, ეკლესიათა საძირკვლები. XI ს-დან, როცა ბაგრატ III-მ მისი გამაგრება და შემოზღუდვა დაიწყო, იგი, წუნდის ნაცვლად, ჯავახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი გახდა. მხარის ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ, რუსეთისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს 1874 წ. სამაზრო ცენტრის სტატუსი მიენიჭა.

საბჭოთა პერიოდში რაიცენტრის ფუნქციამეძენილ ახალქალაქს კარგი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს: ჩრდილო-დასავლეთით იგი ახალციხეს, ჩრდილოეთით (ცხრაწყაროს გადასასვლელით) ბორჯომს, სამხრეთით სომხეთს, აღმოსავლეთით (ნინოწმინდაზე გავლით) თბილისს უკავშირდება, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით (კარწახზე გავლით) გზა თურქეთისაკენ მიდის. ქალაქში, ძირითადად რაიონის მეცხოველეობის ბაზაზე, კვების მრეწველობაა განვითარებული. მოსახლეობის ნაწილი კონტრაქტით მსახურობს იქ დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზაში. საქართველოს მთავრობის 1991 წ. დადგენილებით, იგი გამოცხადებულია საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად და 1999 წ. სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, მისი ქვეყნიდან გაყვანა ჭიანურდება.

ქალაქს, ადმინისტრაციულ-სამეურნეოს გარდა, კულტურული ფუნქციაც გააჩნია, რომელიც უმთავრესად განსახლებულ სომხურ დიასპორას ემსახურება.

რაც შეეხება სატრანსპორტო ფუნქციას, XX ს. 80-იან წლებში გაყვანილი ახალქალაქი-მარაბდის რკინიგზის ფაქტიურად უმოქმედობის გამო, მას ძირითადად სომხეთთან დამაკავშირებელი სატრანზიტო დანიშნულება აქვს.

ნინოწმინდა (ყოფილი ბოგდანოვკა) – ჯავახეთის მიწაზე აღმოცენებული შედარებით ახალი დასახლებაა, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარში რუსეთიდან გადმოსახლებულმა დუხობორებმა დააფუძნეს. ამ პატარა სოფელმა (სადაც 1905 წ. 398 კაცი, ხოლო 1926 წ. – 495 კაცი ცხოვრობდა) მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის გამო (აქ თავს იყრის ახალქალაქიდან, წალკიდან და სომხეთის ქალაქ გიუმრიდან მომავალი გზატკეცილები) 1933 წ-დან ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციაც შეიძინა. 1961 წ. კი დაბად, ხოლო 1983 წ. ქალაქად გამოცხადდა.

საქართველოს საქალაქო დასახლებებს შორის ნინოწმინდა ყველაზე მაღლა (ზ.დ. 1940 მ), ახალქალაქის პლატოზე მდებარეობს და მკაცრი კლიმატური პირობებით (მთიანეთის სტეპის ჰაეა) ხასიათდება, რაც მნიშვნელოვანწილად დემოგრაფიული ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია. მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ რაიონული ცენტრის გარკვეულმა ეკონომიკურმა გააქტიურებამ (შეიქმნა კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები) მოსახლეობა 1959-1979 წწ. 1,7 ათასიდან 3,8 ათას კაცამდე გაზარდა. 80-იან წლებში კი, მარაბდა–ნინოწმინდა–ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობამ, რასაც მეზობელი მსხვილი სოფლის ხოჯაბეგის მასთან ტერიტორიული შეზრდა მოჰყვა, ქალაქის მოსახლეობის საგრძნობი მატება (1989 წ. – 6,9 ათასი კაცი) გამოიწვია და ამჟამად 6,5 ათას კაცს შეადგენს.

ვალე (5,8 ათასი კაცი) – სოფლის (1926 წ. იქ 2,0 ათას კაცამდე ცხოვრობდა) და ახალი ქალაქის (მისი სამოსახლო ტერიტორიის მშენებლობა 1940-იანი წლებიდან დაიწყო მურა ნახშირის საბადოს სამრეწველო ათვისებასთან დაკავშირებით) ადმინისტრაციული შერწყმის საინტერესო მაგალითია, რაც 1948 წ. დაბად, ხოლო 1962 წ. ქალაქად გამოცხადებაში გამოიხატა. მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირის ამაღლებულ ნაწილში (ზ.დ. 1000-1200 მ) და ბორჯომი-ახალციხის რკინიგზის მონაკვეთის ბოლო სადგურია. ‘ახტების ექსპლოატაციის შეწყვეტის ‘ემდეგ მისი სამრეწველო ფუნქცია (ელექტროძრავების ქარხანა) ძალიან დაქვეითდა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. თურქეთის საზღვრის სიახლოვემ ვალეს საბაჟოს გახსნა განაპირობა. ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლია ღვთისმშობლის ეკლესია (სამნავიანი ბაზილიკა, XVI ს.), რომელიც თავდაპირველად X ს-ში გუმბათოვანი ტაძარი იყო.

ასპინძა (3,5 ათასი კაცი) და ადიგენი (1,0 ათასი კაცი) ძველი დასახლებებიდან განვითარებული პატარა დაბებია, რომლებსაც 1930-იან წლებში რაიონული ცენტრების სტატუსი მიენიჭათ. ორივე დაბად 1961 წ. გამოცხადდა და

მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა. ასპინძაზე გადის ახალციხე–ახალქალაქის, ასევე ეარძიისაკენ მიმავალი გზები, ხოლო ადიგენი აჭარასთან და, აბასთუმნის გავლით, იმერეთთან არის დაკავშირებული.

დაბა აბასთუმანი (2,4 ათასი კაცი) წიწვიანი ტყეებით შემოსილ მდ.ოცხეს ხეობაში (სადაც უწინ ძველი ისტორიული ციხე-ქალაქი ოძრხე იყო) XIX ს. 70-იან წლებში აღმოცენებული კურორტია (ზ.დ. 1340 მ). მაშინ იქაურმა თერმულმა მინერალურმა წყლებმა და შესანიშნავმა კლიმატურმა პირობებმა რუსეთის ხელისუფალთა საგანგებო ყურადღება მიიპყრო. იმ დროისათვის ბალნეოტექნიკური თვალსაზრისით მაღალ დონეზე მოწყობილი და დღესაც მოქმედი სააბაზანო შენობა დაბის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. ვიწრო ხეობის გამო აბასთუმნის ტერიტორია რამდენიმე კილომეტრზეა გაგრძელებული, ხოლო XX ს-ში აშენებული სანატორიუმების უმეტესობა, რომელთა მთავარი დანიშნულება ფილტვების დაავადების მკურნალობაა, ხეობის ტყიან კალთებზეა შეფენილი. თითოეული მ·თგანი (მათ შორის „ოცხე", „აღობილი", „არაზინდო" და სხვ.) ცალკე მიკროდასახლებას წარმოადგენს, ისევე როგორც ყანობილის მთაზე (1650 მ) განლაგებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უნიკალური დაწესებულება – სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია (დაარსდა 1932 წ.).

მეურნეობა. ისტორიული და პოლიტიკური მიზეზების და ბუნებრივი რესურსების თავისებურებების გამო, სამცხე-ჯავახეთი XX ს-ში საკმაოდ ჩამორჩენილი იყო. უპირატესად აგრარული მხარე, სადაც ასევე გაჩნდა მოპოვებითი მრეწველობის საწარმოები, ინდუსტრიულად ნელა ვითარდებოდა და მისი ხვედრითი წილი ქვეყნის მასშტაბით შედარებით უმნიშვნელო იყო. 1990 წ. იქ მოქმედებდა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მხოლოდ 2,0%, რომლის პერსონალმა (0,7%) სულ ეროვნული სასაქონლო პროდუქციის 0,6% გამოუშვა (საქართველოს რეგიონების ..., 1991). უკეთესად გამოიყურებოდა რეგიონის აგროწარმოება, რომლის წვლილმა სოფლის მეურნეობის (მხოლოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით) ეროვნულ შემოსავალში 5,2% შეადგინა (შედარებისათვის: აჭარის ანალოგიური მაჩვენებელი იყო 8,0%, გურიის – 9,9%).

XXI ს. დასაწყისში რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა (ენერგომომარაგების შემცირების, ტექნიკის გამოყენების და წარმოების დაქვეითების, პროდუქციის რეალიზაციის სისტემის მოშლის და სხვა მიზეზების გამო). მხოლოდ გაიზარდა სამცხის სატრანსპორტო-სატრანზიტო როლი, ვინაიდან თურქეთ-საქართველოს ურთიერთდამაკავშირებელი ერთ-ერთი საავტომობილო მაგისტრალი მის ტერიტორიაზე გადის. მთლიანად, მხარის ეკონომიკურ გააქტიურებას ასევე ერთგვარად აფერხებს ჯავახეთში სოციალურ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად მოუწესრიგებელი სიტუაცია, განპირობებული რეგიონული

განვითარების სახელმწიფოებრივი მექანიზმის სისუსტით და ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობით.

მხარეს (მას საქართველოს დარაიონების ბადის მიხედვით სამხრეთ ეკონომიკური რაიონი ეწოდებოდა), რომლის განვითარება საბჭოურ პერიოდში გარკვეულ სასაზღვრო პოლიტიკას ემორჩილებოდა, მრეწველობის მეტად შეზღუდული დარგობრივი სტრუქტურა გააჩნდა. შექმნილი პროდუქციის უდიდესი ნაწილი (დიატომიტის და აქატის გარდა) რესპუბლიკაშივე მოიხმარებოდა. მრეწველობის ზრდის ტემპი შედარებით მაღალი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, როცა ვალეში მურა ნახშირის საბადოს ექსპლოატაცია გაფართოვდა და რაიონის მრეწველობაში ჩაბმულთა რიცხვმა 1,0 ათას კაცს მიაღწია (კობახიძე, ..., 1976).

მურა ნახშირის საბადო ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIX ს-ში, როცა მისი კუსტარული მოპოვება ეპიზოდურად ხდებოდა. ნახშირმოპოვებამ მაქსიმუმს (208,2 ათასი ტ) 1958 წ. მიაღწია. მაგრამ რთული სამთო-გეოლოგიური პირობები, დამუშავების არასრულყოფილი ტექნოლოგია და მაღალნაცრიან მურა ნახშირზე შეზღუდული მოთხოვნილება მხარეში სათბობი მრეწველობის განვითარებას აფერხებდა. რი-იანი წლებიდან კი, საქართველოს სათბობი ბალანსის სტრუქტურის არსებითი შეცვლის გამო (გაზის მოხმარება არსებითად გაზარდა ვლადიკავკაზიდან და ყარადაღიდან თბილისში გაყვანილმა გაზსადენებმა), მურა ნახშირის, როგორც ენერგეტიკული სათბობის როლი დაეცა და ვალეს შახტები (მათ შორის უკანასკნელი 1987 წ.) დაკონსერვდა (Минеральные ресурсы ..., 1991).

სამცხე XIX ს-დან ცნობილია ქისათიბის მაღალხარისხოვანი დიატომიტის (ინფუზორული მიწის) მოპოვებით, რომელსაც 1947 წ-დან როგორც ღია, ისე მიწისქვეშა დამუშავების წესით მოიპოვებენ. უკანასკნელ წლებში მას ცემენტის და აკუმულატორების წარმოებაში მოიხმარენ, თუმცა ამ ძვირფასი მინერალური რესურსის ძირითადი დანიშნულება ნავთობქიმიური, საკვები და საფეიქრო მრეწველობის დარგებში ადსორბენტად და ფილტრად გამოყენებაა.

ახალციხის რ-ში (პამაჯის, შურდოს და ორალის მიდამოები) 1933 წ-დან ნახევრადძვირფასი ქვის აქატის (იყენებენ ზუსტი ხელსაწყოების, საათების და საიუველირო წარმოებაში) კარიერული დამუშავება დაიწყო. შეზღუდული გასაღების ბაზრის პირობებში მისი მოპოვება მცირდება. სამენი მასალებით (ვულკანური წიდა ანუ პემზა, ლავური ტუფი, დეკორატიული ქვები, თაბაშირი, გაჯი, კირი, ქვიშა და სხვ.) მდიდარ მხარეში ასევე შემცირებულია მათი სამრეწველო ექსპლუატაცია და პროდუქციის გამოშვება. ქვეყანაში სამშენებლო სამუშაოების გაფართოების შემთხვევაში, ამ დარგის აღორძინება სავსებით შესაძლებელია. ადიგენის და ასპინძის რაიონებში მოქმედებენ ხის სახერხები.

კვების მრეწველობის ობიექტებიდან უნდა აღინიშნოს ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხის შედარებით მსხვილი ყველ-კარაქის, ხორცის, აგრეთვე

საკონსერვო (ახალციხესა და ადიგენში), ლუდისა და ხილეულის წყლების (ახალქალაქის) საწარმოები.

სამცხე-ჯავახეთი ძველთაგანვე მაღალი აგრარული კულტურის (მორწყვა, დატერასება, სელექცია, მიწათმოქმედების ანეულიანი სისტემა) მქონე მხარე იყო. ისტორიული ბედუკუღმართობის მიუხედავად, მან ადგილობრივი ბუნებრივი პირობების შესაფერისი და მოსახლეობის მუყაითი შრომით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროფილი ძირითადად შეინარჩუნა. XX ს-ში დარგის სახეობებიდან განმსაზღვრელი იყო მეცხოველეობა, მარცლეულის მეურნეობა, მეკარტოფილეობა და მებაღეობა; ასევე ნაწილობრივ მებოსტნეობა.

აგროწარმოების წამყვან მდგომარეობას მხარის ეკონომიკაში განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ თვითდასაქმებული მოსახლეობის 90%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული (საქართველოს შინამეურნეობები, 2000 წ.). რეგიონის ტერიტორიის თითქმის 2/3 სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს უკავია, თუმცა რელიეფის საგრძნობი განსხვავებულობის გამო, სამცხეში ამ მიწებზე მთელი ფართობის 53,4%, ხოლო ჯავახეთში – 83,8% მოდის. მათ შორის ორივე მხარის სასოფლო-სამეურნეო მიწებში (იხ.ცხრილი 3.) დომინირებს ბუნებრივი საკვები საკარგულები (შესაბამისად 117,6 და 275,8 ათასი ჰა). განსაკუთრებით დიდია მათი ფართობი მეცხოველეობის წამყვან ნინოწმინდის (86,3 ათასი ჰა), ახალქალაქის (61,0 ათასი ჰა) და ასპინძის (49,6 ათასი ჰა) რაიონებში.

ცხრილი 3

სასოფლო-სამეურნეო საკარგულების სტრუქტურა 2000 წ.

სასოფლო-სამეურნეო მიწები	სამცხე		ჯავახეთი		მთელი რეგიონი	
	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%
სახნავი	19.7	14.0	58.5	26.9	78.2	21.8
მრავალწლიანი ნარგავები	2.9	2.1	0.1	–	3.0	0.8
სათიბი	13.4	9.5	10.9	5.0	24.3	6.8
საძოვარი	104.2	74.0	147.3	67.8	251.5	70.3
შენობებით და გზებით დაკავებული მიწები	0.6	0.4	0.4	0.1	1.0	0.3
სულ	140.8	100.0	217.2	100.0	358.0	100.0

სახნავის ფართობი, რომლის ხვედრითი წილი საკარგულებში 21,8% შეადგენს, უკანასკნელი დაახლოებით 30 წლის მანძილზე (1973-2000 წწ) თითქმის არ შეცვლილა. მრავალწლიანი ნარგავების როგორც ფართობი (6.1-დან 2,9 ათას ჰა-მდე), ისე ხვედრითი წილი (2,3-დან 0,8%-მდე) კი, სათიბ-საძოვრების საგრძნობი ფარდობითი ზრდის (68,7-დან 77,1%-მდე) ფონზე, მკვეთრად შემცირდა. აღნიშნული სტრუქტურული ძვრები მხარეში მეცხოველეობასა და მემარცვლეობაზე ორიენტირებულ მზარდ სპეციალიზაციაზე მეტყველებს.

სამცხე-ჯავახეთში 2000 წ. აღრიცხული საერთო ნათესი ფართობი 59,2 ათას ჰა-ს ანუ ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლის 10% შეადგენდა. აქედან მარცვლოვან კულტურებზე მოდიოდა 23,7 ათასი ჰა, რომელთა შორის პირველობს ახალქალაქის რ-ნი (11,0 ათასი ჰა). ყველაზე მეტი ნათესი უკავია ქერს (13,8 ათასი ჰა), შემდეგ საშემოდგომო ხორბალს (3,5 ათასი), სიმინდს (3,2 ათასი), ჭვავს (1,6 ათასი) და შვრიას (0,8 ათასი ჰა). მეკარტოფილეობა მხარის სპეციალიზებული დარგია (9,0 ათასი ჰა, წარმოება 85,1 ათასი ტ), ხოლო მებოსტნეობა დამხმარე დარგის ხასიათს ატარებს და უპირატესად სამცხეშია განვითარებული.

სამცხის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეხილეობა. ხეხილის ბაღების ყველაზე დიდი ფართობებია ახალციხის და ადიგენის რაიონებში, რომლებიც ხილის უხვი მოსავლიანობით გამოირჩეიან. ახალციხეში შექმნილია სპეციალური სანერგე, რომელიც მაღალხარისხოვანი ნამყენი ხეხილის მწარმოებელი მეურნეობაა. მესხური ჯაშლისა და მსხლის ჩირი ადრე დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთსა და უცხოეთში. ადგილობრივი ხილი კარგი გამძლეობითა და ტრანსპორტაბელურობით ხასიათდება. ჯაშლის ჯიშებიდან გამოარჩევენ შაქარაჯაშლას, ახალციხურს, აბილაურს და სხვ. მათ შორის ზამთრის ჯიშმა აბილაურმა პარიზის გამოფენაზე 1912 წ. ოქროს მედალი მოიპოვა. ამ კუთხის ერთ-ერთი უძველესი დარგია აგრეთვე მეთუთეობა, რომელსაც ამჟამად სასაქონლო დანიშნულება არა აქვს, მაგრამ მოსახლეობა თუთისაგან ხდის არაყს, ახმობს ზამთრისათვის, ამზადებს ბაქმაზს და ა.შ.

წარსულში განადგურებული დარგებიდან უნდა აღინიშნოს მევენახეობა, რომლის აღორძინება, თუმცა მცირე მასშტაბში, საბჭოურ პერიოდში მოხდა. ვენახების უმეტესობა ქვაბლიანის, ფოცხოვის და მტკვრის ხეობების დატერასებულ ფერდობებზეა განლაგებული. ყურძნის მოსავალმა 2000 წ. სულ 210 ტ შეადგინა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას უფრო ტრადიციული საოჯახო მოხმარების (ღვინის დაყენება) როლი ენიჭება და სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში ხილს კონკურენციას ვერ გაუწევს.

მეცხოველეობა რეგიონის და, განსაკუთრებით ჯავახეთის ეკონომიკის მთავარი დარგია. მის განვითარებას ხელს უწყობს როგორც საკვები კულტურებით დაკავებული ვრცელი ფართობები (მხარეში ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების საერთო ნათესმა ფართობმა ქვეყნის ანალოგიური მაჩვენებლის 41,6% შეადგინა), ისე ბუნებრივი საკვები საავარგულები, რომლებიც სუბალპური და ალპური მდელოების სახით მხარეში უხვად არის წარმოდგენილი.

წამყვანი ადგილი მესაქონლეობას უკავია, რომელიც ორივე კუთხეში თითქმის თანაბრად არის განვითარებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობაა 89,9 ათასი სული (მათ შორის ფურკამეჩის – 57,7 ათასი სული), რაც ეროვნული მაჩვენებლის 8,0% შეადგენს. თითქმის 2-ჯერ მეტია (15,7%) რეგიონის ხვედრითი

წილი ცხვრისა და თხის სულადობის (99,7 ათასი) და მეტად მცირე (1,5%) ღორების სულადობის (6,1 ათასი) მიხედვით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის 30 წლის მანძილზე მეცხოველეობის მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა. კერძოდ, 1973 წ-თან შედარებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 44 პროცენტული პუნქტით, ცხვრისა და თხის – 3,6-ჯერ და ღორის – 2,8-ჯერ შემცირდა.

თაფლის მომცემი მცენარეების სიმრავლე და მრავალფეროვნება მეფუტკრეობის განვითარების კარგ პირობებს ქმნის. აქაური თაფლი მაღალი ხარისხით და კარგი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა. ფუტკრის ოჯახების რაოდენობითა (10,2 ათასი სკა) და თაფლის წარმოებით (187 ტ) მხარე მხოლოდ ორ დიდ რეგიონს – იმერეთსა და კახეთს ჩამოუვარდება.

მხარე იმ შედარებით იშვიათ რეგიონთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეს განსაკუთრებით ეხება სამცხეს, რომლის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო მაგისტრალები კავშირებს ნ მიმართულებით (დასავლეთით, გოდერძის უღელტეხილით – აჭარასთან; ჩრდილოეთით, ზეკარის უღელტეხილით – იმერეთთან; ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბორჯომზე გავლით – შიდა ქართლთან; სამხრეთით – თურქეთთან და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ახალქალაქზე გავლით – სომხეთთან) ამყარებს. სამცხეში არსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე 633,2 კმ-ია. მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე მოდის 103,5 კმ, შიდასახელმწიფოებრივ გზებზე – 92,4 კმ, ხოლო ადგილობრივზე – 434,7 კმ.

ჯავახეთმაც ერთგვარად დაკარგა ჩიხისებური მდებარეობის ნიშნები, ყინაიდან კარწახის ტბის მიმართულებით მასაც გაუჩნდა გასასვლელი თურქეთში, ხოლო ახალციხესთან, ბორჯომ-ბაკურიანთან, სომხეთთან და ქვემო ქართლთან უშუალო კავშირები ადრეც სორციელდებოდა. ამ ქვერეგიონის საავტომობილო გზების საერთო სიგრძიდან (573,6 კმ) საერთაშორისოზე მოდის 59,6 კმ, შიდასახელმწიფოებრივზე – 108,9 კმ, ადგილობრივზე – 405,1 კმ.

რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობა საავტომობილო ტრანსპორტს გააჩნია, ყინაიდან მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვის მეტი წილი, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე მის გარეთაც, მისი საშუალებით ხდება. მთავარი გზების (აწყური–ახალციხე–ყალე, ახალციხე–ბენარა–აბასთუმანი, ახალციხე–ადიგენი–გოდერძის უღელტეხილი, ახალციხე–ასპინძა–ყარძია, ასპინძა–ახალქალაქი–ნინოწმინდა–ბავრა, ახალქალაქი–ცხრაწყაროს უღელტეხილი, ნინოწმინდა–ფარავანი) გარდა, რეგიონის სოფლებთან დამაკავშირებელი ადგილობრივი გზების უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავი და განსაკუთრებით, წვიმიან და თოვლიან პერიოდში, ძნელადსავალია.

რკინიგზა გაყვანილია როგორც სამცხეში (ბორჯომი–ახალციხე–ვალე), ისე ჯავახეთში (მარაბდა–წალკა–ნინოწმინდა–ახალქალაქი), მაგრამ მათი როლი შედარებით უმნიშვნელოა. ამასთან, ახალქალაქის 160 კმ-იანი ხაზი, რომელიც ოფიციალურად ექსპლოატაციაში 1986 წ. შევიდა, ტრასის რთული რელიეფის და ზამთრის მკაცრი პირობების გამო, ფაქტობრივად არ მუშაობს. ახალქალაქში არსებობს აეროდრომი, რომლის გამოყენება მიმოსვლისათვის რეგულარული არ არის.

რეგიონის სატრანსპორტო მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ გააქტიურებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბაქო–ჯეიჰანის ნავთობსადენის და ერზურუმის გაზსადენის უკვე დაწყებული მშენებლობა, კინაიდან მილსადენების მონაკვეთებმა, ნაწილობრივ, რეგიონის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს.

რეკრეაციული მეურნეობის ობიექტები ძირითადად წარმოდგენილია ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის მქონე სამცხეში, სადაც საბჭოურ პერიოდში რამდენიმე საკავშირო ტურისტული მარშრუტი გადიოდა და საქვეყნოდ იყო ცნობილი სამთობალნეოლოგიური კურორტი აბასთუმანი. რეკრეაციული რესურსებით საკმაოდ შეზღუდულია ჯავახეთი, თუმცა მისი გამოყენება, თუნდაც როგორც „ტბების მხარის" ტურისტული შეცნობის და პილიგრიმული მარშრუტის („წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის გზა") ამოქმედების გზით, საესებით შესაძლებელია.

აბასთუმნის განთქმული წყაროს გარდა, მხარეში ბევრი სამკურნალო წყალია (ახალციხის, წყალთბილას, შურდოს, ასპინძის, ყარძიის, ურაველის, ნაქალაქევის და სხვ.), რომელთა სათანადო გამოყენება კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა და საკურორტო მშენებლობის პერსპექტივებს ქმნის.

ღირსშესანიშნაობები. ბუნებრივი ლანდშაფტების მრავალფეროვნებამ და ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიუხვემ ტურიზმის განვითარების შესანიშნავი რესურსები წარმოაჩინა. მათ შორის უნდა აღინიშნოს აწყურის, ხერთვისის, თმოგვის, ზანაკის, ოქროსციხის და თვით ახალციხის ციხეები, რომლებიც ისტორიული მესხეთის მტრისაგან დაცვის საფორტიფიკაციო სისტემაში იყო გაერთიანებული. ქრისტიანული საკულტო ნაგებობებიდან მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს: საფარის წმინდა საბას გუმბათოვანი ტაძარი; ზარზმის სამონასტრო ანსამბლი – მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც მოღვაწეობდნენ მწიგნობრები – ზარზმელები; ადიგენის ჩრდილოეთით 5 კმ-ში, მაღალი მთებით შემოზღუდულ ლამაზ ტყიან ტაფობზე მდებარე ჭულეს მონასტერი; აბასთუმნის ცენტრში, XIX ს-ში აგებული ეკლესია, რომელიც ცნობილმა რუსმა მხატვარმა მ.ნესტეროვმა მოხატა; ვანის ქვაბების მონასტერი; კუმურდოს, ვალეს ეკლესიები და სხვ.

ისტორიული ადგილებია: ადრე ქალაქად ცნობილი აწყური, რომელიც XII-XVI სს. სამცხის საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა; სოფ.რუსთავი – შოთა

რუსთაველის სამშობლო; ასპინძა, სადაც ერეკლე მეორემ 1770 წ. სასტიკად დაამარცხა ქართველებზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ოსმალ-ლეკთა გაერთიანებული ჯარი; წუნდა – ანტიკური და ადრე ფეოდალური ხანის ჯავახეთის ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, რომლის დღევანდელი სავიზიტო ბარათია სანახევროდ კლდეზე აშენებული XII ს. დროინდელი ეკლესია; დაბოლოს, სახელგანთქმული გამოქვაბულების ქალაქი ვარძია, რომლის გრანდიოზული სამონასტრო ანსამბლი ძირითადად თამარის მეფობის ხანაშია (1184-1213 წწ.) შექმნილი და იმდროინდელი ქართული მხატვრული კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლია. 1938 წ. ვარძია მუზეუმ-ნაკრძალად არის გამოცხადებული.

1995 წელს კი, გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერის და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) დახმარებით საქართველოში დაარსდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც 2001 წ. 11 აპრილს ოფიციალურად გაიხსნა. მისი ტერიტორიის ნაწილი ახალციხის და ადიგენის რაიონების ფარგლებშია მოქცეული, რაც სამცხის ეკონომიკურ და ტურისტულ (განსაკუთრებით, ეკოტურიზმის ხაზით) განვითარებას უდავოდ წაადგება.

იმერეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. იმერეთი საქართველოს ცენტრში მდებარე ერთადერთი რეგიონია, რომლის ტერიტორია ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოებს არ ესაზღვრება. მის შემადგენლობაშია ქ.ქუთაისი და 11 ადმინისტრაციული რაიონი. აქედან 7 (ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, ტყიბული, წყალტუბო, ხონი) ქვემო იმერეთს, ხოლო 4 (ზესტაფონი, საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული) – ზემო იმერეთს მიეკუთვნება. საერთო ფართობია 6356 კმ², რაც რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 9,2% შეადგენს. მისი აღმოსავლეთი საზღვარი – ლიხის ქედი, ბუნებრივად მიჯნავს იმერეთსა და ქართლს და ქვეყანას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ ყოფს.

იმერეთზე ოღითგან გადიოდა დიდი საკაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს ერთიან სავაჭრო სივრცეში აქცევდა. მისი, როგორც სამეფოს როლი, განსაკუთრებით გაიზარდა X საუკუნის დასასრულს, როცა აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ხანგრძლივად ბატონობდნენ და საქართველოს მმართველობა იმერეთიდან ხდებოდა. სამეფოს გაუქმების (1810 წ.) შემდეგ, 1846 წ. მისი ტერიტორია რუსეთის იმპერიის ქუთაისის გუბერნიაში მოექცა. საბჭოთა პერიოდში ადმინისტრაციულ რაიონებად დაიყო, ხოლო 1995 წლიდან მხარეს წარმოადგენს. იგი 1998 წლიდან ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრია.

ბუნებრივი რესურსები. იმერეთი სამი მხრიდან შემოფარგლულია მთებით, ხოლო დასავლეთით ეკვრის კოლხეთის დაბლობის აღმოსავლური ნაწილი, რომელიც თანდათან გადადის ჩრდილო და სამხრეთ გორაკ-ბორცვიან ზონაში. სამეურნეო თვალსაზრისით, კარგად ათვისებულია დაბალი მთისწინეთი, გორაკ-ბორცვების და საერთოდ, ბარის ზონა, რომელიც მნიშვნელოვან ფართობზე ვრცელდება და გამოირჩევა მჭიდრო დასახლებითა და სოფლის მეურნეობის რიგი დარგების (მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა და სხვ.) განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებით. 400-600 მ მდებარე ზონის სასოფლო-სამეურნეო ფართობების რელიეფი უფრო რთულია. შედარებით ვრცელი ტერიტორია უკავია 600-800 მ ზონას, რომელიც ღრმა ხეობებითაა დანაწევრებული და ზოგან ქვიანიცაა, რაც ხელს უშლის მექანიზაციის გამოყენებას. მთიანი მხარის ის ნაწილი, რომელიც 800-1000 მ-ზეა განლაგებული (რაჭის, მესხეთის და ლიხის ქედების ფერდობები და იმერეთის მაღლობის ნაწილი), დიდი დახრილობის გამო, სოფლის მეურნეობისათვის ნაკლებად გამოსადეგი და დასახლებითაც შეზღუდულია. 1000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორია უმთავრესად ტყეებითა და სათიბ-საძოვრებითაა წარმოდგენილი.


ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘᲡᲘ
ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲠᲐᲭᲐᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘ
ᲙᲝᲯᲝᲠᲘ
ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ
ᲐᲮᲐᲚᲙᲘᲗᲘ
ᲐᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲔᲗᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას, თუმცა ზაფხულის ცხელ პერიოდში ხშირია გვალვიანობა და საჭიროა ხელოვნური მორწყვა. ზაფხულში გაბატონებული აღმოსავლეთის ცხელი ქარები საზიანოა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. დამახასიათებელია ნიადაგების მრავალფეროვნება. კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული ალუვიური ნიადაგები ხელსაყრელია მემცენარეობის სხვადასხვა კულტურებისათვის (სიმინდი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, ვაზი, თუთა და სხვ.). გორაკ-ბორცვიანი ზოლის დასავლეთ ნაწილში ვრცელდება ეწერი (ხარობს ჩაის ბუჩქი), ხოლო აღმოსავლეთში – ნეშომპალა-კარბონატული (ვენახი და სუბტროპიკული ხეხილი) ნიადაგები. მთისწინებისა და ხეობების ფერდობების ნეშომპალა-კარბონატულსა და ყომრალ ნიადაგებზე, რომელზეც კარგად ხარობს შამპანური ჯიშის ვაზი. ვრცელი მასივების სახით გავრცელებული წითელმიწები და ყვითელმიწები (სამტრედიის, ვანის, წყალტუბოს, ხონის რაიონები) უპირატესად გამოიყენება ჩაის კულტურისათვის. მესხეთის, ლიხისა და რაჭის ქედების ფერდობების (2000 მ ზევით), მთა-მდელოს ნიადაგებზე სათიბ-საძოვრებად გამოსადეგი მცენარეულობა ხარობს.

იმერეთის მდინარეები – რიონი, ცხენისწყალი, ყვირილა, ხანისწყალი, სულორი, ძევრულა, ძირულა, ჩხერიმელა, ჩიხურა, კაცხურა და სხვ., წყალუხვობით და დიდი ენერგეტიკული პოტენციალით გამოირჩევა. ამასთან, ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავადაც. ვაკე ადგილებში გაყვანილი სარწყავი არხები 40 ათას ჰა-მდე, ბოსტნეულის ნათესებს და მრავალწლიან ნარგავებს რწყავს (ჯაოშვილი, 1996). დამახასიათებელია წყლის წისქვილები, რომლებიც ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული კრიზისის გამო განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება.

იმერეთი წიაღისეულით მდიდარი მხარეა. მნიშვნელოვანია ჭიათურის მანგანუმი, რომლის შემცველი ფენები ძირითადად განლაგებულია მდ.ყვირილას კანიონისებური ხეობის ორივე მხარეს, ზ.დ. 600-800 მ-ზე. წლების მანძილზე მტაცებლური ექსპლუატაციის შედეგად მაღალხარისხოვანი მადნის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ღარიბი კარბონატული მადნები საკმაო რაოდენობითაა. პერსპექტიულია აჯამეთის მანგანუმის საბადო, რომლის დამუშავება ჯერ-ჯერობით არ ხორციელდება. მეტად საყურადღებო და მარაგით მნიშვნელოვანია ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადო, რომლის ექსპლუატაციამ არსებითი როლი შეასრულა იმერეთის სამრეწველო განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია სალიეთის (ნაცრისფერ-ვარდისფერი), შრომის (წითელი ფერის), მოლითის მარმარილოს საბადოები.

ბენტონიტური თიხები, რომელიც ნავთობის მრეწველობაში გამოიყენება, გავრცელებულია წყალტუბოს ზონაში (გუმბრა). შრომის მიდამოები ცნობილია

ცეცხლგამძლე თიხის საბადოებით, ხოლო კერამიკული თიხები მოიპოვება – ზესტაფონის, თერჯოლის, ხონის რაიონებში. კვარცის სილებით და კირქვებით მდიდარია სარხერისა და ჭიათურის რაიონები. მოიპოვება აგრეთვე ბარიტი (წყალტუბოსა და ხონის რაიონები), ტუფენიტი (კურსები), ქალცედონი (აჯამეთი, ნახშირღელე, ქვედა სიმონეთი), თაბაშირი (წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონები).

ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია წყალტუბოს უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე თერმული რადიაქტიული წყალი (ტემპერატურა 33-35°C, მინერალიზაცია 0,7-08 მგ/ლ), აგრეთვე საირმის, ნუნისის, კვერეთის, ზვარეს, ზეკარის და სხვა მინერალური წყაროები, რომელთა გამოსასვლელები (მათ შორის თერმული წყლების – სიმონეთში, საპრასიასა და ამაღლებაში, გოგირდოვანის – კვერეთში, რადიაქტიულის – სულორში) იმერეთის მთელ ტერიტორიაზეა გაბნეული.

ისტორიულად იმერეთი ტყით საკმაოდ მდიდარი მხარე ყოფილა – „უკეთუ დასეო მაღლის მთიდამ იხილავ სრულიად იმერეთს ტყედ და არსადა შენობას" (ვახუშტი, 1997). მაგრამ მტაცებლური ექსპლუატაციის შედეგად ტყის ფართობი მეტად შემცირდა. ამჟამად იგი ბუჩქნართან ერთად 300 ათას ჰა-მდეა. მნიშვნელოვანია ტყით დაფარული ფართობები ბაღდათის (73,3%), ხარაგაულის (69,5%), ტყიბულის (62,6%), სარხერის (51,2%), ვანის (50,2%) რაიონებში. ტყეებში გავრცელებული ძირითადი ჯიშებია: წიფელი, რცხილა, მუხა, წაბლი, ნეკერჩხალი და სხვ. აჯამეთის ტყის ნაკრძალში (4828 ჰა) დაცულია ძვირფასი ენდემური ჯიშები – იმერული მუხა, ძელქვა და სხვ.

სათიბ-საძოვრების ძირითადი მასივები, ქედების ფერდობების გარდა, განლაგებულია მდინარეთა ხეობებში მიწათმოქმედებისათვის გამოუყენებელ ფართობებზე. საძოვრების უმეტესობა საზაფხულოა. სათიბ-საძოვრების ხვედრითი წილი მთელი იმერეთის სასოფლო-სამეურნეო საკარგულების 45,9% შეადგენს. ამ მხრივ აღსანიშნავია ხარაგაულის (76,5%), ბაღდათის (60,4%), ტყიბულის (52,2%), ვანის (50,6%) რაიონები. სათიბ-საძოვრებით ყველაზე ღარიბია სამტრედიის (25,6%) რაიონი.

მოსახლეობა. იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და მჭიდროდ დასახლებული მხარეა. როგორც ამბობენ, მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე, მკვირცხლი და შრომისმოყვარე ხალხია. 1865 წელს იმერეთის მოსახლეობა 261,5 ათას კაცს შეადგენდა, რაც საქართველოს მოსახლეობის 20,2% იყო. XX ს-ში, 1926 წლიდან 1989 წლამდე, მხარის მცხოვრებთა რიცხვი 492,6 ათასიდან 772,4 ათას კაცამდე გაიზარდა, შემდეგ კი შემცირდა და 2000 წლის დასაწყისისათვის 743,0 ათასი კაცი ანუ ქვეყნის მასშტაბით 16,1% შეადგინა.

აღნიშნული პროცესი გამოწვეულია როგორც ბუნებრივი მატების მნიშვნელოვანი შემცირებით, ასევე რეგიონიდან მოსახლეობის წასვლით საზღვარგარეთ და ქვეყნის

სხვა რაიონებსა და ქალაქებში. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საშუალო წლიური კოეფიციენტი 1980-89 წწ. ახლის იყო ქვეყნის მაჩვენებლებთან. შეადგენდა რა შობადობის 16,4, მოკვდაობის 10,0‰, შესაბამისად, ბუნებრივი მატება უდრიდა 6,4 პრომილეს. 1998 წ. სურათი შეიცვალა, შობადობა დაეცა (10,6-მდე), მოკვდაობა გახდა 10,5 და ბუნებრივმა მატებამ მხოლოდ 0,1‰ შეადგინა.

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით მოსახლეობა 2000 წლის 1 იანვრისათვის შემდეგნაირად ნაწილდებოდა: წყალტუბო – 75,7, ზესტაფონი – 70,1, ჭიათურა – 63,4, სამტრედია – 62,9, საჩხერე – 43,6, თერჯოლა – 40,0, ხონი – 34,3, ტყიბული – 32,5, ვანი – 33,5, ბაღდათი – 27,7, ხარაგაული – 25,8 ათასი კაცი. აღსანიშნავია, რომ იმერეთის მთელი მოსახლეობის 68,6% ამ რაიონებში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ანუ 31,4% ქ.ქუთაისზე მოდის.

მთელი მოსახლეობის დაახლოებით 48%-ს შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (დასაქმებულები და უმუშევრები ერთად). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით ზემო იმერეთიდან, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, სამუშაოს შოვნის იმედით სეზონურად მიდის სხვა ადგილებში, ძირითადად დედაქალაქში.

იმერეთი ერთგვაროვანი ეროვნული შემადგენლობით გამოირჩევა. მოსახლეობის 90%-ზე მეტს ქართველები შეადგენენ. სხვა ეროვნების წარმომადგენლები (ებრაელები, რუსები, სომხები) ცხოვრობენ ქუთაისში, ტყიბულში, საჩხერისა და სამტრედიის რაიონებში, სადაც მათი რაოდენობა ნახევარი საუკუნის წინ გაცილებით მეტი იყო. დანარჩენ რაიონებში ქართველი მოსახლეობა 98-99%-ს შეადგენს.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე (117 კაცი 1 კმ²-ზე) საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ აღემატება. განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული კოლხეთის დაბლობი. აღმოსავლეთისაკენ სიმჭიდროვე კლებულობს. კომპაქტური დასახლებით გამოირჩევა მდ.მდ.ცხენისწყალსა და გუბისწყალს შორის მდებარე ტერიტორია, სადაც სოფლებს შორის საზღვრის გავლება შეუძლებელია.

ბოლო 50 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა (მთელი მოსახლეობის 57%), რომელიც ცხოვრობს 11 ქალაქსა და 3 დაბაში. სოფლებიდან მოსახლეობის მიზიდვის გარდა, ქალაქის მოსახლეობის ზრდის მიზეზი იყო რიგი სოფლების საქალაქო დასახლებათა კატეგორიაში გადასვლა.

ქუთაისი (233,5 ათასი კაცი), იმერეთის სამხარეო ცენტრი, მოსახლეობით და სამეურნეო პოტენციალით საქართველოს მეორე ქალაქია და არსებობის თითქმის 3500 წელს ითვლის. 150 წლის განმავლობაში (X-XI სს.) იგი გაერთიანებული საქართველოს, XIII ს-დან კი იმერეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. 1847 წ. საგუბერნიო ქალაქად გამოცხადდა. რკინიგზებისა და გზატკეცილების ხშირი ქსელის ცენტრში მდებარეობამ (ზ.დ. 125-300 მ) ქუთაისს ხელი შეუწყო ფართო

საწარმოო-ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და მნიშვნელოვანი სამრეწველო ფუნქციის შექმნაში. აქ მდებარეობს მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები. ქალაქის ინდუსტრიულმა განვითარებამ გავლენა მოახდინა მის განაშენიანებაზეც. დიდი საწარმოების მახლობლად შეიქმნა ახალი საცხოვრებელი მასივები, ძირითადად ქალაქის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ქალაქის განაშენიანებული უბნები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მდ.რიონის გასწვრივ 8 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე გრძელდება (ჯაოშვილი, 1989). მდინარესთან ერთად ქალაქს განუმეორებელ და ლამაზ იერს აძლევს მთაგორიანი რელიეფი და გამწვანება.

ქუთაისი ძველთაგანვე საქართველოს უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო, რომლის მახლობლად მდებარეობდა გელათის აკადემია. XIX ს. მეორე ნახევრიდან ქუთაისში მოღვაწეობდა ქართული ინტელიგენციის წამყვანი ბირთვი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნული კულტურის განვითარებაში. 80-იან წლებში აქ ჩაისახა პერიოდული პრესა და XX ს. დასაწყისში გამოდიოდა პოლიტიკური მიმართულების ჟურნალები და გაზეთები. 1909 წ. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. ქუთაისში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ქართული კულტურის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი: აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ვასო აბაშიძე, შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, კოტე მარჯანიშვილი. 1880 წელს შექმნილი მუდმივი თეატრალური დასი განსაკუთრებით წარმატებით მოღვაწეობდა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის სახელსაც ქუთაისის დრამატული თეატრი ატარებს (ჯაოშვილი, 1989).

ქუთაისი განათლების მძლავრი კერაა, სადაც ფუნქციონირებს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფილიალი და 20 არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. მუსიკალური განათლების განვითარება დაკავშირებულია მელიტონ ბალანჩივაძის სახელთან. 1969 წ. კი აქ გაიხსნა ზაქარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალი.

თანამედროვე ქუთაისი საქართველოს ერთადერთი ქალაქია, რომელიც მსოფლიოს დაძმობილებული ქალაქების საერთაშორისო ფედერაციის წევრია (1996 წ.).

ჭიათურა (28,2 ათასი კაცი) ერთ-ერთი პირველი სამრეწველო ცენტრია საქართველოში, რომელიც 1879 წლიდან ვითარდებოდა მანგანუმის მადნის საბადოს ბაზაზე. განლაგებულია მდ.ყვირილას ხეობაში ზღვის დონიდან 350-450 მ-ზე. ქალაქში, რომელსაც გარს აკრავს მაღაროები, გაყვანილია როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები. სატროლეიბუსო ხაზით ჭიათურა დაკავშირე-

ბულია სანხერესთან (საქართველოში პირველი საქალაქთაშორისო ხაზი). მადნის ინტენსიურმა დამუშაკებამ ქალაქს და მდ.ყვირილას შეუქმნა ეკოლოგიური და სანიტარული პრობლემები. მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს ა.წერეთლის სახ. დრამატული თეატრი.

ზესტაფონი (26,2 ათასი კაცი) ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს. 60-იან წლებში, ძირითადად გაშენებულია მდ.ყვირილას მარჯვენა მხარეს. ქალაქის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობამ. მეზობელ შორაპანთან შედარებით უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ზესტაფონი ჯერ რკინიგზის სადგურის, შემდეგ კი სატრანსპორტო კვანძის რანგში დაწინაურდა. ეს გამოწვეული იყო 1879 წ. ჭიათურის მაღაროების ამუშავებით, რამაც იგი ჭიათურის მანგანუმის გაზიდვის მნიშვნელოვან პუნქტად აქცია. ჭიათურის მანგანუმმა განსაზღვრა მისი სამრეწველო ფუნქციაც. როცა აქ აშენდა ფეროშენადნობთა ქარხანა და ქალაქმა სწრაფად დაიწყო ზრდა ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე (ჭიათურა-ზესტაფონის ..., 1973).

ტყიბულის (20,3 ათასი კაცი) წარმოშობა ქვანახშირის საბადოს აღმოჩენამ (XIX ს. 40-იან წლებში) და ექსპლუატაციამ განაპირობა. ხოლო შემდგომმა განვითარებამ მნიშვნელოვან მასშტაბებს ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ (1887 წ.) და განსაკუთრებით, საბჭოთა პერიოდში მიაღწია. ქალაქი მდებარეობს ზღვის დონიდან 590 მ-ზე, მდინარე ტყიბულას ვიწრო ხეობის ორივე მხარეს და იმერეთის სხვა ქალაქებისაგან სიმწვანით და ხახობრივი განაშენიანებით გამოირჩევა.

სამტრედია (36,1 ათასი კაცი) ქალაქია 1921 წ-დან, მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, რიონსა და ცხენისწყალს შორის, ზ.დ. 25 მ-ზე. მისი ჩასახვა და განვითარება მთლიანად განაპირობა სარკინიგზო მშენებლობამ, მისმა მდებარეობამ ბათუმსა და ფოთიდან თბილისისაკენ გამავალი რკინიგზის ხაზების შესაყარზე. ქალაქში არის შუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები.

წყალტუბო (21,2 ათასი კაცი) – მსხვილი და სახელგანთქმული ბალნეოლოგიური კურორტია. მდებარეობს ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ზე. გორაკ-ბორცვებით გარშემორტყმულ და გამწვანებულ ტერიტორიაზე გაფანტულია თბილი სამკურნალო წყაროები. ქალაქს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ კვეთს მდ.წყალტუბო. კურორტის ინტენსიური მშენებლობა გაიმალა 1950-56 წწ., როდესაც აშენდა საუცხოო სანატორიუმები და პანსიონატები. მათი დიდი ნაწილი ცნობილი მოვლილების გამო უმოქმედოა.

მეურნეობა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იმერეთის სამეურნეო პოტენციალის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა წიაღისეულის (მანგანუმი, ქვანახშირი და სხვ.) ექსპლუატაცია და სოფლის მეურნეობის დარგები –

მეკენახეობა და მესიმინდეობა. XX ს-ში კი, წიაღისეულის (ბარიტი, ბენტონიტური თიხები, მარმარილო, ტეშენიტი, კეარცის სილები, კირქვები, ცეცხლგამძლე და კერამიკული თიხები, მინერალური წყლები და სხვ.) ათვისების და აგროწარმოების ფონზე, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების და მხარის მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის რეალიზაციის მიზნით, შეიქმნა სხვადასხვა პროფილის ფაბრიკა-ქარხნები და აგროსამრეწველო საწარმოები. მეურნეობრივი სტრუქტურით და საერთო ეკონომიკური პოტენციალით იმერეთი მხოლოდ თბილისის რეგიონს ჩამორჩება.

იმერეთის ეკონომიკის განვითარებაში მკვეთრი გარდატეხა მოახდინა ჭიათურის მანგანუმის საბადოს ათვისებამ, რომლის ინიციატორი ა.წერეთელი იყო. მადნის მოპოვების ზრდას ხელი შეუწყო შორაპან-ჭიათურის რკინიგზის გაყვანამ (1899 წ.). ვინაიდან მანგანუმის მაშინდელი მსოფლიო მოთხოვნილების თითქმის ნახევარს ჭიათურა აკმაყოფილებდა, იმერეთი საერთაშორისო საქონელბრუნვაში აქტიურად ჩაბმული აღმოჩნდა. მისდევდნენ აგრეთვე სამეთუნეო საქმეს, კერამიკული ჭურჭლის წარმოებას, განსაკუთრებით ზესტაფონის და ხარაგაულის რაიონებში, სადაც ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

საბჭოთა პერიოდის 30-იან წლებში დაიწყო ჰიდრორესურსების ათვისება, როცა აშენდა რიონჰესი, შემდეგ კი – ტყიბულჰესი, შაორჰესი, გუმათჰესი I და II. მანგანუმის მადანმა და იაფმა ელექტროენერგიამ, აგრეთვე მოხერხებულმა სატრანსპორტო მდებარეობამ განაპირობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობა (1933 წ.), რომლის სანედლეულო ბაზა იყო აგრეთვე აჯამეთის კირქვა და ქალცედონი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქუთაისში ამუშავდა ავტოქარხანა, რომელიც ოთხი ტიპის სატვირთო მანქანებს (ჩვეულებრივს, ცემენტმზიდავებს, თვითმცლელებს და საწვეკ-მისაბმელს) უშვებდა. მასთან იყო დაკავშირებული 1959წ. მეორე მძლავრი საწარმოს – მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის ამუშავება.

ქიმიური მრეწველობის ძირითადი ობიექტია ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რომელიც გარდა ქიმიური საღებავებისა, მეკენახეობა-მეხილეობისათვის საჭირო შაბიამანს აწარმოებს.

პროდუქციის მრავალფეროვნებით და მთლიანი პროდუქციის მოცულობით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსუბუქ მრეწველობას, რომლის ძირითადი დარგებია: საფეიქრო, სატრიკოტაჟო, ტყავ-ფეხსაცმლის და სამკერვალო. საწარმოებიდან აღსანიშნავია ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატი და მაუდის ფაბრიკა, ხონის და სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკები. ხონის რაიონშია საქართველოში უძველესი აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა. უფრო მოგვიანებით მსხვილ საწარმოთა რიცხვს შეემატა ქუთაისის აკეჯის კომბინატი, რომლის პროდუქცია კარგი ხარისხითა და ორიგინალობით გამოირჩევა.

მეტად მნიშვნელოვანია კვების მრეწველობა, განსაკუთრებით მისი ტრადიციული დარგი – მეღვინეობა. იმერეთის ტერიტორიაზე განლაგებულია ვანის, ზესტაფონის, ყარციხის, ბაღდათის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერის და სხვ. ღვინის ქარხნები. აღსანიშნავია აგრეთვე საკონსერვო ქარხნები (ქუთაისსა და სამტრედიაში), ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები (სამტრედიაში, ტყიბულსა და წყალტუბოში).

ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოების ბაზაზე 70-80-იან წლებში იმერეთში ჩამოყალიბდა ქუთაისის და ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძები, რომლებმაც თბილისი-რუსთაკის სამრეწველო კვანძთან ერთად, საქართველოს სამრეწველო პოტენციალის მთავარი ბირთვი შეადგინა.

მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში კვების და მსუბუქ ინდუსტრიასთან ერთად მაპროფილებელია შავი მეტალურგია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნით, რომელიც 18 დასახელების პროდუქციას უშვებდა და ჭიათურის მადნის მოპოვებით, და მანქანათმშენებლობა, რომელსაც მიეკუთვნება ქუთაისის ავტოქარხანა, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, ელექტროტექნიკური ქარხნები. სამთომოპოვებითი მრეწველობა წარმოდგენილია ქვანახშირის, გუმბრინის, ბარიტის და სხვა საბადოებით.

XX ს. 90-იან წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ეკონომიკური კავშირების მოშლამ მკვეთრად გააუარესა საწარმოების, პირველ რიგში, მსხვილი საწარმოების მდგომარეობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ (ამჟამად ს/ს „კოლხიდა"), სხვადასხვა ღონისძიება გაატარა ძირითადი პროფილის შენარჩუნებისა და ახალი პროდუქციის ათვისების მიზნით, ასევე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, სიძნელეების მიუხედავად, ქმედითუნარიანობა შეინარჩუნა. ქვეყანაში 1999 წ. წარმოებული მეტალურგიული პროდუქციის ძირითადი ნაწილი ზესტაფონის ქარხანაზე მოდიოდა.

ამჟამად იმერეთში 704 მოქმედი საწარმოა, რომელთა მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა ქვეყნის 12,2% შეადგენს და საღაც დასაქმებულია 21,1 ათასი კაცი.

იმერეთი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწის ფართობებით საკმაოდ შეზღუდული მხარეა. სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს მისი ტერიტორიის თითქმის მესამედი (31,7%, აქედან სახნავად გამოყენებულია 39%), ხოლო ნახვეარზე მეტი (52,7%) – ტყესა და ბუჩქნარს უკავია. მიწის ფონდის სტრუქტურაში ადმინისტრაციული რაიონების სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ფართობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამ მხრივ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა თერჯოლის (59,0%), სამტრედიის (57,1%), ზესტაფონის (45,0%), ხონის (42,2%), წყალტუბოს (39,2%) რაიონები, სადაც სახნავი მიწების ხვედრითი წილი დიდია (40-60%). იმერეთის მთელი ნათესი ფართობების 86,9% სიმინდს,

ხორბლის ნათესებს კი 0,7% უჭირავს. რეგიონზე საქართველოში წარმოებული მარცვლეულის 17,9% მოდის, რაც კახეთის (23,5%) შემდეგ მეორე მაჩვენებელია.

ნათესი ფართობების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ბოსტნეულ კულტურებს უკავია. ქვემო იმერეთში ფართოდაა გავრცელებული სააღრეო მებოსტნეობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე ახალი ბოსტნეულით ამარაგებს არამარტო მხარეს, არამედ საქართველოს ბევრ ქალაქს და, უპირველესად, თბილისს. მებოსტნეობა ძირითადად განვითარებულია სამტრედიის, წყალტუბოს, თერჯოლის, ხონის, ვანის რაიონებში. ტექნიკური კულტურებიდან სოიას თესენ ხარაგაულის, თერჯოლის, ხონის, წყალტუბოს რაიონებში. საქართველოში სოიას ნათესების ნახევარზე მეტი (55%) იმერეთის წილად მოდის. მეჩაიეობის განვითარებით ცნობილია ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, სამტრედიის, თერჯოლის რაიონები, ზემო იმერეთში კი – მხოლოდ ჭიათურის რაიონი. ამ კულტურის გავრცელების არეალი უფრო ფართო იყო, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, ბევრგან ჩაის ბუჩქისა და სხვა მრავალწლიანი ნარგაევების ადგილი სიმინდის ნათესებმა დაიკავა.

მევენახეობა იმერეთისათვის ტრადიციული დარგია. მის განვითარებას ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები: მზიან დღეთა საკმაო რაოდენობა, ზომიერი კლიმატი, შესაფერისი ნიადაგები და სხვ. XIX ს-ში ყურძენი სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი ხდება, რომლის წარმოების გაფართოებას რკინიგზის გაყვანამაც შეუწყო ხელი. გამოჩნდა გასაღების ახალი ბაზრები და ღვინოზე მოთხოვნილებაც გაიზარდა. იმ დროს ბევრგან იმერეთში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 80% მევენახეობაზე მოდიოდა. გამოირჩეოდა ყვირილას, ხანისწყალის, ჩხერიმელას, ძირულას ხეობების სოფლები (ბაღდათი, ვარციხე, დიმი, ობჩა, ხარაგაული, კვალითი და სხვ.). ყურძნის მოსავლიანობით და ღვინის დაყენების ტექნოლოგიით განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ს.სკირი. მევენახეობით ასევე გამოირჩეოდა ჩხარის, ტყიბულის, ხონის, თერჯოლის რაიონები (გუგუშვილი, 1965).

ვენახები, როგორც ადრე ადგილებში, ისე გორაკ-ბორცვებსა და მთისწინეთში, უმეტესად ნეშომპალა-კარბონატულსა და ტყის ყომრალ ნიადაგებზეა გავრცელებული. ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის და ვანის რაიონებში მევენახეობა სპეციალიზაციის დარგია, რომლის პროდუქცია აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას და ქვეყნის მასშტაბითაც მოიხმარება. ფართო გავრცელება აქვს ვაზის იმ ჯიშებს, რომლებიც შამპანური ღვინის მასალას იძლევა. მაღალმოსავლიანი ჯიშებია: ციცქა, ცოლიკაური, ოჯალეში, ჩხაველი, ძველშავი, ხიხვი, ქვიშხური და სხვ. რეგიონში მოკრეფილი ყურძნის მოსავალმა 1999 წ. ქვეყანაში მოკრეფილი ყურძნის 25% შეადგინა. ადგილობრივი ბუნებრივი პირობები თითქმის ყველგან

ხელს უწყობს მეხილეობის განვითარებას. იქ წარმოებულმა ხილმა იმავე წელს საქართველოში მიღებული პროდუქციის 22% შეადგინა. განსაკუთრებით მაღალი მოსავლით გამოირჩეოდა საჩხერის, თერჯოლის, წყალტუბოს, ზესტაფონის რაიონები.

მეცხოველეობაში წამყვანია სარძეო-სახორცე მიმართულების მესაქონლეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობით იმერეთი საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (23,1%) გამოირჩევა. დარგი ყველა რაიონშია განვითარებული, მაგრამ უკეთესი მაჩვენებლები აქვს თერჯოლის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ვანის, ხარაგაულის რაიონებს. თითქმის ყველგან ჰყავთ მოშენებული (1-დან 5 ათასამდე სული) ცხვარი და თხა. განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა. იმერეთი (სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონები) ძველთაგანვე გამოირჩეოდა მეაბრეშუმეობის მაღალი განვითარებით, თუმცა ამჟამად ეს დარგი დაკნინებულია. მრავალფეროვანი მცენარეულობა და ძველი ტრადიციები მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებია, რათა სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზესტაფონის, ხარაგაულის რაიონებში რეალურად აღორძინდეს მეფუტკრეობა.

ბოლო პერიოდში, სოფლად მიწების კერძო მფლობელობაში გადაცემამ (1999 წ. 1 აპრილის მონაცემებით რეგიონის მთელი სასოფლო-სამეურნეო საკარგულების 50% პრივატიზებულია) საგრძნობლად შეცვალა აგროწარმოების ეკონომიკურ-ორგანიზაციული საფუძველი და სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულება მიწისადმი, რამაც, სამომავლოდ, შესაძლებელია წარმოების სპეციალიზაციის, მოცულობის და დასაქმების ფორმების ცვლილებები გამოიწვიოს.

იმერეთი საკმაოდ უზრუნველყოფილია სატრანსპორტო ქსელით, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია რეგიონის ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით. გზების მშენებლობისათვის კარგი პირობებია დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში, მთაში კი ამ მხრივ დიდი სიძნელეებია. რეგიონის ტერიტორიაზე გადის ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, რომლებიც ქართლის, სამცხის, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის მიმართულებით იტოტება.

ჯერ კიდევ 1872 წ. ამუშავდა ფოთი-თბილისის, 1883 წ. კი – ბაქო-ბათუმის რკინიგზები, რომელთა მონაკვეთები იმერეთის ტერიტორიაზე გადის. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. ამავე დროს მიმდინარეობდა ქვანახშირისა და მანგანუმის საბადოებამდე სარკინიგზო ხაზების მიყვანა. აიგო ქუთაისი–ტყიბულის (1887 წ.) ხაზი და შორაპან–ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი მონაკვეთი (1891 წ.), რომელიც მოგვიანებით (1956 წ.) ზესტაფონი–ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ხაზით შეიცვალა. შემდგომში მთავარი სარკინიგზო მაგისტრალიდან გაიყვანეს ბროწეულა–წყალტუბოს და თერნალი-

გუმბრას განშტოებები. იმერეთის სარკინიგზო სადგურებიდან გაგზავნილ ტვირთებში ძირითადი იყო მანგანუმი, ქვანახშირი, ავტომანქანები, კვარცის სილა, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია და სხვ. შემოდიოდა მანქანა-იარაღები, სამშენებლო მასალები, ნავთობის პროდუქტები და ა.შ.

საავტომობილო ტრანსპორტი იმერეთის საშეურნეო ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დასახლებული ტერიტორიების დიდი ნაწილი, როგორც ერთმანეთს, ისე მეზობლად მდებარე რაიონებს, ამ სახის ტრანსპორტით უკავშირდება. რეგიონი, განსაკუთრებით კი ბარის ზონა, საავტომობილო გზებით საკმაოდ უზრუნველყოფილია. აქ გადის საქართველოს მთავარი ავტომაგისტრალი, რომელიც აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით ტვირთებისა და მგზავრების დიდ საკაღლებს ატარებს და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის არსებით შემადგენელ ნაწილად იქცა. დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში უმოკლესი გზა ორი მიმართულებით მიდის სურამში. პირველი – ჩხერიმელას ხეობითა და სურამის უღელტეხილით, ხოლო მეორე – მდ.ძირულას ხეობით და შემდეგ რიკოთის გვირაბით შემოდის ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე და მთავარ მაგისტრალს უერთდება. მოძრაობის ინტენსივობით პირველი გზა გამოირჩევა. იმერეთის ჩრდილოეთით – ლეჩხუმთან და ქვემო სვანეთთან კავშირი ქუთაისი–ცაგერი–ლენტეხის გზით, ხოლო რაჭასთან – ქუთაისი–ონი–შოვის გზატკეცილით ხორციელდება, რომელიც შემდეგ მამისონის უღელტეხილით ჩრდილო კავკასიაში გრძელდება. სამხრეთით მნიშვნელოვანია ქუთაისი–ბაღდათის გზატკეცილი, რომელიც ზეკარის უღელ-ტეხილით სამცხეს უკავშირდება. რეგიონის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძებია: ქუთაისი, სამტრედია, ზესტაფონი, ტყიბული, სარხერე, ხარაგაული, რომლებიც არამარტო რკინიგზაზე, არამედ საავტომობილო გზების შესაყარზეა განლაგებული.

საავიაციო ტრანსპორტი იმერეთში ძირითადად მგზავრთა გადაყვანას ეწახურება. მთავარი აეროპორტი ქუთაისთან (კოპიტნარი) მდებარეობს. საკერტმფრენო მარშრუტთა შორის ზამთრობით ყველაზე მნიშვნელოვანია რაჭა-ლეჩხუმთან და განსაკუთრებით, სვანეთთან კავშირი, რადგან სხვა სახის სატრანსპორტო მიმოსვლა ამ მთიან რეგიონებთან შეფერხებულია.

სამთამადნო მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობას. პირველი ასეთი გზა 1912 წ. ჭიათურაში მანგანუმის მადნის გადასაზიდად გაიყვანეს. შემდგომში კი, მგზავრთა გადაყვანის მიზნით, ასეთი გზები ამუშავდა აგრეთვე ზესტაფონში, ქუთაისში.

იმერეთი მდიდარია რეკრეაციული, განსაკუთრებით ჰიდრომინერალური რესურსებით, რამაც ბალნეოლოგიური კურორტების სიუხვე განაპირობა. მათ შორისაა საქვეყნოდ ცნობილი კურორტი წყალტუბო, რომლის უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე მინერალური წყალი შეიცავს რადონს, სულფატს,

ჰიდროკარბონატს, ქლორიდებს, ნატრიუმს, კალციუმს. წყლის ტემპერატურა ზამთარ-ზაფხულს 33-35°-ია. იგი გამოიყენება ართროლოგიური, კარდიოლოგიური, ნეეროლოგიური, ნეფროლოგიური, ფტიზიატრიული და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. წყალტუბოს (აფხაზეთის კურორტებთან ერთად) საქართველოში ყველაზე მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა. იგი მოიცავდა 25 სანატორიუმს, 5 პანსიონატსა და დასასვენებელ სახლს, რომელთა საერთო ტევადობა 8 ათას საწოლზე მეტს შეადგენდა და ყოველწლიურად აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან 120 ათასი კაცი მკურნალობდა. ამჟამად ამ ობიექტების უმეტესობა, დროებით საცხოვრებლად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ დაკავებული.

იმერეთის დანარჩენი კურორტები თუმცა ჩამორჩებიან წყალტუბოს თავისი მნიშვნელობით, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის დასვენება-მკურნალობისათვის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენენ. აღსანიშნავია კურორტები: ზეკარი, ზვარე, ნუნისი, ამაღლება, სიმონეთი, სულორი, სამტრედია, გორმაღალა, საირმე, კვერეთი, კურსები. პერსპექტიული საკურორტო ადგილებია: კვალითი, ნიჩაბა, საღანძილე, საწირე, ხიდარი, ხრეითის აბანო, ხრესელი, ჩოქიანი.

ღირსშესანიშნაობებიდან უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომლის მშენებლობა 1106 წ. დაიწყო დავით აღმაშენებელმა და 1125 წ. დაამთავრა მისმა შვილმა, მეფე დემეტრემ. იგი მდებარეობს ქუთაისიდან 10 კმ მანძილზე, მდ.წყალწითელას ხეობაში. გამოირჩევა მეტად ლამაზი მდებარეობით. თავისი არქიტექტურით იგი შესამჩნევად განსხვავდება XI-XII ს. კათედრალური ტაძრებისაგან. აქ ასვენია მეფე დავით აღმაშენებელი. ტაძრის შიგნით კედლებზე უხვადაა სხვადასხვა ეპოქის ფრესკები, საკურთხეველთან ცის განთქმული მოზაიკაა. ქვითკირის მაღალი კედლებით შემოზღუდული მონასტრის ეზოში დგას XIV ს. აგებული ორი ეკლესია, სამრეკლო, დამხმარე შენობები. გელათის მონასტერი და ქუთაისში მდებარე ბაგრატის ტაძარი (XI ს.) შეტანილია (1994 წ.) იუნესკოს თვალსაჩინო და უნიკალურ საგანძურთა ნუსხაში. ქუთაისის უძველესი ნაწილია უქიმერიონის ციხე-სიმაგრე, რომელიც ქალაქზე ადრე აიგო. ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს VIII ს. მონასტერი „მოწამეთა", აგებული მურვან ყრუს მიერ ნაწამები არგვეთის მთავრების – დავითის და კონსტანტინეს სახელთა უკვდავსაყოფად, რომელიც X ს. ბაგრატ III განუახლებია. ტურისტული მნიშვნელობის საინტერესო ძეგლებია: გეგუთის სასახლე და მონასტერი (XII ს.), უბისას მონასტერი (IX ს.), დამშვენებული დამიანეს მხატვრობით, კაცხის ტაძარი (XI ს.), ვანისა და საირხის ანტიკური ნაქალაქარი, დადიანების საზაფხულო რეზიდენცია ს.გორდში, მოდინახეს ციხე საჩხერეში და სხვ.

იმერეთის ტერიტორიაზე მრავლადაა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები: ა.წერეთლის – ს.სხვიტორში, დ.კლდიაშვილის – ს.ზედა სიმონეთში, გალაკტიონისა და ტიციან ტაბიძეების – ს.ჭყეიშში (ვანის რ.), ელ.მაიაკოვსკის – ბაღდათში, უშანგი ჩხეიძის – ზესტაფონში, ნ.ნიკოლაძის – ს.დიდ ჯიხაიშში, ნ.ლორთქიფანიძის – ს.ჩუნეში (წყალტუბოს რ.), პეტრე და შალვა ამირანაშვილების – ჩხარში, გ.წერეთლის – ს.ცხრუკკეთში (ჭიათურის რ.). თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ბუნებრივ-რეკრეაციული ობიექტებიდან აღსანიშნაია აჯამეთის, სათაფლიის ნაკრძალები, ახლადშექმნილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომლის ფარგლებშიც ხვდება ბაღდათის და ხარაგაულის რაიონის ტერიტორიის ნაწილი, ტყიბულის, ყარციხის წყალსაცავები. აღნიშვნის ღირსია იმერეთის კარსტული მღვიმეები: მათ შორის ქუთაისთან მდებარე სათაფლიის, ყუმისთავის, „თეთრა"-ს მღვიმეები, დინოზავრის ნაკვალევი და სხვ. გარდა ამისა, უკვე შესწავლილია ცუცხვათის მღვიმოვანი, რომელიც სართულების სიჭრაულით არ ჩამოუვარდება მსოფლიოს ცნობილ მღვიმეებს. სპელეოტურიზის ამ მნიშვნელოვან ობიექტებს თავისებური მიკროკლიმატის გამო სამკურნალოდაც იყენებენ.

რაჭა-ლეჩხუმი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. რაჭა-ლეჩხუმი, რომელსაც საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარსაც უწოდებენ, ქვეყნის დასავლეთი ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ჯავის, დასავლეთიდან – მარტვილის და ხონის, ჩრდილოეთიდან – ლენტეხის რაიონები, ყაბარდო-ბალყარეთი და ჩრდილო ოსეთი, ხოლო სამხრეთიდან – იმერეთი. მხარე მოიცავს ონის, ამბროლაურის (რაჭა) და ცაგერის (ლეჩხუმი) ადმინისტრაციულ რაიონებს. ფართობი 3217 კმ²-ია, რაც მთელი საქართველოს ტერიტორიის 4,6% შეადგენს.

მუდმივი თოვლით დაფარული და ბუნებრივ ზღუდედ აღმართული კავკასიონის წყალგამყოფი ქედებითა (რაჭის, ლეჩხუმის, ეგრისის, ნაქერალას და სხვ.,) და მყინვარებით (კირტიშო, ედენა, ზოფსიტო, ლაბოდა, ბოყო, თბილისა, ბუბა, ჭანჭახი) შემოსაზღვრულობა რეგიონს რამდენადმე იზოლირებულ მდებარეობას უქმნის. ამიტომ საქართველოს სხვა მხარეებთან კავშირი მხოლოდ მდინარეთა ვიწრო ხეობებით ან საუღელტეხილო გზებითაა შესაძლებელი. შეზღუდულია კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთანაც, რადგან დაკავშირება, ისიც ზაფხულის 2-3 თვის მანძილზე, მხოლოდ უღელტეხილების (3350-3500 მ ზ.დ.) ძნელადსავალი ბილიკებითაა შესაძლებელი.

რაჭა-ლეჩხუმი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, მრავალი საუკუნის მანძილზე კარჩაკეტილ მხარეს წარმოადგენდა. უძველესი დროიდან მხარე ბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურის მძლავრ კერად ითვლებოდა. ცნობილი იყო სამთამადნო და მეტალურგიული წარმოებით. რკინის მოპოვება-დამუშავებამ წედისისა და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაში იმდენად დიდი ადგილი დაიკავა, რომ ამ მხარეს სარკინეთი ეწოდებოდა. ხოლო ამ ხელობის მიმდევართ – რკინის კაცები. წედისის მაღაროები XIX ს-ის შუა წლებამდე მოქმედებდნენ (ანთაძე, 1961). მტრების გამუდმებული შემოსევების დროს რაჭა-ლეჩხუმი იარაღ-საჭურველით ამარაგებდა ქვეყანას. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, 200 მ სიმაღლის კირქვის კლდეში გამოკვეთილი ხვამლის გამოქვაბული „წარმოად-გენდა ქართველ მეფეთა განძთა საფარს შიშიანობის დროს" (ვახუშტი, 1997). საქართველოს იმდროინდელ სატახტო ქალაქ ქუთაისთან სიახლოვე გამუდმებული შემოსევების დროს მას თავშესაფრის ფუნქციასაც აკისრებდა. თუმცა, XII-XIII საუკუნეებიდან მისი მნიშვნელობა თანდათანობით შესუსტდა ძირითადად შინა-

ომებისა და დედაქალაქის თბილისში გადატანის შემდეგ. XIV საუკუნის დასაწყისში რაჭა-ლეჩხუმის საერისთაო გაუქმდა და მხარე ერთიანი სამეფოს შემადგენლობაში შეკიდა. შემდგომში რაჭა იმერეთის სამეფოს ნაწილი იყო, ხოლო ლეჩხუმზე პრეტენზიას სამეგრელოც აცხადებდა. რუსეთის გაბატონების დროს კი ორივე ქუთაისის გუბერნიაში შემავალ მაზრებად იქცა.



ბუნებრივი რესურსები. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის მხოლოდ 2,2%-ია 500 მ ქვემოთ განლაგებული, ამიტომაც ვაკე-რელიეფს რეგიონში სრულიად უმნიშვნელო ფართობი უჭირავს. კავკასიონის ქედის უმაღლესი წერტილია მ.ჭანჭახი (4460 მ), უდაბლესი – მდ.რიონის ხეობის ფსკერი (320 მ ზ.დ.). ყველაზე დაბალი ჰიფსომეტრიული სიმაღლის მქონე სოფელი ტვიში მდებარეობს ზ.დ. 400 მ-ზე, ხოლო უმაღლესი (1840 მ) განლაგება აქვს მთისკალთას.

რეგიონი საკმაოდ მრავალფეროვანი წიაღისეულით არის წარმოდგენილი, თუმცა, ჯერჯერობით, საექსპლოატაციო დანიშნულებით ბარიტი, დარიშხანი და სტიბიუმი (სურმა) გამოირჩევა. ჩორდის ბარიტის საბადო (ონის რ.) მდებარეობს მდ.ჯეჯორის აუზში და ცნობილია გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამავე რაიონში, მდ.ხოფხიტოს და მდ.ჩეშურას ხეობებში განლაგებულია იშვიათი ლითონის – სტიბიუმის საბადო, რომელსაც კომპონენტის სახით დიდი გამოყენება აქვს სხვადასხვა შენადნობებში. რაჭა ასევე ცნობილია ლუხუნის დარიშხანის საბადოთი (ამბროლაურის რ.), რომელიც მდებარეობს მდ.ლუხუნისწყლის მარცხენა შენაკადის მდ.მადნისღელეს ხეობაში. რაჭის ტერიტორიაზე ერცელდება აგრეთვე კვაისის ტყვია-თუთიის და შაორის ქვანახშირის საბადოთა უბნები. სხვა წიაღისეულიდან უნდა აღინიშნოს: ონის რაიონში – წედისის მარმარილოსნაირი კირქვების, ქვედრულას კირქვების (კირის საწარმოებლად), ბაჯიხევის სააგური

თიხების და თაბაშირის საბადოები; ამბროლაურის რაიონში – ზნაკვას კირქვები, ნაქერალას და მახარულის სამშენებლო ქვები; ცაგერის რაიონში – ზოგიშის საკედლე მასალის, ლაშიჭალას ქვიშის ხრეშის, ორბელის კირქვების საბადოები.

რაჭა-ლეჩხუმი მთლიანად მდ.რიონის აუზში მდებარეობს. რიონი სათავეს ფასისმთიდან იღებს და მხარის ფარგლებში 130 კმ-ზე მიედინება. მისი მთავარი შენაკადებია: ლაჯანური, ჯეჯორა, ლუხუნისწყალი, შარეულა, რიცეული, ზოფხიტურა, კრიხულა, ჩვეშურა და სხვ. ცაგერის რაიონს კვეთს მდ. ცხენისწყალი, რომელიც რაიონის გარეთ მდ.რიონს ერთვის. ცალკეულ ადგილებში მდინარეები და მათი შენაკადები წარმოქმნიან ღრმა ხეობებს, რომლებსაც ზოგან კანიონისებური ფორმა აქვთ. რაჭა-ლეჩხუმის მდინარეებს, რომელთაც მყინვარები, წვიმისა და მიწისქვეშა წყლები ასაზრდოებს, ჰიდროენერგიის უდიდესი მარაგი გააჩნით, მაგრამ ეს რესურსი სუსტად არის ათვისებული და მხოლოდ ლაჯანურის და შაორის ჰიდროელსადგურები მუშაობს.

მცირე ზომის ტბებს შორის, რომლებიც ძირითადად კარსტული და მყინვარული წარმოშობისაა, ტურისტული მიზნებისათვის გამოსაყენებელია ქვედის ტბა, აგრეთვე შაორის და ლაჯანურის წყალსაცავები, რომლებიც ამავე სახელწოდების ჰესების შექმნასთან დაკავშირებით წარმოიშვა. წყლის რესურსებიდან ტერიტორიაზე ბევრია როგორც გემოთი, ასევე მაღალი სამკურნალო თვისებებით გამორჩეული მინერალური და მტკნარი წყარო, რომელთა გამოყენებამ რაჭა-ლეჩხუმში კურორტებისა და საკურორტო ადგილების წარმოქმნას შეუწყო ხელი. მათ შორის უნდა აღინიშნოს ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი უწერა, რომლის ზონაში 18-მდე მინერალური წყაროა აღნიშნული. ცნობილი სამკურნალო წყლების ანალოგებია: ურავი, სორტუანი, სორგითი, გონა (ესენტუკის ტიპი), ლაშიჭალა, სხეფური, გომა, ჭეღულა (ბორჯომის ტიპი), პიპილეთი, ძუგური (ნარზანის ტიპი) და სხვ. (Минеральные ..., 1991).

ჰავა რეგიონში გარდამავალია ნოტიო სუბტროპიკულიდან კონტინენტურისაკენ. მას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი, პირველ რიგში, რეგიონის მდებარეობა დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, ასევე რელიეფური თავისებურებები, შავი ზღვიდან შედარებითი დაშორებულობა. ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად იცვლება სიმაღლის მატებასთან ერთად. მაღალია მზის ნათების ხანგრძლივობა, განსაკუთრებით მთის რაჭაში – შოვი-ღების რაიონში (2050 სთ/წელიწადში).

მხარეში ტყის ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული, ალუვიური, ეწერი და მთამდელოს ნიადაგებია გავრცელებული. მცენარეულობიდან, სამეურნეო თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მთავარ კომპონენტს – ტყის საფარს ეკუთვნის, რომელსაც ნიადაგდაცვითი, ეროზიის საწინააღმდეგო და დასვენებისა და მკურნალობისათვის მნიშვნელოვანი – გამაჯანსაღებელი ფუნქცია აკისრია. ტყის შემ-

ქმნელი ჯიშებია მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ფიჭვი, უთხოვარი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. ქვეტყეს ქმნიან შინდი, მაყვალი, კუნელი, ზღმარტლი, თხილი, შქერი, დეკა, იელი, მოცხარი, ძახველი და სხვ. ტყეები მდიდარია წაბლით, თხილით, მოცვით, წყავით და სხვ. ალპური და სუბალპური მდელოების მცენარეული საფარი ძირითადად პირუტყვის მაღალპროდუქტიული საკვებით არის წარმოდგენილი.

რეგიონის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მრავალფეროვან ცხოველთა სამყაროს არსებობას. რაჭა-ლეჩხუმის ტყეებში გვხვდება შველი, დათვი, კურდღელი, ფოცხვერი, ტურა, კვერნა, მგელი, მელა და სხვ.

მოსახლეობა. რაჭა-ლეჩხუმი მკვეთრად გამოხატული დეპოპულაციის მხარეა. მასობრივად მოსახლეობის მიგრაცია ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო, როდესაც დამუშავებისათვის ყარგისი მიწების სიმცირემ რაჭველი და ლეჩხუმელი გლეხები აიძულა გარე სამუშაოებზე წასვლით ერჩინათ ოჯახები. ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში მხარის მოსახლეობისაგან დაცლის ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა და მან განსაკუთრებით საბჭოთა წლებში იჩინა თავი.

1926 წ. მხარეში ცხოვრობდა 101,3 ათასი კაცი ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 3,8%. შემდგომ წლებში შესაბამისი მაჩვენებლების კლება იყო: 1959 წ. – 75,7 ათასი (1,9%), 1979 წ. – 56,9 ათასი (1,1%), 1989 წ. – 46,6 ათასი (0,9%). ამდენად, საბჭოთა პერიოდში ამ მთაგორიანი მხარის მოსახლეობა თითქმის 2,2-ჯერ შემცირდა, რომელიც ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული: ონის რ. – 12,3 ათასი, ამბროლაურის რ. – 17,1 ათასი, ცაგერის რ. – 17,2 ათასი კაცი. რაჭა-ლეჩხუმში მიმდინარე დეპოპულაციის ორი ძირითადი გამომწვევი ფაქტორია: სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური. პირველ ფაქტორში იგულისხმება სამეურნეო საქმიანობის სივრცის შეზღუდულობა (დამუშავებისთვის ყარგისი მიწების სიმცირე), სუსტად განვითარებული მრეწველობა და ტრანსპორტი, ურბანიზაციის დაბალი დონე და მოსახლეობაში ისტორიულად გამჯდარი მიგრაციული ქცევა, რომელმაც არა მარტო სასწავლებლად ან გარე სამუშაოზე წამსვლელთა, არამედ მათი ოჯახების გადასახლებაშიც იჩინა თავი. ეკოლოგიურმა ფაქტორმა ანუ მხარისათვის დამახასიათებელმა ბუნებრივმა სტიქიურმა მოვლენებმა (მიწისძვრები, მეწყერი, ეროზიული პროცესები და სხვ.) მოსახლეობის იძულებითი (მათ შორის ორგანიზებული) გადასახლებები განაპირობა.

წლების განმავლობაში მუდმივად არსებულმა მიგრაციის უარყოფითმა სალდომ, რაც პირდაპირ გავლენას ახდენდა შობადობის შემცირებასა და მოსახლეობის „დაბერებაზე", მხარეში განაპირობა ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლები

(1990 წ. ონის რ-ში –2,6‰, ამბროლაურის რ-ში: –10,6‰, ცაგერის რ-ში –5,1‰), რომლებმაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო იმატა.

2000 წ. რეგიონში ცხოვრობდა უკვე 41,2 ათასი კაცი (მათ შორის ონის რ. – 11,3 ათასი, ამბროლაურის რ. – 15,1 ათასი, ცაგერის რ. – 14,8 ათასი), რომელთაგან 1,9 ათასი კაცი აფხაზეთიდან დევნილი იყო. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 12,8 კაცი 1 კმ²-ზე მეტად დაბალია და ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს თითქმის 5-ჯერ ჩამორჩება. მოსახლეობა ძირითადად განსახლებულია რიონის, ცხენისწყლის და ლაჯანურის ხეობებსა და მათ მოსაზღვრე მთის კალთებზე. ონის რაიონის (ზემო რაჭა) მოსახლეობის ძირითადი ნაწილი 800-1400 მ, ამბროლაურის რ. (ქვემო რაჭა) – 600-1200 მ, ხოლო ცაგერის რ. (ლეჩხუმი) – 400-800 მ ჰიფსომეტრიულ ზონაში ცხოვრობს. 1989 წ. მოსახლეობის აღწერით, მხარეში 193 (მათ შორის 3 უკაცრიელი) სოფელი იყო, რომლის საშუალო ხალხმრავლობა 190 კაცს შეადგენდა. სოფლების დიდი უმრავლესობა წყრილი და პატარაა, რომელთა მოსახლეობის რიცხოვნობის ზღვარი თითოეულში 200 კაცს არ აღემატება. თავისი ხალხმრავლობით და ისტორიულ-ეკონომიკური მნიშვნელობით გამორჩეული სოფლებია: ნიკორწმინდა, ურავი, სადმელი, ხვანჭკარა, წესი (ამბროლაურის რ.), ღები, უწერა (ონის რ.), ზუბი, ჩხუტელი, ტყიში, ალპანა, ლაილაში და ორბელი (რომელიც ქვედა ცაგერთან ერთად მხარის უდიდესი სოფელია).

2000 წ. სოფლად ცხოვრობდა 31,0 ათასი კაცი ანუ მთელი მოსახლეობის 75,2%. ქალაქის მოსახლეობა (10,2 ათასი კაცი) ცხოვრობს სამ პატარა ქალაქსა (ონი – 4,7 ათასი, ამბროლაური – 3,2 ათასი, ცაგერი – 1,7 ათასი) და დაბა ლაჯანურ.ესში (0,6 ათასი), რაც მხარის ურბანიზებულობის მეტად დაბალ დონეზე (24,8%) მიუთითებს.

ყოფილი რაჭის მაზრის ადმინისტრაციული და საკაჭრო ცენტრი ქ.ონი (ზ.დ. 860 მ) საქართველოს მთიანეთში შექმნილი ერთ-ერთი ძველი ქალაქია, რომელიც მდებარეობს რიონის ყიწრო და ლამაზ ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე და ქუთაისამდე ავტომაგისტრალით 118 კმ-ით. ხოლო ერწოს ტბის და მდ. ფცის ხეობის გაყოლით თბილისამდე 200 კმ-ით არის დაშორებული. მისი ღირსშესანიშნაობაა – ქალაქის ზედა ნაწილში მდებარე ტყის მასივი, რომელიც დასვენების ზონას წარმოადგენს, მასალებით მდიდარი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ლამაზი პარკი და საუკუნეზე მეტი ხნის წინ აგებული სინაგოგა, რომელიც ქალაქის მკვიდრი ქართველი ებრაელების სალოცავია.

ქ.ამბროლაური (ზ.დ. 600 მ), რომელიც რიონის და მისი შენაკადის – მდ.კრიხულას ნაპირას მდებარეობს, არა მარტო ქვემო რაჭის გეოგრაფიული, არამედ დღეკანდელი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის ცენტრია და პირდაპირი გზით არის დაკავშირებული ქუთაისთან. მის განვითარებას, მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, ხელი შეუწყო მრეწველობის რიგი დარგების

(ღვინის, რძის, ავეჯის და სხვ.) შექმნამ, თუმცა ამჟამად მისი ეკონომიკური და დემოგრაფიული ზრდის პერსპექტივები ჯერჯერობით პრობლემატურია.

ადრე ქ.ცაგერი (ზ.დ. 495 მ), როგორც მაზრის ცენტრი, არა მარტო ლეჩხუმის, არამედ ქვემო სვანეთის ტერიტორიაზეც აკრცელებდა თავის ადმინისტრაციულ ზეგავლენას. მისი ეკონომიკა (ამბროლაურის მსგავსად) ძირითადად ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოებას ემყარება და ლამაზი ადგილმდებარეობით და ტურისტული მიმზიდველობით გამოირჩევა.

მეურნეობა. მკაცრი ბუნებრივი პირობების, რთული რელიეფის, დამუშავებისათვის ყარგისი მიწების და მუშახელის სიმცირის გამო სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესაძლებლობები ძლიერ შეზღუდულია, რის გამოც რაჭა-ლეჩხუმი მეურნეობრივად სუსტად განვითარებული მხარეა. მისი მეურნეობა მთლიანად ადგილობრივ ნედლეულზეა დაფუძნებული. ეკონომიკის წამყვანი დარგია მეცენახეობა, რასაც რეგიონის მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევს. ვენახები ძირითადად დაბლობ ზონაში მდ.მდ. – ცხენისწყლის, ლაჯანურის, ჯეჯორის, რიონის და მათი შენაკადების გარშემო მდებარე, ვაზის კულტურის განვითარებისათვის ხელშემწყობი ნიადაგ-კლიმატური პირობების მქონე ფერდობებზეა გაშენებული. ვენახების უმეტესი ნაწილი ამბროლაურის რაიონში მდებარეობს. მრავალფეროვანია რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშები – ალექსანდროული, თეთრა, უსახელოური, ორბელის ოჯალეში, მწვანე კახური, საფერავი, რქაწითელი და სხვ. აქაური ვაზის ჯიშებს მაღალი მაქრიანობა და შესაბამისი მჟავიანობა ახასიათებთ და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან არომატით, ფერითა და სინაზით. მათგან საქვეყნოდ ცნობილი ნახევრადტკბილი და სუფრის სამარკო ღვინოები – „ხვანჭკარა", „უსახელოური", „თეთრა", „ტვიში", „ბარაკონი" მზადდება. სხვადასხვა გამოფენებზე ამ ღვინოებს რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის მედალი აქვთ მიღებული.

რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი ზონის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მეხილეობის განვითარებისათვის, თუმცა ხილის მოსავლიანობა დაბალია. რაჭული და ლეჩხუმური ხილი თავისი გემოთი და მაღალი ხარისხით უძველესი დროიდანაა ცნობილი. აქ გავრცელებულია მსხლისა (გულაბი, შავი მსხალი) და ვაშლის (თურაშაული, აბილაური, ყინულა, კიტრა) საზამთრო და საზაფხულო ჯიშები, აგრეთვე კომში, ატამი, კაკალი, მცირე ფართობებზე გაშენებული ლეღვი და ბროწეული. ხეხილის ბაღები ძირითადად ამბროლაურისა და ცაგერის რაიონებშია განთავსებული.

რაჭა-ლეჩხუმის ნათესი ფართობებიდან თითქმის 55% მაცვლოვან და პარკოსან კულტურებს უჭირავთ. წამყვანია სიმინდი. მარცვლეულის ნათესების უმეტესი ფართობი ამბროლაურის რაიონზე მოდის. დასათესად გამოიყენება როგორც ჭალები, ასევე მთის ფერდობებიც. პარკოსნებიდან გავრცელებულია ლობიო.

მხარის მაღალი ზონის ბუნებრივი პირობები დიდად უწყობს ხელს მაღალ-ხარისხოვანი კარტოფილის მოყვანას, რომლის ნათესებს საკმაო ფართობი უჭირავთ. კარტოფილს სასაქონლო მნიშვნელობა აქვს – იგი იწარმოება როგორც პირადი მოხმარებისათვის, ისე გასაყიდად. მხარეში, ძირითადად დაბლობ ზონაში, სუსტადაა წარმოდგენილი მებაღეობა. ბოლო წლებში გაიზარდა საკვები კულტურების წარმოება, რომელთა ნათესების დიდი ნაწილი ამბროლაურის რ-ში განლაგებული. მოჰყავთ იონჯა და სამყურა. საკვები კულტურების წარმოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის – მეცხოველეობის განვითარებისათვის, რომელიც ბუნებრივ საკვებ რესურსებს ეყრდნობა და ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვითაა წარმოდგენილი. ზამთრის საძოვრების უქონლობის გამო საქონელი ზაფხულში სუბალპურ და ალპურ საძოვრებზეა, ხოლო ზამთარში ბაგურ-ბანაკურ წესზე იმყოფება. 2000 წლისათვის მათი რაოდენობა 33000 სულს შეადგენდა; ჰყავთ ღორი (13000 სული) და მცირე რაოდენობით ცხვარი და თხა (4000 სული). მისდევენ მეფრინველეობას და მეფუტკრეობას, რომლის განვითარებასაც დიდად უწყობს ხელს რეგიონში არსებული მრავალფეროვანი თაფლოვანი მცენარეულობა. ფუტკრის მოვლასა და თაფლის წარმოებაში თითქმის მთელი მოსახლეობაა დასაქმებული.

სხვადასხვა ბუნებრივი, სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებების გამო რაჭა-ლეჩხუმის ოდესღაც აყვავებული და ტრადიციული შინამრეწველობის დარგები – რკინისა და ლითონის, ხის დამუშავება, კერამიკული ნაწარმის წარმოება დღეისათვის თითქმის განადგურებულია. ინდუსტრიული წარმოების წამყვან დარგს სამთო-მოპოვებითი მრეწველობა წარმოადგენს. მისი ძირითადი საწარმო – ს.ურავში მდებარე რაჭის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (საპროექტო სიმძლავრე (900 ტ კონცენტრატი) ადრე ცანისა და ლუხუნის ლითონურ დარიშხანს ამუშავებდა. აღსანიშნავია ს.ირში ბარიტის (ჩორდის) და სამშენებლო მასალების (ცაგერი, ბაჯი, ლამიჭალა, წედისი) საბადოთა დამუშავება.

კვების მრეწველობა წარმოდგენილია ღვინის ქარხნებით, სადაც ხდება განთქმული ნახევრად ტკბილი სამარკო ღვინოების ჩამოსხმა, ასევე არყისა და სპირტის გამოხდა, შამპანურის ღვინომასალის წარმოება და სხვ. თანდათანობით კრიზისიდან გამოდის რეგიონის ტრადიციული დარგი – ხე-ტყის მრეწველობა, რომელიც მცირე საწარმოებითაა წარმოდგენილი. პერსპექტიულია ადგილობრივი მდიდარი მინერალური წყლების (ურავი, უწერა და სხვ.) ბაზაზე ჩამომსხმელი წარმოების შექმნა.

რაჭა-ლეჩხუმთან დამაკავშირებელი ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტია, მისი გზების საერთო სიგრძე 876,2 კმ-ს (მათ შორის 218,3 კმ შიდასახელმწიფოებრივი და 647,9 კმ ადგილობრივი) შეადგენს.

რაჭა-ლეჩხუმის რეკრეაციული პოტენციალი – ასწლოვანი ხეებით დაბურული წიწვიანი ტყეები, ხელსაყრელი კლიმატური (მზის ნათების დიდი ხანგრძლივობა, დღე-ღამური ტემპერატურების მცირე ამპლიტუდები), ჰიდრომინერალური რესურსები (მაღალი ხარისხის მინერალური წყაროები), ბუნებრივი, ისტორიული და ეთნოგრაფიული კულტურის ძეგლების სიუხვე – ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული და გამოყენებული დასვენებისა და მკურნალობისათვის. რეგიონში შერეული ტიპის 6 კურორტი და 9 საკურორტო ადგილია. კურორტები შოვი და სორტუანი კლიმატო-ბალნეოლოგიური პროფილისაა, უწერა, ბუგეული და ლაშიჭალა – ბალნეოკლიმატური, ხოლო ხიდიკარი – ბალნეოლოგიური. საკურორტო ადგილებიდან მხოლოდ ლაძგვერაა ბალნეოლოგიური პროფილის, ხოლო ბარი, სხეფური, ურაკი, უსახელო, ქვედის ტბა, ცესიგორა, ძგური და ძეგლები კლიმატო-ბალნეოლოგიური პროფილისაა.

ტურისტულ-ინფრასტრუქტურული ობიექტები. რაჭაში მრავალადაა ტურიზმისა და ალპინიზმის პერსპექტიული ობიექტები – სხვადასხვა სირთულისა და სიმაღლის მწვერვალები (შოდა-კედელა, დოლომისი, ჭანჭახი, ბურჟულა, ლაბოდა და სხვ.), სამთო-საუღელტეხილო ტურიზმის მოყვარულთათვის – ვაციწვერას, ნოწარულას, მამისონის და სხვა უღელტეხილები. ჰიდროგრაფიული ქსელი (მდ.მდ. რიონი, ცხენისწყალი, ჯეჯორა, ჭანჭახი, ლუხუნისწყალი, ცხენისწყალი) საწყლოსნო ტურიზმის (რაფტინგის), ხოლო ბუნებრივი ჩანჩქერების (დღნორისა, კინჩხა, თხმორი) სიუხვე კი ტურიზმის ახალი სახეობის – კანიონინგის განვითარების კარგ შესაძლებლობებს იძლევა. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი საკმაოდ მდიდარია კარსტული მღვიმეებითა (უშოლთის, ოქროჯანაშვილის სახ., ცახის, ცხრაჯვარის, ძარეულის) და გამოქვაბულებით, რომელთა გამოკვლევისა და შესწავლის შემთხვევაში აქ სპელეოტურიზმის ფართო განვითარებაა შესაძლებელი.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: ნიკორწმინდის ტაძარი (XI.), ზემო კრიხის (X-XI სს.), ბუგეულის (XIV-XV სს.), პატარა ონის წმინდა გიორგის (XI ს.), „მრავალძალის" წმინდა გიორგის (XI ს.), ბარაკონის (XII ს.), სორის წმინდა გიორგის (XIV ს.), თაბორის, ლაბეჭინის შუა საუკუნეების ეკლესიები. მოქმედებს ონის, ცაგერის მხარეთმცოდნეობის და ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმები.

სამეგრელო

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. სამეგრელო მოიცავს რიონს, ცხენისწყალს, ენგურსა და შავ ზღვას შორის არსებულ ტერიტორიას, რომელიც განლაგებულია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. მისი მეზობელი მხარეები: აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, იმერეთი, გურია და საზღვაო სანაპირო. სამეგრელოს კარგ ეკონომიკურ–გეოგრაფიულ მდებარეობას უქმნის, რაც რეგიონის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

მხარის სახელწოდება ისტორიულ ეგრისს უკავშირდება, ხოლო თვით სამთავრო, რომელმაც XIV-XIX სს-ში იარსება, ოდიშის საერისთავოს ბაზაზე ჩამოყალიბდა. იგი დადიანთა მიერ იმართებოდა; 1867 წ. სამთავრო გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიაში შეეიდა ზუგდიდის (ზუგდიდის, წალენჯიხის, რედუტ-ყალეს საბოქაულოები) და სენაკის (აბაშის, მარტვილის, ნაქალაქევის საბოქაულოები) მაზრების სახით. რეგიონის დღეანდელი ტერიტორია კი, რომლის ფართობია 4,4 ათასი კმ² ანუ ქვეყნის 6,4%, საბჭოთა პერიოდში შექმნილ 7 ადმინისტრაციულ რაიონს (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის) და ქ.ფოთს მოიცავს. გასულ საუკუნეში გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული საქართველოს ეკონომიკური დარაიონების ბადის მიხედვით, იგი დასავლეთის ეკონომიკურ რაიონში (სამეგრელო, გურია, ზემო სვანეთი) ზუგდიდი–ცხაკაიას (სენაკის) ქვერაიონის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო 1995 წლიდან – სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარის ძირითადი ნაწილია.

ბუნებრივი რესურსები. სამეგრელოს ფიზიკურ–გეოგრაფიული პირობები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ტერიტორიის რესურსული პოტენციალის თავისებურებებს. მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან უშუალოდაა დაკავშირებული ნოტიო სუბტროპიკული ჰავის არსებობა, რამაც სამეგრელო სითბოს მოყვარული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების კერად აქცია. სუბტროპიკული მცენარეულობის კულტივირებას ვაკე-დაბლობებსა და გორაკ-ბორცვებზე, რომლებსაც მთელი ტერიტორიის 2/3 უჭირავს, ხელს უწყობს აქ გავრცელებული ალუვიური, ეწერი და წითელმიწა ნიადაგები. კლიმატურ–ნიადაგობრივი რესურსების ასეთი შეხამების პირობებში სუბტროპიკული და ტროპიკული სარტყლის მრავალი კულტურული მცენარე (ჩაის ბუჩქი, ტუნგი, დაფნა, ციტრუ-

სები, ფეიხოა, კიკი, ეთერზეთოვნები და სხვ.) ხარობს, ხოლო დაბლობ ზონაში, ზოგიერთ კულტურას წელიწადში ორი მოსაკლის მოცემაც შეუძლია.

მხარე წყლის რესურსების სიუხვით გამოირჩევა. აღრიცხულია 2441 დიდი და მცირე მდინარე, რომელთა საერთო სიგრძეა 5191 კმ. უგრძესი მდინარეებია: ხობისწყალი (150 კმ), ტეხური (101 კმ), აბაშისწყალი (ერ კმ), ხოლო ტრანზიტული მდინარეების – ენგურის, რიონის და ცხენისწყლის სიგრძე სამეგრელოს



ტერიტორიაზე შესაბამისად – 94 კმ, 88 კმ და 44 კმ-ია. აღსანიშნავია, რომ მხარის ჰიდროგრაფიული ქსელი მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლხეთის დაბლობის დაჭაობებულ ზონაში გაყვანილი არხების ხარჯზე. წყალსატევებიდან პალიასტომის

ტბას და ჯურის წყალსაცავს გამორჩეული სამეურნეო და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა აქვთ. მიწისქვეშა წყლების მოცულობა (1,5 კმ³) რეგიონის წყლის რესურსების საერთო მარაგის 25% შეადგენს. მთიანი ზონის რელიეფის ძლიერი დახრილობის და ნალექების დიდი რაოდენობის გამო სამეგრელოს მდინარეები „თეთრი ნახშირით" მდიდარია. მათი ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიმძლავრეთა საერთო ჯამი (ტრანზიტული მდინარეების – ენგურისა და რიონის გათვალისწინებით) 3.3 მლნ კვტ ანუ საქართველოს მთლიანი თეორიული ჰიდროენერგერესურსების 13% აღწევს (სამეგრელო, 1999).

მიწის ფონდში სასოფლო–სამეურნეო საკარგულებზე 39,2% მოდის, ტყეებზე – 37,6%, ბუჩქნარებზე – 3,5%, ჭაობებზე – 2,0%, წყლით, არხებით და გზებით დაკავებულ ტერიტორიაზე – 7,3%, შენობებზე – 2,1%, ხოლო დანარჩენ გამოუყენებელ მიწებზე – 8,3%. კოლხეთის დაბლობზე გავრცელებულია ტორფი და ჭაობიანი ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი; მთისწინეთში ჭარბობს მუხნარი და რცხილნარი; მთის ტყეების ლანდშაფტში უფრო მეტად წიფლნარებია გაბატონებული, ხოლო ზედა ნაწილში (1500-1800 მ) – მუქწიწკოვანი და ფოთლოვან-წიწკოვანი ტყეებია (სოჭნარი, ნაძვნარი, წიფლნარ-სოჭნარი) წარმოდგენილი.

სასარგებლო წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია საშენი მასალები: სამშენებლო კირქვები (სქური, ნაქალაქევი, მუხური), სააგურე თიხები (ნაესაკაკო, ცაცხვი, ნოჯიხევი), მოსაპირკეთებელი ქვები (ბალდა, ხირხი და სხვ.), ქვიშა და ხრეში (დიდი მდინარეების ხეობები), მინერალური წყაროებიდან აღსანიშნავია: ცაიში, მენჯი, ლუგელა, სქური და სხვ. სამეგრელოს ტერიტორიაზე მაგნეტიტური ქვიშები გავრცელებულია მალთაყვა-ფოთის და ყულევი-ანაკლიის უბნებზე. ყინაიდან ეს რესურსი ზღვის სანაპირო ზოლში პლაჟებზეა წარმოდგენილი და სამკურნალო თვისებები გააჩნია, მისი სამრეწველო ექსპლუატაცია არ ხდება. მხარე მდიდარია ტორფით, რომლის საბადოები ძირითადად თავმოყრილია ანაკლიის და ფოთის (ჭურია, ნაბადა, მალთაყვა, ფიჩორი და სხვ.) მიდამოებში. მაგრამ მათი დამუშავება ეკოლოგიური მოსაზრებებით ასევე მიზანშეუწონელია. ჭალადიდის (ხობის რ-ნი) მიდამოები ნავთობისა და გაზის პერსპექტიულ საბადოდ არის მიჩნეული.

მოსახლეობა. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარე სამეგრელოს დასახლების ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ სარწმუნო წყაროები არ მოიპოვება. 1800 წ. იქ დაახლოებით 85 ათასი, 1897 წ. – 230 ათასი, ხოლო 1989 წ. – 410 ათასი კაცი ცხოვრობდა. XX ს-ში მოსახლეობის საერთო ზრდის მიუხედავად, მხარის ხვედრითი წილი ქვეყნის დემოგრაფიულ პოტენციალში თანდათან მცირდებოდა: 1926 წ. – 10,1%, 1959 წ. – 8,9%, 1979 წ. – 8,1%, 1989 წ. – 7,6%. ფარდობითი შემცირების მიზეზთა შორის უნდა აღინიშნოს ბუნებრივი გამრავლების შენელების და ახალგაზრდობის

რეგიონიდან წასვლის აშკარად გამოხატული ტენდენცია*. ამ მოვლენებმა განსაკუთრებით იჩინა თავი გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების დროს, რის შედეგადაც მოსახლეობა 2000 წ. თითქმის 50 ათასი კაცით შემცირდა. მაგრამ ამჟამად, სამეგრელოში მკვიდრ მოსახლეობასთან (361,5 ათასი კაცი) ერთად დროებით ცხოვრობს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 114,9 ათასი დევნილი, რომლებიც ჯერჯერობით მხარის საერთო მოსახლეობის (476,4 ათასი კაცი) ნაწილად აღირიცხება. მათ შორის 54,3% ზუგდიდის რაიონშია განთავსებული. აღნიშნული ვითარება, რომელიც არსებითად ართულებს მხარის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებს, სამეგრელოს მოსახლეობის სიკეთის, თანადგომისა და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ნათელი დადასტურებაა.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველებია. მხოლოდ საბჭოთა პერიოდში, მრეწველობაში, სახლკაო ტრანსპორტში, აგროწარმოებასა და მშენებლობაში ჩაბმულთა შორის იმატა ჩამოსული რუსების და უკრაინელების ხვედრითმა წილმა, რამაც 1989 წ. 5,1% შეადგინა. ამჟამად, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

სამეგრელოს ტერიტორიის დასახლებულობა მისი მიწების სამეურნეო ათვისების შესაძლებლობებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ყველაზე დასახლებულია გორაკ-ბორცვიანი ზოლი, ნაწილობრივ – დაბლობი (დაჭაობებული ადგილების სიმრავლის გამო), ხოლო მაღალი მთების კალთები უკაცრიელია. დასახლებული არეალი მხარის 2/3 შეადგენს და სამ ზონად იყოფა: 1) ვაკედ, რომელიც კოლხეთის დაბლობის ნაწილია; 2) მთისწინებად, რომელთა საერთო ფართობი უდიდესია საქართველოს მასშტაბით; 3) ხეობათა ფერდობებად, სადაც წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მარტვილის დასახლებების ნაწილია მოქცეული.

რეგიონში 365 დასახლებული პუნქტი, მათ შორის 9 საქალაქო და 356 (მათ შორის 4 დაცლილია) სასოფლო დასახლებაა, რომლებშიც 206,5 ათასი ქალაქის და 269,9 ათასი სოფლის მოსახლე ცხოვრობს. ქვეყნის მხარეებს შორის სამეგრელო (აჭარის შემდეგ) ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია. მისი საშუალო სიმჭიდროვეა 107 კაცი 1 კმ²-ზე. ადმინისტრაციულ რაიონებს შორის პირველობს ზუგდიდის რ-ნი (251 კაცი), რომელიც ამ მაჩვენებლით საგრძნობლად აჭარბებს ისეთ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს, როგორიცაა ხელვაჩაურის (200,7), სამტრედიის (172,8), ზესტაფონის (171,4), მარნეულის (122,2) და სხვ. სამეგრელოს მთელი დასახლებული ტერიტორიიდან, რომელიც დაახლოებით 2,7 ათას კმ²-ს შეადგენს,

---

* ასევ. მაგალითად, 1979-1989 წლებში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ მხარეში 29,1 ათასი კაცი, ხოლო მიგრაციის უარყოფითმა სალდომ – 23,9 ათასი კაცი შეადგინა ანუ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობა მხოლოდ 5,2 ათასი კაცით გაიზარდა (ჯაოშვილი, 1996).

გორაკ-ბორცვიან ზონაზე მიდის 51,5%, ხოლო კაკე-დაბლობების ზონაზე – 48,5% (სამეგრელო, 1999). მთელი მოსახლეობის 4/5-ზე მეტი ზ.დ. 200 მეტრამდე განლაგებულ ადგილებში ცხოვრობს, თუმცა ზღვის სანაპირო ზოლი სამოსახლოდ შედარებით სუსტად არის ათვისებული.

სამეგრელოს სოფლების გენეზისი განსხვავებულია. მათი უმრავლესობა ფეოდალიზმის დროინდელია. ბევრი მათგანი ერთი რომელიმე გვარის დასახლებისა და გამრავლების საფუძველზეა შექმნილი, რაზედაც თვით სოფლის ტოპონიმი მეტყველებს: საბოკუნაკო, ლემიქაკე, ნახურცილაკო, საოდიშარიო და სხვ. XIX ს-ში ტრანსპორტის განვითარებამ გზისპირა დასახლებები წარმოშვა. მათ შორის აღსანიშნავია მდ.რიონის ქვემო წელის (საბაჟო, საღვამიჩავო, საქორქიო და სხვ.), მდ.ხობის (ხორგა და სხვ.) და სამტრედია–აბაშა–სენაკი–ფოთის რკინიგზის გასწვრივ აღმოცენებული სოფლები. საბჭოთა პერიოდში, კოლხეთის ჭარბტენიანი მიწების ამოშრობის და სუბტროპიკული აგროწარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში ახალი დასახლებები შეიქმნა.

მხარის სოფლების უდიდესი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო ფუნქციის მატარებელია, ნაწილი კი (თეკლათი, ნოსირი, ბანძა, ინგირი, ხაბუმე, ხორშა, ანაკლია, ცაიში, მენჯი, ცაცხვი, ხეთა, ჭალადიდი და სხვ.), აგრარულ საქმიანობასთან ერთად სამრეწველო, სატრანსპორტო და საკურორტო ფუქნციებსაც ითავსებს. მხარის 352 დასახლებული სოფლიდან 108 მოზრდილთა კატეგორიას (501-დან 1000 კაცამდე) განეკუთვნება, სადაც მთელი სოფლის მოსახლეობის თითქმის 1/3 ცხოვრობს. დაახლოებით ამდენივე სახლობს 58 დიდ (1001-დან 2000 კაცამდე) სოფელში. მსხვილი (2001-5000 კაცამდე) სოფლებიდან, რომელთა უმრავლესობა ზუგდიდის რაიონშია განლაგებული, უნდა აღინიშნოს კახათი, ინგირი, რუხი, დარჩელი, ჭითაწყარო, ხაბუმე, ლესიჭინე. სამეგრელოს ერთი სოფლის საშუალო ხალხმრავლობა, 1989 წ. მონაცემებით, 687,4 კაცი იყო, ხოლო დეკნილთა ჩასახლების შემდეგ, 2000 წლისათვის 766,8 კაცი.

კოლხეთის უძველესი ქალაქების არსებობა ზღვისპირა, მდინარისპირა და სახმელეთო საკაჭრო გზებზე მდებარეობით იყო განპირობებული. ფაზისის (დღეკანდელი ფოთი) გარდა, უძველეს ქალაქებს შორის აღსანიშნავია ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), რომლის ნანგრევები მდ.ტეხურის ნაპირას დღესაც არის შემორჩენილი. შემდგომ საუკუნეებში მხარის ურბანისტული პოტენციალი ნელა იზრდებოდა. ქალაქის მცხოვრებთა რიცხოვნობა 1897 წ. (ფოთი – 7,3, ზუგდიდი – 3,4, ახალი სენაკი – 1,2, რედუტ-ყალე – 0,8 ათასი კაცი) 12,8 ათასი კაცი იყო. მართალია, 2000 წ-თვის იგი 16-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 43,3% შეადგენს. ურბანიზაციის შედარებით დაბალ დონეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის გარემოება, რომ

რეგიონში არ არის დიდი ქალაქი, ხოლო მის მთავარ საქალაქო ცენტრებს – ფოთს, ზუგდიდს და სენაკს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, სამრეწველო განვითარების და, მაშასადამე, დემოგრაფიული ზრდის ფართო მასშტაბები არ ჰქონია.

ისტორიული სამეგრელოს სამთავროს მთავარი ქალაქი ზუგდიდი (74,1 ათასი კაცი) მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ.ჩხოუშის ორივე ნაპირზე, ზ.დ. 110 მ. მისი საქალაქო იერსახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა და მისმა მეუღლემ – ეკატერინე ჭავჭავაძემ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ეგზოტიკული მცენარეულობის მდიდარი კოლექციით განთქმული ბაღის გაშენება. ხოლო გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, 1857-1867 წწ-ში ზუგდიდის მაზრის უფროსის რაფიელ ერისთავის მიერ დაგეგმილი ქალაქის ცენტრალური ხეივანი საქართველოს ქალაქებს შორის დღესაც ორიგინალობით და სილამაზით გამოირჩევა.

ქალაქის სამრეწველო აღმავლობა და კეთილმოწყობა მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა პერიოდში რიგი საწარმოების (ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, ფაიფურის ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი და ჩაის ფაბრიკების და სხვ.) ამოქმედებამ, რამაც ასევე ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას (გარკვეულწილად, მექანიკური მატების ხარჯზე). საქართველოს ქალაქებს შორის ზუგდიდი მზარდი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით გამოირჩევა. შექმნილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია ბოტანიკური ბაღი და სახელმწიფო ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმი. იგი დაარსდა 1921 წ. სამეგრელოს ყოფილ მთავართა სამკვიდროში დაცული უმდიდრესი არქივებისა და ნიკოების ბაზაზე და განთავსებულია XIX საუკუნის ორ დადიანისეულ („დედოფლისეულ" და „ნიკოს") სასახლეში. მათ გარს აკრავს პარკი, რომელშიც შექმნილია ბოტანიკური ბაღი (2,4 ჰა). არქიტექტურული ძეგლებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე დადიანისეული „კარის ეკლესია" და ქალაქის ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გორაკზე მდებარე მაცხვარკარის ჯვარიოვან-გუმბათოვანი ეკლესია (XIV ს.).

ქვეყნის ერთი-ერთ უძველეს ქალაქს – ფოთს (ისტორიული წყაროებით ფაზისი) ძვ.წ. I საუკუნეში მცხოვრები ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მოიხსენიებს როგორც კოლხთა სავაჭრო ადგილს, გარშემორტყმულს მდინარით, ტბით და ზღვით. მართლაც, იგი ტერიტორიული ზრდის მიუხედავად, დღესაც ამ წყლების (მდ.რიონი, პალიასტომის ტბა და შავი ზღვა) საზღვრებთან არის დაკავშირებული, ხოლო მისი მიმდებარე სიერცე მეტწილად დაჭაობებული და სუსტად დასახლებულია. ქალაქის რეალური აღმშენებლობა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწყო, როცა იგი რკინიგზით თბილისს დაუკავშირდა, ხოლო ნავსადგური ჭიათურის მანგანუმის

საზღვარგარეთ გაზიდვის მთავარ პუნქტად იქცა. ფოთის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც 1894-1912 წწ-ში ქალაქის თვითმმართველობას ედგა სათავეში. მისი ინიციატივით მოხდა პორტის რეკონსტრუქცია-გაფართოება და კეთილმოწყობა, ქალაქის გეგმარებითი პროექტის შემუშავება და განხორციელება; კერძოდ, რადიალურად დაგეგმილი ქუჩების გაყვანა, რიონზე ხიდის აგება, სახელმწიფო, კულტურულ–საგანმანათლებლო და საკაჭრო დანიშნულების კაპიტალური სახლების მშენებლობა და სხვ. 1904 წ. ამოქმედდა ქალაქის ერთ–ერთი ულამაზესი ნაგებობა – კათედრალური ტაძარი, რომელიც 1932 წ. კულტურის სახლად გადაკეთდა. ამჟამად კი, მასში თეატრი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმია განთავსებული.

თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში (1897-1989 წწ.) ქალაქის მოსახლეობა 7,3-დან 50,9 ათას კაცამდე გაიზარდა. 2000 წლისათვის მცხოვრებთა რიცხვმა 51,7 ათასი კაცი შეადგინა, რომელთა შორის 7,3 ათასი – აფხაზეთიდან დევნილია.

XX ს-ში ფოთი საქართველოს მნიშვნელოვან სატრანსპორტო–სამრეწველო ფუნქციის მქონე ქალაქად ჩამოყალიბდა. სანაესადგურო მეურნეობის განვითარების პარალელურად შეიქმნა როგორც მისი თანმხლები (გემთმშენებლობა, გემთშეკეთება), ისე საპორტო ქალაქისათვის დამახასიათებელი – კვების (კონსერვების წარმოება, მარცვლეულის გადამუშავება, თევზის, ჩაის და სხვ.) მრეწველობის დარგები, ხოლო ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენების მიზნით – ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის, საგალანტერიო, სამკერვალო საწარმოები.

ფოთის ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მაკრომდებარეობა ევრაზიაში ნათლად წარმოჩინდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში. ამ კონტინენტის გეოპოლიტიკურ სივრცეში იგი არა მარტო ქვეყნის, არამედ სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი საზღვაო კარიბჭეა, რომელიც „ტრასეკა"-ს მეორე კვანძს – ბაქოს უმოკლესი მანძილით უკავშირდება. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცენტრალური მდებარეობა კი მოსახერხებელია თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთის ნავსადგურებთან და მათი საშუალებით, ევროპის სხვა ქვეყნებთან დასაკავშირებლად.

XX საუკუნეში საქართველოს მზარდი ქალაქი იყო სენაკი. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჯერ კიდევ საბჭოებამდელ პერიოდში სატრანსპორტო კვანძად, ხოლო შემდეგ გადამამუშავებელი მრეწველობის (ჩაის, ღვინის, ხაოიანი ქსოვილების, ხალიჩების და სხვა წარმოების) მნიშვნელოვან პუნქტად ჩამოყალიბდა. 1926-89 წწ-ში მისი მოსახლეობა 5,5 ათასიდან 29,2 ათას კაცამდე გაიზარდა, თუმცა, უკვე 2000 წლისათვის, მისი საერთო მოსახლეობა (34,6 ათასი კაცი) 26,2 ათასი მკვიდრი მოსახლეობისა და 8,4 ათასი დევნილისაგან შედგებოდა.

სამეგრელოს სხვა ქალაქებში, რომელთა სიდიდე (დეკნილი მოსახლეობის ჩათვლით) 5,1-დან 9,5 ათას კაცამდე მერყეობს. შედარებით სუსტი ურბანისტული წარმონაქმნებია და მათი ძირითადი ფუნქცია (ჯვარის გარდა) ადმინისტრაციულით განისაზღვრება. როგორც რკინიგზის ხაზზე მდებარე (ხობი – 9,5, აბაშა – 8,1, ჯვარი – 5,1), ისე მისგან მოწყვეტილი (წალენჯიხა – 9,5, მარტვილი – 6,8, ჩხოროწყუ – 6,5 ათასი კაცი) საქალაქო დასახლებები, რიგი მიზეზების გამო (არასტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კითარება, საერთაშორისო და რეგიონთაშორისო კავშირების დასუსტება, რაც კომპენსირებულია თბილისისაკენ გაძლიერებული ლტოლვით, მიგრაციის გააქტიურებით და სხვ.), სტაგნაციის და დეპრესიის რთულ პერიოდს განიცდიან და ჯერჯერობით მათი აქტიზაცია, მთელი ქვეყნის არასახარბიელო სამეურნეო ფონის გათვალისწინებით, პრობლემატურია.

შეურნეობა. ვახუშტი ბაგრატიონი XVIII ს. დასაწყისში მხარის სამეურნეო სურათს შემდეგნაირად გვიხატავს: „ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ-ადგილს და სხვანი ხილნი მრავალნი. ყენახი მაღლარნი. ღვინო მსუბუქი და კარგი" (ვახუშტი, 1997). XIX ს-ში განვითარებული იყო მეცხოველეობა, მათ შორის მეთხეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა. მარცვლეულიდან პირველობდა ღომი, თესდნენ აგრეკვე სიმინდს, ფეტვს, ჭვავს, ხოლო ფოთში გაჩენილი საკაჭრო კაპიტალიზმის ნიშნები სამეგრელოს სამეურნეო პროფილს ნაკლებ ეტყობოდა. საკაჭრო ფუნქცია ჰქონდა ზუგდიდს, აბაშას, ანაკლიას, ყულევს (რედუტ-ყალე), სენაკს, ბანძას, მარტვილს, რომლებიც ხელსაყრელი სატრანსპორტო მდებარეობით გამოიჩეოდა. იქ ბაზრობები სისტემატურად ეწყობოდა.

მრეწველობის განვითარება თითქმის მთლიანად XX ს-ში – საბჭოთა პერიოდში მოხდა. იგი განპირობებული იყო შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ა) მხარეში ინტენსიურად განვითარდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა, რომლის ბაზაზეც აღმოცენდა სპეციალიზებული დარგები – ჩაის, საკონსერვო, ეთერზეთების წარმოება; ბ) ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის შედეგად შეიქმნა ჰიდროენერგეტიკის, საშენ მასალათა, ტორფის მოპოვების და გადამუშავების, მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმოები; გ) ფოთის არსებობამ განსაზღვრა მისი საპორტო-სამრეწველო კომპლექსის (მანქანათმშენებლობა, მათ შორის გემთმშენებლობა, კვების, თევზის მრეწველობა და სხვ.) შექმნა; დ) ეკონომიკური აქტივიზაციის და კერძოდ, ადგილობრივი რესურსების დასაქმების მიზნით ამოქმედდა ქაღალდის, საფეიქრო, ფაიფურის, სამკერვალო და სხვა შრომატევადი საწარმოები.

პირველი მსხვილი საწარმოების – ფოთის თევზის და საფქვავი კომბინატების, ზუგდიდის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის (რომელიც 1939 წ. ამოქმედდა) შექმნის შემდეგ. 50-60-იან წლებში ფოთში ამუშავდა მანქანათმშენებლობის საწარმოები: მიწისმზომი დანადგარების (შემდგომში ჰიდრომექანიზაციის)

უნიკალური ქარხანა (მისი პროდუქცია – მცურავ-მტუბავი სადგური, ტორფის მომპოვებელი ექსკავატორი, მიწისმწოვი მანქანა საბჭოთა კავშირის დაშლამდე საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნებოდა), „ელექტროაპარატი", „ელექტროგამაძლიერებელი". ამავე პროფილის უმსხვილესი საწარმოა ფოთის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხანა, რომელიც თვეზსაჭერი გემების რემონტის გარდა, 1981 წლიდან ძირითადად უცხოეთისათვის განკუთვნილ სწრაფმავალ სამგზავრო წყალქვეშაფროიან გემს – „კოლხიდას" აგებდა.

მხარის ინდუსტრიალიზაციაში დიდი როლი შეასრულა მდ.ენგურის ჰიდროენერგორესურსების ათვისებამ. 1961 წ. დაიწყო კავკასიაში უდიდესი ენგურ.ჰესის მშენებლობა, რომელიც რიგი პარამეტრებით მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობაა (გამორჩეული თაღოვანი კაშხალის სიმაღლით – 271,5 მ და 15 კმ სიგრძის და 9,5 მ დიამეტრის სიგანის სადაწნეო-სადერივაციო გვირაბით). მიწისქვეშა ჰესის შენობაში დადგმულია ხუთი რადიალურ-ღერძოვანი ტურბინა (თითოეულის სიმძლავრეა 260 ათასი კვტ), რომელთა საერთო საპროექტო სიმძლავრეა 1300 მეგავატი, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება – 4,3 მლრდ კვტ/სთ. ჰესის წყალმომარაგება ჯვრის წყალსაცავიდან ხდება, რომლის მოცულობაა 1100 მლნ მ³. ენგურ.ჰესი 1980 წ. ამუშავდა და ქვეყნის ენერგეტიკის ხერხემალს წარმოადგენს.

კვების მრეწველობა სამეგრელოს ერთ-ერთი ძირითადი მაპროფილებელი დარგია. მისი აღმავლობის პერიოდი XX ს-ის 30-იანი წლებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა. რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის და მოსახლეობის მატერიალური დოვლათის შექმნაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეჩაიეობის მძლავრ ბაზაზე განვითარებულმა ჩაის მრეწველობამ. იგი დასავლეთ საქართველოს ჩაის საწარმოო კომპლექსის ძირითად ნაწილად ჩამოყალიბდა და მასზე ქვეყნის ჩაის ფაბრიკების საერთო რაოდენობის 1/3 მოდიოდა. წარმოების მოცულობით და დასაქმებულთა რიცხოვნობით გამოირჩეოდა ზუგდიდის რ-ნი, აგრეთვე წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონების გორაკ-ბორცვიან ზოლში შექმნილი საწარმოები. ამჟამად, ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები, რომელთა საერთო საწარმოო სიმძლავრეა 200 ათასი ტ ჩაის ფოთოლი, სუსტად ფუნქციონირებს, ხოლო მეორადი გადამუშავების მსხვილი საწარმოების აქციათა დიდი წილის მფლობელია გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერი". პროდუქციის ხარისხის ამაღლების და მოცულობის გაზრდის გზით მხარეში ჩაის წარმოების აღორძინება რთული, მაგრამ დასაძლეული ამოცანაა.

საბჭოთა პერიოდში საკავშირო სპეციალიზაციის დარგად ითვლებოდა მხარის საკონსერვო მრეწველობა (ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ხილის წვენების წარმოება), წარმოდგენილი ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის და სიმძლავრით უდიდესი მარტვილის ქარხნებით. ადგილობრივმა ბუნებრივმა

პირობებმა განსაზღვრა ეთერზეთოვანი კულტურების (რეზანი, იელი, გერანი, ჟასმინი, ეკალიპტი, ვარდი, დაფნა, ქაფურის ხე, პიტნა და სხვ.) გავრცელება და სამრეწველო ნედლეულად ჩამოყალიბება. შესაბამისად, ხორშის საბჭოთა მეურნეობის (სენაკის რ-ნი) ბაზაზე, რომელიც განთქმული იყო მსხვილყვავილა ჟასმინის პლანტაციით, 1934 წ. შეიქმნა ეთერზეთების ქარხანა. შემდგომში ამოქმედდა აბაშის, ჭალადიდის (კოლხეთის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე), ზუგდიდის (ადრე მოქმედი ტუნგის საწარმოს ბაზაზე) საწარმოები, რომელთა პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი იყო როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური მრეწველობა. სამეგრელო, როგორც დაფნის გავრცელების აღიარებული მხარე, წამოდგენილია ხობის და ზუგდიდის დაფნის კომბინატებით, რომლებიც გამხმარი ფოთლის დაფასოებასთან ერთად დაფნის ზეთსაც ამზადებდნენ.

მრეწველობის ზემოთ აღნიშნული დარგების გარდა, პერსპექტიულია და განახლებას საჭიროებს ორი მინერალური წყაროს – „ლუგელასა" და „სქურის" ბაზაზე წყლების ჩამოსხმა. აღსადგენია 1963 წ. შექმნილი ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს საქმიანობა, რომელიც ქვეყნის თევზის მრეწველობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი იყო. მხარეში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს საქვეყნოდ აღიარებული პროდუქტების – „სულგუნის" და უნიკალური ვაზის ჯიშის „ოჯალეშისაგან" დამზადებული სამარკო ღვინის სამრეწველო წარმოებას, ვინაიდან მათ მსოფლიოს სასურსათო ბაზარზე გასვლის კარგი შანსები აქვთ.

სოფლის მეურნეობა სამეგრელოს ეკონომიკის ტრადიციული და წამყვანი დარგია, რომელიც ძირითადად რელიეფის და შესაფერისი ნიადაგურ-კლიმატური პირობების ზეგავლენით ვითარდებოდა. სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ხვედრითი წილი მხარის ცალკეულ ნაწილებში 15%-დან (წალენჯიხის რ-ნი) 60%-მდე (აბაშის რ-ნი) ცვალებადობს. ზუგდიდის, ხობის და აბაშის რაიონების (რომელთა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული) სასოფლო-სამეურნეო საკარგულებში დამუშავებული მიწები ჭარბობს. მთიან ზონაში კი უპირატესობა ბუნებრივ საკვებ საკარგულებს აქვს.

მხარის ტრადიციული აგროსაწარმოო პროფილი – მესიმინდეობა, მებაღეობა-მევენახეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა (მათ შორის მეკამეჩეობა), მეღორეობა, მეთხეობა, მეცხვენეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა – საბჭოთა პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში გაშენდა ჩაის, ციტრუსების, კეთილშობილი დაფნის, ტუნგის, ეკალიპტის მსხვილი პლანტაციები, გავრცელდა სხვადასხვა სუბტროპიკული ხეხილი და კენკრა, ეთერზეთოვანი კულტურები, დეკორატიული მცენარეები. სამეგრელო თანდათანობით სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წამყვან რეგიონად იქცა, სადაც დომინირებული ადგილი მეჩაიეობას ეკავა; კერძოდ, მემცენარეობის

სტრუქტურაში მასზე მთლიანი პროდუქციის თითქმის 2/3 მოდიოდა. ამასთან, ჩაის პლანტაციების ფართობის ხვედრითი წილით (35%) და ჩაის ფოთლის დამზადებით (33%) იგი საქართველოში პირველობდა (ზონენაშვილი, 1999).

XX ს. 90-იან წლებში, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის ფონზე, მიწის პრივატიზაციის პირობებში გაიჩეხა და მიტოვებულ იქნა ჩაის პლანტაციების მრავალი ჰექტარი, ხოლო ბევრგან მის ნაცვლად სიმინდი და სოია დაითესა. დღეისათვის 16,8 ათასიდან 8,0 ათასი ha გაველურებულია, თუმცა, სპეციალისტიების აზრით, ამ ფართობების გადარჩენა და ჩაის ფოთლის წარმოების გადიდება შესაძლებელია. დღესაც სამეგრელო ქვეყანაში მეჩაიეობის ძირითად კერად რჩება, სადაც 1999 წ. მოკრეფილმა ჩაის ფოთოლმა საერთო მოსავლის (გაპარტახებული აფხაზეთის გარეშე) 48% შეადგინა.

მეციტრუსეობა მხარის სუბტროპიკული მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. ჩაის ბუჩქისაგან განსხვავებით, ციტრუსები ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობის პირად მეურნეობებში. ციტრუსოვან ნარგავთა (ძირითადად მანდარინის) ნახევარზე მეტი მარტვილის რაიონშია განლაგებული, შემდეგ კი – ზუგდიდის და ხობის რაიონებში. ტუნგის პლანტაციების დიდი ნაწილი მდებარეობს ზუგდიდის, ხოლო დაფნის – ხობის რაიონებში. კარგი პირობებია (კოლხეთის ჭარბტენიან ნიადაგებზე, აგრეთვე მდინარეების და არხების გასწვრივ) ბამბუკის გავრცელებისათვის. „კოლხეთის" მეურნეობაში (ხობის რ-ნი) გაშენებული ბამბუკის ბაზაზე შექმნილია მისი ნახევარფაბრიკატად გადასამუშავებელი დამხმარე საწარმო.

რეგიონში თითქმის ყველა სახის ხეხილი ხარობს. თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის ყველაზე დიდი ფართობებია ზუგდიდის და მარტვილის რაიონებში. მთლიანად, სამეგრელოში 1999 წ. მოწეულმა თესლოვანმა ხილმა (ძირითადად ვაშლმა და მსხალმა) ქვეყნის საერთო მოსავლის 11,3%, ხოლო კურკოვანმა ხილმა (ძირითადად ტყემალმა, ატამმა, ალუბალმა) 12,4% შეადგინა. ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკაში საგრძნობ როლს თამაშობს სუბტროპიკული ხილის (ხურმა, ლეღვი, ფეიხოა, ბროწეული, კივი და სხვ.) მოყვანა (ქვეყნის მთელი მოსავლის 63,4%) და თხილის (უმთავრესად, ზუგდიდის და სენაკის რაიონებში) წარმოება (42,3%). მევენახეობას სამეგრელოში ისტორიული ფესვები აქვს. ამჟამად ძირითადად გავრცელებულია „იზაბელას" ჯიშის ვაზი, რომელიც კარგად ეგუება ადგილობრივ ჭარბ ტენს, ახასიათებს დაბალი შაქრიანობა და მისგან დაყენებული ღვინო მსუბუქი და არომატულია. ვენახების ფართობით და მოსავლის მოცულობით გამოირჩევა მარტვილის რაიონი, რომელიც „ოჯალეშის" შესანიშნავი ღვინით არის ცნობილი.

მინდვრის კულტურებიდან გავრცელებულია მარცვლეული, რომელსაც მთელი ნათესი ფართობის 2/3 უკავია, აგრეთვე პარკოსნები, ბოსტნეული. სამეგრელოს

ძირითადი და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურაა სიმინდი, რომლის ნათესების ფართობმა (55 ათასი ჰა) და მიღებულმა მოსავალმა (120 ათასი ტ) 1999 წ. ქვეყნის მაჩვენებლების 1/4 შეადგინა. მესიმინდეობის წამყვანი რაიონებია აბაშის, ხობის, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის. ყველაზე პოპულარულია მაღალმოსავლიანი ჯიშები: „აჯამეთის თეთრი" და „აბაშის ყვითელი". პარკოსნებიდან მხარეში წარმოდგენილია ლობიო, ბარდა და განსაკუთრებით, სოია, რომლის ნათესების ფართობით და მოსავლით მხარე მხოლოდ იმერეთს ჩამორჩება.

XX ს-ის 90-იან წლებში ქვეყანაში კერძო სექტორის გაძლიერებამ განსაკუთრებით დადებითად იმოქმედა მხარის ტრადიციული დარგის – მეცხოველეობის (ცნობილია ძროხის და თხის ადგილობრივი ჯიშები) განვითარებაზე, რომელიც საბჭოთა პერიოდში სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალიზაციის გამო ჩრდილში იყო მოქცეული. 2000 წ. დასაწყისში სამეგრელოს ხეედრითი წილი ქვეყნის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობაში 14,6%, ღორების – 27,7%, ფრინველის – 20,5% შეადგენდა. აღორძინებას განიცდის მეთხეობა, რომლის საჯიშე მეურნეობა ჩხოროწყუს რაიონშია შექმნილი. ჯოგში ძროხების და ფურკამეჩების წილმა (53,4%) მესაქონლეობის სარძეო-სახორცე მიმართულებით განვითარება განსაზღვრა, რამაც შესაბამისად ყველის (ძირითადად სულგუნის) წარმოების ზრდაში იჩინა თავი. მეფუტკრეობით გამოირჩევა მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ზუგდიდის რაიონები. ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა და ყვავილოვან მცენარეთა ფართო გავრცელებამ ქართული გრძელხორთუმიანი ფუტკრის მეგრული პოპულაციის ჩამოყალიბება განაპირობა. ს.მუხურში (ჩხოროწყუს რ-ნი) ფუნქციონირებს საჯიშე მეურნეობა, რომელიც 1990 წლამდე მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში დედა-ფუტკარს აგზავნიდა.

რეგიონის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ტრანსპორტს წამყვანი ადგილი უკავია. მისი განვითარება ტერიტორიის ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობითა და თავისებური ისტორიულ-ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული. იგულისხმება როგორც ზღვისპირა მდებარეობა, რაც თავისთავად საერთაშორისო კავშირების დამყარების და ეკონომიკური აღმავლობის წანამძღვარია, ასევე სამეგრელოს ცენტრალური მდებარეობა მიმდებარე მხარეების – აფხაზეთის, სვანეთის, იმერეთის, გურიის, აჭარის, ლეჩხუმის მიმართ. XIX ს-ში ზღვისპირეთის საპორტო ათვისებამ (ყულევი, ანაკლია და განსაკუთრებით, ფოთი) და რკინიგზის (ფოთი–თბილისი) გაყვანამ, ხოლო XX ს-ში საავტომობილო გზების მშენებლობამ და სარკინიგზო ქსელის შემდგომმა განვითარებამ, მხარეს სატრანსპორტო-ტერიტორიული კომპლექსის ნიშნები შესძინა.

რკინიგზის ხაზები, რომელთა საერთ.ო სიგრძე 150 კმ-ია, მხოლოდ ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებს უკლის გვერდს. მხარის მთავარი სარკინიგზო კვანძია სენაკი, რომლის აღმოცენებაც რკინიგზის მშენებლობას უკავშირდება. იგი

გამორჩეულია არა იმდენად ტკირთბრუნვის მოცულობით (ამ მაჩვენებლით ფოთს და ზუგდიდს ჩამოუკარდება), რამდენადაც ცენტრალური მდებარეობით და საკაჭრო-საგანმანაწილებლო ფუნქციით. საიდანაც ორი ძირითადი ხაზი განშტოვდება: ერთი – ფოთის და მეორე – ზუგდიდის, შემდეგ კი – სოხუმის მიმართულებით. თაკის დროზე მაგისტრალური ხაზიდან „აცდენილი" ზუგდიდი, რომელიც სადგურ ინგირთან 6 კმ-იანი ტოტით იყო დაკავშირებული, 1970-იანი წლებიდან, ქალაქის ტერიტორიულმა და სამრეწველო ზრდამ და ჯვართან სალიანდაგო მიმოსვლამ ასევე სარკინიგზო კვანძად აქცია. ამჟამად, აფხაზეთისაკენ მიმავალი გზის ბლოკირება მეტად უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის და სამეგრელოს ეკონომიკაზე.

თანამედროვე საზღვაო ტრანსპორტის განვითარების ისტორია საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეგრელოსთან, სადაც მდ.ხობისწყლის შესართავთან (ახლანდელი ს.ყულევის ადგილზე), 1804 წ. რუსეთის ჯარის ნაწილებმა პირველი სანაკუსადგურო პუნქტი – რედუტ-ყალე დააარსეს. შემდგომში აღმოცდა „საქართველოს საზღვაო კარიბჭე" – ფოთი, რომელიც შავი ზღვის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა. XX ს-ში 90-იან წლებამდე მისი ტკირთბრუნვის სტრუქტურაში მთავარი ადგილი მანგანუმის მადანს ეკავა. მის გარდა, ტკირთბრუნვაში მონაწილეობდა ქვანახშირი, მინერალური სამშენებლო მასალები, მანქანა-დანადგარები, ხე-ტყე, ხორბალი, შაქარი, თამბაქო, ჩაი და სხვ. დღეს ფოთს გამორჩეულად დიდი როლი ეკისრება ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებაში. მისი ცენტრალური მდებარეობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განაპირობებს უმოკლესი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით დაკავშირებას დერეფნის კასპიისპირა კვანძთან – ბაქოსთან და, მაშასადამე, მის აღმოსავლეთით მდებარე ახიის ქვეყნებთანაც. ტრანსპორტირების პროგრესული კონტეინერული მეთოდი პორტში 1993 წ. დაინერგა, როცა პირეოსიდან (საბერძნეთი) ფოთის მიმართულებით საბორნე გადაზიდვები დაიწყო. ხოლო 1999 წ. ფოთიდან ილიჩოვსკის (უკრაინა) მიმართულებით პირველი სარკინიგზო ბორანი გაიდა, რითაც საკონტინენტთაშორისო უწყვეტ სარკინიგზო მიმოსვლას ჩაეყარა საფუძველი.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება ფაქტობრივად 50-იან წლებში დაიწყო და ჩვენს ქვეყანაში ავტომობილიზაციის პერიოდს დაემთხვა. რეგიონის მთავარი მაგისტრალია საერთაშორისო მნიშვნელობის 552 კმ სიგრძის გზატკეცილის (თბილისი–გორი–სენაკი–ფსოუ) მონაკვეთი, რომლის განშტოებებიც სამეგრელოს ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირ საგზაო ქსელს ქმნის. საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სენაკი–ფოთი–სარფის 121 კმ-იან გზას, რომლის საწყისი მონაკვეთი მხარის ფარგლებშია მოქცეული. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების: აბაშა–მარტვილის (34 კმ), სენაკი–ნაქალაქევი–ბანძა–ზუგდიდი–ჯვარი–მესტია–ლასდილის (198 კმ), ზუგდიდი–ანაკლიას (34 კმ), ჭალადიდი–ხორგა–ხობის (16 კმ),

ხონი–მათხოჯი–მარტვილის ძირითადი მონაკვეთები სამეგრელოს ტერიტორიაზე გადის. მხარის საავტომობილო გზების საერთო სიგრძიდან (1888 კმ) საერთაშორისო ანუ მაგისტრალურზე მოდის 2,8%, ეროვნულზე – 24,7% და ადგილობრივზე – 72,5%.

საბჭოთა პერიოდში არსებული საჰაერო ტრანსპორტის საწარმოებიდან ფოთის აეროპორტი საჰაერო მიმოსვლით დაკავშირებული იყო თბილისთან, სოხუმთან, ქუთაისთან, სიმფეროპოლთან, ხოლო ზუგდიდის – თბილისთან და მესტიასთან. დღეს კი მნიშვნელოვან სამგზავრო ფუნქციას იძენს სენაკის ადრე გასაიდუმლოებული სამხედრო აეროპორტი, რომელსაც ტუ-154 ტიპის თვითმფრინავების მიღებაც შეუძლია.

საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო სისტემის მომავალი განვითარება, რომლის აუცილებლობაც ეჭვს არ იწვევს, სამეგრელოს საზღვაო სანაპიროს სანავსადგურო პოტენციალზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. მათ შორის აღსანიშნავია მდ.ენგურის შესართავის რაიონი, რომელიც კარგი სათანადო ბუნებრივი პირობებით ხასიათდება და ანაკლიის პორტის მშენებლობას გულისხმობს.

სამეგრელო მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის მქონე რეგიონია, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია კურორტი ლებარდე, მალთაყვა, მენჯი, ნოქალაქევი, სქური, ცაიში და საკურორტო ადგილები: ქვალონი, ხორგა (ბალნეოლოგიური), ყულევი (კლიმატური), ჭკადუაში (კლიმატო-ბალნეოლოგიური). ყველაზე ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი (ართროლოგიური, ნეეროლოგიური, გინეკოლოგიური პროფილით) 1932 წ. ამოქმედდა. თბილი (+24°) მინერალური წყარო, რომლის გამოსავლების საერთო დებიტი დღე-ღამეში 200-500 ათასი ლიტრია, მდებარეობს მდ.ციციის ხეობაში, ქ.სენაკიდან 3 კმ-ის დაშორებით და მთელი წლის განმავლობაში ბალნეოთერაპიისათვის გამოიყენება. ზუგდიდიდან 10 კმ-ით არის დაშორებული პერსპექტიული კურორტი ცაიში. მისი სხვადასხვა მინერალური შემადგენლობის და ტემპერატურის (+26° და +82°) მქონე თერმული წყალი საყრდენ-სამოძრაო აპარატის, კანისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა მკურნალობის ეფექტური საშუალებაა. მდ.ჭანისწყლის სათავეებში მდებარეობს სქურის მინერალური წყარო, რომლის ბაზაზეც ჩამომსხმელი ქარხანა მუშაობდა. მისი აღორძინება წალენჯიხის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. სოფ.მუხურთან გამოვლენილი უნიკალური მინერალური წყალი „ლუგელა“ ცნობილია როგორც ბევრი დაავადების სამკურნალო საშუალება და მას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შორეული წარსულიდან იყენებდა.

საზღვაო კურორტებს შორის, რომლებიც ასევე ტურისტების მიზიდვის ადგილებადაც შეიძლება ჩაითვალოს, აღსანიშნავია ანაკლია და მალთაყვა. ანაკლია მდ.ენგურის შესართავის მიდამოებშია განლაგებული და საკმაოდ გრძელი (10-12 კმ), განიერი (50-80 მ) და წმინდა ქვიშიანი პლაჟით გამოირჩევა. მალთაყვა, ფაქტობრი-

ვად. ფოთის სამხრეთი გაგრძელებაა და ასევე კარგი (განსაკუთრებით ბავშვებისათვის) საკურორტო-რეკრეაციული პირობები (ძზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2200 სთ, სუსტად დაქანებული ქვიშიანი პლაჟი და თაეთხელი სანაპირო) გააჩნია.

კოლხეთის ეროვნული პარკი, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი სამეგრელოს რაიონების – ზუგდიდის, ხობის და სენაკის ფარგლებშია მოქცეული, თავისი ჭაობებით ევრაზიის მესამეული პერიოდის მდიდარი სუბტროპიკული და ნაწილობრივ ტროპიკული ფლორის სარტყლის შემორჩენილ უნიკალურ უბანს წარმოადგენს. იგი შეიქმნა მსოფლიო ბანკისა და გარემოს გლობალური ფონდის ფინანსური დახმარებით და მიზნად ისახავს მისი სათუთი ეკოსისტემების აღდგენას, შენარჩუნებას და საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას.

ღირსშესანიშნაობები. მხარეში ტურისტული დანიშნულების მქონე ბევრი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობაა, რომლებსაც შემდგომი შესწავლის გარდა, დღევანდელ პირობებში, დაცვა, მოვლა, განახლება და კეთილმოწყობა სჭირდება. ტურისტებისათვის ბუნების საინტერესო ძეგლებია: პალიასტომის ტბა; ოკაცეს კანიონი; ძდ.მდ. ტეხურსა და ცხენისწყალს შორის მდებარე ასხის მასივი; კარსტული წარმონაქმნები (თურჩუტობის მიწისქვეშა დინება, ჯორწყეს, კორცხელის, ურთის, გარახის, ნაზოდელავოს, საკეკუოს მღვიმეები); ტობავარჩხილის, პაპანწყვირის ტბები; აბაშის, ოჩხომურისა და ტობის ჩანჩქერები; ქუაქანცალიას, ჩეგოლას ლოდები და სხვ.

კუთხის მდიდარ ისტორიულ-კულტურულ წარსულზე მეტყველებს შემორჩენილი საცხოვრებელი, საფორტიფიკაციო, რელიგიური და საკულტო დანიშნულების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: ქალაქი-სიმაგრე ნოქალაქევი, შხეფის, ჭაქვინჯის (სოფ.ჯიხაშკარი), რუხის, ანაკლიის, აბედათის, გარახის, ეკის, საკალანდარიშვილოს, თამაკონის, ნოღის, მენჯის, ძველი სენაკის ციხეები; მარტვილის (ჭყონდიდის), ხობის ღვთისმშობლის მიძინების (სოფ.ნოჯიხევი), ეკის იოანე ნათლისმცემლის მონასტრები, წალენჯიხის მაცხოვრის გუმბათოვანი და ცაიშის საკათედრო ტაძრები, ოცინდალეს წმ.გიორგის, სუჯუნის წმ.გიორგის, სეფიეთის მთავარანგელოზის, ტყვირის, ზუგდიდისა და სალხინოს ეკლესიები.

კულტურის ღირსშესანიშნავი ობიექტებიდან უნდა აღინიშნოს: ფოთის, სენაკის და ზუგდიდის თეატრები; ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და მისი ფილიალი – ი.მეუნარგიას სახლ-მუზეუმი (სოფ.ცაიში), მარტვილის, ჩხოროწყუს, ფოთის (სადაც დაცულია ნ.ნიკოლაძის არქივი) მხარეთმცოდნეობის და ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმები; ლ.ქიაჩელის (ობუჯი), კ.გაშსახურდიას (აბაშა), აკად. თ.დავითაიას (ეკი) სახლ-მუზეუმები. შექმნილია აგრეთვე გ.ჩიტაიას სახ.კოლხური კულტურის და ფოთის ისტორიის მუზეუმი და სენაკში – საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფილიალი – სურათების გალერეა.

სვანეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონი – სვანეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე. იგი მოიცავს მესტიისა და ლენტეხის ადმინისტრაციულ რაიონებს საერთო ფართობით 4338,9 კმ² (ქვეყნის ტერიტორიის 6,2%). მესტიის რ-ნს (3044,5 კმ²) მდ.ენგურის აუზის ზემო ნაწილი უკავია და ფართობით ყველაზე დიდი რაიონია საქართველოში. ლენტეხის რ-ნი (1344,4 კმ²) მდებარეობს მდ.ცხენისწყლის აუზის ზემო ნაწილში. სვანეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა და სტავროპოლის მხარე), დასავლეთიდან – კოდორისა და აკიბის, სამხრეთიდან – ეგრისის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ლეჩხუმის ქედები.

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე მისი ტერიტორია ზემო (მესტიის რ-ნი) და ქვემო (ლენტეხის რ-ნი) სვანეთად იყოფა. მათ შორის საზღვარია სვანეთის ქედი (ენგურისა და ცხენისწყლის აუზების წყალგამყოფი). ზემო სვანეთი საქართველოს ჰიფსომეტრიულ „ჭერად" ითვლება. მისი ტერიტორიის 96% ზ.დ. 1000 მ-ზე, ხოლო 65,8% 2000 მ-ზე მაღლა არის განლაგებული.

სვანეთს კავკასიონის მთიანი სისტემის ძნელად მისადგომი ნაწილი უკავია და ქვეყნის სატრანსპორტო კომუნიკაციებსა და სამრეწველო ცენტრებს დაშორებულია. ამიტომ მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ჩიხისებური და არახელსაყრელია სამეურნეო განვითარებისათვის.

სვანეთი, ძველი კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი, ხოლო შემდგომ პერიოდში ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი საერისთაო, XIX ს-ის დასაწყისისათვის სამ ნაწილად იყო დაყოფილი. მდ.ენგურის დასავლეთით, ბალის ქედის ქვემო მხარეს მდებარეობდა საბატონო ანუ სადადეშქელიანო (თავბერი), ბალსქვემოთა სვანეთი. მდ.ენგურის სათავისაკენ აღმოსავლეთით, ბალის ქედიდან უშგულის თემის ჩათვლით მდებარე ტერიტორიას ბალსზემოთა ანუ თავისუფალი (უბატონო) სვანეთი ეწოდებოდა. სადადეშქელიანო და თავისუფალი სვანეთი ერთად (ზემო სვანეთი) მოქცეული იყო თანამედროვე მესტიის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში. მდ.ცხენისწყლის ხეობის ზემო ნაწილი (დღევანდელი ლენტეხის რ-ნი), რომელიც XVIII საუკუნეში დადიანებმა დაიმორჩილეს – სადადიანოდ (ქვემო სვანეთად) იწოდებოდა. სვანეთის ტერიტორია დაყოფილი იყო თემებად, რომლებიც


სვანეთი
ბერეობითი აღნიშვნები
მარმარილო
დარიშხანი
მინერალური წყარო
მუზეუმი
ეთნოგრაფიული
ეთნოკულტი
ტურისტული ობიექტები
1. ჭუბერის, ნაკიღარის
2. ჯიგრის
3. მარგის
4. იფრის
5. მაღვანარიშის, ლეთისმშობლის "ლაშარის", ხეცის მთავარანგელოზის, ფეხტის
6. ნენსკრის
7. ადიშის
8. თეთნარის
9. ეშბალეში -7 ეკლესია
10. "ლაფარგა" (ყალიგის და თელიტების)
11. ხეფის მთავარანგელოზის
12. ჯანსაღის
13. ხაბელის
14. ლეთის
15. ფეხის
1
2
3
4
ლენტეხი
ჭუბერი
ზემო ბალსი
ქვემო ბალსი
ზემო სვანეთი
ქვემო სვანეთი
ენგური
ცხენისწყალი

ერთიდან ოცამდე სოფელს აერთიანებდა. თავისუფალ სვანეთში 18 დამოუკიდებელი თემი (35 სოფელი და 539 კომლი) ითვლებოდა, სადადეშქელიანში – 4 თემი (51 სოფელი და 336 კომლი), სადადიანში – 3 თემი (33 სოფელი 528 კომლით). სულ სვანეთში 119 სოფელი და 25 თემი არსებობდა.

რუსეთმა დაუმორჩილებელ სვანეთში ადმინისტრაციული გაბატონება მხოლოდ 1856 წლიდან განახორციელა. მხარე ტერიტორიულად ლეჩხუმის მაზრის სვანეთის (ზემო სვანეთი) და ცაგერის (ქვემო სვანეთი) საბოქაულოებში მოექცა. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ზემო და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული რაიონები. 1953 წ. პირველ მათგანს მესტიის, ხოლო მეორეს – ლენტეხის სახელი დაერქვა. თანამედროვე სამხარეო დაყოფით მესტიის რ-ნი სამეგრელო–ზემო სვანეთის, ხოლო ლენტეხისა – რაჭა-ლეჩხუმი–ქვემო სვანეთის მხარეების შემადგენლობაში შედის.

ბუნებრივი რესურსები. ბუნებრივი სიმდიდრეებიდან მთავარია: ჰიდროენერგეტიკული, მცენარეული (ტყეები და საზაფხულო საძოვრები) რესურსები და წიაღისეული. უთუოდ გამორჩეული სიმდიდრეა მხარის „ესთეტიკური რესურსები" – ბუნების არაჩვეულებრივი სილამაზე, რაც აქ ტურიზმის განვითარების არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

„თეთრი ნახშირის" ადგილობრივი მარაგი 3,3 მლნ კვტ შეადგენს და ძირითადად (3,0 მლნ კვტ) მდ.ენგურის აუზშია (ნენსკრა, მულხურა, დოლრა) თავმოყრილი. მნიშვნელოვანი მარაგის მიუხედავად, ეს რესურსები სრულიად აუთვისებელია.

ტერიტორიის თითქმის 2/5 საკურორტო, წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი ფუნქციის მქონე ტყეებს უჭირავს, რომელთა დაცვა და რაციონალური ექსპლუატაცია სვანეთისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ეკოლოგიური პრობლემაა. მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია მთის მდელოები, რომელზედაც მოდის საქართველოს სათიბ-საძოვრების 7,7%.

სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ სასარგებლო წიაღისეულს. ხარისხითა და მარაგით გამოირჩევა დიზის, ჭუბერის (მესტიის რ-ნი) და ტვიბის (ლენტეხის რ-ნი) მარმარილოს საბადოები, რომელთა საერთო მარაგია 7472 ათასი მ³ (Природные ..., 1991). ასევე უნდა აღინიშნოს ხაიშის ბარიტისა და ცანას (ლენტეხის რ-ნი) დარიშხანის საბადოები. სვანეთში ბევრია სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყაროების გამოსასვლელები (ლახამულას, მესტიის, ბეჩოს, ლასკადურას, მუაშის და სხვ.).

მოსახლეობა. ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი სვანეთს იხსენიებს „სოანის" სახელწოდებით. „ისინი თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ ... ძლევამოსილნი და ვგონებ, ყველაზე უფრო მამაცნი და შეუპოვარნი" (ყაუხჩიშვილი, 1957). მხარე ძველთაგანვე გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით. მტერთან მტრობა იცოდნენ და მეგობართან მეგობრობა. სვანეთში არაფერი ისე არ ფასობდა, როგორც კარგი კაცის სახელი („ხოჩა მარე").

საქართველოს კავკასიონის სხვა მთიანი რაიონებისაგან განსხვავებით, სვანეთში ბოლო დრომდე მოსახლეობის რაოდენობა არ მცირდებოდა. პირიქით, თითქმის საუკუნის განმავლობაში (1886-1979 წწ.) იგი გაორმაგდა (ცხრ.1), რაც, პირველ რიგში, სვანების ცხოვრების ტრადიციებით და ანტიმიგრაციული განწყობით აიხსნება.

ცხრილი 1

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა

წლები / რიცხოვნობა	1886	1926	1939	1959	1970	1979	1989	2000
ათასი კაცი	15,2	18,8	27,1	31,0	31,3	30,4	26,0	24,5

სვანეთის მოსახლეობის ადგილზე დაკავება განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მიწების, კერძოდ, სათიბ-საძოვრების გაცილებთი მეტი ფართობი (4,2 ჰა, 1970 წ.) მოდიოდა, ვიდრე რაჭა-ლეჩხუმში (0,9 ჰა), აღმოსავლეთ კავკასიონის მხარეში (2,5 ჰა) და სხვ. ამდენად, აქ მეცხოველეობის განვითარებისა და მოსახლეობისათვის შედარებით უკეთესი მატერიალური პირობები არსებობდა; 2. სვანეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, „გარე სამყაროსაგან" მისმა შედარებითმა იზოლირებულობამ ხელი შეუწყო საუკუნეების მანძილზე შექმნილი ტრადიციების, მათ შორის თემისა და გვარის ცხოვრების წესის შემონახვას, რაც მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს; 3. მაღალმთიან ბუნებრივ პირობებს შეგუებული მოსახლეობა ძნელად იტანდა მიმდებარე კოლხეთის ბარის ჭაობიან კლიმატს. სვანეთში მოსახლეობის შედარებითმა დამაგრებამ ხელი შეუწყო შედარებით მაღალი ბუნებრივი ნამატის შენარჩუნებას და მცხოვრებთა რიცხვის ზრდას.

მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მხარის დემოგრაფიული სიტუაცია გაუარესდა. 1987 წ. დიდთოვლობის შედეგად მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა გამოიწვია სამთავრობო ღონისძიება – სვანი მოსახლეობის ორგა-ნიზებული ჩამოსახლება საქართველოს ბარის რაიონებში. აღნიშნული გარემოების და, მთლიანად, ქვეყანაში განვითარებული პროცესების შედეგად, სვანეთში მოსახლეობის რიცხოვნობის და ბუნებრივი მატების მაჩვენებლების შემცირება მოხდა (ცხრ.2).

2000 წლის დასაწყისისათვის სვანეთის მოსახლეობა 24,5 ათას კაცს შეადგენდა (საქართველოს მოსახლეობის 0,53%). აქედან, ზემო სვანეთში მცხოვრებთა რიცხვი 15,0 ათასია (61,1%), ქვემო სვანეთში – 9,5 ათასი (38,8%). მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთგვაროვანია – ქართველები მოსახლეობის 99,3%-ს შეადგენენ. საქართველოს ამ ერთ-ერთი ყველაზე მეჩხერად დასახლებული რეგიონის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 5,4 კაცია, მაგრამ მაღალია

მოსახლეობის სიმჭიდროვე დამუშავებულ მიწებზე (475 კაცი, განსაკუთრებით ზემო სვანეთში – 655 კაცი 1 კმ²-ზე).

ცხრილი 2

სვანეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა (პრომილებში)

კოეფიციენტი	1950-1965 წწ.	1980-1989 წწ.	1998 წ.
შობადობა	21,6	19,4	6,0
მოკვდაობა	5,1	9,7	5,7
ბუნებრივი ნამატი	16.5	9,9	0,3

სვანეთი სასოფლო განსახლების მხარეა (189 დასახლებული პუნქტიდან 187 სოფელია), სადაც ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 77,5%. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს უშგულის თემის ს.ჟიბიანი (2200 მ). სვანეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (86,1%) სახლობს ზ.დ. 750-1750 მ-ის ფარგლებში. ზემო სვანეთის მცხოვრებთა დაახლოებით 77,0% განსახლებულია ზ.დ. 1200 მ-ზე ზევით, ხოლო ამავე საზღვრებში – ქვემო სვანეთში მხოლოდ 1/3. მესტიის რ-ნის განსახლების არეალი მიუყვება მდ.ენგურისა და მისი შემდინარეების (მულხურა, დოლასვიფი, მესტიაჭალა და სხვ.) ხეობებს. 1200 მ ზევით იზრდება სოფლების და იქ განლაგებული სვანური კოშკების რიცხვი, რომლებსაც ძველად მტრებისაგან თავშესაფრად იყენებდნენ. ლენტეხის რ-ნის განსახლების არეალი ძირითადად მდ.ცხენისწყალს მიუყვება.

მხარის სოფლების უმრავლესობა მცირე ზომისაა. 90 სოფელში მცხოვრებთა რიცხვი 10 კაცამდეა, ხოლო 80 სოფელში – 50-მდე. ნასოფლართა რიცხვი ორ ათეულს აღწევს. ზემო სვანეთში ყველაზე დიდი სოფელი ხაიშია (529 კაცი), ქვემო სვანეთში – ს.ხელედი (590 კაცი). სუსტად ურბანიზებულ სვანეთში არც ერთი ქალაქი არ არის. ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ ორი დაბის – მესტიის და ლენტეხის მცხოვრებლებით (5,4 ათასი კაცი) არის წარმოდგენილი.

მესტია (ყოფილი სეტი, დაბად 1968 წ. გამოცხადდა) ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია (3,0 ათასი მცხოვრები); მდებარეობს მესტიის ქვაბულში, მდინარეების – მესტიაჭალისა და მულხურის გაშლილ ნაპირებზე, ზ.დ. 1500 მ სიმაღლეზე. დაბა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია, სადაც კარგად არის შემონახული სვანური სახლ-სიმაგრეები და შუა საუკუნეების საკულტო ნაგებობანი, მათ შორის აღსანიშნაია მაცხოვრის ქვით ნაგები ორსართულიანი ღვთისმშობლის („ლამარია") სეტის მთავარანგელოზთა და ფუსტის ეკლესიები. მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მდიდარი მასალიდან უნდა აღინიშნოს სკიმონ მესვეტის ხატი (XI ს.), ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლი – ადიშის ოთხთავი

(879 წ.), ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში და სხვ.

მესტია სვანეთის ტურიზმის ცენტრია, რომელსაც განვითარების კარგი შესაძლებლობანი გააჩნია.

ლენტეხი (დაბად 1969 წ. გამოცხადდა) რაიონის ადმინისტრაციულ-კულტურული და სამეურნეო ცენტრი (2,4 ათასი მცხოვრები) მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთი კალთის ძირში, მდ.ცხენისწყლის ნაპირზე (ზ.დ. 760 მ) და უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ქუთაისი) დაშორებულია 102 კმ-ით. დაბის საყურადღებო ღირსშესანიშნაობებია დადიანების ციხე-დარბაზის კომპლექსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ტურისტული ბაზა.

მეურნეობა. სვანეთის მეურნეობის მთავარი დარგია სოფლის მეურნეობა, კერძოდ კი – მეცხოველეობა (სარძეო-სახორცე მიმართულების მესაქონლეობა), რაც განპირობებულია მდიდარი ბუნებრივი საკვები ბაზის არსებობით. სახელდობრ, სათიბ-საძოვრებზე (137,1 ათასი ჰა) მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 97,3%, ხოლო დამუშავებულ მიწებს მხოლოდ 4,0 ათასი ჰა უკავია. სათიბ-საძოვრების უდიდესი ნაწილი (73,1%) მესტიის რ-შია თავმოყრილი. სვანეთში ყოველ მცხოვრებზე საშუალოდ 5,7 ჰა სათიბ-საძოვარი მოდის, ხოლო ქვეყანაში – 0,9 ჰა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა სოფლის ყოველ 100 მცხოვრებზე სვანეთში 80-ს, მთლიანად საქართველოში კი 58-ს შეადგენს.

დამუშავებული მიწების სიმცირისა და არახელსაყრელი აგროკლიმატური პირობების გამო მიწათმოთქმედება შეზღუდულია და უმნიშვნელო როლს ასრულებს რეგიონის აგრარულ მეურნეობაში. ნათეს ფართობებს 3815 ჰა უკავია. მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი, საკვები კულტურები, სიმინდი, ხორბალი, ქერი და სხვ. მრავალწლიანი ნარგავები მხოლოდ ქვემო სვანეთშია თავმოყრილი (162 ჰა) ხეხილის ბაღებისა და ვენახების მცირე ნაკვეთების სახით.

მრეწველობა სვანეთში სუსტადაა განვითარებული და წარმოდგენილია ხე-ტყის დამზადების რამდენიმე კერძო საწარმოთი. სვანეთის ხე-ტყის სამრეწველო ექსპლუატაცია 1930-იან წლებში დაიწყო ინგირის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ნედლეულით მომარაგების მიზნით. ხე-ტყის დამზადების ცენტრი ს.ხაიში იყო, საიდანაც მდ.ენგურით ხდებოდა ხის მორების დაცურება. შემდგომში, კომბი-ნატის სანედლეულო ბაზის შეცვლის მიუხედავად, სვანეთის ტყეების ჭრა, მათ შორის ბრაკონიერული, არ შეწყვეტილა.

მრეწველობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია დარიშხანის მოპოვება და გადამუშავება ლენტეხის რ-ში, ს.ცანასთან. აქ 1939 წ. აშენდა ყორულდაშის სამთო-მეტალურგიული კომბინატი, რომელიც უშვებდა მაღალი ხარისხის დარშხანის სამეანგს. იგი გამოიყენებოდა სამედიცინო, სამხედრო და სასოფლო-სამეურნეო

მიზნებისათვის. ამჟამად საწარმო არ ფუნქციონირებს. შეწყვეტილია ასევე ს.ხაიშთან ახლოს მდებარე ბარიტის საბადოს ექსპლუატაცია.

რეგიონში მოქმედებდა მარმარილოს მოპოვებისა და დამუშავების რამდენიმე საწარმო (ს.ს.დიზში, ჩოლურში, ჭუბერში). მიუხედავად იმისა, რომ აქაური მარმარილო მაღალი ხასრიხისაა, მოპოვება შეწყვეტილია.

საქართველოს ბართან სვანეთი ორი საავტომობილო გზით არის დაკავშირებული. პირველი – მესტია-ზუგდიდის (136 კმ) მდ.ენგურს მიუყვება, მეორე კი – ლენტეხი-ქუთაისის (102 კმ) – მდ.ცხენისწყალს. ზემო და ქვემო სვანეთს კი ერთმანეთთან მუდმივი სატრანსპორტო მიმოსვლა არა აქვთ. მათი დამაკავშირებელი საავტომობილო გზა მხოლოდ ზაფხულში მოქმედებს. ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე დაახლოებით 315 კმ-ს შეადგენს. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს რეგიონისათვის სათიბ-საძოვრებამდე მისასვლელ გზებს, რომელთა უმრავლესობა კეთილმოუწყობელია.

ორიეე რაიონს აქვს საჰაერო კავშირი თბილისთან და ქუთაისთან, მაგრამ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო იგი არარეგულარულია.

მთის ჯანსაღი ჰაერა და მინერალური წყლების უხვი რესურსები ფართო შესაძლებლობებს ქმნის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების მშენებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თუ სვანეთის საკურორტო მეურნეობა, მისი ოპტიმალური განვითარების პირობებშიც ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის დარჩება, სამაგიეროდ, ტურიზმს აქვს შესაძლებლობა საერთაშორისო მნიშვნელობის გახდეს. ამისათვის აქ არსებობს შესანიშნავი ბაზა – კავკასიონის მაღალმთიანი ლანდშაფტები, ტყეში ჩაფლული მდინარეთა ხეობები, მაღალი მწვერვალები, მხარის ცხოვრების წესის ამსახველი ძეგლები (საგვარეულო-საცხოვრებელი სახლები საბრძოლო კოშკებთან ერთად, ეკლესიები, სალოცავები და მრავალი ორიგინალური არქიტექტურის ნიმუში), რომელიც ყოველთვის იზიდავს მნახველს.

სვანეთი ალპინიზმის მხარეა. კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის ძნელადმისადგომი მწვერვალები (უშბა, შხარა, თეთნულდი, აილამა, რუსთაველის პიკი და სხვ.) დიდი ხანია იზიდავენ ალპინისტებს. ასევე მაღალია ადგილობრივი მთასვლელების ოსტატობა და ავტორიტეტი, რამაც თავის დროზე ალპური ბანაკებისა და ბაზების შექმნა განაპირობა. მათი აღორძინება მხარის და ქვეყნის პრესტიჟის საქმეა.

ამჟამად სვანეთში ტურისტულ საქმიანობას რამდენიმე მცირე კერძო ფირმა ახორციელებს. დამყარებულია უშუალო კავშირები დასავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებთან (გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი და სხვ.). მომავალში ტურიზმი სვანეთის ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად უნდა იქცეს.

ღირსშესანიშნაობები. სვანეთი მდიდარია ხუროთმოძღვრული და ეთნოგრაფიული ღირსშესანიშნაობებით, კერძოდ, შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრებითა და საერო-თაკდაცვითი ნაგებობებით, რომლებიც ორგანულად არის შერწყმული მხარის ბუნებრივ ლანდშაფტებთან. დღემდე მოაღწია ასამდე ეკლესიამ, ათასზე მეტმა ჭედურმა ხატ-ჯვარმა, კედლის მხატვრობამ, ფრესკებმა და სხვ.

სვანეთის მცირე ზომის ეკლესიის ფრესკები სარწმუნოდ მეტყველებენ ადგილობრივ ოსტატთა ნატიფ ხელოვნებაზე. საკურთხევლის კანკელის უნიკალური მონუმენტური მოხატულობით ცნობილია იფრარის X საუკუნის ეკლესია. ქართული ხუროთმოძღვრების საგანძურია უშგულის „ლამარიას" (XII ს.), ჟაბეშის (X ს.), ჟახუნდერის წმინდა გიორგის (X ს.), ს.თეკალის ღვთაების (X-XII სს.), ტვიბის მთავარანგელოზის (X-XI სს.), ადიშის მაცხოვრის („მაცხვარ" X-XI სს.), იფხის წმინდა გიორგის (X-XII სს.) ეკლესიები, ს.ხეს მიდამოებში მონასტერი-ეკლესია „ლაგურკა" და სხვ. სვანეთის მშვენებაა იდუმალებით მოცული კომკები, მათზე მიდგმული საცხოვრებელი სახლებით (მაჩუბი) და ციხე-დარბაზებით.

ᲒᲣᲠᲘᲐ

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. გურია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას დასავლეთიდან შავი ზღვა აკრავს, ჩრდილოეთიდან – სამეგრელო, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – იმერეთი, სამხრეთიდან კი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამცხე. მისი ფართობი 2042,5 კმ²-ს ანუ საქართველოს ტერიტორიის 2,9%-ს შეადგენს.

საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის შემოჭრამდე გურიას, გარე სამყაროსთან ეკონომიკური კავშირების უქონლობის გამო, ნაკლებხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გზატკეცილის (ბათუმი-ნოვოროსიისკი) და ნატანები-ოზურგეთის სარკინიგზო ტოტის გაყვანით მხარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. დღეს კი, რეგიონის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობას ახალი იმპულსი მისცა ბაქო-სუფსის აღრეული ნავთობსადენის და სუფსის ტერმინალის ფუნქციონირებამ, რამაც სათავე დაუდო ტანკერებით ნავთობის ტრანზიტს ევროპის ქვეყნებში.

ადრე გურიის საერისთავო, ხოლო XV ს. მეორე ნახევრიდან გურიის სამთავრო, 1829 წ. გაუქმდა და რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. მისი დღევანდელი ტერიტორია ჯერ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში (გურიანთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის საბოქაულოები) შედიოდა, ხოლო 1930 წლიდან ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონებშია გაერთიანებული.

ბუნებრივი რესურსები. გურიის რელიეფი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ოროგრაფიული ერთეულისაგან შედგება. პირველი მათგანი, ბარის ზონა, ზ.დ. 400-500 მ სიმაღლემდე ვრცელდება და ვაკე-დაბლობებსა და მთისწინა გორაკ-ბორცვებს მოიცავს; იგი რელიეფის შედარებით ნაკლები დახრილობითა და შეფარდებითი სიმაღლეების მცირე სხვაობებით ხასიათდება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. მეორე – მთიანი ზონა კი, რელიეფის დიდი დახრილობისა და ძლიერი დანაწევრების გამო დაუსახლებელია და მეურნეობრივად სუსტადაა ათვისებული.

მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია ნოტიო სუბტროპიკული ჰაერ და ნიადაგ-საფარი, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მხარის სუბტროპიკული აგრო-წარმოების (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა და სხვ.) კერად გადაქცევაში.

ციტრუსების გაშენებისათვის ხელსაყრელი პირობებით გამოირჩევა ზღვისკენ მიმართული გორაკ-ბორცვიანი ფერდობები, განსაკუთრებით კი შაკი ზღვის უშუალო სიახლოვეს მდებარე ტერიტორიები. მიკროკლიმატური პირობების ნაკლებ ზეგავლენას განიცდის ჩაის კულტურა, რომელიც ამაკე დროს მეტი ყინვაგამძლეობითაც ხასიათდება. იგი კარგად ხარობს ბარის ზონაში გავრცელებულ წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებზე, გორაკ-ბორცვიან ზონაში კი – ეწერ ნიადაგებზე; ზღვისპირა ვიწრო ზოლსა და მდ.მდ.სუფსისა და ნატანების ტერასებზე გვხვდება



ეწერ-ლებიანი, ჭაობის ლებიანი და ალუკიური ნიადაგები, რომლებიც უპირატესად სიმინდის ნათესებს უკავია. ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე კი კარგად ხარობს ვაზი და კეთილშობილი დაფნა.

ბარის ზონაში ნალექების სიჭარბითაა გამოწვეული ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირე და მდინარეთა მაღალი ჩამონადენი. წყალუხვობით გამოირჩევიან მდ.მდ.სუფსა და ნატანები. ეს მდინარეები შეიცავენ ჰიდროენერგიის გარკვეულ მარაგს, რომლის უმეტესი ნაწილი მთიან ზონაზე მოდის.

წიაღისეულიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ბენტონიტურ თიხებსა და მაგნეტიტიან ქვიშებს. პირველი მათგანის საბადოთა ჯგუფი, გურიის მთისწინეთში, ს.ასკანის მიდამოებშია თავმოყრილი. მათ, როგორც გამწმენდ საშუალებებს, ნავთობის მრეწველობაში იყენებენ. მაგნეტიტიანი ქვიშების გავრცელების არეალი ზღვისპირა ზოლს ემთხვევა, ამათგან მაგნეტიტის მაქსიმალური შემცველობა ყველაზე უფრო მდ.მდ.ნატანებისა და სუფსის შესართავებშია. ადრე მისი მოპოვება და გამდიდრება დაბა ურეკის მახლობლად წარმოებდა.

საყურადღებოა სუფსის ნავთობის საბადო, რომლის აღმოჩენიდან თითქმის საუკუნეა გასული. 2000 წლის ნოემბრიდან ქართულ კომპანია „საქნავთობთან" ერთად, გერმანული ფირმა „GVZF" და ხორვატიის სახელმწიფო კომპანია „ინა" სუფსაში, შრომისუბანსა და ჭალადიდში ნავთობს ერთობლივად მოიპოვებენ. მათი კარაუდით, ნავთობის მარაგი რამდენიმე მილიონი ტონით განისაზღვრება. დაგეგმილი 10 ახალი ღრმა ჭაბურღილიდან უკვე ამუშავებენ 3-4 ჭაბურღილს, საიდანაც დღის განმავლობაში 20 ტონამდე ნავთობს იღებენ.

ბარის ზონაშიც გვხვდება ასფალტის, კაოლინის, მინერალური საღებავებისა და სხვა წიაღისეულის გამოსავლები, რომელთა შორის პირველ ორს, ახლო წარსულში, სამრეწველო ღირებულება გააჩნდა. მრავლად მოიპოვება ასევე აგურ-კრამიტის თიხის საბადოები, რომლებიც მხარის საშენ მასალათა მრეწველობის სანედლეულო ბაზას წარმოადგენს. გურიის ჩრდილო ნაწილში, კოლხეთის დაბლობზე ტორფის რამდენიმე საბადოა, რომელთაგან მნიშვნელოვანი მარაგით იმნათის საბადო გამოირჩევა. იგი, როგორც ორგანული სასუქი, ნიადაგების გასანოყიერებლად გამოიყენება ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში.

ჰიდრომინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია ნაბეღლავისა და ნასაკირალის მინერალური წყლები, რომლებსაც მოიხმარენ როგორც სასმელად, ისე სამკურნალოდ. ქიმიური შემადგენლობით ნაბეღლავი მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან (ბორჯომის ტიპის) წყლებს, ნასაკირალი კი – ქლორიდულ-ნატრიუმიანს. ამასთან, პირველი ეფექტურია გულისა და სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას და სხვ., ხოლო მეორე – სისხლძარღვთა და ნერვული სისტემით დაავადებულთა სამკურნალოდ.

გურიის მთიანი ნაწილი, მდ.მდ.სუფსისა და ნატანების, ასევე მათი მრავალრიცხოვანი შენაკადების მოქმედებით, ღრმადაა დანაწევრებული. ამის გამო, მთელი ეს ტერიტორია სამეურნეო თვალსაზრისით, თითქმის გამოუყენებელია. მხოლოდ ზოგან, ხეობების გაყოლებით, გარკვეულ სიმაღლემდე, ფრაგმენტებად შემორჩენილ მდინარეთა ტერასებზე გვხვდება პატარა სოფლები, სადაც შესაძლებელია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის გავრცელება.

ტყეებს გურიაში 90 ათასი ჰა ფართობი უჭირავს. მისი ძირითადი ნაწილი მთიან ზონაზე მოდის. ოდესღაც კოლხური გაუვალი ტყეებით მდიდარ გურიის ზღვისპირეთს ამჟამად კულტურული მცენარეულობა ცვლის. მის ყველაზე დაბალ ნაწილში (ზ.დ. 50-70 მ) დღესაც აქა-იქ ჭაობის მცენარეულობაა შემორჩენილი, რომელიც უფრო მაღლა, გაუვალი ქვეტყით, მურყნის ტყეებში გადადის.

ტყის ქვედა ზონაში (ზ.დ. 500-1200 მ) გავრცელებულია ფართოფოთლოვანი ტყეები – წიფლის, რცხილის, მუხის, ნეკერჩხლის, მურყანისა და ცაცხვის შემადგენლობებით. 1200-1500 მ-დან წიფლის ფართოფოთლოვან ტყეს ერევა წიწვოვ-

ნების ცალკეული სახეობები – ნაძვი და სოჭი. ტყის ზედა საზღვარი 2000-2100 მ-მდეა. მის ზედა სარტყელში ტყეებისა და ზღვის ,ავა ერთმანეთშია შერწყმული, რაც საუკეთესო წანამძღვრებს ქმნის საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის.

მოსახლეობა. გურია ისტორიულად ჩამოყალიბებული და მეტად თვითმყოფადი ეთნოდემოგრაფიული კუთხეა, რომლის მოსახლეობა XIX ს. დასაწყისში 31 ათას კაცს შეადგენდა (ჯაოშვილი, 1984). იმავე საუკუნის ბოლოს მისი რიცხოვნობა 3-ჯერ გაიზარდა, რომლის ხვედრითმა წილმა საქართველოს მოსახლეობაში 4,0-დან (1800 წ.) 4,7%-ს (1897 წ.) მიაღწია (ცხრ. 1).

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ასწლიანი დინამიკის ფონზე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში გურიაში პირველად დაფიქსირდა მისი კლება. 1989 წ. აღწერის მონაცემებთან შედარებით, 2000 წლისათვის რეგიონის მოსახლეობა 14,8 ათასი კაცით ანუ 9,1%-ით შემცირდა, რაც ძირითადად მოსახლეობის როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მოძრაობის უარყოფითი სალდოთია გამოწვეული. არასასურველ დემოგრაფიულ სიტუაციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მხარის მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობიაში სულ უფრო მცირდება. აღსანიშნავია, რომ 1998 წ. მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე 11,3 ბავშვი დაიბადა, მოკვდაობის მაჩვენებელმა კი 11,4‰ შეადგინა.

საქართველოს სხვა რეგიონების შესგავსად, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, ბევრად უფრო სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. თუ 1886 წ. აქ მხოლოდ ერთი ქალაქი – ოზურგეთი (1,5 ათასი კაცი) არსებობდა, 1926 წ. ქალაქის მოსახლეობამ 9,6 ათასს მიაღწია, რომელთაგან 3,7 ათასი დაბა ლანჩხუთზე მოდიოდა. მთლიანად, 2000 წ. გურიის ყველა საქალაქო დასახლების (მათ მიემატა ჩოხატაური, ურეკი, ლაითური, ქვედა ნასაკირალი, ნარუჯა) მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 44,6 ათასს აღწევდა, რამაც მხარის მთელი მოსახლეობის 31,0% შეადგინა. აღნიშნული ხვედრითი წილი 26,9 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება ქვეყნის ანალოგიური მონაცემს (57,8%), რაც მხარის ურბანიზაციის მეტად დაბალი დონის მაჩვენებელია.

გურიის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს (93%) ქართველები შეადგენენ. ცხოვრობენ აგრეთვე რუსები (2,6), სომხები (2,2%), აზერბაიჯანელები (0,2%), ოსები (0,1%) და სხვა ეროვნებათა მცირე ნაწილი (1,6%).

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 70,3 კაცია 1 კმ²-ზე (2000 წ.). უფრო მჭიდროდაა დასახლებული ნიგოითის ქედის ჩრდილო კალთების გასწვრივ მდებარე კოლხეთის დაბლობისა და მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობები, ასევე სუფსა-ნატანების განსახლების ზოლი, სუსტად კი - გუბაზეულისა და სუფსის ხეობები (ჯაოშვილი, 1964).

რეგიონის სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მთელი ტერიტორიის 1 კმ²-ზე 49 კაცს შეადგენს: სასოფლო-სამეურნეო საკარგულების 1 კმ²-ზე – 133,7-ს;

მოსახლეობის დინამიკა (ათასი კაცი)

წელი	მოსახლეობის რაოდენობა			მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში(%)	ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში (%)
	სულ	მათ შორის			
		ქალაქის	სოფლის		
1897	90,3	4.7	85.6	4,7	5.2
1926	113.5	9.6	103.9	4,3	8.5
1959	146.0	35.3	110.7	3.6	24.2
1989	158.5	45.4	113.1	2.9	28.6
2000	143.7	44.6	99.1	2.6	31.0

დამუშაკებული მიწების 1 კმ²-ზე კი – 214,9 კაცს. ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი მაჩვენებლებია: 27,9; 65,0 და 183,2. ამდენად, გურიაში შედარებით მაღალია დამუშაკებისათვის ვარგისი მიწების ხვედრითი წილი (მთელი ტერიტორიის 22,8%), ყინაიდან ქვეყნის ანალოგიური მაჩვენებელი 15,2%-ს არ აღემატება.

1989 წ. აღწერის მონაცემებით, მხარის მოსახლეობის 98,5% ზ.დ. 500 მ სიმაღლემდე განლაგებულ 185 სასოფლო და 7 საქალაქო დასახლებებში ცხოვრობდა; მათ შორის 200 მ სიმაღლემდე ფუნქციონირებდა 123 სოფელი და ყველა საქალაქო დასახლება, სადაც თავმოყრილი იყო რეგიონის მთელი მოსახლეობის 4/5-ზე მეტი. 500 მ-ზე მაღლა, იმ დროისათვის მხოლოდ 7 მცირე სასოფლო დასახლება ფიქსირდებოდა, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 2344 კაცს შეადგენდა. მხარის ტერიტორიაზე არსებულ წვრილ (100 კაცამდე) და პატარა (101-დან 200 კაცამდე) სოფლებში (სასოფლო დასახლებების 18,4%) თავმოყრილია მოსახლეობის 3,2%; საშუალო (201-დან 500 კაცამდე) და მოზრდილ (501-დან 1000 კაცამდე) სოფლებში მცხოვრებთა ხვედრითი წილი 55%-ს შეადგენს, ხოლო დიდ (1001-დან 2000 კაცამდე) და მსხვილ (2001-ზე მეტი მცხოვრები) სოფლებში ცხოვრობს რეგიონის სოფლის მოსახლეობის 41,8%.

საქალაქო დასახლებათა შორის, როგორც მოსახლეობის რიცხოვნობით, ისე ფუნქციური დანიშნულებით, ქ.ოზურგეთი (ქალაქად გამოცხადდა 1846 წ.) გამოირჩევა. იგი მდებარეობს გურიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში – მდ.ნატანებისა და მის შენაკად ბჟუჟას შორის, ზ.დ. 80-120 მ სიმაღლეზე. 2000 წ. დასაწყისში აქ 21,9 ათასი კაცი ცხოვრობდა. წარსულში მაზრის ცენტრი – ხელსაყრელი მდებარეობის მიუხედავად, მოკლებული იყო მნიშვნელოვან სამეურნეო ფუნქციებს, რადგან კონკურენციას ვერ უწევდა ახლოს მდებარე სატრანსპორტო-ეკონომიკურ კვანძებს – ბათუმსა და ფოთს (კვერენჩხილაძე, 1973). მისი სამრეწველო განვითარება, გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. გურიაში სუბტროპიკული სასოფლო-

სამეურნეო ნედლეულის ინტენსიურმა წარმოებამ და წიაღისეულის მოპოვებამ განაპირობა ოზურგეთში სამრეწველო საწარმოების შექმნა, რამაც მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში. დღეისათვის, ოზურგეთი მხარის ადმინისტრაციული ცენტრია, რომელიც ამასთანავე სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციებს ასრულებს. /

ქ. ლანჩხუთი მდებარეობს თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზზე, ზ.დ. 17 მ სიმაღლეზე – ნიგოითის ქედის ჩრდილოეთ კალთების ძირში. საქალაქო დასახლება ძირითადად კოლხეთის დაბლობის პერიფერიულ ნაწილშია განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები, მისი ზრდა-განვითარებისათვის რაიმე შეფერხებებს არ ქმნიან, ეგი მაინც სუსტად განვითარებულ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება და მოსახლეობის რიცხოვნობის (9,3 ათასი კაცი) ერთობ დაბალი მაჩვენებლითაც ხასიათდება. მრეწველობის სუსტი განვითარების გამო, აქ სამეურნეო და კულტურული მოქმედების სფერო შეზღუდულია. თუმცა, მომავალში, ქალაქის ხელსაყრელი გარემო პირობები, შეიძლება მისი მრეწველობის განვითარებისა და მოსახლეობის შემდგომი ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი გახდეს. /

/ მეურნეობა. გურიის მეურნეობრივი განვითარების საფუძველს ქმნის სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული აგროსამრეწველო კომპლექსი, რომლის პრიორიტეტული დარგებია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა და მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. მხარის ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული წილი შეაქვს აგრეთვე მოპოვებით, სამენ მასალათა და მსუბუქი მრეწველობის დარგებს, რომელთა განვითარება ადგილობრივ რესურსებს ემყარება.

რეგიონის სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების პირველსაკე წლებში დაიწყო. 1926 წ. საქართველოში არსებული 5 ჩაის ფაბრიკიდან 3 გურიაში (ოზურგეთი, აცანა, მიქელგაბრიელი – დღეკანდელი შრომა) მოქმედებდა. ამავე წელს ოზურგეთში ამუშავდა ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკა, ხოლო 1928 წ. მწყობრში ჩადგა ლანჩხუთის აგურის ქარხანა. ომამდელი ხუთწლედების პერიოდში რეგიონში შეიქმნა ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკათა ჯგუფი (ანასეულის, ლაითურის, ლანჩხუთის, მამათის, მაღალი ეწერის, ნასაკირალის, ნატანების, ნიგვზიანის, სუფსის, ჩოხატაურის) და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, მათ შორის ს.მაკვანეთში აღმოჩენილი კაოლინის საბადოს ბაზაზე – ფაიფურის საცდელი ქარხანა. ომის შემდგომ წლებში კიდევ რამდენიმე ჩაის ფაბრიკა აშენდა. გარდა ამისა, მდ.ბეჟუჟაზე აიგო მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, ასკანის ბენტონიტური თიხის ბაზაზე კი – ოზურგეთის საწარმო. ამუშავდა ოზურგე-თისა და ლანჩხუთის საკონსერვო ქარხნები და სხვ. (ბოკერია ..., 1964).

ადრე მრეწველობის ტრადიციულ დარგებს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კვების მრეწველობას, რომელზეც მოდიოდა რეგიონის სამრეწველო პროდუქციის 4/5. რეგიონში ხდებოდა ჩაის პირველადი დამუშავება და დაფასოება, კონსერვების წარმოება და მინერალური წყლის – „ნაბეღლავის" ჩამოსხმა, რაც დღესაც გრძელდება.

მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ჩნდება სიახლე – სუფსის ტერმინალის ამოქმედებით საფუძველი ეყრება მძიმე მრეწველობის დარგს – ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობას შეიძენს. ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებული უდიდესი საწარმო – სუფსის ქარხანა შემოტანილი ნედლეულიდან გამოიმუშავებს არაეთილრებად ბენზინს და სხვა ნავთობპროდუქტებს, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიზიდება.

დაბა ჩოხატაურში დასრულდა ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს მოემსახურება. ს.მერიაში გათვალისწინებულია თბოელექტროსადგურის მშენებლობა. ქ.ოზურგეთში გაიხსნა წისქვილ-კომბინატი (საქართველო-თურქეთის ერთობლივი საწარმო „გულისტანი"), რომელმაც სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა უკრაინის, ყაზახეთისა და მოლდოვას ბაზრებიდან შემოზიდულ ხორბალზე და თვეში 3 ათასი ტონა ხორბლის გადამუშავება შეუძლია. ს.ლიხაურში აგებული თხილის გადამამუშავებელი ქარხანა საექსპორტო პროდუქციას აწვდის ევროპის ბაზარს.

გურიის სასოფლო-სამეურნეო საყარგულები 74 ათას ჰა-ს ანუ მხარის მთელი ტერიტორიის მესამედზე მეტს შეადგენს. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწების დაახლოებით 2/3 მოდის დამუშავებულ ფართობებზე. მათ შორის ნახევარზე მეტი მრავალწლიან ნარგავებს – ჩაის ბუჩქსა და სხვა სუბტროპიკულ მცენარეებს უკავია, რომლებიც ძირითადად ვაკე-დაბლობსა და გორაკ-ბორცვიან ზონაშია გავრცელებული. სათიბ-საძოვრები და ტყის მასივები, ბუჩქნარებთან ერთად, მთლიანად მთის მაღალ ფერდობებზე გვხვდება.

ჩვენი ქვეყნის ჩაის პლანტაციების თითქმის მეოთხედი და ციტრუსოვანი ნარგავების 17% გურიაზე მოდიოდა. თავის დროზე წარმატებით დაინერგა აკად.ქ.ბახტაძის მიერ გამოყვანილი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევა ხარისხოვანი ჩაის მეტი გამოსავლიანობით. ამ კულტურების დანერგვის და განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. 1999 წ. მხარეში 17520 ტ ხარისხოვანი ჩაი მოიკრიფა, რამაც ქვეყნის ჩაის საერთო მოსავლის (60000 ტ) 29% შეადგინა.

მეჩაიეობასთან ერთად მეციტრუსეობაც რეგიონის სუბტროპიკული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი მაპროფილებელი დარგია. 1999 წ. მოკრეფილმა 6,1 ათას ტ

ციტრუსოვანთა ნაყოფმა რესპუბლიკაში დამზადებულ ციტრუსოვანთა საერთო პროდუქციის 10,9% (56000 ტ) შეადგინა.

სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი სასაქონლო დარგია მეხილეობა, რომლის პროდუქცია ადრე რეგიონის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა, ხოლო ნაწილი ადგილზეკე ბარდებოდა საკონსერვო ქარხნებს. საგულისხმოა, რომ ხსენებული დარგის პროდუქციაზე დღესაც დიდი მოთხოვნილებაა. ამ მხრივ, თესლოვან კულტურებთან ერთად (ვაშლი, მსხალი), მეტად საყურადღებოა კაკლოვანი კულტურები, რომელთა შორის უცხოელები განსაკუთრებულ დაინტერესებას თხილის მიმართ იჩენენ. 1999 წ. მხარეში დამზადებულმა 3825 ტ ქვეყნის თხილის საერთო მოსავლის (16836 ტ) 22,7% შეადგინა.

მცირე მოსავლიანობის გამო გურიაში მოკრძალებულია მევენახეობის როლი. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი. საკვები ბაზის სიმცირის გამა მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. იგი უმთავრესად სარძეკე-სახორცე მიმართულებისაა. გავრცელებულია აგრეთვე მეღორეობა და მეფრინველეობა.

რეგიონის სამეურნეო განვითარებაში არსებით როლს ასრულებს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი. მხარის ტერიტორიაზე გამავალ ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალური ხაზის 60 კმ-იან მონაკვეთს დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა აქვს. აქ განლაგებულია სადგურები: ნიგოითი, ლანჩხუთი, ჯუმათი, სუფსა, ურეკი, ნატანები და რკინიგზის რამდენიმე ბაქანი – ჯაპანა, ქვიანი, ლესა, წვერმაღალა და სხვ. ნატანები-ოზურგეთის სარკინიგზო განშტოება, რომლის სიგრძე 18 კმ-ია, 1924 წლიდან ფუნქციონირებს. 1953 წ. განხორციელდა მისი ელექტრიფიკაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ხაზის ტვირთგამტარუნარიანობა და გააუმჯობესა მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ხსენებულ განშტოებაზე განლაგებული რკინიგზის სადგურებიდან აღსანიშნავია მერია და ოზურგეთი.

სარკინიგზო ქსელის სიხშირით (3,8 კმ ტერიტორიის ყოველ 100 კმ²-ზე) გურია წინ უსწრებს ისეთ რეგიონებს, როგორებიცაა აფხაზეთი (2,6 კმ), კახეთი (1,6 კმ), აჭარა (1 კმ) და მთლიანად საქართველო (2 კმ). იმის მიუხედავად, რომ რეგიონი საკმაოდ უზრუნველყოფილია სარკინიგზო ქსელით, სამომავლოდ არ უნდა გამოირიცხოს ყიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზით ოზურგეთის ბახმაროსთან დაკავშირება. ეს იქნება ახალი მიმართულების უმოკლესი გზა განუმეორებელი სილამაზის მქონე ბახვის ხეობაში, რომელსაც შეფერხების გარეშე შეეძლება ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში (მჭედლიშვილი, 1999).

გურიის შიდარაიონულ გადაზიდვებში საავტომობილო ტრანსპორტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე* (კმ)

ადმინისტრაციული რ-ნი	გზების საერთო სიგრძე მნელ-ად	მათ შორის		
		საერთაშორისო	შიდასახელმწიფოებრივი	ადგილობრივი
ლანჩხუთის	287,1	48,8	18,7	219,6
ოზურგეთის	352,8	13,4	50,9	288,5
ჩოხატაურის	239,8	-	20,0	219,8
სულ	879,7	62,2	89,6	729,9
საქართველო	20119,1	1475,1	3336,5	15307,5

ქვეყნის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, გურია არა მარტო საავტომობილო გზების სიგრძის ფარდობითი ოდენობით გამოირჩეოდა, არამედ მას წლების განმავლობაში გზების ტექნიკური დონეც საკმაოდ მაღალი ჰქონდა – კეთილმოწყობილი იყო საკაშირო, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მხარის ტერიტორიაზე რამდენიმე ასფალტის ქარხანა ფუნქციონირებდა.

რეგიონის სატრანსპორტო სისტემაში ძალზე მნიშვნელოვნია სუფსის ტერმინალი და მის ტერიტორიაზე გამაკავალი ნავთობსადენი, რომელიც აზერბაიჯანიდან მოემართება.

რეკრეაციული მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია გურიის თვითმყოფადი ბუნებრივი, ეთნოგრაფიული და მატერიალურ-კულტურული ფასეულობები. აქ ფუნქციონირებს ქვეყანაში ყველაზე მაღალმთიანი (1926-2000 მ) სამთო-კლიმატური კურორტი – ბახმარო. იგი ჩოხატაურიდან 40 კმ-ზე, მესხეთის ქედის ფერდობებზე მდებარეობს, მდ.ბახვისწყლის ხეობაში. მისი საკურორტო სეზონი (იუნისი-სექტემბერი) 4 თვეს გრძელდება და მეტად პოპულარულია როგორც ერთ-ერთი ულამაზესი სამკურნალო, დასასვენებელი და აგრეთვე საზამთრო სპორტი-სათვის საუკეთესო პერსპექტიული ადგილი.

იმავე ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 1900 მ სიმაღლეზე მდებარეობს კიდევ ერთი სამთო-კლიმატური კურორტი – გომისმთა. იგი ადმინისტრაციულად ოზურ-გეთის რაიონში შედის. რაიონული ცენტრიდან 14 კმ-ითაა დაცილებული. კუ-რორტს მრავალმხრივი სამკურნალო თვისებები გააჩნია. აქ უმთავრესად მკურნა-ლობენ მალარიით, ჯირკვლებით, ბრონქიტითა და ლიმფადენიტით დაავადებულ ავადმყოფებს (კობახიძე ..., 1964).

* ცხრილი შედგენილია საქართველოს გზების სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული საგზაო ინსტიტუტის – „საქგზამეცნიერება" საფუძველზე.

მნიშვნელოვანი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი გააჩნია გურიის საზღვაო სანაპიროს და კერძოდ, ურეკის და გრიგოლეთის ცნობილ პლაჟებს, რომლებიც ზაფხულის სეზონში მრავალ დამსვენებელს იზიდავს. მაგრამ მათი კეთილმოწყობა და განვითარება მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს.

ღირსშესანიშნაობები. რეგიონის გამორჩეული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებია: ქკემო აკეთის სამონასტრო კომპლექსი (ადრინდელი შუა საუკუნეები), შუხუთის ციხე (შუა საუკუნეები), ლიხაურის ეკლესია (შუა საუკუნეები), შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი კულტურული მწიგნობრული კერაც იყო. აქ მოღვაწეობდა იაკობ შემოქმედელი (დუმბაძე). კომპლექსში შედის: ღვთაების ტაძარი, გუმბათოვანი ეკლესია „ზარზმა", რომელიც ვახტანგ I გურიელმა საგანგებოდ ააშენებინა ზარზმის მონასტრიდან XVI ს-ში გადმოტანილი ფერისცვალების ხატის დასასვენებლად (განვითარებული შუა საუკუნეები), ასკანის ციხე (შუა საუკუნეები), გოგოლესუბნის უდაბნოს მონასტერი (შუა საუკუნეები) და გორაბერეჟოულის ციხე (შუა საუკუნეები), გურიელების სასახლე (გვიანდელი შუა საუკუნეები) ბაილეთში. აღსანიშნავია, აგრეთვე, სახლ-მუზეუმები: ეგნატე ნინოშვილის (ს.არჩეულში), ნიკო მარის, ჭიჭიკო ბენდელიანის, ნოდარ დუმბაძის (დ.ჩოხატაურში), მოსე გოგიბერიძის (ს.ქვენობანში), ექვთიმე თაყაიშვილის (ქ.ოზურგეთში).

აფხაზეთი

მდებარეობა, ზოგადი ცნობები. აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავ ზღვასა და კავკასიონის ქედს შორის. მისი ტერიტორია – 8664,5 კმ², საქართველოს ფართობის 12,5%-ია. მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება რუსეთი, აღმოსავლეთით –



სამეგრელო და სვანეთი. რეგიონის შემადგენლობაშია გაგრის საქალაქო ზონა, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის ადმინისტრაციული რაიონები. აფხაზეთს ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, ვინაიდან სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით უშუალოდ უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიას და რუსეთის სხვა რეგიონებს, ხოლო შავი

ზღვით გასასვლელი აქვს საერთაშორისო სანაოსნო გზებზე. მისი ზღვისპირა მდებარეობა და სიმდიდრენი ძველთაგანვე იპყრობდა სხვა ქვეყნების ყურადღებას. „ხოლო ესე აფხაზეთი შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰაეითა, რამეთუ ნაყოფიე-რებენ ყველანი მარცვალნი. ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი. ფრინველნი და თევზნი მრავალნი" (ვახუშტი, 1997).

მხარის კოლონიზაცია უძველესი დროიდან დაიწყო. ძვ.წ. IV-V სს. სანაპიროზე ძველი დასახლებების საფუძველზე შეიქმნა ბერძნული ცენტრები: დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე), ტრიგლიტი (გაგრა), პიტიუნტი (ბიჭვინთა) და სხვ. დასავლეთ საქართველოში ლაზეთის სამეფოს შექმნისთანავე აფხაზეთი ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. საქართველოში ფეოდალიზმის აყვავების პერიოდში (X-XIII სს.) იგი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განუყოფელ ქრისტიანულ მხარეს წარმოადგენდა, რომლის მთავარი ქალაქი იყო ცხუმი (სოხუმი).

საქართველოს სახელმწიფოს დანაწევრების შემდეგ (XV ს.) აფხაზეთი ოდიშზე დამოკიდებული, XVII ს-დან კი იმერეთის სამეფოს ვასალი გახდა და თანდათან ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის აგრესიის მსხვერპლად იქცა. 1864 წ. რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და ქუთაისის გუბერნიაში მოქცეულ ტერიტორიას სოხუმის ოკრუგი (1883 წ-მდე – სოხუმის სამხედრო განყოფილება) უწოდა.

1921 წ. 4 მარტიდან აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა. 1992 წ. ზაფხულში აფხაზმა სეპარატისტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. შექმნილი სიტუაცია შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. საომარი მოქმე-დებების შედეგად, აფხაზმა სეპარატისტებმა ჩრდილოეთ კავკასიაში დაქირავებულ პირთა და რუსეთის სამხედროების აქტიური დახმარებით, აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორიიდან (კოდორის ხეობის გამოკლებით) იძულებით განდევნეს ქართველი მოსახლეობა, ხოლო დარჩენილების მიმართ გენოციდი განახორციელეს.

ბუნებრივი რესურსები. აფხაზეთის ტერიტორია უპირატესად მთაგორიანია (მთებსა და მთისწინეთს 74% უჭირავს) და ზ.დ. 4000 მ-მდე კრცელდება. ნიადაგ-საფარი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ჰავასთან ერთად სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენს. სანაპირო ზოლის დადაბლებულ ადგილებში ჭაობიანი და ეწერი ნიადაგებია გავრცელებული. უკანასკნელი გამოიყენება ჩაის, ციტრუსების, ტუნგის, თამბაქოს, სიმინდის და სხვა კულტურების მოსაყვანად. წინამთების ზოლის ფარგლებში ცალკეული მასივების სახით გვხვდება წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები, რომლებზეც კარგად ხარობს სუბტროპიკული კულტურები. ამავე ზოლში კირქვებზე განვითარებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომ-ლებიც მთიან ზონაში მთლიანი მასივების სახითაა წარმოდგენილი. ტერიტორიის მაღალი ნაწილი მთა-მდელოს ნიადაგებს უკავია.

სასარგებლო წიაღისეულიდან საყურადღებოა მდ.მდ. ღალიძგასა და მოქვის ზემო წელში, ოჩამჩირედან 35 კმ დაშორებით მდებარე ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. მისი შესწავლა ჯერ კიდევ 1899-1908 წწ. წარმოებდა, რამაც ფართო ხასიათი საბჭოთა პერიოდში მიიღო. ქვანახშირის სამრეწველო მარაგი ათეული მილიონი ტონით განისაზღვრება. პოლიმეტალური მადნებიდან აღსანიშნავია აჰეის და ავადჰარის ვერცხლისწყლის საბადოები. არალითონური წიაღისეულიდან მოიპოვება ბარიტი (ფაციკვარის და აფშრის საბადოები), ცარცი (ოცარცეს საბადო), თაბაშირი (ოქუმის მიდამოები), მაღალი ხარისხის დოლომიტები (ქ.ტყვარჩელი), აგრეთვე საკმაო რაოდენობითაა კერამიკული თიხები, სამშენებლო ქვები, ტორფი (ბიჭვინთა).

წყალუხვი მდინარეები – კოდორი, ბზიფი, გუმისთა, კელასური, ღალიძგა და სასაზღვრო – ენგური და ფსოუ ,ჰიდროენერგიის დიდი მარაგით გამოირჩევა. სადღეისოდ ამ მარაგის მხოლოდ ნაწილია გამოყენებული. აფხაზეთი მდიდარია მინერალური წყლებით. ასეთი წყაროები მრავლადაა მდინარეების – კოდორის, ბზიფის და ღალიძგას ხეობებში და ზღვისპირა დაბლობზე. სამკურნალო თვალსაზრისით უკეთ ათვისებულია აკადჰარის, გაგრის, ტყვარჩელის და სოხუმის მინერალური წყაროები.

ტყეები აფხაზეთის სიმდიდრეა. „გარნა არს ესე აფხაზეთი ტყიანი, ჭალიანი, ენეროვანი და მცირე ველოვანი; მთის კერძონი აგარაკოვანნი" (ვახუშტი, 1997). ტყეების საერთო ფართობი დაახლოებით 500 ათას ჰა-ს ანუ მთელი ტერიტორიის 55%-ს შეადგენს. მრავალფეროვანი ლანდშაფტები და შავი ზღვა აფხაზეთში ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის შესანიშნავი პირობაა.

მოსახლეობა. აფხაზეთის ტერიტორია უხსოვარი დროიდანაა დასახლებული ერთმანეთის მონათესავე აფხაზებითა და ქართველებით, რომლებიც იბერიულ-კავკასიურ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. XIX ს. 60-იან წლებში აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 65-70 ათას კაცს შეადგენდა. საუკუნის ბოლოსათვის მისმა საერთო რაოდენობამ 106,2 ათას კაცს მიაღწია. მოსახლეობის სწრაფი ზრდა გაძლიერებული კოლონიზაციის შედეგი იყო. მიგრაციული პროცესებიდან აღსანიშნავია აფხაზი მოსახლეობის თურქეთში გასახლება – მუ.ჰაჯირობა. საკარაუდოდ, XIX ს. მეორე ნახევარში აფხაზეთიდან გადასახლდა 20 ათასიდან (Гасвиани, 2000) 30 ათასამდე კაცი (Джаошвили, 1968, თოთაძე, 1999).

XIX ს. 80-იანი წლებიდან მეფის მთავრობა კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების მიზნით მოსახლეობის (რუსეთის შიდა გუბერნიებიდან – რუსების, თურქეთიდან – ბერძნების და სომხების, ჩრდილოეთიდან – ესტონელების, ლატვიელების, აგრეთვე მოლდაველების, ბულგარელების და სხვათა) ჩამოსახლებას ახორციელებდა. ამიტომაც, XIX ს. ბოლოსათვის აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა საკმაო სიჭრელით გამოირჩეოდა.

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთს, მთლიანად საქართველოსთან შედარებით, მცხოვრებთა რაოდენობის მატების უფრო მაღალი ტემპი ახასიათებდა. 1926-1970 წწ. აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა 2,5-ჯერ გაიზარდა (საქართველოს ანალოგიური სიდიდე 1,7 უდრიდა) და 487,0 ათასი კაცი შეადგინა. შემდგომი 20 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობა კვლავ მატულობდა და 537,5 ათას კაცს მიაღწია. მოსახლეობის სწრაფ ზრდას შედარებით მაღალი მექანიკური მატება განსაზღვრავდა. მრეწველობის დარგების, ინტენსიური სოფლის მეურნეობის და საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან იზიდავდა შრომისუნარიან მოსახლეობას. აგრეთვე მხარის ხელსაყრელი კლიმატური პირობები ხშირად საბჭოთა კავშირის რეგიონებიდან მცხოვრებთა აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებლად გადმოსვლის ძირითადი მიზეზი იყო. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა.

რუსეთის მიერ პროვოცირებული კონფლიქტის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. 1992 წ. დასაწყისისათვის არსებული მოსახლეობის რიცხოვნობა (535,1 ათასი კაცი) 1997 წლისათვის 3,7-ჯერ შემცირდა და 145,0 ათასს არ აღემატებოდა. 300 ათასზე მეტი აფხაზეთის მკვიდრი საქართველოს სხვა რაიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებშია გადახვეწილი. დეკნილი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია თბილისსა და სამეგრელოში.

იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობის უდიდესი რაოდენობა წამოსულია გალის რაიონიდან (81 ათასი კაცი), ქალაქ სოხუმსა და სოხუმის რაიონიდან – 73 ათასი, გულრიფშის რ. – 34 ათასი, ოჩამჩირის რ. – 32 ათასი, ქალაქ გაგრის ზონიდან – 25 ათასი, გუდაუთის რ. – 6 ათასი და ქალაქ ტყვარჩელიდან – 3,5 ათასი.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე ბევრი ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორითაა განპირობებული. 1989 წ. მონაცემებით ქართველები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 45,7%, აფხაზები – 17,8%, სომხები – 14,6%, რუსები – 14,3%, ასევე ცხოვრობდნენ ბერძნები, უკრაინელები და სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. აფხაზები კომპაქტურად სახლობდნენ გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონებში. თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული გალის რაიონი, მაღალი იყო მათი წილი ოჩამჩირის, სოხუმის და გაგრის რაიონებში. 90-იან წლებში მოსახლეობის შემცირება ყველა ეთნიკურ ჯგუფს შეეხო, მაგრამ ყველაზე მეტად ქართველი მოსახლეობა დაზარალდა. იგი 5,6-ჯერ შემცირდა და 43,4 ათასი კაცი ანუ 29,8% შეადგინა. აფხაზების ხვედრითი წილი 36,9%-მდე გაიზარდა, თუმცა მათი რიცხვი 94,7 ათასიდან 53,9 ათას კაცამდე შემცირდა, რაც მნიშვნელოვნად დაკავშირებულია იმ მიგრაციულ პროცესებთან, რომლებიც ომს, მძიმე ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო პირობებს და პოლიტიკურ

არეულობას მოჰყვა. რუსების და სომხების ხვედრითი წილი არ აღემატება 12,4% და 12,2% (აფხაზეთის ..., 1998).

მთიანი რელიეფის გამო მოსახლეობა არათანაბრად არის განლაგებული. მუდმივი საცხოვრებელი და სამეურნეო სივრცის სიმაღლითი გავრცელება 1000 მ არ აღემატება, თუმცა უდიდესი ნაწილი (80%) ზ.დ. 200 მ-მდეა თავმოყრილი.

XIX ს. დასაწყისში აფხაზეთში ერთი ქალაქი (სოხუმი) და ორი დაბა (ოჩამჩირე და გუდაუთა) არსებობდა. ამჟამად არსებულ 7 ქალაქსა (სოხუმი, ტყვარჩელი, ოჩამჩირე, გუდაუთა, გაგრა, გალი, ახალი ათონი) და 5 დაბაზე (ბიჭვინთა, ბზიფი, გულრიფში, განთიადი, მიუსერა), ტყვარჩელის და ბიჭვინთის გამოკლებით, გადის რუსეთთან შემაერთებელი შავიზღვისპირა რკინიგზის და საავტომობილო მაგისტრალები, რომლებიც ამასთანავე საკურორტო ზოლშია მოქცეული.

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი – სოხუმი ვრცელი სოხუმის უბის სანაპიროსა და მიმდებარე ბორცვებზეა გაშლილი. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგამდე, როცა მისი დემოგრაფიული (120 ათასი მცხოვრები), სამეურნეო და ქალაქმშენებლობითი ზრდა აღმაკლობის გზით მიდიოდა, სოხუმი ცნობილი იყო როგორც ბევრი ფუნქციის (ადმინისტრაციული, სამრეწველო-სატრანსპორტო და სანავსადგურო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და, განსაკუთრებით, საკურორტო-ტურისტული) მქონე შავიზღვისპირეთის ულამაზესი ქალაქი. ელექტროტექნიკური, მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტების გარდა, იქ მოქმედებდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება (აფხაზური და ქართული თეატრები, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სუბტროპიკული მეურნეობის, დ.გულიას სახ. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, ბირთვული ფიზიკის, ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტები და სხვ.). ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი (სინოპი) წარმოდგენილი იყო საკურორტო ზოლით, სადაც თავმოყრილია სუბტროპიკულ მცენარეულობაში ჩაფლული სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, კემპინგები. 1992 წ. საომარი მოქმედების არენად ქცეული ქალაქი, რომლის მეურნეობა, განაშენიანება, საბინაო ფონდი მნიშვნელოვანწილად გაპარტახდა, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობა 3-ჯერ შემცირდა და 40 ათას კაცამდე დავიდა, დღეს, XX ს. 80-იანი წლების ბოლოს სავალალო ლანდია, მისი მომავალი კი – პრობლემატური.

იგივე გაუსაძლისი ბედი ეწია მოსახლეობისაგან დაცლილი და მეურნეობრივად დეგრადირებული აფხაზეთის სხვა ქალაქებს, რომელთა ურბანისტული მახასიათებლები და გამორჩეულობა მხოლოდ წარსულმა შემოგვინახა.

ტყვარჩელი – ოჩამჩირიდან ჩრდილო-დასავლეთით, 26 კმ დაშორებით მდებარეობს. იგი მდ.ღალიძგას მთიან ვიწრო ხეობაში 12 კმ-ზეა გადაჭიმული და რამდენიმე დასახლებას (კვეზანი, აკარმარა, ჯანტუხა, სოუკვარა და სხვ.) მოიცავს.

აფხაზეთის ამ მსხვილ სამრეწველო ცენტრში განვითარებული იყო ქვანახშირის მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა.

ოჩამჩირე სოხუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 45 კმ-თაა დაშორებული. ქალაქი გაშლილია მდინარე ღალიძგას შესართავის მარჯვენა მხარეზე. დასახლებული ნაწილი ძირითადად მოიცავს ზღვის სანაპიროს და რკინიგზის მაგისტრალს შორის მოქცეულ ტერიტორიას. აფხაზეთის სიდიდით მესამე ქალაქს გააჩნდა სამრეწველო, სატრანსპორტო და ადმინისტრაციული ფუნქცია. ჩაის, თამბაქოს და ზეთსახდელი საწარმოები ძირითადად იყენებდნენ რაიონის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. იგი, როგორც მნიშვნელოვანი ნავსადგური და სარკინიგზო კვანძი, ტვირთების გამანაწილებელ ფუნქციას ასრულებდა. თანდათან იზრდებოდა მისი საკურორტო მნიშვნელობა.

გაგრას, შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ საყოველთაოდ ცნობილ კურორტს, უკავია ზღვის სანაპირო ზოლი, მდ.ჟოეკვარას შესართავიდან 8 კმ მანძილზე. ძველი გაგრის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი XIX ს. მიწურულში საჩუქრად გადაეცა პრინც ოლდენბურგსკის, რომელიც შეუდგა კურორტის მოწყობას. აშენდა სასახლე, შეიქმნა ულამაზესი ზღვისპირა პარკი. საბჭოთა პერიოდში აქ ფუნქციონირებდა რამდენიმე ათეული საკურორტო დაწესებულება, რომელიც დამსვენებელთა დიდ ნაწილს ემსახურებოდა, ხოლო ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – ახალ გაგრაში, ადმინისტრაციული დაწესებულებები, საცხოვრებელი უბნები, სამრეწველო საწარმოები, საკაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები გაშენდა.

გუდაუთა სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით, 37 კმ დაშორებით ზ.დ. 15 მ სიმაღლის მოსწორებულ ტერასაზეა განლაგებული. საბჭოთა პერიოდში გუდაუთა მნიშვნელოვან კურორტად და ადმინისტრაციული რაიონის ცენტრად ჩამოყალიბდა. აქ მოქმედი დიდი გამტარუნარიანობის მქონე რამდენიმე სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი ძირითადად ორგანიზებულ დამსვენებლებს ემსახურებოდა. ქალაქი, როგორც აფხაზეთის კვების მრეწველობის ერთ-ერთი განვითარებული კერა – ჩაის ფაბრიკის, თამბაქოს საფერმენტაციო და ღვინის ქარხნების პროდუქციის ნაწილს აფხაზეთის ფარგლებს გარეთ გზავნიდა.

ახალი ათონი – სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 26 კმ დაშორებული, გორაკ-ბორცვებზე გაშლილი, მნიშვნელოვანი საზღვაო კურორტია. მისი განვითარება XIX ს. იკერიის მთაზე არსებული სამონასტრო კომპლექსის საფუძველზე დაიწყო. საბჭოთა პერიოდში აქ შეიქმნა მძლავრი საკურორტო კერა, რომელიც ყოველ-წლიურად რამდენიმე ათეულ ათას დამსვენებელს ემსახურებოდა.

მეურნეობა. XIX ს. აფხაზეთი ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა. განვითარებული იყო სასაქონლო წარმოებაზე ორიენტირებული მესიმინდეობა და მეთამბაქოეობა.

სასაქონლო სიმინდის მოყვანის ზონა მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ (სოხუმის, ოჩამჩირის და გალის რაიონების) დადაბლებულ ნაწილს მოიცავდა. მხარის დანარჩენ ტერიტორიაზე მესიმინდეობა სამომხმარებლო ხასიათს ინარჩუნებდა. საქართველოდან სიმინდის ექსპორტის საქმეში ფოთის შემდეგ წამყვანი იყო სოხუმი, ოჩამჩირე და გუდაუთა. მაღალი ხარისხის თამბაქოს მოყვანისათვის საუკეთესო ნიადაგ-კლიმატური პირობებით გუდაუთის და სოხუმის რაიონების სანაპირო და გორაკ-ბორცვიანი ზონა გამოირჩეოდა. აქ მოყვანილი თამბაქოს 80%-ზე მეტი რუსეთის ბაზარზე გადიოდა. XIX ს. ბოლოსათვის აფხაზეთი საქართველოს მეთამბაქოეობის ძირითად კერად იქცა. მეცხოველეობაში სასაქონლო დარგი მეღორეობა იყო.

აფხაზეთის მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილი იყო ხის და ტყავის დამმუშავებელი, სპირტის და აგურის დამამზადებელი წვრილი კუსტარული საწარმოებით. ეკონომიკური კავშირები უმთავრესად ნაესადგურების – სოხუმის, ოჩამჩირის და გუდაუთის მეშვეობით ხორციელდებოდა.

საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას და მისი პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებას ეკავა. მნიშვნელოვანი იყო სათბობ-ენერგეტიკული, მანქანათმშენებლობის და მსუბუქი მრეწველობის როლი. განსაკუთრებით განვითარებულ სექტორს საკურორტო-ტურისტული კომპლექსი წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანი იყო ქვანახშირის მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა. ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვება 1935 წ. დაიწყო. შემდგომში, საკოქსე კონცენტრატის მისაღებად ,,კეზანში აიგო გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომლის პროდუქციას რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მოიხმარდა. 1938 წ. კეზანში ამუშავდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, ამიერკავკასიის ენერგოსისტემის მარეგულირებელი ობიექტი. ასევე რამდენიმე წვრილი ჰიდროელექტროსადგური – სოხუმჰესი, ბაღნარჰესი, დურიფშჰესი, მოქვჰესი და სხვ. ფუნქციონირებდა. 80-იან წლებში გალის რაიონში ენგურჰესის გენერატორული დანადგარების ამოქმედებით, აფხაზეთი საქენერგოს სისტემაში ელექტროენერგიის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი გახდა.

ომამდელ აფხაზეთში მანქანათმშენებლობის საწარმოები: გემთსარემონტო, აირის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხანა, ხელსაწყოთმშენებელი და სხვ., ძირითადად თავმოყრილი იყო ქ.სოხუმში. კვების მრეწველობის სპეციალიზაციის დარგებს – ჩაის და თამბაქოს წარმოება მიეკუთვნებოდა. ჩაის ფოთლის გადამუშავებას 10-ზე მეტი ფაბრიკა აწარმოებდა (გალი, ჭუბურხინჯი, აჩიგვარა, ოქუმი, ოჩამჩირე, კინდღი, ქოჩარა, გუდაუთა, მოქვი, დრანდა და სხვ.). თამბაქოს ფოთოლს გადაამუშავებდა 4 (სოხუმის, განთიადის, გუდაუთის და ოჩამჩირის) საფერმენტაციო

ქარხანა. აღნიშნული დარგების პროდუქცია იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის რეგიონებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ადგილობრივად გავრცელებული ეთერზეთოვანი კულტურებიდან (რეპანი, გერანი, ვარდი და სხვ.) ტამიშის, ბაბუშერის და გალის ზეთსახდელი ქარხნები ძვირფას ზეთებს აწარმოებდნენ. განკითარებული იყო საკონსერვო მრეწველობა (ოჩამჩირე, გუდაუთა). მსუბუქი მრეწველობა აერთიანებდა ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო და საგალანტერეო დარგებს. ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა საშენ მასალათა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა.

აფხაზეთის კონფლიქტს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება მოჰყვა. მნიშვნელოვანი ზარალი სამრეწველო წარმოებამ და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის წამყვანმა დარგებმა განიცადა. ომის დროს მოშლილი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა შემდგომში კიდევ უფრო გაუარესდა.

აფხაზეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებში გადაადგილებული შრომითი რესურსების დასაქმებისათვის 1994 წლიდან აფხაზეთის 12 საწარმო იყო მომზადებული. მათგან მხოლოდ სამმა შესძლო ამოქმედება. ესენია სოხუმის სააქციო საზოგადოება „ორგტექნიკა" ქ.ქუთაისში, მისი ფილიალი ფირმა „შუქურა" და სოხუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა ქ.თბილისში. მოგვიანებით ამუშავდა სოხუმის სახაზინო ქიმიური ქარხანა, მრეწველობის დეპარტამენტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო და რამდენიმე მცირე საწარმო.

სადღეისოდ მხარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ სააქციო საზოგადოება „სოხუმხელსაწყო", ტყვარჩელის ასფალტის დამამზადებელი ქარხანა, გუდაუთის თამბაქოს ფაბრიკა, რომელსაც ნაყიდი აქვს ბულგარული სიგარეტების წარმოების ლიცენზია, სოხუმის ღვინის ქარხანა, რომლის პროდუქცია რუსეთის ბაზარზეა ორიენტირებული, ოჩამჩირის კომბინირებული საკვების კომბინატი, აფხაზურ-ადიღეური ლუდის ქარხანა და სხვ. ხუთი სატყეო მეურნეობა – რიწის, ბიჭვინთის, გუმისთის ნაკრძალებსა და მთის ფერდობებზე იშვიათი ჯიშის ხეებს (მათ შორის ბზას) ჭრის და მორებს ამზადებს. 2000 წ. მათზე მთელი ექსპორტის 12% მოდიოდა. ბზიფის ხის დამმუშავებელი კომბინატი, რომლის პროდუქცია უწინ დახერხილი მასალა და პარკეტი იყო, სავარაუდოდ ავეჯის წარმოებას გეგმავს. თევზს (უმთავრესად ქაფშიას) ძირითადად თურქული ფირმების სეინერები იჭერენ. თურქეთის ფირმა „კარაელმასი" დაინტერესებულია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციით და საპროექტო სამუშაოებს აფინანსებს.

ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები აფხაზეთში ინტენსიური სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განკითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. მხარის მთიანი რელიეფი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაბალ ხვედრით წილს. ასეთი მიწები მთელი ტერიტორიის მეოთხედზე ნაკლებს შეადგენს. აფხაზეთი მრავალწლიანი ნარგავების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წამყვანი ადგილი მეჩაიეობას ეკავა. ჩაის პლანტაციების უდიდესი ნაწილი (90%) ოჩამჩირის და გალის რაიონებში იყო თაკმოყრილი. ჩაის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები ფუნქციონირებდა მოქვში, სიდაში, აჩიგვარასა და გალში. სუბტროპიკული მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი მეციტრუსეობა იყო. ციტრუსების ფართობები უმთავრესად სოხუმის, გულრიფშის და ქ.გაგრის ზონის ხელსაყრელ მიკროკლიმატური პირობების მქონე ადგილებში იყო განლაგებული. მაღალი ხარისხის ციტრუსების მოყვანით გამოირჩეოდა კოხორის, გაგრის, ახალი ათონის და სხვ. საბჭოთა მეურნეობები. აფხაზეთზე მოდიოდა საქართველოს თამბაქოს ნათესი ფართობების ნახევარზე მეტი. მაღალი ხარისხის თამბაქოს მოყვანის არეალს მხარის ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გორაკ-ბორცვიანი ზონა (სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთის რაიონები) წარმოადგენდა. ეთერზეთოვანი კულტურები (გერანი, რეპანი, აზალია, ვარდი) მოჰყავდათ სოხუმის, ოჩამჩირის და გალის რაიონებში.

მეკვნესეობა მხარის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ადგილობრივი ჯიშის იზაბელას პარალელურად ომისშემდგომ პერიოდში გავრცელდა ვაზის სხვა ჯიშებიც (ცოლიკაური, ჩხაკერი, ციცქა და სხვ.). ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა სუბტროპიკული ხილი.

სარძეო-სახორცე მიმართულების მეცხოველეობის განვითარებას საკმაოდ ზღუდავდა საძოვრების სიმცირე. კურორტების ახალი ხორცით და კვერცხით მომარაგების საქმეში დიდ როლს მეფრინველეობის ფაბრიკები ასრულებდნენ. განვითარებული იყო მეფუტკრეობა, სანაპირო ზოლში კი – მეაბრეშუმეობა.

ამჟამად მოუვლელობისაგან დაკნინებული და გადამწვარია ჩაის და ციტრუსების პლანტაციების და ხილის ბაღების ნაწილი. გატაცებული და განადგურებულია ათასობით შინაური ცხოველი და ფრინველი. დაქვეითებული სუბტროპიკული მიწათმოქმედების ფონზე, აგროწარმოების შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით გამოირჩეა გალის რ-ნი, სადაც დევნილი მოსახლეობის ნაწილია დაბრუნებული. მათ მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ციტრუსები, თხილი) რუსეთში გადის.

აფხაზეთის ზღვისპირა მდებარეობამ და კავკასიონის მთიანი სისტემის არსებობამ სახმელეთო კომუნიკაციების ძირითადად განედური მიმართულება განაპირობა. ისინი სანაპირო ზოლის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართება.

XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისში გაყვანილ იქნა შავიზღვისპირა გზატკეცილი ნოვოროსიისკი–სოხუმი–ბათუმი. სამამულო ომის პერიოდში დამთავრდა შავიზღვისპირა რკინიგზის მონაკვეთის სოხუმი–ტუაფსეს მშენებლობა, რომელმაც აფხაზეთის ქალაქები და კურორტები (გალი–ოჩამჩირე–სოხუმი–ახალი ათონი–გუდაუთა–გაგრა–განთიადი–ლესელიძე) ერთმანეთს დააკავშირა. მისი სიგრძე მხარის

ფარგლებში დაახლოებით 200 კმ-ია. მაგისტრალის გაყვანით აფხაზეთმა პირდაპირი გასასვლელი მიიღო ჩრდილო კავკასიასა და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებში. ოჩამჩირიდან რკინიგზის განშტოება (36 კმ) მიემართება ქ.ტყვარ-ჩელამდე. სარკინიგზო ტრანსპორტი ტვირთების გადაზიდვების გარდა მგზავრების (მათ შორის უამრავი დამსვენებლის) საგარეუბნო და შორეულ გადაყვანას ემსახურებოდა.

საავტომობილო ტრანსპორტით უმთავრესად მგზავრთა გადაყვანა და ნაწილობრივ ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვაც ხორციელდებოდა. საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 1793 კმ შეადგენდა. ყველა სასოფლო დასახლება საავტომობილო მიმოსვლით იყო უზრუნველყოფილი. გარე ეკონომიკურ და ნაწილობრივ მხარის შიდა კავშირებს ემსახურებოდა საზღვაო ტრანსპორტი. მნიშვნელოვანი ნავსადგურებია სოხუმი, გუდაუთა, ოჩამჩირე.

საჰაერო ტრანსპორტით აფხაზეთი დაკავშირებული იყო გარე სამყაროსთან. იგი წამყვან როლს ასრულებდა ტურისტების გადაყვანაში. ომის დროს აფხაზეთის ტრანსპორტმა დიდი ზარალი განიცადა. აფეთქებულია რკინიგზის ხიდები, ლიანდაგები, საავტომობილო გზები; გატაცებული და განადგურებულია მოძრავი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი – ელმავლები, თვითმფრინავები, ავტობუსები, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები. საგრძნობლად დაზარალდა სოხუმის აეროპორტი.

წარმოების მეტისმეტად შეზღუდული პირობების გამო, აფხაზეთი ძირითადად სხვადასხვა ნედლეულის გატანის ხარჯზე ცხოვრობს. ხე-ტყის ექსპორტის გარდა, არსებითია შაი ლითონების ჯართი, რომლის მთავარი მომხმარებელია თურქეთი. იმპორტი ექსპორტს 1,5-2-ჯერ აღემატება და ძირითადად შემოდის ბენზინი, სამრეწველო საქონელი, ხორბალი, ფქვილი. მთავარი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი და რუსეთი, რომლებთანაც აფხაზეთი კონტრაბანდული ტვირთის გადატანის არალეგალური არხებითაც (მათ შორის საქართველოს სხვა რეგიონების გაელით და რუსი სამხედროების ხელშეწყობით) არის დაკავშირებული.

აფხაზეთის ეკონომიკის სპეციფიკური სფერო საკურორტო-ტურისტული მეურნეობაა. საუკეთესო კლიმატური პირობები, ზღვაში ბანაობის ხანგრძლივი სეზონი, სანაპიროს შესანიშნავი პლაჟები, ბალნეოლოგიური რესურსები და ულამაზესი ბუნება აღნიშნული დარგის განვითარების საფუძველს წარმოდგენს. მხარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მრავალი ათეული სანატორულ-საკურორტო და ტურისტული დაწესებულება, რომლებიც დამსვენებელთა უდიდეს რაოდენობას იზიდავდა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ასევე საბჭოთა კავშირის რეგიონებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ყოფილ საბჭოურ სივრცეში საკურორტო-ტურისტულ დაწესებულებათა ტევადობით აფხაზეთი ჩამორჩებოდა

მხოლოდ სოჭის, კავკასიის მინერალური წყლების და ყირიმის საკურორტო რეგიონებს. საყოველთაოდ ცნობილი იყო სანაპირო ზოლში განლაგებული კურორტები – სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი. მრავალ სასოფლო ზღვისპირა დასახლებას საკურორტო ფუნქცია გააჩნდა.

90-იან წლებამდე საქართველოს კურორტებზე ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი ისვენებდა, მათ შორის დაახლოებით 2 მლნ ორგანიზებული, ათასობით უცხოელი ტურისტი და მრავალი ასეული ათასი სტიქიური დამსვენებელი. აქედან დამსვენებელთა დიდი უმრავლესობა აფხაზეთის წილად მოდიოდა. მხარის საკურორტო-ტურისტულმა მეურნეობამ კონფლიქტის გამო მნიშვნელოვანი დაქვეითება განიცადა.

ღირსშესანიშნაობები. აფხაზეთი მეტად მდიდარია ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით. ანტიკური ხანის ნამთებიდან საყურადღებოა სოხუმის ყურის ნაპირას ძვ. წ. V ს. დაარსებული, ამჟამად ზღვაში ჩაძირული ქალაქის – დიოსკურიის ნანგრევები და ოჩამჩირის მიდამოებში იმავე პერიოდის ქალაქის – გიენოსის ნაქალაქარი; აგრეთვე ლიხნის ციხესიმაგრის კომპლექსი (VII-VIII სს.), გ. შერვაშიძის სასახლე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (X ს.). მთელ ტერიტორიაზე საკმაოდაა გავრცელებული ადრინდელი და შუა საუკუნეების ძეგლები: ბიჭვინთის (IV-V სს.), განთიადის (VII ს.), ლიხნის (VI ს.), ბზიფის (IX-X სს.), ძველი გაგრის (VI ს.) ეკლესიები; დრანდის (VIII ს.), ილორის (XI ს.), ახალი ათონის სიმონ კანანელის სახელობის (XI-X ს.), მოქვის (X ს.), ბიჭვინთის (XI ს.) გუმბათოვანი ტაძრები; ბედიის (XIII-XIV ს.) და ივერიის მთაზე ახალი ათონის მონასტრები. მხარეში მრავლადაა წარმოდგენილი ფეოდალური ხანის ციხე-კოშკები და ციხე-სიმაგრეები, მათ შორის თავისებური არქიტექტურული ძეგლი – ბესლეთის ერთთაღიანი ხიდი (XI-XII ს.), თაღზე ამოტკეფრული ქართული წარწერით.

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებიდან საინტერესოა აბრსკილისა (ოჩამჩირის რ-ნი) და ახალი ათონის (ფუნქციონირებს 1975 წლიდან) კეთილმოწყობილი კარსტული მღვიმე.

აჭარა

მდებარეობა. ზოგადი ცნობები. აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით ცენტრალური იტალიისა და ჩრდილოეთ ესპანეთის განედზე. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთით – სამცხე, სამხრეთით – თურქეთი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა აკრავს. მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა კუთხის ისტორიული ბედ-იღბალიდან გამომდინარე, სხვადასხვა დროს ცვალებადობას განიცდიდა. ფეოდალურ საქართველოში მხარის ერთგვარმა განაპირა და ოსმალეთთან მეზობლურმა მდებარეობამ, გარკვეულწილად, დედასამშობლოსაგან მის თითქმის სამსაუკუნოვან მოწყვეტას და უკვე ოსმანთა იმპერიის პერიფერიაზე მეურნეობრივად დაძაბუნებულ არსებობას შეუწყო ხელი. შემდგომში, აჭარა, პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, ურთიერთდაპირისპირებული ოსმალეთის და რუსეთის შავ ზღვაზე გაბატონების სტრატეგიულ გეგმებში, ერთ-ერთ თვალსაჩინო ფორპოსტად განიხილებოდა.

აჭარის, როგორც ზღვისპირა მხარის მნიშვნელობამ უფრო იჩინა თავი რუსეთის იმპერიის ფარგლებში შესვლის შემდეგ, როცა ბათუმმა სატრანსპორტო და ეკონომიკური აღზევება დაიწყო. საბჭოურ ხანაში, საბჭოთა კავშირ-თურქეთის პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების გამო, სახელმწიფოთაშორისო სასაზღვრო ზონაში მყოფი აჭარა იზოლირებული აღმოჩნდა. მისი ჩიხისებური მდებარეობის შეფასება არსებითად შეიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა და ქვეყანა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის აქტიური მონაწილე გახდა. ამჟამად აჭარა, თავისი მეტად ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-გეოგრაფიული და რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობების გამო (რაც მხარის ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია), საქართველოს და მთელი სამხრეთ კავკასიის გამორჩეულ რეგიონს წარმოადგენს. ხოლო კულტურულ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მის გამორჩეულობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ აჭარა ევროპის რეგიონთა ასამბლეის სრულუფლებიან წევრად უშუალოდ აირჩიეს.

საქართველოს ეს უძველესი კუთხე, რომელიც ანდრია მოციქულმა I ს-ში ქრისტიანობაზე მოაქცია, ისტორიულად ზემო ქართლის, კერძოდ კი, მესხეთის ნაწილია და „აჭარის ქვეყნად" ან „აჭარის ხეკად" („აჭარის ხეობად") მოიხსენიებოდა. XIII ს-ის შუა წლებიდან იგი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ერთ-ერთი

საერისთაოა, ხოლო XVI ს-ში ოსმალეთის მიერ მიტაცებული მხარე ახალციხის საფაშოს სანჯაყებად დაიყო. 1878 წ. აჭარა ოსმალეთზე გამარჯვებულმა რუსეთმა დაისაკუთრა და ბათუმის ოლქის შემადგენლობაში შეიყვანა. 1917-1921 წწ-ში მიმდინარე რთული სამხედრო და პოლიტიკური პერიპეტიების შედეგად, 1921 წ. 16 იელისს საქართველოს რევკომის დეკრეტით, აჭარა ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მისი ტერიტორიის ფართობია 2,9 ათასი კმ² (ქვეყნის ტერიტორიის 4,2%) და 5 ადმინისტრაციული რაიონისაგან (ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხულოს) შედგება.



ბუნებრივი რესურსები. აჭარა ბუნების მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონია. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე საოცრად ლამაზი ზღვის სანაპირო, წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით, სუბალპური და ალპური მდელოებით შემოსილი მთები, მდინარეთა ღრმა ხეობები და სუბტროპიკული მცენარეულობით გაკულტურებული ლანდშაფტებია წარმოდგენილი. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი – 77,1% მთებსა და მთისწინებს უკავია, გორაკ-ბორცვებზე მოდის 9,3%, ხოლო დაბლობებზე – 13,6% (ფუტკარაძე, 2000). რელიეფის სირთულის, ძლიერი დანაწევრების და საგრძნობი დახრის გამო (ტერიტორიის 1/3 ნაწილს 20°-ზე მეტი დახრილობა აქვს), მიწის რესურსების სასოფლო-სამეურნეო ათვისება მეტად შეზღუდულია და აგროსავარგულები მთელი ტერიტორიის მხოლოდ 1/4 შეადგენს. სამაგიეროდ, მაღალია ტყის ხვედრითი წილი – 65,1%, რითაც იგი როგორც

საქართველოს (39,9%), ისე მისი ყველა დანარჩენი მხარის ტყიანობის მაჩვენებელს უსწრებს. უხვნალექიან კლიმატურ ზონაში გაკრცელებულ ტყეებს ძირითადად ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი და რეკრეაციული დანიშნულება აქვს. თუმცა, ხლება მათი დაუზოგავი ჭრაც, რაც ნიადაგის ეროზიას, მეწყრების, ღვარცოფების და სხვა სტიქიური პროცესების გააქტიურებას იწვევს. ამიტომაც, მთიანი აჭარა ბუნების კატასტროფების რისკის რეგიონად იქცა.

სასარგებლო წიაღისეულიდან გაკრცელებულია მდ.მერისის ხეობაში (ქედის რ-ნი) სპილენძისა და პოლიმეტალების მადნები, იქვე აღმოჩენილია ოქროც, რომლის შემცველი ქანები დაფიქსირებულია უჩამბაში, ხალისთაკში. ბევრგან არის ააგურე და კერამიკული თიხების საბადოები (ბრილი, ცეცხლაური, ოჩხამური), სამშენებლო ქვები და მათ შორის – ტუფი (ახალშენი, ხუცუბანი, დაგვა), ანდეზიტები (მაჭახელას ხეობა), ქვიშა და ხრეში (ჭოროხის ზემო წელში). ქობულეთის აღმოსავლეთით განლაგებული ისპანის ჭაობები მდიდარია ტორფით. სოფლების – დანისპარაულის, დიოკნისის, ხიხაძირის, კოკოტაურის, უჩამბის, ნამონასტრეკის, ბოღაურის მიდამოებში მინერალური წყლებია, ხოლო ცხმორისში, ტომაშეთში – თერმალური (30°-იანი) წყაროები. სამკურნალო თვისებებით ცნობილია მახინჯაურის გოგირდოვანი წყალი, რომლის ბაზაზეც სანატორიუმი შეიქმნა.

ზღვიურ ნოტიო სუბტროპიკულ ჰავას აჭარაში კარგად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა ახასიათებს. ზღვისპირა დაბლობსა და გორაკ-ბორცვიან ტერიტორიაზე არსებულმა უნიკალურმა აგროკლიმატურმა რესურსებმა (ალუკიურ და წითელმიწა ნიადაგებთან ერთად) ინტენსიური სუბტროპიკული მიწათმოქმედების კერის ჩამოყალიბება განაპირობა. ხოლო მთიანი აჭარის მიკროკლიმატი. მთის ყომრალ ნიადაგებთან შეთანაწყობით, მეხილეობის, მებოსტნეობის და მეთამბაქოეობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი და შესანიშნავი სამთოკლიმატური საკურორტო რესურსია.

ჰიდრორესურსებიდან აღსანიშნავია წყალუხვი და მძლავრი ენერგეტიკული პოტენციალის (დაახლოებით 1 მლნ კვტ ანუ ქვეყნის 5,5%) მქონე მდინარეები: ჭოროხი, 90 კმ სიგრძის აჭარისწყალი შენაკადებითურთ, კინტრიში და სხვ.

შავი ზღვა – მთელი საქართველოს და კერძოდ, აჭარის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომლის სანაპირო ხაზის სიგრძე რეგიონში 54 კმ-ზე ვრცელდება. ზღვა უდიდეს როლს ასრულებს რეგიონის კლიმატის, მეურნეობის სპეციფიკური დარგების (საზღვაო ტრანსპორტი, გემთმშენებლობა, თევზჭერა, საკურორტო-ტურისტული მეურნეობა), საერთაშორისო კავშირების შექმნაში; ამასთან, აძლიერებს მისდამი ინტერესსა და აფართოებს მიზიდულობის არეალს.

მრავალფეროვანი და განუმეორებელია აჭარის ფლორაც. ენდემური სახეობების გარდა, აქ დროთა განმავლობაში ფართოდ გაკრცელდა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი ტექნიკური კულტურები, ხილი და ეგზოტიკური მცენარეები (ჩაი,

თამბაქო, ლიმონი, მანდარინი, ხურმა, ტუნგი, ბამბუკი, ეკკალიპტი, პალმა და სხვ.), რამაც მთლიანობაში ახალი კულტურული ლანდშაფტების ფორმირებას დაუდო საფუძველი. უმდიდრესი მცენარეულობის და შემორჩენილი ფაუნის დაცვის მიზნით, 1959 წ. შეიქმნა კინტრიშის ნაკრძალი, ხოლო 1998 წ. კოლხეთის დაცული ტერიტორიები, რომლებშიც შესულია ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი. მათ, ბუნებისდაცვითი ფუნქციის გარდა, ეკოტურიზმის განვითარების კარგი პირობები გააჩნიათ.

მოსახლეობა. აჭარა საქართველოს თვალსაჩინო ეთნო-დემოგრაფიული რაიონია, რომლის მოსახლეობამ, სამსაუკუნოვანი თურქული ბატონობის მიუხედავად, ასიმილაცია არ განიცადა, შემოინახა ქართული ენა და, 1878 წ-დან ისევ ღედასამშობლოს განუყოფელ ნაწილად იქცა. მას შემდეგ, რაც ქართველმა მოგზაურმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ყაზბეგმა შეისწავლა და აღწერა აჭარა, მისი მოსახლეობის რიცხოვნობა 115 წლის განმავლობაში 48,5 ათასიდან (1874 წ.) 392,7 ათას კაცამდე (1989 წ.) ანუ 8-ჯერ გაიზარდა. ამ მაჩვენებლით რეგიონი საგრძნობლად უსწრებდა საქართველოს, რომელთან მიმართებაშიც ასევე იზრდებოდა აჭარელი მოსახლეობის ხვედრითი წილი (ცხრ.1). აღნიშნული პროცესები განპირობებული იყო ორი მთავარი გარემოებით: 1. სწრაფი და მაღალი ბუნებრივი მატებით, რაც გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი მაღალი შობადობით; 2. ზღვისპირა ზოლში (ასევე ქ.ბათუმში) მოსახლეობის საგრძნობი მექანიკური ზრდით, რომლის მიზეზებია მეურნეობის სპეციალიზებული დარგების (საზღვაო და რკინიგზის ტრანსპორტი, მრეწველობა, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა, კურორტები) განვითარება და კომფორტული ბუნებრივი საცხოვრებელი პირობები.

ცხრილი 1

მოსახლეობის დინამიკა

წლები	მთელი მოსახლეობა		მათ შორის				მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში
			ქალაქის		სოფლის		
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	%
1886 (შეფასება)	56,6	100	14,8	26,1	41,8	73,9	3,3
1897 (აღწერა)	78,3	100	28,5	36,4	49,8	63,6	4,1
1926 „_____„	132,0	100	50,4	38,2	81,6	61,8	4,9
1939 „_____„	200,1	100	76,2	38,1	123,9	61,9	5,6
1959 „_____„	245,3	100	110,8	45,2	134,5	54,8	6,0
1970 „_____„	309,8	100	136,8	44,1	173,0	55,9	6,6
1979 „_____„	354,2	100	160,1	45,2	194,1	54,8	7,1
1989 „_____„	392,7	100	181,8	45,3	210,9	53,7	7,2
2000 (შეფასება)	366,6	100	175,4	47,8	191,2	52,2	8,0

მკვეთრი დემოგრაფიული ზრდა მოხდა საბჭოთა პერიოდში (1926-1989 წწ.), როცა II მსოფლიო ომით გამოწვეული დანაკარგების მიუხედავად, მოსახლეობა 260,7 ათასი კაცით ანუ თითქმის 3-ჯერ გაიზარდა (ცხრ.1). თუმცა, შიდარაიონული თვალსაზრისით, დინამიკური პროცესები მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო. მოსახლეობა ყველაზე მეტად გაიზარდა ქობულეთის რ-ში – 68,2 ათასი კაცით ანუ 4,4-ჯერ, ხოლო ნაკლებად – მთიან აჭარაში და განსაკუთრებით, ქედის რ-ში – 11,4 ათასი კაცით ანუ დაახლოებით 76%-ით. მაგრამ ის ფაქტი, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობა ამ დროს 44 ათასი კაცით გაიზარდა და თანაც ბუნებრივი მატების გზით, მთის დეპოპულაციის საერთო ფონზე, გამორჩეული დადებითი მოვლენაა.

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობა თითქმის 100 წლის მანძილზე (1897-1989 წწ.) საკმაოდ ნელა იცვლებოდა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ურბანიზაცია ძირითადად ბათუმის ზრდის ხარჯზე მიმდინარეობდა და ამდენად, ვიწრო ლოკალურ ხასიათს ატარებდა. გარკვეული ნახტომი აღინიშნება 50-იანი წლებიდან, როცა მთელმა რიგმა სოფლებმა საქალაქო დასახლებების სტატუსი მიიღო და ქალაქის მოსახლეობის ხვედრითმა წილმა 45%-ს მიაღწია.

მხარის ზღვისპირა მდებარეობამ, ისტორიულმა გარემოებებმა და ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მისი მოსახლეობის ეროვნული და კონფესიონალური სტრუქტურები, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ადრე თითქმის მთლიანად ეთნიკური ქართველებით (აჭარლებით) დასახლებულ მხარეში მოსახლეობის 1926 წ. აღწერამ დააფიქსირა 90,3 ათასი ქართველი (მთელი მოსახლეობის 68,4%), 10,5 ათასი სომეხი (7,9%), 10,2 ათასი რუსი (7,7%), 5,6 ათასი ბერძენი (4,2%), 3,3 ათასი ქურთი (2,5%) და სხვა ეროვნების (მათ შორის აფხაზების, უკრაინელების, ებრაელების) წარმომადგენლები. საყურადღებოა, რომ არაქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბათუმში ცხოვრობდა. 1979 წ. რუსი და სომეხი მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობამ (შესაბამისად 34,5 ათასი და 16,1 ათასი კაცი) პიკს მიაღწია. 1959-1989 წწ-ში ქართველების ხვედრითი წილის სისტემატური ზრდის (1989 წ. 82,8%) პარალელურად მთელ მოსახლეობაში სხვა ეროვნებათა რიცხოვნობა და პროცენტი მცირდებოდა. 90-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოკლენებით გამოწვეული გარე მიგრაციების შედეგად ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა.

მექანიკურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობაც, რადგან განსაკუთრებით მთიან აჭარაში განვითარებული ბუნების სტიქიური პროცესების გააქტიურების და მცირემიწიანობის გამო იგი იძულებული გახდა ქვეყნის სხვა მხარეებში გადასახლებულიყო. უკანასკნელ ათწლეულში მოსახლეობის შემცირება აგრეთვე განაპირობა ბუნებრივი მატების ტემპის მნიშვნელოვანმა შენელებამ, რაც ძირითადად შობადობის დონის დაცემითაა გამოწვეული.

მაგალითად, აჭარაში 1989 წლის შობადობის (21,8 ‰) და ბუნებრივი მატების (14, ‰) კოეფიციენტები 1999 წელს შესაბამისად 10,9 და 4,4 პრომილემდე ჩამოვიდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 366,6 ათასი მცხოვრებიდან (2000 წ.) 8,4 ათასი კაცი აფხაზეთიდან დევნილია.

მხარის მოსახლეობის უთანაბრო ტერიტორიული განაწილების მთავარი ფაქტორია სამეურნეო საქმიანობის და საცხოვრებელი პირობების განსხვავებები, რაც ძირითადად ზღვის სიახლოვით, მიწის საკარგულების არსებობით და ჰიფსომეტრიული მდებარეობითაა განპირობებული. ამიტომაც მოსახლეობის თითქმის 3/4 ცხოვრობს ზღვისპირა ვაკეებსა და გორაკ-ბორცვების ზონაში, რომლის სიმაღლე ზ.დ. 200 მ-მდეა. მომდევნო ჰიფსომეტრიულ საფეხურზე (201-500 მ) სახლობს 7,5%, 501-1000 მ – 3,5%, 1001-1500 მ – 15,6%, ხოლო 1500 მ ზევით – 0,4% (ფუტკარაძე, 2001). ყველაზე მაღლა შუახევის რ-ნის სოფელი დარჩიძეები (1580 მ) მდებარეობს.

საქართველოში აჭარა ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მხარეა – 1 კმ²-ზე მოდის 126,4 ათასი კაცი (2-ჯერ მეტი, ვიდრე მთლიანად დღევანდელ საქართველოში). აღსანიშნავია, რომ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ზრდის ბათუმი, სადაც მთელი მოსახლეობის 34,6% ცხოვრობს. ხელვაჩაურის რ-ში სიმჭიდროვეა 200,7 კაცი, ქობულეთის რ. – 121,5, ხულოს რ. – 45,4, ქედის რ. – 40,7, შუახევის რ. – 30,8 კაცი.

რეგიონის 339 დასახლებული პუნქტიდან 330 სოფელი, 7 დაბა და 2 ქალაქია (ბათუმი და ქობულეთი). მისი განსახლების ქსელის დღევანდელი სურათი XX ს-ში ჩამოყალიბდა და ორი ძირითადი არეალისაგან შედგება: I. ზღვისპირა (ქ. ბათუმი, ქობულეთის და ხელვაჩაურის რ-ბი), რომელშიც ცხოვრობს 297,7 ათასი კაცი ანუ მთელი მოსახლეობის 81,2% და II. მდ.აჭარისწყლის აუზის ხეობები (ქედის, შუახევის, ხულოს რ-ბი) ანუ შიგა, მთიანი აჭარა, რომლის მოსახლეობის (68,9 ათასი კაცი) ხვედრითი წილია 18,8%.

ისტორიულად აჭარა აგრარული მხარეა და მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს (ცხრ.1). ზღვისპირა აჭარის სოფლები ვაკეზე, გორაკ-ბორცვებსა და მდინარეთა ხეობებშია განლაგებული. შიდა აჭარის მთაგორიან ტერიტორიაზე კი, რომლის სასოფლო განსახლების მთავარ ღერძს მდ.აჭარისწყლის ვიწრო და ღრმა ხეობა წარმოადგენს, სოფლები ძირითადად განლაგებულია არა უშუალოდ მდინარის პირას, არამედ ფერდობებზე, სადაც რელიეფის ზედაპირების დახრილობა მათი განაშენიანების საშუალებას იძლევა. მხარის ეს ნაწილი საქართველოში გამორჩეულია განსახლების სურათის თავისებურებით (სოფლები საკარმიდამო ნაკვეთებითურთ „მერცხლის ბუდეებიანთ" არის შეფენილი ფერდობებზე) და სასოფლო ქსელის სტაბილურობით – დასახლებები განაგრძობენ სიცოცხლეს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ხარჯზე.

რეგიონის I სოფლის საშუალო ხალხმრავლობა 579 კაცია (2000 წ.); ქობულეთის რ-ში – 1098, ხელვაჩაურის – 979, ხულოს – 399, შუახევის – 276, ქედის – 268. ხალხმრავლობის მიხედვით ყველაზე გავრცელებული კატეგორიაა საშუალო სოფელი (201-500 მცხოვრებამდე), რომელთა უმრავლესობა თავმოყრილია ქედის, შუახევის და ხულოს რაიონებში. დიდი და მსხვილი სოფლები მდებარეობს ზღვისპირეთში. მათ შორის უდიდესია (3000 მცხოვრებზე მეტი): ზედა დაგვა, ჩაისუბანი, ხუცუბანი (ქობულეთის რ-ნი), მეჯინისწყალი, ზანაქიძეები (ხელვაჩაურის რ-ნი).

გეოგრაფიულ ასპექტში, მხარე ურბანიზაციის დიდი კონტრასტულობით ხასიათდება. ფაქტობრივად, ურბანიზებულია ზღვისპირეთი, სადაც მდებარეობს ორივე ქალაქი (ბათუმი, ქობულეთი), აგრეთვე საკურორტო და აგროსაწარმოო ფუნქციის მქონე დასახლებები (ჩაქვი – 7,4, ხელვაჩაური 6,9, ოჩხამური – 5,1, მახინჯაური – 3,2 ათასი კაცი, ციხისძირი , მწკანე კონცხი და სხვ.). უაღრესად დაბალია ურბანიზაციის დონე შიგა აჭარაში, სადაც ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელი სამი დაბის (ქედა –1,5, შუახევი – 1,0 და ხულო – 1,1 ათასი კაცი) მცხოვრებთა საერთო რიცხოვნობა (3,6 ათასი კაცი) რეგიონის მთელი ქალაქის მოსახლეობის (175,4 ათასი კაცი) მხოლოდ 2% შეადგენს.

ურბანიზაციის პროცესის და მეურნეობის ბევრი დარგის განვითარება აჭარაში უშუალოდაა დაკავშირებული ბათუმთან, რომელიც საქართველოს ფარგლებში დაბრუნების შემდეგ როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის, ისე დემოგრაფიული ზრდის თვალსაზრისით, მისი ერთ-ერთი მთავარი ქალაქი გახდა. მოხერხებულმა ზღვისპირა მდებარეობამ, სტრატეგიულმა და სანავსადგურო ფუნქციამ, რომლის პინტერლანდი ათასობით კილომეტრიან რადიუსს მოიცავს, არსებითი როლი შეასრულა ბათუმის დიდ პოლიფუნქციურ ქალაქად ჩამოყალიბებაში. 1897-1989 წწ-ში მისი მოსახლეობა 28,5 ათასიდან 136,6 ათას კაცამდე ანუ თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, რამაც არა მარტო მთელ ზღვისპირა ზოლის სუბურბანიზაციას, არამედ საქალაქო აგლომერაციის შექმნას შეუწყო ხელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი ბათუმი („ბათუს" – ძვ. ბერძნულად ღრმა) მდებარეობს ღრმა და ბუნებრივად დაცული ყურის ნაპირას, კახბრის ყაკის ჩრდილოეთ ნაწილში. პირველად მოხსენიებულია არისტოტელესთან. XVIII ს-ში ცნობილი იყო თავისი ციტადელით. ბერლინის ტრაქტატით 1878-1886 წწ.-ში პორტო-ფრანკოდ (რაც უცხოური საქონლის უბაჟოდ შემოტანა-გატანის უფლებას იძლეოდა) გამოცხადებული ქალაქი ეკონომიკურად დაწინაურდა და ზრდა დაიწყო. ხოლო ბაქოსთან რკინიგზით და ნავთსადენით დაკავშირების შემდეგ იგი შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური და სამრეწველო ცენტრი (11 ათასამდე მუშას ითვლიდა) გახდა. XX ს. ბათუმის ისტორიაში თანდათანობით აღმავლობის, მშენებლობის და ლამაზი იერსახის ფორმირების პერიოდია. სიდიდი

საქართველოს მეოთხე ქალაქი (თბილისის, ქუთაისის და რუსთავის შემდეგ) საქალაქო ფუნქციების სიმრავლით თბილისს არ ჩამორჩება, რადგან მას კარგად გამოხატული სატრანსპორტო, მათ შორის სანაესაღგურო, სავაჭრო-საფინანსო, ადმინისტრაციულ-სადედაქალაქო, სამრეწველო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და, განსაკუთრებით, რეკრეაციულ-ტურისტული ფუნქციები გააჩნია. დღეკანდელი ასეთი მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი მიზეზია საბჭოთა პერიოდის ბათუმისათვის დამახასიათებელი სახმელეთო პერიფერიული (ჩიხური) მდებარეობის სატრანზიტოდ გადაქცევა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად მოხდა. კერძოდ, მეზობელ თურქეთთან ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებამ და ქალაქში მიმდინარე აღმშენებლობითმა პროცესებმა ბათუმი უფრო გაალამაზა და მისი კულტურულ-ეკონომიკური გააქტიურება გამოიწვია.

ისტორიულად ბათუმი ინტერნაციონალური და რელიგიური შემწყნარებლობის ქალაქი იყო. ამას ადასტურებს ისეთი მოვლილი და ლამაზი საკულტო ნაგებობები, როგორიცაა ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ტაძარი, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბაბალეს მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი და სხვ. უკანასკნელ წლებში ქალაქი მთელი რიგი საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორი გახდა. სტადიონზე, სპორტის სასახლეში, ცირკში, ჭადრაკის სასახლეში ბევრი თვალსაჩინო შეჯიბრება, ფესტივალი, გამოფენა, კონცერტი იმართება, რაც ბათუმის და მთელი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს ამაღლებს და მათ შემდგომ კულტურულ-ეკონომიკურ განკითარებას ემსახურება.

ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კულტურის, განათლების და სამეცნიერო პროფილის ისეთმა დაწესებულებებმა, როგორიცაა: ი.ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ფილარმონია, რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი (რომელიც შემდგომ საქართველოს ერთ-ერთ თვალსაჩინო უნიკერსიტეტად გარდაიქმნა), საზღვაო სასწავლებლის ბაზაზე შექმნილი სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის განყოფილება, სამხატვრო, მუსიკალური, კულტსაგანმანათლებლო და სხვა პროფილის სასწავლებლები. ქალაქს ამშვენებს ახლახან ევროპული სტანდარტების მიხედვით აშენებული სკოლამდელი აღზრდის სანიმუშო საბავშვო კომპლექსი. 1993 წ. შექმნილ ოპერის თეატრთან ერთად გაჩნდა სხვადასხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები: ხელოვნების ინსტიტუტი, სიმფონიური ორკესტრი, კონსერვატორია, სახელმწიფო კაპელა, ბავშვთა ფოლკლორული ჯგუფი და შემოქმედებითი სტუდიები, მათ შორის ოპერისა და ბალეტის საბავშვო თეატრი და სხვ. უკანასკნელ

წლებში ფრანგული ტრანსეროკნული ტელეკომპანიის დახმარებით ბათუმში შეიქმნა უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი „აჭარის ტელევიზია", რომლის მრავალენოვანი პროგრამაც ბეკერ ქვეყანაში სატელიტური სისტემით გადაიცემა.

ლამაზ ბუნებრივ გარემოში აღმოცენებული ბათუმი სამხრეთევროპული ყაიდის საზღვაო ქალაქია სწორხაზოვანი კვარტალებით, არქიტექტურულად საინტერესო შენობებით, რაც მას განუმეორებელ იერსახეს უქმნის. ამასთან, იგი ქვეყნის მძლავრი საკურორტო-ტურისტული ცენტრია, რაც თბილი შავი ზღვის, ადრინდელი და უკანასკნელ წლებში შექმნილი სასტუმროების და სახკვების ობიექტების ქსელის და ტურისტული ღირსშესანიშნაობების არსებობამ განაპირობა.

საქვეყნოდაა ცნობილი 1967 წ. შექმნილი ბათუმის აკვარიუმი (დელფინარიუმით), რომელშიც 80-მდე სახეობის თევზი და უხერხემლო ფაუნა ბინადრობს. კოლექციის დიდი ნაწილი სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის, აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ავსტრალიის მდინარეების წარმომადგენელია. ქალაქის გარეუბანში (კახაბერი) 1997 წ. შეიქმნა უნიკალური ძაღლთსამენი (14 ჰა), სადაც კავკასიური ნაგაზის ჯიშის განკითარებისათვის სასელექციო სამუშაოები წარმოებს. ქალაქის ერთ-ერთი დიდი ღირსშესანიშნაობაა მისგან 9 კმ-ზე (მწკანე კონცხი) მდებარე ბოტანიკური ბაღი (1912 წ. დააარსა გამოჩენილმა რუსმა გეოგრაფმა და გეობოტანიკოსმა ა.კრასნოვამა), რომელიც სიდიდით (111 ჰა) და ფლორის სიმდიდრით (კოლექცია 5000-ზე მეტი სახეობას, სახესხვაობას, ფორმას და ჯიშს შეიცავს) გამორჩეული იყო საბჭოთა კავშირში. საზღვაო ქალაქის მშვენებაა ეგზოტიკური მცენარეებით შემოსილი სანაპირო ბულვარი, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს. იგი ჩამოსული და ადგილობრივი მოსახლეობის დასვენების, გართობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის, კულტურული ღონისძიებების, საზოგადოებრივი კვების და, რაც მთავარია, საპლაჟო მომსახურების მთავარი კერაა.

შავი ზღვის ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი ქობულეთი (ქალაქად 1944 წ. გამოცხადდა) მდებარეობს ზ.დ. 5 მ-ზე; ბათუმთან დაკავშირებულია რკინიგზით (21 კმ) და შავიზღვისპირა გზატკეცილით (32 კმ), რომელიც ქალაქის 20 კმ-ზე წაგრძელებულ ტერიტორიაზე გადის. მისი დიდი რეკრეაციული ღირსებაა შავი ზღვის სუბტროპიკული ჰავის კომფორტულობა და საუკეთესო ფართო ქვიშიანხრეშიანი 12 კმ სიგრძის პლაჟი, რომელსაც ზოლად ფიჭვნარი მიუყვება. იმ სამკურნალო ეფექტის გამო, რომელიც გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და ნერვული სისტემების დაავადებებზე სასიკეთოდ მოქმედებს, იქ, ჯერ კიდევ 1904 წ. გაჩნდა ცალკე სახლები და ვილები. თუმცა საკურორტო მშენებლობას მხოლოდ 20-იანი წლებიდან მიეცა დასაბამი, როცა მას 1923 წ. კურორტის სტატუსი მიენიჭა და კერძო აგარაკების ბაზაზე პირველი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები გაიხსნა.

შემდგომ წლებში რეკრეაციული რესურსების ათვისებამ და რაიონში სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსები, ტუნგი) ფართოდ დანერგვამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქობულეთის სამეურნეო პროფილი – საკურორტო მეურნეობა და აგროპროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. აშენდა მრავალადგილიანი საუწყებო სანატორიუმები, პანსიონატები, საკურორტო სასტუმრო, 400-ადგილიანი ტურბაზა და სხვ., ამოქმედდა ჩაის, საკონსერვო და ტუნგის ქარხნები, კეთილმოეწყო ქალაქი, რომლის მშვენებაა პარკი. 1926-1959 წწ-ში მოსახლეობა 1,9 ათასიდან 12,6 ათას კაცამდე გაიზარდა. ხოლო 1989 წ. – 20,9 ათას კაცს მიაღწია. 2000 წ. დეკნილ მოსახლეობასთან ერთად იქ ცხოვრობდა 22,3 ათასი კაცი, რომელთა დასაქმების ძირითადი სფეროა საკურორტო-ტურისტული მომსახურება. დღეს ქობულეთი საქართველოს საუკეთესო და ყველაზე პოპულარული საზღვაო კურორტია, რომელსაც განვითარების კარგი მომავალი აქვს.

მეურნეობა. აჭარა ძველი სამეურნეო ტრადიციების მხარეა, რომელმაც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ოსმანთა იმპერიის „ეკონომიკური პოლიტიკის" (მათ შორის თურქული მიწათმფლობელობის, ტყეებით ვაჭრობის, მეკენანეობის შეზღუდვის), რუსული კოლონიალური რეჟიმის და წარმოების სოციალისტური სისტემის უარყოფითი ზემოქმედება განიცადა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გარდამავალი ეკონომიკის რთულ პირობებში, ახალი განვითარების გზებს ეძებს.

მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, შინამრეწველობა ძველთაგანვე კარგად იყო განვითარებული მხარეში.. „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი თჳნიერ (ე.ი. გარდა) ბრინჯ-ბანბისა, ყოველითა მარცვლითა, არს ტყიანი ... კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ყველს – ერთი იქმნების ი (ე.ი. 10), იე (15) და კ (20) ლიტრა, არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი (ე.ი. მოხარშული) კეთილსახ�ar არს" (ვახუშტი, 1997).

„ხის მუშაკთა" – ხუროთა და დურგლების ხელოვნების დამადასტურებელია ხეობაში ხისაგან აშენებული კოხტა და არქიტექტურულად უზადო საცხოვრებელი სახლები, ოსტატურად ორნამენტირებული ავეჯი – ტახტები, აკვნები, სკამ-მაგიდები, ჯამ-ჭურჭელი, რძის პროდუქტების დამამზადებელი ინვენტარი, დაწნული საყოფაცხოვრებო ნივთები (მიმინოშვილი, 1998). განვითარებული იყო მჭედლობა. აკეთებდნენ საბრძოლო იარაღს (თოფებს, დამბაჩებს, ხმლებს, ხანჯლებს, დანებს და სხვ.). განსაკუთრებით ცნობილი იყო ჭოროხის შენაკადის, მაჭახელისწყლის ხეობაში ნაკეთები კაჟიანი თოფი („მაჭახელა"), რომლის დასამზადებელი დაზგა აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

XX ს-ის დამლევს, აგრარული აჭარის ეკონომიკური გააქტიურება ძირითადად ბათუმის სატრანსპორტო-სამრეწველო განვითარებაში გამოიხატა. ხოლო

XX ს-ში. შრომატევადი სუბტროპიკული კულტურების ფართო გავრცელებამ და მათ ბაზაზე გადამუშაკებითი საწარმოების შექმნამ, საკურორტო მშენებლობასა და ბათუმის სამრეწველო პოტენციალთან ერთად, მხარის გამორჩეული სამეურნეო სპეციალიზაცია განსაზღვრა. შრომის საკავშირო გეოგრაფიულ დანაწილებაში რეგიონი წარმოდგენილი იყო როგორც „სუბტროპიკული ინტენსიური სოფლის მეურნეობის და მის ნედლეულზე დამყარებული მრეწველობის, ნავთობის გადამუშავების და მზარდი მანქანათმშენებლობის რაიონი, საზღვაო კურორტებისა და ტურიზმის განვითარებით" (გველესიანი, ...,1962).

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან აჭარაში დაწყებული ინდუსტრიალიზაცია, ძირითადად, ბათუმის სამრეწველო დაწინაურებას უკავშირდება. ამის საფუძველი კი ჯერ კიდევ XIX ს-ში, სანავსადგურო მეურნეობის განვითარების პარალელურად შეიქმნა. მთლიანად აჭარის მრეწველობისათვის დამახასიათებელია ზღვისპირეთის დომინირება (სადაც კვების მრეწველობის ობიექტების უმრავლესობა განლაგდა) და საწარმოთა ძლიერი კონცენტრაცია ბათუმში, რაც ბუნებრივი პირობების, დემოგრაფიული და რესურსული პოტენციალების გეოგრაფიული თავისებურებებითაა განპირობებული.

საბჭოთა პერიოდის მსხვილ საწარმოთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ამოქმედდა 1929 წ.), რომელიც 70 წლის განმავლობაში (მუშაობა შეწყვიტა 1999 წ.) ქვეყნის საჭიროებისათვის აწარმოებდა მაზუთს, საპოხ ზეთს, თხევად გაზს და სხვ.). გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგამდე ქალაქში მოქმედებდა აგრეთვე მანქანათმშენებლობის (გემთმშენებელი, კვების, მათ შორის ჩაის, ღვინის, საკონსერვო, საცხობი მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების, საყოფაცხოვრებო მოწყობილობების, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური ქარხნები), ქიმიურ-ფარმაცევტული (კოფეინის, საყოფაცხოვრებო ქიმიის), ხის დამმუშავებელი, აკეჯის, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო, კვების (ჩაის, ციტრუსების, თევზის, ღვინის, ლუდის, საკონსერვო, თამბაქოს, ხორცის და რძის, უალკოჰოლო სასმელების და სხვ.) მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნები. ამ საწარმოებში მომუშავე 13,9 ათასი კაცის (მხარის მთელი სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 82%) მიერ შექმნილმა პროდუქციამ 1990 წ. აჭარის საერთო მაჩვენებლის 71% შეადგინა (საქართველოს რეგიონების ... 1991).

ბათუმის გარდა, აჭარის მრეწველობის გეოგრაფია წარმოდგენილი იყო შემდეგი დარგებითა და საწარმოებით: ენერგეტიკა („აწჰესი" მდ.აჭარისწყალზე, „მაჭახელ-ჰესი" და სხვ.), ქიმიურ-ფარმაცევტული (ოჩხამურის ტუნგის ზეთსახდელი, ბუკნარის ეთერზეთების ქარხნები), ხე-ტყის (ხულოს, შუახევის, ქედის რაიონებში განლაგებული ხის სახერხი ქარხნები), კვების (ქობულეთის, ჩაქვის, მუხაესტატეს,

ხუცუბნის, სალიბაურის, ხელვაჩაურის, ურეხის, მახოს, გონიოს და სხვ. ჩაის ფაბრიკები, ქობულეთის საკონსერვო, ბუკნარის ხილკენკროვანი ღვინის, კოკოტაურის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები და სხვ.), საშენი მასალების (ორხამურის, შუახევის, ურეხის აგურის ქარხნები, კახაბერის ბლოკების საწარმო და სხვ.).

90-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა, მეურნეობის სოციალისტური სისტემის მოშლასთან ერთად, ძველი სანედლეულო და გასაღების ბაზრების დაკარგვა და ქვეყნის მრეწველობის დაქვეითება გამოიწვია. ამასთან, სამრეწველო პროდუქციის მოცულობის და ასორტიმენტის შემცირება რეგიონებში და, მათ შორის, აჭარაშიც, საწარმოთა ტექნიკური ჩამორჩენილობით და ნაწარმის დაბალი კონკურენტუნარიანობით უნდა აიხსნას.

აღნიშნული არასახარბიელო ვითარების მიუხედავად, აჭარამ, რომელსაც ნაკლებად შეეხო სამოქალაქო დაპირისპირება და ომი, უფრო მიზნობრივად და აქტიურად უნდა წარმართოს სამრეწველო განვითარება. ენერგეტიკული დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, ქობულეთის მახლობლად, ს.გვარას მიდამოებში დაწყებულია თბოსადგურის მშენებლობა, რომლის პირველი ეტაპი 75 მეგავატის სიმძლავრეს ითვალისწინებს. მხარის პიდროპოტენციალის გამოყენების ხარჯზე მცირე პესების ფართო ქსელის შექმნა ასევე პერსპექტიული და საკსებით შესაძლებელია.

მანქანათმშენებლობის მთავარი საწარმო – გემთმშენებელი ქარხანა, რომელიც ადრე მცირე სიმძლავრის კომფორტაბელურ წყალქვეშა ფრთიან კატარღებს და ნავებს უშვებდა, ამჟამად გადასულია თანამედროვე ტიპის სწრაფმავალი კატარღების გამოშვებაზე, რადგან ქვეყანაშიც და უცხოეთშიც მასზე მოთხოვნილება არსებობს. სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მეორე პერსპექტიული საწარმოს – ამერიკული ტექნოლოგიით აღჭურვილი საავიაციო ქარხნის მშენებლობა ბათუმის აეროპორტის მასლობლად მიმდინარეობს. სამხრეთ კავკასიას ეს ერთადერთი მცირე ავიაციის საწარმო გამოუშვებს მცირეგაბარიტიან (2-, 4- და 8-ადგილიან) თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს. მათ დიდი გამოყენება ექნებათ მთიან რაიონებში ფოსტის და მგზავრების ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე სასაზღვრო, საპოლიციო, საბაჟო, სამედიცინო, საგანგებო სიტუაციების და სხვა სამსახურების ოპერატიულ საქმიანობაში.

ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის შემცირების მიუხედავად (შეწყდა კოფეინის წარმოება), სადაც ამჟამად სამკურნალო მცენარეთა გადამუშავების გზით ამზადებენ პლატიფილინის პრეპარატს (ხარისშუბლასაგან) და ალოეს წვენის ექსტრაქტს, საწარმოს განვითარების კარგი შესაძლებლობები გააჩნია. საგრძნობლად შემცირდა ბათუმში მსუბუქი მრეწვე-

ლობის ადრე წამყვანი საწარმოების: ტყაკის ქარხნის, ტყაკ-ფეხსაცმლის ფაბრიკის და სამკერვალო გაერთიანების პროდუქციის მოცულობა.

ხე-ტყის მრეწველობა მხარეში ყველაზე გავრცელებული დარგია. ხის მერქნის დამზადება და მექანიკური დამუშავება ყველა რაიონში ხდება. 40-მდე სახერხი ქარხნიდან სიდიდით გამოირჩევა: ბათუმის, მახუნცეთის, შუახევის, წელათის, ნაღვარევის, გოგინაურის, ბაკოს, ტაბახმელას საწარმოები. ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის ძირითადი პროდუქციაა აკეჯი; მზადდება აგრეთვე ხის სამშენებლო მასალა. ქალაქის ერთ-ერთი უძველესი (ამოქმედდა 1928 წ.) საწარმოს – ბამბუკის აკეჯის ქარხნის ორიგინალური პროდუქცია საქკეყნოდ ცნობილია და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მთავარი სანედლეულო პრობლემაა ბამბუკი, რომლის გადაწყვეტა პლანტაციების უფრო ფართოდ გაშენების გზით უნდა მოხდეს.

აჭარამი სამშენებლო სამუშაოების გააქტიურების თანმდევ მოკლენად საშენი მასალების მრეწველობის განვითარება უნდა ჩაითვალოს. ბათუმის სახლთმშენებელი კომბინატი ამზადებს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, სამშენებლო ბლოკებს. ქალაქში შეიქმნა აგრეთვე თერმოპლასტიკური ბლოკების წარმოება. მათ წარმატებით იყენებენ მხარის სამშენებლო ობიექტებზე. შექმნილია მოსაპირკეთებელი ფილების რამდენიმე საწარმო, სადაც სხვადასხვა ზომის, ფორმის და დიზაინის ფილები მზადდება.

კვების მრეწველობა, როგორც მხარის სპეციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი დარგი, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებაზე და ბაზრის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. საბჭოეთის დიდი ეკონომიკური სივრცის დაშლის გამო ისიც დაქვეითებას განიცდის. მაგალითად, 1999 წ. ჩაის მრეწველობამ გამოუშვა 1134,9 ტ ჩაი (აჭარა ციფრებში, 2000) ანუ 13-ჯერ ნაკლები, ვიდრე XX ს. 70-იან წლებში (ყოველწლიურად უშვებდნენ 15 ათას ტ), როცა ქართული ჩაის ხარისხი ჯერ კიდევ არ იყო კატასტროფულად გაუარესებული. ასევე დიდად შემცირდა თამბაქოს, საკონსერვო, ხორცისა და რძის, ღვინის და კვების მრეწველობის სხვა დარგების მიერ გამოშვებული პროდუქცია. მცირე დატვირთვით მუშაობს ისეთი ცნობილი საწარმოები, როგორიცაა ბათუმის საფერმენტაციო და თამბაქოს ქარხნები (პროდუქციაა უფილტრო „პრიმა" და „ასტრა"), ბათუმის ციტრუსკომბინატი, აგრეთვე ქობულეთის საკონსერვო კომბინატი, ბათუმის რძის, ბათუმის და ქედის ღვინის, შუახევის ხილის წვენების ქარხნები და სხვ. მათ შორის ახალი ტექნიკური აღჭურვილობით და პროდუქციის კარგი ხარისხით გამოირჩევა ბათუმის ლუდის ქარხანა (დაარსდა 1951 წ.), რომლის საფირმო პროდუქციაა ლუდი „ბათუმური". იტალია-საქართველოს ერთობლივი ხმელი ხილის და საკონდიტრო საწარმოს „ბესანა და ჯორჯიას" (1997 წ.) საექსპორტო პროდუქციაა თხილი და მისგან დამზადებული ტკბილეული. ქედის რ-ში წარმოებს მინერალური წყლის „კოკო-

ტაურის" ჩამოსხმა. პერსპექტიულია აგრეთვე შუახევის („უჩამბა", „ბაბანაური") და ხულოს („ხიხაძირი") რაიონების მინერალური წყაროების სამრეწველო ექსპლოატაცია.

სოფლის მეურნეობა აჭარის ეკონომიკის ტრადიციული და წამყვანი დარგია, რომლის თანამედროვე სამეურნეო პროფილი XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. მისი სპეციალიზაცია, განპირობებული ბუნების თავისებურებებით (ჰავა, რელიეფი, ნიადაგები), ძირითადად წარმოდგენილია სუბტროპიკული მიმართულების დარგებით (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა) და მეცხოველეობით. ტერიტორიის დიდ ნაწილში არსებული რთული და დანაწევრებული რელიეფის გამო, აჭარა უაღრესი მცირემიწიანობით (1 მცხოვრებზე საშუალოდ მოდის 0,19 ჰა სასოფლო-სამეურნეო საკარგული) ხასიათდება, რაც თითქმის 3-ჯერ ნაკლებია საქართველოს თავისთავად მეტად დაბალ საშუალო მაჩვენებელზე. გაცილებით მცირეა აჭარაში დამუშავებული მიწები (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) სოფლის 1 მუდმივ მცხოვრებზე – 0,086 ჰა, რომელთა საერთო ფართობი (18,3 ათასი ჰა) აუტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მხოლოდ 6,4% და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 27,1% შეადგენს. დიდია შიდარეგიონული სხვაობები. ზღვისპირა რაიონებზე (ქობულეთის, ხელვაჩაურის) მოდის დამუშავებული მიწების 62,2% (სადაც განლაგებულია მრავალწლიანების მთელი სამხარეო ფართობის 96%), ხოლო მთიან რაიონებზე – 37,8% (სადაც მნიშვნელოვნად ჭარბობს სახნავი). ამ ქვერეგიონში მიწათმოქმედება მეტად გართულებულია მიწის ნაკვეთების ზედაპირების დახრილობის (მრავლად გვხვდება 30-35° დახრილობის მქონე ფერდობებზე დამუშავებული ნაკვეთები) და წყრილკონტურიანობის გამო.

აშკარად არის გამოხატული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობების შემცირების ტენდენცია, უმთავრესად გამოწვეული გახშირებული სტიქიურ-ბუნებრივი პროცესებით (ეროზია, თავსხმა წვიმები, აბრაზია, მეწყერი, ზვავი). უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები შემდეგნაირად იცვლებოდა: 1960 წ. იგი შეადგენდა 86,8 ათას ჰა-ს ანუ მხარის ტერიტორიის 30,2%, 1975 წ. – 79,1 ათასს (27,5%), 1990 წ. – 74,9 ათასს (26,0%), 2000 წ. – 67,7 ათას ჰა-ს (23,6%). 1975-2000 წწ-ში სათიბ-საძოვრების ფართობის შედარებით მცირე მატების ფონზე საგრძნობლად შემცირდა სახნავი (35,2%-ით) და მრავალწლიანი ნარგაევების (52,9%-ით) ფართობები.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეჩაიეობა, რომელიც განვითარებულია ქობულეთის, ხელვაჩაურის და, ნაწილობრივ, ქედის რაიონებში, ძირითადად დაბლობსა და გორაკ-ბორცვიან ზოლში, წითელმიწა, ყვითელმიწა და ეწერ ნიადაგებზე. როგორც მთელ ქვეყანაში, ისე აჭარაშიც, ჩაის წარმოება დიდად შემცირდა და ხარისხობრივად გაუარესდა, რაც გამოწვეულია პლანტაციების

დაბერებით, მეჩხერიანობის ზრდით, აგროტექნიკური ღონისძიებების დაქვეითებით და სხვა მიზეზებით. თუ 1990 წ. აჭარაში მოკრეფილმა ჩაის ფოთოლმა (53,8 ათასი ტ) საქართველოში მიღებული მოსავლის (465,6 ათასი ტ) 11,6% შეადგინა, 1999 წ. 7.3-ჯერ ნაკლები (7326 ტ) მოიკრიფა. საქართველოს მიმართ მისი ხვედრითი წილი (12,1%) გაზარდა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, ქვეყნიდან აფხაზეთის საშეურნეო გამოთიშვის შედეგია. აჭარის ამ ტრადიციული დარგის აღორძინებას სახელმწიფოს ხელშეწყობა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სჭირდება.

ციტრუსები მხარის ძველთაგანვე ცნობილი და გამორჩეული სუბტროპიკული ხილია. რომელიც XX ს-ში აგროსპეციალიზაციის წამყვან კულტურად ჩამოყალიბდა. მისი ნარგაკები 1913 წ-დან (262 ჰა) 1999 წ-მდე (7848 ჰა) თითქმის 30-ჯერ გაიზარდა. პლანტაციები განლაგებულია ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში, ძირითადად ყინვისა და ქარისაგან უფრო დაცულ გორაკ-ბორცვებზე (ზ.დ. 350-400 მ-მდე). ციტრუსებს შორის, რომლებიც მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, წამყვანია მანდარინი (85%). ფართოდაა გავრცელებული იაპონური ჯიში „უნშიუ". იგი საუკეთესო საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა და დსო-ისათვის საიმპორტო პროდუქტია. აჭარა ქართული ციტრუსების მთავარი მწარმოებელია (1999 წ. მოსავალმა 45,5 ათასი ტ ანუ ქვეყანაში აღებული მოსავლის 81,2% შეადგინა). მაგრამ პროდუქციის სარეალიზაციო ბაზარზე გატანა პოსტსაბჭოთა სივრცის არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო საკმაოდ გაძნელებულია.

საყოველთაოდ გავრცელებული დარგია მებაღეობა. მისდევენ როგორც კონტინენტურ (თესლოვნებიდან – ვაშლს, მსხალს; კურკოვნებიდან – ქლიავს, ტყემალს, ბალს, ალუბალს; ასევე კაკლოვანსა და კენკროვნებს), ისე სუბტროპიკულ (ხურმა, ლეღვი, ბროწეული, ფეიჰოა, ზღმარტლი და სხვ.) მეხილეობას. მათ შორის განსაკუთრებით რენტაბელურია კაკალი და თხილი. ვენახების ფართობის დიდი ნაწილი მოდის ქედის რაიონზე, სადაც ვაზის ძირითადი ჯიშია „ცოლიკაური". ხოლო მაღლარი ვენახის გავრცელების ზღვა ზღვარი ზ.დ.1200 მ აღწევს.

ტექნიკური კულტურებიდან სპეციალიზაციის დარგია მეთამბაქოეობა, რომელმაც სასაქონლო მნიშვნელობა მხარის საქართველოსთან შეერთების შემდეგ შეიძინა. გავრცელებულია „სამსუნის" და „ტრაპიზონის" ჯიშები, რომლებიც განსაკუთრებით კარგად ხარობს მთიან აჭარაში, მდ.აჭარისწყლის ხეობაში ზ.დ. 500-1200 მ ჰიფსომეტრიულ ზონაში. უკანასკნელ პერიოდში თამბაქოს გაძლიერებულმა იმპორტმა მნიშვნელოვნად აზარალა საქართველოს თამბაქოს მრეწველობა, რაც უარყოფითად აისახა მისი ერთ-ერთი მთავარი სანედლეულო ბაზის – აჭარის ეკონომიკურ მაჩვენებლებში. 1986-1999 წწ-ში იქ 8-9-ჯერ და მეტად შემცირდა თამბაქოს პლანტაციების ფართობები და მოსავალი. თამბაქოს გარდა, მხარის

უნიკალური ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ისეთი კულტურების გაკრცელებას, როგორიცაა ტუნგი, დაფნა, ბამბუკი.

ძირითადი მარცვლეული კულტურა სიმინდია, რომელიც ლობიოსთან ერთად, ყველა რაიონშია გაკრცელებული. სიმინდის საშუალო მოსავლიანობით (24,3 ც/ჰა), აჭარა დასავლეთ საქართველოს მხარეებს შორის 1999 წ. პირველი იყო. მებოსტნეობას ყველგან მისდევენ, თუმცა ფართობის სიმცირის (723 ჰა) გამო პროდუქციის (კომბოსტო, ჭარხალი, პამიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, ხახვი, მწვანილი და სხვ.) მოცულობა ადგილობრივ მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებს. კარგი ხარისხითაა ცნობილი ქედის რაიონის პამიდორი. მთიანი რაიონების და განსაკუთრებით, ხულოს რ-ნის წამყვანი დარგია მეკარტოფილეობა, რომლის პროდუქცია გამოირჩევა გემოთი და მოსავლიანობით. მებოსტნეობის განვითარებას აჭარაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ახალი ბოსტნეულით ყოველდღიური მომარაგება, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ზღვისპირა საკურორტო ზონაში ჩამოსულ მრავალრიცხოვან დამსვენებლებს სჭირდება.

მეცხოველეობა მხარის ძველი ტრადიციული დარგია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთიანი აჭარის ეკონომიკაში, რაც სასოფლო-სამეურნეო საკარგულებში სათიბ-საძოვრების (განსაკუთრებით საძოვრების) დომინირებით არის განპირობებული. ამ მიწების ხვედრითი წილი შუახევის – 90,5%, ხულოს – 88,4%, ქედის – 72,2%, ხოლო ზღვისპირა ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებში, შესაბამისად, 40,0% და 25,8% შეადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაზე (111,8 ათასი სული) ქვეყანაში არსებული საერთო სულადობის 10,5% (მათ შორის ძროხებსა და ფურკამეჩებზე 9,5%) მოდის. ამ მაჩვენებლით აჭარა მხოლოდ იმერეთს, სამეგრელოს და ქვემო ქართლს ჩამორჩება. მხარის საერთო სულადობის 72,9% მთიან აჭარაშია (მათ შორის ხულოს რ-ში – 39,4%) თაკმოყრილი, სადაც სახორცე-სარძეო მიმართულების მესაქონლეობა და პირუტყვის შენახვის ბაგურ-საძოვრული ფორმები ჭარბობს. ზღვისპირა აჭარაში კი სარძეო-სახორცე მიმართულება ბაგურ კვებაზეა დაფუძნებული, მაგრამ საკვების დეფიციტი ხელს უშლის საკურორტო ზონისათვის აუცილებელი საგარეუბნო მესაქონლეობის ინტენსიურ განვითარებას.

ცხვრისა და თხის მოშენებას უპირატესად ხულოს, შუახევის და ხელვაჩაურის რ-ში მისდევენ, სადაც მათი სულადობის ხვედრითი წილი მხარის მაჩვენებელში 89,7%-ია. ადგილობრივ ჯიშებთან ერთად გაკრცელებულია იმერული ცხვარი და მეგრული თხა. ს.ანგისაში (ხელვაჩაურის რ-ნი) შექმნილია სპეციალიზებული მეურნეობა, სადაც გერმანული ჯიშის მაღალპროდუქტიულ თხებს აშენებენ. მეფრინველეობის ფაბრიკების მოშლის შემდეგ ქათმისა და ინდაურის მოშენება კერძო მეურნეობებსა და სოფლის ოჯახებში ხდება.

მეფუტკრეობა, რომელსაც ყველა რაიონში მისდევენ, აღორძინებადი დარგია. სკების განლაგება, როგორც ციტრუსების პლანტაციების, ისე მთიანი აჭარის ფლორისტიკულ არეალში, ინდივიდუალურ საოჯახო მეურნეობებს განსხვავებული გემოს, არომატის და სამკურნალო თვისებების მქონე თაფლის წარმოების საშუალებას უქმნის. შავი ზღვა აჭარის თევზის მეურნეობის ძირითადი ბაზაა. თევზჭერის სპეციალიზებული მეურნეობის სეინერები საზღვაო უბნებში წინა წლებთან შედარებით შემცირებული რაოდენობის ქაფშიას, სტავრიდას და სხვა სარეწაო თევზს იჭერენ. კერძო საგუბურე მეურნეობები (ხელვაჩაურის და ქობულეთის რ-ში) აშენებენ თევზებს (მათ შორის ამერიკულ კალმახს), რომლებიც ზღვისპირეთის დაძსკენებლებს, ტურისტებს და ადგილობრივ მოსახლეობას ნედლი სახით მიეწოდებათ.

ტრანსპორტი – აჭარის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი და წარმმართველი დარგია, რომლის მეურნეობა და საგზაო ქსელი ძირითადად XIX ს. 80-იან წლებში ჩამოყალიბდა. ზღვისპირა მდებარეობამ, ბათუმის უბის არსებობამ და ბაქოს ნავთობის ევროპაში მოკლე გზით გატანის ეკონომიკურმა მიზანშეწონილობამ, რეგიონში საზღვაო, რკინიგზის და მილსადენი ტრანსპორტის განვითარება განაპირობა. XX ს. 60-იანი წლებიდან, მხარის ეკონომიკურმა აღმავლობამ და განსაკუთრებით, საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო რაიონად გადაქცევამ, დიდად შეუწყო ხელი საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის განვითარებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთთან სასაზღვრო მდებარეობამ ახალი შინაარსი შეიძინა. ადრე სახმელეთო ჩიხური მდებარეობის მქონე აჭარა საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირებში ჩართულ მხარედ იქცა. საკარაუდოა, რომ მისი აქტიური სატრანსპორტო როლი კაკკასიაში მშვიდობიან და სტაბილურ სიტუაციაში კიდევ უფრო გაიზრდება.

აჭარის სატრანსპორტო ქსელის სისტემას ორი მთავარი ღერძი გააჩნია. კომუნიკაციების ერთი არტერია (ბათუმი–თბილისის რკინიგზის 35 კმ-იანი უბანი, ფოთის, სამტრედიის და სარფისკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალის მონაკვეთები, ნავთობ- და გაზსადენები) ჩრდილოეთიდან სამხრეთით, თითქმის საზღვაო სანაპიროს გასწვრივ, მერიდიანულად არის მიმართული. ხოლო მეორე სატრანსპორტო ღერძი – ბათუმის ახალციხესთან დამაკავშირებელი 125 კმ-იანი საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც ძირითადად მდ.აჭარისწყლის ხეობას მიუყვება, მას პერპენდიკულარულად კვეთს.

რეგიონის სატრანსპორტო კვანძი ბათუმი – თავისი ბუნებრივი ნავსაყუდელით, საავტომობილო, სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლით და ევრაზიის მასშტაბის საეაჭრო-სტრატეგიული დანიშნულებით, შავი ზღვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნავსადგურია, რომლის თანამედროვე ტვირთბრუნვის მოცულობა დიდად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკასა და „ტრასეკა"-ს ფუნქციონირებაზე. პორტი უნი-

ეერსალური ტიპისაა და სხვადასხვა სახის (თხევადი, მშრალი) ტვირთის გაგზავნა-მიღება შეუძლია. საექსპორტო ტვირთებიდან აღსანიშნავია ციტრუსები, ხილი, ნავთობი, ბამბა და სხვ., იმპორტულიდან – მარცვლეული, ფქვილი, შაქარი, ხეტყე, მანქანა-მოწყობილობები და სხვ. ზღვით მგზავრების გადაყვანა წინანდელთან შედარებით უმნიშვნელოა.

საზღვაო ტრანსპორტის მსგავსად, რკინიგზაც, ძირითადად ტვირთების გადაზიდვას ემსახურება. მაღალი სიჩქარით და კომფორტულობით გამოირჩევა თბილისი–ბათუმის ექსპრესი, რომელიც მანძილს 6 საათში გადის. მგზავრთა გადაყვანაში წამყვან როლს სააუტომობილო ტრანსპორტი ასრულებს, რომლის საგზაო ქსელი დაახლოებით 2100 კმ (მათ შორის 232 კმ მაგისტრალურია) შეადგენს. გზების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობისაა და სოფლებს ერთმანეთთან და რაიონულ ცენტრებთან აკავშირებს. მთიანი აჭარის რთული რელიეფის გამო სოფლების დიდი ნაწილი ერთმანეთისაგან იზოლირებულად არის განლაგებული, რაც სატრანსპორტო კავშირებს (განსაკუთრებით ზამთრობით) მეტად აძნელებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გზების ტექნიკურ მდგომარეობას, მათ შორის კაპიტალური ხიდების მშენებლობას, რომელიც მხარეში მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთი ხიდი 1998 წ. აშენდა ს.ნაღვარევთან (შუახევის რ-ნი) მდ.გიდელასწყალზე, რომელმაც ასეულობით მეურნე ოჯახი საზაფხულო საძოვრებთან დააკავშირა.

ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი საგვირაბო-საგზაო მშენებლობა დაიწყო 2001 წ. შავიზღვისპირეთის სააუტომობილო ტრასის ბათუმ-ქობულეთის მონაკვეთზე, სადაც მთაგორიანი რელიეფის გამო სატრანსპორტო მოძრაობა მეტად ნელი და გართულებული იყო. მშენებლობის დასრულების შემდეგ გვირაბები 5 კმ-ით შეამოკლებენ გზას და ორ ქალაქს შორის მანძილის გავლას 1 საათის ნაცვლად დაახლოებით 15 წუთი დასჭირდება. ამასთან, ტექნიკურად გამართული და გაფართოებული გზატკეცილი საქართველოს და თურქეთს შორის მსხვილგაბარიტიანი სატვირთო, სამგზავრო და მსუბუქი აუტოტრანსპორტის შეუფერხებელ და სწრაფ მოძრაობას შეუწყობს ხელს.

ტრანსპორტის სხვა სახეობებიდან უძველესია მილსადენი, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წ. ბაქოდან ბათუმამდე ნავთის გადაქაჩვის მიზნით გაიყვანეს. 1931 წ. იგი ნავთობსადენად გადაკეთდა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ნედლი ნავთობით ამარაგებდა. ნავთობსადენის ახალი ხაზი სამგორი-ბათუმი 1980 წ. ამოქმედდა, 1997 წ. კი ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენის განშტოება ქობულეთში შემოვიდა.

ბათუმის აეროპორტი აკიარეისებით არის დაკავშირებული თბილისთან და რუსეთის (მოსკოვი, მინერალური წყლები), უკრაინის (კიევი, ოდესა) ქალაქებთან. მომავალში დაგეგმილია მისი რეკონსტრუქცია და საჰაერო კავშირების გაფართოება. ბათუმიდან ტროლეიბუსი დადის ხელვაჩაურსა და მახინჯაურში. საქართველოში

ერთ-ერთი უგრძესი (1,9 კმ) საბაგირო კიდული გზა ხულოსა და ს.თაგოს შორის 1986 წ. ამოქმედდა.

რეკრეაციული მეურნეობა აჭარის შესანიშნავი ბუნებრივი პირობების ბაზაზე აღმოცენებული და კარგად განვითარებული დარგია. თბილი ზღვა (ზაფხულში წყლის ტემპერატურაა 24°), საუცხოო ქვიშიანი პლაჟები, სუბტროპიკული ჰავა და ეგზოტიკური მცენარეულობა ჯერ კიდევ XX ს. დამდეგს იქცევდა დამსვენებელთა ყურადღებას. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მხოლოდ ციხისძირში ასამდე აგარაკი და 2 სასტუმრო იყო, ხოლო მთელი მხარის საზღვაო კურორტებზე ყოველწლიურად 5 ათასამდე ადამიანი ისვენებდა (კობახიძე, 1962). 1940 წლისათვის აჭარაში უკვე შექმნილი იყო საკურორტო დაწესებულებათა მთელი ქსელი, რომლის სიხშირე და დამსვენებელთა რაოდენობა ომის შემდგომი წლებიდან სისტემატურად იზრდებოდა. 1985 წ. მონაცემებით, 25 საკურორტო დაწესებულებამ (2150 საწოლის ტევადობით) 109 ათასი დამსვენებელი და 5 ტურისტულმა ბაზამ (7061 საწოლი) 131,3 ათასი ტურისტი მიიღო (Грузия 2000, 1987). მათ გარდა, ბათუმში, ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ჩაქვში, მახინჯაურსა და ზღვისპირა სოფლებში ათი ათასობით არაორგანიზებული ტურისტი ისვენებდა. ამავე დროს, თითქმის გამოუყენებელი იყო მთიანი აჭარის რეკრეაციული რესურსები, სადაც მხოლოდ ზაფხულობით ერთი მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბეშუმი (ხულოს რ-ნი) ფუნქციონირებდა.

XX ს. 90-იან წლებში აფხაზეთის მძლავრი საკურორტო-ტურისტული მეურნეობის გაჩანაგების შემდეგ, აჭარა საქართველოს მოსახლეობის საზღვაო დასვენების მთავარი რეგიონია. დსთ ქვეყნებთან ძველი სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების შესუსტების გამო, რასაკვირველია, მხარეში ჩამოსულ დამსვენებელთა საერთო რიცხოვნობამ იკლო. რეკრეაციის სფეროში კერძო სექტორის აქტიურად ჩართვამ აამაღლა მომსახურების ხარისხი და კურორტების შემდგომ განვითარებას შეუწყო ხელი. მოკლე დროში აშენდა ტურისტული სასტუმროები, კაფე-რესტორნები, შეიქმნა ტურისტული კომპლექსები და პანსიონატები, რომელთა მომავალი საქმიანობა, წარმართული მხოლოდ საღი კონკურენციის პირობებში, მათი პოპულარობის და რეკრეანტების რაოდენობის განმსაზღვრელი იქნება.

ღირსშესანიშნაობები. აჭარა, მთავარი ტურისტული რესურსის – შავი ზღვის გარდა, მდიდარია სხვა ბუნებრივ-ტურისტული ღირსშესანიშნაობებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთიან ნაწილშია განლაგებული და შედარებით მცირედ არის ათვისებული. წიწვიანი ტყეებით გარშემორტყმული ბეშუმი, ყოფილი საბჭოთა კავშირის „ნალექების პოლუსად" მონათლული მტირალას მთის მიდამოები (ცისკარა), ოფიციალურად აღიარებული საკურორტო ადგილები (კოკოტაური,

ტომაშეთი, ნამონასტრეული, ბოლაური და სხვ.) და საგარაკო სოფლები (გოგოძეები, რიყეთი, ხინო, დიდაჭარა, გელაურა და მრავალი სხვა) სათანადო სატრანსპორტო და ეკონომიკური პირობების შექმნის შემთხვევაში არსებითი რეკრეაციული პოტენციალის მატარებელია.

ქობულეთის რაიონში მდებარეობს კინტრიშის ნაკრძალი, რომელიც მესამეული ხანის კოლხური ტიპის ფლორისა და ფაუნის დასაცავად 1959 წ. შეიქმნა. ამ რელიეფურად რთულ და ზ.დ. 500-2000 მ .ნიფსომეტრიულ სახღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე (ფართობი – 7166 .ა) შემონახულია მრავალი ენდემური და რელიქტური სახეობა. კოლხეთის დაცული ტერიტორიების სისტემაში შემავალ ქობულეთის ახალშექმნილ ნაკრძალთან ერთად, კინტრიშის ნაკრძალი მნიშვნელოვანი ეკოტურისტული ობიექტი შეიძლება გახდეს.

ჭოროხის აუზი და აჭარის ზღვისპირეთი მდიდარია უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლებით. ასევე ცნობილია, რომ I საუკუნეში ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში აჭარიდან დაიწყო. მაგრამ ოსძალთა ბატონობის შედეგად ეკლესიების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შემორჩა. მათ შორის გამორჩეულია ს.ყინჭაურში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – სხალთის ეკლესია (XII ს.). ს.დიდკაკესთან (ქობულეთის რ-ნი) არსებობს ნინოწმინდის საყდარი, ხოლო ქედის რ-ში – ზესოფლისა და ნამონასტრეული შუა საუკუნეების ეკლესიების ნანგრევები.

სამაგიეროდ, დიდი რაოდენობით გვხვდება რეგიონში ძველი საფორტიფიკაციო და .ინდროსაინჟინრო ნაგებობები – ციხეები და ხიდები. განსაკუთრებით ცნობილია შავი ზღვის ნაპირზე, მდ.ჭოროხის შესართავთან განლაგებული გონიოს ციხე და ციხისძირში შემორჩენილი ისტორიული ციხე-ქალაქის პეტრას ნაშთები. ასევე უნდა აღინიშნოს თამარის (ბათუმთან), ელიას (ს.აჭყისთავთან), მამუკას (ს.ალამბართან), ხიხანის, ოქროპილაურის, დარჩიძეების, შუახევის, ტაკიძეების, ნიგაზეულის, ხიჭაურის და სხვა ციხეები. აჭარა გამოირჩეულია შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდებით (მახუნცეთის, წონიარისის, დანდალოს, კინტრიშის, ეარჯანაულის, ზამლეთის, ჭყანას, ჩაქუნეთის, უჩხოს და სხვ.).

ლიტერატურა

აბდალაძე ო., გობეჯიშვილი რ., ნახუცრიშვილი გ., ნეიძე ვ. ხეკი. თბ., 1998.

ალექსიშვილი ა. განათლების სისტემა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №26, თბ., 1999.

ამაღლობელი დ. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №14, თბ., 1998.

ანთაძე კ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV. თბ., 1961.

ასათიანი ნ. კახეთის სამეფო. ქსე. ტ.V, თბ., 1980.

ასლანიშვილი ი. მთასვლა-მგზავრიანობა საქართველოში. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბე, №8, ტფ., 1924.

ასლანიშვილი ი. აფხაზეთის სვანეთში. ტფ, 1933.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1993-1997 წლებში. სტატ. კრებული. თბ., 1998.

აჭარა ციფრებში. ბათუმი, 2000.

ბარბაქაძე გ. ექსპორტის მხარდაჭერა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №20, თბ., 1999.

ბერიტაშვილი ბ. ენერგეტიკა. საქართველოს პირველი ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციაზე. თბ., 1999.

ბოკერია მ., დორეული ნ., ხუხუნაიშვილი ლ. რაჭა-ლეჩხუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი. წიგნში: „რეგიონული გეოგრაფია". თბ., 1991.

ბოკერია მ., ნეიძე ვ. მახარაძე–ლანჩხუთის ქვერაიონის მრეწველობის განვითარება და განლაგება. მახარაძე–ლანჩხუთის ქვერაიონის (გურიის) ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1964.

განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში. სტატ.კრებული. თბ., 1998.

გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები. თბ., 1997.

გელეგანიძე მ. ვაჭრობის განვითარება საქართველოში 1991-1995 წლებში. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ.I, თბ., 1996.

გვასალია ჯ. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბ., 1983.

გკასალია ჯ. ხადის ხეობა. თბ., 1983.

ბეელესიანი გ., ნეიძე ჯ. აჭარის ასსრ ზოგადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. აჭარის ასსრ. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX. თბ., 1962.

გოზიტაშვილი თ., შენოი ბ. რეგიონალური სათბობ–ენერეტიკული რესურსები და კასპიის ნავთობის ექსპორტის შესაძლო მარშრუტები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №13, თბ., 1998.

გრიგოლია გ., კერესელიძე დ., ხმალაძე გ. საქართველოს მთის მდინარეების ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივა. სამეცნიერო კონფერენციის „მთები – ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე (მდგრადი განვითარების პრობლემები)" მასალები, თბილისი-მცხეთა-გუდაური, 2000.

გუგუშვილი ო. საქართველოს ადამიანები. რესურსული პოტენციალი – XXI საუკუნე (იბეჭდება).

გუგუშვილი თ. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები (1990-1998 წლები). თბ., 1998.

გუგუშვილი პ. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური მდგომარეობა XIX-XX სს. ტ.IV, თბ., 1965.

დიასამიძე დ., ნიჟარაძე ნ. აჭარის ასსრ. თბ., 1967.

დიდებულიძე ა. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში. პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 1997.

ელიავე ც. ხალხთმოსახლეობის ცვლილება კლასებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით. ჟურნალი "ეკონომისტი", №5, 1983.

ერისთავი ე., ჩიმახიძე დ., ცინცაძე პ. ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები. წიგნი I, თბ., 2000.

ვადაჭკორია შ., უშყერიძე გ., ჯალიაშვილი ვ. საქართველოს სსრ კურორტები. თბ., 1987.

ყანიშვილი შ., ყანიშვილი ჯ. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის დასავლური გამოცდილება და ჩვენი ორიენტირები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. III, თბ., 1997.

ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.

ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია:

აფხაზეთის ასსრ. ტ. XVI. თბ., 1961.

აჭარის ასსრ. ტ. XIX. თბ., 1962.

გარე კახეთი. ტ. XII. თბ., 1955.

ზემო იმერეთი. ტ. XI. თბ., 1959.
რაჭა-ლეჩხუმი. ტ. XV. თბ., 1961.
სამცხის რაიონი. ტ. V. ნაკვ.2. თბ., 1950.
ქვემო იმერეთი. ტ. XIII. თბ., 1960.
ქვემო ქართლი. ტ. IX. თბ., 1956.

ზვიადაძე გ. საქართველოს ფერადი მეტალების წიაღისეულის მეტალურგიული ციკლით გადამუშავების ამოცანები. საქართველოს საინვესტიციო პრობლემები: მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 1998.

ზონენაშვილი ჟ. საქართველოს მიწის რესურსები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №16, თბ., 1998.

ზონენაშვილი ჟ. სოფლის მეურნეობა. წიგნში „სამეგრელო". ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები). თბილისი-ზუგდიდი, 1999.

თაბუაშვილი გ. საქართველოს სატრანსპორტო სისტემა (საავტომობილო გზები და ავტოტრანსპორტი). საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №15, თბ., 1998.

თალაკვაძე ლ. პირველადი სამედიცინო პროფილაქტიკური დახმარების რეფორმის ზოგიერთი ასპექტი. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. III, თბ., 1997.

თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. თბ., 1957.

თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბ., 1989.

თბილის-რუსთავის სამრეწველო კვანძი. თბ., 1977.

თეეზაძე რ. ეროვნული ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. საქართველოს საინვესტიციო პრობლემები: მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 1998.

თვალჭრელიძე ა., კერვალიშვილი პ., გეგია დ., ესაკია ს., სანაძე ს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები: ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა. თბ., 2002.

თვალჭრელიძე ა. საქართველოს მყარი მინერალური რესურსები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №9, თბ., 1998.

თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბ., 1999.

თოხაძე ი. ელექტროენერგეტიკის სფერო. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №34, თბ., 1999.

თუთბერიძე მ., პაელიაშვილი ნ. რეკრეაციული მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში. კრებულში „საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები". თბ., 2001.

ითონიშვილი ვ. არაგვის ხეობა. თბ., 1986.
ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბ., 1999.
კარბელაშვილი ლ. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. "საქართველოს ეკონომისტი", №11-12, 1928.
კაციძე ა. თბილისის მოსახლეობის ფორმირების პროცესები. თბ., 1991.
კაცაძე ა. სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაცია საქართველოში. თბ., 1993.
კაციაშვილი ვ. ბუნებრივი აირი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №32, თბ., 1999.
კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ., 1996.
კეკელია ჯ. მდებარეობა, ტერიტორია და საზღვრები. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 2000.
კვერენჩხილაძე რ. საქართველოს ტრანსპორტი. თბ., 1986.
კვერენჩხილაძე რ. დასავლეთი ეკონომიკური რაიონი; ტრანსპორტი. საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ნაწ. მეორე. თბ., 1973.
კიკნაძე ა., პაპაშვილი ი., ჯანელიძე ზ. საპორტო პოტენციალი. წიგნში „სამეგრელო". თბილისი-ზუგდიდი. 1999.
კობახიძე ე. აჭარის ასსრ საკურორტო მეურნეობა. აჭარის ასსრ. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIX. თბ., 1962.
კობახიძე ე., გოცირიძე რ., ბარბაქაძე ზ., შიხაშვილი გ., ჯანელიძე ო. საქართველოს სსრ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური კონცეფცია (მეთოდური მასალები). თბ., 1989.
კობახიძე ე. საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი. თბ., 1971.
კობახიძე ე. საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა ტურიზმის სათავეებთან. ჟურნალი "ეკონომისტი", №9, 1983.
კობახიძე ე. სულხანიშვილი ნ. ბუნებრივი პირობები და რესურსები. მახარაძე-ლანჩხუთის ქვერაიონის ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1964.
კორძახია მ. საქართველოს ჰაკა. თბ., 1961.
ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975.
ლორთქიფანიძე ვ. სამცხე-ჯავახეთი XIX-XX საუკუნეებში (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები). თბ., 1994.
ლორთქიფანიძე ი. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. I და II. თბ., 1935.
მაკალათია ს. მთის რაჭა. ტფ., 1987.
მაკალათია ს. მთიულეთი. ტფ., 1930.
მაკალათია ს. ფშავი. ტფ., 1934.

მაკალათია ს. ხეესურეთი. ტფ., 1935.
მანველიშვილი ალ. საქართველოს საზღვრები. პარიზი. 1938.
მარუაშვილი ლ. თუშეთი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი და გზამკვლევი). თბ., 1977.
მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი (სვანეთი). თბ., 1970.
მაღლაკელიძე ლ. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №31, თბ., 1999.
მახარაძე-ლანჩხუთის ქვერაიონი (გურია). თბ., 1964.
მგალობლიშვილი გ. ექსპორტის მხარდაჭერა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №5, თბ., 1998.
მიმინოშვილი ო. ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში. თბ., 1998.
მოსახლეობა ციფრებში. სტატისტიკური კრებული. თბ., 1996.
მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მასალები. თბ., 1991.
მოხსენება საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ. ნაწილი პირველი, თბ., 1999.
მრეწველობა საქართველოში XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. სტატისტიკური კრებული. თბ., 2002.
მშვენიერაძე მ. ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №28, თბ., 1999.
მჭედლიშვილი კ. ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისათვის. „მიკროეკონომიკა", №2, თბ., 1999.
ნადარეიშვილი ნ. დემოგრაფიული სიტუაციის ფორმირების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში. წიგნში „რეგიონული გეოგრაფია". თბ., 1991.
ნადარეიშვილი ნ. ცვლილებები საქართველოს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. წიგნში „საქართველოს მოსახლეობა და მეურნეობა". თბ., 1988.
ნარსია ლ. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასების ეკონომიკური ასპექტები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ.III, თბ., 1997.
ნეიძე ვ. მოსახლეობა. განსახლება. მეურნეობა. წიგნში „სამეგრელო". თბილისი-ზუგდიდი. 1999.
ნეიძე ვ. საქართველოს სსრ დასახლებული ადგილების მომავალი განვითარების ფაქტორები. წიგნში „საქართველოს მოსახლეობა და მეურნეობა". თბ., 1988.
ნოდია მ. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. თბ., 1976.

ორჯონიკიძე შ. ეკოლოგიურად სუფთა ავტომატიზებული სპეციალური ტრანსპორტის კომპლექსური განვითარება. საქართველოს საინჟინრო პრობლემები: მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 1998.
პაჭლიაშვილი ნ. საქართველოს რეკრეაციული რესურსების ათვისების რეგიონული სხვაობები. წიგნში „რეგიონული გეოგრაფია". თბ., 1991.
რეგიონული გეოგრაფია. თბ., 1991.
რონდელი ალ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები. თბ., 1999.
საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., ტ.I (1996), ტ.II (1997), ტ.III (1997), ტ.IV (1999).
საბაშვილი მ. საქართველოს ნიადაგები. თბ., 1965.
საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში (საბინაო მშენებლობა). სტატისტიკური კრებული. თბ., 1997.
სალუქვაძე ი. ქ.თბილისის ტერიტორიის რაციონალურად გამოყენების პრობლემები. კრებულში: „თბილისის ქალაქმშენებლობითი პრობლემები". თბ., 1987.
სამეგრელო. ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები). თბილისი-ზუგდიდი, 1999.
სამუშაო ძალა საქართველოში. სტატისტიკური კრებული – 1998-1999. თბ., 2001.
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 2000.
საქართველოს აღმოსავლეთი ეკონომიკური რაიონი (კახეთი). თბ., 1977.
საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი. დუშეთ-თიანეთის ქვერაიონი (აღმოსავლეთ კავკასიონი). თბ., 1981.
საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი (ქვემო ქართლი). თბ., 1980.
საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი (შიდა ქართლი). თბ., 1979.
საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1999.
საქართველოს გეოგრაფი ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 2000.
საქართველოს გეოგრაფია. ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები. თბ., 2001.
საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა. სტატისტიკური ცნობარი. თბ., 1990.
საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. 1998, 1990, 2000 წლები.
საქართველოს კომპანიები. თბ., 2001.

საქართველოს სსრ კურორტები. თბ., 1975.
საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლის ინდიკატური გეგმა. თბ., 2000.
საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995.
საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. თბ., 1998.
საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სტატისტიკური კრებული. თბ., 1991.
საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემები საქართველოს ექსპორტ-იმპორტის შესახებ 1997 წ. თბ., 1999.
საქართველოს საგარეო ვაჭრობა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №14, თბ., 1998.
საქართველოს სამხრეთი ეკონომიკური რაიონი (მესხეთ-ჯავახეთი). თბ., 1976.
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ. თბ., 1999.
საქართველოს სოფლის მეურნეობა. 1999, 2000, 2001 წლების სტატისტიკური კრებულები. თბ., 2000, 2001, 2002.
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. 1998, 1999, 2000, 2001 წლების სტატისტიკური კრებულები.
საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ნაწ. I, თბ., 1970. ნაწ. II, თბ., 1973.
საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და ადმინისტრაციული რაიონების ცნობარი. თბ., 1974.
საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 1999, 2000, 2001. თბ., 2000, 2001, 2002.
სეანიძე გ., ციმბალი ვ. წყლის რესურსები. საქართველოს პირველი ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციაზე. თბ., 1999.
საქართველოს შინამეურნეობები (1998-1999). ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული. თბ., 2000.
სუბტროპიკული რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევები (სამეგრელო). თბ., 1968.
ფირცხალავა გ. პოსტსაბჭოთა საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციისა და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება–გატარების აქტუა-ლური საკითხები. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ტ. I, 1996.
ფირცხალავა გ. საქართველოს მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია. თბ., 1997.

ფოთის სახლკაო-საკაჭრო ნავსადგურის რესტრუქტურიზაციის (პრივატიზაციის) ალტერნატივები. მომზადებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის (USAID). თბ., 1997.
ფუტკარაძე მ. აჭარა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. ბათუმი, 2001.
ქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობა 1989 წელს. თბ., 1990.
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.1-11. თბ., 1975-1987.
ქუთაისის სამრეწველო კვანძი. თბ., 1974.
ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ). თბ., 1957.
ყუფუნია გ. საქართველოს მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის საკითხები. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ინსტ-ის შრომები. ტ.IV, 1999.
შეყარდნაძე ე. დიდი აბრეშუმის გზა. თბ., 1999.
შენგელია ი. საქართველოს ჩრდილოეთ მთიანი რაიონების მოსახლეობის გეოგრაფიისა და შრომითი რესურსების გამოყენების ძირითადი საკითხები (საკანდ. დისერტ.). თბ., 1970.
შოშიტაიშვილი ბ. საქართველოს მრეწველობა, მდგომარეობა და განვითარების სტრატეგია. საქართველოს საინვესტიციო პრობლემები: მდგომარეობა და პერსპექტივები, თბ., 1998.
ჩარქსელიანი ა., პეტრიაშვილი რ., ყუფუნია მ. საქართველოს სსრ მიწის კადასტრი. მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტი. თბ., 1988.
ჩიკვაძე თ. საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინარსი, ძირითადი პრობლემები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. I, თბ., 1996.
ჩოჩახიძე დ., გოგიძე ნ. და სხვ. პრივატიზაცია მრეწველობის დარგებში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ინსტ-ის შრომები. ტ.IV, 1999.
ჩხეიძე ა. სატრანსპორტო სისტემები – პრობლემები, პერსპექტივები. საქართველოს საინვესტიციო პრობლემები: მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 1998.
წულაძე გ., ბალურაშვილი ი. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბ., 1999.
წულაძე გ., შელაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. თბ., 1997.
წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ფალაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000). თბ., 2002.
წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ფალაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2001. თბ., 2002.
ჭაკჭაკაძე ი. მიგრაცია საქართველოდან. ათტომეული. ტ. VIII, 1957.
ჭიათურა–ზესტაფონის სამრეწველო კვანძი. თბ., 1973.

ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., 1997.

ჩანთაძე ჯ. ლუდი საქართველოში. მისი აღმატებულება ლუდი. თბ., 1999.

ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ზემო ქართლი. თბ., 2000.

ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი. თბ., 2001.

ხუციდელიძე ლ. განათლების სისტემის თანამედროვე მდგომარეობა. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. I, თბ., 1996.

ხელაშვილი ი., ხოშტარია ჯ., დავითაშვილი თ. ტურიზმისა და რეკრეაციული განვითარების კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნალი „ეკონომისტი", №9, 1990.

ხმალაძე ი. ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე პრივატიზაცია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №26, თბ., 1999.

ხოფერია ნ. ექსპორტზე ორიენტირებული ქიმიური პროდუქციის წარმოების შესაძლებლობანი. საქართველოს საინჟინრო პრობლემები: მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 1998.

ჯავახიშვილი იუ. საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით. ტფ., 1919.

ჯაოშვილი ვ. ბათუმი. თბ., 1967.

ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996.

ჯაოშვილი ვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. თბ., 1996.

ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984.

ჯაოშვილი ვ. ქუთაისი. თბ., 1989.

ჯიბუტი ი. ფოთის საზღვაო-საკაჭრო ნავსადგური. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №32, თბ., 1999.

ჯოლია გ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ., 1998.

პუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1995, 1996, 1997, 1998, 1999, 2000, 2001-02 წლები. გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი.

Авдокушин Е.Ф. Международные экономические отношения. М., 1997.

Анчабадзе З.В. Очерки экономической истории Грузии первой половины XIV вска. Тб., 1966.

Гасвиани Г. Абхазия. Древние и новые абхазы. Тб., 2000.

Гвелесиани Г.Г. Развитие и размещение социалистического производства в ГССР. Тб., 1965.

Гвелесиани Г.Г., Клопотовский Б.А. Грузинская ССР. Физико-географический и экономико-географический очерки. М., 1955.

Гегешидзе А.М., Рондели А.Д., Салуквадзе И.М. Особенности территориальной организации крупного города: фактор внутригородского расселения (на примере Тбилиси). Доклады участников VI советско-польского семинара по урбанизации. Тб., 1987.

Грузинская ССР. Экономико-географическая характеристика. М., 1958.

Грузия – 2000. Регионы. Комплексная программа экономического и социального развития регионов Грузинской ССР на перспективу до 2000 года, т.XIII. Здравоохранение. Курортное хозяйство и туризм. Тб., 1987.

Грузия. Серия «Советский Союз». М., 1967.

Гуджабидзе В.В. Городские агломерации Грузии (проблема делимитации больших городских агломераций). Сб.: «Проблемы географии населения и пространственной организации». Тб., 1983.

Джаошвили В.Ш. Население Грузии. Тб., 1968.

Джаошвили В.Ш. Урбанизация Грузии. Тб., 1978.

Кавказский календарь. Тифлис. 1914.

Кверенчхиладзе Р.И. Географические проблемы транспорта Грузии. Тб., 1976.

Кверенчхиладзе Р.И. Проблемы сближения уровня экономического развития регионов. Региональная география – I. Тб., 1983.

Кекелия Н.А. Статистико-картометрический метод выявления и оценки природного земельно-ресурсного агропотенциала горных стран (на примере Грузии). Матер. первого польско-грузинского географического семинара. Тб., 1996.

Кобахидзе Э.Д. Промышленный комплекс Грузинской ССР. Тб., 1979.

Кобахидзе Э.Д. Промышленно-территориальные системы союзных республик. Тб., 1979.

Колхидская низменность. Природные условия и социально-экономические аспекты. Ленинград, 1989.

Колхидская низменность. Научные предпосылки освоения. М., 1990.

Корнилова И.П. Продолжительность купального сезона на территории СССР. Изв. АН СССР. сер. геогр., №4, 1979.

Лавров Н. Расселения сванов на Северном Кавказе до XIX века. Краткие сообщения Ин-та этнографии им.Миклухо-Маклая, вып.X, 1950.

Липец Ю.Г., Пуляркин В.А., Лихтер С.Б. География мирового хозяйства. М., 1999.

Ломакин В.К. Мировая экономика. М., 1998.

Месхия Ш.А. Города и городской строй феодальной Грузии. Тб., 1959.

Неидзе В.Е. Роль природных факторов в формировании расселения Грузии. Вильнюс, 1975.

Нижарадзе Н.И., Джибути Н.М. Аджария. Батуми, 1978.

Обозрение Российских владений за Кавказом. СПБ., 1836.

Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897, Тифлисская губерния. 1905.

Природные ресурсы и проблемы их рационального использования. Тб., 1991.

Промышленность Грузии за 40 лет. Тб., 1961.

Размадзе П.А. Размещение, планировка и застройка горных рекреационных комплексов (в условиях Грузинской ССР). Тб., 1975.

Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в 5 губерниях Закавказского края. Тифлис, 1898.

Сеть интермодальных терминалов Грузии – ТЭО. Бизнес-план на апрель 1997 г. I-II, прогноз транспорта.

Спиридонов И.А. Мировая экономика. М., 1997.

Статистический Ежегодник Южно-Кавказских стран. ТАСИС, 2002.

Статистическое сообщение Кутаисского генерал-губернатора. Санкт-Петербург., 1858.

Таташидзе З.К. Карстовые пещеры Грузии (Морфологический анализ). Тб., 1976.

Технико-экономическое обоснование новых терминалов в Грузинских портах, т. II – прогноз объема транспорта, 1998.

Цагарели Г.К. Градообразующая роль развивающихся аграрно-промышленных комплексов. Сборн. «Проблемы географии населения и использования территории». Тб., 1976.

Экономическая и социальная география России. М., 1997.

Элизбарашвили Э.Ш., Гонгладзе Н.Ш. Климатография курортов Грузии. Тб., 1980.

Boniface B., Cooper Ch. The Geography of Travel and Tourism. Oxford. "Butterkworth-Heinemann", 1996.

Gachechiladze R. The new Georgia. Space society. Politics. University of London. 1995.

Neidze V. Political-Geographical Review of Georgia. Society and Geography (Proceedings of the First Georgian-Israeli Geographical Seminar). Tb., 2000.

Tourism Highlights. Madrid. WTO. 2000.

Tourism Market Trends. Europe. WTO. 2000.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოქვეყნილი ეროვნული და გაერთიანებული 6

წინასიტყვაობა (ზურაბ ტატაშიძე) 8

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მაჩვენებლები (ეკა ნეიძე) 13

ფიზიკოგეოგრაფია (მეგი შენგელია) 27

- რიცხოვნობის დინამიკა 27
- ბუნებრივი მოძრაობა 29
- მექანიკური მოძრაობა 34
- სტრუქტურა (ნანა ნადარეიშვილი) 37
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (მზია თუთბერიძე) 48

განსახლება (ეკა ნეიძე) 56

- განსახლების ფორმირების ძირითადი ფაქტორები 56
- მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება და სიმჭიდროვე 59
- სასოფლო განსახლება 63
- საქალაქო განსახლება 66
- ურბანიზაცია 70

ეკონომიკა 74

- **ზოგადი მიმოხილვა** (ეკა ნეიძე) 74
- **მრეწველობა** (მარინა ბოკერია) 79
  - დარგობრივი სტრუქტურა 83
  - ტერიტორიული სტრუქტურა 86
  - სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა 89
  - მეტალურგია 95
  - ქიმიური მრეწველობა 97
  - მანქანათმშენებლობა 99
  - სშენ მასალათა მრეწველობა 101
  - ხე-ტყის მრეწველობა 102
  - მსუბუქი მრეწველობა 103
  - კვების მრეწველობა 105
- **სოფლის მეურნეობა** (ეკა ზონნაშვილი) 110
  - სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსები 113
  - ტერიტორიული და დარგობრივი სტრუქტურა 118
- **ტრანსპორტი** (მარინა ბოკერია) 132
  - რკინიგზის ტრანსპორტი (მეგი შენგელია) 134
  - საავტომობილო ტრანსპორტი 137

საზღვაო ტრანსპორტი (მარინა ბოკერია) 139
საჰაერო ტრანსპორტი (ლია ხუხუნაიშვილი) 142
საჰაერო-საბაგირო ტრანსპორტი 144
მილსადენი ტრანსპორტი 145
კავშირგაბმულობა (ლია ხუხუნაიშვილი) 147
მომსახურების სფერო (ნინო დორეული) 151
განათლება 152
მეცნიერება 156
ჯანმრთელობის დაცვა 157
კულტურა 159
შიდა ვაჭრობა 160
საბინაო-კომუნალური მეურნეობა (ნანა ნადარეიშვილი) 162
საყოფაცხოვრებო მომსახურება (ლია ხუხუნაიშვილი) 165
ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობა (ნინო პაულიაშვილი) 167
ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები 168
ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება 171
ტურისტულ-რეკრეაციული რაიონები 175
განვითარების თვალსაბურებები 177
ეკონომიკური კავშირები (ნინო დორეული, მარინა ბოკერია) 182
ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები 190
თბილისი (ვაჟა ნეიძე) 191
შიდა ქართლი (ნინო პაულიაშვილი) 200
ქვემო ქართლი (მარინა ბოკერია, ჟანა ზონენაშვილი, ლია შალვაშვილი) 214
კახეთი (ჟანა ზონენაშვილი) 227
აღმოსავლეთი კავკასიონი (ვაჟა ნეიძე) 240
ხევი 242
მთიულეთი (მეგი შენგელაია) 246
ფშავი 248
ხევსურეთი 250
თუშეთი 253
სამცხე-ჯავახეთი (ვაჟა ნეიძე) 256
იმერეთი (მზია თუთბერიძე, ლია ხუხუნაიშვილი) 272
რაჭა ლეჩხუმი (ნანა გეთიაშვილი) 286
სამეგრელო (ვაჟა ნეიძე) 294
სვანეთი (მეგი შენგელაია) 309
გურია (ჯემალ კაპანაძე) 317
აჭარა (ნინო დორეული) 327
აჭარა (ვაჟა ნეიძე) 338
ლიტერატურა 258

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

ფერადი და შავ-თეთრი რუკების ელექტრონული ვერსიები მომზადებულია ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიისა და გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში

შემსრულებლები:

გეოგრ. მეცნ. კანდიდატი ვახტანგ გელაძე
გეოგრ. მეცნ. კანდიდატი ალექსანდრე ჯავახიშვილი
ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი დავით ქართველიშვილი

წიგნი აიწყო, გრაფიკული მასალა დამუშავდა და დაკაბადონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ნინო გოდინაშვილისა და ნანა გეოიაშვილის მიერ

მხატვარი **ნესტან ნეიძე**

გადაეცა წარმოებას 01.10.2003;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 02.10.2003;
ქაღალდის ზომა 70x108 1/16 ;
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 32,7;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.0.
ფერადი ილუსტრაციები 10 გვერდი

შეკვეთა №1 ტირაჟი 500

გამომცემლობა "მედია სერვისი"

ISBN 99940-741-0-5

თბილისი, 380071, მერაბ ალექსიძის ქ.1
კორპ.8 ტელ: 33 11 92, 36 40 20